

პ. ი. ლენინი,
სკკპ

საბჭოთადად
გამოცემ
მოსკოვი

5 Classics of Marxism



Marx

Engels

Lenin

Stalin

Hoxha

**PROLETARIAN OF ALL COUNTRIES, UNITE!
PROLETARIAN, UNITE THE ALL COUNTRIES!**



**MARX—ENGELS—LENIN—STALIN' INSTITUTE OF
CENTRAL COMMITTEE OF CPSU(B)**

STALINIST-HOXHAISTS COMMUNIST INTERNATIONAL — COMINTERN (SH)

GEORGIAN SECTION OF COMINTERN (SH)

**© WORLD PROLETARIAT
For Free Use and Distribution**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქ. კვ. ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სსკკ
ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის
ინსტიტუტის ფილიალი

პ. ი. ლენინი, სკკკ

ნაბიძგის
ჯიშის
შესახებ

დოკუმენტები და მასალები

მეორე, შევსებული გამოცემის თარგმანი



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1981

კრებულში შეტანილია ვ. ი. ლენინის ნაშრომები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტები, რომლებიც ამხილებენ ნაციონალიზმის რეაქციულ თეორიასა და პოლიტიკურად მავნე პრაქტიკას, გვიჩვენებენ კომუნისტური პარტიის 'შეურიგებელ ბრძოლას ნაციონალიზმის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ, საკუთარ რიგებში ნაციონალისტური გადახრების წინააღმდეგ, ბრძოლას მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე მშრომელთა დარაზმვისათვის. კრებულის წინამდებარე გამოცემა შევსებულია მთელი რიგი მასალებით, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დოკუმენტებით.

კრებული გათვალისწინებულია პარტიული მუშაკებისათვის, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, პროპაგანდისტებისათვის, აგრეთვე ყველასათვის, ვისაც კომუნისტური პარტიის ისტორია აინტერესებს.

В. И. ЛЕНИН, КПСС О БОРЬБЕ С НАЦИОНАЛИЗМОМ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакарთველო»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1981

ლ433 ვ. ი. ლენინი, სკკპ ნაციონალიზმთან ბრძოლის შესახებ. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1981.

Л $\frac{10102 - 049}{M 601 (08) - 81}$ 6—81

© Политиздат, 1975.

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1981

წინასიტყვაობა

ორი სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის — ურთიერთბრძოლის თანამედროვე ეპოქაში ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. «ჩვენ ვცხოვრობთ შეუხელებელი იდეოლოგიური ომის პირობებში, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე, — რომელსაც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, სოციალისტური სამყაროს წინააღმდეგ აწარმოებს იმპერიალისტური პროპაგანდა, ამასთან იყენებს ყველაზე გაწაფულ მეთოდებს...»*. ნაციონალიზმს რომ აღვივებენ, ანტიკომუნისტები ცდილობენ ძირი გამოუთხარონ სოციალისტური ბანაკის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობას.

მთელი თავისი ისტორიული მოღვაწეობის მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იბრძოდა და იბრძვის ნაციონალიზმის წინააღმდეგ, მშრომელთა რევოლუციური სოლიდარობის განმტკიცებისა და მსოფლიოს ხალხთა ინტერნაციონალური ერთიანობისათვის.

იმპერიალიზმის იდეოლოგები და მათი რევიზიონისტი დამქაშები ცდილობენ სახელი გაუტეხონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილებას მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების, სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირების, ნაციონალისტური ცრურწმენების დაძლევის დარგში, ამახინჯებენ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. მათი მეცადინეობა იქით არის მიმართული, რომ ხალხთა ყურადღება ჩამოაშორონ კაპიტალის ქვეყნებში არსებულ ეროვნულ კონფლიქტებს, ხელი შეუშალონ ამ ხალხებს, რომ ერთადერთი სწორი არჩევანი გააკეთონ სოციალიზმის სასარგებლოდ.

* «სკკპ XXIV ყრილობის მასალები», საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბ., 1971, გვ. 115.

ბურჟუაზიული იდეოლოგიები იმედოვნებენ, რომ ნაციონალიზმის «უეცრად მოვარდნილი ფატალური ტალღა» გათიშავს და მოადუნებს მსოფლიო ანტიიმპერიალისტურ ფრონტს. მათი მსახურები ჩქარობენ, რომ ეროვნული საკითხი «გადაუჭრელ საკითხად» გამოაცხადონ, ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს მსოფლიო დღეს ცხოვრობს «ნაციონალიზმის საუკუნეში», როდესაც ცენტრიდანული ძალები «შეუწყალებლად» გამოიწვევენ მრავალეროვან წარმონაქმნთა და ოდესღაც მონოლითურ მოძრაობათა შესუსტებასა და რღვევას, და პირველ რიგში სოციალისტურ თანამეგობრობასა და მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას გათიშავენო.

«იმპერიალისტებს კარგად ესმით საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის მთელი ძალა, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის საერთაშორისო თათბირზე, — სწორედ ამიტომ თავიანთ ბრძოლაში სოციალიზმის ძალების წინააღმდეგ, რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ისინი ეყრდნობიან ნაციონალიზმს, იმედოვნებენ ამ გზით დაქსაქსონ, დააქუცმაცონ კომუნისტური მოძრაობა, ერთმანეთს დაუპირისპირონ რევოლუციური რაზმები»*.

ეროვნული ურთიერთობის დარგში იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის გამწვავების პირობებში ანტიიმპერიალისტური ძალების რევოლუციური ავანგარდი კვლავ და კვლავ მიმართავს ლენინურ მემკვიდრეობას. ვ. ი. ლენინის ნაშრომები, რომლებშიც განხილულია ნაციონალიზმის სხვადასხვა სახეობა, მისი აღმოცენების მიზეზები და მასთან ბრძოლის ამოცანები, კომუნისტებს აიარალებენ ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების შეცნობის ერთადერთი სწორი მეთოდით.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს ბურჟუაზიული იდეოლოგიის სხვა ფორმებზე უფრო სწრაფად და უფრო მძლავრად შეუძლია მუშების გახრწნა, მათი კლასობრივი შეგნების დაბინდვა. იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიის იდეურ არსენალში ნაციონალიზმს განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ. ვ. ი. ლენინს ყველაზე გაწაფულ და ყველაზე საშიში ფორმის ნაციონალიზმად მიაჩნდა ისეთი ნაციონალიზმი, რომელიც «ეროვნული კულტურის», «ეროვნ-

* ლ. ი. ბრეჟნევი. ლენინური კურსით. სიტყვები და სტატიები. მეორე ტომი, თბ., საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1971, გვ. 427.

წული ავტონომიის, ანდა დამოუკიდებლობის» ინტერესების დაცვის მომიზეზებით სინამდვილეში პროლეტარიატის დაყოფასა და დაქსაქსვას ქადაგებდა. «ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნაციონალიზმი, — წერდა იგი, — სიტყვიერად აღიარებს ერთა თანასწორუფლებიანობას, მაგრამ საქმით იცავს (ხშირად ფარულად, ხალხის ზურგს უკან) ერთ-ერთი ერის ზოგიერთ პრივილეგიას და ყოველთვის ცდილობს მეტი სარფა მოუპოვოს «თავის» ერს (ე. ი. თავისი ერის ბურჟუაზიას), დაყოს და გამიჯნოს ერები, განავითაროს ნაციონალური განკერძოებულობა და სხვ. ბურჟუაზიული ნაციონალიზმი ყველაზე მეტს ლაპარაკობს «ნაციონალურ კულტურაზე», ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რაც ერთ ერს ყოფს მეორისაგან და აქუცმაცებს სხვადასხვა ერის მუშებს და აბრიყვებს მათ «ნაციონალური ლოზუნგებით»*.

ვ. ი. ლენინი, კომუნისტური პარტია შეუპოვრად ებრძოდნენ როგორც ამკარა, ისე შენიღბულ ნაციონალიზმსა და შოვინიზმს. ჯერ კიდევ 1903 წელს, როდესაც ბუნდის ნაციონალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდა, ვლადიმერ ილიას ძე ლენინი წერდა: «რაკი ერთხელ დაადგა ნაციონალიზმის მოღიპულ გზას, ბუნდი ბუნებრივად და გარდუვალად უნდა მისულიყო... განსაკუთრებული ებრაული პარტიის შექმნამდე»**. წინასწარ ჰვრეტდა ბუნდელების შემდგომ ევოლუციას და ამიტომაც აფრთხილებდა მათ: «თუ არ გსურთ პირი იბრუნოთ შეერთებისაკენ, — მაშინ თქვენ... დაიწყებთ ამ თქვენი განცალკევების დასაბუთების ძებნას და ამ ძებნაში ხან ებრაელი «ერის» სიონისტურ იდეას ჩასჭიდებთ ხელს, ხან დემაგოგიას და ჭორებს მიმართავთ»***.

1914 წლის აპრილში, როდესაც ვ. ი. ლენინმა დაგმო ეგრეთ წოდებული «კულტურულ-ეროვნული ავტონომიის» ბურჟუაზიული მოთხოვნა, რომ სასკოლო საქმე ეროვნებების მი-

* ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 19, გვ. 657. (კრებულის ქართულ გამოცემას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 ქართული გამოცემის ტექსტი. მასში შეტანილია ზოგიერთი შესწორება ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის რუსული გამოცემის მიხედვით. ქართული გამოცემის რედაქციამ).

** ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 6, გვ. 644.

*** ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 7, გვ. 61—62.

ხედვით დაეყოთ და იგი ცალკე ჩამოყალიბებულ ეროვნულ კავშირთა ხელში გადაეცათ, იგი წერდა: „ეს მხოლოდ ერების განკერძოებულობის განმტკიცებას გამოიწვევდა, ჩვენ კი მათი დაახლოებისაკენ უნდა ვისწრაფოდეთ. ეს შოვინიზმის ზრდას გამოიწვევდა, ჩვენ კი უნდა მივდიოდეთ ყველა ერის მუშების უმჭიდროესი კავშირისაკენ, მათი საერთო ბრძოლისაკენ „ყოველგვარი შოვინიზმის წინააღმდეგ, ყოველგვარი ეროვნული განსაკუთრებულობის წინააღმდეგ, ყოველგვარი ნაციონალიზმის წინააღმდეგ“*.

ვ. ი. ლენინი, ჩვენი პარტია შეუწელებლად ებრძოდნენ არა მარტო ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის მეზობლ შოვინიზმს, არამედ რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში არსებული ნაციონალიზმის ყველა ფორმის წინააღმდეგაც ილაშქრებდნენ. პროგრამულ ნაშრომებში «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე», «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ», «რევოლუციური პროლეტარიატი და ერების თვითგამორკვევის უფლება», «ველიკოროსების ეროვნული სიამაყის შესახებ» ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დასაბუთა კომუნისტური პარტიის პროგრამა და პოლიტიკა ეროვნულ საკითხში, გააკრიტიკა მენშევიკები, ბუნდელები, უკრაინელი ნაციონალისტები, II ინტერნაციონალის ოპორტუნისტები იმის გამო, რომ უღალატეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს.

ვ. ი. ლენინმა გამოავლინა II ინტერნაციონალის კრახის მიზეზები და ცხადყო, რომ ბურჟუაზიული ნაციონალიზმისადმი შეგუება, ამის საფუძველზე კლასობრივ თვალსაზრისსა და კლასობრივ ბრძოლაზე უარის თქმა იყო ის ნიადაგი, რომელზეც აღმოცენდა II ინტერნაციონალის ბელადთა უმრავლესობის შოვინიზმი. ამან დიდი ზიანი მიაყენა მთელ საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობას.

ბურჟუაზიული ნაციონალისტური იდეოლოგია მისი მთელი მრავალრიცხოვანი გამოვლინებით — იქნება ეს დიდმპყრობელური შოვინიზმი, ადგილობრივი ნაციონალიზმი, რასიზმი, სიონიზმი თუ სხვ. — ყოველთვის იყო რეაქციის იარაღი, რომელსაც იგი განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ

* ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 268.

იყენებდა. «ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — აი ორი, ურთიერთისადმი შეურიგებლად მტრული ლოზუნგი, რომელნიც შეესაბამებიან მთელი კაპიტალისტური სამყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავენ ორ პოლიტიკას (მეტიც: ორ მსოფლმხედველობას) ნაციონალურ საკითხში»*. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპმა დაადასტურა თავისი შემოქმედებითი ძალა და ისტორიული მნიშვნელობა. ინტერნაციონალისტური იდეოლოგიის ზემოქმედებით დღენიადაგ იკვლევს გზას საერთაშორისო თანამშრომლობის იდეა სხვადასხვა დარგში.

ხალხთა შორის ურთიერთობის პრობლემები, ეროვნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ საზოგადოებრივი ცხოვრების მზარდი ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე პირობებში.

ვ. ი. ლენინმა ცხადყო ნაციონალიზმის მჭიდრო კავშირი მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმთან. «ოპორტუნიზმისა და სოციალ-ნაციონალიზმის იდეურ-პოლიტიკური ნათესაობა, კავშირი, იგივეობაც კი ყოველივე ეჭვს გარეშეა»**, — წერდა ვ. ი. ლენინი ნაშრომში «სხვისი დროშით». ვ. ი. ლენინის ამ მითითებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში მემარჯვენე და «მემარცხენე» ოპორტუნისტთა ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ანტისოვეტიზმით გაუღენთილი ბურჟუაზიული ნაციონალიზმი სხვადასხვა იდეოლოგიური მიმართულების საერთო იდეურ პლატფორმად გვევლინება. იგი აერთიანებს ბურჟუაზიულ კონსერვატორებსა და ლიბერალებს, მემარჯვენე რეფორმისტებს, ცრუ «მემარცხენეებს», მაოისტებს. თანამედროვე ოპორტუნიზმი და ბურჟუაზიული ნაციონალიზმი დაჟინებით ცდილობენ, რომ რეალურ სოციალიზმს დაუპირისპირონ სოციალიზმის ხელოვნურად შექმნილი «მოდელი», რითაც ფაქტიურად მჭიდროდ უახლოვდებიან ერთმანეთს.

ნაციონალიზმის ოპორტუნიზმთან კავშირი ყველაზე აშკარად გამოვლინდა მაოიზმის გამთიშველი კურსით, მარქსიზმ-

* ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 13.

** ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 21, გვ. 176.

ლენინიზმისათვის მტრული წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობით ჩინეთის კომპარტიამი.

ჩინელი ხელმძღვანელები სტრატეგიისა და ტაქტიკის ყველა ძირითად საკითხში განუდგნენ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ლენინურ ხაზს, გამოაცხადეს განსაკუთრებული კურსი, რომელშიც ერთუროს ერწყმის წვრილბურჟუაზიული ავანტიურიზმი და დიდმპყრობელური შოვინიზმი. ჩინელმა გამთიშველებმა, ბლოკი რომ შეკრეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის წინააღმდეგ მებრძოლ სხვადასხვა ჯურის ძალებთან, ნათელყვეს ანტისოვეტიზმისა და ნაციონალიზმის განუყრელი ურთიერთკავშირი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ებრძვის მაიზმს, როგორც პოლიტიკურად მავნე, რეაქციულ, აშკარად შოვინისტურ მიმდინარეობას, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებას და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს.

ლენინური ეროვნული პროგრამის განუყოფელი ნაწილია მოთხოვნა, რომ მუშათა კლასის პარტიული და სხვა ორგანიზაციები პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე იყოს აგებული. თეორიამ და პრაქტიკამ დაადასტურა კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ყველა ეროვნების პროლეტართა ერთიანობის სასიცოცხლო აუცილებლობა.

რეაქციასთან ბრძოლაში პარტია მუდამ მჭიდროდ რაზმავდა რევოლუციურ ძალებს, უკუაგდებდა ნაციონალისტური იდეოლოგიის ყოველგვარ ფორმებს, იქნებოდა ეს დიდმპყრობელური შოვინიზმი თუ ადგილობრივი ნაციონალიზმი, ეროვნული ყოყონობა თუ ეროვნული ნიჰილიზმი, ანტისემიტიზმი თუ სიონიზმი. კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის, ეროვნული შუღლისა და განკერძოებულობის ძველ სამყაროს კომუნისტურმა პარტიამ, მუშათა კლასმა დაუპირისპირეს მშრომელთა ერთიანობის ახალი სამყარო, რომელშიც ადგილი არა აქვს ადამიანის მიერ ადამიანისა და ერთი ერის მიერ მეორის ჩაგვრას.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კომუნისტური პარტია იბრძოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ახალი ფორმების წინააღმდეგ. პარტია ილაშქრებს როგორც მტრული

ნაციონალისტური ორგანიზაციების, მასების მოსატყუებლად ეროვნულ დროშას ამოფარებული ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, ისე საკუთარ რიგებში ნაციონალისტური გადახრების წინააღმდეგაც.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბრძოლა წვრილ-ბურჟუაზიული ნაციონალისტური ცრურწმენებისა და ეროვნული შეზღუდულობის წინააღმდეგ «წინა რიგში დგება, რაც უფრო საჭირობოროტო ხდება ამოცანა პროლეტარიატის დიქტატურის გადაქცევისა ნაციონალურიდან ...ინტერნაციონალურ დიქტატურად...»*.

წერილში «ეროვნებათა საკითხისათვის ანუ «ავტონომიზაციის» შესახებ» ვ. ი. ლენინმა გამოააშკარავა ნაციონალიზმის მიზეზები საბჭოთა პირობებში, მკაცრად გააკრიტიკა ნაციონალისტური შეცდომები, განსაზღვრა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის საფუძვლები.

სსრ კავშირის შესაქმნელად პარტიის დიდი მუშაობა მიმდინარეობდა დიდმპყრობელური შოვინისტებისა და ადგილობრივი ნაციონალისტების, აგრეთვე ტროცკისტების, ბუხარინელებისა და ნაციონალ-უკლონისტების მხარდამჭერი სხვა ოპორტუნისტების წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა «ნების» პირობებში. რკპ (ბ) X და XII ყრილობებმა პარტიულ ორგანიზაციებს მოსთხოვეს, მტკიცედ ებრძოლათ ნაციონალისტური გადახრების წინააღმდეგ.

ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის IV თათბირმა, რომელიც 1923 წელს ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან გაიმართა. თათბირზე ამხილეს თათარ და უზბეკ ნაციონალ-უკლონისტთა ჯგუფები. ეს ასახულია მასალების კრებულში.

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის წერილებს: «უკრაინის მუშებსა და გლეხებს დენიკინზე გამარჯვების გამო», «ამხანაგ თურქესტანელ კომუნისტებს», «აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს», მის გამოსვლებს კომინტერნის II კონგრესზე და სხვ.

* ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 168.

პარტიამ გადალახა სერიოზული სიძნელეები, რაც დაკავშირებული იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ჩამორჩენილობასთან. იგი ებრძოდა კონტრევოლუციის ცდებს, რომ საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინა ეროვნული მტრობის მემკვიდრეობა. გაერთიანების ტენდენციის მთავარი გამომხატველი, ამ პროცესის წამყვანი მამოძრავებელი ძალა იყო მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. პარტია პროლეტარული სოლიდარობის სულისკვეთებით ზრდიდა მუშათა კლასს, საბჭოთა ხელისუფლების საერთო-პოლიტიკური პლატფორმის საფუძველზე რაზმავდა მას.

პარტიის უდიდეს იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას, ნაციონალიზმის, დიდმპყრობელური შოვინიზმის, ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ ბრძოლას ასახავენ პარტიის ყრილობებისა და კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მასალები და დოკუმენტები, რომლებიც ამ კრებულში შევიდა.

სოციალიზმის მშენებლობის მსვლელობაში ლიკვიდირებულ იქნა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის წარმომშობი ეკონომიკური და სოციალური ფესვები. სოციალიზმის გამარჯვებამ, მუშათა კლასის ეროვნული რაზმების ზრდამ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი როლის გაძლიერებამ, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის პარტიის მიერ გაწეულმა დიდმა მუშაობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ხალხთა მეგობრობის განვითარებისა და განმტკიცების, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიის დამკვიდრებისათვის.

ნაციონალიზმისა და დიდმპყრობელური შოვინიზმის სხვადასხვა გამოვლინების წინააღმდეგ ხანგრძლივი, სისტემატური და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად ჩვენმა «პარტიამ მიაღწია იმას, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი, — რომ ინტერნაციონალიზმი მცირერიცხოვან კომუნისტთა იდეალიდან იქცა ყველა ერისა და ეროვნების მილიონობით საბჭოთა ადამიანის ღრმად რწმენად და ქცევის ნორმად»*.

* ლ. ი. ბრეჟნევი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბ., 1972, გვ. 30.

ჩვენი ქვეყანა განასახიერებს თავისუფალ ხალხთა ისტორიაში მანამდე არარსებულ ერთიანობასა და მეგობრულ ურთიერთობას. ეს მეგობრობა სოციალიზმის ერთ-ერთი დიადი მონაპოვარია, საბჭოთა საზოგადოების მძლავრი მამოძრავებელი ძალა და სსრ კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა 'ძემოქმედებითი შრომის უშრეტი წყაროა, რომელიც ემსახურება ყველაზე კეთილშობილურ მიზანს — კომუნისმის აშენებას.

ინტერნაციონალიზმის დროშით, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში «რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავის შესახებ», პარტიამ «დააძლევინა მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს ყველა განსაცდელი და მოაპოვებინა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები და მიღწევები»*.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმის სოციალური ფესვების ლიკვიდაცია იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენს საზოგადოებაში მთლიანად დაძლეულია ყველა ნაციონალისტური გადმონაშთი.

ნაციონალიზმისა და მისი გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლა რთული და დიდძალიშენელოვანი ამოცანაა. იგი მოითხოვს, რომ ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესდეს მშრომელთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეუურიგებლობის სულისკვეთებით. თანამედროვე პირობებში საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის გაშლილი პროგრამა მოცემულია პრტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში, ლ. ი. ბრეჟნევის წიგნში «მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შესახებ», სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში «ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდის მუშაობის შესახებ».

«პარტია, — აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ XXIV ყრილობისათვის წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში, — კვლავაც აღზრდის ყველა მშრომელს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, ეროვნული შეზღუდულობისა და ყოყოჩობის ყოველგვარი ფორმის გამოვლინებისადმი შეუურიგებლო-

* გაზეთი «კომუნისტი», 1973 წლის 14 აპრილი.

ბის სულისკვეთებით, ყველა ერისა და ხალხის ღრმა პატივისცემის სულისკვეთებით»*.

* * *

ამ კრებულში შევიდა ვ. ი. ლენინის ნაშრომები ან მისი ნაწარმოებებიდან შერჩეული ადგილები, პარტიის ყრილობების, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციები და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები, რომლებიც ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ასახავენ. კრებული ორი ნაწილისაგან შედგება: «ვ. ი. ლენინი ნაციონალიზმთან ბრძოლის შესახებ» და «საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ნაციონალიზმის წინააღმდეგ და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების მიხედვით ყველა ეროვნების მშრომელთა დარაზმვისათვის ბრძოლაში».

კრებული შეესებულია ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დოკუმენტებითა და მასალებით, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა შეუპოვებლად იბრძვიან ისინი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, მშრომელთა ინტერნაციონალური ერთიანობისათვის. მასალები განლაგებულია ქრონოლოგიურად. წიგნს დართული აქვს შენიშვნები და საგნობრივი საძიებელი.

შემდგენლები ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები:

ი. ე. ვოლკოვა, ნ. მ. კამალეტდინოვა.

* «სკკპ XXIV ყრილობის მასალები», გვ. 97.

**ვ. ი. ლენინი
ნაციონალიზმთან ბრძოლის
შესახებ**

«რანი არიან «ხალხის მემოზრები» და როგორ მოზიან ინინი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ?»

(პასუხი «რუსოვე გოზატტოვს» სტატიებზე მარქსისტების
წინააღმდეგ)

(ნაწყვეტი)

... არ არსებობს ნაციონალური სიძულვილის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა იარაღი, გარდა ჩაგრულთა კლასის ორგანიზაციისა და შეკავშირებისა მჩაგვრელთა კლასის წინააღმდეგ საბრძოლველად თითოეულ ცალკე ქვეყანაში, გარდა ასეთი მუშათა ნაციონალური ორგანიზაციების შეერთებისა ერთ საერთაშორისო მუშათა არმიად საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დაბეჭდილია 1894 წ.

ვ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 1, გვ. 172.

«ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში»

(ნაწყვეტი)

პარტიული პროგრამის პროექტში ჩვენ წამოვაცენეთ მოთხოვნა დემოკრატიული კონსტიტუციური რესპუბლიკისა, რომელიც, სხვათა შორის, უზრუნველყოფს «სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლების აღიარებას». ასეთი პროგრამული მოთხოვნა ბევრს არასაკმაოდ ნათელი ეჩვენებოდა, და 33-ე ნომერში, როდესაც სომეხ სოც.-დემოკრატთა მანიფესტზე ვლაპარაკობდით, ჩვენ შემდეგნაირად განვმარტეთ ამ პუნქტის მნიშვნელობა. სოციალ-დემოკრატია ყოველთვის იბრძოლებს ყოველი ცდის წინააღმდეგ, რომ ძალადობის ან რაიმე უსამართლობის გზით

გარედან მოახდინონ გავლენა ნაციონალურ თვითგამორკვევაზე. მაგრამ თვითგამორკვევის თავისუფლებისათვის ბრძოლის უთუო აღიარება სრულიადაც არ გვავალდებულებს მხარი დავუჭიროთ ნაციონალური თვითგამორკვევის ყოველ მოთხოვნას. სოციალ-დემოკრატია, როგორც პროლეტარიატის პარტია, თავის დადებით და მთავარ ამოცანად ისახავს ხელი შეუწყოს არა ხალხებისა და ერების, არამედ თვითეული ეროვნების პროლეტარიატის თვითგამორკვევას. ჩვენ ყოველთვის და უსათუოდ უნდა მივისწრაფვოდეთ ყველა ეროვნების პროლეტარიატის უაღრესად მჭიდროდ შეერთებისაკენ, და მხოლოდ ცალკეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში შეგვიძლია წამოვაყენოთ და აქტიურად დავიცვათ მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებენ ახალი კლასობრივი სახელმწიფოს შექმნას ან სახელმწიფოს სრული პოლიტიკური ერთიანობის შეცვლას უფრო სუსტი ფედერაციული ერთიანობით და სხვ.*...

... ტყუილად ცდილობს პოლონეთის სოციალისტური პარტია! საქმე ისე დახატოს, თითქოს მას გერმანელი თუ რუსი სოციალ-დემოკრატებისაგან ჰყოფდეს მათ მიერ თვითგამორკვევის უფლების უარყოფა, თავისუფალი დამოუკიდებელი რესპუბლიკისაკენ მისწრაფების უფლების უარყოფა. არა ეს, არამედ კლასობრივი თვალსაზრისის დავიწყება, მისი დაბნელება შოვინიზმით, პოლიტიკური ბრძოლის ერთიანობის დარღვევა — აი რა არ გვაძლევს ნებას დავინახოთ პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში ნამდვილი მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია. აი, მაგალითად, როგორ აყენებს ჩვეულებრივ საკითხს პოლონეთის სოციალისტური პარტია: «...პოლონეთის ჩამოშორებით ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია დავასუსტოთ ცარიზმი, დამხობით კი იგი რუსმა ამხანაგებმა უნდა დაამხონ». ან კიდევ: «...ჩვენ, თვითმპყრობელობის მოპოვების შემდეგ, პირდაპირ განვსაზღვრავდით ჩვენს ბედს იმგვარად, რომ რუსეთს გამოვეყოფოდით». დახეთ, რა საოცარ დასკვნებამდე მივყავართ ამ საოცარ ლოგიკას პოლონეთის აღდგენის პროგრამული მოთხოვნის თვალსაზრისითაც კი. რადგან დემოკრატიული ევოლუციის ერთ-ერთ შესაძლებელ (მაგრამ, ბურჟუაზიის ბატონობის დროს, უსათუოდ არა უმკველად უზრუნველყოფილ) შედეგს წარმოადგენს პოლო-

* იხ. თხზ., ტ. 6, გვ. 400—404, რედ.

ხეთის აღდგენა, ამიტომ პოლონელი პროლეტარიატი არ უნდა იბრძოდეს რუს პროლეტარიატთან ერთად ცარიზმის დამხობისათვის, არამედ «მხოლოდ» მისი დასუსტებისათვის პოლონეთის ჩამოშორების გზით. რადგან რუსეთის ცარიზმი სულ უფრო და უფრო მჭიდრო კავშირს ჰკრავს გერმანიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების ბურჟუაზიასთან და მთავრობებთან, ამიტომ პოლონელმა პროლეტარიატმა უნდა შეასუსტოს თავისი კავშირი რუს, გერმანელ და სხვა პროლეტარიატთან, რომელთანაც ერთად იგი ახლა იბრძვის ერთი და იმავე ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს სხვა არაფერია, თუ არა პროლეტარიატის უაღრესად სასიცოცხლო ინტერესების მსხვერპლად მიტანა ნაციონალური დამოუკიდებლობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გაგების წინაშე. რუსეთის დაშლა, რისკენაც პოლონეთის სოციალისტურ პარტიას სურს მიისწრაფოდეს, თვითმპყრობელობის დამხობის ჩვენი მიზნისაგან განსხვავებულია, არის და დარჩება ფუჭ ფრაზად, ვიდრე ეკონომიკური განვითარება უფრო მჭიდროდ აკავშირებს ერთი პოლიტიკური მთელის სხვადასხვა ნაწილს, ვიდრე ყველა ქვეყნის ბურჟუაზია უფრო და უფრო ერთსულოვნად ერთიანდება თავისი საერთო მტრის, პროლეტარიატის, წინააღმდეგ და თავისი საერთო მოკავშირის — მეფის სასარგებლოდ. სამაგიეროდ დაშლა პროლეტარიატის ძალებისა, რომელიც ახლა ამ თვითმპყრობელობის უღელქვეშ იტანჯება, წარმოადგენს სამწუხარო სინამდვილეს, წარმოადგენს პოლონეთის სოციალისტური პარტიის შეცდომის პირდაპირ შედეგს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფორმულების წინაშე მისი ქედის მოხრის პირდაპირ შედეგს. თვალი რომ დახუჭოს და პროლეტარიატის ეს დაშლა არ დაინახოს, პოლონეთის სოციალისტური პარტია იძულებული ხდება შოვინიზმამდე დაქვეითდეს, შემდეგნაირად გადმოსცეს, მაგალითად, რუსი სოციალ-დემოკრატების შეხედულებანი: «ჩვენ (პოლონელებმა) უნდა დავუცადოთ სოციალურ რევოლუციას, მანამდე კი მოთმინებით ავიტანოთ ნაციონალური ჩაგვრა». ეს აშკარა სიცრუეა. რუსი სოციალ-დემოკრატები არათუ არასოდეს არ იძლეოდნენ რაიმე ამგვარ რჩევას, არამედ, პირიქით, ისინი თვითონ იბრძვიან და მთელ რუს პროლეტარიატს მოუხმობენ იბრძოლოს რუსეთში ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ, მათ თავის პრო-

გრამაში შეაქვთ არათუ ენის, ეროვნებისა და სხვათა სრული თანასწორუფლებიანობა, არამედ თვითეული ერის იმ უფლებების აღიარებაც, რომ თვითონ განსაზღვროს თავისი ბედი. მაშინ როცა ჩვენ ამ უფლებას ვაღიარებთ და ამავე დროს ნაციონალური დამოუკიდებლობის მოთხოვნისათვის მხარდაჭერას ვუქვემდებარებთ პროლეტარული ბრძოლის ინტერესებს, მხოლოდ შოვინისტს შეუძლია ახსნას ჩვენი პოზიცია რუსის უნდობლობით სხვატომელისადმი, რადგან ნამდვილად ეს პოზიცია აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს შეგნებული პროლეტარის უნდობლობიდან ბურჟუაზიისადმი. პოლონეთის სოციალისტური პარტია საქმეს ისე უყურებს, რომ ნაციონალური საკითხი ამოიწურება დაპირისპირებით: «ჩვენ» (პოლონელები) და «ისინი» (გერმანელები, რუსები და სხვ.). სოციალ-დემოკრატი კი პირველ რიგში აყენებს დაპირისპირებას: «ჩვენ» — პროლეტარები და «ისინი» — ბურჟუაზია. «ჩვენ», პროლეტარებს, მრავალჯერ გვინახავს, თუ როგორ გაუყდია ბურჟუაზიას თავისუფლების, სამშობლოს, ენისა და ერის ინტერესები, როდესაც მის წინაშე რევოლუციური პროლეტარიატი წარმომდგარა. ჩვენ გვინახავს, თუ როგორ მიჰყიდა თავისი თავი პრუსიელებს ფრანგმა ბურჟუაზიამ ფრანგი ერის უაღრესი ჩაგვრისა და დამცირების მომენტში, თუ როგორ გადაიქცა ნაციონალური თავდაცვის მთავრობა ხალხის ღალატის მთავრობად, თუ როგორ მოუხმო დასახმარებლად ჩაგრული ერის ბურჟუაზიამ მჩაგვრელი ერის ჯარისკაცებს თავისი თანამემამულე პროლეტარების დასათრგუნავად, რომლებმაც გაბედეს ძალაუფლებისაკენ გაეწვდინათ ხელი. და აი რატომ არის, რომ ჩვენ ოდნავადაც ვერ შეგვაკრთობენ შოვინისტური და ოპორტუნისტული გამოსვლები და ყოველთვის ვეტყვიტ პოლონელ მუშას: მხოლოდ უაღრესად სრულსა და უაღრესად მჭიდრო კავშირს რუს პროლეტარიატთან შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნები მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლისა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მხოლოდ ასეთი კავშირი შექმნის სრული პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლების გარანტიას.

ის, რაც ჩვენ პოლონეთის საკითხზე ვთქვით, სავსებით მიუდგება ყოველ სხვა ნაციონალურ საკითხსაც. თვითმპყრობელობის წყეულმა ისტორიამ ჩვენ მემკვიდრეობად დაგვი-

ტოვა ამ თვითმპყრობელობის მიერ ჩაგრულ სხვადასხვა ეროვნებათა მუშათა კლასების უდიდესი განკერძოება. ასეთი განკერძოება უდიდესი ბოროტებაა, უდიდესი დაბრკოლებაა თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, და ჩვენ არ უნდა დავაკანონოთ ეს ბოროტება, არ უნდა ვაკურთხოთ ეს უმსგავსობა პარტიული სახის შენარჩუნების ან პარტიული «ფედერაციის» რაიმე «პრინციპებით». რა თქმა უნდა, უფრო მარტივი და უფრო იოლია, რომ ნაკლები წინააღმდეგობის ხაზით იარო, რომ თვითეული მოეწყოს თავის კუთხეში და მისდიოს წესს: «მე ეს არ მეხებაო», როგორც ეს ახლა ბუნდსა² სურს. რაც უფრო მეტად გვაქვს ჩვენ შეგნებული ერთიანობის აუცილებლობა, რაც უფრო მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ შეუძლებელია საერთო შეტევა თვითმპყრობელობაზე, თუ არა გვაქვს სრული ერთიანობა, რაც უფრო მკვეთრად აშკარავდება ბრძოლის ცენტრალიზებული ორგანიზაციის აუცილებლობა ჩვენებური პოლიტიკური წესწყობილების დროს, — მით უფრო ნაკლებად დავჯერდებით ჩვენ საკითხის «მარტივ», მაგრამ მოჩვენებითსა და თავისი არსებით უაღრესად ყალბ გადაწყვეტას. თუ არ არის განკერძოებით გამოწვეული ვნების შეგნება, თუ არ არის სურვილი აუცილებლად და რადიკალურად ბოლო მოედოს ამ განკერძოებას პროლეტარული პარტიის ბანაკში, — მაშინ «ფედერაციის» ლედვის ფოთლებიც არ არის საჭირო, მაშინ ზედმეტიცაა ხელი მოკიდოთ საკითხის გადაწყვეტას, რომელიც, ნამდვილად რომ ითქვას, ერთ «მხარეს» არც სურს გადაწყვიტოს, მაშინ სჯობია ცხოვრების გამოცდილებისა და ნამდვილი მოძრაობის გაკვეთილებს მივანდოთ დაგვარწმუნოს, რომ ცენტრალიზმი აუცილებელია, რათა თვითმპყრობელობის მიერ გასრესილი ყოველი ეროვნების პროლეტარები წარმატებით იბრძოდნენ ამ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ერთიანდება.

დაბეჭდილია 1903 წ.

ვ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 6, გვ. 564—565, 571—576.

(ნაწყვეტი)

... ჩვენ ვეტყვიტ რუს პროლეტარიატს და სპეციალურად გავუმეორებთ ებრაელ პროლეტარიატს, რომ ბუნდის ახლანდელი ბელადები სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომას სჩადიან, რომელსაც, ეჭვი არაა, გამოასწორებს დრო, გამოასწორებს გამოცდილება, გამოასწორებს მოძრაობის ზრდა. ერთ დროს ბუნდი მხარს უჭერდა ეკონომიზმს, ხელს უწყობდა გათიშვას საზღვარგარეთ, იღებდა გადაწყვეტილებას, რომ ეკონომიური ბრძოლა პოლიტიკური აგიტაციის საუკეთესო საშუალებააო. ჩვენ ამის წინააღმდეგ ვილაშქრებდით და ვიბრძოდით. და ბრძოლამ ხელი შეუწყო ძველ შეცდომათა გამოსწორებას, რომელთაგანაც ამჟამად, ალბათ, კვალიც არ არის დარჩენილი. ჩვენ ვიბრძოდით ტერორისტულ გატაცებათა წინააღმდეგ, რომელთაც, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო მალე განვლეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ნაციონალისტური გატაცებანიც გაივლიან. ებრაელი პროლეტარიატი, ბოლოს და ბოლოს, მიხვდება, რომ რუს პროლეტარიატთან ერთად ერთ პარტიაში უმჭიდროეს ერთიანობას მოითხოვს თვით მისი ყველაზე საარსებო ინტერესები, რომ უდიდესი უგუნურებაა წინასწარ გადაწყვეტით — განსხვავებული იქნება თუ არა ებრაელთა ევოლუცია თავისუფალ რუსეთში მათი ევოლუციისაგან თავისუფალ ევროპაში, რომ ბუნდს არ მართებს ებრაელი პროლეტარიატის საქმეებში იმ სრული ავტონომიის მოთხოვნაზე (რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში) უფრო შორს წასვლა, რომელიც სავსებით აღიარებული იყო 1898 წლის ყრილობის მიერ და რომელიც არავის არასოდეს არ უარუყვია.

დაბეჭდილია 1903 წ.

ვ. ი. ლენინი, თბ.,
ტ. 6, გვ. 394—395.

პროექტი რეკოლუციისა ბუნდის აღბილის შესახებ პარტიაში

ბუნდი

იღებს რა მხედველობაში, რომ მეზობელი პროლეტარიატის უაღრესად სრული და უაღრესად მჭიდრო ერთიანობა უთუოდ აუცილებელია როგორც მისი საბოლოო მიზნის რაც შეიძლება მალე მიღწევისათვის, ისე არსებული საზოგადოების ნიადაგზე პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის განუხრებლად წარმოების ინტერესებისათვის;

— რომ კერძოდ ებრაელი და არაებრაელი პროლეტარიატის სრული ერთიანობა განსაკუთრებით აუცილებელია აგრეთვე წარმატებით ბრძოლისათვის ანტისემიტიზმთან, რასობრივი განკერძოებისა და ნაციონალური მტრობის ამ საზიზღარ გაღვივებასთან, რასაც ახდენენ მთავრობა და ექსპლოატატორული კლასები;

— რომ ებრაელი და არაებრაელი პროლეტარიატის ს.-დ. ორგანიზაციების სრულმა შეერთებამ არასგზით და არაფრით არ შეიძლება შეზღუდოს ჩვენი ებრაელი ამხანაგების დამოუკიდებლობა ამა თუ იმ ენაზე პროპაგანდისა და აგიტაციის წარმოებაში, ამა თუ იმ ადგილობრივი ან ნაციონალური მოძრაობის საჭიროებათა შესაბამისი ლიტერატურის გამოცემაში, აგიტაციისა და უშუალო პოლიტიკური ბრძოლის ისეთი ლოზუნგების დაყენებაში, რომლებიც იქნებოდნენ გამოყენება და განვითარება ს.-დ. პროგრამის ზოგადი და ძირითადი დებულებებისა ენის, ნაციონალური კულტურის და სხვათა და სხვათა სრული თანასწორუფლებიანობის და სრული თავისუფლების შესახებ;

— ყრილობა გადაჭრით უარყოფს რუსეთის პარტიის მოწყობის ფედერაციულ პრინციპს და ადასტურებს იმ ორგანიზაციულ პრინციპს, რაც საფუძვლად უდევს 1898 წლის წესდებას, ე. ი. ნაციონალური ს.-დ. ორგანიზაციების ავტონომიას იმ საქმეში, რომლებიც ეხება*...

დაწერილია 1903 წ.

პ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 6, გვ. 582.

* აქ ხელნაწერი წყდება. — რედ.

სიტყვა რსდგპ-ში ზუნდის აღზრდის საკითხზე
1908 წლის 20 ივლისი (2 აგვისტო)

(ნაწყვეტი)

... საქმე ის არის, რომ, პარტიის ბევრი წევრის აზრით, ფედერაცია მ ა ვ ნ ე ბ ე ლ ი ა, ფედერაცია ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატიის პრინციპებს, თუ ეს პრინციპები რუსეთის ახლანდელ სინამდვილეს შევეუფარდეთ. ფედერაცია მ ა ვ ნ ე ბ ე ლ ი ა, რადგან იგი აკანონებს განკერძოებასა და განცალკევებას, პრინციპად, კანონად ხდის მას. ჩვენს შორის მართლაც არსებობს სრული განცალკევება, და ჩვენ კი არ უნდა დავაკანონოთ იგი, კი არ უნდა დავფაროთ ლელვის ფოთლით, არაქედ უნდა ვებრძოლოთ მას, გადაჭრით უნდა ვალიაროთ და განვაცხადოთ, რომ საქირთა მტკიცედ და განუხრელად ვიაროთ უძკიდროესი ერთიანობისაკენ. აი რატომ არის, რომ ჩვენ პრინციპულად, თავიდანვე (ცნობილი ლათინური გამოთქმის თანახმად) უარვყოფთ ფედერაციას, უარვყოფთ ყოველგვარ სავალდებულო ზღუდეებს ჩვენს შორის...

... მართლაც, განა, მაგალითად, ბრძოლა ერების სრული თანასწორუფლებიანობისათვის და მათი თვითგამორკვევის უფლების აღიარებისთვისაც არ შეადგენს მთელი ჩვენი პარტიის ვალდებულებას? მაშასადამე, თუ ჩვენი პარტიის რომელიმე ნაწილი ამ ვალდებულებას არ შეასრულებდა, იგი უეჭველად დასაგმობი იქნებოდა ჩვენი პრინციპების მიხედვით, მისთვის უეჭველად უნდა გაეწორობინათ პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებს. და თუ ეს ვალდებულება შეგნებულად და განზრახ არ იქნებოდა შესრულებული, მისი შესრულების სრული შესაძლებლობის მიუხედავად, მაშინ შეუსრულებლობა და ლ ა ტ ი ი ქ ნ ე ბ ო დ ა.

გ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 6, გვ. 602—605.

პროექტი რეზოლუციისა რსდმ პარტიიდან ბუნდის გასვლის შესახებ

ბუნდის გასვლა

ყრილობა ბუნდის დელეგატთა უარს, რომ დაემორჩილონ ყრილობის უმრავლესობის გადაწყვეტილებას, განიხილავს როგორც ბუნდის გასვლას რსდმ პარტიიდან³.

ყრილობა ღრმა სინანულს გამოთქვამს ამ ნაბიჯის გამო, რომელიც, მისი რწმენით, „ებრაელ მუშათა კავშირის“ ახლანდელ ხელმძღვანელთა დიდი პოლიტიკური შეცდომაა, შეცდომა, რომელიც გარდუვალად მანვე გავლენას მოახდენს ებრაელი პროლეტარიატისა და მუშათა მოძრაობის ინტერესებზე. ყრილობას მიაჩნია, რომ მოსაზრებანი, რომლებითაც ბუნდის დელეგატები ამართლებენ თავიანთ ნაბიჯს, პრაქტიკულად წარმოადგენენ სრულიად უსაფუძვლო შიშს და ეჭვის მიტანას იმაზე, თითქოს რუსი სოციალ-დემოკრატების სოციალ-დემოკრატიული რწმენა არ იყოს გულწრფელი და თანამიმდევრული, ხოლო თეორიულად შედეგია ნაციონალიზმის სავალალო შეღწევისა ბუნდის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში.

ყრილობა გამოთქვამს სურვილს და მტკიცე რწმენას, რომ აუცილებელია რუსეთის ებრაელ და რუს მუშათა მოძრაობის სრული და უაღრესად მჭიდრო ერთიანობა, ერთიანობა არა მარტო პრინციპული, არამედ ორგანიზაციულიც, და ადგენს მიიღოს ყოველი ზომა, რათა ებრაელ პროლეტარიატს დაწვრილებით გააცნონ როგორც ყრილობის ეს რეზოლუცია, ისე საერთოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება ყოველი ეროვნული მოძრაობისადმი.

В. И. Ленин. Полн. собр. соч.,
т. 7, стр. 300.

დაწერილია 1903 წ.

ს ბ ა ტ ი ა «ბუნდის ნაციონალიზმის უკანასკნელი სიტყვა»

(ნაწყვეტი)

გადავიდეთ ახლა იმ პოზიციის არსებითად შეფასებაზე, რომელიც ბუნდმა დაიკავა. რაკი ერთხელ დაადგა ნაციონა-

ლიზმის მოლიპულ გზას, ბუნდი ბუნებრივად და გარდუვალად უნდა მისულიყო (თუ მას არ უნდოდა თავის ძირითად შეცდომაზე ხელი აეღო) განსაკუთრებული ებრაული პარტიის შექმნამდე. სწორედ ამას უახლოვდება უშუალოდ წესდების § 2, რომელიც ბუნდს ანიჭებს ებრაელი პროლეტარიატის წარმომადგენლობის მონოპოლიას. ბუნდი შედის პარტიაში, — ამბობს ეს პარაგრაფი, — როგორც მისი (ებრაელი პროლეტარიატის) ერთადერთი (კურსივი ჩვენია) წარმომადგენელი. ბუნდის საქმიანობა და ბუნდის ორგანიზაცია არავითარი რაიონული ჩარჩოებით არ უნდა იყოს შეზღუდული. ამრიგად, რუსეთის ებრაელი და არაებრაელი პროლეტარიატის სრული განცალკევება და გამიჯვნა აქ არათუ ბოლომდე, უმჯველი თანამიმდევრობით არის გატარებული, არამედ განმტკიცებულია ნოტარული, შეიძლება ითქვას, ხელშეკრულებით, «წესდებით», «ძირითადი» კანონით (იხ. პროექტის § 12). ისეთი «აღმაშფოთებელი» შემთხვევები, როგორიცაა პარტიის ეკატერინოსლავის კომიტეტის კადნიერი მიმართვა ებრაელი მუშებისადმი, ბუნდის გვერდის ავლით (რომელსაც მაშინ ეკატერინოსლავში არავითარი განსაკუთრებული ორგანიზაცია არ გააჩნდა!), ამიერიდან, ახალი პროექტის აზრით, შეუძლებელი უნდა გახდეს. რაც უნდა ცოტანი იყვნენ ამა თუ იმ ადგილას ებრაელი მუშები, რაც უნდა შორს მდებარეობდეს ეს ადგილი ბუნდის ორგანიზაციის ცენტრებიდან, — პარტიის ვერავითარი ნაწილი, პარტიის ცენტრალური კომიტეტიც კი ვერ გაბედავს მიმართოს ებრაელ პროლეტარიატს ბუნდის ცენტრალური კომიტეტის თანხმობის გარეშე! არ გჯერა, რომ შესაძლებელი იყოს ასეთი წინადადების წამოყენება, — იმდენად გასაოცარია მონოპოლიის ეს მოთხოვნა, განსაკუთრებით ჩვენს, რუსეთის, პირობებში, — მაგრამ წესდების პროექტის §§ 2 და 8 (შენიშვ.) არავითარი ეჭვისათვის არ ტოვებენ ადგილს. ბუნდის სურვილი, რომ კიდევ უფრო დაშორდეს რუს ამხანაგებს, გამოსჭვივის არა მარტო პროექტის თვითეულ პუნქტში, იგი გამოხატულია ყრილობის სხვა რეზოლუციებშიც. მეხუთე ყრილობამ დაადგინა, მაგალითად, გამოშვებულ იქნეს თვეში ერთხელ «პოსლედნიე იზვესტია» (ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის გამოცემა) «გაზეთის სახით, რომელშიც გარკვეული იქნებოდა ბუნდის პროგრამული და ტაქტიკური პოზი-

ცია». მოუთმენლად და ინტერესით ველოდებით ამ პოზიციის გამორკვევას. ყრილობამ გააუქმა IV ყრილობის გადაწყვეტილება სამხრეთში მუშაობის შესახებ. როგორც ცნობილია, ბუნდის IV ყრილობამ დაადგინა, სამხრეთის იმ ქალაქებში, სადაც ებრაული ორგანიზაციები პარტიის კომიტეტების შექმნის მიზნით შედიან, «ბუნდის ცალკეული კომიტეტები არ შეიქმნას» (ყურსივი ბუნდისა). ამ გადაწყვეტილების გაუქმება არის შემდგომი განცალკევებისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი, არის პირდაპირი გამოწვევა სამხრეთელი ამხანაგებისა, რომლებიც მუშაობდნენ და რომლებსაც სურდათ ემუშავნათ ებრაელ პროლეტარიატში ისე, რომ კვლავაც განუხრელად დაკავშირებული ყოფილიყვნენ მთელ ადგილობრივ პროლეტარიატთან. «ვინც თქვა ანი, მან ბანიც უნდა თქვას», — ვინც ნაციონალიზმის თვალსაზრისს დაადგა, ის, ბუნებრივია, მოისურვებს ჩინური კედელი შემთავლოს თავის ეროვნებას, თავის ეროვნულ მუშათა მოძრაობას, მას არ აკრთობს ისიც კი, რომ საჭირო გახდება ცალკეული კედლების აგება თვითეულ ქალაქში, დაბაში, სოფელში, არ აკრთობს ისიც კი, რომ განცალკევებისა და დაქუცმაცების ტაქტიკით იგი არაა რად აქცევს ყველა ერის, ყველა რასის, ყველა ენის პროლეტარტა დაახლოებისა და ერთიანობის დიად ცნებას. და რა მწარე ირონიად გაისმის ამის შემდეგ ბუნდის იმავე V ყრილობის რეზოლუცია რბევა-აწიოკების შესახებ, სადაც გამოთქმულია «რწმენა, რომ მხოლოდ ყველა ეროვნების პროლეტარტა ერთობლივი ბრძოლა მოსპობს ძირფესვიანად იმ პირობებს, რომლებიც წარმოშობენ იმის მსგავს მოვლენებს, რაც კიშინიოვში მოხდა» (ყურსივი ჩვენია). რა სიყალბე დაპკრავს ამ სიტყვებს ერთობლივი ბრძოლის შესახებ, როცა ჩვენ აქვე გვთავაზობენ «წესდებას», რომელიც არათუ ერთმანეთს აშორებს ერთად მებრძოლებს, არამედ კიდევ განამტკიცებს ამ დაშორებას და განცალკევებას ორგანიზაციული გზით! რარიგ გინდა ურჩიო ბუნდელ ნაციონალისტებს: ისწავლეთ იმ ოდესელი მუშებისაგან, რომლებიც მიდიოდნენ საერთო გაფიცვაზე, საერთო კრებებზე, საერთო დემონსტრაციებზე ისე, რომ ბუნდის ცენტრალური კომიტეტისაგან წინასწარ არ გამოითხოვდნენ (რა კადნიერება!) ებრაელი ერისადმი მიმართვის «თანხმობას», ამშვიდებდნენ ვაჭრებს

და ეუბნებოდნენ (იხ. «ისკრა», № 45): «ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ, ეს კიშინიოვი როდია, ჩვენ სულ სხვა რამ გვინდა, ჩვენს შორის არ არიან არც ურიები, არც რუსები, ჩვენ ყველანი მუშები ვართ, ჩვენ ყველანი თანაბრად მძიმე მდგომარეობაში ვართო». დაე, ჩაუფიქრდნენ ამ სიტყვებს ბუნდელი ამხანაგები, თუ ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის, დაე, კარგად ჩაუფიქრდნენ იმას, თუ საით მიდიან ისინი!

დაბეჭდილია 1903 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 6, გვ. 644—646.

«წინასიტყვაობა ბროშურისა «პოლიციის დეპარტამენტის ღირეპტორის ლოპუხინის მოხსენებითი ბარათი»

(ნაწყვეტი)

... მოეშვა პოლიციის მექანიზმების ზამბარები, აღარ კმარა მარტო სამხედრო ძალები. საჭირო ხდება ნაციონალური, რასობრივი შუღლის გაღვივება: საჭირო ხდება «შავი რაზმების» მოწყობა ქალაქის (მემდევ კი, ცხადია, აგრეთვე სოფლის) წვრილი ბურჟუაზიის ყველაზე ნაკლებად განვითარებული ფენებისაგან, საჭირო ხდება ტახტის დასაცავად თვით მოსახლეობის მთელი რეაქციული ელემენტების შეკავშირების ცდა, საჭირო ხდება წრეების წინააღმდეგ პოლიციის ბრძოლის გადაქცევა ხალხის ერთი ნაწილის ბრძოლად ხალხის მეორე ნაწილის წინააღმდეგ.

სწორედ ასე იქცევა ახლა მთავრობა, იგი ბაქოში თათრებს ამხედრებს სომხების წინააღმდეგ, ცდილობს გამოიწვიოს ებრაელთა ახალი რბევა, აწყობს შავ რაზმებს ერობის მოღვაწეების, სტუდენტებისა და მოჯანყე გიმნაზიელების წინააღმდეგ, მიძართავს უქვეშევრდომილეს თავადაზნაურებსა და გლეხობის კონსერვატიულ ელემენტებს. რა გაეწყობა! ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, არ გავაკვირვებთ თვითმპყრობელობის ეს ახალი ტაქტიკა და ვერც შეგვაშინებს იგი. ჩვენ ვიცით, რომ რასობრივი შუღლის გაღვივებით მთავრობა ახლა ფონს ველარგავს, როდესაც მუშები შეუდგნენ დამრბევთა შეიარაღებული მოგერიების მოწყობას; ხოლო წვრილი ბურჟუაზიის ექსპლოა-

ტატორულ ფეხებზე დაყრდნობით მთავრობა თავის წინააღმდეგ ააძხედრებს კიდევ უფრო ფართო ნამდვილ პროლეტარულ მასებს. ჩვენ არასოდეს არ მოველოდით და არ მოველით პოლიტიკურ და სოციალურ გადატრიალებას იმით, რომ ძალაუფლების მპყრობელნი «დაეარწმუნოთ», ანდა იმით, რომ განათლებული ადამიანები «სათნოების» მხარეზე გადავიყვანოთ. ჩვენ მუდამ ვასწავლიდით და ვასწავლით, რომ კლასობრივი ბრძოლა, ხალხის ექსპლოატირებული ნაწილის ბრძოლა ექსპლოატატორების წინააღმდეგ საფუძვლად უდევს პოლიტიკურ გარდაქმნებს და საბოლოო ანგარიშით წყვეტს ყველა ასეთი გარდაქმნის ბედს. აღიარებს რა პოლიციური ჩხირკედლობის სრულ კრახს და გადადის რა სამოქალაქო ომის პირდაპირ ორგანიზაციაზე, მთავრობა ამით ამტკიცებს, რომ უკანასკნელი ანგარიშის გასწორება ახლოვდება. მით უკეთესი. იგი სამოქალაქო ომს იწყებს. მით უკეთესი. ჩვენც სამოქალაქო ომის მომხრე ვართ. თუ ჩვენ სადმე განსაკუთრებით იმედიანად ვგრძნობთ თავს, ეს სწორედ ამ ასპარეზზე, ჩაგრული და უუფლებო მშრომელი და მთელი საზოგადოების მარჩენალი მრავალმილიონიანი ხალხის ომში ერთი მუჭა პრივილეგიური მუქთახორების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, რასობრივი შუღლისა და ტომობრივი სიძულვილის გაღვივებით მთავრობამ შეიძლება დროებით შეაფერხოს კლასობრივი ბრძოლის განვითარება, მაგრამ მხოლოდ მოკლე ხნით და ამასთან იმ საფასურით, რომ ახალი ბრძოლის ასპარეზი კიდევ უფრო გაფართოვდება, ხალხი კიდევ უფრო გაბოროტდება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამის დამამტკიცებელია: შედეგები ბაქოს დარბევისა, რომელმაც გაათავისუფლა ფენის რევოლუციური განწყობილება ცარიზმის წინააღმდეგ.

დაბეჭდილია 1905 წ.

პ. ი. ლენინი, თბ., ტ. 8, გვ. 230—232.

გალაშქრება ფინეთის წინააღმდეგ

1910 წლის 17 მარტს სტოლიპინმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა პროექტი «ფინეთის შესახებ საერთო-სახელმწი-

ფოებრივი მნიშვნელობის კანონებისა და დადგენილებების გამოცემის წესზე». ამ კაზიონურ-ბიუროკრატიული სათაურის ქვეშ იმალება თვითმპყრობელობის თავხედური გალაშქრება ფინეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

სტოლიპინის კანონპროექტში ლაპარაკია იმაზე, რომ სახელმწიფო სათათბიროს, სახელმწიფო საბჭოს და ნიკოლოზ II გადასაწყვეტად გადაეცეთ ფინეთის მთელი ის საქმეები, რომლებიც «განეკუთვნება ამ მხარის არა მარტო შინაგან საქმეებს». ფინეთის სეიმს რჩება მხოლოდ «დასკვნების» მიცემა ამ საქმეებზე, ამასთან ეს დასკვნები არავისთვის სავალდებულო არ არის: ფინეთის სეიმი იმპერიისადმი მისი დამოკიდებულების მხრივ ბულიგინის სათათბიროს მდგომარეობაში ვარდება.

ამასთან რა იგულისხმება იმ «კანონებად და დადგენილებებად, რომლებიც განეკუთვნება» ფინეთის «არა მარტო შინაგან საქმეებს»? ჩვენ არ მოგვყავს მთელი სია, რომელსაც სტოლიპინის პროექტში 17 მუხლი უჭირავს, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ აქ შედის ფინეთისა და იმპერიის სხვა ადგილების ურთიერთობაც საბაჟო ხაზით, ფინეთის სისხლის სამართლის კანონების გამონაკლისებიც, სარკინიგზო საქმეც, ფინეთის ფულადი სისტემაც, საჯარო კრებების წესებიც, კანონებიც პრესის შესახებ ფინეთში და სხვ.

ყველა ამგვარი საკითხის გადაცემა შავრაზმულ-ოქტიაბრისტული სათათბიროს გადასაწყვეტად! ფინეთის თავისუფლების სრული გაქარწყლება — აი რას სჩადის თვითმპყრობელობა, რომელიც ვარაუდობს დაეყრდნოს სამი იენისის კონსტიტუციით გაერთიანებული მემამულეებისა და ვაჭართა ზედა ფენების წარმომადგენლებს.

ვარაუდი, რა თქმა უნდა, შეუმცდარია, რამდენადაც ლაპარაკია მხოლოდ იმათზე, ვინც ლეგალიზებულია ამ «კონსტიტუციით»: ორმოცდაათი უკიდურესი მემარჯვენე, ასი ნაციონალისტი და «მემარჯვენე ოქტიაბრისტი», ასოცდახუთი ოქტიაბრისტი — აი ის შავი ლაშქარი, რომელიც უკვე შეკრებილია სათათბიროში და მთავრობის პრესის ხანგრძლივი წასისიანებით მომზადებულია ფინეთის წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ყოველგვარი ღონისძიების გასატარებლად.

ძველი ნაციონალიზმი თვითმპყრობელობისა, რომელიც

ყველა «სხვა ერს» ჩაგრავს, ახლა განმტკიცებულია, ჯერ ერთი, ყველა კონტრრევოლუციური ელემენტის სიძულვილით ხალხისადმი, რომელმაც შესძლო რუსეთის პროლეტარიატის ოქტომბრის ხანმოკლე გამარჯვება გამოეყენებინა იმისათვის, რომ შავრაზმელი ძევის მეზობლად შეექმნა მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია, შეექმნა თავისუფალი პირობები ფინეთის მუშათა მასების ორგანიზაციისათვის, რომელნიც მტკიცედ მხარს უჭერენ სოციალ-დემოკრატიას. ფინეთმა რუსეთის რევოლუცია გამოიყენა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს თავისთვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი განვითარების რამდენიმე წელი. კონტრრევოლუცია რუსეთში ჩქარობს ისარგებლოს სრული დროებითი სიწყნარით «თავის სახლში», რათა რაც შეიძლება მეტი წავლიჯოს ფინეთის მონაპოვართაგან.

ისტორია ფინეთის მაგალითით თითქოს ნათელყოფს, რომ ყბადაღებული «მშვიდობიანი» პროგრესი, რასაც ყველა ფილისტერი თავის ღვთაებად სახავს, სწორედ ისეთი ხანმოკლე, არამტკიცე, ეფემერული გამოჩაქლისია, რომელიც სავსებით ადასტურებს წესს. ეს წესი კი იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ძასებისა და მათ სათავეში მდგომი პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას, მხოლოდ ძლევამოსილ რევოლუციას შეუძლია მტკიცე ცვლილებები მოახდინოს ხალხთა ცხოვრებაში, შეუძლია სერიოზულად გამოუთხაროს ძირი შუასაუკუნეობრიობის ბატონობას და კაპიტალიზმის ნახევრად-აზიურ ფორმებს.

ფინეთმა მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად, როცა რუსეთის მუშათა კლასი უზარმაზარ მასად აღსდგა და რუსეთის თვითმპყრობელობა შეანჯღრია. და მხოლოდ რუსეთში ძასების რევოლუციურ ბრძოლასთან შეერთებით შეუძლია ახლა ფინელ მუშას ეძიოს შავრაზმელ ბაშიბუზუკთა შემოსევისაგან განთავისუფლების გზა.

ფინეთის ბურჟუაზიამ თავისი კონტრრევოლუციური თვისებები გამოამჟღავნა ამ მშვიდობიან ქვეყანაშიც კი, რომელმაც რევოლუცია ჩაატარა რუსეთის ოქტომბრის დღეების ხარჯზე, რომელმაც თავისუფლება დაიცვა რუსეთში დეკემბრის ბრძოლისა და ორი ოპოზიციური სათათბიროს ზურგს უკან ამოფარებულმა. ფინეთის ბურჟუაზია დევნიდა ფინელ

მუშათა წითელ გვარდიას და მათ ბრალად სდებდა რევოლუციონიზმს; ის ყველაფერს აკეთებდა, რის გაკეთებაც კი შეეძლო, რათა შეეფერხებინა სოციალისტური ორგანიზაციების სრული თავისუფლება ფინეთში; ის ფიქრობდა ცარიზმისათვის სამსახურის გაწევით (მაგალითად, პოლიტიკურთა გაცემა 1907 წელს) გადაერჩინა თავი მისი ძალადობისაგან; ის თავისი ქვეყნის სოციალისტებს ბრალად სდებდა იმას, რომ ისინი გარყვნიეს რუსეთის სოციალისტებმა, რომლებმაც მათ თავიანთი რევოლუციურობა გადასდეს.

ახლა ფინეთის ბურჟუაზიასაც შეუძლია დაინახოს, თუ რას იწვევს დათმობების, მამებლობის, «გულის მოგების» პოლიტიკა, სოციალიზმისადმი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ლაღატის პოლიტიკა. სოციალისტურად გაწვრთნილი და სოციალისტთა მიერ შეკავშირებული მასების ბრძოლის გარეშე ფინელი ხალხი თავისი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ ჰპოვებს; პროლეტარული რევოლუციის გარეშე არ არსებობს საშუალება ნიკოლოზ მეორისთვის საკადრისი პასუხის გასაცემად.

ძველი ნაციონალიზმის, როგორც ჩვენებური თვითმპყრობელობის პოლიტიკის, მეორე განმამტკიცებელი იყო ჩვენი, რუსეთის ბურჟუაზიის კლასობრივი შეგნებისა და შეგნებული კონტრრევოლუციურობის ზრდა. ამ ბურჟუაზიაში შოვინიზმი აღმოცენდა პროლეტარიატის, როგორც საერთაშორისო ძალის, მიმართ სიძულვილის ზრდასთან ერთად. მასში შოვინიზმი ძლიერდებოდა საერთაშორისო კაპიტალის კონკურენციის ზრდისა და გამწვავების პარალელურად. შოვინიზმი წარმოიძვა, როგორც რევანში იაპონელებთან ომში დამარცხებისათვის, პრივილეგიებულ მემამულეთა წინააღმდეგ უძლურებისათვის. შოვინიზმმა მხარდაჭერა ჰპოვა იმ ჭეშმარიტი რუსი მრეწველისა და ვაჭრის მადაში, რომელიც მოხარულია «დაიპყროს» ფინეთი, თუ კი არ მოხერხდა მსუქანი ნაჭრის წაგლეჯა ბალკანეთში. ამიტომ მემამულეებისა და უმსხვილესი ბურჟუაზიის წარმომადგენლობის დარაზმვა ცარიზმს სძენს ერთგულ მოკავშირეებს თავისუფალ ფინეთთან ანგარიშის გასასწორებლად.

მაგრამ თუ გაფართოვდა კონტრრევოლუციური «ოპერაციების» ბაზა თავისუფალი განაპირა მხარის მიმართ, გაფართოვდა ამ ოპერაციებისადმი წინააღმდეგობის გაწე-

ვის ბაზაც. თუ მარტოოდენ ბიუროკრატიისა და ერთი მუქა-ბობოლების ნაცვლად ჩვენ ფინეთის მტრების მხარეზე ვხედავთ მესამე სათათბიროს. წარმომადგენლობის სახით შეკავშირებულ შემაძულე თავადაზნაურობასა და უმდიდრეს ვაჭრებს, სამაგიეროდ მისი მეგობრების მხარეზე ჩვენ გვყავს მთელი ის მილიონობით მასები, რომლებმაც შექმნეს 1905 წ. ძოძრობა, რომლებმაც წამოაყენეს როგორც I, ისე II სათათბიროს რევოლუციური ფრთა, და რაოდენ დიდიც უნდა იყოს ახლანდელ მომენტში პოლიტიკური სიწყინარე, ეს მასები ძაინც ცოცხლობენ და იზრდებიან, მიუხედავად ყოველივესი. იზრდება ახალი შურისმაძიებელიც რუსეთის რევოლუციის ახალი დამარცხებისათვის, რადგან ფინეთის თავისუფლების დამარცხება რუსეთის რევოლუციის დამარცხებაა.

ჩვენებური, რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის სილაჩრე და გაუბედაობა ახლა—კვლავ და კვლავ—აგრეთვე მზის სინათლეზე გამოდის. კადეტები, რა თქმა უნდა, ფინეთზე გალაშქრების წინააღმდეგნი არიან. ისინი, რა თქმა უნდა, ხმას მისცემენ არა ოქტიაბრისტებთან ერთად. მაგრამ განა კადეტებმა არ გააკეთეს ყველაზე მეტი იმ უშუალო რევოლუციური ბრძოლისადმი, ოქტომბერ-დეკემბრის იმ «ტაქტიკისადმი» თანაგრძნობის ძირგამოსათხრელად „საზოგადოებაში», რომელმაც სწორედ ერთადერთმა გახადა შესაძლებელი ფინეთის თავისუფლების წარმოშობა? — შესაძლებლობა მისცა მას გაეძლო აი უკვე 4 წელზე მეტია? განა კადეტებმა არ გააერთიანეს რუსეთის ბურჟუაზიული ინტელიგენცია ასეთ ბრძოლასა და ასეთ ტაქტიკაზე ხელის ასაღებად? განა კადეტები წელებზე ფეხს არ იდგამდნენ იმისათვის, რომ ამაღლებინათ ნაციონალისტური გრძნობები და სულიერი განწყობილება რუსეთის მთელ განათლებულ «საზოგადოებაში»?

რარიგ გამართლდა სოციალ-დემოკრატიული რეზოლუციის (1908 წ. დეკემბერი) ის სიტყვები, რომ თავიანთი ნაციონალისტური აგიტაციით კადეტები საქმით სამსახურს უწევენ სწორედ ცარიზმს და სხვას არავისო! ის «ოპოზიცია», რომლის შექმნაც კადეტებს თვითმპყრობელობის მიმართ უნდოდათ ბალკანეთში რუსეთის დიპლომატიურ დამარცხებათა გამო, — აღმოჩნდა, — როგორც მოსალოდნელიც იყო, —

უბადრუკი, უპრინციპო, მონური ოპოზიცია, რომელიც შავ-
რაზმელებს ეფარისეველებოდა, შავრაზმელთა მადას,
აძლიერებდა, შავრაზმელ მეფეს ტუქსავდა იმისათ-
ვის, რომ იგი, შავრაზმელი მეფე, არასაკმაოდ ძლიერია.

ჰოდა, აი, მოიმკეთ ახლა, ბატონო «ჰუმანურო» კადეტებო,
ის, რაც დათესეთ. თქვენ დაუმტკიცეთ ცარიზმს, რომ ის სუს-
ტია «ნაციონალური» ამოცანების დაცვაში: ცარიზმი გიჩვენ-
ნებთ ახლა თქვენ თავის ძალას სხვა ერების ნაციონა-
ლისტურ დევნაში. თქვენს ნაციონალიზმში, ნეოსლავიზმში
და სხვა — იყო ანგარებითი, ვიწრო-კლასობრივი ბურჟუაზიუ-
ლი დედაარსი და წკრიალა ლიბერალური ფრაზა. ფრაზა ფრა-
ზადვე დარჩა, დედაარსმა კი სარგებლობა მოუტანა
თვითმპყრობელობის კაცთმოძულე პოლიტიკას.

ლიბერალური ფრაზების შედეგი მუდამ ასეთი იყო და
მუდამ ასეთივე იქნება. ისინი მხოლოდ აფერადებენ ბურ-
ჟუაზიის ვიწრო ანგარებასა და უხეშ ძალადობას; ისინი მხო-
ლოდ ხელოვნური ყვავილებით ამკობენ ხალხის ბორკილებს;
ისინი მხოლოდ აბრუებენ ხალხის შეგნებას და ხელს უშ-
ლიან ხალხს მისი ნამდვილი მტრის გამოცნობაში.

მაგრამ მეფის პოლიტიკის თვითეული ნაბიჯი, მესამე სა-
თათბიროს არსებობის ყოველი თვე სულ უფრო და უფრო ულ-
მობლად აქარწყლებს ლიბერალურ ილუზიებს, სულ უფრო
და უფრო ააშკარავებს ლიბერალიზმის უძლურებასა და სიდამ-
პლეს, სულ უფრო და უფრო ფართოდ და უხვად აბნევს პრო-
ლეტარიატის ახალი რევოლუციის თესლს.

მოვა დრო — ფინეთის თავისუფლებისათვის, რუსეთში
დემოკრატიული რესპუბლიკისათვის აღსდგება რუსეთის პრო-
ლეტარიატი.

დაბეჭდილია 1910 წ.

მ. ი. ლენინი, თბ.,
ტ. 16, გვ. 208—213.

ს ტ ა ტ ი ა «აზარტული თამაში»

(ნაწივეტი)

«ნოვოე ვრემია» სავსებით ამჟღავნებს რუს ნაციონალისტ-
თა გეგმებს. როცა კითხულობ ამ გაზეთს, რომელიც «გავლე-

ნიანია» ამ წრეებში, აგრეთვე ოქტიაბრისტებში, აშკარა ხდება, რომ ისინი მტკიცედ ატარებენ თურქეთის გაძარცვის გეგმას.

როგორც სჩვევიათ, შოვინიზმისა და სხვისი მიწების ხელში ჩაგდების პოლიტიკას ეწევიან უწინარეს ყოვლისა ავსტრიაზე ზალზის წასისიანების საშუალებით...

ავსტრიამ ჩამოგლიჯა ნაჭერი (ბოსნია და ჰერცეგოვინა), იტალიამ ჩამოგლიჯა ნაჭერი (ტრიპოლი), ახლა ჩვენი ჯერია ხელი მოვითხოთ — აი «ნოვოე ვრემიას» პოლიტიკა. «დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წმიდა ბრძოლა» მხოლოდ ფრაზაა მიამიტების მოსატყუებლად, ვინაიდან თვით ჩვენში, რუსეთში, არავის ისე არ გაუთელავს ფეხქვეშ ყველა ხალხთა ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის ნამდვილად დემოკრატიული პრინციპები, როგორც ნაციონალისტებსა და ოქტიაბრისტებს.

მაშ რატომ მიაჩნიათ ნაციონალისტებს, რომ მომენტი ხელსაყრელია ძარცვის პოლიტიკისათვის? ესეც ნათლად ჩანს «ნოვოე ვრემიადან». იტალია არ იომებს, ავსტრიისათვის სახიფათოა დაწყოს ომი ბალკანეთის სლავების წინააღმდეგ, როცა მათი მონათესავე მრავალმილიონიანი მოსახლეობა ჰყავს, ხოლო გერმანია თურქეთის განადგურების გამო ევროპის ომს არ გააჩაღებსო.

ნაციონალისტთა ვარაუდი უკიდურესად აშკარა და უსირცხვილოა. ისინი მაღალფარდოვან სიტყვებს ამბობენ ხალხთა «დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წმიდა ბრძოლაზე», თვითონ კი სრულიად გულგრილად სათამაშოდ ხდიან მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს, სასაკლაოსაკენ ერეკებიან ხალხებს იმისათვის, რომ ერთმა მუჭა ვაჭარ-მრეწველებმა მოგება მიიღონ.

დაბეჭდილია 1912 წ.

ვ. ი. ლენინი, თბ.,
ტ. 18, გვ. 407—408.

(ნაწყვეტი)

მეფე ნიკოლოზ პირსისხლიანს, რომელმაც გარეკა I და II სათათბირო, სისხლით მორწყა რუსეთი, დაიმონა პოლონეთი და ფინეთი, თავზეხელაღებულ შავრაზმელებთან კავშირით ახორციელებს ებრაელთა და ყველა «არარუსთა» დათრგუნვის პოლიტიკას, მეფეს, რომლის ერთგული მეგობრები ხვრეტდნენ მუშებს ლენაზე და აჩანაგებდნენ გლეხებს, მიჰყავდათ რა ისინი 'შიმშილობამდე მთელ რუსეთში, — ამ მეფეს თავი მოაქვს სლავთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველად!

რუსმა ხალხმა ზოგი რამ ისწავლა 1877 წლიდან და ახლა იცის, რომ ყოველგვარ თურქზე უარესი არიან ჩვენი «შინაური თურქები» — მეფე და მისი მსახურნი.

მაგრამ შემამულენი და ბურჟუაზია, ნაციონალისტები და ოქტიაბრისტები რაც ძალი და ღონე აქვთ მხარს უჭერენ ამ საზიზღარ, პროვოკატორულ სიცრუეს თავისუფლებისმოყვარე ცარიზმის შესახებ. ისეთი გაზეთები, როგორიცაა «გოლოს მოსკვი» და «ნოვოე ვრემია», მთავრობის გაზეთების მთელი არმიის სათავეში მყოფნი, უნამუსოდ თავს ესხმიან და უსისიანებენ ავსტრიას. ვითომდა რუსეთის ცარიზმი არ ყოფილიყოს ასჯერ შეტად მოსვრილი სისხლითა და ლაფით, ვიდრე ჰაბსბურგთა მონარქია!

და არა მარტო მემარჯვენე პარტიები, ოპოზიციური, ლიბერალური ბურჟუაზიაც კი ძალ-ღონის დაუზოგავად ეწევა 'შოვინისტურ, იმპერიალისტურ პროპაგანდას, რომელიც ოდნავ შეუნიღბავთ დიპლომატიური, მიკიბულ-მოკიბული და ფარისევლური ფრაზებით. არა მარტო ლიბერალურ-უპარტიო «რუსკოე სლოვო», არამედ «კონსტიტუციურ დემოკრატიას» (სინამდვილეში კი კონტრარევოლუციურ ლიბერალთა) პარტიის ოფიციალური ორგანო «რეჩიც» კი მონდომებით თავს ესხმის მეფის მინისტრს საზონოვს მისი ვითომდა «დამყოლობის», ავსტრიისათვის «დათმობის» გამო, რუსეთის «დიდ-მპყრობელური» ინტერესების არასაკმაო «დაცვის» გამო. კადეტები ყველაზე თავზეხელაღებულ ნაციონალისტ რეაქციო-

ნერებს ბრალს სდებენ არა მათი იმპერიალიზმის გამო, არამედ, პირიქით, იმის გამო, რომ მათ შეასუსტეს ცარიზმის მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის «ღიაღი» იდეის გავლენა და მნიშვნელობა!!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მთელი მშრომელი მასების საარსებო ინტერესების დასაცავად, გადაჭრით აცხადებს პროტესტს ამ საზიზღარი შოვინიზმის წინააღმდეგ და გმობს მას, როგორც თავისუფლების საქმის ღალატს.

გ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 41, გვ. 284—285.

დაწერილია 1912 წ.

კადეტები და ნაციონალისტები

როცა ჩვენ აღვნიშნავდით, რომ კადეტები¹ თავიანთი ძირითადი შეხედულებებით ნაციონალ-ლიბერალები არიან, რომ ისინი სრულიად არა დემოკრატიულად აყენებენ ეროვნულ საკითხს, «რეჩი» მწყრაღად და ქედმაღლურად გვიპასუხებდა, ბრალს გვდებდა უცოდინარობასა და დამახინჯებებში.

აი დოკუმენტი, მრავალთაგან ერთი. დაე განსაჯონ მკითხველებმა და ამომრჩევლებმა.

18 ოქტომბერს ბ-ნ მ. მ. კოვალევსკისთან «სლავთა საკითხით დაინტერესებული პირების წრის» მეორე კრება იყო. წაიკითხეს საზოგადოებისადმი მიმართვა, რომელსაც ხელს აწერენ ე. ანიჩკოვი, კარეევი, ლ. პანტელეევი (კანდიდატად იყო კ.-დ-ებისაგან), გ. ფალბორკი, შემდეგ, რასაკვირველია, ბ-ნი მ. მ. კოვალევსკი და სხვ.

ჩომ არ მოისურვებს «რეჩი» თავი დაიძვრინოს კარეევის, პანტელეევისა და კომპანიისათვის პასუხისმგებლობისაგან?

ლიბერალთა მიძარტვა საზოგადოებისადმი იმაში მდგომარეობს, რომ:

«რუსის გული ხაერთო აღმავლობაში... ძვერს სლავებისადმი თანაგრძნობით და ამ შემდეგით, რომ რუსული ეროვნული თვითშეგნება ხელს შეუწყობს მათ მიერ თავიანთ გამარჯვებათა ნაყოფის შენარჩუნებას».

რით განსხვავდება ეს «ნოვოე ვრემიასა» და კომპანიის

ნაციონალიზმისა და შოვინიზმისაგან? მხოლოდ თეთრი ხელ-
ათამანებით და უფრო დიპლომატიური ფრთხილი გამო-
თქმებით. მაგრამ შოვინიზმი თეთრი ხელათამანებითა და უაღ-
რესად დახვეწილი გამოთქმებითაც საზიზღარია.

დემოკრატია არასოდეს არ ილაპარაკებს «საერთო აღმავ-
ლობაზე», როცა იქვე გვერდით (და ზევით!) დგანან რუსი ნა-
ციონალისტები, რომლებიც ყოველნაირად ჩაგრავენ მთელ
რიგ ხალხებს.

დემოკრატია არასოდეს არ მოითმენს, რომ საერთოდ სლა-
ვი დაუპირდაპირონ თურქს, როცა საჭიროა სლავი და თურქი
გლეხების ერთად დაპირდაპირება სლავი და თურქი მემა-
მულეებისა და ბაშიბუზუეებისადმი.

დემოკრატია არასოდეს არ დაუშვებს, რომ ყველა
ეროვნებაში თავისუფლების მომხრეთა და ჩაგვრის მტერთა
თვითშეგნება შეცვლილ იქნეს «რუსული ეროვნული
თვითშეგნებით», — როცა ჩაგრავენ და დევნიან პოლონელებს,
ებრაელებს, საერთოდ «სხვა მოდგმის ხალხებს».

არც ერთმა პატიოსანმა დემოკრატმა, ჩაგრულ ეროვნება-
თა არც ერთმა გულწრფელმა მომხრემ, არ უნდა მისცეს ხმა
კადეტებს!

დაბეჭდილია 1912 წ.

ვ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 18, გვ. 446—447.

ს ტ ა ტ ი ა «სათათხიროზი მუზა დეკუტატებისა და მათი დეკლარაციის საკითხისათვის»

(ნაწყვეტი)

ყოველგვარი შოვინიზმი და ნაციონალიზმი უღმობელ მტერს
პოვებს ს.-დ. ფრაქციაში, მთავრობის უხეში, მხეცური ნაციო-
ნალიზმი იქნება ეს, რომელიც ჩაგრავენ და ახშობს ფინეთს,
პოლონეთს, უკრაინას, ებრაელებს და ყველა არაველიკორუს
ხალხს, — თუ ეს იქნება ფარისევლურად დაფარული, დახვე-
წილი ნაციონალიზმი ლიბერალებისა და კადეტებისა, რომ-
ლებიც მზად არიან ილაყბონ რუსეთის დიდმპყრობელურ ამო-
ცანებზე და სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებაზე სხვისი მი-
წების საძარცვავად.

დაწერილია 1912 წ.

ვ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 18, გვ. 510.

ს ტ ა ტ ი ა «ბალკანეთის ომი და ბურჟუაზიული შოვინიზმი»

(ნაწყვეტი)

რა არის ისტორიული მიზეზი იმისა, რომ ბალკანეთის საარსებო საკითხებს სწყვეტდა ბურჟუაზიული და დინასტიური ინტერესებით გამოწვეული ომი? მთავარი მიზეზია — ბალკანეთის პროლეტარიატის სისუსტე და შემდეგ ევროპის ძლიერი ბურჟუაზიის რეაქციული გავლენა და ზემოქმედება. ევროპის ბურჟუაზიას ეძინია ნამდვილი თავისუფლებისა თავის ქვეყანაშიც და ბალკანეთშიც, იგი ესწრაფვის მხოლოდ მოგებას სხვის ხარჯზე, იგი აღვივებს შოვინიზმს და ნაციონალურ შუღლს, რათა გაიადვილოს ძარცვა-გლეჯის პოლიტიკა, ბალკანეთის დაჩაგრულ კლასებს კი გაუძნელოს თავისუფალი განვითარება.

რუსული შოვინიზმი ბალკანეთის ამბების გამო არა ნაკლებ საზიზღარია, ვიდრე ევროპული. ხოლო კადეტების ლიბერალური ფრაზებით დაფარული, შელამაზებული, შეფერადებული შოვინიზმი კიდევ უფრო საზიზღარი და მავნებელია, ვიდრე შავრაზმული გაზეთების ტლანქი შოვინიზმი. ეს გაზეთები აშკარად ესმიან თავს ავსტრიას, — ევროპის ამ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში ერებს უზრუნველყოფილი აქვთ (შეგნიშნავთ ფრჩხილებში) შეუდარებლად უფრო მეტი თავისუფლება, ვიდრე რუსეთში. კადეტური «რეჩი» კი ადრიანოპოლის აღების გამო წერდა: «ახალი გარემოება სრულ შესაძლებლობას აძლევს რუსეთის დიპლომატიას უფრო მტკიცე იყოს...».

კარგი «დემოკრატები» კი არიან ისინი, ვინც თავს ისე აჩვენებს, თითქოს არ ესმოდეს, რომ აქ ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ შოვინისტური მიზნების მიღწევის სიმტკიცეზე! გასაკვირველი არ არის, რომ 14 მარტს როძიანკოს მიერ გამართულ სადილზე მეგობრულად შეიყარნენ მილიუკოვი და ეფრემოვი, გუჩკოვი, ბენიგსენი, კრუპენსკი და ბალაშოვი. ნაციონალისტები, ოქტიანოვები, კადეტები, — ეს მხოლოდ სხვადასხვა ელფერია საზიზღარი, თავისუფლებისადმი მუდამ მტრული, ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და შოვინიზმისა!

დაბეჭდილია 1913 წ.

ვ. ი. ლენინი, თბ.,
ტ. 19, გვ. 22—23.

ვეხელევი და ნაციონალიზმი

(პილიოგრაფიული შენიშვნა)

მოსაწყენი ჟურნალია «რუსკაია მისლ». მხოლოდ ერთი რამაა საინტერესო ამ ჟურნალში. აქ წერენ ლიბერალი-«ვეხელევი», თანამშრომლები და მომხრეები ცნობილი რენეგატული წიგნისა «ვეხი»⁷, სადაც თავისუფლების გუშინდელი მომხრეები ლაფსა და ტალახს ასხამდნენ მასების ბრძოლას თავისუფლებისათვის, ამასთან მუშათა და გლეხთა დემოკრატიული მასები წარმოდგენილი ჰყავდათ ჯოგად, რომელსაც წინ მიუძღვის «ინტელიგენცია», — ეს ყველა შავრაზმელის გაცვეთილი ხერხია.

რუსეთის ლიბერალური «განათლებული საზოგადოების» შებრუნება რევოლუციის წინააღმდეგ, დემოკრატიის წინააღმდეგ, შემთხვევითი კი არა, არამედ გარდუვალი მოვლენა არის 1905 წლის შემდეგ. ბურჟუაზიას შეეშინდა მუშების დამოუკიდებლობისა და გლეხების გამოღვიძებისა. ბურჟუაზიამ, შეტადრე ყველაზე მდიდარმა, ექსპლოატატორის მდგომარეობის შესანარჩუნებლად გადაწყვიტა: უმჯობესია რეაქცია, ვიდრე რევოლუციაო.

ფულის ქისის ამ ანგარებიანმა კლასობრივმა ინტერესებმა წარმოშვეს სწორედ ფართო და ღრმა კონტრრევოლუციური მიმდინარეობა ლიბერალიზმში, დემოკრატიის საწინააღმდეგო მიმდინარეობა, ყოველგვარი იმპერიალიზმის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, და ყოველგვარი ბნელეთის მოციქულობის დასაცავად.

შევგნებულ მუშებს ვერ გააკვირვებს ლიბერალების ეს განდგომა, რენეგატობა, ვინაიდან მუშები მაინცდამაინც კარგი აზრისა ლიბერალებზე არასდროს არ ყოფილან. მაგრამ სასარგებლოა თვალყური ვადევნოთ იმას, თუ რას ქადაგებენ რენეგატი ლიბერალები, რა იდეების ამარა სურთ მათ ებრძოლონ საერთოდ დემოკრაციას, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრაციას.

⁷ რუსეთის ინტელიგენტური საზოგადოება — წერს «რუსკაია მისლში» ბ-ნი იზოვეი — დარწმუნებული იყო, ხოლო მისი მასა ახლაც დარწმუნე-

ბულია, რომ ევროპის სინამდვილის ძირითადი საკითხია პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ სოციალიზმისათვის...».

ბ-ნი იზგოვევი ამ აზრს უწოდებს «წინასწარ აკვიატებულსა და უძართველს» და აღნიშნავს, თუ როგორ იქმნება და იზრდება გერმანიის პოლონელებში, ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის პოლონელების ბრძოლაში გერმანელებთან ახალი საშუალო წოდება, «დემოკრატიული საშუალო კლასი».

როცა იზგოვევი «ინტელიგენტებზე» ლაპარაკობს, მას სინამდვილეში მხედველობაში ჰყავს სოციალისტები და დემოკრატები. ლიბერალს არ მოსწონს, რომ ძირითად საკითხად თვლიან პროლეტარიატის ბრძოლას ბურჟუაზიასთან. ლიბერალები ცდილობენ გაადვივონ და გაბერონ ნაციონალური ბრძოლა, რათა ამით ყურადღება აარიდონ დემოკრატისა და სოციალიზმის სერიოზულ საკითხებს.

სინამდვილეში «ევროპის ცხოვრების საკითხთა» შორის სოციალიზმს პირველი ადგილი უკავია, ხოლო ნაციონალურ ბრძოლას — მე-9, ამასთან ეს ბრძოლა მით უფრო სუსტი და უწყინარია, რაც უფრო თანამიმდევრად არის გატარებული დემოკრატიზმი. სასაცილოც კია, რომ პროლეტარიატის ბრძოლა სოციალიზმისათვის, მსოფლიო მოვლენა, შევადაროთ აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი დაჩაგრული ერის ბრძოლას ძისი მჩაგვრელი რეაქციული ბურჟუაზიის წინააღმდეგ (ამასთან პოლონეთის ბურჟუაზია აქ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში სიამოვნებით უერთდება გერმანიის ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ).

დაბეჭდილია 1913 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 19, გვ. 63—65.

მუშათა კლასი და ნაციონალური საკითხი

რუსეთი ეროვნულად ჭრელი ქვეყანაა. მთავრობის პოლიტიკა, პოლიტიკა მემამულეებისა, რომელთაც მხარს უჭერს ბურჟუაზია, თავიდან ბოლომდე შავრაზმული ნაციონალიზმითაა გაყენებული.

ამ პოლიტიკის მახვილი მიმართულია რუსეთის იმ ხალხთა

უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელნიც მისი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. ხოლო ამასთან ერთად თავს იჩენს სხვა ერთა (პოლონელი, ებრაელი, უკრაინელი, ქართველი და სხვ. ერის) ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, ცდილობს რა ნაციონალური ბრძოლით ან ნაციონალური კულტურისათვის ბრძოლით ჩამოაშოროს მუშათა კლასი მის დიდ მსოფლიო ამოცანებს.

ნაციონალური საკითხი ყველა შეგნებული მუშის მხრივ მოითხოვს ნათლად დაყენებას და გადაწყვეტას.

როდესაც ბურჟუაზია თავისუფლებისათვის იბრძოდა ხალხთან ერთად, მშრომელებთან ერთად, იგი იცავდა ერთა სრულ თავისუფლებას და სრულ თანასწორუფლებიანობას. მოწინავე ქვეყნები, შვეიცარია, ბელგია, ნორვეგია და სხვ., იძლევიან იმის მაგალითს, თუ ნამდვილი დემოკრატიული წყობილების დროს როგორ მშვიდობიანად ეთვისებიან ან მშვიდობიანად გამოეყოფიან ერთმანეთს თავისუფალი ერები.

ახლა ბურჟუაზიას ეშინია მუშებისა, ის ეძებს კავშირს პურიძვევიჩებთან, რეაქციასთან, ღალატობს დემოკრატიზმს, იცავს ერთა ჩაგვრას ან არათანასწორუფლებიანობას, ნაციონალისტური ლოზუნგებით რყვნის მუშებს.

ჩვენს დროში მხოლოდ პროლეტარიატი იცავს ერთა ნამდვილ თავისუფლებას და ყველა ერის მუშებას ერთიანობას.

სხვადასხვა ერი რომ თავისუფლად და მშვიდობიანად ეთვისებოდეს ან გამოეყოფოდეს ერთმანეთს (როდესაც ეს მათთვის უფრო მოსახერხებელია) და ქმნიდეს სხვადასხვა სახელმწიფოს, ამისთვის საჭიროა სრული დემოკრატიზმი, რასაც მუშათა კლასი იცავს. არც ერთი პრივილეგია არც ერთი ერისათვის, არც ერთი ენისათვის! არავითარი შევიწროება, არავითარი უსამართლობა ეროვნული უმცირესობის მიმართ! — აი მუშათა დემოკრატიის პრინციპები.

კაპიტალისტები და მემამულეები ყოველნაირი საშუალებით ცდილობენ გათიშონ სხვადასხვა ერის მუშები, ხოლო ძლიერნი ამა ქვეყნისანი საუცხოოდ ეთვისებიან ერთმანეთს, როგორც «შემოსავლიან», მილიონიან (ლენის მადნების მსგავს) «საქმეთა» აქციონერები — მართმადიდებელნიც და ებრაელებიც, რუსებიცა და გერმანელებიც, პოლონელებიცა და უკრა-

ინფორმაციის, ყველანი, ვისაც კი კაპიტალი აქვს, ერთსულოვნად უწევენ ექსპლოატაციას ყველა ერის მუშებს.

შეგნებული მუშები იცავენ ყველა ერის მუშების სრულ ერთიანობას ყველა და ყოველგვარ საგანმანათლებლო, პროფესიულ, პოლიტიკურ და სხვ. მუშათა ორგანიზაციებში. დაე ბატონმა კადეტებმა შეირცხვინონ თავი უკრაინელთა თანასწორუფლებიანობის უარყოფით ან დამცირებით. დაე ყველა ერის ბურჟუაზიამ გაირთოს თავი ყალბი ფრაზებით ნაციონალური კულტურის, ნაციონალური ამოცანების შესახებ და სხვ. და ა. შ.

მუშები თავს არავის გაათიშვინებენ არავითარი მოთაფლული სიტყვებით ნაციონალური კულტურის ან «ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის» შესახებ. ყველა ერის მუშები ერთსულოვნად, ერთად, საერთო ორგანიზაციებში იცავენ სრულ თავისუფლებასა და სრულ თანასწორუფლებიანობას — ნამდვილი კულტურის საწინდარს.

მუშები მთელ მსოფლიოში ქმნიან თავიანთ, ინტერნაციონალურ კულტურას, რომელსაც დიდი ხანია ამზადებდნენ თავისუფლების მქადაგებელნი და ჩაგვრის მტრები. ძველ სამყაროს, ეროვნული ჩაგვრის, ეროვნული შუღლისა ან ეროვნული განკერძოების სამყაროს მუშები უპირისპირებენ ყველა ერის მშრომელთა ერთიანობის სამყაროს, სადაც არ იქნება არავითარი პრივილეგია, ადამიანის მიერ ადამიანის არავითარი ჩაგვრა.

დაბეჭდილია 1913 წ.

ვ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 19, გვ. 87—89.

პლატფორმის პროექტი ლაბკინის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობისათვის*

(ნაწყვეტი)

ნაციონალური საკითხი

ეს საკითხი ზოგადპრინციპული დაყენებითაც სოციალიზმის თვალსაზრისით, პრაქტიკულ-ორგანიზაციულადაც (ჩვენი საკუთარი პარტიის მშენებლობა) აუცილებლად საჭიროა განი-

ხილოს და გადაწყვეტოს ყველა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ.

ლიკვიდატორთა 1912 წლის აგვისტოს კონფერენციამ — თვით ნეიტრალური მენშევიკის პლეხანოვის ალიარებითაც კი — დაარღვია რსდმ პარტიის პროგრამა «ნაციონალიზმთან სოციალიზმის შეგუების» მიმართულებით.

მართლაც, ამ კონფერენციამ, ბუნდელების წინადადებით, შესაწყნარებლად აღიარა «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ლოზუნგი, მიუხედავად პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებისა.

ეს ლოზუნგი (რომელსაც რუსეთში ებრაული ნაციონალიზმის ყველა ბურჟუაზიული პარტია იცავს) ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალიზმს. როგორც დემოკრატები, ჩვენ უეჭველად ვებრძვით რომელიმე ეროვნების ყოველგვარ, თუნდაც სულ მცირეოდენ, ჩაგვრას, ამა თუ იმ ეროვნების ყოველგვარ პრივილეგიას. ჩვენ, როგორც დემოკრატები, მოვითხოვთ ერთა თვითგამორკვევის თავისუფლებას ამ სიტყვის პოლიტიკური მნიშვნელობით (იხ. რსდმ პარტიის პროგრამა), ე. ი. გამოყოფის თავისუფლებას. ჩვენ მოვითხოვთ სახელმწიფოს ყველა ერის უცილობელ თანასწორუფლებიანობას და ყოველი ეროვნული უმცირესობის უფლებათა უცილობელ დაცვას. ჩვენ მოვითხოვთ იმ ოლქების ფართო თვითმმართველობასა და ავტონომიას, რომლებიც გამიჯნულ უნდა იქნან, სხვათა შორის, ნაციონალური ნიშნის მიხედვითაც.

ყველა ეს მოთხოვნა სავალდებულოა ყოველი თანამიმდევარი დემოკრატიისთვის, და მით უმეტეს სოციალისტისთვის.

მაგრამ სოციალისტები ზოგადდემოკრატიულ მოთხოვნებს როდი სჯერდებიან. სოციალისტები ებრძვიან ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყველა და ყოველგვარ, უხეშ და ოსტატურ, გამოვლინებას. სწორედ ასეთ გამოვლინებას წარმოადგენს «ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის» ლოზუნგიც, რომელიც ერთი ერის პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას აერთებს, სხვადასხვა ერის პროლეტარიატს აცალკევებს.

სოციალ-დემოკრატები ყოველთვის იდგნენ და დგანან ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისზე. ჩვენ მებატონეებისაგან და პოლიციური სახელმწიფოსაგან ვიცავთ ყველა ეროვნების თანასწორუფლებიანობას, ჩვენ ვიცავთ არა «ნაციონალურ კულტურას», არამედ ინტერნაციონალურ კულტურას, რომელშიც თვითეული ნაციონალური კულტურიდან შედის მხოლოდ ნაწილი, სახელდობრ: თვითეული ნაციონალური კულტურის მხოლოდ თანამიმდევარი დემოკრატიული და სოციალისტური შინაარსი.

«ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის» ლოზუნგი ატყუებს მუშებს ერთა კულტურული ერთიანობის აჩრდილით, მაშინ როდესაც ნამდვილად თვითეულ ერში ამჟამად სჭარბობს მემამულური, ბურჟუაზიული ან წვრილბურჟუაზიული «კულტურა».

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ნაციონალური კულტურისა — როგორც ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ერთ-ერთი ლოზუნგისა. ჩვენ მხარს ვუჭერთ ბოლომდე დემოკრატიული და სოციალისტური პროლეტარიატის ინტერნაციონალურ კულტურას.

ყველა ეროვნების მუშათა ერთიანობა და ამავე დროს ეროვნებათა უაღრესად სრული თანასწორუფლებიანობა და სახელმწიფოს უაღრესად თანამიმდევარი დემოკრატიზმი — აი ჩვენი ლოზუნგი, ისევე როგორც მთელი საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგიც. ეს ნამდვილად პროლეტარული ლოზუნგი არ ქმნის პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის «ნაციონალური» ერთიანობის ყალბ მოჩვენებას და ილუზიებს, მაშინ როდესაც «ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის» ლოზუნგი უეჭველად ქმნის ასეთ მოჩვენებას და მშრომელებში თესავს ასეთ ილუზიას.

ჩვენთვის, ლატვიელი სოციალ-დემოკრატებისთვის, რომელნიც ვცხოვრობთ ისეთ მხარეში, რომლის მოსახლეობა განსაკუთრებით აჭრელებულია ნაციონალურად, ჩვენთვის, რომელთაც გარს გვახვევია ლატვიელთა, რუსთა, ესტონელთა, გერმანელთა და სხვათა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წარმომადგენლები, — ჩვენთვის განსაკუთრებით ცხადია «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ლოზუნგის ბურჟუაზიული სიყალბე. ჩვენთვის განსაკუთრებით სანუკვარია ყვე-

ლა ეროვნების მუშათა ყველა და ყოველგვარი ორგანიზაციის ერთიანობის ლოზუნგი, ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში პრაქტიკულად უკვე ნაცადი ლოზუნგი.

დაწერილია 1913 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 19, გვ. 117—119.

თ ე ზ ი ს ე ბ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ს ა კ ი თ ხ ე მ ე

1. ჩვენი პროგრამის წ (ერთა თვითგამორკვევის შესახებ) შეუძლებელია სხვანაირად გავიგოთ, თუ არა პოლიტიკური თვითგამორკვევის აზრით, ე. ი. გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების აზრით.

2. რუსეთის სოციალ-დემოკრატებისთვის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის ეს მუხლი აბსოლუტურად საჭიროა.

(ა) როგორც საერთოდ დემოკრატიის ძირითადი პრინციპების გულისთვის.

(ბ) ისე რუსეთის ფარგლებში, და ამასთან მის განაპირა მხარეებში, მთელ რიგ ერთა არსებობის გამო, რომლებიც მკვეთრად განსხვავებული არიან სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და სხვა პირობებით, ამავე დროს ეს ერები (ისე როგორც რუსეთის ყველა ერი ველიკორუსების გარდა) წარმოუდგენლად დაჩაგრული არიან მეფის მონარქიის მიერ;

(გ) ბოლოს, იმის გამოც, რომ მთელ აღმოსავლეთ ევროპაში (ავსტრია და ბალკანეთი) და აზიაში — ე. ი. რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში — ან დამთავრებული არ არის, ანდა მხოლოდ ახლახან არის დაწყებული სახელმწიფოთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნა, რაც მთელ ქვეყანაში მეტნაკლებად მუდამ იწვევდა დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოების ან ისეთი სახელმწიფოების შექმნას, რომლებსაც ყველაზე უფრო მახლობელი და ურთიერთნათესაური ნაციონალური შემადგენლობა აქვთ.

(დ) რუსეთი ამჟამად წარმოადგენს ყველაზე უფრო ჩამორჩენილი და რეაქციული სახელმწიფო წყობილების ქვეყანას ყველა მის გარშემო არსებულ ქვეყანასთან შედარე-

ბით, დაწყებული — დასავლეთში — ავსტრიით, სადაც 1867 წლიდან განმტკიცდა პოლიტიკური თავისუფლებისა და კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები, ხოლო ახლა შემოდებულია საყოველთაო საარჩევნო უფლებაც, და გათავებული — აღმოსავლეთში — რესპუბლიკური ჩინეთით. ამიტომ რუსეთის სოციალ-დემოკრატები მთელ თავიანთ პროპაგანდაში უნდა იცავდნენ ყველა ეროვნების უფლებას — შექმნან ცალკე სახელმწიფო ან თავისუფლად აირჩიონ ის სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც სურთ ყოფნა.

3. სოციალ-დემოკრატიის მიერ ყველა ეროვნების თვითგამორკვევის უფლების აღიარება სოციალ-დემოკრატებისაგან მოითხოვს, რომ ისინი

(ა) უეჭველად მტრულად უყურებდნენ ძალადობის ყოველგვარ გამოყენებას, რა ფორმითაც უნდა ხდებოდეს, გაბატონებული ერის მხრივ (ან იმ ერის მხრივ, რომელიც მოსახლეობის უძრავლესობას შეადგენს) იმ ერის მიმართ, რომელსაც სურს გამოეყოს სახელმწიფოდ;

(ბ) მოითხოვდნენ ასეთი გამოყოფის საკითხის გადაწყვეტას ამა თუ იმ ტერიტორიის მოსახლეობის მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე;

(გ) ეწეოდნენ შეუწინაღებელ ბრძოლას როგორც შავრახ-შულ-ოქტიაბრისტულ, ისე ლიბერალურ-ბურჟუაზიულ («პროგრესისტები», კადეტები და სხვ.) პარტიებთან საერთოდ ნაციონალური ჩაგვრის ყოველგვარი დაცვის ან დაშვების ანდა კერძოდ ერთა თვითგამორკვევის უფლების უარყოფის გამო.

4. სოციალ-დემოკრატიის მიერ ყველა ეროვნების თვითგამორკვევის უფლების აღიარება სრულიადაც არ ნიშნავს სოციალ-დემოკრატების მხრივ უარისთქმას თვითთულ ცალკე შემთხვევაში ამა თუ იმ ერის სახელმწიფოდ გამოყოფის მიზანშეწონილობის დამოუკიდებლად შეფასებაზე. პირიქით, სოციალ-დემოკრატები სწორედ დამოუკიდებელ შეფასებას უნდა იძლეოდნენ და ანგარიშს უწევდნენ როგორც კაპიტალიზმის განვითარებისა და ყველა ეროვნების გაერთიანებული ბურჟუაზიის მიერ სხვადასხვა ერის პროლეტართა ჩაგვრის პირობებს, ისე დემოკრატიის საერთო ამოცანებს, ხოლო

პირველ რიგში და ყველაზე მეტად სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს.

ამ თვალსაზრისით მხედველობაში უნდა მივიღოთ განსაკუთრებით შემდეგი გარემოება. რუსეთში არის ორი ერი, ყველაზე უფრო კულტურული და ყველაზე უფრო განცალკევებული მთელი რიგი ისტორიული და საყოფაცხოვრებო პირობების გამო, რომელთაც ყველაზე ადვილად და ყველაზე «ბუნებრივად» შეეძლოთ განეხორციელებინათ გამოყოფის უფლება. ეს არის ფინეთი და პოლონეთი. 1905 წლის რევოლუციის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ამ ორ ერშიც კი გაბატონებული კლასები, მემამულეები და ბურჟუაზია, ხელს იღებენ რევოლუციურ ბრძოლაზე თავისუფლებისათვის და დაახლოებას ცდილობენ რუსეთის გაბატონებულ კლასებთან და მეფის მონარქიასთან ფინეთისა და პოლონეთის რევოლუციური პროლეტარიატის შიშის გამო.

ამიტომ სოციალ-დემოკრატებმა მთელი ენერჯით უნდა გააფრთხილოს ყველა ეროვნების პროლეტარიატი და მშრომელი კლასები არ მოტყუდნენ «თავიანთი» ბურჟუაზიის ნაციონალისტური ლოზუნგებით, ბურჟუაზიისა, რომელიც მოთაფლული ან მგზნებარე სიტყვებით «სამშობლოს» შესახებ ცდილობს გათიშოს პროლეტარიატი და ააცილოს მისი ყურადღება ბურჟუაზიის ოინებს, რომელიც ეკონომიურ და პოლიტიკურ კავშირს სდებს სხვა ერთა ბურჟუაზიასთან და მეფის მონარქიასთან.

პროლეტარიატი ვერ იბრძოლებს სოციალიზმისათვის და ვერ დაიცავს თავის ყოველდღიურ ეკონომიურ ინტერესებს, თუ ყველა ერის მუშები უმჭიდროესად და სრულად არ არიან შეკავშირებული გამოუკლებლივ ყველა მუშათა ორგანიზაციაში.

პროლეტარიატი ვერ მოიპოვებს თავისუფლებას სხვაგვარად, თუ არა რევოლუციური ბრძოლის გზით მეფის მონარქიის დამხობისა და მისი დემოკრატიული რესპუბლიკით შეცვლისათვის. მეფის მონარქია გამორიცხავს ეროვნებათა თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობას და გარდა ამისა მთავარი ბურჯია ბარბაროსობის, მხეცობისა და რეაქციისა როგორც ევროპაში, ისე აზიაშიც. ამ მონარქიის დამხობა კი შეუძლია მხოლოდ რუსეთის ყველა ერის გაერთიანებულ

პროლეტარიატს, რომელიც წინ მიუძღვის ყველა ერის მშრომელთა მასების თანამიმდევარ დემოკრატიულ ელემენტებს და რევოლუციური ბრძოლის უნარის მქონე ელემენტებს.

ამიტომ ის მუშა, რომელიც «თავისი» ერის ბურჟუაზიასთან პოლიტიკურ ერთიანობას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ყველა ერის პროლეტარებთან სრულ ერთიანობას, მოქმედებს თავისი ინტერესების წინააღმდეგ, სოციალიზმისა და დემოკრატიის ინტერესების წინააღმდეგ.

5. როდესაც სოციალ-დემოკრატია იცავს თანამიმდევარ დემოკრატიულ სახელმწიფო წყობილებას, ის მოითხოვს ეროვნებათა უცილობელ თანასწორუფლებიანობას და იბრძვის იმის წინააღმდეგ, რომ რაიმე პრივილეგიები ჰქონდეს ერთ თუ რამდენიმე ეროვნებას.

კერძოდ, სოციალ-დემოკრატია უარყოფს «სახელმწიფო» ენას. რუსეთში ასეთი რამ განსაკუთრებით ზედმეტია, რადგან რუსეთის მოსახლეობის შვიდ მეათედზე მეტი ეკუთვნის მონათესავე სლავურ ტომებს, რომელნიც თავისუფალ სახელმწიფოში თავისუფალი სკოლის არსებობისას, ეკონომიური ბრუნვის მოთხოვნილებათა გამო, ადვილად მიაღწევდნენ შეთანხმებას ერთ-ერთი ენის ყოველგვარი «სახელმწიფო» პრივილეგიების გარეშე.

სოციალ-დემოკრატია მოითხოვს თვითმპყრობელურ-ბატონყმური სახელმწიფოს მებატონე-მემამულეთა და მოხელეთა მიერ დადგენილი რუსეთის ძველი ადმინისტრაციული დაყოფის ნაცვლად ისეთ დაყოფას, რომელიც დამყარებული იქნება თანამედროვე სამეურნეო ცხოვრების მოთხოვნებზე და ძეძლებისდაგვარად შეთანხმებული იქნება მოსახლეობის ნაციონალურ შემადგენლობასთან.

სახელმწიფოს ყველა ოლქი, რომელიც განსხვავდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თავისებურებით ან ნაციონალური შემადგენლობით, უნდა სარგებლობდეს ფართო თვითმმართველობითა და ავტონომიით და მისი დაწესებულებანი აგებულ უნდა იქნან საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

6. სოციალ-დემოკრატია მოითხოვს საერთოსახელმწიფოებრივი კანონის გამოცემას, რომელიც დაიცავს სახელმწიფოს ყოველი ადგილის ყოველი ეროვნული უმცირესობის უფლე-

ბებს. ამ კანონის მიხედვით, ყოველი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ეროვნული უმრავლესობა შეეცდებოდა შეექმნა თავისთვის ეროვნული პრივილეგია ან შეეკვეცა ეროვნული უმცირესობის უფლებები (სასწავლო საქმის, ამა თუ იმ ენის ხმარების სფეროში, საბიუჯეტო საქმეში და სხვ.), გამოცხადებულ უნდა იქნას ძალადაკარგულად, ხოლო ასეთი ღონისძიების გატარება აიკრძალოს დასჯის შიშით.

7. სოციალ-დემოკრატია უარყოფით ეკიდება «კულტურულ-ნაციონალური» (ან უბრალოდ «ნაციონალური») «ავტონომიის» ლოზუნგს და მისი განხორციელების პროექტებს, რადგან ეს ლოზუნგი (1) შექველად ეწინააღმდეგება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერნაციონალიზმს, — (2) აადვილებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეების გავლენის სფეროში პროლეტარიატისა და მშრომელი მასების ჩათრევას, — (3) მას შეუძლია ყურადღება ჩამოაშოროს საერთოდ სახელმწიფოს თანამიმდევარ დემოკრატიულ გარდაქმნათა ამოცანებს, ეს კი ისეთი გარდაქმნებია, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ უზრუნველყონ (საერთოდ რამდენადაც ეს შესაძლებელია კაპიტალიზმის დროს) ნაციონალური მშვიდობა.

იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატებში განსაკუთრებით გამწვავდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის საკითხი, მოგვეყვას ამ დებულების ზოგიერთი განმარტება.

(ა) სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით შეუწყნარებელია როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ ნაციონალური კულტურის ლოზუნგის წამოყენება. ეს ლოზუნგი არ არის სწორი, რადგან კაცობრიობის მთელი სამეურნეო, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრება სულ უფრო და უფრო ინტერნაციონალური ხდება უკვე კაპიტალიზმის დროს. სოციალიზმი მთლიანად ინტერნაციონალურსა ხდის მას. ინტერნაციონალური კულტურა, რომელსაც უკვე ახლა სისტემატურად ქმნის ყველა ქვეყნის პროლეტარიატი, ითვისებს არა «ნაციონალურ კულტურას» (ამა თუ იმ ნაციონალური კოლექტივისას) მთლიანად, არამედ ყოველი ნაციონალური კულტურიდან იღებს მხოლოდ და მხოლოდ მის თანამიმდევრად დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს.

(ბ) სოციალ-დემოკრატების პროგრამებში ნაციონალური კულტურის ლოზუნგისადმი მიახლოების, თუმცა გაუბედავი

მიხლოების, ალბათ, ერთადერთ მაგალითს იძლევა ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების ბრიუნის პროგრამის § 3. ეს § 3 ამბობს: «ერთი და იმავე ერის ყველა თვითმმართველ ოლქი ქმნის ნაციონალურად ერთიან კავშირს, რომელიც თავის ნაციონალურ საქმეებს სავსებით ავტონომიურად წყვეტს».

ეს ლოზუნგი კომპრომისულია, რადგან აქ ექსტერიტორიული (პერსონალური) ნაციონალური ავტონომიის ნატამალიც არ არის. მაგრამ ეს ლოზუნგიც მცდარი და მავნეა, რადგან რუსეთის სოციალ-დემოკრატების საქმე სრულებითაც არ არის ერთ ერად შეაერთოს ლოქელი, რიგელი, პიტერელი და სარატოველი გერმანელები. ჩვენი საქმეა ვიბრძოლოთ სრული დემოკრატიზმისათვის და ყველა ნაციონალური პრივილეგიის გაუქმებისათვის რუსეთში გერმანელი მუშების გასაერთიანებლად ყველა სხვა ერის მუშებთან სოციალიზმის ინტერნაციონალური კულტურის დაცვისა და განვითარების საქმეში.

ძით უფრო მცდარია ექსტერიტორიული (პერსონალური) ნაციონალური ავტონომიის ლოზუნგი (ამ ლოზუნგის თანამიმდევარ მომხრეთა გეგმით) ნაციონალური პარლამენტების დაწესებით და ნაციონალური მინისტრებით (ო. ბაუერი და კ. რენერი). ასეთი დაწესებულებები, რაც ეწინააღმდეგება კაპიტალისტური ქვეყნების მთელ სამეურნეო პირობებს და ნაცადი არ არის მსოფლიოს არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, იმ ადამიანთა ოპორტუნისტული ოცნებაა, რომელთაც გული გასტეხიათ თანამიმდევარ დემოკრატიულ დაწესებულებათა შექმნაზე და ბურჟუაზიის ნაციონალური კინკლაობისგან ხსნას ეძებენ ზოგიერთ («კულტურულ») საკითხში თვითეული ერის როგორც პროლეტარიატის, ისე ბურჟუაზიის ხელოვნურ განცალკევებაში.

ზოგჯერ სოციალ-დემოკრატებს გარემოება აიძულებს დროებით დაემორჩილონ ამა თუ იმ კომპრომისულ გადაწყვეტილებას, მაგრამ სხვა ქვეყნებისგან ჩვენ უნდა გადმოვიღოთ არა კომპრომისული, არამედ თანამიმდევარი სოციალ-დემოკრატიული გადაწყვეტილებები. ავსტრიელთა კომპრომისის უხეირო ცდის გადმოღება კი მით უფრო უგუნური იქნებოდა ახლა, როცა მან ავსტრიაშიც სრული კრაზი განიცადა, გამო-

იწვია რა ჩეხი სოციალ-დემოკრატების სეპარატიზმი და გამოყოფა.

(გ) რუსეთში «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ლოზუნგის ისტორია ცხადყოფს, რომ ის მიიღო ებრაელთა, და მხოლოდ ებრაელთა, გამოუკლებლივ ყველა ბურჟუაზიულმა პარტიამ, რომელთაც ბუნდი უკრიტიკოდ მისჩანჩალებდა კუდში, არათანამიმდევრად უარყოფდა რა ებრაელთა ნაციონალურ პარლამენტს (სეიმს) და ებრაელთა ნაციონალურ მინისტრებს. ამავე დროს ის ევროპელი სოციალ-დემოკრატებიც კი, რომლებიც იწყნარებენ ან იცავენ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის კომპრომისულ ლოზუნგს, აღიარებენ ამ ლოზუნგის სრულ განუხორციელებლობას ებრაელებისთვის (ო. ბაუერი და კ. კაუცკი). «გალიციისა და რუსეთის ებრაელები უფრო კასტაა, ვიდრე ერი, და ებრაელობის, როგორც ერის, კონსტიტუირების ცდები კასტის შენარჩუნების ცდებია» (კ. კაუცკი).

(დ) ცივილიზებულ ქვეყნებში კაპიტალიზმის დროს ჩვენ ვხედავთ ნაციონალური მშვიდობისკენ საკმაოდ სრულ (შედარებით) მიახლოებას მხოლოდ მთელი სახელმწიფო წყობისა და მართვა-გამგეობის დემოკრატიზმის მაქსიმალურად განხორციელების პირობებში (შვეიცარია). თანამიმდევარი დემოკრატიზმის ლოზუნგები (რესპუბლიკა, მილიცია, ხალხის შიერ მოხელეთა არჩევა და სხვ.) ყოველი ერის პროლეტარიატსა და მშრომელ მასებს და საერთოდ ყოველივე მოწინავეს აერთებს იმ პირობებისათვის საბრძოლველად, რომელნიც გამორიცხავენ სულ მცირეოდენი ნაციონალური პრივილეგიის შესაძლებლობას, — მაშინ როდესაც «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ლოზუნგი ქადაგებს ერთა განცალკევებას სასკოლო (ან საერთოდ «კულტურულ») საქმეში, განცალკევებას, რაც სავსებით ეთავსება ყოველგვარ (და მათ შორის ნაციონალურ) პრივილეგიათა საფუძვლების შენარჩუნებას.

თანამიმდევარი დემოკრატიზმის ლოზუნგები ერთად აერთებს ყველა ერის პროლეტარიატსა და მოწინავე დემოკრატს (ელემენტებს, რომელთაც ესაჭიროებათ ყველა საქმეში და მათ შორის სასკოლო საქმეშიც ერთა დემოკრატიული ელემენტების არა განცალკევება, არამედ გაერთიანება), — კულტურ-

რულ-ნაციონალური ავტონომიის ლოზუნგი კი თიშავს სხვადასხვა ერის პროლეტარიატს, აკავშირებს მას ცალკეულ ერთა რეაქციულ და ბურჟუაზიულ ელემენტებთან.

თანამიმდევარი დემოკრატიზმის ლოზუნგები შეურიგებლად მტრულია ყველა ერის რეაქციონერებისა და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მიმართ, — კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ლოზუნგი კი სავსებით მისაღებია ზოგიერთი ერის რეაქციონერებისა და კონტრრევოლუციონერი ბურჟუებისათვის.

8. ამრიგად, რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური პირობების მთელი ერთობლიობა უცილობლად მოითხოვს სოციალ-დემოკრატიისაგან ყველა ეროვნების მუშათა შეერთების გატარებას გამოუკლებლივ ყველა პროლეტარულ (პოლიტიკურ, პროფესიულ, კოოპერაციულ, საგანმანათლებლო და სხვ. და ა. შ.) ორგანიზაციაში. არა ფედერაცია პარტიის წყობაში და არა ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების შექმნა, არამედ ამა თუ იმ ადგილის ყველა ერის პროლეტარების ერთიანობა პროპაგანდისა და აგიტაციის ადგილობრივი პროლეტარიატის ყველა ენაზე შემოღებით, ყოველივე ნაციონალური პრივილეგიების წინააღმდეგ ყველა ერის მუშების ერთად ბრძოლით, პარტიის ადგილობრივი და საოლქო ორგანიზაციების ავტონომიით.

9. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიის ათზე მეტი წლის გამოცდილება ადასტურებს შემომოყვანილ დებულებებს. პარტია არსდება 1898 წელს, როგორც «რუსეთის» პარტია, ე. ი. რუსეთის ყველა ეროვნების პროლეტარიატის პარტია. პარტია «რუსეთის» პარტიად რჩება, როდესაც 1903 წელს ბუნდი გამოდის პარტიიდან, მას შემდეგ რაც პარტიის ყრილობამ არ მიიღო მოთხოვნა — ბუნდი მიეჩნიათ ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად. 1906—1907 წლებში ცხოვრება სავსებით ააშკარავენს ამ მოთხოვნის უმწეობას, მთელი რიგი ებრაელი პროლეტარები შეთანხმებულად განაგრძობენ საერთო სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას მთელ რიგ ადგილობრივ ორგანიზაციებში, და ბუნდიც უბრუნდება პარტიას. სტოკჰოლმის ყრილობა (1906 წ.) აერთიანებს როგორც პოლონელ, ისე ლათვიელ სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც ტერიტორიული

ავტონომიის ნიადაგზე დგანან, ამასთან ყრილობა არ ღებულობს ფედერაციის პრინციპს და მოითხოვს ყველა ეროვნების სოციალ-დემოკრატების გაერთიანებას ადგილებზე. ეს პრინციპი მრავალი წელიწადია ტარდება კავკასიაში, ტარდება ვარშავაში (პოლონელი მუშები და რუსი ჯარისკაცები), ვილნოში (პოლონელი, ლატვიელი, ებრაელი, ლიტველი მუშები), რიგაში, ყველა სამ უკანასკნელ ცენტრში ტარდება სეპარატიულად გამოყოფილი ბუნდის წინააღმდეგ. 1908 წლის დეკემბერში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, თავისი კონფერენციის სახით, იღებს სპეციალურ რეზოლუციას, რითაც აღასტურებს ყველა ეროვნების მუშათა ერთიანობის მოთხოვნას არა ფედერაციის პრინციპზე. სეპარატისტ-ბუნდელთა მიერ პარტიის გადაწყვეტილების გამთიშველი შეუსრულებლობა იწვევს მთელი ამ «უცუდესი ტიპის ფედერაციის»¹⁰ კრახს, — ბუნდელ სეპარატისტებს აახლოებს ჩეხ სეპარატისტებთან და პირიქით (იხ. კოსოვსკი «ნაშა ზარიანში» და ჩეხი სეპარატისტების ორგანო «Der czechoslawische Sozialdemokrat», 1913, № 3, კოსოვსკის შესახებ) — და, ბოლოს, ლიკვიდატორთა აგვისტოს (1912 წ.) კონფერენციაზე იწვევს ბუნდელი სეპარატისტებისა და ლიკვიდატორების ცდას კავკასიელ ლიკვიდატორთა ნაწილთან ერთად მალულად შეაპარონ პარტიის პროგრამაში «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» მისი არსებითი დაცვის გარეშე!

რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატი მუშები პოლონეთისაც, ლატვიის მხარისაც და კავკასიისაც წინანდებურად დგანან ტერიტორიული ავტონომიისა და ყველა ერის სოციალ-დემოკრატი მუშების ერთიანობის თვალსაზრისზე. ბუნდელთა და ლიკვიდატორთა გამოთიშვა და ბუნდის კავშირი ვარშავაში არა-სოციალ-დემოკრატებთან ყველა სოციალ-დემოკრატის წინაშე დღის წესრიგში აყენებს მთელ ნაციონალურ საკითხს, როგორც მისი თეორიული მნიშვნელობის მხრივ, ისე პარტიის მშენებლობის საქმეში.

კომპრომისული გადაწყვეტილებები დაარღვიეს სწორედ მათ, ვინც ამ გადაწყვეტილებებს პარტიის ნების წინააღმდეგ ატარებდა, და ყველა ეროვნების მუშა-სოციალ-დემოკრატიე-

ბის ერთიანობის მოთხოვნა უფრო ხმამაღლა გაისმის, ვიდრე ოდესმე.

10. მეფის მონარქიის უხეშად მებრძოლი და შავრაზმული ხაციონალიზმი და შემდეგ ბუ რ ე უ ა ზ ი უ ლ ი ნაციონალიზმის — ველიკორუსულის (ბ-ნი სტრუვე, «რუსსკაია მოღვა», «პროგრესისტები» და სხვ.), უკრაინულის, პოლონურის (ნა-როდოველი «დემოკრატიის»¹¹ ანტისემიტიზმი), ქართულის, სომხურის და სხვათა ნაციონალიზმის გამოცოცხლება, — ყო-ველივე ეს განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვს რუსეთის ყველა კუთხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისგან წინანდელზე მეტი ყურადღება მიაქციონ ნაციონალურ სა-კითხს და გამოიმუშაონ მისი თანამიმდევრად-მარქსისტული გადაწყვეტილებანი მტკიცე ინტერნაციონალიზმისა და ყველა ერის პროლეტართა ერთიანობის სულისკვეთებით.

(ა) ნაციონალური კულტურის ლოზუნგი სწორი არ არის და გამოხატავს მხოლოდ ნაციონალური საკითხის გაგების ბურ-ჟუაზიულ შეზღუდულობას. ინტერნაციონალური კულ-ტურა.

(ბ) ნაციონალური დაყოფის გამარადისება და დახვეწილი ნაციონალიზმის გატარება — ერთა შეერთება, დაახლოება, არევა და **სხვანაირი**, ინტერნაციონალური კულტურის პრინცი-პების გამოხატულება.

(გ) წვრილი ბურჟუის სასოწარკვეთილება (უიმედო ბრძო-ლა ნაციონალური კინკლაობის წინააღმდეგ) და რადიკალურ-დემოკრატიულ გარდაქმნათა და სოციალისტური მოძრაობის შიში — კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მხოლოდ რადიკა-ლურ-დემოკრატიულ გარდაქმნებს შეუძლიათ შექმნან ნაციო-ნალური მშვიდობა და მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია ბო-ლო მოუღოს ნაციონალურ კინკლაობას.

(დ) ნაციონალური კურიები სასკოლო საქმეში¹².

(ე) ებრაელობა.

დაწერილია 1913 წ.

3. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 19, გვ. 280—290.

(ნაწყვეტი)

თანამედროვე ნაციონალიზმის უკიდურესი გამოხატულება — ეს არის ებრაული სკოლის ნაციონალიზაციის პროექტი. ეს პროექტი დაებადა ოდესის სასწავლო ოლქის მზრუნველს, და სახალხო «განათლების» სამინისტროც თანაგრძნობით შეხვდა მას. რაში მდგომარეობს ეს ნაციონალიზაცია?

იმაში, რომ სურთ ებრაელები გამოჰყონ ებრაელთა განსაკუთრებულ (საშუალო) სასწავლებლებში. ყველა დანარჩენი, როგორც კერძო, ისე მთავრობის, სასწავლებლის კარი კი სურთ დაუკეტონ ებრაელებს. ამ «გენიალური» გეგმის დასავგირგინებლად განზრახულია ებრაულ გიმნაზიებში მოსწავლეთა რიცხვის შეზღუდვა განთქმული «პროცენტული ნორმით»!

ყველა ევროპულ ქვეყანაში ებრაელთა წინააღმდეგ ასეთი ზომები და კანონები არსებობდა მხოლოდ შუა საუკუნეების, ინკვიზიციის, ერეტიკოსთა დაწვისა და სხვა მშვენიერებათა შავბნელ ეპოქაში. ევროპაში ებრაელებს დიდი ხანია სრული თანასწორუფლებიანობა მიენიჭათ და ისინი სულ უფრო და უფრო ითქვიფებიან იმ ხალხში, რომლის შორისაც ცხოვრობენ.

საერთოდ ჩვენს პოლიტიკაში, განსაკუთრებით კი აღნიშნულ პროექტში, ებრაელთა შევიწროებისა და ჩაგვრის გარდა ყველაზე მავნებელია მისწრაფება ნაციონალიზმის გაღვივებისა, სახელმწიფოში ერთ-ერთი ეროვნების მეორისაგან განცალკევებისა, მათი განმარტოების გაძლიერებისა, მათი სკოლების გამოყოფისა.

მუშათა კლასის ინტერესები — როგორც საერთოდ პოლიტიკური თავისუფლების ინტერესები, — პირიქით, მოითხოვს ამა თუ იმ სახელმწიფოს გამოუკლებლივ ყველა ეროვნების უაღრესად სრულ თანასწორუფლებიანობას და ერთა შორის ყოველგვარი ზღუდის მოშლას, ყოველგვარ ერთა ბავშვების შეერთებას ერთიან სკოლებში და სხვ. მუშათა კლასს მხოლოდ მაშინ შეუძლია ძალას წარმოადგენდეს, გაუმკლავდეს კაპიტალს და სერიოზულად გაიუმჯობესოს ცხოვრება, თუ უკუ-

აგდებს ყველა ველურ და უგუნურ ნაციონალურ ცრურწმენას და გააერთიანებს ყველა ერის მუშებს ერთ კავშირად.

შეხედეთ კაპიტალისტებს: ისინი ცდილობენ გააღვივონ ნაციონალური მტრობა «უბრალო ხალხში», თვითონ კი ჩინებულად აჭახრაკებენ თავიანთ საქმეებს: ერთ და იმავე სააქციო საზოგადოებაში რუსებიც არიან, უკრაინელებიც, პოლონელებიც, ებრაელებიც და გერმანელებიც. მუშების წინააღმდეგ გაერთიანებული არიან ყველა ერისა და სარწმუნოების კაპიტალისტები, ამავე დროს კი ცდილობენ მუშები დაანაწილონ და დაასუსტონ ნაციონალური მტრობით!

ებრაული სკოლის ნაციონალიზაციის უაღრესად მავნე პროექტი, სხვათა შორის, ცხადყოფს, რა მცდარია ეგრეთწოდებული «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» გეგმა, ე. ი. სასკოლო საქმის სახელმწიფოსათვის ჩამორთმევისა და თვითეული ცალკეული ერის ხელში გადაცემის გეგმა. ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ სრულიადაც არა ამას, არამედ ყველა ერის მუშათა შეერთებას ყოველგვარი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ნამდვილი დემოკრატიული საერთო სკოლისა და საერთოდ პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მთელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მაგალითი — თუნდაც შვეიცარიისა დასავლეთ ევროპაში ანდა ფინეთისა აღმოსავლეთ ევროპაში — გვიჩვენებს, რომ მხოლოდ თანამიმდევრად დემოკრატიული საერთო-სახელმწიფოებრივი დაწესებულებები უზრუნველყოფენ სხვადასხვა ეროვნების ყველაზე მშვიდობიან და ადამიანურ (და არა მხეცურ) თანაცხოვრებას ისე, რომ სასკოლო საქმე ხელოვნურად და მავნედ არ გაიყოს ეროვნებათა მიხედვით.

დაბეჭდილია 1913 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 19, გვ. 360—362.

ს ტ ა ტ ი ა «როგორ იცავს უკრაინელებს ეპისკოპოსი ნიკონი?»

(ნაწყვეტი)

«კიევსკაია მისლი» იტყობინება, რომ ეპისკოპოსმა ნიკონმა, სახელმწიფო სათათბიროს წევრმა, მემარჯვენემ, პირველმა

მოაწერა ხელი სახელმწიფო სათათბიროში შესატან კანონპროექტს უკრაინული სკოლისა და საზოგადოებათა შენახებო.

კანონპროექტის შინაარსი: დაწყებით სკოლებში - ნებადართულ იქნას სწავლება უკრაინულ ენაზე; მასწავლებლებად დაინიშნონ უკრაინელები; შემოღებულ იქნას უკრაინული ეხისა და უკრაინის ისტორიის სწავლება; შეწყდეს უკრაინულ საზოგადოებათა დევნა და მათი დახურვა «ადმინისტრაციული შეხედულებით, ხშირად შიშველი თვითნებობით»...

ეპისკოპოს ნიკონს გაგონებაც კი არა სურს იმისა, რომ უკრაინელებს ვერ დაიცავ ჩაგვრისაგან, თუ ყოველგვარი ჩაგვრისაგან არ დაიცავი გამოუკლებლივ ყველა ხალხი, — თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრებიდან აბსოლუტურად არ განდევნე ცნება «უცხო ტომისანი», — თუ არ დაიცავი ყველა ეროვნების სრული თანასწორუფლებიანობა. ნაციონალური ჩაგვრისაგან ვერავის დაიცავ, თუ თანამიმდევრად არ გაატარე უაღრესად ფართო ადგილობრივი და საოლქო ავტონომია და ყველა სახელმწიფოებრივი საკითხის მოსახლეობის უძრავლესობის ნების მიხედვით გადაწყვეტის პრინციპი (ე. ი. თანამიმდევარი დემოკრატიზმის პრინციპი).

ეპისკოპოს ნიკონისთვის უკრაინელების «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგი სინამდვილეში ნიშნავს შავრაზმულობის უკრაინულ ენაზე პროპაგანდის ლოზუნგს, უკრაინულ-კლერიკალური კულტურის ლოზუნგს.

შეგნებულმა მუშებმა გაიგეს, რომ «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგი კლერიკალური ან ბურჟუაზიული თვალთმაქცობაა — სულ ერთია, ლაპარაკია ველიკორუსულ, უკრაინულ, ებრაულ, პოლონურ, ქართულ თუ სხვა რომელიმე კულტურაზე. 125 წლის წინათ, როდესაც ერი ჯერ კიდევ არ იყო გათიშული ბურჟუაზიად და პროლეტარიატად, ნაციონალური კულტურის ლოზუნგი შეიძლებოდა ყოფილიყო ერთიანი და მთლიანი მოწოდება ბრძოლისადმი ფეოდალიზმისა და კლერიკალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ მას შემდეგ ყველგან გაჩაღდა კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. «ერთიანი» ერის გათიშვა ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად მომხდარი ფაქტი გახდა.

საერთოდ ნაციონალურ კულტურაზე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ კლერიკალებს ან ბურჟუებს. მშრომელ მასებს შე-

უძლიათ ილაპარაკონ მხოლოდ მსოფლიო მუშათა მოძრაობის
იხტერნაციონალურ (საერთაშორისო) კულტურაზე. მხოლოდ
ასეთი კულტურა ნიშნავს ერთა სრულ, ნამდვილ, გულწრფელ
თანასწორუფლებიანობას, ნაციონალური ჩაგვრის არარსებო-
ბას, დემოკრატიის განხორციელებას. «ნაციონალური საკითხის
გადაჭრისაკენ» მივყავართ მხოლოდ ყველა მუშათა ორგა-
ნიზაციაში ყველა ერის მუშების ერთიანობასა და შეერთებას
კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დაიბეჭდა 1913 წ.

ვ. ი. ლენინი. თხზ.,
ტ. 19, გვ. 448—450.

ს ტ ა ტ ი ა «პ რ ი ტ ი კ უ ლ ი უ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ს ა კ ი თ ხ ე ი »¹³

(ნაწყვეტი)

ნაციონალურმა საკითხმა რომ ამჟამად თვალსაჩინო ადგილი
დაიკავა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა შო-
რის, ეს ცხადია. რეაქციის მებრძოლი ნაციონალიზმიც, კონტრ-
რევოლუციური, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის გადასვლაც
ნაციონალიზმზე (განსაკუთრებით ველიკორუსულზე, შემდეგ
აგრეთვე პოლონურ, ებრაულ, უკრაინულ და სხვ. ნაციონა-
ლიზმზე) და, ბოლოს, სხვადასხვა «ნაციონალურ» (ე. ი. არა-
ველიკოროს) სოც.-დემოკრატებს შორის ნაციონალისტური
რყევის გაძლიერებაც, რაც პარტიული პროგრამის დარღვევამ-
დე მივიდა, — ყველაფერი ეს უთუოდ გვავალებს — ნაციო-
ნალურ საკითხს წინანდელზე მეტი ყურადღება მივაქციოთ.

ამ სტატიის სპეციალურ მიზანს შეადგენს: საერთო კავშირ-
ში განვიხილოთ მარქსისტებისა და ვითომ-მარქსისტების სწო-
რედ ეს პროგრამული რყევა ნაციონალურ საკითხში. «სევერ-
ნაია პრავდის» № 29-ში (1913 წლის 5 სექტემბერი. «ლიბერა-
ლები და დემოკრატები ენების საკითხში»)* მე ლაპარაკი მო-
მიხდა ლიბერალების ოპორტუნიზმზე ნაციონალურ საკითხში;
ამ ჩემს სტატიას კრიტიკით თავს დაატყდა ოპორტუნისტული
ებრაული გაზეთი «ცაიტი» ბ-ნ ფ. ლიბმანის სტატიის სახით.

* იხ. თხზ., ტ. 19, გვ. 416—420. რ ე დ.

მეორე მხრივ, ნაციონალურ საკითხზე რუსეთის მარქსისტთა პროგრამის კრიტიკით გამოვიდა უკრაინელი ოპორტუნისტი ბ-ნი ლევ იურკევიჩი («ძვინ», 1913, №№ 7—8). ორივე ეს მწერალი ისე ბევრ საკითხს შეეხო, რომ მათ საპასუხოდ ჩვენი თემის სულ სხვადასხვა მხარეზე გვიხდება ლაპარაკი. და, მე მგონია, ყველაზე მოხერხებული იქნება, თუ საქმეს «სევერნაია პრავდის» სტატიის გადმობეჭდვით შევუდგებით.

1. ლიბერალური და დემოკრატიული ენების საკითხში

გაზეთებს არა ერთხელ აღუნიშნავთ კავკასიის მეფისნაცვლის ანგარიში, რომელსაც ახასიათებს არა შავრაზმელობა, არამედ მორცხვი «ლიბერალიზმი». სხვათა შორის, მეფისნაცვალი წინააღმდეგია ხელოვნური რუსიფიკაციისა, ე. ი. არარუს ეროვნებათა გარუსებისა. კავკასიაში არარუს ეროვნებათა წარმომადგენლები თვითონ ცდილობენ ასწავლონ ბავშვებს რუსული, მაგალითად, სომხურ სამრევლო სკოლებში, სადაც რუსული ენის სწავლება სავალდებულო არ არის.

«რუსკოე სლოვო» (№ 198), რუსეთის ერთ-ერთი ფრიად გავრცელებული ლიბერალური გაზეთი, აღნიშნავს ამას და სამართლიანად დაასკვნის, რომ რუსეთში რუსულ ენას მტრულად უყურებენ «მხოლოდ და მხოლოდ» იმის გამო, რომ «ხელოვნურად» (უნდა ეთქვა: ძალადობით) ნერგავენ რუსულ ენასო.

«რუსული ენის ბედზე წუხნილი ზედმეტია. იგი თვითონ ძოიბოვებს აღიარებას მთელ რუსეთშიო» — წერს გაზეთი. და ეს სამართლიანიცაა, რადგან ეკონომიური აღებ-მიცემობის საჭიროება მუდამ აიძულებს ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ეროვნებებს (სანამ ერთად ცხოვრებას მოისურვებენ) შეისწავლონ უმრავლესობის ენა. რაც უფრო დემოკრატიული იქნება რუსეთის წყობილება, მით უფრო ძლიერ, სწრაფად და ფართოდ განვითარდება კაპიტალიზმი, ეკონომიური ბრუნვის საჭიროება მით უფრო დაყინებით აიძულებს სხვადასხვა ეროვნებას შეისწავლონ ის ენა, რომელიც ყველაზე უფრო გამოსაყენებელია საერთო სავაჭრო ურთიერთობისათვის.

მაგრამ ლიბერალური გაზეთი იჩქარის გაიმართახოს თავი და დაამტკიცოს თავისი ლიბერალური არათანამიმდევრობა.

«საექვოა, — წერს იგი, — რომ ვინმემ გარუსების მოწინააღმდეგეთა შორისაც კი გაილაშქროს იმის წინააღმდეგ, რომ ისეთ უზარმაზარ სახელმწიფოში, როგორცაა რუსეთი, უნდა იყოს ერთი საერთო-სახელმწიფო ენა და რომ ასეთი ენა... შეიძლება იყოს მხოლოდ რუსული ენა».

უკუღმა გადმობრუნებული ლოგიკა თუ გინდათ, სწორედ ესაა! პატარა შვეიცარია კი არ აგებს, არამედ იგებს იმით, რომ იქ არის არა ერთი საერთო-სახელმწიფო ენა, არამედ სამი: გერმანული, ფრანგული და იტალიური. შვეიცარიის მოსახლეობის 70% გერმანელებია (რუსეთში ველიკორუსებია 43⁰/₁₀₀), 22% — ფრანგები (რუსეთში უკრაინელებია 17%), 7% — იტალიელები (რუსეთში პოლონელებია 6% და ბელორუსები 4¹/₂ %). თუ შვეიცარიაში იტალიელები საერთო პარლამენტში ხშირად ფრანგულად ლაპარაკობენ, ამას სჩადიან არა რომელიმე ველური პოლიციური კანონის (ასეთი რამ შვეიცარიაში არ არის) იძულებით, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს ცივილიზებული მოქალაქენი თვითონ აძლევენ უპირატესობას უმრავლესობისთვის გასაგებ ენას. ფრანგული ენა სიძულვილს არ უწერს იტალიელებს, რადგან ეს არის თავისუფალი, ცივილიზებული ერის ენა, ენა, რომელსაც თავს არავის ახვევენ საზიზღარი პოლიციური ზომებით.

მაშ «უზარმაზარმა» რუსეთმა, ბევრად უფრო ჭრელმა, საძინლად ჩამორჩენილმა, რატომ უნდა შეაფერხოს თავისი განვითარება ერთ-ერთი ენის რაიმე პრივილეგიის შენარჩუნებით? თუ პირიქით, ბატონო ლიბერალებო? რუსეთმა, თუ მას სურს დაეწიოს ევროპას, ხომ არ უნდა მოუღოს ბოლო ყველა და ყოველგვარ პრივილეგიას რაც შეიძლება უფრო ჩქარა, რაც შეიძლება უფრო სრულად, რაც შეიძლება უფრო გაბედულად?

თუ მოისპობა ყოველგვარი პრივილეგიები, თუ შეწყდება ერთ-ერთი ენის თავზე მოხვევა, ყველა სლავი ადვილად და სწრაფად გაუგებს ერთმანეთს და არ შეუშინდება «იმ საშინელ» აზრს, რომ საერთო პარლამენტში სხვადასხვა ენაზე წარმოთქვამენ სიტყვებს. ეკონომიური ბრუნვის საჭიროებანი კი თავისთავად განსაზღვრავენ ამა თუ იმ ქვეყნის იმ ენას, რომლის ცოდნა ხელსაყრელი იქნება უმრავლესობისთვის სავაჭრო ურთიერთობის თვალსაზრისით. და ეს გან-

საზღვრა მით უფრო მტკიცე იქნება, რომ მას ნებაყოფლობით მიიღებს სწავლასხვა ერის მოსახლეობა, მით უფრო სწრაფი და ფართო იქნება, რაც უფრო თანამიმდევარი იქნება დემოკრატიზმი და ამის გამო რაც უფრო სწრაფად განვითარდება კაპიტალიზმი.

ლიბერალები ენების საკითხსაც, ისე როგორც ყველა პოლიტიკურ საკითხს, უდგებიან როგორც თვალთმაქცი ჩარჩები, რომლებიც ცალ ხელს (აშკარად) უწვდიან დემოკრატიას, ხოლო მეორე ხელს (ზურგს უკან) მებატონეებს და პოლიციელებს. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ პრივილეგიებისაო — გაიძახიან ლიბერალები, ზურგს უკან კი მებატონეებს სცინცლავენ ხან ერთს, ხან მეორეს პრივილეგიას.

ასეთია ყოველი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ნაციონალიზმი — არა მარტო ველიკორუსული (იგი ყველაზე უარესია, მისი ძალმომრეობითი ხასიათისა და ბატონ პურიშკევიჩებთან ნათესაობის წყალობით), არამედ პოლონური, ებრაული, უკრაინული, ქართული და ყოველი სხვა ნაციონალიზმიც. როგორც ავსტრიაში, ისე რუსეთში ყველა ერის ბურჟუაზია «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგით სინამდვილეში ატარებს მუშების დაქუცმაცებას, დემოკრატიის დასუსტებას, მებატონეებთან ჩარჩულ გარიგებას ხალხის უფლებებისა და ხალხის თავისუფლების გაყიდვის შესახებ.

მუშათა დემოკრატიის ლოზუნგია არა «ნაციონალური კულტურა», არამედ დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურა. დაე ბურჟუაზიამ ატყუოს ხალხი ყოველგვარი «პოზიტიური» ნაციონალური პროგრამებით. შეგნებული მუშა მას უპასუხებს: არსებობს ნაციონალური საკითხის მხოლოდ ერთადერთი გადაწყვეტა (რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია მისი გადაწყვეტა კაპიტალიზმის სამყაროში, მოხვეჭის, ერთმანეთის ჭამისა და ექსპლოატაციის სამყაროში) და ეს გადაწყვეტაა — თანამიმდევარი დემოკრატიზმი.

• დამამტკიცებელი მაგალითები: შვეიცარია დასავლეთ ევროპაში — ძველი კულტურის ქვეყანა, და ფინეთი აღმოსავლეთ ევროპაში — ახალგაზრდა კულტურის ქვეყანა.

მუშათა დემოკრატიის ნაციონალური პროგრამაა: სრულიად არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას;

ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის საკითხის, ე. ი. მათი სახელმწიფოდ გამოყოფის საკითხის გადაწყვეტა სრულიად თავისუფალი, დემოკრატიული გზით; საერთო-სახელმწიფო კანონის გამოცემა, და ამ კანონის მეოხებით ყოველი ღონისძიება (საერობო, საქალაქო, სათემო და სხვ. და ა. შ.), რომელიც ატარებს ერთ-ერთი ერის რაიმე პრივილეგიას, არღვევს ერთა თანასწორუფლებიანობას ან ეროვნული უმცირესობის უფლებებს, ცხადდება უკანონოდ და გაუქმებულიად — და სახელმწიფოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს ასეთი ღონისძიების გაუქმება, როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგოსი, და სისხლის სამართლის კანონის მიხედვით მათი დასჯა, ვინც მის განხორციელებას დაიწყებდა.

ენის საკითხისა და სხვათა გამო სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიის ნაციონალურ კინკლაობას მუშათა დემოკრატია უპირისპირებს მოთხოვნას: ყველა ეროვნების მუშათა უცილობელი ერთიანობა და სრული შეერთება ყველა პროფესიულ, კოოპერაციულ, სამომხმარებლო, საგანმანათლებლო და ყოველგვარ სხვა მუშათა ორგანიზაციაში, წინააღმდეგ ყოველგვარი ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა. მხოლოდ ასეთ ერთიანობას და შეერთებას შეუძლია დაიცვას დემოკრატია, დაიცვას მუშათა ინტერესები კაპიტალის წინააღმდეგ, — რომელიც უკვე გახდა და სულ უფრო და უფრო ხდება ინტერნაციონალური, — დაიცვას ინტერესები კაცობრიობის განვითარებისა ცხოვრების ახალი წყობისაკენ, სადაც აღარ იქნება არავითარი პრივილეგიები და არავითარი ექსპლოატაცია.

2. «ნაციონალური კულტურა»

როგორც მკითხველი ხედავს, «სევერნაია პრავდის» სტატია ერთ-ერთი მაგალითის, სახელდობრ საერთო-სახელმწიფო ენის საკითხის განხილვით ნათელყოფს არათანმიმდევრობას და ოპორტუნიზმს ლიბერალური ბურჟუაზიისას, რომელიც ნაციონალურ საკითხში მებატონეებსა და პოლიციელებს უწვდის ხელს. ყველას ესმის, რომ, გარდა საერთო-სახელმწიფო ენის საკითხისა, ლიბერალური ბურჟუაზია ასევე გამცემლუ-

რად, პირმოთნედ და ბრყვეულად (ლიბერალიზმის ინტერესების თვალსაზრისითაც კი) იქცევა მთელ რიგ სხვა თანაგვარ საკითხთა მიმართაც.

რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? დასკვნა ისაა, რომ ყოველ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს უდიდესი გახრწნა შეაქვს მუშათა წრეში, იგი უდიდეს ზიანს აყენებს თავისუფლების საქმეს და პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის საქმეს. ეს მით უფრო საშიშია, რომ ბურჟუაზიული (და ბურჟუაზიულ-ბატონყმური) ტენდენციის საფარად «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგი იხმარება. ნაციონალური კულტურის — ველიკოროსული, პოლონური, ებრაული, უკრაინული და სხვა კულტურის — სახელით აქაზრაკებენ თავიანთ რეაქციულ და ჭუჭყიან საქმეებს ყველა ერის შავრაზმელები და კლერიკალები, შემდეგ კი — ბურჟუებიც.

ასეთია თანამედროვე ეროვნული ცხოვრების ფაქტი, თუ მას მარქსისტულად, ე. ი. კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით შევხედავთ, თუ ლოზუნგებს შევადარებთ კლასების ინტერესებსა და პოლიტიკას და არა ფუჭ «ზოგად პრინციპებს», დეკლამაციებსა და ფრაზებს.

ნაციონალური კულტურის ლოზუნგი არის ბურჟუაზიული მოტყუება (ხშირად შავრაზმულ-კლერიკალურიც). ჩვენი ლოზუნგია დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურა...

თვითეულ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება, განუვითარებლად მაინც, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ელემენტები, ვინაიდან თვითეულ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას. მაგრამ თვითეულ ერში არის აგრეთვე ბურჟუაზიული კულტურა (ხოლო უმრავლესობაში კიდევ — შავრაზმული და კლერიკალურიც) — ამასთან არა მარტო «ელემენტების» სახით, არამედ გაბატონებული კულტურის სახით. ამიტომ «ნაციონალური კულტურა» საზოგადოდ არის მემამულეების, ხუცების, ბურჟუაზიის კულტურა. ეს ძირითადი, მარქსისტისათვის ანბანური, ჭეშმარიტება

ბუნდისტმა ჩრდილში დატოვა, «მიჩქმალა» სიტყვების რახარუბით, ე. ი. ნამდვილად კლასობრივი უფსკრულის გამოაშკარავებისა და განმარტების მა გ ი ვ რ ა დ მკითხველს მისი გაბუნდოვანება მიაწოდა. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ბუნდისტი გამოვიდა, როგორც ბურჟუა, რომლის მთელი ინტერესი მოითხოვს გარეკლასობრივი ნაციონალური კულტურისადმი რწმენის გავრცელებას.

«დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურის» ლოზუნგს რომ ვაყენებთ, თ ვ ი თ ე უ ლ ი ნაციონალური კულტურიდან ჩვენ ვიღებთ მ ხ ო ლ ო დ მის დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს, ვიღებთ მათ მ ხ ო ლ ო დ და უ თ უ ო დ თ ვ ი თ ე უ ლ ი ერის ბურჟუაზიული კულტურის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის საპირისპიროდ. არც ერთი დემოკრატი, მით უმეტეს არც ერთი მარქსისტი არ უარყოფს ენათა თანასწორუფლებიანობას ანდა იმის აუცილებლობას, რომ დედაენაზე ვეკამათოთ «მშობლიურ» ბურჟუაზიას, ანტიკლერიკალური ან ანტიბურჟუაზიული იდეები ვუქადაგოთ «მშობლიურ» გლეხობასა და მეშჩანებს, — ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, ამ უდავო ჭეშმარიტებებით ბუნდისტი აფუჩეჩებს სადავოს, ე. ი. იმას, რაც ნამდვილად საკითხის რაობას შეადგენს.

საკითხი ისაა, დასაშვებია მარქსისტებისათვის ნაციონალური კულტურის ლოზუნგის პირდაპირ ანდა არაპირდაპირ წამოყენება, თუ სავალდებულოა ყველა ენაზე იქადაგონ მის წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ, ყველა ადგილობრივ და ეროვნულ თავისებურებასთან «შეფარდებით» — მუშების ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ის ლოზუნგი.

«ნაციონალური კულტურის» ლოზუნგის მნიშვნელობას განსაზღვრავს არა ამა თუ იმ ინტელიგენტუნას დაპირება ან კეთილი განზრახვა — «განმარტოს» ეს ლოზუნგი «მისი საშუალებით ინტერნაციონალური კულტურის გატარების აზრით». ასეთი შეხედულება ბავშვური სუბიექტივიზმი იქნებოდა. ნაციონალური კულტურის ლოზუნგის მნიშვნელობას განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა კლასის ობიექტური თანაფარდობა. ბურჟუაზიის ნაციონალური კულტურა არის ფ ა ქ ტ ი (ამასთანავე, ვიმეო-

რებ, ბურჟუაზია ყველგან აწყობს გარიგებას მემამულეებსა და ხუცებთან). ებრძოლი ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, მუშების გამომთავყვანებელი, გამასულელებელი, გამთიშველი, რათა ისინი ბურჟუაზიის ხელქვეით ატაროს, — აი თანადროულობის ძირითადი ფაქტი.

ვისაც სურს პროლეტარიატს ემსახუროს, იგი უნდა აერთიანებდეს ყველა ერის მუშებს და განუხრელად ებრძოდეს როგორც «თავის», ისე უცხო ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. ვინც ნაციონალური კულტურის ლოზუნგს იცავს, მისი ადგილი ნაციონალისტ მეშჩანებშია და არა მარქსისტებში.

აიღეთ კონკრეტული მაგალითი. შეუძლია თუ არა ველიკოროს მარქსისტს ნაციონალური, ველიკოროსული, კულტურის ლოზუნგი მიიღოს? არა. ასეთი ადამიანი უნდა მოათავსოთ ნაციონალისტთა, და არა მარქსისტთა შორის. ჩვენი საქმეა — ებრძოლოთ ველიკოროსთა გაბატონებულ, შავრახმულ და ბურჟუაზიულ ნაციონალურ კულტურას, განვაფიქროთ მხოლოდ და მხოლოდ ინტერნაციონალურ საფუძველზე და სხვა ქვეყნების მუშებთან უმჭიდროეს კავშირში ის ჩანასახები, რომლებიც ჩვენს დემოკრატიული და მუშათა მოძრაობის ისტორიაშიც მოიპოვება. ებრძოლო ჩვენს ველიკოროს მემამულეებსა და ბურჟუებს, იბრძოლო მისი «კულტურის» წინააღმდეგ, ინტერნაციონალიზმის გულისთვის, იბრძოლო პურიშკევიჩებისა და სტრუვეების თავისებურებების «მომარჯვებით», — აი რა არის შენი ამოცანა, და არა ის, რომ იქადაგო, დაუშვა ნაციონალური კულტურის ლოზუნგი.

იგივე ითქმის ყველაზე უფრო ჩაგრული და დევნილი ერის — ებრაელი ერის შესახებ. ებრაელთა ნაციონალური კულტურა რაბინებისა და ბურჟუების ლოზუნგია, ჩვენი მტრების ლოზუნგია. მაგრამ არის სხვა ელემენტებიც ებრაულ კულტურასა და ებრაელობის მთელ ისტორიაში. მთელ ქვეყნიერებაზე 10¹/₂ მილიონი ებრაელია; მათგან ნახევარზე ცოტა მეტი ცხოვრობს გალიციასა და რუსეთში, ჩამორჩენილ, ნახევრადველურ ქვეყნებში, სადაც ებრაელებს ძალმომრეობით ამყოფებენ კასტის მდგომარეობაში. მეორე ნახევარი ცივილიზებულ ქვეყნებში ცხოვრობს, და ებრაელთა კასტური განკერძოება იქ არ არის. იქ გამოჩნდა ცხადად ებრაელთა კულტურის დიადი მსოფლიო-პროგრესული თვისებანი: მისი ინ-

ტერნაციონალიზმი, მისი გამოხმაურება ეპოქის მოწინავე მოძრაობებზე (ებრაელთა პროცენტი დემოკრატიულ და პროლეტარულ მოძრაობებში ყველგან მეტია საერთოდ მოსახლეობაში ებრაელთა პროცენტთან შედარებით).

ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ აყენებს ებრაელთა «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგს, ის (რაგინდ კეთილიც იყოს მისი განზრახვა) მტერია პროლეტარიატისა, მომხრეა ძველისა და კასტურისა ებრაელობაში, დამხმარეა რაბინებისა და ბურჟუეზიისა. პირიქით, ის ებრაელი მარქსისტები, რომლებიც ერთდებიან ინტერნაციონალურ მარქსისტულ ორგანიზაციებში რუს, ლიტველ, უკრაინელ და სხვა მუშებთან და თავიანთი წვლილი შეაქვთ (რუსულადაც, ებრაულადაც) მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურის შექმნაში, ეს ებრაელები — წინააღმდეგ ბუნდის სეპარატიზმისა — განაგრძობენ ებრაელობის საუკეთესო ტრადიციებს, ებრძვიან რა «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგს.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — აი ორი, ურთიერთისაღმი შეურიგებლად მტრული ლოზუნგი, რომელნიც შეესაბამებიან მთელი კაპიტალისტური სამყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავენ ორ პოლიტიკას (მეტიც: ორ მსოფლმხედველობას) ნაციონალურ საკითხში. როდესაც ნაციონალური კულტურის ლოზუნგს იცავენ და მასზე აგებენ ეგრეთწოდ. «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» მთელ გეგმასა და პრაქტიკულ პროგრამას, ამით ბუნდელები ნამდვილად მუშათა წრეში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამტარებლებად გამოდიან.

8. «ასიმილატორობის» ნაციონალისტური საფრთხივალა

ასიმილატორობის*, ე. ი. ეროვნულ თავისებურებათა დაკარგვის, სხვა ერში გათქვეფვის საკითხი ნებას გვაძლევს ცხადლივ წარმოვიდგინოთ ბუნდელთა და მათ თანამოაზრეთა ნაციონალისტური რყევის შედეგები.

ბ-მა ლიბმანმა სწორად გადმოსცა და გაიმეორა ბუნდელეების ჩვეულებრივი საბუთები, უკეთ, მათი ხერხები, ამასთან

* სიტყვასიტყვით — დამსგავსების, გაიფიქრების.

ერთიან მუშათა ორგანიზაციებში ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ეროვნების მუშების ერთიანობისა და შედუღების მოთხოვნას (იხ. ზემოთ «სევერნაია პრავდის» სტატიის ბოლო) — «**დ ვ ე ლ ი ა ს ი მ ი ლ ა ტ ო რ უ ლ ი ზ ლ ა პ ა რ ი**» უწოდა.

«მაშასადამე, — ამბობს ბ-ნი ფ. ლიბმანი «სევერნაია პრავდაში» მოთავსებული სტატიის დასკვნის გამო, — კითხვაზე: რა ეროვნებას ეკუთვნით? მუშამ უნდა უპასუხოხოს: მე სოციალ-დემოკრატი ვარო».

ჩვენს ბუნდელს ეს გონებამახვილობის ნიმუშად მიაჩნია. ნამდვილად კი იგი საბოლოოდ ამხელს თავს ასეთი ოხუნჯობით და «ასიმილატორობაზე» ყვირილით, რაც თანამიმდევრულ-დემოკრატიული და მარქსისტული ლოზუნგის წინააღმდეგ არის მიმართული.

განვითარებაში მყოფი კაპიტალიზმი იცნობს ორ ისტორიულ ტენდენციას ნაციონალურ საკითხში. პირველი: ეროვნული ცხოვრებისა და ეროვნულ მოძრაობათა გაღვიძება, ბრძოლა ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასთან, ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა. მეორე: ერთა შორის ყოველგვარი ურთიერთობის განვითარება და გახშირება, ეროვნული ზღუდეების დამსხვრევა, კაპიტალის, საერთოდ ეკონომიური ცხოვრების, პოლიტიკის, მეცნიერებისა და სხვ. ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა.

ორივე ტენდენცია კაპიტალიზმის მსოფლიო კანონია. პირველი ჭარბობს მისი განვითარების დასაწყისში, მეორე ახასიათებს მომწიფებულ და სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევისაკენ მიმავალ კაპიტალიზმს. ორივე ტენდენციას უწევს ანგარიშს მარქსისტების ნაციონალური პროგრამა: იგი, ჯერ ერთი, იცავს ერთა და ენათა თანასწორუფლებიანობას, ამ შნრივ რაიმეგვარი პრივილეგიების დაუშვებლობას (აგრეთვე ერთა თვითგამორკვევის უფლებას, რაზედაც ქვემოთ ცალკე გვექნება ლაპარაკი), და, მეორეც, იცავს ინტერნაციონალიზმის პრინციპს, იმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის პრინციპს, რომ პროლეტარიატი დაავადდეს თუნდაც უაღრესად დახვეწილი ბურჟუაზიული ნაციონალიზმით.

საკითხავია, რაღაზე აქვს საუბარი ჩვენს ბუნდელს, როდესაც იგი ცას შეჰლაღადებს «ასიმილატორობის» წინააღმდეგ?

ერების მიმართ ძალმომრეობაზე, ერთ-ერთი ერის პრივილეგიებზე მას აქ არ შეეძლო ელაპარაკნა, ვინაიდან სიტყვა «ასიმილატორობა» ამ შემთხვევას საერთოდ არ მიუდგება; — ვინაიდან ყველა მარქსისტმა, ცალ-ცალკეც და როგორც ოფიციალურმა ერთიანმა მთელმაც, სავსებით გარკვეულად და არაორაზროვნად დაგმო თუნდაც ოდნავი ეროვნული ძალმომრეობა, ჩაგვრა, არათანასწორუფლებიანობა; — ბოლოს, ვინაიდან «სევერნაია პრავდის» სტატიის მიხედვით, რომელსაც თავს დაესხა ბუნდელი, ეს ზოგად-მარქსისტული აზრი სრულიად გადაჭრითაა გამოთქმული.

არა, თავდაძვრენა აქ შეუძლებელია. «ასიმილატორობას» რომ გმობდა, ბ-ნი ლიბმანი გულისხმობდა არა ძალმომრეობას, არა უთანასწორობას, არა პრივილეგიებს. რჩება თუ არა რეალური რამ ასიმილატორობის ცნებაში, თუ მას გამოვაკლებთ ყოველ ძალმომრეობას და ყოველ არათანასწორუფლებიანობას?

უთუოდ რჩება. რჩება კაპიტალიზმის ის მსოფლიო-ისტორიული ტენდენცია ეროვნული ტიხრების დარღვევისა, ეროვნულ განსხვავებათა მოსპობისა, ერების ასიმილაციისა, რა ტენდენციაც ყოველ ათწლობით სულ უფრო მძლავრად იჩენს თავს და წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს მამოძრავებელს, რომელიც კაპიტალიზმს სოციალიზმად აქცევს.

მარქსისტი არ არის, დემოკრატიც კი არ არის ის, ვინც არ აღიარებს და არ იცავს ერებისა და ენების თანასწორუფლებიანობას, ვინც არ ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრას ან არათანასწორუფლებიანობას.

ორი ერია თვითეულ თანამედროვე ერში — ვეტყვივით ჩვენ ყველა ნაციონალ-სოციალს. არის ორი ნაციონალური კულტურა თვითეულ ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკოროსული კულტურა პურიმპევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლენანოვის სახელები. ასეთივე ორი კულტურაა უკრაინელობაში, ისე როგორც გერმანიასა, საფრანგეთსა, ინგლისში, ებრაელებში და სხვ. თუ უკრაინელი მუშების უმრავლესობა ველიკოროსული კულტურის გავლენას განიცდის, ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ ველიკოროსული ხუცური და ბურჟუაზიული კულ-

ტურის იდეებთან ერთად აქ ველიკოროსული დემოკრატიისა და სოციალ-დემოკრატიის იდეებიც მოქმედებენ. პირველი სახის «კულტურის» წინააღმდეგ ბრძოლის დროს უკრაინელი მარქსისტი ყოველთვის გამოარჩევს მეორე კულტურას და ეტყვის თავისიან მუშებს: «ველიკოროს შეგნებულ მუშასთან, მის ლიტერატურასთან, მის იდეათა წრესთან ურთიერთობის ყოველ შესაძლებლობას აუცილებლად უნდა ჩაეჭიდო მთელი ძალ-ღონით, გამოიყენო ის, განამტკიცო, — ამას მოითხოვს როგორც უკრაინის, ისე ველიკოროსიის მუშათა მოძრაობის ძირითადი ინტერესები».

თუ კი უკრაინელ მარქსისტს ველიკოროს-მჩაგვრელებისადმი სავსებით კანონიერი და ბუნებრივი სიძულვილი იმდენად გაიტაცებს, რომ ამ სიძულვილის თუნდ ნაწილაც, თუნდ მარტო განკერძოებას, ველიკოროსი მუშების პროლეტარულ კულტურასა და პროლეტარულ საქმეზე გადაიტანს, ასეთი მარქსისტი ამით ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ჭაობში ჩაქანდება. ასევე ჩაქანდება არა მარტო ბურჟუაზიული, არამედ თვით შავრაზმული ნაციონალიზმის ჭაობში ველიკოროსი მარქსისტიც, თუ ის ერთი წუთით მაინც დაივიწყებს უკრაინელთა სრული თანასწორუფლებიანობის მოთხოვნას ან მათს უფლებას — შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ველიკოროსმა და უკრაინელმა მუშებმა ერთად და, სანამ ერთ სახელმწიფოში ცხოვრობენ, ფრიად მჭიდრო ორგანიზაციული ერთობით და შეკავშირებით უნდა დაიცვან პროლეტარული მოძრაობის საერთო ანუ ინტერნაციონალური კულტურა, ამასთან აბსოლუტური შეწყნარებით უნდა უყურებდნენ პროპაგანდის ენის საკითხს და ამ პროპაგანდის დროს წმინდადგილობრივ ან წმინდა-ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინების საკითხს. ასეთია მარქსიზმის უეჭველი მოთხოვნა. ყოველი ქადაგება ერთი ერის მუშების მეორისაგან გამოყოფისა, ყოველი გალაშქრება მარქსისტული «ასიმილაციონის» წინააღმდეგ, ყოველი დაპირისპირება პროლეტარიატის საკითხებში მთლიანად ერთი ნაციონალური კულტურისა მეორე ვითომდა მთელივე ნაციონალური კულტურისადმი და ა. შ., — ეს არის ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, რომლის წინააღმდეგაც სავალდებულოა დაუნდობელი ბრძოლა.

«ნაციონალური კულტურის» ლოზუნგის საკითხს მარქსისტებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმიტომ, რომ იგი განსაზღვრავს ნაციონალურ საკითხში მთელი ჩვენი პროპაგანდისა და აგიტაციის იდეურ შინაარსს, ბურჟუაზიული პროპაგანდისაგან განსხვავებით, — არამედ იმიტომაც, რომ ამ ლოზუნგზეა აგებული ყბადაღებული კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მთელი პროგრამა.

ამ პროგრამის ძირითადი პრინციპული ნაკლი ის არის, რომ იგი მიისწრაფვის განახორციელოს ყველაზე დახვეწილი და აბსოლუტური, ბოლომდე მიყვანილი, ნაციონალიზმი. ამ პროგრამის დედაარსი შემდეგია: თვითეული მოქალაქე ეწერება ამა თუ იმ ერში, და თვითეული ერი წარმოადგენს იურიდიულ მთელს, თავისი წევრების იძულებითი დაბეგვრის უფლებით, ნაციონალური პარლამენტებით (სეიმებით), ნაციონალური «სტატს-მდივნებით» (მინისტრებით).

ასეთი იდეა, ნაციონალური საკითხის მიმართ გამოყენებული, მოგვაგონებს პრუდონის იდეას კაპიტალიზმის მიმართ. კაპიტალიზმისა და მისი საფუძვლის — სასაქონლო წარმოების მოსპობა კი არა, არამედ ამ საფუძვლის გაწმენდა ბოროტ-მოქმედებისა, ხორცმეტებისა და სხვა ასეთებისაგან; გაცვლა-გამოცვლისა და საცვლელი ღირებულების მოსპობა კი არა, არამედ, პირიქით, მისი «კონსტიტუირება», მისი საყოველთაოდ ქცევა, გააბსოლუტურება, «გასამართლიანება», რყევას, კრიზისებს, ბოროტმოქმედებას მოკლებულად გადაქცევა — აი პრუდონის იდეა.

როგორც წვრილბურჟუაზიულია პრუდონი, როგორც აბსოლუტებს, ქმნილების გვირგვინად აღიარებს მისი თეორია გაცვლა-გამოცვლასა და სასაქონლო წარმოებას, ასევე წვრილბურჟუაზიულია «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» თეორია და პროგრამა, რომელიც აბსოლუტებს, ქმნილების გვირგვინად აცხადებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, წმენდს მას ძალმომრეობისა და უსამართლობათაგან და სხვ.

მარქსიზმი შეურიგებელია ნაციონალიზმისადმი, რაგინდ «სამართლიანი», «ფაქიზი», დახვეწილი და ცივილიზებულიც არ უნდა იყოს იგი. ყოველგვარი ნაციონალიზმის ნაცვლად

მარქსიზმი აყენებს ინტერნაციონალიზმს, ყველა ერის შერწყმას უმაღლეს ერთობად, რომელიც ჩვენს თვალწინ იზრდება რკინიგზის თვითეულ ვერსთან, თვითეულ საერთაშორისო ტრესტთან, თვითეულ (თავისი ეკონომიური საქმიანობით, შემდეგ კი აგრეთვე თავისი იდეებით, თავისი მისწრაფებებით საერთაშორისო) მუშათა კავშირთან ერთად.

ეროვნების პრინციპი ისტორიულად გარდუვალია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში; მარქსისტი ანგარიშს უწევს ამ საზოგადოებას და სავსებით აღიარებს ეროვნულ მოძრაობათა ისტორიულ კანონიერებას. მაგრამ, რათა ეს აღიარება ნაციონალიზმის აპოლოგიად არ გადაიქცეს, საჭიროა, რომ იგი ზედმიწევნით შემოსაზღვროს მხოლოდ იმით, რაც პროგრესულია ამ მოძრაობებში, — რომ ეს აღიარება არ იწვევდეს პროლეტარული შეგნების დაბნელებას ბურჟუაზიული იდეოლოგიით.

პროგრესულია მასების გაღვიძება ფეოდალური მძინარობისაგან, მათი ბრძოლა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხის სუვერენობისათვის, ერის სუვერენობისათვის. აქედან გამომდინარეობს მარქსისტის უეჭველი მოვალეობა — დაიცვას უაღრესად მტკიცე და უაღრესად თანამიმდევრული დემოკრატიზმი ნაციონალური საკითხის ყოველ ნაწილში. ეს ამოცანა, უმთავრესად, უარყოფითი ხასიათისაა. ხოლო ამაზე შორს წასვლა ნაციონალიზმის მხარისდაჭერაში პროლეტარიატს არ შეუძლია, ვინაიდან ამის იქით იწყება «პოზიტიური» (დადებითი) მოქმედება ბურჟუაზიისა, რომელიც ნაციონალიზმის განმტკიცებას ესწრაფვის.

ყოველგვარი ფეოდალური უღლის, ერთა ყოველგვარი ჩაგვრის, ერთ-ერთი ერის თუ ერთ-ერთი ენის ყოველგვარი პრივილეგიის მოსპობა — ეს არის პროლეტარიატის, როგორც დემოკრატიული ძალის, უეჭველი მოვალეობა, უეჭველი ინტერესი პროლეტარული კლასობრივი ბრძოლისა, რომელსაც აბხელებს და აფერხებს ეროვნული შუღლი. მაგრამ ამ, სასტიკად გამიჯნულ, განსაზღვრულ ისტორიულ ჩარჩოებში ჩასმულ ფარგლებს იქით ბურჟუაზიული ნაციონალიზმისათვის ხელის შეწყობა — პროლეტარიატისადმი ლალატსა და ბურჟუაზიის მხარეზე დადგომას ნიშნავს. აქ არის მიჯნა, ხშირად ძალიან შეუმჩნეველი, რომელსაც სრულებით ივიწყებენ ბუნდელი და უკრაინელი ნაციონალ-სოციალები.

ბრძოლა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ — უთუოდ ასეა. ბრძოლა ყოველგვარი ეროვნული განვითარებისათვის, «ნაციონალური კულტურისათვის» საერთოდ — უთუოდ არაა ასე. კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური განვითარება მთელ მსოფლიოში გვიჩვენებს ზრდადაუმთავრებელ ეროვნულ მოძრაობათა მაგალითებს, მთელ რიგ წვრილ ერთაგან ანდა ზოგიერთი წვრილი ერის საზარალოდ დიდი ერების შექმნის მაგალითებს, ერების ასიმილაციის მაგალითებს. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პრინციპია ეროვნების განვითარება საზოგადოდ; აქედანაა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის განსაკუთრებულობა, აქედანაა გამოუვალი ეროვნული შუღლი. ხოლო პროლეტარიატი არა თუ არ კისრულობს თვითეული ერის ეროვნული განვითარების დაცვას, არამედ, პირიქით, აფრთხილებს მასებს ამნაირი ილუზიებისაგან, იცავს კაპიტალისტური ბრუნვის უალრესად სრულ თავისუფლებას, სიხარულით ეგებება ერთა ყოველ ასიმილაციას, გარდა ძალმომრეობითი ან პრივილეგიებზე დამყარებული ასიმილაციისა.

ნაციონალიზმის გამაგრება განსაზღვრულ, «სამართლიანად» შემოფარგლულ სფეროში, ნაციონალიზმის «კონსტიტუირება», ყველა ერის მაგრად და მტკიცედ გამიჯვნა ერთიმეორისაგან განსაკუთრებული სახელმწიფო დაწესებულებების საშუალებით — აი კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის იდეური საფუძველი და შინაარსი. ეს აზრი ერთიანად ბურჟუაზიული და ერთიანად ყალბია. ნაციონალიზმის ვერავითარ გამაგრებას პროლეტარიატი მხარს ვერ დაუჭერს, — პირიქით, იგი მხარს უჭერს ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას, ეროვნული ზღუდეების დანგრევას, ყველაფერს, რაც უფრო და უფრო მჭიდროს ხდის კავშირს ეროვნებათა შორის, ყველაფერს, რასაც ერთა შერწყმისაკენ მივყავართ. სხვანაირად მოქცევა რეაქციული ნაციონალისტური მიმხანობის მხარეზე გადასვლას ნიშნავს.

როდესაც კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროექტს იხილავდნენ ავსტრიის სოც.-დემოკრატები თავიანთ ყრილობაზე ბრიუნში (1899 წელს)¹⁴, ამ პროექტის თეორიული შეფასებისათვის თითქმის არც კი მიუჭკვეიათ ყურადღება. მაგრამ საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამის საწინააღმ-

დევოდ ორ ასეთ მოსაზრებას აყენებდნენ: 1) იგი გამოიწვევდა კლერიკალიზმის გაძლიერებას; 2) «მას შედეგად მოჰყვებოდა შოვინიზმის დამკვიდრება, მისი შეტანა თვითეულ პატარა თემში, თვითეულ პატარა ჯგუფში» (გვ. 92 ბრიუნის ყრილობის ოფიციალური ოქმებისა გერმანულ ენაზე. არის რუსული თარგმანიც, ებრაელთა ნაციონალისტური პარტიის «სერპის»¹⁵ გამოცემა).

უეჭველია, «ნაციონალური კულტურა» ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ე. ი. სკოლები და სხვ., ამჟამად მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კლერიკალებისა და ბურჟუაზიული შოვინისტების უპირატესი გავლენის ქვეშ იმყოფება. როდესაც ბუნდელეები «კულტურულ-ნაციონალურ» ავტონომიას იცავენ და ამბობენ: ერების კონსტიტუირება მათ შიგნით წარმოებულ კლასობრივ ბრძოლას ყოველგვარ გარეშე მოსაზრებათაგან გაწმენდას, — ეს აშკარა და სასაცილო სოფისტიკაა. ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში სერიოზული კლასობრივი ბრძოლა წარმოებს უწინარეს ყოვლისა ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგში. აქედან სასკოლო დარგის გამოყოფა, ჯერ-ერთი, უაზრო უტოპიაა, ვინაიდან არ შეიძლება სკოლის (ისე როგორც საზოგადოდ «ნაციონალური კულტურის») გამოცალკეება ეკონომიკისა და პოლიტიკისაგან, და, მეორეც, კაპიტალისტური ქვეყნის სწორედ ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება აიძულებს აღამიანებს ყოველ ნაბიჯზე დაამსხვრიონ შეუსაბამო და დაძველებული ეროვნული ზღუდეები და ცრურწმენანი, სასკოლო და სხვა ამგვარი საქმის გამოყოფა კი სწორედ შეინახავდა, გაამწვავებდა, გააძლიერებდა «წმინდა» კლერიკალიზმს და «წმინდა» ბურჟუაზიულ შოვინიზმს.

სააქციო საზოგადოებებში ერთად სხედან და სავსებით ითქვიფებიან ერთიმეორეში სხვადასხვა ერის კაპიტალისტები. ფაბრიკაში ერთად მუშაობენ სხვადასხვა ერის მუშები. ყოველი მართლაც სერიოზული და ღრმა პოლიტიკური საკითხის წამოჭრის დროს დაჯგუფება ხდება კლასთა და არა ეროვნებათა მიხედვით. სასკოლო და სხვა ამგვარი საქმის «სახელმწიფოს გამგებლობიდან გამოყოფა» და ერებისათვის მისი გადაცემა ნიშნავს სწორედ ცდას — გამოიყოს ერების შემადღებელი ეკონომიკიდან საზოგადოებრივი ცხოვრების, ასე ვთქვათ,

ყველაზე მეტად იდეოლოგიური დარგი, სადაც ყველაზე უფრო ადვილი ხდება «წმინდა» ნაციონალური კულტურა ან კლერიკალიზმისა და შოვინიზმის ნაციონალურად დანერგვა.

პრაქტიკულად განხორციელების დროს «ექსტერიტორიული» (მიწაწყლის გარეშე, იმ მიწაწყალთან, რომელზედაც ესა თუ ის ერი ცხოვრობს, დაუკავშირებელი) ანუ «კულტურულ-ნაციონალური» ავტონომიის გეგმა ნიშნავს მხოლოდ ერთ რამეს: სასკოლო საქმის დაყოფას ეროვნებათა მიხედვით, ე. ი. სასკოლო საქმეში ეროვნული კუროების შემოღებას. საკმარისია ნათლად წარმოიდგინოთ ბუნდელთა განთქმული გეგმის ეს ნამდვილი დედაარსი, რომ მყისვე გაიგოთ მთელი მისი რეაქციულობა დემოკრატიის თვალსაზრისითაც კი, სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე რომ აღარა ვთქვათ რა...

ავსტრიაში კულტურულ-ნაციონალური ავტონომია დარჩა უმთავრესად ლიტერატორთა ნათხზავად, რომელიც თვით ავსტრიელ სოც.-დემოკრატებს არ მიუჩნევიათ სერიოზულად. სამაგიეროდ რუსეთში იგი თავის პროგრამაში შეიტანა ებრაელთა ყველა ბურჟუაზიულმა პარტიამ და სხვადასხვა ერის რამდენიმე მეშინაურმა, ოპორტუნისტულმა ელემენტმა — მაგალითად, ბუნდელებმა, კავკასიის ლიკვიდატორებმა, რუსეთის მემარცხენე-ნაროდნიკული მიმართულების ნაციონალურ პარტიათა კონფერენციამ. (ეს კონფერენცია — შევნიშნავთ ფრჩხილებში — 1907 წელს შესდგა, და მისი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ისე, რომ თავი შეიკავეს რუსმა ს.-რ.-ებმა და პოლონელმა სოციალ-პატრიოტებმა, P. P. S. თავის შეკავება საოცრად დამახასიათებელი საშუალებაა ესერთა და პ.-პ.-თა დამოკიდებულებისა უმნიშვნელოვანესი პრინციპული საკითხისადმი ნაციონალური პროგრამის დარგში!).

ავსტრიაში სწორედ ოტო ბაუერმა, «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» უმთავრესმა თეორეტიკოსმა, თავისი წიგნის სპეციალური თავი იმის დამტკიცებას უძღვნა, რომ ამ პროგრამის წამოყენება ებრაელთათვის შეუძლებელიაო. რუსეთში სწორედ ებრაელობის ყველა ბურჟუაზიულმა პარტიამ — და მათმა ამყოლმა ბუნდმა — მიიღო ეს პროგრამა*.

* ბუნდელები რომ ხშირად არაჩვეულებრივი სიფიცხით უარყოფენ ებრაელობის ყველა ბურჟუაზიული პარტიის მიერ «კულტურულ-ნაციონ-

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ისტორიამ სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური პრაქტიკით გამოამყვანა ბაუერის გამოწვევის უაზრობა, ისევე, როგორც რუსმა ბერნშტეინელებმა (სტრუვემ, ტუგან-ბარანოვსკიმ, ბერდიაევმა და კომპ.) მარქსიზმიდან ლიბერალიზმისაკენ თავიანთი სწრაფი ევოლუციით გამოამყვანეს გერმანული ბერნშტეინიადის ნამდვილი იდეური შინაარსი.

არც ავსტრიის, არც რუსეთის სოც.-დემოკრატებს არ შეუტანიათ თავიანთ პროგრამაში «კულტურულ-ნაციონალური» ავტონომია. მაგრამ ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნის ებრაელთა ბურჟუაზიულმა პარტიებმა და მთელმა რიგმა მეშჩანურმა ვითომდა-სოციალისტურმა ჯგუფებმა მიიღეს იგი, რათა დახვეწილი ფორმით შეიტანონ მუშათა წრეში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეები. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს...

ერებისა და ენების სრული თანასწორუფლებიანობის ქადაგება გამოყოფს თვითეულ ერში მარტოდენ თანამიმდევრულ დემოკრატიულ ელემენტებს (ე. ი. მხოლოდ პროლეტარებს), აერთიანებს მათ არა ეროვნების მიხედვით, არამედ მისწრაფებით სახელმწიფოს საერთო წყობილების ღრმა და სერიოზული გაუმჯობესებისადმი. პირიქით, «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ქადაგება, მიუხედავად ცალკე პირთა და ჯგუფთა კეთილი სურვილებისა, თითქმის ერთსა და სამდვილად აახლოებს ერთი ერის მუშებს მის ბურჟუაზიას-

ნალური ავტონომიის» მიღების ფაქტს, ეს გასაგებია. მეტად აშკარად ამჟღავნებს ეს ფაქტი ბუნდის ნამდვილ როლს. როდესაც ერთ-ერთმა ბუნდელმა, ბ-მა მანიშმა სცადა «ლუჩში» ამ უარყოფის განმეორება, იგი სავსებით ამხილა ნ. სკობ.-მა (იხ. «პროსვეშჩენიე» № 3). მაგრამ როდესაც ბ-ნ ლევ იურკევიჩის «ქიწვი» (1913, № 7—8, გვ. 92) მოჰყავს «პროსვეშჩენიედან» (№ 3, გვ. 78) ნ. სკ.-ის ფრაზა: «ბუნდისტები — ებრაელთა ყველა ბურჟუაზიულ პარტიასა და ჯგუფთან ერთად — დიდი ხანია მოითხოვენ კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიასო» და ამ ახინჯებს ამ ციტატას იმით, რომ აგდებს იქიდან სიტყვას «ბუნდისტები» და ცვლის სიტყვებს: «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» სიტყვებით: «ეროვნული უფლებანი», — ჩვენ გაკვირვების მეტი არა დავგრჩენია რა!! ბ-ნი ლევ იურკევიჩი არა მარტო ნაციონალისტია, არა მარტო საოცრად უვიცია სოც.-დემოკრატების ისტორიისა და მათი პროგრამის ცოდნაში, არამედ ციტატების პირდაპირი გამყალბებელიც ბუნდის სარგებლობის გულისთვის. ცუდად ჰქონიათ საქმე ბუნდსა და ბატონ იურკევიჩებს!

თან (ამ «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» მიღება ებრაელობის ყველა ბურჟუაზიული პარტიის მიერ).

სრული თანასწორუფლებიანობის პრინციპთან განუყრელად არის დაკავშირებული ეროვნული უმცირესობის უფლებათა უზრუნველყოფა. «სევერნაია პრავდაში» დაბეჭდილ ჩემ სტატიასში ეს პრინციპი თითქმის იმნაირადვეა გამოთქმული, როგორც მარქსისტების თათბირის უფრო გვიანდელ, ოფიციალურ და უფრო ზუსტ გადაწყვეტილებაში. ეს გადაწყვეტილება მოითხოვს — «შეტანილ იქნას კონსტიტუციაში ძირითადი კანონი, რომლითაც გაუქმებულად ცხადდება ერთ-ერთი ერის რაიმეგვარი პრივილეგია და ეროვნული უმცირესობის უფლებათა რაიმეგვარი დარღვევა».

ბ-ნი ლიბმანი ცდილობს საცინლად აიგდოს ეს ფორმულირება და გვეკითხება: «საიდანღა ვიცით, თუ რაში მდგომარეობს ეროვნული უმცირესობის უფლებანი?». ეკუთვნის თუ არა ამ უფლებათა რიცხვს ეროვნულ სკოლებში «საკუთარი პროგრამის» უფლებათ? რაოდენ დიდი უნდა იყოს ეროვნული უმცირესობა, რომ მას ჰქონდეს თავისი მოსამართლეების, მოხელეების ყოლისა და დედაენაზე სკოლების მოწყობის უფლება? ბ-ნ ლიბმანს სურს ამ კითხვებიდან გამოიყვანოს «და დ ე ბ ი თ ი» ნაციონალური პროგრამის აუცილებლობა.

ნამდვილად კი ეს კითხვები თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ რანაირ რეაქციულ აზრებს აპარებს ჩვენი ბუნდისტი ვითომდა წვრილმან დეტალებსა და კერძო მხარეებზე კამათის საფარით.

«საკუთარი პროგრამა» თავის ეროვნულ სკოლაში!.. მარქსისტებს, პატივცემულო ნაციონალ-სოციალო, აქვთ ზოგადი სასკოლო პროგრამა, რომელიც, მაგალითად, მოითხოვს უეჭველად საერთო სკოლას. მარქსისტების თვალსაზრისით, დემოკრატიულ სახელმწიფოში არსად და არასოდეს დასაშვებია არ არის ამ ზოგადი პროგრამიდან გადახვევა (ხოლო მის შევსებას რომელიმე «ადგილობრივი» საგნებით, ენებით და სხვ. წყვეტს თვით ადგილობრივი მოსახლეობა). პრინციპიდან კი — «გამოიყოს სახელმწიფოს გამგებლობიდან» სასკოლო საქმე და გადაეცეს იგი ერებს — ის გამომდინარეობს, რომ ჩვენ, მუშები, ნებას ვაძლევთ «ერებს» ჩვენს, დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხის ფული კლერიკალურ სკოლებ-

ზე ხარკონ! ბ-მა ლიბმანმა, თავისდა შეუმჩნევლად, თვალნათლივ გვიჩვენა «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» რეაქციულობა!

«რაოდენ დიდი უნდა იყოს ეროვნული უმცირესობა?» ამას ვერ განსაზღვრავს ბუნდელებისათვის ასე სანუკვარი ავსტრიული პროგრამაც კი: მასში ნათქვამია (ჩვენსაზე უფრო მოკლედ და უფრო ნაკლები სიცხადით): — «ეროვნულ უმცირესობათა უფლებას იცავს განსაკუთრებული კანონი, რომელიც საიმპერიო პარლამენტმა უნდა გამოსცეს» (ბრიუნის პროგრამის § 4).

რატომ არავინ შეჰკინკლავებია ავსტრიელ სოც.-დემოკრატებს და არ უკითხავს, სახელდობრ როგორია ეს კანონი? სახელდობრ რომელი უმცირესობისათვის და სახელდობრ რა უფლებანი უნდა უზრუნველყოს მან?

იმიტომ, რომ ყველა გონიერ ადამიანს ესმის, თუ რა უადგილო და შეუძლებელია პროგრამაში წვრილმანების განსაზღვრა. პროგრამა მხოლოდ ძირითად პრინციპებს ადგენს. ამ შემთხვევაში ძირითადი პრინციპი ავსტრიელთა პროგრამაში ნაგულისხმევი, ხოლო პირდაპირ არის გამოხატული რუსეთის მარქსისტების უკანასკნელი თათბირის გადაწყვეტილებაში. ეს პრინციპია: არავითარი ეროვნული პრივილეგიებისა და არავითარი ეროვნული უთანასწორობის დაშვება.

ავიღოთ კონკრეტული მაგალითი, რათა განვუმარტოთ ბუნდელს ეს საკითხი. ქალაქ ს.-პეტერბურგში, 1911 წლის 18 იანვრის სასკოლო აღწერის მონაცემებით, სახალხო «განათლების» სამინისტროს დაწყებით სკოლებში იყო 48 076 მოსწავლე. მათში ებრაელი იყო 396, ე. ი. ერთ პროცენტზე ნაკლები. შემდეგ, რუმინელი მოსწავლე 2 იყო, ქართველი—1, სომეხი — 3 და სხვ. განა შესაძლებელია ისეთი «დადებითი» ნაციონალური პროგრამის შედგენა, რომელიც ურთიერთობათა და პირობათა ამ მრავალგვარობას დაიტევს? (პიტერი კი, რასაკვირველია, ეროვნულად ყველაზე «ჭრელი» ქალაქი როდია რუსეთში). მგონი, ეროვნულ «ნაირსახეობათა» სპეციალისტებიც კი, როგორც ბუნდელები არიან, ვერ შეადგენენ ასეთ პროგრამას.

ამავე დროს კი, სახელმწიფოს კონსტიტუციაში რომ იყოს ძირითადი კანონი, რომლის მიხედვითაც ძალა არ ექნება უმ-

ცირესობის უფლებათა დამრღვევ არც ერთ ღონისძიებას, — მაშინ ყოველ მოქალაქეს შეეძლება მოითხოვოს გაუქმება ისეთი განკარგულებისა, რომლითაც, ვთქვათ, უარყოფილი იქნებოდა ხაზინის ხარჯით ებრაული ენის, ებრაული ისტორიისა და სხვ. საგანგებო მასწავლებლების დაქირავება ანდა სალექციოდ სახაზინო შენობის მიცემა ებრაელი, სომეხი, რუმინელი ბავშვებისათვის, ერთი ქართველი ბავშვისთვისაც კი. ყოველ შემთხვევაში არაფერია შეუძლებელი იმ მხრივ, რომ დაკმაყოფილებულ იქნას თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ეროვნულ უმცირესობათა ყველა გონივრული და სამართლიანი სურვილი, და ვერავინ იტყვის, რომ თანასწორუფლებიანობის პროპაგანდა მავნე იყოს. პირიქით, ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დანაწილების პროპაგანდა, მაგალითად, პიტერში ებრაელი ბავშვებისათვის განსაკუთრებული ებრაული სკოლის პროპაგანდა — უთუოდ მავნებელი იქნებოდა, ხოლო ეროვნული სკოლების შექმნა ყოველი ეროვნული უმცირესობისათვის, 1, 2, 3 ბავშვისათვის — პირდაპირ შეუძლებელიც.

შეძდეგ, არაჯითარ საერთო-სახელმწიფო კანონში არ არის შესაძლებელი იმის განსაზღვრა, თუ რაოდენ დიდი უნდა იყოს ეროვნული უმცირესობა, რომ განსაკუთრებული სკოლის ან დამატებითი საგნებისათვის განსაკუთრებული მასწავლებლების მოწვევის უფლება ჰქონდეს და სხვ.

პირიქით, სავსებით შესაძლებელია თანასწორუფლებიანობის საერთო-სახელმწიფო კანონის დეტალურად შემუშავება და განვითარება სპეციალური კანონდებულებებით, საოლქო სემების, ქალაქების, ერობების, თემებისა და სხვ. დადგენილებებით.

6. ტენტრალიზაცია და ავტონომია

ბ-ნი ლიბმანი საპასუხოდ წერს:

«აიღეთ ჩვენში ლიტვა, ბალტიის მხარე, პოლონეთი, ვოლინი, სამხრეთი რუსეთი და სხვ., — თქვენ ყველგან შერეულ მოსახლეობას შეგხედებით; არ არის არც ერთი ქალაქი, სადაც არ იყოს დიდი ეროვნული უმცირესობა. რაგინდ ფართოდაც გატარდეს დეცენტრალიზაცია, ყველგან შეგხვდებით სხვადასხვა ადგილას (უმთავრესად ქალაქის თემებში) სხვადა-

სხვა ეროვნებანი ერთად, და სწორედ დემოკრატიზმი ეროვნულ უმცირესობას ხელში უდგდებს ეროვნულ უმრავლესობას. მაგრამ, როგორც ცნობილია, ვ. ი. მტრულად უცქერის სახელმწიფოს ასეთ ფედერაციულ მოწყობას და დაუსრულებელ დეცენტრალიზაციას, რასაც ადგილი აქვს შვეიცარიის კავშირში. საკითხავია, რისთვის დაასახელა მან შვეიცარიის მაგალითი?»

თუ რისთვის მოვიყვანე შვეიცარიის მაგალითი, ეს უკვე ზემოთ იყო განმარტებული. ასევე იყო განმარტებული, რომ ეროვნული უმცირესობის უფლებათა დაცვის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ საერთო-სახელმწიფო კანონის გამოცემით თანამიმდევრულ-დემოკრატიულ, თანასწორუფლებიანობის პრინციპის დამკველ სახელმწიფოში. მაგრამ მოყვანილ ციტატაში ბ-ნი ლიბმანი იმეორებს კიდევ ერთ-ერთ მეტად გავრცელებულ და მეტად არასწორ პასუხს (ანუ სკეპტიკურ შენიშვნას), რაც ჩვეულებრივ მოჰყავთ ხოლმე მარქსისტული ნაციონალური პროგრამის წინააღმდეგ და რაც ამიტომ განხილვის ღირსია.

მარქსისტები, რა თქმა უნდა, მტრულად უყურებენ ფედერაციასა და დეცენტრალიზაციას — იმ უბრალო მიზეზით, რომ კაპიტალიზმი თავისი განვითარებისათვის მოითხოვს რაც შეიძლება უფრო დიდ და რაც შეიძლება უფრო ცენტრალიზებულ სახელმწიფოებს. სხვა თანასწორ პირობებში, შეგნებული პროლეტარიატი ყოველთვის დაიცავს უფრო დიდ სახელმწიფოს. იგი ყოველთვის იბრძოლებს შუასაუკუნეობრივი პარტიკულარიზმის წინააღმდეგ, ყოველთვის მიესალმება რაც შეიძლება უფრო მჭიდრო ეკონომიურ გაერთიანებას ვრცელი ტერიტორიებისას, რომლებზედაც შესაძლებელი გახდებოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის ფართოდ გაშლა.

კაპიტალიზმის მიერ საწარმოო ძალთა ფართოდ და სწრაფად განვითარება მოითხოვს დიდ, სახელმწიფოებრივად შეკავშირებულ და გაერთიანებულ ტერიტორიებს, და მხოლოდ ასეთ ტერიტორიებზე, მოსპობს რა ყოველგვარ ძველ, შუასაუკუნეობრივ, წოდებრივ, ვიწრო-ადგილობრივ, წვრილ-ეროვნულ, სარწმუნოებრივ და სხვა ზღუდეებს, შესძლებს შეკავშირებას ბურჟუაზიის კლასი, — და მასთან ერთად მისი აუცილებელი ანტიპოდიც — პროლეტარების კლასი.

ერთა თვითგამორკვევის უფლების, ე. ი. გამოყოფისა და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უფლების შესახებ, ჩვენ ცალკე გვექნება ლაპარაკი*. მაგრამ, სანამ და რამდენადაც სხვადასხვა ერები ერთიან სახელმწიფოს შეადგენენ, მარქსისტები არავითარ შემთხვევაში არ იქადაგებენ არც ფედერაციულ პრინციპს და არც დეცენტრალიზაციას. ცენტრალიზებული დიდი სახელმწიფო არის შუასაუკუნეობრივი დაქსაქსულობიდან მთელი მსოფლიოს მომავალი სოციალისტური ერთობისაკენ წინგადადგმული უდიდესი ისტორიული ნაბიჯი, და სხვანაირად, თუ არ ამგვარი (კაპიტალიზმთან განუყრელად დაკავშირებული) სახელმწიფოს საშუალებით, არ არის და არც შეიძლება არსებობდეს გზა სოციალიზმისაკენ.

მაგრამ შეუწყნარებელი იქნებოდა იმის დავიწყება, რომ, როდესაც ცენტრალიზმს ვიცავთ, ჩვენ ვიცავთ მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიულ ცენტრალიზმს. ამის შესახებ ყველა მეშინებმა საზოგადოდ და ნაციონალისტურმა მეშინობამაც (განსვენებულმა დრაგომანოვმაც მათ შორის) ისეთი არევიდარევა შეიტანეს საკითხში, რომ ისევ და ისევ გვიხდება მის გარკვევაზე დროის ხარჯვა.

დემოკრატიული ცენტრალიზმი არა თუ არ გამორიცხავს ადგილობრივ თვითმმართველობას ისეთი ოლქების ავტონომიით, რომლებიც განსხვავდებიან განსაკუთრებული სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობებით, მოსახლეობის განსაკუთრებული ეროვნული შემადგენლობით და სხვ., არამედ პირიქით, აუცილებლად მოითხოვს ერთსა და მეორესაც. ჩვენში მუდამ ერთმანეთში ურევენ ცენტრალიზმს და თვითნებობასა და ბიუროკრატიზმს. რუსეთის ისტორიას, ბუნებრივია, ასეთი აღრევა უნდა გამოეწვია, მაგრამ მარქსისტისათვის იგი მაინც უთუოდ მიუტევებელია.

ამის ნათელყოფა ყველაზე უფრო ადვილად კონკრეტული მაგალითით შეიძლება.

როზა ლუქსემბურგი თავის ვრცელ სტატიაში: «ნაციონალური საკითხი და ავტონომია»**, მრავალ სასაცილო შეცდომათა შორის (მათ შესახებ — ქვემოთ), იმ განსაკუთრებით

* იხ. თხზ., ტომი 20, გვ. 479—560. რ ე დ.

** „Przegląd Socjaldemokratyczny“¹⁶. Krakow, 1908 და 1909.

სასაცილო შეცდომასაც სჩადის, რომ ცდილობს — ავტონომიის მოთხოვნა მარტოოდენ პოლონეთით განსაზღვროს.

მაგრამ ჯერ ვნახოთ, თუ როგორ განსაზღვრავს იგი ავტონომიას.

როზა ლუქსემბურგი აღიარებს — და, როგორც მარქსისტი, რა თქმა უნდა, ვალდებულიცაა აღიაროს, — რომ კაპიტალისტური საზოგადოების ყველა უმნიშვნელოვანესი და არსებითი ეკონომიური და პოლიტიკური საკითხი უნდა იყოს სრულიადაც არა ცალკეული ოლქების ავტონომიური სეიმების, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური, საერთო-სახელმწიფო პარლამენტის გამგებლობაში. ასეთ საკითხთა რიცხვს ეკუთვნის: საბაჟო პოლიტიკა, სავაჭრო-სამრეწველო კანონმდებლობა, გზები და ურთიერთობის საშუალებანი (რკინიგზები, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი და სხვ.), ჯარი, საგადასახადო სისტემა, სამოქალაქო* და სისხლის სამართლის, სასკოლო საქმის საერთო პრინციპები (მაგალითად, კანონი მხოლოდ საერო სკოლისა, საყოველთაო სწავლებისა, პროგრამის მინიმუმისა, სკოლის დემოკრატიული წესით მოწყობისა და სხვ. შესახებ), კანონმდებლობა შრომის დაცვის შესახებ, პოლიტიკურ თავისუფლებათა შესახებ (კოალიციის უფლება) და სხვ. და ა. შ.

ავტონომიური სეიმების გამგებლობაში უნდა იყოს — საერთო-სახელმწიფო კანონმდებლობის თანახმად — წმინდა-ადგილობრივი, საოლქო ან წმინდა-ეროვნული მნიშვნელობის საკითხები. როზა ლუქსემბურგი ამ აზრსაც დიდი — რომ არა ვთქვათ: მეტისმეტი — დეტალობით ავითარებს და მიუთითებს, მაგალითად, ადგილობრივი მნიშვნელობის რკინიგზების გაყვანაზე (№ 12, გვ. 149), ადგილობრივ გზატკეცილებზე (№ 14—15, გვ. 376) და სხვ.

სავსებით ცხადია, რომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ თანამედროვე მართლაც დემოკრატიული სახელმწიფო ასეთი ავტონომიის მიუნიციპალად ყოველი ოლქისათვის, რო-

* თავისი აზრის განვითარებაში როზა ლუქსემბურგი მიდის დეტალურამდე, ასახელებს რა, მაგ., — და სრულიად სამართლიანადაც — კანონმდებლობას განქორწინების შესახებ (№ 12, გვ. 162 ხსენებული ჟურნალისა).

მელიც განიჩევა რამდენადმე მაინც არსებითი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო თავისებურებებით, მოსახლეობის განსაკუთრებული ეროვნული შემადგენლობით და სხვ. პრინციპი ცენტრალიზმისა, რომელიც აუცილებელია კაპიტალიზმის განვითარების ინტერესებისათვის, არა თუ არ იბღალბა ამგვარი (ადგილობრივი და საოლქო) ავტონომიით, არამედ, პირიქით, სწორედ მისი საშუალებით ტარდება ცხოვრებაში — დემოკრატიულად, და არა ბიუროკრატიულად. კაპიტალიზმის ფართო, თავისუფალი, სწრაფი განვითარება შეუძლებელი გახდებოდა, ან ყოველ შემთხვევაში ფრიად დაბრკოლებოდა, თუ არ იქნა ასეთი ავტონომია, რომელიც აადვილებს კაპიტალთა კონცენტრაციასაც, საწარმოო ძალთა განვითარებასაც და ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის მჭიდროდ შეკავშირებასაც საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით. ვინაიდან წმინდა-ადგილობრივ (საოლქო, ნაციონალურ და სხვ.) საკითხებში ბიუროკრატიული ჩარევა საზოგადოდ ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთი უდიდესი დაბრკოლებაა და კერძოდ ერთ-ერთი დაბრკოლებაა ცენტრალიზმისათვის ყოველივე სერიოზულში, მნიშვნელოვანში, ძირითადში...

...უეჭველია, მოსახლეობის ერთიანი ეროვნული შემადგენლობა ერთ-ერთი უაღრესად საიმედო ფაქტორია თავისუფალი და ფართო, მართლაც თანამედროვე, სავაჭრო ბრუნვისათვის. უეჭველია, არც ერთი მარქსისტი — და არც ერთი მტკიცე დემოკრატიც კი — არ დაიწყებს ავსტრიის სამეფო მიწებისა და რუსეთის გუბერნიებისა და მაზრების დაცვას (ესენი არც ისე ცუდია, როგორც ავსტრიის სამეფო მიწები, მაგრამ მაინც მეტად ცუდია), სადავოდ არ გახდის იმას, რომ საჭიროა ამ მოძველებული დაყოფის შეცვლა, შეძლებისამებრ, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესაბამისად დაყოფით. ბოლოს, უეჭველია, რომ ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის მოსასპობად ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ავტონომიური, თუნდაც სულ მცირე ზომის ოლქების შექმნას მთლიანი, ერთიანი, ეროვნული შემადგენლობით, ამასთან ამ ოლქებისაკენ «გაიწვედნენ» და მათთან ურთიერთობაში იქნებოდნენ ყოველგვარი თავისუფალი კავშირებიც, ამავე ერის წევრები, სახელმწიფოს ანდა ძთელი ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში გაფანტულნი. ყო-

ველივე ეს უდავოა, ყოველივე ამაზე დავა შეიძლება მხოლოდ დახმავებულ-ბიუროკრატიული თვალსაზრისით.

მაგრამ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური ფაქტორია, ოღონდ არა ერთადერთი და არა უმნიშვნელოვანესი სხვა ფაქტორებს შორის. ქალაქები, მაგ., უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ როლს თამაშობენ კაპიტალიზმის დროს; ქალაქები კი ყველგან — პოლონეთშიც, ლიტვაშიც, უკრაინაშიც, ველიკოროსიაშიც და სხვ. — მოსახლეობის ყველაზე ჭრელი ეროვნული შემადგენლობით განირჩევიან. «ეროვნული» მომენტის გულისთვის ქალაქების მოწყვეტა მათკენ ეკონომიურად მიმსწრაფი სოფლებისა და ოლქებისაგან — უაზრობა და შეუძლებელი რამაა. ამიტომ მთლად და მარტოდენ «ნაციონალურ-ტერიტორიალისტური» პრინციპის ნიადაგზე დადგომა მარქსისტებს არ შეჰფერით.

და ავსტრიულზე ბევრად უფრო სწორია ამოცანის ის გადაჭრა, რომელიც დასახულია რუსეთის მარქსისტების უკანასკნელი თათბირის მიერ. ამ თათბირმა მოცემული საკითხისათვის შემდეგი დებულება წამოაყენა:

...«საჭიროა... ფართო საოლქო ავტონომია» (რასაკვირველია, არა მარტო პოლონეთისათვის, არამედ რუსეთის ყველა ოლქისათვის) «და სავსებით დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობა, ხოლო თვითმმართველი და ავტონომიური ოლქების საზღვართა განსაზღვრა მოხდეს» (ახლანდელი გუბერნიების, მაზრებისა და სხვ. საზღვრების მიხედვით კი არა), «სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა და სხვათა გათვალისწინებით თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ»*.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა აქ დაყენებულია სხვა (პირველ რიგში სამეურნეო, შემდეგ საყოფაცხოვრებო და სხვ.) პირობებთან ერთად, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ახალი საზღვრების დადგენას, რომლებიც შეეფერებიან თანამედროვე კაპიტალიზმს და არა კაზიონურობასა და აზიურობას, მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია სავსებით ზუსტად «გაითვალისწინოს» ყველა ეს პირობა, ხოლო ასეთი გათვალისწინების საფუძველზე სახელმწი-

* იხ. თხზ., ტომი 19, გვ. 506. რ ე დ.

ფოს ცენტრალური პარლამენტი გამოარკვევს ავტონომიური ოლქების საზღვრებს და ავტონომიური სემიების გამგებლობის ფარგლებს.

დაწერილია 1913 წ.

ვ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 20, გვ. 3—15, 21—29,
34—41, 44—46.

ს ტ ა ტ ი ა «კულტურულ-ნაციონალური» ავტონომიის შესახებ»

(ნაწყვეტი)

ეგრეთწოდებული «კულტურულ-ნაციონალური» ავტონომიის (სხვანაირად რომ ვთქვათ: «ისეთ დაწესებულებათა შექმნა, რომელნიც ნაციონალური განვითარების თავისუფლების გარანტიას იძლევიან») გეგმის ან პროგრამის დედაარსს შეადგენს სასკოლო საქმის დაყოფა ეროვნებათა მიხედვით.

ამ დედაარსზე მით უფრო დაყინებით უნდა ვილაპარაკოთ, რაც უფრო ხშირად ცდილობენ ყოველგვარი აშკარა და ფარული ნაციონალისტები (მათ შორის ბუნდელეები) გააბუნდოვანონ იგი.

ყოველი ერი, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობს მისი რომელიმე წევრი (დამოუკიდებლად ტერიტორიისა: აქედან წარმოსდგება სახელწოდება «ექსტერიტორიული», უმიწაწყლო ავტონომიისა), შეადგენს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ერთიან კავშირს, რომელიც განაგებს ნაციონალურ-კულტურულ საქმეებს. ამ საქმეებიდან მთავარია სასკოლო საქმე. ერის შემადგენლობის განსაზღვრა ყოველი მოქალაქის თავისუფლად ჩაწერით, დამოუკიდებლად მისი საცხოვრებელი ადგილისა, ყოველ ნაციონალურ კავშირში უზრუნველყოფს სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფის აბსოლუტურ სიზუსტეს და აბსოლუტურ თანამიმდევრობას.

იბადება კითხვა, მისაღებია თუ არა ასეთი დაყოფა საერთოდ დემოკრატიის თვალსაზრისით, და განსაკუთრებით პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით?

საკმარისია ნათლად წარმოვიდგინოთ «კულტურულ-ნაციო-

ნალური ავტონომიის» პროგრამის დედაარსი, რათა ამ კითხვას უყოყმანოდ ვუპასუხოთ,— შექველად მიუღებელია.

ვიდრე სხვადასხვა ერი ერთ სახელმწიფოში ცხოვრობს, მათ ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიური, უფლებრივი და საყოფაცხოვრებო ხასიათის მილიონობით და მილიარდობით ძაფი. როგორ უნდა ამოველიჯოთ სასკოლო საქმე ამ კავშირ-ერთიერთობიდან? შეიძლება თუ არა «გამოვეყოთ» იგი სახელ-მწიფოს «გამგებლობიდან», როგორც ამბობს, უაზრობის რე-ლიეფურად ხაზგასმის მხრივ, ბუნდის კლასიკური ფორმული-რება? თუ ეკონომიკა მჭიდროდ აკავშირებს ერთ სახელმწი-ფოში მცხოვრებ ერებს, მაშინ მათი ერთხელ და სამუდამოდ დაყოფის ცდა «კულტურული» და განსაკუთრებით სასკოლო საკითხების სფეროში უაზრო და რეაქციულია. პირიქით, უნდა მივალწიოთ იმას, რომ ერები შეერთდნენ სასკოლო საქ-მეში, რათა სკოლაში მზადდებოდეს ის, რაც ცხოვრებაში ხორციელდება. ამჟამად ჩვენ ვხედავთ ერთა არათანასწორუფ-ლებიანობას და მათი განვითარების დონის არაერთნაირობას; ასეთ პირობებში სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით და-ყოფა ფაქტიურად გარღვევალად იქცევა გაუარესე-ბად უფრო ჩამორჩენილი ერებისთვის. ამერიკის სამხრეთ, ყოფილ მონათმფლობელურ, შტატებში დღემდე გამოყოფენ ზანგების ბავშვებს განსაკუთრებულ სკოლებში, მაშინ როდეს-საც ჩრდილოეთში თეთრკანიანები და ზანგები ერთად სწავლო-ბენ. ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთში წარმოიშვა «ებრაული სკოლის ნაციონალიზაციის», ე. ი. სხვა ეროვნებათა ბავშვთა-გან ებრაელ ბავშვთა განსაკუთრებულ სკოლებში გამოყოფის პროექტი. ზედმეტი იქნება დავუმატოთ, რომ ეს პროექტი წარ-მოიშვა უაღრესად რეაქციულ, პურიშკევიჩულ წრეებში.

არ შეიძლება დემოკრატი იყო, თუ სასკოლო საქმის ეროვნ-ებათა მიხედვით დაყოფის პრინციპს იცავ. დაიხსომეთ: ჯერ-ჯერობით ჩვენ ვმსჯელობთ საერთო-დემოკრატიული, ე. ი. ბურ-ჟუაზიულ-დემოკრატიული თვალსაზრისით.

განუზომლად უფრო გადაჭრით გვიხდება გამოსვლა სას-კოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფის წინააღმდეგ პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით. ვინ არ იცის, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ერის კაპიტა-ლისტები უმჭიდროესად, განუყრელად ერთდებიან სააქციო

საწარმოებებად, კარტელებად და ტრესტებად, მრეწველთა კავშირებად და სხვ. ყოველი ეროვნების მუშების წინააღმდეგ ვინ არ იცის, რომ ყოველ კაპიტალისტურ საწარმოში — დაწყებული უზარმაზარი ქარხნებით, მალარობით და ფაბრიკებით, განგრძობილი სავაჭრო ფირმებით და გათავებული კაპიტალისტური მიწათმფლობელური მეურნეობებით — ჩვენ ყოველთვის, სრულიად გამოუკლებლივ, ვხედავთ მუშების მეტ ნაციონალურ სიჭრელეს, ვიდრე მიყრუებულ, მყუდრო, მძინარა სოფელში?

ქალაქის მუშას, რომელიც ყველაზე უკეთ იცნობს განვითარებულ კაპიტალიზმს და რომელსაც ყველაზე ღრმად შეუთვისებია მთელი თავისი ცხოვრებიდან და შესაძლოა დედის რძესთან ერთად შეუწოვია კლასობრივი ბრძოლის ფსიქოლოგია, — ასეთ მუშას უნებლიეთ და გარდუვალად ებადება აზრი, რომ ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დაყოფა არაა თუ მავნე წამოწყებაა კაპიტალისტების მხრივ, არამედ პირდაპირ თაღლითურიც, შარლატნურიც. მუშები შეიძლება დაქსაქსო, დაყო, შეასუსტო ასეთი იდეის ქადაგებით, კიდევ უფრო მეტად ერების მიხედვით სახალხო სკოლების დაყოფით, კაპიტალისტებს კი, რომელთა ბავშვები ჩინებულად არიან უზრუნველყოფილი მდიდარი კერძო სკოლებით და საგანგებოდ დაქირავებული მასწავლებლებით, ვერავითარი «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» ვერავითარ შემთხვევაში ვერავითარი დაქსაქსვით, ვერავითარი შესუსტებით ვერ დაემუქრება.

სინამდვილეში «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია», ე. ი. ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის აბსოლუტურად წმინდა და თანამიმდევარი დაყოფა, მოგონილია არა კაპიტალისტების (ჯერჯერობით ისინი უფრო უხეშ ხერხებს იყენებენ მუშების დასაყოფად), არამედ ავსტრიის ლბორტუნისტული, მეშჩანური ინტელიგენციის მიერ. დასავლეთ ევროპის არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც ჭრელი ეროვნული შემადგენლობაა, ამ გენიალურად-მეშჩანური და გენიალურად-ნაციონალისტური იდეის ხსენებაც კი არ არის. მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპაში, ჩამორჩენილ, ფეოდალურ, კლერიკალურ, მოხელურ ავსტრიაში, სადაც ყოველგვარი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება შეფერხებულია

უბადრუკი წვრილმანი კინკლაობით (უფრო უარესიც: შუთით, ცემა-ტყეპით) ენების გამო, გაჩნდა სასოწარკვეთილი წვრილი ბურჟუის ეს იდეა. გადავტიხროთ მაინც ერთხელ და სამუდამოდ ყველა ერი აბსოლუტური სიწმინდით და თანამიმდევრობით «ეროვნულ კურიებად» სასკოლო საქმეში, თუკი შეუძლებელია კატისა და ძაღლის შერიგება! — აი ფსიქოლოგია, რომელმაც წარმოშვა სულელური «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია». პროლეტარიატი, რომელსაც შეგნებული აქვს და რომელიც აფასებს თავის ინტერნაციონალიზმს, არასოდეს არ დასთანხმდება დახვეწილი ნაციონალიზმის ამ სისულელეს.

შემთხვევითი როდია, რომ რუსეთში «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» მიიღეს მხოლოდ ებრაელობის ყველა ბურჟუაზიულმა პარტიამ, შემდგომ (1907 წ.) სხვადასხვა ერის¹⁷ წვრილბურჟუაზიული, მემარცხენე ნაროდნიკული პარტიების კონფერენციამ და, ბოლოს, მარქსისტების შორიახლო ჯგუფთა მეშჩანურმა, ოპორტუნისტულმა ელემენტებმა, ე. ი. ბუნდელეებმა და ლიკვიდატორებმა (უკანასკნელთ შეეშინდათ კიდევ ეს ექნათ პირდაპირ აშკარად, სავსებით გარკვეულად). შემთხვევითი როდია, რომ სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან მხოლოდ ნაციონალიზმით შეპყრობილი ნახევრადლიკვიდატორი ჩხენკელი და წვრილი ბურჟუა კერენსკი ლაპარაკობდნენ «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიაზე»...

რუსეთის მუშათა კლასი იბრძოდა და იბრძოლებს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» რეაქციული, მავნე, მეშჩანური, ნაციონალისტური იდეის წინააღმდეგ.

დაბეჭდილია 1913 წ.

ვ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 19, გვ. 601—606.

წერილი ს. ზ. შაუშიანს

1913 წ. 6. XII

1. თქვენ მომხრე ხართ იმისა, რომ რუსეთში იყოს სახელმწიფო ენა. ეს «საჭიროა; მას ჰქონდა და ექნება დიდი პროგრესული მნიშვნელობა». ოდნავადაც არ გეთანხმებით.

მე ამის შესახებ დიდი ხანია დავწერე «პრავდაში»* და ჩემი აზრი ჯერჯერობით არავის უარუყვია. თქვენი მოსაზრება სრულიად არ მაჯერებს, — პირიქით. რუსულ ენას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა უამრავი წვრილი და ჩამორჩენილი ერისთვის — ეს უდავოა. მაგრამ ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მას მეტი პროგრესული მნიშვნელობა ექნებოდა, იძულება რომ არ ყოფილიყო? მერე, განა «სახელმწიფო ენა» არ ნიშნავს იმ ჯოხს, რომლითაც იგერიებენ რუსულ ენას?? როგორ არ გინდათ გაიგოთ ის ფსიქოლოგია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნაციონალურ საკითხში და რომელიც სულ მცირედი იძულებისას ბილწავს, აუწმინდურებს, არაადა აქცევს ცენტრალიზაციის, დიდი სახელმწიფოების, ერთიანი ენის უდავო პროგრესულ მნიშვნელობას?? მაგრამ კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკა, ეიდრე ფსიქოლოგია: რუსეთში უკვე არის კაპიტალისტური ეკონომიკა, რაც საჭიროდ ხდის რუსულ ენას. თქვენ კი არა გწამთ ეკონომიკის ძალა და გინდათ ვიგინდარა პოლიციელთა ყავარჯნებით «გაამაგროთ» ეკონომიკა?? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ამით თქვენ ამახინჯებთ ეკონომიკას, აფერხებთ მას?? ნუთუ გათახსირებული პოლიციელობის თავიდან მოშორება არ გაათაყვეებს (გაათასკეცებს) რუსული ენის დაცვისა და გავრცელების თავისუფალ კავშირებს?? არა, აბსოლუტურად არ გეთანხმებით და ბრალად გდებთ königlich preußischer Sozialismus**-ს!

2. თქვენ წინააღმდეგი ხართ ავტონომიისა. თქვენ მხარს უჭერთ მხოლოდ საოლქო თვითმმართველობას. სრულიად არ გეთანხმებით. მოიგონეთ ენგელსის განმარტება, რომ ცენტრალიზაცია სრულიადაც არ გამორიცხავს ადგილობრივ «თავისუფლებათ». რატომ უნდა მიეცეს ავტონომია პოლონეთს, ხოლო კავკასიას, სამხრეთსა და ურალს არა?? ავტონომიის ფარგლებს ხომ ცენტრალური პარლამენტი განსაზღვრავს! ჩვენ დემოკრატიულ ცენტრალიზმს უჭერთ მხარს, უსათუოდ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ფედერაციისა. ჩვენ

* იხ. თხზ., ტომი 19, გვ. 416—420. რ ე დ.

** — მეფურ-პრუსიულ სოციალიზმს. რ ე დ.

მხარს ვუჭერთ იაკობინელებს ყირონდისტების წინააღმდეგ. მაგრამ ავტონომიის შიში — რუსეთში... რას ბრძანებთ, ეს სასაცილოა! ეს რეაქციულია. მომიყვანეთ მაგალითი, მოიგონეთ მაგალითი, სადაც ავტონომიას შეუძლია ზიანი მოიტანოს! ვერ მოიყვანთ. ხოლო ვიწრო გაგება: მხოლოდ თვითმმართველობა რუსეთში (და პრუსიაში) ხელსაყრელია არამზადა პოლიციელობისთვის.

3. «თვითგამორკვევის უფლება მარტო გამოყოფის უფლებას როდი ნიშნავს. ის ნიშნავს აგრეთვე ფედერაციული კავშირის უფლებას, ავტონომიის უფლებასო» — იწერებით თქვენ. აბსოლუტურად არ გეთანხმებით. ის არ ნიშნავს ფედერაციის უფლებას. ფედერაცია არის თანასწორთა კავშირი, კავშირი, რომელიც მოითხოვს საერთო თანხმობას. როგორ შეიძლება იყოს ერთი მხარის უფლება, რომ მას დაეთანხმოს მეორე მხარე?? ეს აბსურდია. პრინციპულად ჩვენ წინააღმდეგი ვართ ფედერაციისა — ის ასუბტებს ეკონომიურ კავშირს, ის უვარგისი ტიპია ერთი სახელმწიფოსთვის. გინდა გამოიყო? ეშმაკისკენაც გიქნია პირი, თუ შეგიძლია გაწყვიტო ეკონომიური კავშირი, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თუ «თანაცხოვრების» უღელი და შეხლა-შემოხლა ისეთია, რომ ეს აფუჭებს და ღუბავს ეკონომიური კავშირის საქმეს. არ გინდა გამოიყო? მაშინ უკაცრავად, ჩემს მაგივრად ნუ გადაწყვეტ, ნუ ფიქრობ, თითქოს ფედერაციის «უფლება» გქონდეს.

«ავტონომიის უფლება»?? არც ეს არის სწორი. ჩვენ ავტონომიის მომხრე ვართ ყველა ნაწილისთვის, ჩვენ გამოყოფის უფლების მომხრე ვართ. (და არა ყველას გამოყოფის მომხრე!). ავტონომია არის დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობის ჩვენი გეგმა. გამოყოფა სრულიადაც არ არის ჩვენი გეგმა. ჩვენ სრულიადაც არ ვქადაგებთ გამოყოფას. საერთოდ, ჩვენ წინააღმდეგი ვართ გამოყოფისა. მაგრამ ჩვენ მომხრე ვართ გამოყოფის უფლებისა შავრახმული ველიკორუსული ნაციონალიზმის გამო, რომელმაც ისე წაბილწა ნაციონალური თანაცხოვრების საქმე, რომ ზოგჯერ მეტი კავშირი იქნება თავისუფალი გამოყოფის შემდეგ!

თვითგამორკვევის უფლება გამონაკლისია ცენტრალიზმის ჩვენი ზოგადი წინამძღვრისა. ეს გამონაკლისი უსა-

თუოდ საჭიროა შავრაზმული ველიკორუსული ნაციონალიზმის არსებობის გამო, და ოდნავი უარისთქმა ამ გამონაკლისზე ოპორტუნიზმია (როგორც ეს მოსდის როზა ლუქსემბურგს), სულელური ხელის შეწყობაა ველიკორუსული შავრაზმული ნაციონალიზმისა. მაგრამ გამონაკლისი ფართოდ არ უნდა გავიგოთ. არაფერი, აბსოლუტურად არაფერი გარდა გამოყოფის უფლებისა აქ არ არის და არც უნდა იყოს.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 19, გვ. 596—600.

კადეტები და «ხალხთა თვითგამორკვევის უფლება»

მიმდინარე წლის ზაფხულში გაზეთმა «რეჩმა», რუსეთის ლიბერალების მთავარმა ორგანომ, მოათავსა ბ-ნ მიხ. მოგილიანსკის სტატია სტუდენტობის სრულიად უკრაინის ლეგვის ყრილობის შესახებ. გაზეთ «რაბოჩაია პრავდაში» აღნიშნული იყო, რომ ბ-მა მოგილიანსკიმ სრულიად შეუწყნარებელი საქციელი გამოიჩინა (შეუწყნარებელი დემოკრატიისთვის ან ისეთი ადამიანისთვის, რომელსაც დემოკრატად მოაქვს თავი) და საღანძღავი სიტყვებით გაუმასპინძლდა უკრაინულ სეპარატიზმს, რასაც, სხვათა შორის, ჭადაგებდა ბ-ნი დონცოვი*. მაშინვე პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ ლაპარაკია სრულიადაც არა იმაზე, ვეთანხმებით თუ არ ვეთანხმებით ბ-ნ დონცოვს, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებს მრავალი უკრაინელი მარქსისტი. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ შეუწყნარებელია ლანძღვა-გინება «სეპარატიზმისა», როგორც «ბოდვისა» და ავანტიურიზმისა, რომ ეს არის შოვინისტური ხერხი, რომ, როცა ველიკორუსი დემოკრატი სეპარაციის (გამოყოფის) ამა თუ იმ გეგმას აკრიტიკებს, ის ვალდებულია იქადაგოს გამოყოფის თავისუფლება, გამოყოფის უფლება.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს არის პრინციპული, პროგრამული საკითხი, რომელიც ეხება საერთოდ დემოკრატიის ვალდებულებებს.

* იხ. თხზ., ტომი 19, გვ. 309—311. რ ე დ.

და აი ახლა, ნახევარი წლის შემდეგ, ბ-ნი მიხ. მოგილიანსკი კვლავ ამ მუხლის გამო გამოდის «რეჩში» (№ 331) და გვიპასუხებს არა ჩვენ, არამედ უპასუხებს ბ-ნ დონცოვს, რომელიც მკაცრად ეკვეთა «რეჩს» ლვოვის გაზეთში «შლიახი»¹⁸ და ამავე დროს აღნიშნა, რომ ««რეჩის» შოვინისტურ გამოსვლას სათანადო სამარცხვინო დალი დაასვა მხოლოდ რუსულმა სოციალ-დემოკრატიულმა პრესამო».

ბ-ნი მოგილიანსკი უპასუხებს ბ-ნ დონცოვს და სამჯერ აცხადებს, რომ «ბ-ნ დონცოვის რეცეპტების კრიტიკას საერთო არაფერი აქვს ერთა თვითგამორკვევის უფლებების უარყოფასთან».

ლიბერალური «რეჩის» თანამშრომლის ეს განცხადება მეტისმეტად საყურადღებოა, და ჩვენც ვთხოვთ ამხანაგებს განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან მას. რაც უფრო იშვიათად თანხმდებიან ბატონი ლიბერალები გაცვეთილი პოლიტიკურ-ოპოზიციური ჭორიდან გადავიდნენ დემოკრატიის ძირითად და არსებით ჭეშმარიტებათა დაღვენასა და ანალიზზე, მით უფრო დაჟინებით უნდა მოვეუწოდოთ სერიოზულად შეაფასონ ასეთი გადასვლის ყოველი შემთხვევა.

აღიარებს თუ არა ჩვენი კონსტიტუციურ-«დემოკრატიული» პარტია ერთა თვითგამორკვევის უფლებას? — აი საინტერესო საკითხი, რომელსაც უცაბედად შეეხო ბ-ნი მოგილიანსკი.

ის სამჯერ აკეთებს თავის შენიშვნას, მაგრამ პირდაპირ პასუხს ამ კითხვაზე არ იძლევა! მან კარგად იცის, რომ ვერც კადეტთა პარტიის პროგრამაში, ვერც ამ პარტიის ყოველდღიურ პოლიტიკურ ქადაგებაში (პროპაგანდასა და აგიტაციაში) ვერ იპოვი პირდაპირს, ზუსტს, ნათელ პასუხს ამ კითხვაზე.

*უნდა ითქვასო; — წერს ბ-ნი მოგილიანსკი, — რომ «ერთა თვითგამორკვევის უფლება» არ წარმოადგენს რალაც ფეტიშს, რომლის გაკრიტიკება არ შეიძლებოდა: ერის ცხოვრების არაჩანსალ პირობებს შეუძლია წარმოშვას არაჩანსალი ტენდენციები ერის თვითგამორკვევაში, და ამ ტენდენციების გამოაშკარაება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ უარყოფთ ერთა თვითგამორკვევის უფლება».

აი ნიმუში იმ ლიბერალური ფანდებისა, რომელთა გადამღერებას თქვენ შეხვდებით ბატონ სემკოვსკების სტატიებში ლიკვიდატორთა გაზეთის ფურცლებზე! რა თქმა უნდა, ბ-ნო

მოგილიანსკი, არც ერთი დემოკრატიული უფლება არ არის «ფეტიში», არც ერთ მათგანში არ უნდა დავივიწყოთ, მაგალითად, კლასობრივი ხასიათი. ყველა საერთო დემოკრატიული მოთხოვნა ბუ რჟუ აზ ი უ ლ-დემოკრატიული მოთხოვნაა, მაგრამ აქედან მხოლოდ ანარქისტებსა და ოპორტუნისტებს შეუძლიათ გამოიყვანონ ის დასკვნა, რომ პროლეტარიატი ამ მოთხოვნების უალრესად თანამიმდევარი დაცვის წინააღმდეგი უნდა იყოსო.

რასაკვირველია, ერთი საქმეა თვითგამორკვევის უფლება, და სხვაა ამა თუ იმ ერის ამა თუ იმ შემთხვევაში თვითგამორკვევის, გამოყოფის მიზანშეწონილობა. ეს ანაბანაა. მაგრამ სცნობს თუ არა ბ-ნი მოგილიანსკი, სცნობენ თუ არა რუსეთის ლიბერალები, სცნობს თუ არა კადეტთა პარტია, რომ დემოკრატის მოვალეობას შეადგენს უქადაგოს მასებს — განსაკუთრებით ველიკორუსებს — ამ უფლების დიდი მნიშვნელობა? მისი საარსებო საჭიროება?

არა, არა და არა. აი რას უვლის გვერდს, აი რას ფარავს ბ-ნი მოგილიანსკი. აი სად მარხია კადეტების ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ერთ-ერთი ფესვი — არა მარტო სტრუვეს, იზგოვეისა და სხვა გულანდილი კადეტებისა, არამედ კადეტთა პარტიის დიპლომატებისაც, როგორცაა მილიუკოვი, და ამ პარტიის ობივატელებისა, როგორც არიან... მაგრამ სახელების ჩამოთვლას მნიშვნელობა არა აქვს!

რუსეთის მეგნებულ მუშას არ დაავიწყდება, რომ გარდა ნაციონალ-რეაქციონერებისა ჩვენში არიან კიდევ ნაციონალ-ლიბერალებიც, ჩნდება ნაციონალ-დემოკრატიზმის ჩანასახებიც (მოიგონეთ ბ-ნი პეშეხონოვი 1906 წლის «რუსკოე ბოგატსტვოს» მე-8 ნომერში, სადაც ის მოუწოდებს «ფრთხილად» მოეპყარით ველიკორუსი გლეხის ნაციონალისტურ ცრურწმენას).

ნაციონალიზმის ყველა ფორმის იარასთან საბრძოლველად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თვითგამორკვევის უფლების ქადაგებას.

დაბეჭდილია 1913 წ.

ვ. ი. ლენინი. თბზ.,
ტ. 19, გვ. 628—631.

ს ტ ა ტ ი ა «რსდმ პარტიის ნაციონალური პროგრამის შესახებ»

(ნაწყვეტი)

ნაციონალურ საკითხში ძველი «ისკრა», რომელიც 1901 — 1903 წლებში ამზადებდა და რომელმაც მოამზადა რსდმ პარტიის პროგრამა რუსეთის მუშათა მოძრაობის თეორიასა და პრაქტიკაში მარქსიზმის პირველ და ძირითად დასაბუთებასთან ერთად, ებრძოდა, როგორც დანარჩენ საკითხებშიც, წერილბურჟუაზიულ ოპორტუნიზმს. ეს ოპორტუნიზმი გამოიხატებოდა პირველ რიგში ბუნდის ნაციონალისტური გატაცებით თუ მერყეობით. ბუნდის ნაციონალიზმს შეუპოვრად ებრძოდა ძველი «ისკრა», და ამ ბრძოლის დავიწყება იმას ნიშნავს, რომ კვლავ ივანე გულმაივიწი გახდეს, მოსწყდეს რუსეთის მთელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის ისტორიულ და იდეურ ბაზას.

მეორე მხრივ, 1903 წლის აგვისტოში მეორე ყრილობაზე რსდმ პარტიის პროგრამის საბოლოოდ დამტკიცების დროს წარმოებდა ბრძოლა, — რაც არ არის აღნიშნული ყრილობის ოქმებში, რადგან ეს ხდებოდა ს ა პ რ ო გ რ ა მ ო კ ო მ ი ს ი ა შ ი, რომელსაც თითქმის მთელი ყრილობა ესწრებოდა, — წარმოებდა ბრძოლა რამდენიმე პოლონელი სოციალ-დემოკრატის უხეში ცდის წინააღმდეგ — საექვოდ „გაქნადათ «ერთი თვითგამორკვევის უფლება», ე. ი. სულ სხვა მხრივ ჩაფლულიყვნენ ოპორტუნიზმსა და ნაციონალიზმში.

და ახლაც, ათი წლის შემდეგ, ბრძოლა წარმოებს იმავე ორი ძირითადი ხაზით, რაც თავის მხრივ ასევე ამტკიცებს, რომ ეს ბრძოლა ღრმად არის დაკავშირებული რუსეთის ნაციონალური საკითხის მთელ ობიექტურ პირობებთან.

ავსტრიაში ბრიუნის ყრილობაზე (1899) უ ა რ ყ ვ ე ს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» პროგრამა (რომელსაც იცავდნენ კრისტანი, ელენბოგენი და სხვები და რაც გამოხატული იყო სამხრეთ სლავთა პროექტში). მიღებულია ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი ნაციონალური ავტონომია და მხოლოდ სოციალ-დემოკრატიის პროპაგანდა ყველა ნაციონალური ოლქის სავალდებულო კავშირის სასარგებლოდ წარმოადგენს

კომპრომისს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» იდეის მიმართ. ამ იდეის მიუყენებლობა ებრაელობისადმი საგანგებოდ და სპეციალურად არის ხაზგასმული ამ ავბედითი იდეის მთავარ თეორეტიკოსთა მიერ.

რუსეთში — როგორც ყოველთვის — გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ამოცანად დაისახეს პატარა ოპორტუნისტული შეცდომა ოპორტუნისტული პოლიტიკის სისტემაში გაეზვიადებინათ. როგორც ბერნშტეინმა გერმანიაში წარმოშვა რუსეთის მემარჯვენე კადეტები — სტრუვე, ბულგაკოვი, ტუგანი და კომპანია, ასევე ოტო ბაუერის მიერ «ინტერნაციონალიზმის დავიწყებამ» (არქიტფრთხილი კაუცკის შეფასებით) წარმოშვა რუსეთში ის, რომ ებრაელობის ყველა ბურჟუაზიულმა პარტიამ და მთელმა რიგმა წვრილ-ბურჟუაზიულმა მიმდინარეობებმა (ბუნდი და ესერული ნაციონალური პარტიების კონფერენცია 1907 წელს) «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» სრულად მიიღეს. ჩამორჩენილი რუსეთი იძლევა, ასე თქვათ, იმის მაგალითს, თუ დასავლეთ ევროპის ოპორტუნისმის მიკრობები როგორ წარმოშობენ ჩვენს ველურ ნიადაგზე მთელ ეპიდემიებს.

ჩვენში უყვართ ლაპარაკი, რომ ბერნშტეინს «ითმენენ» ევროპაშიო, მაგრამ ავიწყდებათ დაურონ, რომ არსად ქვეყნად, გარდა «კუთხეული» დედა-რუსეთისა, ბერნშტეინელობას არ წარმოუშვია სტრუვიზმი, ხოლო «ბაუერიანობას» არ გამოუწვევია ებრაელი ბურჟუაზიის დახვეწილი ნაციონალიზმის გამართლება სოციალ-დემოკრატიების მხრივ.

«კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» ნიშნავს სწორედ ფრიად დახვეწილ და ამიტომ ფრიად მავნე ნაციონალიზმს, ნიშნავს მუშების გახრწნას ნაციონალური კულტურის ლოზუნგით, ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დიდად მავნე და ანტიდემოკრატიული დაყოფის პროპაგანდას. ერთი სიტყვით, ეს პროგრამა უცილობლად ეწინააღმდეგება პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმს და შეესაბამება მხოლოდ ნაციონალისტ მეუჩანთა იდეალებს.

მაგრამ არის ერთი შემთხვევა, როდესაც მარქსისტები ვალდებული არიან, თუ მათ არა სურთ უღალატონ დემოკრატიას და პროლეტარიატს, დაიცვან ერთი სპეციალური

მოთხოვნა ნაციონალურ საკითხში, სახელდობრ: ერთა თვით-გამორკვევის უფლება (რსდმ პარტიის პროგრამის § 9), ე. ი. პოლიტიკური გამოყოფის უფლება.

«თვითგამორკვევის უფლება» ნიშნავს ისეთს დემოკრატიულ წყობილებას, სადაც საერთოდ არათუ დემოკრატიკენებოდა, არამედ სპეციალურად შეუძლებელიც იქნებოდა გამოყოფის საკითხის არადემოკრატიული გადაწყვეტა. დემოკრატია, საერთოდ რომ ვთქვათ, ეთავსება მებრძოლ და მჩაგვრელ ნაციონალიზმს. პროლეტარიატი მოითხოვს ისეთ დემოკრატიას, რომელიც გამოირიცხავს სახელმწიფოს ფარგლებში ერთ-ერთი ერის ძალით შენარჩუნებას. ამიტომ, «თვითგამორკვევის უფლება რომ არ დავარდვიოთ», ვალდებული ვართ ხმა «მივცეთ» არა «გამოყოფის სასარგებლოდ», როგორც ამას ფიქრობს საზრიანი ბ-ნი სემკოვსკი, არამედ ხმა მივცეთ იმას, რომ გამოსაყოფ ოლქს ნება მიეცეს თვითონვე გადაწყვიტოს ეს საკითხი...

თვითგამორკვევის უფლების აღიარება «ხელსაყრელია» «გაქანებული ბურჟუაზიული ნაციონალიზმისთვისო», გვარწმუნებს ბ-ნი სემკოვსკი. ეს ბავშვური სისულელეა, რადგან ამ უფლების აღიარება სრულიადაც არ გამოირიცხავს არც პროპაგანდასა და აგიტაციას გამოყოფის წინააღმდეგ. არც ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოამჟაარავებას. სამაგიეროდ სავსებით უდავოა, რომ გამოყოფის უფლების უარყოფა «ხელსაყრელია» გაქანებული ველიკორუსული შავრაზმული ნაციონალიზმისთვის.

როზა ლუქსემბურგის სასაცილო შეცდომის არსიც სწორედ ის არის, რომ იმის შიშით, ვაითუ ხელი შევუწყოთ ჩაგრულ ერთა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმსო, ხელს უწყობენ მჩაგვრელი ერის არა მარტო ბურჟუაზიულ, არამედ შავრაზმულ ნაციონალიზმსაც,— ამის გამო როზა ლუქსემბურგი დიდი ხანია სასაცილოდ აიგდო როგორც გერმანიის, ისე რუსეთის (1903 წ. აგვისტო) სოციალ-დემოკრატიამ.

ბ-ნი სემკოვსკი რომ ასე ქალწულებრივ უმანკო არ იყოს პარტიის ისტორიისა და პარტიის პროგრამის საქმეებში, ის მიხვდებოდა, რომ ვალდებული იყო გაებათილებინა პლენარნოვი, რომელმაც 11 წლის წინათ, როცა «ზარიაში» იცავდა რსდმ პარტიის პროგრამის პროექტს (რომელიც პროგრამა

გახდა 1903 წლიდან), სპეციალურად გამოყო (გვ. 38) თვითგამორკვევის უფლების აღიარება და მის შესახებ დაწერა:

«ეს მოთხოვნა — რომელიც ბურჟუაზიული დემოკრატებისთვის სავალდებულო არ არის თეორიაშიც კი — სავალდებულოა ჩვენთვის, როგორც სოციალ-დემოკრატებისთვის. ჩვენ რომ ის დაგვევიწყნა ან ვერ გავგებდნა მისი წამოყენება იმის შიშით, რომ არ შეგველახა ველიკორუსთა ტომის თანამემამულეთა ნაციონალური ცრურწმენა, მაშინ სამარცხვინო სიცრუე იქნებოდა, რომ ჩვენი პირით გვეთქვა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის საბრძოლო ლოზუნგი: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!»».

პლენანოვი ჯერ კიდევ «ზარიაში» აყენებს ძირითად მოსაზრებას, რომელიც დაწვრილებით განვითარებულია თათბირის რევოლუციაში, — მოსაზრებას, რომლისთვისაც ბატონ სემკოვსკებს 11 წლის განმავლობაში არ მიუქცევიათ ყურადღება. რუსეთში 43% ველიკორუსია, მაგრამ ველიკორუსული ნაციონალიზმი ბატონობს მოსახლეობის 57 პროცენტზე და ახშობს ყველა ერს. ნაციონალ-რეაქციონერებს უკვე შეუერთდნენ ჩვენში ნაციონალ-ლიბერალები (სტრუვე და კომპანია. პროგრესისტები და სხვ.) და გამოჩნდნენ ნაციონალ-დემოკრატიზმის «პირველი მერცხლები» (მოიგონეთ ბ-ნ პეშხონოვის 1906 წლის აგვისტოს მოწოდება — ფრთხილად მოეპყარით გლეხის ნაციონალისტურ ცრურწმენას).

რუსეთში მხოლოდ ლიკვიდატორები სცნობენ დამთავრებულად ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, ხოლო ყველგან ამ ქვეყნად ასეთი რევოლუციის თანამგზავრი იყო და არის ნაციონალური მოძრაობა. რუსეთში სწორედ მთელრიგ განაპირა მხარეებში ჩვენ ვხედავთ დაჩაგრულ ერებს, რომლებიც მეზობელ სახელმწიფოებში მეტი თავისუფლებით სარგებლობენ. ცარიზმი მეზობელ სახელმწიფოებზე უფრო რეაქციულია, იგი უდიდეს დაბრკოლებას უქმნის თავისუფალ ეკონომიურ განვითარებას და მთელი ძალ-ღონით აღვივებს ველიკორუსთა ნაციონალიზმს. რა თქმა უნდა, მარქსისტი, სხვა თანაბარ პირობებში, ყოველთვის უპირატესობას აძლევს მსხვილ სახელმწიფოებს, ვიდრე წვრილებს. მაგრამ სასაცილო და რეაქციულია, რომ აზრადაც კი გავივლოთ მეფის მონარქიის პირობებისა და ყველა ევროპული და აზიის უმრავლესი ქვეყნების პირობების თანაბრობა.

ამიტომ თანამედროვე რუსეთში ერთა თვირგამორკვევის უფლების უარყოფა წარმოადგენს უეჭველ ოპორტუნიზმსა და დღემდე ყოვლად ძლიერი შავრაზმული ველიკორუსული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელის აღებას.

დაბეჭდილია 1913 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 19, გვ. 646—653.

კიდევ სასკოლო საქმის დაყოფის შესახებ ეროვნებათა მიხედვით

მარქსისტები გადამწყვეტ ბრძოლას ეწევიან ყოველგვარი სახის ნაციონალიზმის წინააღმდეგ, დაწყებული ჩვენი მმართველი წრეებისა და მემარჯვენე ოქტიაბრისტული პარტიების უხეში, რეაქციული ნაციონალიზმით თვით ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების მეტ-ნაკლებად დახვეწილი და ფარული ნაციონალიზმის ჩათვლით.

რეაქციული ანუ შავრაზმული ნაციონალიზმი ცდილობს უზრუნველყოს ერთ-ერთი ერის პრივილეგიები, ყველა დანარჩენ ერს კი უქმნის დაქვემდებარებულ, არათანასწორუფლებიან და სრულიად უუფლებო მდგომარეობასაც კი. არც ერთ მარქსისტსა და არც ერთ დემოკრატსაც კი არ შეუძლია ასეთ ნაციონალიზმს სავსებით მტრულად არ მოეკიდოს.

ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნაციონალიზმი სიტყვიერად აღიარებს ერთა თანასწორუფლებიანობას, მაგრამ საქმით იცავს (ხშირად ფარულად, ხალხის ზურგს უკან) ერთ-ერთი ერის ზოგიერთ პრივილეგიას და ყოველთვის ცდილობს მეტი სარფა მოუპოვოს «თავის» ერს (ე. ი. თავისი ერის ბურჟუაზიას), დაყოს და გამიჯნოს ერები, განავითაროს ნაციონალური განკერძოებულობა და სხვ. ბურჟუაზიული ნაციონალიზმი ყველაზე მეტს ლაპარაკობს «ნაციონალურ კულტურაზე», ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რაც ერთ ერს ყოფს მეორისაგან და აქუცმაყებს სხვადასხვა ერის მუშებს და აბრიყვებს მათ «ნაციონალური ლოზუნგებით».

შეგნებული მუშები იბრძვიან ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრისა და ყოველგვარი ნაციონალური პრი-

ვილგეების წინააღმდეგ, მაგრამ ამას როდი სჯერდებიან. ისინი ებრძვიან ყოველგვარ, ყველაზე დახვეწილ ნაციონალიზმსაც კი და რეაქციის, ყოველგვარი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იცავენ ყველა ეროვნების მუშების არა მარტო ერთიანობას, არამედ შერთებასაც. ჩვენი საქმეა არა ერთა გამიჯვნა, არამედ ყველა ერის მუშების შემეჭიდროება. ჩვენს დროშას აწერია არა «ნაციონალური კულტურა», არამედ ინტერნაციონალური (საერთაშორისო) კულტურა, რაც ყველა ერს აერთებს უმაღლეს სოციალისტურ ერთიანობად და რასაც უკვე ახლა ამზადებს კაპიტალის ინტერნაციონალური გაერთიანება.

წვრილბურჟუაზიული, მეშჩანური ნაციონალიზმის გავლენა გადაედო ზოგიერთ «ვითომ-სოციალისტსაც», რომლებიც იცავენ ეგრეთწოდებულ «კულტურულ-საგანმანათლებლო ავტონომიას», ესე იგი სასკოლო საქმის (და საერთოდ ნაციონალური კულტურის საქმის) გადაცემას სახელმწიფოს ხელიდან ცალკეულ ერთა ხელში. გასაგებია, რომ მარქსისტები იბრძვიან ერთა გამიჯვნის ამ ქადაგების წინააღმდეგ, ამ დახვეწილ ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დაყოფის წინააღმდეგ. როდესაც ჩვენმა ბუნდელეებმა, ხოლო შემდეგ ლიკვიდატორებმა მოისურვეს, წინააღმდეგ პროგრამისა, „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» დაცვა, ისინი დაგმეს არა მარტო ბოლშევიკებმა, არამედ პარტიელმა მენშევიკებმაც (პლენხანოვმა).

ახლა ბ-ნი ანი «ნოვია რაბოჩია გაზეტაში» (№ 103) ცდილობს დაიცვას ცუდი საქმე, ის ცვლის საკითხს და ლანძღვავინებით გვამკობს. ლანძღვას ჩვენ მშვიდად უკუვავადებთ, — ეს მხოლოდ ლიკვიდატორების უძლურების ნიშანია.

სკოლები მშობლიურ ენაზე — გვარწმუნებს ბ-ნი ანი — ეს არის სწორედ ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დაყოფა; პრავდისტებს სურთ უცხოტომელთ მათი ნაციონალური სკოლები წაართვანო!

ბ-ნ ანის ასეთი ხერხი შეიძლება მხოლოდ სასაცილოდ ავიგლოთ, რადგან ყველამ იცის, რომ პრავდისტები იცავენ ენათა უაღრესად სრულ თანასწორუფლებიანობას და სახელმწიფო ენასაც კი არ სცნობენ საჭიროდ! ბ-ნ ანს უილაჯო

მრისხანების გამო თავგზა ებნევა, — ეს საშიში რამ არის, პატივცემულო ბ-ნო ან!

მშობლიური ენის უფლებები სავსებით ზუსტად და გარკვევით არის აღიარებული მარქსისტთა პროგრამის § 8-ში¹⁹.

ბ-ნი ანი რომ მართალი იყოს — სკოლები მშობლიურ ენაზე ეს არის სწორედ სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფაო, — მაშინ რად დასჭირდათ ბუნდლებს 1906 წელს და ლიკვიდატორებს 1912 წელს «შეევსოთ» (უფრო სწორად რომ ვთქვათ, და ე მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ი ნ ა თ) პროგრამა, რომელმაც 1903 წელს ს ა ვ ს ე ბ ი თ აღიარა მ შ ო ბ ლ ი უ რ ი ე ნ ა სწორედ იმავე ყრილობაზე, «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» რომ უ ა რ ყ ო ?

არა, ბ-ნო ან, თქვენ ვერ შესძლებთ საკითხის შეცვლას და ხმაურით, ყვირილითა და ლანძვით ლიკვიდატორების მიერ ამ პროგრამის დარღვევის მიჩქმალვას, პლენარის თქმით, «ნაციონალიზმისადმი სოციალიზმის შეგუების» მიჩქმალვას.

ჩვენ არ გვინდა პროგრამის დარღვევა. ჩვენ არ გვინდა ნაციონალიზმს სოციალიზმი შევუგუოთ. ჩვენ ვიცავთ სრულ დემოკრატიას, ენათა სრულ თავისუფლებას და თანასწორუფლებიანობას და ამით სრულიადაც არ ვიცავთ «სასკოლო საქმის ერებისთვის გადაცემას», «ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დაყოფას».

«ლაპარაკია ერების მიხედვით სკოლების დაყოფაზე, — წერს ბ-ნი ანი, — მაშასადამე, ადგილზე უნდა იყვნენ ეს ერები, რომლებიც ხელს უშლიან ერთმანეთს განვითარებაში და, მაშასადამე, საჭიროა მათი გამიჯვნა სახალხო განათლების სფეროშიც».

ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები ნათლად ააშკარავებს, თუ ბ-ნ ანს როგორ აშორებს ლიკვიდატორობა სოციალიზმს და აახლოებს ნაციონალიზმს. ერთა გამიჯვნა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მავნებელია, და ჩვენც, მარქსისტები, ვცდილობთ დ ა ვ ა ა ხ ლ ო ო თ და შე ვ ა ე რ თ ო თ ისინი. ჩვენი მიზანია არა ერთა «გამიჯვნა», არამედ სრული დემოკრატიის დამყარებით მათი თანასწორუფლებიანობისა და

ისეთივე მშვიდობიანი (შედარებით) თანაცხოვრების უზრუნველყოფა, როგორც ეს შვეიცარიაში*.

დაბეჭდილია 1913 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 19, გვ. 657—660.

კიდევ «ნაციონალიზმის» შესახებ

«ჩვენს დროში», როდესაც ცდილობენ ბეილისის საქმის მაგვარი რამის შექმნას, საჭიროა უფრო ხშირად ჩავუკვირდეთ ნაციონალისტების აგიტაციას. «სრულიად რუსეთის ნაციონალური კავშირის» წარმომადგენელთა ახლახან შემდგარმა მეორე ყრილობამ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ცხადყო, თუ რანაირია ეს აგიტაცია.

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამ აგიტაციის მნიშვნელობა არარა იყოს, ვინაიდან არარა და ფიქტიურია (მოჩვენებითია) მთელი ეს «სრულიად რუსეთის კავშირი», რომელიც წარმოდგენილი იყო სულ 21 დელეგატით რუსეთის ყველა კუთხიდან. არარა და მოჩვენებითია «სრულიად რუსეთის ნაციონალური კავშირი», მაგრამ მის ქადაგებას ზურგს უმაგრებს ყველა მემარჯვენე პარტია და ყველა ოფიციალური დაწესებულება, ეს ქადაგება წარმოებს თვითეულ სოფლის სკოლაში, თვითეულ ყაზარმაში, თვითეულ ეკლესიაში.

აი საგაზეთო ცნობა ამ ყრილობაზე 2 თებერვალს წაკითხული ერთ-ერთი მოხსენების შესახებ:

«სახელმწიფო სათათბიროს წევრმა სვენკომ წაიკითხა მოხსენება «მაზეპელობაზე» — ასე უწოდებენ ნაციონალისტების ჟარგონზე უკრაინულ მოძრაობას. მომხსენებელს განსაკუთრებით საშიშად მიაჩნია სეპარატიზმისადმი (ე. ი. სახელმწიფოდან გამოყოფისადმი) მისწრაფება ბელორუსებსა და უკრაინელებს შორის. განსაკუთრებით უკრაინელთა მოძრაობა წარმოადგენს დიდ და რეალურ საფრთხეს რუსეთის ერთიანობისათვის. უკრაინელების უახლოესი პროგრამის დედაარსია ფედერალიზმი და უკრაინის ავტონომია.

* ბ-ნი ანი თამამად ლაპარაკობს, რომ «შვეიცარიის კანტონებში ერთა ერთმანეთში არევა არ არისთა». ნუთუ არ შერცხვება მას, როცა დაუუსახელებთ ოთხ კანტონს: ბერნს, ფრეიბურგს, გრაუბუნდენსა და ვალისს?

უკრაინელები ავტონომიის განხორციელების იმედებს ამყარებენ ავსტრია-უნგრეთთან და გერმანიასთან მომავალ ომში რუსეთის განადგურებაზე. დიდი რუსეთის ნანგრევებზე პაბსტურგების სკიპტრის ქვეშ დაარსებული იქნება ავსტრია-უნგრეთის ფარგლებში ავტონომიური პოლონეთი და უკრაინა.

თუ უკრაინელები მართლაც მოახერხებენ და რუს ხალხს ჩამოკლვან 30 მილიონ მლოროსს, მაშინ დადგება დიდი რუსეთის იმპერიის აღსასრული. (ტ ა შ ი)•

რატომღაა, რომ ეს «ფედერალიზმი» ხელს არ უშლის არც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და არც შვეიცარიის ერთიანობას? რატომღაა, რომ «ავტონომია» ხელს არ უშლის ავსტრია-უნგრეთის ერთიანობას? რატომღაა, რომ «ავტონომიამ» დიდი ხნით გაამაგრა კიდევაც ინგლისისა და მრავალი მისი კოლონიის ერთიანობა?

ბ-მა სავენკომ განსაკუთრებით ბრიყვულად წარმოგვიდგინა მის მიერ დაცული «ნაციონალიზმი», ასე რომ მეტისმეტად გაგვიადვილა მისი იდეების გაბათილება. რუსეთის ერთიანობას, თურმე ნუ იტყვი, «საფრთხეს უმზადებს» უკრაინის ავტონომია, ხოლო ავსტრია-უნგრეთის ერთიანობას ამ აგრებს საყოველთაო საარჩევნო უფლება და მის ცალკეულ ოლქთა ავტონომია! ეს რა უცნაური ამბავია? ხომ არ გაიფიქრებენ «ნაციონალისტური» ქადაგების მკითხველები და მსმენელები: რატომ რუსეთის ერთიანობის განმტკიცება კი არ შეიძლება უკრაინის ავტონომიის საშუალებით?

მემამულური და ბურჟუაზიული ნაციონალიზმი ცდილობს «უცხოტომელთა» დევნით გათიშოს და გარყვნას მუშათა კლასი, რათა მით უფრო გაადვილდეს მისი მიყუჩება. შეგნებული მუშები ამას იმით უპასუხებენ, რომ მოითხოვენ ყველა ეროვნების მუშების სრულ თანასწორუფლებიანობასა და ერთიანობას პ რ ა ქ ტ ი კ ა შ ი.

ბელორუსებსა და უკრაინელებს უცხოტომელებად რომ აცხადებენ, ბბ. ნაციონალისტებს ავიწყდებათ დასძინონ, რომ ველიკოროსები (ერთადერთი არა «უცხოტომელები») რუსეთის მოსახლეობის 43 პროცენტზე მეტს არ შეადგენენ. მაშასადამე «უცხოტომელები» უმრავლესობა ყოფილან! როგორღა შეუძლია უმცირესობას უმრავლესობა შეინარჩუნოს, თუ ამ უმრავლესობას არ მიანიჭა რაიმე ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა, პო-

ლიტიკური თავისუფლების, ეროვნული თანასწორუფლებიანობის, ადგილობრივი და საოლქო ავტონომიის სარგებლობა?

როდესაც უკრაინელებსა და სხვებს «სეპარატიზმისათვის», გამოყოფისაკენ მისწრაფებისათვის დევნიან, ნაციონალისტები ამით იცავენ ველიკოროსი მემამულეებისა და ველიკოროსი ბურჟუაზიის პრივილეგიას «თავისი» სახელმწიფოს მიმართ. მუშათა კლასი ყოველგვარი პრივილეგიის წინააღმდეგია; ამიტომ იგი იცავს ერთა თვითგამორკვევის უფლებას.

შეგნებული მუშები გამოყოფას არ ქადაგებენ; მათ ესმით დიდი სახელმწიფოებისა და მუშათა მნიშვნელოვანი მასების გაერთიანების სარგებლიანობა. მაგრამ დიდი სახელმწიფო შეიძლება დემოკრატიული იყოს მხოლოდ ერთა უაღრესად სრული თანასწორუფლებიანობის დროს, ასეთი თანასწორუფლებიანობა კი ნიშნავს გამოყოფის უფლებასაც.

ეროვნული ჩაგვრისა და ეროვნული პრივილეგიების წინააღმდეგ ბრძოლა განუყრელად არის დაკავშირებული ამ უფლების დაცვასთან.

დაბეჭდილია 1914 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 20, გვ. 119—121.

ს ტ ა ტ ი ა «აგვისტოს ფიციის გამოგვლავნება»

(ნაწყვეტი)

...დასასრულ, აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მარქსისტულ ორგანიზაციაში ეროვნული პრინციპის საკითხზე.

ლატვიელი მარქსისტები თვითონ წარმომადგენლობენ არათანასწორუფლებიანი და ჩაგრული ერის მუშებს, თვითონ მუშაობენ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მხრივ მეტად აჭრელებულ ცენტრებში. მაგ., რიგაში მათ უხდებათ საქმე იქონიონ გერმანელ, რუს, ლატვიელ, ებრაელ, ლიტველ პროლეტარიატთან. და მრავალი წლის გამოცდილებამ სავსებით განუმტკიცა ლატვიელ მარქსისტებს რწმენა მუშათა კლა-

სის ადგილობრივ ორგანიზაციათა ინტერნაციონალური ერთიანობის პრინციპის სისწორისა.

...«თვითეულ ქალაქში, — ნათქვამია ლატვიელ მარქსისტთა გადაწყვეტილებაში, — უნდა არსებობდეს მარქსისტ-პროლეტარების ერთი გაერთიანებული ორგანიზაცია, რომელიც იმოქმედებს სტოკჰოლმის ყრილობის მიერ აღიარებულ საფუძველთა მიხედვით და 1908 წლის სრულიად რუსეთის კონფერენციის კომენტარებთან თანხმობით».

ცნობილია, რომ ეს კომენტარი პირდაპირ გმობს ფედერაციის პრინციპს. მუშათა ნაციონალური ორგანიზაციების ფედერაცია კი არა, არამედ ერთიანობა ინტერნაციონალური, ერთიანი ორგანიზაცია, რომელიც ადგილობრივი პროლეტარიატის ყველა ენაზე ეწევა მუშაობას.

აი მარქსიზმის ერთადერთი სწორი პრინციპი. აი სოციალიზმის შესაბამისი ერთადერთი იარაღი იმ ნაციონალისტ მემჩანთა საწინააღმდეგოდ, რომელნიც ცდილობენ ეროვნულად გათიშონ პროლეტარიატი.

დაბეჭდილია 1914 წ.

ვ. ი. ლენინი, თბ.,
ტ. 20, გვ. 217—218.

ხელნაწერი «ნაციონალური პოლიტიკის საკითხისათვის»²⁰

(ნაწყვეტი)

რუსეთის ყველა ერის მუშების რიგების ერთიანობისაკენ მოვუწოდებთ ჩვენც, ვინაიდან მხოლოდ ასეთ ერთიანობას ძალუძს მოგვეცეს ერების თანასწორუფლებიანობის, ხალხის თავისუფლებისა და სოციალიზმის ინტერესების გარანტიები.

ცხრაას ხუთმა წელმა გააერთიანა რუსეთის ყველა ერის მუშები. რეაქცია ეროვნული შუღლის გაღვივებას ცდილობს. ყველა ერის ლიბერალური ბურჟუაზია, ხოლო ველიკოროსული უწინარეს ყოვლისა და უმეტეს ყოვლისა, თავისი ერის პრივილეგიებისათვის იბრძვის (მაგალითი: პოლონეთის კოლო წინააღმდეგია პოლონეთში ებრაელთა თანასწორუფლებიანობისა²¹), — იბრძვის ეროვნული განკერძოებულობისა-

თვის, ეროვნული განსაკუთრებულობისათვის და მით ე ხ მ ა რ ე ბ ა ჩვენი შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკას.

ხოლო ჭეშმარიტ დემოკრატიას, მუშათა კლასის მეთაურობით, აღმართული აქვს დროშა ერების სრული თანასწორუფლებიანობისა და თავიანთ კლასობრივ ბრძოლაში ყველა ერის მუშების შეერთებისა. ამ თვალსაზრისით ჩვენ უარვყოფთ ეგრეთწოდ. «კულტურულ-ნაციონალურ» ავტონომიას, ესე იგი ერთ სახელმწიფოში სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დანაწილებას ანუ სახელმწიფოს გამგებლობიდან სასკოლო საქმის გამოყოფას და ცალკე მოწყობილი ეროვნული კავშირებისათვის მის გადაცემას. დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ცნობდეს სხვადასხვა ოლქთა ავტონომიას, განსაკუთრებით ისეთი ოლქებისა და მხარეებისას, სადაც მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შერეულია. ასეთი ავტონომია სრულიადაც არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ცენტრალიზმს; პირიქით, დიდსა და ეროვნული შემადგენლობის მხრივ აჭრელეებულ სახელმწიფოში მხოლოდ ოლქების ავტონომიით შეიძლება განხორციელდეს ნამდვილი დემოკრატიული ცენტრალიზმი. დემოკრატიულმა სახელმწიფომ უთუოდ უნდა სცნოს სხვადასხვა ენების სრული თავისუფლება და უკუაგდოს ერთ-ერთი რომელიმე ენის ყოველგვარი პრივილეგია. დემოკრატიული სახელმწიფო არც ერთ ოლქში, საზოგადოებრივ საქმეთა არც ერთ დარგში არ დაუშვებს თუნდაც ერთი ეროვნების დათრგუნვას, დაჯაბუნას მეორე ეროვნების მიერ.

მაგრამ სახელმწიფოს ხელიდან სასკოლო საქმის გამოცლა და მისი ცალკე ეროვნულ კავშირებად ჩამოყალიბებული ერების მიხედვით დაყოფა, ეს არის მავნე ღონისძიება დემოკრატიის თვალსაზრისითაც და უფრო მეტად — პროლეტარიატის თვალსაზრისითაც. ეს მხოლოდ ერების განკერძოებულობის განმტკიცებას გამოიწვევდა, ჩვენ კი მათი დაახლოებისაკენ უნდა ვისწრაფოდეთ. ეს შოვინიზმის ზრდას გამოიწვევდა, ჩვენ კი უნდა მივდიოდეთ ყველა ერის მუშების უმჭიდროესი კავშირისაკენ, მათი საერთო ბრძოლისაკენ ყოველგვარი შოვინიზმის წინააღმდეგ, ყოველგვარი ეროვნული განსაკუთრებულობის წინააღმდეგ, ყოველგვარი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. სასკოლო პოლიტიკა

ყველა ერის მუშებს ერთი აქვთ: ესაა დედაენის თავისუფლება, დემოკრატიული და ხაერო სკოლა.

დაწერილია 1914 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 20, გვ. 267—268.

მუშების გარყვანა დახვეწილი ნაციონალიზმით

რაც უფრო ძლიერ ვითარდება მუშათა მოძრაობა, მით უფრო თავგანწირული ხდება ბურჟუაზიისა და მებატონეთა ცდები — დათრგუნონ ან დაქსაქსონ ეს მოძრაობა. ორივე ამ ხერხს, ძალით დათრგუნვასა და ბურჟუაზიული გავლენით დაქსაქსვას, მუდამ მიმართავენ მთელ მსოფლიოში, ყველა ქვეყანაში, ამასთან ხან ერთსა და ხან მეორე ხერხს აყენებენ წინა რიგში გაბატონებული კლასების სხვადასხვა პარტიები.

რუსეთში განსაკუთრებით ცხრაას ხუთი წლიდან, როდესაც ყველაზე უფრო ჰკვიანმა ბურჟუებმა ნათლად დაინახეს მარტოოდენი ძალმომრეობის არასაიმედობა, ყველა «პროგრესული» ბურჟუაზიული პარტია და ჯგუფი სულ უფრო ხშირად მიმართავს ერთ ხერხს — მუშების გათიშვას სხვადასხვაგვარ ბურჟუაზიულ იდეათა და მოძღვრებათა ქადაგებით, რომლებიც მუშათა კლასის ბრძოლას ასუსტებენ.

ამგვარ იდეათა რიცხვს ეკუთვნის დახვეწილი ნაციონალიზმი, რომელიც პროლეტარიატის გათიშვასა და დაქსაქსვას უაღრესად კეთილსახიერი და ტკბილად მეღერი საბაბით ქადაგებს, მაგალითად, «ნაციონალური კულტურის», «ნაციონალური ავტონომიისა და დამოუკიდებლობის» ინტერესთა დაცვის საბაბით და სხვ. და ა. შ.

შეგნებული მუშები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველგვარ ნაციონალიზმს, როგორც უხეშს, ძალმომრეობითს, შავრაზმულს, ისე უაღრესად დახვეწილსაც, რომელიც ერების თანასწორუფლებიანობას ქადაგებს... მუშათა საქმის, მუშათა ორგანიზაციების, მუშათა მოძრაობის ეროვნებათა მიხედვით დაქსაქსვასთან ერთად. შეგნებული მუშები, რომლებიც ახორციელებენ მარქსისტების უკანასკნელი (1913 წ. ზაფხულის) თათბირის²²

გადაწყვეტილებებს, იცავენ — ნაციონალისტური ბურჟუაზიის ყველა სახესხვაობათაგან განსხვავებით — არა მარტო ერებისა და ენების უაღრესად სრულ, თანამიმდევრულ, ბოლომდე მიყვანილ თანასწორუფლებიანობას, არამედ სხვადასხვა ეროვნების მუშების შედუღებასაც ყოველი სახის ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებში.

აი ეს არის ძირითადი განსხვავება მარქსიზმის ნაციონალურ პროგრამასა და ყოველგვარი, თუნდაც ყველაზე უფრო «მოწინავე», ბურჟუაზიის ნაციონალურ პროგრამას შორის.

ერებისა და ენების თანასწორუფლებიანობის აღიარება მარტო იმით კი არ არის ძვირფასი მარქსისტებისათვის, რომ ისინი ყველაზე თანამიმდევარი დემოკრატები არიან. მუშების კლასობრივი ბრძოლის პროლეტარული სოლიდარობის, ამხანაგური ერთობის ინტერესები მოითხოვენ ერთა უაღრესად სრულ თანასწორუფლებიანობას სულ მცირეოდენი ეროვნული უნდობლობის, განკერძოების, ექვიანობის, მტრობის მოსასპობად. ხოლო სრული თანასწორუფლებიანობა გულისხმობს ერთ-ერთი რომელიმე ენის ყოველგვარ პრივილეგიათა უარყოფასაც, გულისხმობს ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებების აღიარებას.

მაგრამ ბურჟუაზიის მხრივ ერთა თანასწორუფლებიანობის მოთხოვნა ნამდვილად ძალიან ხშირად უდრის ეროვნული განსაკუთრებულობისა და შოვინიზმის ქადაგებას, ძალიან ხშირად უთავსდება ერების გათიშვისა და განკერძოების ქადაგებას. ამას უეჭველად ვერ ურიგდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, რომელიც ქადაგებს არა მარტო ერების დაახლოებას, არამედ ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებში ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ეროვნებათა მუშების შედუღებასაც. ამიტომ მარქსისტები გადაჭრით გამობენ ეგრეთწოდებულ «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას», ესე იგი სახელმწიფოს გამგებლობიდან სასკოლო საქმის გამოყოფას და ცალკეულ ეროვნებათა ხელში გადაცემას. ეს გეგმა არის ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი კავშირის ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დანაწილება «ნაციონალური კულტურის» საკითხებში ნაციონალურ კავშირებად, რომელთაც თავიანთი

განსაკუთრებული სეიმები, სასკოლო ფინანსები, სასკოლო საბჭოები, სასკოლო დაწესებულებები ექნებათ.

ეს არის დახვეწილი ნაციონალიზმის გეგმა, რომელიც ჩყენის და თიშავს მუშათა კლასს. ამ გეგმას (ბუნდელების, ლიკვიდატორების, ნაროდნიკების, ე. ი. სხვადასხვა წვრილ-ბურჟუაზიულ ჯგუფთა გეგმას) მარქსისტები უპირისპირებენ პრინციპს: ვალიაროთ ერებისა და ენების უაღრესად სრული თანასწორუფლებიანობა თვით სახელმწიფო ენის საჭიროების უარყოფამდე, მაგრამ ამასთან ერთად დავიცვათ ერების რაც შეიძლება მეტი დაახლოება, ყველა ერისათვის სახელმწიფო დაწესებულებათა ერთიანობა, სასკოლო საბჭოების ერთიანობა, სასკოლო პოლიტიკის ერთიანობა (საერთო სკოლა!), სხვადასხვა ერის მუშების ერთიანობა ყოველი ნაციონალური ბურჟუაზიის ნაციონალიზმთან ბრძოლაში, ნაციონალიზმთან, რომელსაც გულუბრყვილობა მოსატყუებლად «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგის სახით გვთავაზობენ.

დაე მეშინამა ნაციონალისტებმა, ბუნდელებმა, ლიკვიდატორებმა, ნაროდნიკებმა, «ძინის» მწერლებმა, აშკარად დავიცვან თავიანთი პრინციპები — დახვეწილი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პრინციპები, ეს მათი უფლებაა. მაგრამ მუშებს ნუ კი ატყუებენ, როგორც ამას, მაგ., ქ-ნი ვ. ო. სჩადის «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» № 35-ში, როდესაც ცდილობს დაარწმუნოს მკითხველები, თითქოს გაზეთი «ზა პრავდუ» დედაენაზე სწავლებას უარყოფდეს!!!

ეს არის უხეში ცილისწამება, ვინაიდან პრავდისტები არა თუ აღიარებენ ამ უფლებას, არამედ ყველაზე უფრო თანამიმდევრულადაც აღიარებენ მას. როდესაც მარქსისტების იმ თათბირს მიემხრნენ, რომელმაც გამოაცხადა — სავალდებულო სახელმწიფო ენა არ უნდა არსებობდესო, პრავდისტებმა რუსეთში პირველებმა აღიარეს სრულად დედაენის უფლება!

დედაენაზე სწავლების არევა «ერთი სახელმწიფოს ფარგლებში სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დანაწილებასთან», «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიასთან», «სახელმწიფოს გამგებლობიდან სასკოლო საქმის გამოყოფასთან» — ეს არის აშკარა უმეცრება.

არსად მსოფლიოში მარქსისტები (თვით დემოკრატებიც კი) არ უარყოფენ დედაენაზე სწავლებას. და არსად მსოფლიოში არ მიუღიათ მარქსისტებს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» პროგრამა, — მარტოდენ ავსტრიაში იქნა იგი წამოყენებული.

ფინეთის მაგალითი, ქ-ნ ვ. ო.-ს მიერ მოყვანილი, თვით მასვე ამტყუნებს, ვინაიდან ამ ქვეყანაში აღიარებული და გატარებულია ერებისა და ენების თანასწორუფლებიანობა (რასაც ჩვენ უთუოდ და ყველაზე უფრო თანამიმდევრობით ვაღიარებთ), მაგრამ **ლაპარაკიც კი არ არის «სახელმწიფოს გამგებლობიდან სასკოლო საქმის გამოყოფაზე»**, მთელი სასკოლო საქმის განმგებელ განსაკუთრებულ ეროვნულ კავშირებზე, მთელი სახელმწიფოებრივი სასკოლო საქმის ეროვნული ტიხრებით გამიჯვნაზე და სხვ.

დაბეჭდილია 1914 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 20, გვ. 347—350.

ს ტ ა ტ ი ა «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ»

(ნაწყვეტი)

ბურჟუაზია, რომელიც ყოველი ეროვნული მოძრაობის დასაწყისში ბუნებრივად მის ჰეგემონად (ხელმძღვანელად) გამოდის, პრაქტიკულ საქმეს უწოდებს ყველა ეროვნული მისწრაფებისათვის მხარისდაჭერას. მაგრამ პროლეტარიატის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში (როგორც დანარჩენ საკითხებშიც) მხოლოდ განსაზღვრული მიმართულებით უჭერს მხარს ბურჟუაზიას, მაგრამ არასოდეს არ დაემთხვევა ხოლმე მის პოლიტიკას. მუშათა კლასი მხარს უჭერს ბურჟუაზიას მხოლოდ ეროვნული მშვიდობის ინტერესებისათვის (რომლის მთლიანად მოცემა ბურჟუაზიას არ შეუძლია და რომლის განხორციელება მხოლოდ სრული დემოკრატიზაციისდაკვალად შეიძლება), თანასწორუფლებიანობის, კლასობრივი ბრძოლისათვის საუკეთესო პირობების შექმნის ინტერესებისათვის. ამიტომ სწორედ ბურჟუაზიის პრაქტიციზმის წინააღმდეგ პროლეტარები ნაციონალურ საკითხში

პ რ ი ნ ც ი კ უ ლ პოლიტიკას აყენებენ და ბურჟუაზიას ყოველთვის მხოლოდ პირობითად უჭერენ მხარს. ყოველ ბურჟუაზიას ეროვნულ საქმეში ან პრივილეგიები სურს თავისი ერისათვის, ან განსაკუთრებული სარგებლობა მისთვის; აი ამას ჰქვია «პრაქტიკულობა». პროლეტარიატი ყოველგვარი პრივილეგიების, ყოველივე განსაკუთრებულობის წინააღმდეგია. მისგან «პრაქტიციზმის» მოთხოვნა — ბურჟუაზიის კუდში ადევნებას, ოპორტუნიზმში ჩაფლობას ნიშნავს.

«პო თუ არა»-ს პასუხის გაცემა თვითთელი ერის გამოყოფის საკითხზე? ეს თითქოს მეტად «პრაქტიკული» მოთხოვნაა. ნამდვილად კი იგი უაზროა, თეორიულად მეტაფიზიკურია, პრაქტიკულად კი იწვევს პროლეტარიატის დაქვემდებარებას ბურჟუაზიის პოლიტიკისადმი. ბურჟუაზია პირველ რიგში ყოველთვის თავის ეროვნულ მოთხოვნებს აყენებს. აყენებს მათ ყოველი პირობის გარეშე. პროლეტარიატისათვის ისინი კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს ექვემდებარებიან. თეორიულად შეუძლებელია წინდაწინ დანამდვილებით თქმა, რით დამთავრდება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია: ამა თუ იმ ერის გამოყოფით თუ სხვა ერთან მისი უფლებრივი გათანასწორებით; პროლეტარიატისათვის ორივე შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს მისი კლასის განვითარების უზრუნველყოფას; ბურჟუაზიისათვის მნიშვნელობა აქვს ამ განვითარების შეფერხებას, მისი ამოცანების უკან დაყენებას «თავისი» ერის ამოცანების წინაშე. ამიტომ პროლეტარიატი კმაყოფილდება, ასე ვთქვათ, უარყოფითი მოთხოვნით — თვითგამორკვევის უფლების აღიარების მოთხოვნით; იგი არც ერთ ერს გარანტიას არ აძლევს, ვალდებულებას არ კისრულობს — სხვა ერის ხარჯზე მისცეს რამე.

დაე ეს «პრაქტიკული» არ იყოს, მაგრამ ნამდვილად ეს ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს შესაძლებელ გადაწყვეტილებათაგან ყველაზე დემოკრატიულ გადაწყვეტილებას; პროლეტარიატს მხოლოდ ეს გარანტიები ესაჭიროება, ხოლო ყოველი ერის ბურჟუაზიას ესაჭიროება თავისი გამორჩენის გარანტიები, მიუხედავად სხვა ერთა მდგომარეობისა (შესაძლებელი მინუსებისა).

ბურჟუაზიისათვის ყველაზე უფრო საინტერესოა ამა თუ იმ მოთხოვნის «განხორციელების შესაძლებლობა», — აქედან

გამომდინარეობს მუდმივი პოლიტიკა გარიგებისა სხვა ერთა ბურჟუაზიასთან — პროლეტარიატის საზიანოდ. პროლეტარიატისათვის კი მნიშვნელოვანია თავისი კლასის განმტკიცება ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მასების აღზრდა თანამიმდევარი დემოკრატიისა და სოციალიზმის სულისკვეთებით.

დაე ეს «პრაქტიკული» არ იყოს ოპორტუნისტებისათვის, მაგრამ ნამდვილად ეს ერთადერთი გარანტიაა, მაქსიმალური ეროვნული თანასწორუფლებიანობისა და მშვიდობის გარანტია როგორც ფეოდალების, ისე ნაციონალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

პროლეტარების მთელი ამოცანა ნაციონალურ საკითხში «არაპრაქტიკულია», ვითეული ერის ნაციონალისტური ბურჟუაზიის თვალსაზრისით, ვინაიდან პროლეტარები, როგორც ყოველგვარი ნაციონალიზმის მტრები, მოითხოვენ «აბსტრაქტულ» თანასწორუფლებიანობას, სულ ოდნავი პრივილეგიის პრინციპულ არარსებობას. ეს ვერ გაიგო როზა ლუქსემბურგმა და პრაქტიციზმის თავისი უგუნური შექებით ფართოდ გაუღო კარი სწორედ ოპორტუნისტებს, განსაკუთრებით ოპორტუნისტულ დათმობებს ველიკოროსული ნაციონალიზმისადმი.

რატომ ველიკოროსულისადმი? იმიტომ, რომ ველიკოროსები რუსეთში მჩაგვრელი ერია, ეროვნული მხრივ კი, ბუნებრივია, ოპორტუნიზმი სხვადასხვანაირად გამოიხატება ჩაგრულ და მჩაგვრელ ერებს შორის.

ჩაგრულ ერთა ბურჟუაზია თავის მოთხოვნათა «პრაქტიკულობის» გულისთვის პროლეტარიატს მოუწოდებს უთუოდ დაუჭიროს მხარი მის მისწრაფებებს. ყველაზე უფრო პრაქტიკულია პირდაპირი «ჰოს» თქმა ამ ა და ამ ერის გამოყოფის სასარგებლოდ, და არა ყველა და ყოველი ერის გამოყოფის უფლებების სასარგებლოდ!

პროლეტარიატი ასეთი პრაქტიციზმის წინააღმდეგია: იგი აღიარებს თანასწორუფლებიანობას და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის თანასწორ უფლებას, იგი ყველაზე მეტად აფასებს და მალა აყენებს ყველა ერის პროლეტარების კავშირს, იგი მუშათა კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით აფასებს ყოველ ეროვნულ მოთხოვნას, ყოველ ეროვნულ გამოყოფას. პრაქტიციზმის ლოზუნგი ნამდვილად მხოლოდ ბურ-

ეუაზიულ მისწრაფებათა უკრიტიკოდ გადმოღების ლოზუნ-
გია.

ჩვენ გვეუბნებიან: როცა გამოყოფის უფლებას უჭერთ
მხარს, ამით თქვენ ხელს უწყობთ ჩაგრულ ერთა ბურჟუა-
ზიულ ნაციონალიზმსო. ასე ლაპარაკობს როზა ლუქსემბურ-
გი, ამასვე იმეორებს მის კვალდაკვალ ოპორტუნისტი სემ-
კოვსკი, — რომელიც — აქვე უნდა ითქვას — ამ საკითხში ლიკ-
ვიდატორული იდეების ერთადერთი წარმომადგენელია ლიკ-
ვიდატორულ გაზეთში!

ჩვენ ვუპასუხებთ: არა, აქ სწორედ ბურჟუაზიისათვის აქვს
მნიშვნელობა «პრაქტიკულ» გადაწყვეტას, ხოლო მუშებისა-
თვის თავიდათავია ორი ტენდენციის პრინციპული გამო-
ყოფა. რამდენადაც ჩაგრული ერის ბურჟუაზია ებრძ-
ვის მჩაგვრელს, იმდენად ჩვენ ყოველთვის, ყოველ შემ-
თხვევაში და ყველაზე გადაჭრით ვემხრობით. მას, ვი-
ნაიდან ჩვენ ჩაგვრის ყველაზე გაბედული და თანამიმდევარი
მტრები ვართ. რამდენადაც ჩაგრული ერის ბურჟუაზია თა-
ვისი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მომხრეა, ჩვენ მისი
წინააღმდეგნი ვართ. ბრძოლა მჩაგვრელი ერის პრივილეგიე-
ბისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ და არავითარი დათმობა
პრივილეგიებისაკენ მისწრაფებას ჩაგრული ერის მხრივ.

ჩვენ რომ აგიტაციის დროს გამოყოფის უფლების
ლოზუნგი არ წამოვაყენოთ და არ გავატაროთ, ჩვენ ხელს
შევუწყობთ მჩაგვრელი ერის არა მარტო ბურჟუაზიას,
არამედ ფეოდალებსაც და აბსოლუტიზმსაც. ეს საბუთი კაუც-
კიმ დიდი ხანია წამოაყენა როზა ლუქსემბურგის წინააღმდეგ,
და ეს საბუთი უცილობელია. როზა ლუქსემბურგს ეშინია —
«დანმარება» არ გაუწიო პოლონეთის ნაციონალისტურ ბურ-
ჟუაზიასო, და იმით, რომ უარყოფს გამოყოფის უფლე-
ბის შეტანას რუსეთის მარქსისტების პროგრამაში, საჭ-
მით ეხმარება ველიკოროს შავრაზმელებს. იგი საქმით ეხ-
მარება ოპორტუნისტულ შერიგებას ველიკოროსების პრივი-
ლეგიებთან (პრივილეგიებზე უარეს რამესთანაც).

პოლონეთის ნაციონალიზმთან ბრძოლით გატაცებულს,
როზა ლუქსემბურგს დაავიწყდა ველიკოროსების ნაციონა-
ლიზმი, თუმცა სწორედ ეს ნაციონალიზმია ყველაზე საშიში
ამჟამად, სწორედ ისაა ნაკლებ ბურჟუაზიული, მაგრამ უფრო

ფეოდალური, სწორედ ისაა მთავარი მუხრუჭი დემოკრატიისა და პროლეტარული ბრძოლისა. ჩაგრული ერის ყოველ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში არის საერთო-დემოკრატიული შინაარსი ჩაგვრის წინააღმდეგ, და აი ამ შინაარსს ჩვენ უთუოდ ვუჭერთ მხარს, ამასთან მკაცრად გამოვყოფთ მისწრაფებას საკუთარი ეროვნული განსაკუთრებულობისაკენ, ვებრძვით პოლონელი ბურჟუის მისწრაფებას — ჩაგროს ებრაელი და სხვ. და სხვ.

ეს «არაპრაქტიკულია» ბურჟუას და მეშჩანის თვალსაზრისით. ეს ერთადერთი პრაქტიკული და პრინციპული და ისეთი პოლიტიკაა ნაციონალურ საკითხში, რომელიც მართლაც ხელს უწყობს დემოკრატიას, თავისუფლებას, პროლეტარულ კავშირს.

გამოყოფის უფლების აღიარება ყველასათვის; გამოყოფის თვითეული კონკრეტული საკითხის დაფასება ისეთი თვალსაზრისით, რომელიც უკუაგდება ყოველგვარ არათანასწორუფლებიანობას, ყოველგვარ პრივილეგიას, ყოველგვარ განსაკუთრებულობას.

ავიღოთ მჩაგვრელი ერის პოზიცია. შეიძლება თუ არა თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს ჩაგრავს? არა. ველიკოროსი მოსახლეობის* თავისუფლების ინტერესები ბრძოლას მოითხოვს ასეთი ჩაგვრის წინააღმდეგ. ჩაგრული ერების მოძრაობათა დათრგუნვის ხანგრძლივმა ისტორიამ, საუკუნოვანმა ისტორიამ, ასეთი დათრგუნვის სისტემატურმა პროპაგანდამ «მაღალი» კლასების მხრივ უდიდესი დაბრკოლებანი შეუქმნეს თვით ველიკოროსი ხალხის თავისუფლების საქმეს მისი ცრურწმენებით და სხვ.

ველიკოროსი შავრაზმელები შეგნებულად უჭერენ მხარს ამ ცრურწმენებს და აღვივებენ მათ. ველიკოროსი ბურჟუაზია ურიგდება ან ეგუება მათ. ველიკოროსი პროლეტარიატი ვერ შესძლებს თავისი მიზნების განხორციელებას, ვერ

* ვინმე ლ. ვლ.-ს პატივიდან ეს სიტყვა არამარქსისტულად ეჩვენება. ეს ლ. ვლ. სასაცილოდ «superklug»-ია (ირონიულად რომ ვთარგმნოთ, გამოვა: «ჭკუის კოლოფი»). როგორც ეტყობა, ეს «ჭკუის კოლოფი» ლ. ვლ. ფიქრობს გამოკვლევა დაწეროს ჩვენი პროგრამა-მინიმუმიდან (კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით!) სიტყვების: «მოსახლეობა», «ხალხი» და სხვ. განდევნის შესახებ.

გაიკაფავს გზას თავისუფლებისაკენ, თუ სისტემატურად არ ებრძოლა ამ ცრურწმენებს.

დამოუკიდებელი და თავისთავადი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა რუსეთში ჯერჯერობით მხოლოდ ველიკოროსი ერის პრივილეგიას წარმოადგენს. ჩვენ, ველიკოროსი პროლეტარები, არავითარ პრივილეგიას არ ვიცავთ, არც ამ პრივილეგიას ვიცავთ. ჩვენ ვიბრძვით არსებული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ვაერთიანებთ არსებული სახელმწიფოს ყველა ერის მუშებს, ჩვენ არ შეგვიძლია თავდებობა ვიკისროთ ეროვნული განვითარების ამა თუ იმ გზისათვის, ჩვენი კლასობრივი მიზნისაკენ ჩვენ ყველა შესაძლებელი გზით მივდივართ.

მაგრამ შეუძლებელია ამ მიზნისაკენ სვლა, თუ ყოველგვარ ნაციონალიზმს არ შევებრძოლეთ და სხვადასხვა ერის მუშების თანასწორობა არ დავიცავთ. უწერია თუ არა, მაგალითად, უკრაინას დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, ეს დამოკიდებულია 1 000 ფაქტორზე, რომელთა წინასწარ ცოდნა შეუძლებელია. და, არ ვცდილობთ რა ამაოდ «მისნობას», ჩვენ მტკიცედ ვიცავთ იმას, რაც უეჭვოა: ესაა უკრაინის უფლება ასეთი სახელმწიფო გახდეს. ჩვენ პატივს ვცემთ ამ უფლებას, ჩვენ მხარს არ ვუჭერთ ველიკოროსის პრივილეგიებს უკრაინელების მიმართ, ჩვენ მასებს ვუნერგავთ ამ უფლების აღიარების აზრს, ყოველი ერის სახელმწიფოებრივი პრივილეგიების უარყოფის აზრს.

იმ ნახტომებში, რომლებსაც ყველა ქვეყანა განიცდიდა ბურჟუაზიულ რევოლუციათა ეპოქაში, შესაძლებელი და მოსალოდნელია შეტაკებანი და ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოს უფლებისათვის. ჩვენ, პროლეტარები, წინდაწინვე ვაცხადებთ თავს ველიკოროსული პრივილეგიების მოწინააღმდეგეებად და ამ მიმართულებით ვაწარმოებთ მთელ ჩვენს პროპაგანდასა და აგიტაციას.

როზა ლუქსემბურგი «პრაქტიციზმს» გამოედევნა და ვერ შეამჩნია როგორც ველიკოროსთა, ისე სხვა ერთა პროლეტარიატის მთავარი პრაქტიკული ამოცანა: ესაა ამოცანა ყოველდღიური აგიტაციისა და პროპაგანდისა ყოველგვარი სახელმწიფოებრივ-ეროვნული პრივილეგიების წინააღმდეგ, ყველა ერის უფლებისათვის, ერთნაირი უფლებისათვის — თავიანთი ეროვნული სახელმწიფო შექმნან; ასეთი ამოცანა ჩვენნი

მთავარი ამოცანაა (ამჟამად) ნაციონალურ საკითხში, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით ვიცავთ დემოკრატიისა და ყოველი ერის ყველა პროლეტარტა თანასწორუფლებიანი კავშირის ინტერესებს.

დაე ეს პროპაგანდა «არაპრაქტიკული» იყოს ველიკოროს-მჩაგვრელების თვალსაზრისითაც და ჩაგრულ ერთა ბურჟუაზიის თვალსაზრისითაც (პირველნიც და მეორენიც გარკვეულ პოსან არას მოითხოვენ, ხოლო ს.-დ-ებს «გაურკვევლობას» აბრალებენ). საქმით კი სწორედ ეს, და მარტოოდენ ეს პროპაგანდა უზრუნველყოფს მასების ნამდვილ დემოკრატიულ და ნამდვილ სოციალისტურ აღზრდას. მხოლოდ ასეთი პროპაგანდა უზრუნველყოფს ეროვნული მშვიდობის ყველაზე მეტ შესანებასაც რუსეთში, თუ იგი აჭრელებულ ეროვნულ სახელმწიფოდ დარჩება, და ყველაზე უფრო მშვიდობიან (და კლასობრივი პროლეტარული ბრძოლისათვის უვნებელ) დანაწილებასაც სხვადასხვა ეროვნულ სახელმწიფოებად, თუ ასეთი დანაწილების საკითხი წამოიჭრა...

ლიბერალების ყვირილი «თვითგამორკვევის» ცნების ბუნდოვანების, ს.-დ. მიერ მისი და სეპარატიზმის «უიმედოდ არევის» გამო — სხვა არა არის რა, თუ არ მისწრაფება დახლართონ საკითხი, თავი აარიდონ დემოკრატიის მიერ საყოველთაოდ დადგენილი პრინციპის აღიარებას. ბბ. სემკოვსკები, ლიბმანები და იურკვევიჩები რომ ასე უმეცარნი არ იყვნენ, მათ შერცხვებოდნათ მუშების წინაშე ლიბერალისებურად გამოსვლისა.

მაგრამ გავყვეთ ქვემოთ. «პროლეტარსკაია პრავდამ» აიძულა «რეჩი» ელიარებინა, რომ სიტყვებს «კულტურული» თვითგამორკვევის შესახებ კ.-დ. პროგრამაში სწორედ პოლიტიკური თვითგამორკვევის უარყოფის აზრი აქვთ.

«ნამდვილად, კ.-დ-ებს არასოდეს არ უკისრნიათ» რუსეთის სახელმწიფოსაგან «ერთა გამოყოფის» უფლების დაცვა» — «რეჩის» ეს სიტყვები ტყუილად კი არ ურჩია «პროლეტარსკაია პრავდამ» «ნოვოე ვრემიას» და «ზემშჩინას», როგორც ჩვენი კადეტების «ლოიალობის» ნიმუში. გაზეთმა «ნოვოე ვრემიამ» № 13563, რა თქმა უნდა, შემთხვევა იპოვა «ურია» გაეხსენებინა და კადეტებისათვის ყოველგვარი მწარე სიტყვები ეთქვა, მაგრამ მაინც განაცხადა:

«რაც ესდევებისათვის პოლიტიკური სიბრძნის, აქსიომას შეადგენს» (ე. ი. ერთა თვითგამორკვევის, გამოყოფის უფლების აღიარება), «ის ახლანდელ ღროში თვით კადეტთა წრეშიც უკვე უთანხმოებას იწვევს».

კადეტები პრინციპულად სავსებით «ნოვოე ვრემიას» მსგავს პოზიციაზე დადგნენ და განაცხადეს: «არასოდეს არ გვიკისრნია რუსეთის სახელმწიფოსაგან ერთა გამოყოფის უფლების დაცვა». სწორედ ეს არის ერთ-ერთი საფუძველი კადეტების ნაციონალ-ლიბერალიზმისა, პურიშკევიჩებთან მათი სიახლოვისა, უკანასკნელთაგან მათი იდეურ-პოლიტიკური და პრაქტიკულ-პოლიტიკური დამოკიდებულებისა. «ბატონ კადეტებს ისტორია უსწავლიათ — წერდა «პროლეტარსკაია პრავდა» — და მათ ჩინებულად იციან, თუ რაგვარ, რბილად რომ ვთქვათ, «რბევისებურ» მოქმედებას იწვევდა ხშირად პრაქტიკაში პურიშკევიჩთა ძველთაძველი უფლების — «დაიჭი და არ გაუშვა» — გამოყენება. კადეტებმა ჩინებულად იციან პურიშკევიჩთა ყოვლისშემძლეობის ფეოდალური წყარო და ხასიათი, მაგრამ ისინი მაინც სავსებით სწორედ ამ კლასის მიერ შექმნილი ურთიერთობისა და ფარგლების ნიადაგზე დგებიან. ბატონმა კადეტებმა ჩინებულად იციან, თუ რაოდენ ბევრია არაევროპული, ანტიევროპული (აზიური — ვიტყოდით ჩვენ, ეს რომ დაუმსახურებელ ქედმაღლობად არ ისმოდეს იაპონელთა და ჩინელთა მიმართ) იმ ურთიერთობასა და ფარგლებში, რაც ამ კლასის მიერაა შექმნილი თუ განსაზღვრული, მაგრამ მათ ეს მაინც იმ ზღვარად მიაჩნიათ, რომელსაც ვერ გარდახვალ.

სწორედ ესაა პურიშკევიჩებთან შეგუება, მათ წინაშე მონური მლიქვნელობა, შიში, ვაი თუ მათი მდგომარეობა შეეარყოთო, ესაა მათი დაცვა სახალხო მოძრაობისაგან, დემოკრატიისაგან. «ნამდვილად ეს ნიშნავს — წერდა «პროლეტარსკაია პრავდა» — მებატონეთა ინტერესებთან და გაბატონებული ერის უცუდეს ნაციონალისტურ ცრურწმენებთან შეგუებას, ამ ცრურწმენებთან სისტემატური ბრძოლის ნაცვლად»...

კადეტების პროგრამაში, რომელსაც, რა თქმა უნდა, იცნობდნენ კადეტთა კონფერენციის დელეგატები, სწერია სწორედ არა პოლიტიკური, არამედ «კულტურული» თვითგამორკვევა. მაშასადამე, ბ-ნი კოკოშკინი პროგრამას იცავდა უკრაინის დელეგატებისაგან, მემარცხენე კადეტთ-

ბისაგან, იცავდა «კულტურულ» თვითგამორკვევას წინააღმდეგ «პოლიტიკურისა». სრულიად აშკარაა, რომ, როდესაც «პოლიტიკური» თვითგამორკვევის წინააღმდეგ ილაშქრებდა, «სახელმწიფოს დაშლის» საფრთხეს აყენებდა და «პოლიტიკური თვითგამორკვევის» ფორმულას «განვრცობადს» უწოდებდა (სავსებით როზა ლუქსემბურგისებურად!), ბ-ნი კოკოშკინი იცავდა ველიკოროსულ ნაციონალ-ლიბერალიზმს — კ.-დ. პარტიის უფრო «მემარცხენე» ან უფრო დემოკრატიული ელემენტების წინააღმდეგ და უკრაინის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ბ-ნ კოკოშკინს გაუმარჯვნია კადეტთა კონფერენციაზე, როგორც ეს ჩანს მუხანათური სიტყვიდან «თუმცა» «რეჩის» ანგარიშში. კადეტებს შორის ველიკოროსულმა ნაციონალ-ლიბერალიზმმა გაიმარჯვა. იქნებ ამ გამარჯვებამ მაინც გაუნათლოს გონება რუსეთის მარქსისტთა შორის იმ თითო-ოროლა უგუნურ ადამიანთ, რომელთაც, კადეტების აყოლით, აგრეთვე ეშინიათ უკვე «ეროვნებათა პოლიტიკური თვითგამორკვევის განვრცობადი ფორმულებისა».

«თუმცა» გადავხედოთ, არსებითად, ბ-ნ კოკოშკინის აზრთა მსვლელობას. როდესაც «წინა დროის პოლიტიკურ გამოცდილებაზე» მიუთითებდა (ე. ი., უთუოდ, ცხრაას ხუთი წლის გამოცდილებაზე, როდესაც ველიკოროსთა ბურჟუაზიას შეეშინდა თავისი ეროვნული პრივილეგიების დაკარგვისა და თავისი შიშით კადეტთა პარტიაც შეაშინა) და «სახელმწიფოს დაშლის» საფრთხეს აყენებდა, ბ-მა კოკოშკინმა ამით გამოააშკარავა იმის ჩინებულად გაგება, რომ პოლიტიკური თვითგამორკვევა არ შეიძლება სხვა რამეს ნიშნავდეს, თუ არ გამოყოფისა და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უფლებას. საკითხავია, როგორ უნდა შევხედოთ ბ-ნ კოკოშკინის ამ შიშს საერთოდ დემოკრატიისა და, განსაკუთრებით, პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით?

ბ-ნ კოკოშკინს სურს დაგვარწმუნოს, რომ გამოყოფის უფლების აღიარება ზრდის «სახელმწიფოს დაშლის» საშიშროებას. ეს არის თვალსაზრისი შეჯიხურე მიმრეცოვისა, მისი დევიზით: «დაიჭი და არ გაუშვაო». საერთოდ დემოკრატიის თვალსაზრისით სწორედ პირიქითაა: გამოყოფის უფლების

ალიარება ამ ცირებს «სახელმწიფოს დაშლის» სამიშროებას.

ბ-ნი კოკოშკინი სავსებით ნაციონალისტების ყაიდაზე მსჯელობს. თავიანთ უკანასკნელ ყრილობაზე ისინი აცამტვერებდნენ უკრაინელ-«მაზებელებს». უკრაინელთა მოძრაობაო — გაიძახოდა ბ-ნი სავენკო და კომპ. — გვიქადის უკრაინისა და რუსეთის კავშირის შესუსტებას, ვინაიდან ავსტრია უკრაინოფილობით განამტკიცებს უკრაინელთა კავშირს ავსტრიასთანო!! გაუგებარი კი იყო, რატომღა არ შეუძლია რუსეთს სცადოს რუსეთთან უკრაინელთა კავშირის იმავემეთოდით «განამტკიცება», რასაც ბბ. სავენკოები ბრალად უთვლიან ავსტრიას, ე. ი. უკრაინელებისათვის დედაენის თავისუფლების, თვითმმართველობის, ავტონომიური სემიისა და სხვ. მინიჭებით?

ბბ. სავენკოებისა და ბბ. კოკოშკინების მსჯელობა სავსებით ერთიმეორის მსგავსია და ერთნაირადვე სასაცილო და უაზროა წმინდა ლოგიკური მხრით. განა ცხადი არ არის, რომ, რაც მეტი თავისუფლება ექნება უკრაინელ ეროვნებას რომელიმე ქვეყანაში, მით უფრო მტკიცე იქნება ხსენებული ეროვნების კავშირი ამ ქვეყანასთან? თითქოს შეუძლებელი უნდა იყოს ამ ანბანური ჭეშმარიტების წინააღმდეგ დავა, თუ სრულებით არ გაწყვიტე კავშირი დემოკრატიზმის ყველა დებულებასთან. და განა შეიძლება ეროვნებისათვის, როგორც ასეთისათვის, იმაზე მეტი თავისუფლება, ვიდრე გამოყოფის თავისუფლება, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის თავისუფლება?..

ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის პრინციპისადმი ლიბერალური მტრობის რეალური კლასობრივი მნიშვნელობა ერთია და მხოლოდ ერთი: ნაციონალ-ლიბერალიზმი, ველიკოროსი ბურჟუაზიის სახელმწიფოებრივ პრივილეგიათა დაცვა და მარქსისტებს შორის მყოფი რუსი ოპორტუნისტები, რომლებიც სწორედ ახლა, სამი ივნისის სისტემის ეპოქაში, ამხედრდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ, ყველა ესენი: ლიკვიდატორი სემკოვსკი, ბუნდისტი ლიბმანი, უკრაინელი წვრილი ბურჟუა იურკევიჩი — ნამდვილად პირდაპირ მისჩანჩალებენ კუდში ნაციონალ-ლიბერალიზმს, რყვნიან მუშათა კლასს ნაციონალ-ლიბერალური იდეებით.

მუშათა კლასის ინტერესები, კაპიტალიზმის წინააღმდეგ მისი ბრძოლის ინტერესები მოითხოვს ყველა ერის მუშების სრულ სოლიდარობას და უმჭიდროეს ერთობას, მოითხოვს რომელიც უნდა იყოს ეროვნების ბურჟუაზიის ნაციონალისტური პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის გაწევას. ამიტომ პროლეტარული პოლიტიკის ამოცანებისაგან თავის არიდება და ბურჟუაზიული პოლიტიკისადმი მუშების დამორჩილება იქნებოდა როგორც ის, ს.-დ-ებს რომ თვითგამორკვევის უფლება, ე. ი. ჩაგრულ ერთა გამოყოფის უფლება უარყოფთ, აგრეთვე ის, ს.-დ-ებს რომ ჩაგრულ ერთა ბურჟუაზიის ყველა ეროვნული მოთხოვნისათვის დაეჭირათ მხარი. დაჭირავებული მუშისათვის სულ ერთია, ველიკოროსი ბურჟუაზია იქნება მისი უპირატესი ექსპლოატატორი სხვა ტომის ბურჟუაზიასთან შედარებით, თუ პოლონური — ებრაულთან შედარებით და სხვ.. თავისი კლასის ინტერესების შემგნები დაჭირავებული მუშა გულგრილად უცქერის როგორც ველიკოროს კაპიტალისტთა სახელმწიფოებრივ პრივილეგიებს, ისე პოლონელ თუ უკრაინელ კაპიტალისტთა დაპირებას: ქვეყნად სამოთხე დამყარდება, როცა ჩვენ სახელმწიფოებრივი პრივილეგიებით აღვიჭურვებითო. კაპიტალიზმის განვითარება მიმდინარეობს და, ასე თუ ისე, წინ წავა ერთიან, ეროვნულად აჭრელებულ სახელმწიფოშიც და ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოებშიც.

ყოველ შემთხვევაში დაჭირავებული მუშა ექსპლოატაციის ობიექტად დარჩება, და ამ ექსპლოატაციის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლა მოითხოვს პროლეტარიატის დამოუკიდებლობას ნაციონალიზმისაგან, მოითხოვს პროლეტარათა, ასე ვთქვათ, სრულ ნეიტრალობას სხვადასხვა ერის ბურჟუაზიის ბრძოლაში პირველობისათვის. რომელიმე ერის პროლეტარიატის მიერ «თავისი» ნაციონალური ბურჟუაზიის პრივილეგიათა ოდნავი მხარისდაჭერაც კი გარდუვალად წარმოშობს მეორე ერის პროლეტარიატის უნდობლობას, შეასუსტებს მუშების ინტერნაციონალურ კლასობრივ სოლიდარობას, დაქსაქსავს მათ ბურჟუაზიის გასახარებლად. ხოლო თვითგამორკვევის, ანუ გამოყოფის უფლების უარყოფა გარდუვალად ნიშნავს პრაქტიკაში გაბატონებული ერის პრივილეგიათა მხარისდაჭერას...

...მუშათა კლასს ყველაზე ნაკლებ შეუძლია ფეტიშად გაი-

ხადოს ნაციონალური საკითხი, ვინაიდან კაპიტალიზმის გან-
ვითარება აუცილებლად ყველა ერს როდი აღვიძებს და-
მოუკიდებელი ცხოვრებისათვის. მაგრამ, რაკი მასობრივი ეროვ-
ნული მოძრაობანი წარმოიშენენ, მათგან განზე გადგომა, მათ-
ში პროგრესულის მხარისდაჭერაზე უარისთქმა იმას ნიშნავს,
რომ ადამიანი ნამდვილად ნაციონალისტურ ცრურწმე-
ნებს აპყვეს, სახელდობრ: «თავისი» ერი «სანიმუშო ერად»
აღიაროს (ან, დავძენთ ჩვენდათავად, ერად, რომელსაც განსა-
კუთრებული პრივილეგია აქვს სახელმწიფოებრივი მშენებ-
ლობისა)*...

უწინარეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ, რარიც ღარიბიც
არის რუსული ს.-დ-იული ლიტერატურა, რომელიც «ერთა
თვითგამორკვევის უფლებას» შეეხება, მაინც იქიდან სრუ-
ლიად ნათლად ჩანს, რომ ეს უფლება ყოველთვის ისე იყო
გაგებული, როგორც გამოყოფის უფლება. ბბ. სემკოვსკები,
ლიბმანები და იურკევიჩები, რომლებსაც ამაში ეჭვი შეაქვთ,
რომლებიც § 9-ს «ბუნდოვანად» აცხადებენ და სხვ., მხოლოდ
უკიდურესი უმეცრებისა და უზრუნველობის გამო ლაყბობენ
«ბუნდოვანებაზე». ჯერ კიდევ 1902 წელს «ზარიაში» პლე-
ხანოვი**, იცავდა რა «თვითგამორკვევის უფლებას» პროგრა-
მის პროექტში, წერდა: ეს მოთხოვნა, რომელიც სავალდებუ-
ლო არ არის ბურჟუაზიული დემოკრატებისათვის, «სავალდებ-
ულოა სოციალ-დემოკრატებისთვისო». «ჩვენ რომ იგი დავგ-
ვიწყებოდა, ან მისი წამოყენება ვერ გაგვებდნა, — წერდა
პლехანოვი, — იმის შიშით, ველიკოროსთა ტომის ჩვენი თანა-
მემამულეების ეროვნული ცრურწმენანი არ შევებლალთო,
მაშინ ჩვენ სამარცხვინო ტყუილად ვაქცევდით ლო-
ზუნგს...: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!»²⁴.

* შეადარე კიდევ მარქსის წერილი ენგელსისადმი 1867 წ. 3 ივნისის
თარიღით: ...«ტაიმსის» პარიზული კორესპონდენციიდან დიდი სიამოვნე-
ბით გავიგე პარიზელების პოლონოფილურ ყიფინაზე რუსეთის წინააღმდეგ...
ბ-ნი პრუდონი და მისი პატარა დოქტრინიორული ხროვა საფრანგეთის
ხალხი როდია».²³

** 1916 წელს ვ. ი. ლენინმა ამ ადგილს შენიშვნა დაურთო: «ვთხოვთ
მკითხველს არ დაივიწყოს, რომ 1903 წელს პლехანოვი ოპორტუნისმის
ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე იყო, შორს იდგა თავის სავალალოდ
ცნობილ შებრუნებისაგან ოპორტუნისმისკენ და შემდეგში შოვინისმისკენ».

ეს მეტად მოსწრებული დახასიათებაა ძირითადი საბუთისა განსახილველი პუნქტის სასარგებლოდ, იმდენად მოსწრებული, რომ მას ამაოდ არ უვლიდნენ შიშით გვერდს და ახლაც გვერდს უვლიან ჩვენი პროგრამის «გულმავიწყი» კრიტიკოსები. ამ პუნქტის უარყოფა, როგორი მოტივებითაც არ უნდა ასაბუთებდნენ მას, ნამდვილად ნიშნავს «სამარცხვინო» დათმობას ველიკოროსული ნაციონალიზმისადმი. რატომ ველიკოროსულისადმი, როცა ლაპარაკია ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებაზე? იმიტომ, რომ საქმე ეხება ველიკოროსებისაგან გამოყოფას. პროლეტარტა შეერთების ინტერესი, მათი კლასობრივი სოლიდარობის ინტერესი მოითხოვს ერთა გამოყოფის უფლების აღიარებას — აი რა აღიარა ზემოთ ციტირებულ სიტყვებში პლენანოვმა 12 წლის წინათ...

მარქსიზმის თეორიის თვალსაზრისით საერთოდ, თვითგამორკვევის უფლების საკითხი სიძნელეს როდი წარმოადგენს. სერიოზულად ლაპარაკიც კი არ შეიძლება არც ლონდონის 1896 წლის გადაწყვეტილების სადავოდ გამოცხადებაზე, არც იმაზე, რომ თვითგამორკვევად იგულისხმება მხოლოდ გამოყოფის უფლება, და არც იმაზე, რომ დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების ტენდენციაა.

სიძნელეს რამდენადმე ის გარემოება ქმნის, რომ რუსეთში მხარდამხარ იბრძვის, და უნდა იბრძოლოს კიდევაც, ჩაგრულ ერთა პროლეტარიატი და მჩაგვრელი ერის პროლეტარიატი. დავიცვათ სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ერთიანობა, უკუვაგდოთ ნაციონალიზმის ყველა ბურჟუაზიული და შავრაზმული გავლენა — აი რა არის ამოცანა. ჩაგრულ ერთა შორის პროლეტარიატის გამოყოფა დამოუკიდებელ პარტიად ზოგჯერ ისეთ გააფთრებულ ბრძოლას იწვევს ამა თუ იმ ერის ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომ პერსპექტივა მახინჯდება და მჩაგვრელი ერის ნაციონალიზმი დავიწყებას ეძლევა.

მაგრამ პერსპექტივის ასეთი დამახინჯება მხოლოდ ცოტა ხნითაა შესაძლებელი. სხვადასხვა ერის პროლეტარების საერთო ბრძოლის გამოცდილება მეტად აშკარად გვიჩვენებს, რომ პოლიტიკურ საკითხებს უნდა ვაყენებდეთ არა «კრავის»,

არამედ სრულიად რუსეთის თვალსაზრისით. სრულიად რუსეთის პოლიტიკაში კი პურიშკევიჩები და კოკოშკინები ბატონობენ. მათი იდეები მეფობენ, ისინი ქადაგებენ და წარმართავენ უცხოტომელთა დევნას «სეპარატიზმისათვის», გამოყოფის აზრებისათვის სათათბიროში, სკოლებში, ეკლესიებში, ყაზარმებში, ასსა და ათას გაზეთში. აი ნაციონალიზმის ეს, ველიკოროსული, შხამი წამლავს მთელი რუსეთის პოლიტიკურ ატმოსფეროს. ეს უბედურებაა ხალხისა, რომელიც სხვა ხალხებს იმონებს და რეაქციას განამტკიცებს მთელ რუსეთში. 1849 და 1863 წლების მოგონებანი წარმოადგენენ ცოცხალ პოლიტიკურ ტრადიციას, რომელიც, თუ ძალიან დიდი მასშტაბის ქარიშხალი არ ამოვარდა, კიდევ მრავალი ათეული წლით ქმნის საფრთხეს — შეაფერხოს ყოველგვარი დემოკრატიული და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა.

უეჭველია, რარიგ ბუნებრივადაც არ უნდა გვეჩვენოს ხანდახან ჩაგრულ ერთა (რომელთა «უბედურება» ზოგჯერ ის არის, რომ მოსახლეობის მასები დაბრმავებული არიან «თავიანთი» ეროვნული განთავისუფლების იდეით) ზოგიერთი მარქსისტის თვალსაზრისი, მაინც საქმით, რუსეთში კლასობრივ ძალთა ობიექტური თანაფარდობის მიხედვით, თვითგამორკვევის უფლების დაცვაზე უარისთქმა უდრის უბოროტეს ოპორტუნიზმს, პროლეტარიატის დაავადებას კოკოშკინების იდეებით. ეს იდეები კი, არსებითად, პურიშკევიჩების იდეებსა და პოლიტიკას წარმოადგენენ.

ამიტომ, თუ როზა ლუქსემბურგის თვალსაზრისი თავდაპირველად შეიძლებოდა გამართლებულიყო, როგორც სპეციფიკური პოლონური, «კრაკოვეული» შეზღუდულობა*, ამჟამად, როცა ყველგან გაძლიერდა ნაციონალიზმი და უწინარეს

* ძნელი არაა იმის გაგება, რომ მთელი რუსეთის მარქსისტებისა და პირველ რიგში ველიკოროსების მიერ ერთა გამოყოფის უფლების აღიარება სრულიადაც არ გამორიცხავს ამა თუ იმ ჩაგრული ერის მარქსისტების მხრივ გამოყოფის წინააღმდეგ აგიტაციას, ისე როგორც განქორწინების უფლების აღიარება არ გამორიცხავს ამა თუ იმ შემთხვევაში განქორწინების წინააღმდეგ აგიტაციას. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარდუვალად გაიზრდება იმ პოლონელი მარქსისტების რიცხვი, რომლებიც სასაცილოდ აიგდებენ არარსებულ «წინააღმდეგობას» ამჟამად სემკოვსკისა და ტროცკის მიერ «გაღვივებულს».

ყოველისა მთავრობის, ველიკოროსული ნაციონალიზმი, როცა პოლიტიკას იგი წარმართავს, — ასეთი შეზღუდულობა უკვე მიუტევებელი ხდება. ნამდვილად მას ებლაუჭებიან ყველა ერის ოპორტუნისტები, რომლებიც გაურბიან «ქარიშხლებისა» და «ნახტომების» იდეას, დამთავრებულად მიაჩნიათ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალება, უკან მისდევენ კოკოშკინების ლიბერალიზმს.

ველიკოროსული ნაციონალიზმი, ისევე როგორც ყოველი ნაციონალიზმი, სხვადასხვა ფაზას განიცდის, იმისდა მიხედვით, თუ რომელი კლასი მეთაურობს ბურჟუაზიულ ქვეყანაში. 1905 წლამდე ჩვენ თითქმის მხოლოდ ნაციონალ-რეაქციონერებს ვიცნობდით. რევოლუციის შემდეგ ჩვენში ნაციონალ-ლიბერალები გაჩნდნენ.

ამ პოზიციაზე ჩვენში ფაქტიურად დგანან ოქტიაბრისტიბიც და კადეტებიც (კოკოშკინი), ე. ი. მთელი თანამედროვე ბურჟუაზია.

მომავალში კი გარდაუვალია ველიკოროსი ნაციონალ-დემოკრატების წარმოშობა. «სახალხო-სოციალისტური» პარტიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა ბ-მა პეშეხოვოვმა ეს თვალსაზრისი უკვე გამოთქვა, როცა მოუწოდებდა («რუსეთე ბოგატსტოს» 1906 წლის აგვისტოს წიგნში) — ფრთხილად მოეპყარით გლეხის ნაციონალისტურ ცრურწმენებსო. რამდენიც არ უნდა დაგვწამონ ცილი ჩვენ, ბოლშევიკებს, თითქოს გლეხის «იდეალიზაციას» ვახდენდეთ, ჩვენ ყოველთვის ზედმიწევნით ვარჩევდით ერთმანეთისაგან და მომავალშიც გავარჩევთ გლეხის ჭკუას გლეხის ცრურწმენათაგან, გლეხის დემოკრატიზმს, პურიშკევიჩის წინააღმდეგ მიმართულს, გლეხის მისწრაფებისაგან — შეურიგდეს ხუცესსა და მემამულეს.

ველიკოროს გლეხთა ნაციონალიზმს პროლეტარულმა დემოკრატებმა ანგარიში უნდა გაუწიოს (არა დათმობათა აზრით, არამედ ბრძოლის აზრით) უკვე ახლაც და იგი მას, ალბათ, კიდევ კარგახანს გაუწევს ანგარიშს*. ნაციონალიზმის გაღვიძე-

* საინტერესო იქნებოდა თვალის გადევნება, თუ როგორ იცვლის სახეს, მაგ., ნაციონალიზმი პოლონეთში, როგორ იქცევა შლიახტურიდან ბურჟუაზიულ, ხოლო შემდეგ გლეხურ ნაციონალიზმად. ლუდვიგ ბერნჰარდი თავის წიგნში «Das polnische Gemeinwesen im preussischen

ბა ჩაგრულ ერებში, რამაც ესოდენ მძლავრად იჩინა თავი 1905 წლის შემდეგ (გავიხსენოთ თუნდაც «ავტონომისტ-ფედერალისტების» ჯგუფი I სათათბიროში, უკრაინული მოძრაობის, მუსლიმანური მოძრაობის ზრდა და სხვ.), — გარდუვალად გამოიწვევს ველიკოროსული წვრილი ბურჟუაზიის ნაციონალიზმის გაძლიერებას ქალაქებსა და სოფლებში. რაც უფრო ნელი ნაბიჯით წავა რუსეთის დემოკრატიული გარდაქმნა, მით უფრო შეუპოვარი, ტლანქი, გაშმაგებული იქნება სხვადასხვა ერის ბურჟუაზიის ეროვნული დევნა და შუღლი. რუსი პურიშკევიჩების განსაკუთრებული რეაქციულობა ამასთანავე წარმოშობს (და გააძლიერებს) «სეპარატისტულ» მისწრაფებას ამა თუ იმ ჩაგრულ ერებს შორის, რომლებიც ხანდახან ბევრად მეტი თავისუფლებით სარგებლობენ მეზობელ სახელმწიფოებში.

საქმის ასეთი ვითარება რუსეთის პროლეტარიატს ორგვარ ანუ, უკეთ, ორმხრივ ამოცანას უყენებს: იბრძოლოს ყოველგვარი ნაციონალიზმის და უწინარეს ყოვლისა ველიკოროსული ნაციონალიზმის წინააღმდეგ; აღიაროს არა მარტო ყველა ერის სრული თანასწორუფლებიანობა საერთოდ, არამედ თანასწორუფლებიანობა სახელმწიფოებრივი მშენებლობის მხრივაც, ე. ი. ერთა თვითგამორკვევის, გამოყოფის უფლება; — ხოლო ამასთან ერთად, და სწორედ ყველა ერის ყოველგვარი ნაციონალიზმის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის ინტერესებისათვის, დაიცვას პროლეტარული ბრძოლისა და პროლეტარული ორგანიზაციების ერთიანობა, მათი უმჭიდროესად შედუღება ინტერნაციონალურ ერთობად, წინააღმდეგ ბურჟუაზიული მისწრაფებისა ეროვნული განკერძოებისადმი.

Staat» («პოლონელები პრუსიაში»; არის რუსული თარგმანი), რომელიც თვითონ გერმანელი კოკოშკინის თვალსაზრისზე დვას, მეტად დამახასიათებელ მოვლენას აგვიწერს: პოლონელების ერთგვარი «გლეხური რესპუბლიკის» შექმნას გერმანიაში; ეს ხდება პოლონელ გლეხთა ყოველგვარი კოოპერატივებისა და სხვა კავშირების მჭიდროდ დაახლოების სახით, ეროვნებისა, რელიგიისა, «პოლონეთის» მიწაწყლისათვის ბრძოლაში. გერმანელთა უღელბა შეაკავშირა პოლონელები, განაკერძოვა ისინი, გაღვივდა ჯერ შლიახტის, შემდეგ ბურჟუების, ბოლოს, გლეხობის მასის ნაციონალიზმი (განსაკუთრებით იმ ლაშქრობის შემდეგ, რომელიც გერმანელებმა 1873 წელს დაიწყეს პოლონური ენის წინააღმდეგ სკოლებში). ასევე მიიმართება საქმე რუსეთშიც, და არა მარტო პოლონეთის წინააღმდეგ

ერთა სრული თანასწორუფლებიანობა; ერთა თვითგამორ-
კვევის უფლება; ყველა ერის მუშების შედუღება — ამ ნაციო-
ნალურ პროგრამას ასწავლის მუშებს მარქსიზმი, ასწავლის
მთელი მსოფლიოს და რუსეთის გამოცდილება.

დაწერილია 1914 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 20, გვ. 499—506,
512—513, 514—516,
519—520, 537—544,
545, 555—559.

თ ე ზ ი ს ე ბ ი «რევოლუციური სოციალ-დემოკრატების აგოცანები ევროპის ომში»²⁵

(ნაწყვეტი)

...მშრომელი მასების თვალსაზრისით ნაკლები ბოროტება
იქნებოდა დამარცხება მეფის მონარქიისა და მისი ჯარებისა,
რომლებიც ჩაგრავენ პოლონეთს, უკრაინას და რუსეთის მთელ
რიგ ხალხებს, და აღვივებენ ეროვნულ მტრობას ველიკორუ-
სების მიერ სხვა ეროვნებათა ჩაგვრის გასაძლიერებლად და
მეფის მონარქიის რეაქციული და ბარბაროსული მთავრობის
განსამტკიცებლად.

7) სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგები ამჟამად უნდა იყოს:

ჯერ ერთი, ყოველმხრივი, ჯარზეც და საომარი მოქმედე-
ბის ასპარეზზეც გავრცელებული, პროპაგანდა სოციალისტუ-
რი რევოლუციისა და იმის აუცილებლობისა, რომ იარაღი მი-
მართულ იქნას არა თავისი მოძმეების, ყველა ქვეყნის დაქი-
რავებული მონების წინააღმდეგ, არამედ ყველა ქვეყნის რეაქ-
ციული და ბურჟუაზიული მთავრობებისა და პარტიების წი-
ნააღმდეგ. უთუო აუცილებლობა — მოეწყოს ასეთი პროპა-
განდისათვის ყველა ენაზე არალეგალური უჯრედები და ჯგუ-
ფები ყველა ერის ჯარში. უღმობელი ბრძოლა უკლებლივ
ყველა ქვეყნის მემჩანებისა და ბურჟუების შოვინიზმისა და
«პატრიოტიზმის» წინააღმდეგ. თანამედროვე ინტერნაციონა-
ლის იმ წინამძღოლთა წინააღმდეგ, ვინც სოციალიზმს უღა-
ლატა, აუცილებელია მივმართოთ მუშათა მასების რევოლუ-
ციურ შეგნებულობას, რომლებსაც აწევთ ომის მთელი სიმ-

ПРОЛЕТАРИИ ВСѢХЪ СТРАНЪ, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

РОССІЙСКАЯ СОЦІАЛЪДЕМОКРАТИЧЕСКАЯ РАБОЧАЯ ПАРТІЯ.

Н. ЛЕНИНЪ.

**ЗАДАЧИ
РУССКИХЪ
СОЦІАЛЪДЕМОКРАТОВЪ**

Изданіе 2-е.

СЪ ПРЕДИСЛОВІЯМИ

АВТОРА

И

П. Б. АКСЕЛЬРОДА.

Наданіе Загран. Лиги Русск. Революціонной Соціалъдемократіи.

ЖЕНЕВА

Типографія Лиги, Route Caroline, 27.

1902 г.

Copertina della seconda edizione dell'opuscolo
I compiti dei socialdemocratici russi, 1902.

ძივე, და რომლებიც უმეტეს შემთხვევებში მტრულად არიან განწყობილნი ოპორტუნისმისა და შოვინისმისადმი;

მეორე, პროპაგანდა გერმანიის, პოლონეთის, რუსეთის და სხვათა რესპუბლიკისა, როგორც ერთ-ერთი უახლოესი ლოზუნგისა, და ამავე დროს ევროპის ყველა ცალკეულ სახელმწიფოს გადაქცევისა ევროპის რესპუბლიკურ შეერთებულ შტატებად²⁶;

მესამე, ბრძოლა განსაკუთრებით მეფის მონარქიასთან და ველიკორუსულ, პანსლავისტურ, შოვინისმთან და ქადაგება რევოლუციისა რუსეთში, აგრეთვე რუსეთის მიერ ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისა და თვითგამორკვევისა, ამასთან უახლოეს ლოზუნგებად დემოკრატიული რესპუბლიკის, მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და მ-საათიანი სამუშაო დღის წამოყენება.

დაწერილია 1914 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 21, გვ. 5-6.

ს ტ ა ტ ი ა « ე ვ რ ო პ ი ს ო მ ი და ს ა მ რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი »

(ნაწყვეტი)

დიახ, ევროპელი სოციალისტების სრული incapacità, უუნარობის, უძლურების დროსაც კი, დალატი და საძაგლობა მათი ბელადების მოქმედება: მუშები ზოცვა-ჟლეტაში ჩაებნენ, ბელადები კი? ხმას აძლევენ სასარგებლოდ, შედიან სამინისტროში!!! სრული უძლურების დროსაც კი ხმა უნდა მიეცათ წინააღმდეგ, სამინისტროში კი არ უნდა შესულიყვნენ, შოვინისტური სისაძაგლე კი არ უნდა ელაპარაკნათ, თავის «ერთან» სოლიდარულნი კი არ უნდა ყოფილიყვნენ, «თავისი» ბურჟუაზია კი არ უნდა დაეცვათ, არამედ ემხილებინათ მისი სისაძაგლე.

ვინაიდან ყველგან ბურჟუაზია და იმპერიალისტები არიან, ყველგან ზოცვა-ჟლეტის საზიზღარი მომზადებაა: თუ განსაკუთრებით საზიზღარი და ბარბაროსულია რუსული ცარიზმი (ყველაზე უფრო რეაქციულია), სამაგიეროდ

გერმანული იმპერიალიზმიც მონარქისტულია — ფეოდალურ-დინასტიური მიზნები, ტლანქი, ნაკლებ თავისუფალი ბურჟუაზია, ვიდრე საფრანგეთისა. რუსი სოციალ-დემოკრატები მართლნი იყვნენ, როდესაც ამბობდნენ, რომ მათთვის ნაკლები ბოროტებაა ცარიზმის დამარცხება, რომ ყველაზე მეტად მათი უშუალო მტერია ველიკოროსული შოვინიზმი, მაგრამ თვითეული ქვეყნის სოციალისტებს (არა ოპორტუნისტებს) თავის მთავარ მტრად უნდა მიაჩნდეთ «თავისი» («მშობლიური») შოვინიზმი.

დაწერილია 1914 წ.

ვ. ი. ლენინი, თბ.,
ტ. 21, გვ. 10—11.

ს ტ ა ტ ი ა «სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები»²⁷

(ნაწყვეტი)

ახლანდელ კრიზისში ყველაზე უფრო სამძიმოა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, შოვინიზმის გამარჯვება ევროპული სოციალიზმის ოფიციალურ წარმომადგენელთა უმრავლესობაზე. ტყუილად კი არ არის, რომ ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული გაზეთები ხან დასცინიან, ხან მოწყალებდ აქებენ მათ. და არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა იმისათვის, ვისაც სურს სოციალისტად დარჩეს, ვიდრე სოციალისტური კრიზისის მიზეზების გამორკვევა და ინტერნაციონალის ამოცანების ანალიზი.

არიან ადამიანები, რომლებსაც ეშინიათ აღიარონ ის ჭეშმარიტება, რომ II ინტერნაციონალის კრიზისი, უფრო სწორად: კრაზი, ეს არის ოპორტუნიზმის კრაზი.

მიგვითითებენ, მაგალითად, ფრანგი სოციალისტების ერთ-სულოვნებაზე, სოციალიზმში არსებული ძველი ფრაქციების ვითომდა სრულ გადაჯგუფებაზე ომისადმი დამოკიდებულების საკითხში. მაგრამ ეს მითითებანი არასწორია.

კლასების თანამშრომლობის დაცვა, სოციალისტური რევოლუციის იდეაზე და ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებზე უარისთქმა, ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან შეგუება, ეროვ-

ნების თუ სამშობლოს ისტორიულად გარდამავალი საზღვრების დავიწყება, ბურჟუაზიული ლეგალობის გადაქცევა ფეტიშად, კლასობრივ თვალსაზრისსა და კლასობრივ ბრძოლაზე ხელისაღება იმის შიშით, ვაი თუ «მოსახლეობის ფართო მასები» (წაიკითხეთ: წვრილი ბურჟუაზია) ჩამოგვშორდნენო, — ასეთია, უეჭველად, ოპორტუნისმის იდეური საფუძვლები. სწორედ ამ ნიადაგზე გაიზარდა II ინტერნაციონალის ბელადთა უმრავლესობის ახლანდელი შოვინისტური, პატრიოტული სულისკვეთება.

დაბეჭდილია 1914 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 21, გვ. 25—26.

ველიკორუსების ეროვნული სიამაჟის შესახებ

რა ბევრს ლაპარაკობენ, ბჭობენ, ყვირიან ახლა ეროვნების შესახებ, სამშობლოს შესახებ! ინგლისის ლიბერალური და რადიკალური მინისტრები, საფრანგეთის უამრავი «მოწინავე» პუბლიცისტები (რომლებიც რეაქციის პუბლიცისტებთან საგნებით თანახმანი აღმოჩნდნენ), რუსეთის აურაცხელი კაზინური, კადეტური და პროგრესული მკლაბნელები (ზოგიერთი ნაროდნიკული და «მარქსისტულიც» კი) — ყველანი ათასნაირ პანგზე ქებას ასხამენ «სამშობლოს» თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ეროვნული თვითმყოფობის პრინციპის სიდიადეს. ვერ გაარჩევ, თუ სად თავდება აქ ჯალათ ნიკოლოზ რომანოვის ან ზანგთა და ინდოეთის მოსახლეთა მწამებლების მოსყიდული მეხოტბე, სად იწყება ჩვეულებრივი ფილისტერი, რომელიც სიყეყეჩის თუ უნიათობის გამო «მდინარებას» მისდევს. ამის გარჩევა არცაა მნიშვნელოვანი. ჩვენს წინაშეა მეტად ფართო და მეტად ღრმა იდეური მიმდინარეობა, რომლის ფესვები ძალიან მტკიცედაა დაკავშირებული დიდმპყრობელი ერების ბატონი მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესებთან. ამ კლასებისათვის ხელსაყრელი იდეების საპროპაგანდოდ ათეული და ასეული მილიონები იხარჯება წელიწადში: ეს როდია პატარა წისქვილი, რომელიც წყალს იღებს ყოველი მხრიდან, დაწყებული მოშხამული შოვინის-

ტით მენშიკოვით და გათავებული ოპორტუნიზმის ან უხასიათობის გამო შოვინისტებით, პლენაროვითა და მასლოვით, რუბანოვიჩითა და სმირნოვით, კროპოტკინითა და ბურცევით.

ვცადოთ ჩვენც, ველიკორუსმა სოციალ-დემოკრატებმა, განვსაზღვროთ ჩვენი დამოკიდებულება ამ იდეური მიმდინარეობისადმი. ჩვენთვის, უკიდურესი აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის საკმაოდ დიდი ნაწილის დიდმპყრობელი ერის წარმომადგენლებისათვის, შეუფერებელი იქნებოდა დაგვევიწყებინა ეროვნული საკითხის უდიდესი მნიშვნელობა; — განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ «ხალხთა საპყრობილეს»; — ისეთ დროს, როდესაც სწორედ შორეულ აღმოსავლეთ ევროპაში და აზიაში კაპიტალიზმი სიცოცხლისა და შეგნებისათვის აღვიძებს მთელ რიგ «ახალ» დიდ და პატარა ერებს; — ისეთ მომენტში, როდესაც მეფის მონარქიამ თოფქვეშ დააყენა მილიონობით ველიკორუსები და «უცხოტომელები», რათა გადაწყვიტოს მთელი რიგი ეროვნული საკითხები გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს და გუჩკოვების, კრესტოვნიკოვების, დოლგოროუკოვების, კუტლერების, როდიჩეეების ინტერესთა შესაბამისად.

უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკორუსი შეგნებული პროლეტარებისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტად ვმუშაობთ იმისათვის, რომ მისი მშრომელი მასები (ე. ი. მისი მოსახლეობის 9/10) ავამაღლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებამდე. ჩვენთვის ყველაზე მეტად გულსატკენია ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრასა და აბუჩად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრივ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას ხვდებოდა ჩვენი წრიდან, ველიკორუსების წრიდან, რომ ამ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლების რევოლუციონერ-რაზნოჩინელები, რომ ველიკორუსმა მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების ძლიერი რევოლუციური პარტია, რომ ამავე დროს ველიკორუსმა გლეხმა დაიწყო დემოკრატიად გადაქცევა, დაიწყო ხუცესისა და მემამულის დამხობა.

ჩვენ გვახსოვს, თუ რა თქვა ნახევარი საუკუნის წინათ ველიკორუსმა დემოკრატმა ჩერნიშევსკიმ, რომელიც თავის სიცოცხლეს სწირავდა რევოლუციის საქმეს: «საცოდავი ერი, მონების ერი, თავიდან ბოლომდე ყველა მონაა»²⁸. აშკარა და ფარულ მონა-ველიკორუსებს (მონებს მეფის მონარქიის მიმართ) არ უყვართ ამ სიტყვების გახსენება. ჩვენი აზრით კი, ეს იყო სიტყვები სამშობლოს ნამდვილი სიყვარულისა, ისეთი სიყვარულისა, რომელიც კაეშანს შეუპყრია. რომ ველიკორუსი მოსახლეობის მასებში რევოლუციურობა არ არის. მაშინ ეს რევოლუციურობა არ იყო. ახლა იგი ცოტაა, მაგრამ უკვე არის. ჩვენ აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით, რადგან ველიკორუსმა ერმა აგრეთვე შექმნა რევოლუციური კლასი, მანაც დაამტკიცა, რომ მას უნარი შესწევს მისცეს კაცობრიობას თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი ნიმუშები, და არა მარტო დიდი რბევა-აწიოკება, სახრჩობელათა რიგები, საწამებელი ადგილები, დიდი შიმშილობანი და დიდი მლიქვნელობა ხუცეების, მეფეების, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინაშე.

ჩვენ აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით, და სწორედ ამიტომ განსაკუთრებით გვძულს ჩვენი მონური წარსული (როდესაც მემამულე-თავადაზნაურებს გლეხები საომრად მიჰყავდათ; რათა ჩაეხშოთ უნგრეთის, პოლონეთის, სპარსეთის, ჩინეთის თავისუფლება) და ჩვენი მონური აწმყო, როდესაც იმავე მემამულეებს, კაპიტალისტების დახმარებით, ჩვენ მიეყავართ საომრად, რათა ჩაახშონ პოლონეთი და უკრაინა, რათა დათრგუნონ დემოკრატიული მოძრაობა სპარსეთსა და ჩინეთში, რათა გააძლიერონ ჩვენი ველიკორუსული ეროვნული ღირსების შემარცხვენილი რომანოვების, ბობრინსკების, პურიშკევიჩების ხროვა. არავინ არის დამნაშავე იმაში, თუ ის მონად დაიბადა; მაგრამ მონა, რომლისთვისაც არა თუ უცხოა მისწრაფება თავისი თავისუფლებისაკენ, არამედ კიდევ ამართლებს და აფერადებს თავის მონობას (მაგალითად, პოლონეთის, უკრაინის და სხვათა ჩახშობას უწოდებს ველიკოროსთა «სამშობლოს დაცვას»). ასეთი მონა არის გულისწყრომის, ათვალწუნებისა და ზიზღის კანონიერი გრძნობის გამომწვევი ტუტუცი და ხეპრე.

«არ შეიძლება თავისუფალი იყოს ის ხალხი, რომელიც

სხვა ხალხებს სჩაგრავს»²⁹, ასე ამბობდნენ XIX საუკუნის თანამედვერული დემოკრატიის უდიდესი წარმომადგენლები მარქსი და ენგელსი, რომლებიც რევოლუციური პროლეტარიატის მასწავლებლნი გახდნენ. და ჩვენ, ველიკორუსი მუშები, აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძობით, ჩვენ გვსურს რაღაც უნდა დაგვიჯდეს თავისუფალი და დამოუკიდებელი, თავისთავადი, თვითმყოფი, რესპუბლიკური, ამაყი ველიკორუსეთი, რომელიც თავის ურთიერთობას მეზობლებთან ააგებს თანასწორობის ადამიანურ პრინციპზე და არა პრივილეგიების ბატონყმურ, დიდი ერის დამამცირებელ პრინციპზე. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გვსურს ასეთი ველიკორუსეთი, ჩვენ ვამბობთ: არ შეიძლება XX საუკუნეში, ევროპაში (თუნდაც შორეულ აღმოსავლეთ ევროპაში), «დაიცვა სამშობლო» სხვანაირად, თუ არ იბრძოლე მთელი რევოლუციური საშუალებებით საკუთარი სამშობლოს მონარქიის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, ე. ი. ჩვენი სამშობლოს უცუდესი ბტრების წინააღმდეგ; — არ შეიძლება ველიკორუსებმა «დაიცვან სამშობლო» სხვანაირად, თუ არ ისურვეს ცარიზმის დამარცხება ყოველ ომში, როგორც ნაკლები ბოროტება ველიკორუსეთის მოსახლეობის 9/10-თვის, რადგან ცარიზმი არათუ ჩაგრავს მოსახლეობის ამ 9/10-ს ეკონომიურად და პოლიტიკურად, არამედ ამასთან ერთად ხრწნის, სპობს, პატივსა ხდის, რყენის მას, რომ აჩვენებს სხვა ხალხთა ჩაგვრას, რომ აჩვენებს თავისი სირცხვილის დაფარვას თვალთმაქცური, ვითომდა პატრიოტული ფრაზებით.

ჩვენ შეიძლება გვითხრან, ცარიზმის გარდა და მის ფრთებქვეშ წარმოიშვა და უკვე განმტკიცდა სხვა ისტორიული ძალა, ველიკორუსული კაპიტალიზმი, რომელიც პროგრესულ სამუშაოს ასრულებს, უზარმაზარ ოლქებს რომ ეკონომიკურად აცენტრალიზებს და აკავშირებსო. მაგრამ ასეთი მოსაზრება კი არ ამართლებს, არამედ კიდევ უფრო ძლიერ ამტყუნებს ჩვენს სოციალისტ-შოვინისტებს, რომლებისათვის უნდა გვეწოდებინა მეფური პურიშკევიჩისებური სოციალისტები (როგორც მარქსმა ლასალელებს უწოდა მეფურ-პრუსიული სოციალისტები)³⁰. დაუშვათ კიდევაც, რომ ისტორიამ საკითხი გადაწყვიტა ველიკორუსული დიდმპყრობელური კაპიტალიზმის სასარგებლოდ ასი და ერთი პატარა ერის წინააღმდეგ. ეს

შეუძლებელი არ არის, რადგან კაპიტალის მთელი ისტორია არის ძალადობისა და ძარცვის, სისხლისა და სიბინძურის ისტორია. და ჩვენ სრულიადაც არა ვართ მაინცდამაინც პატარა ერების მომხრენი; ჩვენ უმეჭველად, დანარჩენ თანასწორ პირობებში, ვემხრობით ცენტრალიზაციას და წინააღმდეგი ვართ ფედერაციულ ურთიერთობათა ფილისტერული იდეალისა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ჯერ ერთი, ჩვენი საქმე როდია, დემოკრატების საქმე როდია (ალარაფერი რომ არა ვთქვათ სოციალისტებზე) დავებმართოთ რომანოვ-ბობრინსკი-პურიშკევიჩს ჩაახშონ უკრაინა და ა. შ. ბისმარკმა თავისებურად, იუნკრულად, გააკეთა პროგრესული ისტორიული საქმე, მაგრამ რას ემგვანებოდა ის «მარქსისტი», რომელიც ამ საბუთით განიზრახავდა გაემართლებინა სოციალისტური დახმარება ბისმარკისადმი! და ამასთან ბისმარკი ხელს უწყობდა ეკონომიურ განვითარებას, — აერთიანებდა დაქსაქსულ გერმანელებს, რომლებსაც სხვა ხალხები ჩაგრავენენ. ველიკორუსეთის ეკონომიური აყვავება და სწრაფი განვითარება კი მოითხოვს ქვეყნის განთავისუფლებას სხვა ხალხების მიმართ ველიკორუსების ძალადობისაგან — ეს განსხვავება ავიწყდებათ ჭეშმარიტად რუსი თითქმის — ბისმარკების ჩვენებურ თაყვანისმცემლებს.

მეორეც, თუ ისტორია საკითხს გადაწყვეტს ველიკორუსული დიდმპყრობელური კაპიტალიზმის სასარგებლოდ, აქედან გამომდინარეობს, რომ მით უფრო დიდი იქნება სოციალისტური როლი ველიკორუსი პროლეტარიატისა, როგორც კაპიტალიზმით წარმოშობილი კომუნისტური რევოლუციის მთავარი მამოძრავებლისა. ხოლო პროლეტარიატის რევოლუციისათვის საჭიროა მუშების ხანგრძლივი აღზრდა უსრულესი ეროვნული თანასწორობისა და ძმობის სულისკვეთებით. მაშასადამე, სწორედ ველიკორუსი პროლეტარიატის ინტერესთა თვალსაზრისით, საჭიროა მასების ხანგრძლივი აღზრდა იმ აზრით, რომ მათ უალრესად გადაჭრით, თანმიმდევრულად, გაბედულად, რევოლუციურად დაიცვან ველიკორუსების მიერ დაჩაგრული ყველა ერის სრული თანასწორუფლებიანობა და თვითგამორკვევის უფლება. ველიკორუსების (არა მონურად გაგებული) ეროვნული სიამაყის ინტერესი თანემთხვევა ველიკორუსი (და ყველა სხვა) პროლეტარების

სოციალისტურ ინტერესს. ჩვენს ნიმუშად დარჩება მარქსი, რომელიც, ათეული წლობით ინგლისში ცხოვრების გამო, ნახევრად ინგლისელი გახდა და მოითხოვდა ირლანდიის თავისუფლებასა და ნაციონალურ დამოუკიდებლობას ინგლისელი მუშების სოციალისტური მოძრაობის ინტერესებისათვის.

ჩვენი შინაური სოციალისტი შოვინისტები კი, პლენანოვი და სხვები და სხვები, იმ უკანასკნელ და საეარაუდო შემთხვევაში, რომელიც ჩვენ განვიხილეთ, აღმოჩნდებიან არა მარტო თავისი სამშობლოს, თავისუფალი და დემოკრატიული ველიკორუსეთის მოღალატენი, არამედ რუსეთის ყველა ხალხთა პროლეტარული ძმობის, ე. ი. სოციალიზმის საქმის მოღალატენიც.

დაბეჭდილია 1914 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 21, გვ. 110—115.

შენიშვნა «რედაქციისაგან» სტატიის გამო «შპრანა და ომი» რედაქციისაგან

ზემოთ დაბეჭდილი სტატია ეკუთვნის «Дзвiн»-ის მიმართულების ერთ-ერთ თვალსაჩინო მომხრეს. ამ მიმართულებასთან მცირეოდენი ხნის წინათ გვექონდა მკვახე პოლემიკა. უთანხმოებანი ამ მიმართულების მწერლებთან ისევ გვაქვს. ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია მათი დათმობანი ნაციონალიზმის წინაშე, ჩვენ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად მიგვაჩნია «კულტურულ-ეროვნული ავტონომიის» იდეა, ჩვენ არ ვეთანხმებით იმას, რომ პროლეტარიატის ორგანიზაციის საუკეთესო გზაა მისი დაქუცმაცება ეროვნულ კურიებად, ჩვენ არ ვიზიარებთ მათს შეხედულებებს «არანაციონალურს», ნაციონალურსა და ინტერნაციონალურს შორის განსხვავებაზე. ჩვენ, როგორც თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმის მომხრენი, თავს ნებას ვაძლევთ ვიმედოვნებდეთ, რომ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი და მისი მეგობრები სათანადო გაკვეთილებს გამოიტანენ ევროპის ომის ამბებიდან.

ყოველ შემთხვევაში, მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ

სწორედ ახლანდელ მძიმე მომენტში უკრაინელ მოღვაწეთა ზემოხსენებული ჯგუფი ყველაზე მეტად გრძნობს სიახლოვეს «სოციალ-დემოკრატთან». თავიანთდა სსახელოდ მათ შეძლეს გამიჯვნოდნენ ყბადაღებულ «უკრაინის განთავისუფლების კავშირს»³¹, რომლის საქმიანობას საერთო არა აქვს რა სოციალ-დემოკრატიასთან.

დაბეჭდილია 1915 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 41, გვ. 381—382.

ს ტ ა ტ ი ა «სხვისი დროში»

(ნაწყვეტი)

ოპორტუნიზმისა და სოციალ-ნაციონალიზმის კავშირს, საერთოდ რომ ითქვას, უარყოფენ ა. პოტრესოვიც, მარტოვიც, აქსელროდიც, ვლ. კოსოვსკიც (რომელიც იქამდე მივიდა, რომ იცავს გერმანიის დემოკრატიების ნაციონალ-ლიბერალურ ხმის მიცემას კრედიტების სასარგებლოდ), ტროცკიც.

მათი მთავარი «საბუთი» ის არის, რომ ერთმანეთს მთლიანად არ ემთხვევა დემოკრატიის გუშინდელი დაყოფა «ოპორტუნიზმის მიხედვით» და მისი დღევანდელი დაყოფა «სოციალ-ნაციონალიზმის მიხედვით». ეს საბუთი, ჯერ ერთი, ფაქტიურად არ არის სწორი, როგორც ახლა ცხადვყოფთ, მეორეც, იგი მთლად ცალმხრივია, სრული არ არის, მარქსისტული თვალსაზრისით პრინციპულად უსაფუძვლოა. პირები და ჯგუფები შეიძლება გადადიოდნენ ერთი მხრიდან მეორე მხარისაკენ — ეს არათუ შესაძლებელია, ეს აუცილებელიც კია ყოველი დიდი საზოგადოებრივი «შენჯღრევისას»; გარკვეული მიმდინარეობის ხასიათი ამით სრულიადაც არ იცვლება; არ იცვლება განსაზღვრულ მიმდინარეობათა იდეური კავშირიც, არ იცვლება მათი კლასობრივი მნიშვნელობა. თითქოს, ყველა ეს მოსაზრება იმდენად საყოველთაოდ ცნობილია და უდავო, რომ როგორღაც უხერხულიც კია მათი მეტისმეტად ხაზგასმა. ამავე დროს კი სწორედ ეს მოსაზრებანი დაივიწყეს ხსენებულმა მწერლებმა. ოპორტუნიზმის ძირითადი კლასობრივი მნიშვნელობა — ანუ, თუ გნებავთ, სოციალურ-ეკონო-

მიუხრია შინაარსი — ის არის, რომ თანამედროვე დემოკრატიის გარკვეული ელემენტები გადავიდნენ (სინამდვილეში, ე. ი. თუნდაც ეს მათ არც კი ჰქონდეთ შეგნებული) ბურჟუაზიის მხარეზე მთელ რიგ ცალკეულ საკითხებში. ოპორტუნიზმი ლიბერალური მუშათა პოლიტიკაა. ვისაც ამ გამოთქმათა «ფრაქციული» ფორმის ემინია, იმას ვურჩევთ გაისარჯოს და გაეცნოს მარქსის, ენგელსისა და კაუცკის მიერ («ფრაქციულობის» მოწინააღმდეგეებისათვის განსაკუთრებით მისაღები „ავტორიტეტი», ხომ ასეა?) თუნდაც ინგლისური ოპორტუნიზმის შესახებ გამოთქმულ აზრებს. სრულიად უეჭველია, რომ ასეთი შესწავლის შედეგი იქნება ოპორტუნიზმისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ძირეული და არსებითი თანადამთხვევის აღიარება. ჩვენი დროის სოციალ-ნაციონალიზმის ძირითადი კლასობრივი მნიშვნელობა სავსებით იგივეა. ოპორტუნიზმის ძირითადი იდეა არის ბურჟუაზიისა და მისი ანტიპოდის კავშირი ან დაახლოება (ზოგჯერ შეთანხმება, ბლოკი და ა. შ.). სოციალ-ნაციონალიზმის ძირითადი იდეა სავსებით იგივეა. ოპორტუნიზმისა და სოციალ-ნაციონალიზმის იდეურ-პოლიტიკური ნათესაობა, კავშირი, იგივეობაც კი ყოველივე ეჭვს გარეშეა. ცხადია, ჩვენ საფუძვლად უნდა ავიღოთ არა პირები და არა ჯგუფები, არამედ სწორედ საზოგადოებრივ მიმდინარეობათა კლასობრივი შინაარსის ანალიზი და მათი მთავარი, არსებითი პრინციპების იდეურ-პოლიტიკური გამოკვლევა.

რამდენადმე სხვა მხრიდან მივუდგეთ ამავე თემას და დავსვათ კითხვა: საიდან გაჩნდა სოციალ-ნაციონალიზმი? როგორ იზრდებოდა და გაიზარდა იგი? რამ მისცა მას მნიშვნელობა და ძალა? ვისაც თავის თავისთვის ამ კითხვებზე პასუხი არ გაუცია, მას სრულიად ვერ გაუგია სოციალ-ნაციონალიზმი და, ცხადია, სრულიად არ შესწევს უნარი «იდეურად გაემიჯნოს» მას, თუნდაც ის იფიცავდეს და გაიძახოდეს, მზად ვარ «იდეურად გავემიჯნო» სოციალ-ნაციონალიზმსო.

ამ კითხვის პასუხი კი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: სოციალ-ნაციონალიზმი გაიზარდა ოპორტუნიზმიდან, და სწორედ ამ უკანასკნელმა მისცა მას ძალა. როგორ შეიძლებოდა «ერთბაშად» შობილიყო სოციალ-ნაციონალიზმი? სავსებით ისევე, როგორც «ერთბაშად» იბადება ბავშვი, თუ ჩასახვის

შემდეგ ცხრა თვემ განვლო. ოპორტუნიზმის მრავალრიცხოვან გამოვლინებათაგან თვითეული მთელი მეორე (ანუ გუშინდელი) ეპოქის მანძილზე ყველა ევროპულ ქვეყანაში იყო დღე, და ეს დღეები ყველა ერთად ახლა «ერთბაშად» შეერთდა დიდ, თუმცა მეტად წყალმარჩხ — (ხოლო ფრჩხილებში დაეძინო: მღვრიე და ბინძურ) — სოციალ-ნაციონალისტურ მდინარედ. ჩასახვიდან ცხრა თვის შემდეგ ნაყოფი უნდა გამოეყოს დედას; ოპორტუნიზმის ჩასახვის მრავალი ათეული წლის შემდეგ მისი მომწიფებული ნაყოფი, სოციალ-ნაციონალიზმი, უნდა გამოეყოს — მეტად თუ ნაკლებად მოკლე (ათეულ წლებთან შედარებით) ვადაში თანამედროვე დემოკრატიას. რაც უნდა იყვირონ სხვადასხვა კეთილმა ადამიანებმა, რაც უნდა იბრაზონ, რაც უნდა იშმაგონ მათ ამის თაობაზე აზრებისა და სიტყვების გამო, ეს გარდუვალია, რადგან ეს გამომდინარეობს თანამედროვე დემოკრატიის მთელი სოციალური განვითარებიდან და მესამე ეპოქის ობიექტური ვითარებიდან.

მაგრამ თუ სრული შესაბამისობა არ არის «ოპორტუნიზმის მიხედვით» დაყოფასა და «სოციალ-ნაციონალიზმის მიხედვით» დაყოფას შორის, განა ეს ამტკიცებს, რომ ამ მოვლენებს შორის არსებითი კავშირი არ არის?..

ჩვენ გვეუბნებიან: «ოპორტუნიზმის მიხედვით» დაყოფა მოძველდა; აზრი აქვს მხოლოდ დაყოფას საერთაშორისობის მომხრეებად და ნაციონალური შეზღუდულობის მომხრეებად. ეს სრულიად შემცდარი აზრია. ცნება «საერთაშორისობის მომხრე» მოკლებულია ყოველგვარ შინაარსსა და ყოველგვარ აზრს, თუ იგი კონკრეტულად არ განავითარეთ, და ასეთი კონკრეტული განვითარების ყოველი ნაბიჯი ოპორტუნიზმისადმი მტრობის ნიშნების ჩამოთვლა იქნება. პრაქტიკულად ეს კიდევ უფრო სწორი იქნება. საერთაშორისობის მომხრე, რომელიც არ არის ოპორტუნიზმის ყველაზე თანმიმდევარი და მტკიცე მოწინააღმდეგე, მირაჟია და მეტი არაფერი. იქნებ, ასეთი ტიპის ცალკეულმა პირებმა გულწრფელად მიიჩნიონ თავი «მესაერთაშორისეებად», მაგრამ ადამიანებზე მსჯელობენ არა იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობენ ისინი თავის თავზე, არამედ მათი პოლიტიკური მოქმედების მიხედვით: ასეთ «მესაერთაშორისეთა» პოლიტიკური მოქმედება, რომელნიც არ არიან ოპორტუნიზმის თანმიმდე-

ვარი და მტკიცე მოწინააღმდეგენი, ყოველთვის იქნება ნაციონალისტების მიმდინარეობის დახმარება ან მხარდაჭერა. მეორე მხრივ, ნაციონალისტებიც უწოდებენ თავისთავს «მესაერთაშორისეებს» (კაუცკი, ლენჩი, გენიში, ვანდერველდე, ჰაინდმანი და სხვ.) და არათუ უწოდებენ, არამედ სავსებით აღიარებენ ადამიანთა, მათ აზრთა მიმართულების საერთაშორისო დაახლოებას, შეთანხმებას, შეერთებას. ოპორტუნისტები «საერთაშორისობის» წინააღმდეგ არ გამოდიან, ისინი მხოლოდ ოპორტუნისტების საერთაშორისო მოწონებისა და საერთაშორისო შეთანხმების მომხრენი არიან.

დაწერილია 1915 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 21, გვ. 175—177, 179.

სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ

(ნაწყვეტი)

ყველაზე საინტერესო და უახლესი მასალა ამ საჭირობოროტო საკითხზე მოგვცა ბერნში ამას წინათ დამთავრებულმა ქალთა საერთაშორისო სოციალისტურმა კონფერენციამ². მკითხველნი ქვემოთ ნახავენ ამ კონფერენციის დახასიათებას და მიღებული თუ უკუგდებული რეზოლუციების ტექსტებს. ჩვენს სტატიაში განზრახვა გვაქვს შევჩერდეთ საქმის მხოლოდ ერთ მხარეზე...

კონფერენციაზე ერთმანეთს შეეჯახა ორი მსოფლმხედველობა, ორი შეფასება ომისა და ინტერნაციონალის ამოცანებისა, ორი ტაქტიკა პროლეტარული პარტიებისა. ერთი შეხედულება: არ მომხდარა ინტერნაციონალის კრახი, ღრმა და სერიოზული არ არის დაბრკოლებანი, რომ შოვინიზმიდან სოციალიზმს დავუბრუნდეთ, არ არის ძლიერი «შინაური მტერი» ოპორტუნიზმის სახით, არ არის მისი მხრივ სოციალიზმის პირდაპირი, უეჭველი, აშკარა ღალატი. აქედან დასკვნა: ნურავის დავგმობთ, «ამნისტია» გამოვუცხადოთ შტუტგარტიისა და ბაზელის რეზოლუციების დამრღვევებს, დავჯერდეთ რჩევას — აიღონ კურსი უფრო მარცხნივ, მოვუწოდოთ მასებს დემონსტრაციებისაკენ.

მეორე შეხედულება ყველა აქ ჩამოთვლილ პუნქტზე — სრულიად საპირისპიროა. პროლეტარული საქმისათვის არა არის რა იმაზე უფრო მავნებელი და უფრო დამღუპველი, ვიდრე ოპორტუნისტებთან და სოციალ-შოვინისტებთან შინაპარტიული დიპლომატიის განგრძობა. უმრავლესობის რეზოლუცია სწორედ იმიტომ აღმოჩნდა ოპორტუნისტ ქალების და ახლანდელი ოფიციალური პარტიების მომხრე ქალებისათვის მისაღები, რომ იგი მთლად გაჟღენთილია დიპლომატიის სულისკვეთებით. მუშათა მასებს, რომლებსაც ახლა სწორედ ოფიციალური სოციალ-პარტიოტები ხელმძღვანელობენ, ამგვარი დიპლომატიით უხვევენ თვალებს. მუშათა მასებს ჩააგონებენ უთუოდ შემცდარ და მავნე აზრს, თითქოს ახლანდელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს მათი ახლანდელი გამგეობებითურთ უნარი შესწევდეთ შესცვალონ კურსი და არასწორის ნაცვლად აიღონ სწორი კურსი.

ეს ასე არ არის. ეს უღრმესი და ფრიად დამღუპველი შეცდომაა. ახლანდელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს და მათ გამგეობებს უნარი არ შესწევთ სერიოზულად შესცვალონ კურსი. სინამდვილეში ყველაფერი ძველებურად რჩება, და უმრავლესობის რეზოლუციაში გამოთქმული «მემარცხენე» სურვილები უბრალო სურვილებად დარჩება — ეს უტყუარი პოლიტიკური ინსტინქტით გაითვალისწინეს ტრულსტრის პარტიის ან ფრანგული პარტიის ახლანდელი გამგეობის მომხრე ქალებმა, ხმა რომ მისცეს ასეთ რეზოლუციას. მასების მოწოდებას დემონსტრაციებისაკენ მხოლოდ მაშინ შეიძლება პქონდეს პრაქტიკულად, საქმით, სერიოზული მნიშვნელობა, თუ მას უაღრესად აქტიურად დაუჭერენ მხარს სოციალ-დემოკრატიული პარტიების ახლანდელი გამგეობანი.

შეიძლება თუ არა მოველოდეთ ასეთ მხარდაჭერას? ცხადია, რომ არა. ცნობილია, რომ მხარდაჭერას კი არა, არამედ გააფთრებულ (და მეტწილად ფარულ) წინააღმდეგობას შეხვდება ასეთი მოწოდება გამგეობათა მხრივ.

ეს რომ პირდაპირ ეთქვათ მუშებისათვის, მაშინ მუშებს სიმართლე ეცოდინებოდათ. მათ ეცოდინებოდათ, რომ «მემარცხენე» სურვილების გასატარებლად ცხოვრებაში საჭიროა სოციალ-დემოკრატიული პარტიების კურსის ძირიან-ფესვიანად შეცვლა, საჭიროა ფრიად შეუპოვარი ბრძოლა

ოპორტუნისტებთან და მათ «ცენტრელ» მეგობრებთან. ახლა კი მუშები მიიძინეს მემარცხენე სურვილებით, უარი სთქვეს რა ხმაალა და ნათლად დაესახელებინათ ის ბოროტება, რომელთან უბრძოლველადაც ეს სურვილები განუხორციელებელია.

დიპლომატი-მეთაურები, შოვინისტური პოლიტიკის გამტარებელი ახლანდელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში ჩინებულად გამოიყენებენ უმრავლესობის რეზოლუციის სისუსტეს, გაუბედაობას, არასაკმაო გარკვეულობას. ისინი, როგორც გაქნილი პარლამენტარები, გაინაწილებენ როლებს; ერთნი იტყვიან: შეფასებული არ არის, გარჩეული არ არის კაუცკისა და მისი კომპანიის «სერიოზული» საბუთები, მოდი განვიხილოთ უფრო ფართო შემადგენლობით; მეორენი იტყვიან: შეხედეთ, განა მართალი არ ვიყავით, როცა ვამბობდით, რომ არ არის ღრმა უთანხმოებანი, თუ ტრულსტრის პარტიისა და გედ-სამბას პარტიის მომხრე ქალები მემარცხენე გერმანელ ქალებს შეუთანხმდნენო?

ქალთა კონფერენცია კი არ უნდა დახმარებოდა შეიდე-მანს, ჰააზეს, კაუცკის, ვანდერველდეს, ჰაინდმანს, გედსა და სამბას, პლენანოვსა და მისთანებს მუშათა მასების მიძინებაში, არამედ, პირიქით, მას უნდა გამოეფხიზლებინა ეს მასები, უნდა გამოეცხადებინა გადაწყვეტი ომი ოპორტუნისტთან. მხოლოდ მაშინ გვექნებოდა პრაქტიკულ შედეგად არა ხსენებული «ბელადების» «გამოსწორების» იმედი, არამედ ძალთა შეკრება ძნელი და სერიოზული ბრძოლისათვის.

აიღეთ ოპორტუნისტებისა და «ცენტრისტების» მიერ შტუტგარტიისა და ბაზელის რეზოლუციების დარღვევის საკითხი: ეს ხომ თავი და თავია! წარმოიდგინეთ პირდაპირ და ნათლად, უდიპლომატიოდ, თუ როგორ იყო საქმე.

ომის მოლოდინში ინტერნაციონალი იკრიბება და ერთხმად წყვეტს, ომის დაწყების შემთხვევაში, იმუშაოს **«კაპიტალიზმის კრაზის დასაჩქარებლად»**, იმუშაოს **კომუნის, 1905 წლის ოქტომბრის და დეკემბრის** სულისკვეთებით (ბაზელის რეზოლუციის ზუსტი სიტყვები!!!); იმუშაოს იმ მიმართულებით, რომ **«დანაშაულად»** იქნას აღიარებული «ერზი ქვეყნის მუშების მიერ მეორე ქვეყნის მუშებისათვის» ტყვიის დაშენა.

ინტერნაციონალური, პროლეტარული, რევოლუციური სუ-
ლისკვეთებით მუშაობის ხაზი აქ სავსებით ნათლად არის ნაჩ-
ვენები — ისე ნათლად, რომ, ლეგალობას თუ დაიცავ, უფრო
ნათლად არ შეიძლება ითქვას.

იწყება ომი — სწორედ ისეთი, სწორედ იმ ხაზით, როგორც
გათვალისწინებული იყო ბაზელში. ოფიციალური პარტიები
პირდაპირ საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებენ: არა
როგორც ინტერნაციონალისტები, არამედ როგორც ნაციონა-
ლისტები; ბურჟუაზიულად და არა პროლეტარულად; არა
რევოლუციურად, არამედ არქიოპორტუნისტულად. თუ ჩვენ
ვეუბნებით მუშებს: მოხდა სოციალიზმის საქმის პირდაპირი
ლაღატი, ამ სიტყვებით ჩვენ ერთბაშად უკუვაგდებთ კაუც-
კისა და აქსელროდის à la საქციელის მთელ თაღლითობასა
და მიეთ-მოეთს, ყველა სოფიზმს, ჩვენ ნათლად აღვნიშნავთ
ბოროტების სიღრმესა და ძალას, ნათლად მოვუწოდებთ არა
ამ ბოროტებასთან შერიგებისაკენ, არამედ მასთან ბრძოლი-
საკენ.

უმრავლესობის რეზოლუცია კი? კრინტიც არაა დაძრული
მოღალატეთა დასაგმობად, ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი
პორტუნისმის შესახებ, უბრალო განმეორებაა ბაზელ-
ის რეზოლუციის იდეისა!!! თითქოს არაფერი სერიოზული
არ მომხდარიყოს, — იყო შემთხვევითი უმნიშვნელო შეცდო-
მა, საკმარისია განმეორო ძველი გადაწყვეტილება, —
წარმოიშვა არაპრინციპული მცირე უთანხმოება, საკმარისია
მისი წაგლეხვა!!!

ეს ხომ პირდაპირ აბუჩად აგდებდა ინტერნაციო-
ნალის გადაწყვეტილებებისა, აბუჩად აგდებდა მუშებისა. სო-
ციალ-შოვინისტებს, არსებითად, სხვა არაფერი სწადიათ, თუ
არა ძველ გადაწყვეტილებათა უბრალო განმეორება,
ოღონდ არაფერი არ შეიცვალოს სინამდვილეში. სწორედ ეს
არის, ნამდვილი რომ ითქვას, მდუმარედ და თვალთმაქცურად
მიჩქმალული ამნისტია ახლანდელი პარტიების უმრავლეს-
ობის სოციალ-შოვინისტური მომხრეებისა. ჩვენ ვიცით, ბევ-
რია იმის მსურველი, რომ ამ გზით წავიდეს, რამდენიმე მე-
მარცხენე ფრაზას დაჯერდეს. ჩვენ ასეთ ადამიანებთან საერ-
თო გზა არა გვაქვს. ჩვენ მივდიოდით და წავალთ სხვა გზით,
ჩვენ გვინდა ნამდვილად დავეხმაროთ მუშათა მოძრაობას

და მუშათა პარტიის მშენებლობას ოპორტუნიზმთან და სოციალ-შოვინიზმთან შეუთრეგებლობის გზით.

გერმანელი დელეგატი ქალების ნაწილს, ეტყობა, ეწინააღმდეგებოდა სავსებით გარკვეული რეზოლუციისა იმ მოსაზრებებით, რომლებიც პარტოდენ მხოლოდ ერთი, სახელდობრ, მათი საკუთარი, პარტიის შიგნით შოვინიზმთან ბრძოლის განვითარების ტემპს ეხება. მაგრამ ასეთი მოსაზრებანი აშკარად შეუსაბამო და შემცდარი იყო, ვინაიდან საერთაშორისო რეზოლუცია საერთოდ არ ეხებოდა და ვერც შეეხებოდა ცალკეულ ქვეყნებში სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის ვერც ტემპს, ვერც კონკრეტულ პირობებს; ამ მხრივ ცალკეული პარტიების ავტონომია უდავოა. საჭირო იყო ინტერნაციონალური ტრიბუნლიდან გამოეცხადებინათ კავშირის საბოლოო გაწყვეტა სოციალ-შოვინიზმთან ყველა მიმართულებით, სოციალ-დემოკრატიული მუშაობის მთელ ხასიათში; ამის ნაცვლად კი უმრავლესობის რეზოლუციამ ერთხელ კიდევ გაიმეორა ძველი შეცდომა, შეცდომა II ინტერნაციონალისა, რომელიც დიპლომატიურად ჩქმალავდა ოპორტუნიზმს და სიტყვის დაშორებას საქმისაგან. ვიმეორებთ: ასეთი გზით ჩვენ არ წავალთ.

დაბეჭდილია 1915 წ.

ვ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 21, გვ. 231—236.

ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის რეზოლუციის პროექტი

(ნაწყვეტი)

...სოციალისტ ქალთა რიგგარეშე ინტერნაციონალური კონფერენცია, ეყრდნობა რა შტუტგარტის რეზოლუციას, რომელიც რეკომენდაციას იძლევა ომით გამოწვეული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი გამოიყენონ იმისათვის, რომ დარაზმონ ხალხი კაპიტალისტური წყობილების დამხობის დასაჩქარებლად, კოპენჰაგენის რეზოლუციას, რომელშიც ნათქვამია, რომ დეპუტატები მოვალენი არიან ხმა მისცენ სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ, და ბაზელის რეზოლუციას, რომელიც

ამბობს, რომ მუშებს დანაშაულად მიაჩნიათ ტყვია დაუშინონ ერთმანეთს, — აცხადებს, რომ მეომარი ქვეყნების სოციალისტურ პარტიათა უმრავლესობის წარმომადგენლების მოქმედება სრულიად არ ეთანხმებოდა ამ რეზოლუციებს და, გარემოებათა ზეგავლენით, მათ მართლაც რომ უღალატეს სოციალიზმს, შეეცალეს რა იგი ნაციონალიზმით; — იგი ადასტურებს, რომ ყველა ქვეყნის პროლეტარებს ჰყავთ მხოლოდ ერთი მტერი — მათი კლასობრივი მტერი — კაპიტალისტთა კლასი...

სოციალისტ ქალთა ინტერნაციონალური კონფერენცია მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშა ქალებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ ბრძოლას, მოაწყონ იგი ინტერნაციონალურად და მჭიდროდ დაუკავშირონ თავიანთი მუშაობა ყველა ქვეყნის იმ სოციალისტთა მუშაობას, რომლებიც, ლიბკნეხტის მსგავსად, ებრძვიან ნაციონალიზმს და ეწვევიან რევოლუციურ სოციალისტურ ბრძოლას.

დაბეჭდილია 1915 წ.

პ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 41, გვ. 384—385.

ციფერვალდის გეგარცხენე ფრთის რეზოლუციის პროექტი

(ნაწყვეტი)

თანამედროვე ომი იმპერიალიზმმა წარმოშვა. კაპიტალიზმმა მიაღწია ამ უმაღლეს სტადიას. საზოგადოების საწარმოო ძალები და კაპიტალთა ოდენობა გასცილდა ცალკეულ ნაციონალურ სახელმწიფოთა ვიწრო ჩარჩოებს. აქედან გამომდინარეობს დიდ სახელმწიფოთა მისწრაფება — დაიმონონ სხვა ერები, ხელთ იგდონ კოლონიები, როგორც ნედლეულის წყაროები და კაპიტალის გატანის ადგილები. მთელი მსოფლიო ერთდება ერთ სამეურნეო ორგანიზმად, მთელი მსოფლიო გაყოფილია რამდენიმე დიდ სახელმწიფოს შორის. სოციალიზმის ობიექტური პირობები სავსებით მომწიფებულია, და ახლანდელი ომი არის კაპიტალისტების ომი პრივი-

ლევგებისა და მონოპოლიებისათვის, რომლებსაც შეეძლებათ გადასწიონ კაპიტალიზმის კრახის ვადა.

სოციალისტები, რომლებიც ესწრაფვიან კაპიტალის მხრივ ჩაგვრისაგან შრომის განთავისუფლებას და იცავენ მუშათა მსოფლიო ძმობას, იბრძვიან ერების ყოველგვარი ჩაგვრისა და არათანასწორუფლებიანობის წინააღმდეგ. იმ ეპოქაში, როცა ბურჟუაზია პროგრესული იყო, როცა ისტორიის დღის წესრიგში იდგა ფეოდალიზმის, აბსოლუტიზმის, უცხოანაციონალური ჩაგვრის დამბობა, სოციალისტები, როგორც ყოველთვის უაღრესად თანმიმდევარი და უაღრესად გაბედული დემოკრატები, ამ აზრით და მხოლოდ ამ აზრით ცნობდნენ «სამშობლოს დაცვას». და ახლაც, თუ აღმოსავლეთ ევროპაში ან კოლონიებში ატყდებოდა ჩაგრული ერების ომი მათ მჩაგვრელთა, დიდ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, სოციალისტების თანაგრძნობა სავსებით ჩაგრულთა მხარეზე იქნებოდა.

მაგრამ ახლანდელი ომი წარმოშვა სულ სხვა ისტორიულმა ეპოქამ, როდესაც ბურჟუაზია პროგრესულიდან რეაქციული გახდა. მეომარ სახელმწიფოთა ორივე ჯგუფის მხრივ ეს ომი არის მონათმფლობელთა ომი მონობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის: კოლონიების გადაყოფისათვის, სხვა ერების ჩაგვრის «უფლებისათვის», დიდმპყრობელური კაპიტალის პრივილეგიებისა და მონოპოლიებისათვის, სხვადასხვა ქვეყნის მუშათა გათიშვისა და მათი რეაქციული დათრგუნვის გზით დაჭირავებული მონობის გამარადისებისათვის. ამიტომ სიტყვები «სამშობლოს დაცვის» შესახებ ორივე მეომარი ჯგუფის მხრივ არის ხალხის მოტყუება ბურჟუაზიის მიერ. ვერც რომელიმე ჯგუფის გამარჯვება, ვერც status quo*-საკენ დაბრუნება ვერ უზრუნველყოფს ვერც იმას, რომ დაცულ იქნეს მსოფლიოს ერთა უმრავლესობის თავისუფლება რამდენიმე დიდი სახელმწიფოს მიერ იმპერიალისტური ჩაგვრისაგან, ვერც იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მუშათა კლასისათვის მისი ახლანდელი მცირე კულტურული მონაპოვარნიც კი. შედარებით მშვიდობიანი კაპიტალიზმის ეპოქამ სამუდამოდ განვლო. იმპერიალიზმს მუშათა კლასისათვის მოაქვს უმაგალითო გამწვავება კლასობრივი ბრძოლისა, გაჭირვებისა,

* — წინანდელი მდგომარეობისაკენ. რ ე დ.

უმუშევრობისა, სიძვირისა, ტრესტების და მილიტარიზმის მხრივ ჩაგვრისა, მოაქვს პოლიტიკური რეაქცია, რომელიც თავს მაღლა სწევს ყველა ქვეყანაში, უაღრესად თავისუფალ ქვეყნებშიც კი.

ამ ომში «სამშობლოს დაცვის» ლოზუნგის ნამდვილი მნიშვნელობა არის დაცვა «თავისი» ნაციონალური ბურჟუაზიის «უფლებისა» — ჩაგროს სხვა ერები, არის ნაციონალ-ლიბერალური მუშათა პოლიტიკა, არის პრივილეგირებული მუშების სრულიად უმნიშვნელო ნაწილის კავშირი «თავის» ნაციონალურ ბურჟუაზიასთან პროლეტართა და ექსპლოატირებულთა მასის წინააღმდეგ. სოციალისტები, რომლებიც ასეთ პოლიტიკას ადგანან, ნამდვილად არიან შოვინისტები, სოციალ-შოვინისტები. პოლიტიკა სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ ხმის მიცემისა, სამინისტროში შესვლისა, Burgfrieden*-ისა და სხვ., არის სოციალიზმის ღალატი. ოპორტუნიზმი, რომელსაც ასაზრდოებდა განვლილი «მშვიდობიანი» ეპოქის პირობები, ახლა მომწიფდა სოციალიზმთან კავშირის სრულიად გაწყვეტამდე და გახდა პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის აშკარა მტერი. მუშათა კლასს არ შეუძლია მიაღწიოს თავის მსოფლიო-ისტორიულ მიზნებს, თუ მან არ აწარმოა უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა აშკარა ოპორტუნიზმთან და სოციალ-შოვინიზმთან (საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობა, ჰაინდმანი, ფაბიანელები და ტრედ-უნიონისტები ინგლისში, რუბანოვიჩი, პლენხანოვი და «ნაშა ზარია» რუსეთში და ა. შ.), ისევე როგორც ეგრეთწოდებულ «ცენტრთან», რომელმაც მარქსიზმის პოზიცია შოვინისტებს დაუთმო.

დაწერილია 1915 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 21, გვ. 420—422.

ნ ა შ რ ო მ ი «სოციალიზმი და ომი»

(რსდმპ-ს დამოკიდებულება ომისადმი)³³

(ნაწყვეტი)

სოციალ-შოვინიზმი არის «სამშობლოს თავდაცვის» იდეის დაცვა ამ ომში. შემდეგ, ამ იდეიდან გამომდინარეობს უარის-

* — სამოქალაქო ზავის რე დ.

თქმა კლასობრივ ბრძოლაზე ომის დროს, სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემა და სხვ. ნამდვილად სოციალ-შოვინისტები ატარებენ ანტიპროლეტარულ, ბურჟუაზიულ პოლიტიკას, რადგან საქმით ისინი ემხრობიან არა «სამშობლოს თავდაცვას» უცხო-ნაციონალურ ჩაგვრასთან ბრძოლის აზრით, არამედ ამა თუ იმ «დიდი» სახელმწიფოს «უფლებას» — ძარცვოს კოლონიები და ჩაგროს სხვა ერები. სოციალ-შოვინისტები ხალხის მოსატყუებლად იმეორებენ ბურჟუაზიულ სიტყურეს, თითქოს ომი ერების თავისუფლებისა და არსებობის დაცვისათვის წარმოებდეს, და ამით გადადიან ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარიატის წინააღმდეგ. სოციალ-შოვინისტებს ეკუთვნიან როგორც ისინი, ვინც ამართლებს და ალამაზებს სახელმწიფოთა ერთ-ერთი მეომარი ჯგუფის მთავრობებსა და ბურჟუაზიას, ისე ისინი, ვინც, კაუცკის მსგავსად, აღიარებს სოციალისტების ერთნაირ უფლებას ყველა მეომარ სახელმწიფოში «დაიცვან სამშობლო». სოციალ-შოვინიზმი, რომელიც ნამდვილად არის «თავისი» (ან საერთოდ ყოველი) იმპერიალისტური ბურჟუაზიის პრივილეგიათა, უპირატესობათა, მძარცველობისა და ძალადობის დაცვა, წარმოადგენს სრულ ლალატს მთელი სოციალისტური შეხედულებებისა და ბაზელის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის გადაწყვეტილებისადმი...

სოციალისტებს არ შეუძლიათ მიაღწიონ თავიანთ დიად მიზანს, თუ ისინი არ იბრძობენ ერების ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ. ამიტომ მათ უთუოდ უნდა მოითხოვონ, რათა მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ი ქვეყნების (განსაკუთრებით ე. წ. «დიდი» სახელმწიფოების) სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა აღიარონ და დაიცვან ჩ ა გ რ უ ლ ერთა თვითგამორკვევის უფლება, და სახელდობრ ამ სიტყვის პოლიტიკური აზრით, ე. ი. პოლიტიკური გამოყოფის უფლება. დიდმპყრობელი ან კოლონიების მფლობელი ერის სოციალისტი, რომელიც ამ უფლებას არ იცავს, არის შოვინისტი...

...სიცრუისა და მზაკვრობის ვეებერთელა, საშინელი აპარატი აამუშავეს რუსეთშიც, რათა მოეწამლათ მასები შოვინიზმით, რათა შეექმნათ წარმოდგენა, თითქოს მეფის მთავრობა ეწეოდეს «სამართლიან» ომს, უანგაროდ იცავდეს «მომხე სლავებს» და ა. შ.

მემამულეთა კლასმა და ვაჭარ-მრეწველთა ბურჟუაზიის ზედაფენებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მეფის მთავრობის საომარ პოლიტიკას. ისინი სამართლიანად მოელიან თავისთვის დიდ მატერიალურ სარფსა და პრივილეგიებს თურქეთისა და ავსტრიის მემკვიდრეობის გაყოფის შედეგად. მთელი რიგი მათი ყრილობები უკვე წინასწარ ტკბებიან იმ მოგებით, რომლითაც მათი ჯიბე გაივსებოდა მეფის არმიის გამარჯვებისას. ამასთან რეაქციონერებს ძალიან კარგად ესმით, რომ თუ რაიმეს კიდევ შეუძლია გადასდოს რომანოვების მონარქიის დაცემა და შეაფერხოს ახალი რევოლუცია რუსეთში, ეს არის მხოლოდ ისეთი საგარეო ომი, რომელიც მეფისათვის ძლევამოსილად დამთავრდებოდა.

ქალაქის «საშუალო» ბურჟუაზიის, ბურჟუაზიული ინტელიგენციის, თავისუფალი პროფესიების პირთა და სხვა მისთანათა ფართო ფენებიც — ომის დასაწყისში მაინც — აგრეთვე მოწამლული იყვნენ შოვინიზმით. რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიამ — კადეტებმა — სავსებით და უსიტყვოდ დაუჭირა მხარი მეფის მთავრობას. საგარეო პოლიტიკის სფეროში კადეტები უკვე დიდი ხანია მთავრობის პარტიას წარმოადგენენ. პანსლავიზმი, რომლის საშუალებითაც მეფის დიპლომატიას უკვე არა ერთხელ ჩაუდენია თავისი გრანდიოზული პოლიტიკური ყალბაბანდობა, კადეტების ოფიციალური იდეოლოგია გახდა. რუსეთის ლიბერალიზმი ნაციონალ-ლიბერალიზმად გადაგვარდა. იგი «პატრიოტიზმში» ეჯიბრება შაგ რაზმს, ყოველთვის ხალისით აძლევს ხმას მილიტარიზმს, მარინიზმს და სხვ...

გლეხობაშიც მმართველმა ხროვამ ბურჟუაზიული პრესის, სამღვდელოებისა და სხვათა დახმარებით შეძლო გამოეწვია შოვინისტური განწყობილება. მაგრამ ჯარისკაცები რომ დაიწყებენ ზოცვა-ყლეთის ველიდან დაბრუნებას, უეჭველად შეიცვლება სოფლად განწყობილება, შეიცვლება არა მეფის მონარქიის სასარგებლოდ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა პარტიებმა, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ გლეხობასთან, ვერ გაუძღვს შოვინისტურ ტალღას. ტრუდოვიკების პარტიამ უარი თქვა სახელმწიფო სათათბიროში ხმა მიეცა სამხედრო კრედიტებისათვის. მაგრამ თავისი ბელადის კერენსკის პირით მან გამოაქვეყნა «პატრიოტული» დეკლარაცია, რომელიც უად-

რესად ხელსაყრელი გამოდგა მონარქიისათვის. «ნაროდნიკების» მთელი ლეგალური პრესა საერთოდ აჰყვა ლიბერალებს. ბურჟუაზიული დემოკრატიის მემარცხენე ფრთაც კი — ე. წ. სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია, რომელიც მიეტმასნა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს, გაჰყვა ამავე მდინარებას. ამ პარტიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში ბ-ნი რუბანოვიჩი გამოდის, როგორც აშკარა სოციალ-შოვინისტი. ამ პარტიის დელეგატების ნახევარმა «შეთანხმების» სოციალისტთა ლონდონის კონფერენციაზე ხმა მისცა შოვინისტურ რეზოლუციას (მეორე ნახევარმა თავი შეიკავა). სოციალისტ-რევოლუციონერების არალეგალურ პრესაში (გაზეთი «ნოვოსტი» და სხვ.) შოვინისტები ჭარბობენ. «ბურჟუაზიული წრის» რევოლუციონერებმა, ე. ი. ბურჟუაზიულმა რევოლუციონერებმა, რომლებიც დაკავშირებული არ არიან მუშათა კლასთან, უსასტიკესი კრაზი განიცადეს ამ ომში...

...ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტებისა და თვალთმაქცების გაერთიანება ინტერნაციონალის აღდგენად გამოცხადდება.

რალა დასამალია: ასეთი «აღდგენის» საშიშროება მეტად დიდია. ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტები თანაბრად არიან ამით დაინტერესებულნი. მათ ყველას თანაბრად არ სურთ, რომ მათი ქვეყნის მუშათა მასები თვითონ გაერკვნენ საკითხში: სოციალიზმი თუ ნაციონალიზმი. ისინი ყველანი თანაბრად დაინტერესებულნი არიან იმით, რომ ერთიმეორის ცოდვები მიჩქმალონ. არც ერთ მათგანს არ შეუძლია წამოაყენოს სხვა რაიმე წინადადება, გარდა იმისა, რა წინადადებასაც აყენებს «ინტერნაციონალური» თვალთმაქცობის ვირტუოზი კაუტკი.

ამავე დროს კი ეს საშიშროება ნაკლებად აქვთ შეგნებული. ომის ერთი წლის განმავლობაში ჩვენ ვნახეთ ინტერნაციონალური კავშირის აღდგენის მთელი რიგი ცდები. ჩვენ აღარ ვილაპარაკებთ ლონდონისა და ვენის კონფერენციებზე, სადაც შეკრებილიყვნენ გამორკვეული შოვინისტები, რათა დახმარებოდნენ თავიანთ «სამშობლოთა» გენერალურ შტატებსა და ბურჟუაზიას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლუგანოს, კოპენჰაგენის კონფერენციები, ქალთა ინტერნაციო-

ნალური კონფერენცია და ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კონფერენცია. ეს კრებები საუკეთესო სურვილებით იყვნენ აღფრთოვანებულნი. მაგრამ ისინი სრულიად ვერ ხედავდნენ აღნიშნულ საშიშროებას. მათ არ დაუსახავთ ინტერნაციონალისტების საბრძოლო ხაზი. მათ არ მიუთითებიათ პროლეტარიატისათვის იმ საშიშროებაზე, რომელიც ემუქრება მას ინტერნაციონალის «აღდგენის» სოციალ-შოვინისტური წესისაგან. ისინი უკეთეს შემთხვევაში დასჯერდნენ ძველი რეზოლუციების განმეორებას; მათ არ მიუთითებიათ მუშებისათვის, რომ სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ უბრძოლველად სოციალიზმის საქმე უიმედოა. ისინი უკეთეს შემთხვევაში ერთად გილს ტკეპნიდნენ.

დაწერილია 1915 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 21, გვ. 371—372,
384—387, 394—395.

გასაღები რეზერატივისათვის «იმპერიალიზმი და ერთა თვითგამორკვევის უფლება»

(ნაწყვეტი)

VIII. ბრძოლა სოციალ-შოვინიზმთან

(23) სოციალ-შოვინიზმი იმპერიალიზმის ისეთივე გარდაუვალი პროდუქტია, როგორც უმავთულო ტელეგრაფი. მასთან ბრძოლა — არსია ახლა.

(24) ბრძოლა თავისი ერის შოვინიზმთან.

(25) მთავარია დიდმპყრობელური შოვინიზმი.

(26) «თანასწორუფლებიანობის აღიარება» — გვერდის ავლაა საკითხისა სახელმწიფოებრივი მშენებლობის შესახებ, გამოყოფის შესახებ, იმპერიალისტური ომის შემთხვევების შესახებ.

დაწერილია 1915 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 39, გვ. 774.

(ნაწყვეტი)

...სოციალ-შოვინიზმისა და ოპორტუნისმის კლასობრივი სარჩული ერთი და იგივეა: პრივილეგიურ მუშათა მცირეოდენი ფენის კავშირი «თავის» ნაციონალურ ბურჟუაზიასთან მუშათა კლასის მასების წინააღმდეგ, ბურჟუაზიის ლაქიების კავშირი მასთანვე — ბურჟუაზიის მიერ ექსპლოატირებული კლასის წინააღმდეგ.

ოპორტუნისმისა და სოციალ-შოვინიზმის პოლიტიკური შინაარსი ერთი და იგივეა: კლასთა თანამშრომლობა, პროლეტარიატის დიქტატურაზე უარის თქმა, ხელის აღება რევოლუციურ მოქმედებაზე, ბურჟუაზიული კანონიერების უსიტყვოდ აღიარება, პროლეტარიატისადმი უნდობლობა და ბურჟუაზიისადმი ნდობა. სოციალ-შოვინიზმი პირდაპირი გაგრძელება და დამთავრებაა ინგლისური ლიბერალური მუშათა პოლიტიკისა, მილიერანიზმისა და ბერნშტეინელობისა.

მთელი ეპოქა 1889 წლიდან 1914 წლამდე აღსავსეა მუშათა მოძრაობის ორი ძირითადი ტენდენციის — რევოლუციური და ოპორტუნისტული სოციალიზმის ბრძოლით. ახლაც აგრეთვე ყველა ქვეყანაში არსებობს ორი მთავარი მიმდინარეობა ომისადმი დამოკიდებულების საკითხში. თავი დავანებოთ პიროვნებებზე მითითების ბურჟუაზიულ და ოპორტუნისტულ მანერას. ავიღოთ მიმართულებანი მთელ რიგ ქვეყნებში. ჩვენ ავიღებთ ევროპის ათ სახელმწიფოს: გერმანიას, ინგლისს, რუსეთს, იტალიას, პოლანდიას, შვეციას, ბულგარეთს, შვეიცარიას, ბელგიას, საფრანგეთს. პირველ რეაქციანაში ოპორტუნისტულ და რევოლუციურ მიმართულებებად დაყოფა შეესაბამება დაყოფას სოციალ-შოვინისტებად და ინტერნაციონალისტებად. გერმანიაში სოციალ-შოვინიზმის დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენენ «Sozialistische Monatshefte» და ლეგინი და კომპანი; ინგლისში — ფაბიანელები და მუშათა პარტია (I. L. P. ყოველთვის ბლოკში იყო მათთან,

მხარს უჭერდა მათს ორგანოს და ამ ბლოკში ყოველთვის უფრო სუსტი იყო, ვიდრე სოციალ-შოვინისტები, მაშინ როდესაც B. S. P.-ში ინტერნაციონალისტები სამ მეშვიდედს შეადგენენ); რუსეთში ეს მიმდინარეობა წარმოდგენილია «ნაშა ზა-რიათი» (ახლა «ნაშე დელო»), ორგანიზაციული კომიტეტით, სათათბიროს ფრაქციით, რომელსაც ჩხეიძე ხელმძღვანელობს; იტალიაში — რეფორმისტებით ბისოლატის მეთაურობით; ჰოლანდიაში — ტრულსტრას პარტიით; შვეციაში — პარტიის უმრავლესობით, რომელსაც ბრანტინგი ხელმძღვანელობს; ბულგარეთში — «შიროკების» პარტიით; შვეიცარიაში — გრეილიხით და კომპანიით. სწორედ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას შორის ყველა ამ ქვეყანაში უკვე გაისმა ცოტად თუ ბევრად მკვეთრი პროტესტი სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ. გამოწვევისა მხოლოდ ორი ქვეყანა: საფრანგეთი და ბელგია, რომლებშიც აგრეთვე არსებობს ინტერნაციონალიზმი, მაგრამ ის ძალიან სუსტია.

სოციალ-შოვინიზმი — ეს დასრულებული ოპორტუნიზმია. იგი მომწიფდა ბურჟუაზიასა და გენერალურ შტაბებთან აშკარა, ხშირად ვულგარული კავშირისათვის. და სწორედ ეს კავშირი ანიჭებს მას დიდ ძალას, და ლეგალური ბეჭდვითი სიტყვისა და მასების მოტყუების მონოპოლიას. უგუნურებაა ოპორტუნიზმის მიჩნევა დღემდე შინაპარტიულ მოვლენად. უგუნურებაა იმაზე ფიქრი, რომ ბაზელის რეზოლუცია გავატაროთ დავიდთან, ლეგინთან, ჰაინდმანთან, პლენხანოვთან და ვებთან ერთად. სოციალ-შოვინისტებთან ერთიანობა არის ერთიანობა «საკუთარ» ნაციონალურ ბურჟუაზიასთან, რომელიც ექსპლოატაციას უწევს სხვა ერებს, არის ინტერნაციონალური პროლეტარიატის გათიშვა.

დაიბეჭდა 1916 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 22, გვ. 131—132.

თ ე ზ ი ს ე ბ ი «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უზღვაა»

(ნაწყვეტი)

სოციალიზმის მიზანია არა მარტო მოსპოს წერილ სახელ-
მწიფოებად კაცობრიობის დაქსაქსულობა და ერთა ყოველგვარი
განცალკევებულობა, არა მარტო დაახლოოს ერები, არამედ
მათი შერწყმაც მოახდინოს. და სწორედ იმისათვის, რომ ამ
მიზანს მივალწიოთ, ჩვენ, ერთი მხრით, უნდა განვუმარტოთ
მასებს რენერისა და ო. ბაუერის ეგრეთწოდებული «კულტუ-
რულ-ნაციონალური ავტონომიის»³⁵ იდეათა რეაქციულობა,
ხოლო, მეორე მხრით, მოვითხოვოთ ჩაგრულ ერთა განთავი-
სუფლება არა ზოგადი ბუნდოვანი ფრაზებით, არა უშინაარსო
დეკლამაციებით, არა საკითხის «გადაღებით» სოციალიზმის
განხორციელებამდე, არამედ ნათლად და ზუსტად ჩამოყალი-
ბებული პოლიტიკური პროგრამით, რომელიც სპეციალურად
აღნიშნავს სოციალისტების თვალთმაქცობასა და სილაჩრეს
მჩაგვრელ ერებში. როგორც კაცობრიობას შეუძლია კლასთა
მოსპობას მიაღწიოს მხოლოდ ჩაგრული კლასის დიქტატურის
გარდამავალი პერიოდის მეშვეობით, ისევე კაცობრიობა ერთა
აუცილებელ შერწყმამდეც მივა მხოლოდ ყველა ჩაგრული
ერის სრული განთავისუფლების, ე. ი. მათი გამოყოფის თავი-
სუფლების გარდამავალი პერიოდის მეშვეობით.

დაწერილია 1916 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 22, გვ. 178.

ს ტ ა ტ ი ა «უბედევები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ»

(ნაწყვეტი)

ჩვენ ყველანი, ციმერვალდელი მემარცხენენი, დარწმუნე-
ბულნი ვართ იმაში, რაშიც დარწმუნებული იყო, მაგალითად,
კაუცკიც, სანამ ის 1914 წელს მარქსიზმისაგან შოვინიზმის
დაცვისაკენ მიბრუნდებოდა, სახელდობრ იმაში, რომ სოცია-

ლისტური რევოლუცია სავსებით შესაძლებელია სულ ახლო მომავალში, «დღეს-ხვალ», როგორც ერთხელ იმავე კაუცკიმ თქვა. ეროვნული ანტიპათიები ისე სწრაფად არ გაქრება; ჩაგრულ ერს მჩაგვრელისადმი სიძულვილი — და სრულიად კანონიერიც — დროებით დარჩება; იგი გაქრება მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ და ერთა შორის სავსებით დემოკრატიული ურთიერთობის საბოლოოდ დამყარების შემდეგ. თუ ჩვენ გვინდა სოციალიზმის ერთგულნი ვიყვეთ, უკვე ახლა უნდა ვაწარმოოთ მასების ინტერნაციონალისტური აღზრდა, რაც მჩაგვრელ ერებში შეუძლებელია ისე, თუ არ ვიქადაგეთ გამოყოფის თავისუფლება ჩაგრული ერებისათვის.

დაწერილია 1916 წ.

ვ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 22, გვ. 450.

ს ტ ა ტ ი ა «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ»

(ნაწყვეტი)

...ჩვენ ყოველთვის მომხრენი ვიყავით, ვართ და ვიქნებით მოწინავე ქვეყნების შეგნებული მუშების უაღრესად მჭიდრო დაახლოებისა და შეერთებისა ყველა ჩაგრული ქვეყნის მუშებსა, გლეხებსა და მონებთან. ჩვენ ყოველთვის ვურჩევდით და მომავალშიაც ყოველთვის ვურჩევთ ყველა ჩაგრული ქვეყნის, და მათ შორის კოლონიების, ყველა ჩაგრულ კლასს, კი არ გამოგვეყონ, არამედ რაც შეიძლება მჭიდროდ დაგვიახლოვდნენ და შეგვიერთდნენ.

თუ ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი მთავრობებისაგან, რომ მათ დატოვონ კოლონიები — ე. ი. არა სააგიტაციო წამოძახილით, არამედ ზუსტი პოლიტიკური ტერმინით რომ ვთქვათ — რომ მათ მიანიჭონ კოლონიებს გამოყოფის სრული თავისუფლება, თვითგამორკვევის ნამდვილი უფლება, — თუ ჩვენ თვითონ უსათუოდ განვანორციელებთ ამ უფლებას, მივანიჭებთ ამ თავისუფლებას, როგორც კი ძალაუფლებას დავიპყრობთ, ჩვენ ამას მოვითხოვთ ახლანდელი

მთავრობისაგან, და ჩვენ განვახორციელებთ ამას, როდესაც თვით ვიქნებით მთავრობა, სრულიადაც არა გამოყოფის «სარეკომენდაციოდ», არამედ, პირიქით: ერების დემოკრატიული დაახლოებისა და შეერთების გასაადვილებლად და დასაჩქარებლად. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ დავუახლოვდეთ და შევეერთდეთ მონღოლებს, სპარსელებს, ინდოელებს, ეგვიპტელებს; ჩვენს მოვალეობად და ჩვენს ინტერესად მიგვაჩნია ეს გავაკეთოთ, ვინაიდან უაძისოდ ევროპაში სოციალიზმი მტკიცე ვერ იქნება. ჩვენ შევეცდებით ამ ჩამორჩენილსა და ჩვენზე უფრო ჩაგრულ ხალხებს აღმოვუჩინოთ «უანგარო კულტურული დახმარება», როგორც ეს მშვენიერად თქვეს პოლონელმა სოციალ-დემოკრატებმა, ე. ი. დავებმართ მათ მანქანათა ხმარებაზე გადასვლაში, შრომის გაადვილებაში, დემოკრატიაზე, სოციალიზმზე გადასვლაში.

დაწერილია 1916 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 23, გვ. 177.

სამ ფიჭვის შუბა ვზა აეზნათ

ბუნდის «ბიულეტენის»³⁶ 1-ლ ნომერში (სექტემბერი, 1916), ბუნდელის 1916 წლის 26 თებერვლის წერილში პეტერბურგიდან, ვკითხულობთ:

«თავდაცვის ფორმულის მიღების სიძნელე ჩვენთვის მრავალგზის დიდდება იმის გამო, რომ ყოველ შემთხვევაში ჩვენ ხომ მაინც არ შეგვიძლია მივჩქვალთ პოლონეთის საკითხში, როგორც ამას ჭერჭერობით სჩადიან ჩვენი რუსი ამხანაგები» (არ დაგვაიწყდეს, რომ ამ ვაუბატონის «ამხანაგები» არიან პოტრესოვი და კომპანიი). «და ის გარემოება, რომ ობორონცებსაც კი ჩვენს წრეში არ სურთ რუსეთის მიმართ გამოიყენონ ფორმულა — «უანექსიოდ», იმათ თვალში, ვისთვისაც ამჟამად თავდაცვა ფსიქოლოგიურად მიუღებელია, ძლიერ არგუმენტს წარმოადგენს თავდაცვის წინააღმდეგ, ვინაიდან ისინი ირონიით კითხულობენ: რაღას იცავთ თქვენო? პოლონეთის დამოუკიდებლობის იდეას კი აღიარებენ ზედაფენები».

(გაუგებარია, რომელი ზედაფენები).

როდესაც ჩვენ 1915 წლის რეზოლუციაში განვაცხადეთ, რომ ბუნდში გერმანოფილური შოვინიზმი სჭარბობს*,

* იხ. თხზ., ტომი 21, გვ. 186—187. რ ე დ.

ბატონმა კოსოვსკიმ და კომპანიამ შესძლეს მხოლოდ ლანძღვით ეპასუხნათ. ახლა მათსავე ორგანოში მათივე პარტიული კოლეგა ადასტურებს ჩვენს განცხადებას! ვინაიდან, თუ კი «ობორონეც» ბუნდელებს არა სურთ «რ უ ს ე თ ი ს მიმართ» (დაიხსომეთ, რომ გერმანიაზე კრინტიც არაა დაძრული!) გამოიყენონ ფორმულა — «უანექსიოდ», მაშინ რითღა განსხვავდება არსებითად ეს გერმანოფილური შოვინიზმისაგან?

ბუნდელებს რომ სურდეთ და შეეძლოთ ფიქრი, ისინი დაინახავდნენ, რომ ანექსიის საკითხში ისინი დაიბნენ. დაბნეულობიდან და დომხალიდან გამოსავალი ერთია: მიიღონ ჩვენი პროგრამა, რომელიც განმარტებულ იქნა ჯერ კიდევ 1913 წელს*. სახელდობრ: იმისათვის, რომ შეგნებულად და პატიოსნად ატარებდნენ ანექსიების უარყოფის პოლიტიკას, ჩაგრული ერების სოციალისტები და დემოკრატები მთელ თავიანთ პროპაგანდასა და აგიტაციაში არამზადებად უნდა აცხადებდნენ მჩაგვრელი ერების იმ სოციალისტებს (სულერთია, ველიკოროსებს თუ გერმანელებს, პოლონელებს უკრაინელთა მიმართ და სხვ.), რომელნიც თანამიმდევრულად და უყოყმანოდ არ ემხრობიან იმ ერთა გამოყოფის თავისუფლებას, რომელთაც ჩაგრავს (ან ძალდატანებით ინარჩუნებს) მ ა თ ი ს ა კ უ თ ა რ ი ე რ ი.

თუ ბუნდელები არ იღებენ და არ მიიღებენ ამ დასკვნას, ეს მ ხ ო ლ ო დ იმიტომ, რომ მათ არ სურთ წაეჩხუბონ პორესოვებს რუსეთში, ლეგინებს, ზიუდეკუმებს და თვით ლედებურებს (იგი არ ემხრობა ელზას-ლოტარინგიის გამოყოფის თავისუფლებას) გერმანიაში, პოლონეთის ნაციონალისტებს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სოციალ-შოვინისტებს და ა. შ.

მიზეზი საპატიოა, რალა თქმა უნდა!

დაწერილია 1916 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 23, გვ. 107—108.

* იხ. თხზ., ტომი 19, გვ. 645—653. რ ე დ.

ს ი ტ ყ ვ ა ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ს ა კ ი თ ე ს ს უ მ ს ა ხ ე ბ რ ს ღ მ ე (ბ)
ს რ უ ლ ი ა ლ რ უ ს ე თ ი ს მ ე მ უ ვ ი დ ე ა კ რ ი ლ ი ს კ ო ნ ფ რ ა ნ ე ს ი ა ზ ა
1917 წ ლ ი ს 24-29 ა პ რ ი ლ ი (7-12 მ ა ი ს ი)

(ნაწყვეტი)

ამხანაგ პოლონელი სოციალ-დემოკრატების უდიდესი, ისტორიული დამსახურება ისაა, რომ მათ წამოაყენეს ინტერნაციონალიზმის ლოზუნგი და თქვეს: ჩვენთვის ყველაფერზე უფრო დიდმნიშვნელოვანია ძმური კავშირი ყველა დანარჩენი ქვეყნის პროლეტარიატთან, და ჩვენ პოლონეთის გასათავისუფლებლად ომს არასოდეს არ დავთანხმდებითო. ესაა მათი დამსახურება, ამიტომაც ჩვენ ყოველთვის მხოლოდ ამ პოლონელ ამხანაგ სოციალ-დემოკრატებს ვთვლიდით სოციალისტებად. სხვები — პატრიოტები, პოლონელი პლექსანოვები არიან. მაგრამ ამ ორიგინალური პოზიციის გამო, როცა ადამიანებს სოციალიზმის გადასარჩენად გაცოფებული, ავადმყოფური ნაციონალიზმის წინააღმდეგ უხდებოდათ ბრძოლა, წარმოიშვა უცნაური მოვლენა: ამხანაგები მოდიან ჩვენთან და გვეუბნებიან: ჩვენ უარი უნდა ვთქვათ პოლონეთის თავისუფლებაზე, მის გამოყოფაზეო...

...შეერთების თავისუფლება გულისხმობს გამოყოფის თავისუფლებას. ჩვენ, რუსებმა, ხაზგასმით უნდა მოვითხოვოთ გამოყოფის თავისუფლება, ხოლო პოლონეთში — შეერთების თავისუფლება.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 24, გვ. 349—350.

ს ტ ა ტ ი ა «ფინეთი და რუსეთი»

(ნაწყვეტი)

...თუ ჩვენ მართლაც ანექსიების წინააღმდეგი ვართ, უნდა ვთქვათ: გამოყოფის თავისუფლება ფინეთს! როცა ჩვენ ამას ვიტყვი და განვახორციელებთ, ფინეთთან «შეთანხმება» მაშინ — და მხოლოდ მაშინ! — იქნება მართ-

ლაც ნებაყოფლობითი, თავისუფალი, ნამდვილი შეთანხმება და არა მოტყუება.

შეთანხმება შეუძლიათ მხოლოდ თანასწორთ. შეთანხმება რომ მართლაც შეთანხმება იყოს და არა დამორჩილების სიტყვიერი საფარი, ამისთვის საჭიროა ო რ ი ვ ე მხარის ნამდვილი სწორუფლებიანობა, ე. ი. რუსეთსაც უნდა ჰქონდეს უფლება არ დაეთანხმოს და ფ ი ნ ე თ ს ა ც. ეს დღესავით ნათელია.

მხოლოდ «გამოყოფის თავისუფლება» გამოხატავს ამას: მხოლოდ გამოყოფის თავისუფლების მქონე ფინეთს შეუძლია მართლაც «შეთანხმდეს» რუსეთს იმის შესახებ, უნდა გამოეყოს თუ არა ის. ვინც ამ პირობის გარეშე, გამოყოფის თავისუფლების აღიარების გარეშე, ლაყბობს «შეთანხმებაზე», ის ატყუებს თავის თავსაც და ხალხსაც...

რაც უფრო თავისუფალი იქნება რუსეთი, რაც უფრო გადაჭრით აღიარებს ჩვენი რესპუბლიკა არაველიკოროსი ერების გამოყოფის თავისუფლებას, მით უფრო ძლიერ მოიწადინებენ ჩვენთან კავშირს სხვა ერები, მით უფრო ნაკლები იქნება შეხლა-შემოხლა, მით უფრო იშვიათი იქნება ნამდვილი გამოყოფის შემთხვევები, მით უფრო მოკლე ხნით გამოგვეყოფა ზოგიერთი ერი, მით უფრო მჭიდრო და მტკიცე იქნება — საბოლოო ანგარიშით — რუსეთის პროლეტარულ-გლეხური რესპუბლიკის ძმური კავშირი ყოველი სხვა ერის რესპუბლიკასთან.

დაბეჭდილია 1917 წ.

ვ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 24, გვ. 401, 403.

ს ტ ა ტ ი ა «უკრაინა»

(ნაწყვეტი)

...არც ერთ დემოკრატს არ შეუძლია აგრეთვე უარყოს უკრაინის უფლება — თავისუფლად გამოეყოს რუსეთს: სწორედ ამ უფლების უყოყმანოდ აღიარება იძლევა ერთადერთ შესაძლებლობას გაწეულ იქნას აგიტაცია უკრაინელთა და ველიკორუსთა თავისუფალი კავშირის სასარგებლოდ, ამ

ორი ხალხის ერთ სახელმწიფოდ ნებაცოფლობითი შეერთების სასარგებლოდ. სწორედ ამ უფლების უყოყმანოდ აღიარება არის ერთადერთი საშუალება, რომ ნამდვილად, საბოლოოდ, ბოლომდე გაწყვეტილ იქნას კავშირი წყვეულ ცარისტულ წარსულთან, რომელმაც ყოველივე მოიმოქმედა ენითაც, საცხოვრებელი ადგილითაც, ხასიათითაც და ისტორიითაც ესოდენ მახლობელი ხალხების ერთიერთ ჩამოშორებისთვის. წყვეული ცარიზმი ველიკორუსებს აქცევდა უკრაინელი ხალხის ჯალათებად, ყოველნაირად ასაზრდოებდა ამ ხალხში სიძულვილს იმათთადმი, ვინც უკრაინელ ბავშვებსაც კი უკრძალავდა დედაენაზე ლაპარაკსა და სწავლას.

რუსეთის რევოლუციურმა დემოკრატია, თუ მას სურს იყოს ნამდვილად რევოლუციური, ნამდვილი დემოკრატია, უნდა გაწყვიტოს კავშირი ამ წარსულთან, უნდა დაიბრუნოს თვითონ, უნდა დაუბრუნოს რუსეთის მუშებსა და გლეხებს უკრაინის მუშებისა და გლეხების ძმური ნდობა. ეს კი შეუძლებელია, თუ სავსებით არ სცანი უკრაინის უფლებები, მათ შორის თავისუფალი გამოყოფის უფლება.

ჩვენ წვრილ სახელმწიფოთა მომხრენი არა ვართ. ჩვენ მომხრენი ვართ ყველა ქვეყნის მუშათა უმჭიდროესი კავშირისა როგორც «საკუთარი», ისე საერთოდ ყველა ქვეყნის კაპიტალისტების წინააღმდეგ. მაგრამ სწორედ იმისათვის, რომ ეს კავშირი ნებაცოფლობითი იყოს, რუსი მუშა, რომელიც არაფერში და არც ერთი წუთით არ ენდობა არც რუს ბურჟუაზიას, არც უკრაინელ ბურჟუაზიას, მხარს უჭერს ახლა უკრაინელთა გამოყოფის უფლებას, თავს კი არ ახვევს მათ თავის შეგობრობას, არამედ მოიპოვებს მას იმით, რომ ეპყრობა მათ როგორც თანასწორს, როგორც მოკავშირეს და ძმას სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

დაბეჭდილია 1917 წ.

პ. ი. ლენინი, თბზ.,
ტ. 25, გვ. 97—98.

რკპ (გ) პროგრამის პროექტი

პროგრამის მუსლი ნაციონალური ურთიერთობის დარგში

(ნაწყვეტი)

სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მოქცეული პროლეტარიატის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში, განსხვავებით ერთა თანასწორობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფორმალური აღიარებისა, რაც განუხორციელებელია იმპერიალიზმის დროს, იმაში მდგომარეობს, რომ განუხრელად და ფაქტიურად განხორციელდეს ყველა ერის მუშებისა და გლეხების დაახლოება და შეერთება მათ რევოლუციურ ბრძოლაში ბურჟუაზიის დასამხობად. ამ მიზნის განხორციელება მოითხოვს კოლონიურ და სხვა დაჩაგრულ ან არასრულუფლებიან მდგომარეობაში მყოფ ერთა სრულ განთავისუფლებას მათთვის გამოყოფის თავისუფლების მინიჭებით, როგორც იმის გარანტიისა, რომ კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული სხვადასხვა ერის მშრომელი მასების უნდობლობა და დაჩაგრულ ერთა მუშების გაბოროტება დამჩაგვრელ ერთა მუშების წინააღმდეგ სავსებით გაიფანტოს და შეიცვალოს შეგნებული და ნებაყოფლობითი კავშირით. იმ ერების მუშებს, რომლებიც კაპიტალიზმის დროს მჩაგვრელები იყვნენ, მოეთხოვებათ განსაკუთრებული სიფრთხილე ჩაგრულ ერთა ნაციონალური გრძნობის მიმართ (მაგალითად, ველიკოროსებს, უკრაინელებს, პოლონელებს ებრაელების მიმართ, თათრებს — ბაშკირების მიმართ და ა. შ.), ხელისშეწყობა წინათ დაჩაგრულ ერთა მშრომელი მასების არა მარტო ფაქტიური თანასწორუფლებიანობისათვის, არამედ ენის, ლიტერატურის განვითარებისთვისაც კაპიტალიზმის ეპოქისაგან მემკვიდრეობით მიღებული უნდობლობისა და განზე დგომის ყოველგვარი კვალის აღმოსაფხვრელად.

დაბეჭდილია 1919 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 29, გვ. 136.

**საგოლოო სიტყვა პარტიული პროგრამის შესახებ
რკპ (ბ) VIII ყრილობაზე გაკეთებული მოხსენების
ბაგო 1919 წლის 19 მარტს**

(ნაწყვეტი)

მე მგონია, ეს მაგალითი ფინეთის შესახებ, ისე როგორც ბაშკირთა შესახებ, გვიჩვენებს, რომ ნაციონალურ საკითხში არ შეიძლება ასე მსჯელობა: საჭიროა რაღაც უნდა დაჯდეს სამეურნეო ერთიანობაო. რა თქმა უნდა, საჭიროა! მაგრამ ჩვენ უნდა მივალწიოთ ამას პროპაგანდით, აგიტაციით, ნებაყოფლობითი კავშირით. ბაშკირები უნდობლობას გრძნობენ ველიკორუსებისადმი, იმიტომ რომ ველიკორუსები უფრო კულტურული არიან და თავიანთი კულტურულობა ბაშკირების გასაძარცვავად გამოიყენეს. ამიტომ ამ მიყრუებულ ადგილებში ველიკორუსის სახელი ბაშკირებისთვის ნიშნავს «მჩაგვრელს», «თაღლითს». ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, ამას უნდა ვებრძოლოთ. მაგრამ ეს ხომ ხანგრძლივი საქმეა. ამას ხომ ვერავითარი დეკრეტით ვერ მოსპობ. ამ საქმეში ჩვენ ძალიან ფრთხილი უნდა ვიყოთ. სიფრთხილე განსაკუთრებით საჭიროა ისეთი ერის მხრივ, როგორცაა ველიკორუსი ერი, რომელმაც თავის მიმართ ყველა სხვა ერში გააფთრებული სიძულვილი გამოიწვია და მხოლოდ ახლა ვისწავლეთ ჩვენ ამის გამოსწორება, და ისიც ცუდად. მაგალითად, განათლების კომისარიატში ან მის შორიახლო ჩვენ გვყავს კომუნისტები, რომლებიც ამბობენ: ერთიანი სკოლა, ამიტომ არ გაბედოთ სხვა ენაზე სწავლება, გარდა რუსულისო! ჩემი აზრით, ასეთი კომუნისტი ველიკორუსი შოვინისტია. ის ზის ბევრ ჩვენგანში და მას უნდა ვებრძოლოთ.

აი რატომ უნდა ვუთხრათ სხვა ერებს, რომ ჩვენ ბოლომდე ინტერნაციონალისტები ვართ და მივისწრაფვით ყველა ერის მუშებისა და გლეხების ნებაყოფლობითი კავშირისაკენ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 29, გვ. 219.

ამხანაგ თურქესტანელ კომუნისტებს

ამხანაგებო! ნება მომეცით მოგმართოთ არა როგორც სახ-
კომსაბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ, არამედ
როგორც პარტიის წევრმა.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ახლა რუსეთის
სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისათვის
თურქესტანის ხალხებთან ნორმალური ურთიერთობის დამყა-
რებას უზარმაზარი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

მთელი აზიისა და მსოფლიოს ყველა კოლონიისათვის, ათა-
სობით მილიონი ადამიანისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა
ექნება საბჭოთა მუშურ-გლეხური რესპუბლიკის დამოკიდე-
ბულებას სუსტი, დღემდე დაჩაგრული ხალხებისადმი.

ძალიან გთხოვთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ
ამ საკითხს, — ყოველგვარი ღონისძიება იხმართ, რომ მაგა-
ლითით, საქმით დაამყაროთ ამხანაგური ურთიერთობა თურ-
ქესტანის ხალხებთან, — საქმით დაუმტკიცოთ მათ, რომ ჩვენი
გულწრფელი სურვილია აღმოვფხვრათ ველიკორუსული იმპე-
რიალიზმის ყოველგვარი კვალი და თავდადებით ვიბრძოლოთ
მსოფლიო იმპერიალიზმის და მის მეთაურ ბრიტანეთის იმპე-
რიალიზმის წინააღმდეგ, — უდიდესი ნდობით მოეპყრათ ჩვენს
თურქესტანის კომისიას და მკაცრად დაიცვათ მისი დირექტი-
ვები, რაც მას, თავის მხრივ, მიცემული აქვს სრ. რუს. ცაკ-
ისაგან სწორედ ასეთი სულისკვეთებით.

ძალიან მადლობელი ვიქნებოდი ამ წერილზე რომ მიპასუ-
ხებდეთ და შემატყობინებდეთ საქმისადმი თქვენს დამოკიდე-
ბულებას.

კომუნისტური სალამით

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაბეჭდილია 1919 წ.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თბზ.,
ტ. 29, გვ. 148—149.

**მოხსენება აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური
ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე
1919 წლის 22 ნოემბერს**

(ნაწყვეტი)

...დასასრულ ნება მომეცით შევჩერდე იმაზე, თუ როგორი მდგომარეობა იქმნება აღმოსავლეთის ეროვნებათა მიმართ. თქვენ ხართ აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხის კომუნისტური ორგანიზაციებისა და კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები. მე უნდა ვთქვა, რომ თუ რუსეთის ბოლშევიკებმა შეძლეს ნაპრალი გაეჩინათ ძველ იმპერიალიზმში, იკისრეს რევოლუციის ახალი გზების შექმნის არაჩვეულებრივ ძნელი, მაგრამ არაჩვეულებრივ კეთილშობილი ამოცანა, თქვენ, აღმოსავლეთის მშრომელი მასების წარმომადგენლებს, მოგვლით კიდევ უფრო დიდი და კიდევ უფრო ახალი ამოცანა. სავსებით ირკვევა, რომ სოციალისტური რევოლუცია, რომელიც ახლოვდება მთელ მსოფლიოში, არავითარ შემთხვევაში არ იქნება მხოლოდ თვითეული ქვეყნის პროლეტარიატის გამარჯვება თავისი ქვეყნის ბურჟუაზიაზე. ეს შესაძლებელი იქნებოდა, რევოლუციები რომ ადვილად და სწრაფად ხდებოდეს. ჩვენ ვიცით, რომ იმპერიალისტები ამას არ დაუშვებენ, რომ ყველა ქვეყანა შეიარაღებულია თავისი შინაური ბოლშევიზმის წინააღმდეგ და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ დაამარცხოს ბოლშევიზმი თავის ქვეყანაში. ამიტომ ყოველ ქვეყანაში იწყება სამოქალაქო ომი, რომელშიც ბურჟუაზიის მხარეზე მონაწილეობის მისაღებად მიზიდული არიან ძველი სოციალისტ-შემთანხმებლები. ამრიგად, სოციალისტური რევოლუცია არ იქნება მარტოოდენ და უმთავრესად რევოლუციური პროლეტარების ბრძოლა თვითეულ ქვეყანაში თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, — არა, იგი იქნება იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ყველა კოლონიისა და ქვეყნის, ყველა დამოკიდებული ქვეყნის ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის პროგრამაში, რომელიც მიღებულია გასული წლის მარტში, ჩვენ, ვახასიათებდით რა მსოფლიო სოციალური რევოლუციის მოახლოებას, ვამბობდით, რომ მშრომელთა სამოქალაქო ომი იმპერიალისტებისა და ექსპლოატატორების

წინააღმდეგ ყველა მოწინავე ქვეყანაში უერთდება ნაციონალურ ომს საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამას ადასტურებს და მომავალშიც სულ უფრო და უფრო დაადასტურებს რევოლუციის მსვლელობა. ასევე იქნება აღმოსავლეთშიც.

ჩვენ ვიცით, რომ აქ აღსდგებიან აღმოსავლეთის ხალხთა მასები, როგორც დამოუკიდებელი მონაწილენი, როგორც შემოქმედნი ახალი ცხოვრებისა, იმიტომ რომ ამ მოსახლეობის ასეული მილიონები ეკუთვნიან დამოკიდებულ, არასრულუფლებიან ერებს, რომლებიც დღემდე იმპერიალიზმის საერთაშორისო პოლიტიკის ობიექტი იყვნენ, რომლებიც კაპიტალისტური კულტურისა და ცივილიზაციისათვის არსებობდნენ მხოლოდ როგორც გასაპოხიერებელი მასალა. და როდესაც ლაპარაკობენ კოლონიებზე მანდატების გაცემის შესახებ, ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ეს არის დატაცების, ძარცვის მანდატების გაცემა, რომ ეს არის უფლების მიცემა დედამიწის მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილისათვის ექსპლოატაცია გაუწიოს დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას. ეს უმრავლესობა, რომელიც დღემდე სრულიად არ იღებდა მონაწილეობას ისტორიულ პროგრესში, იმიტომ რომ დამოუკიდებელ რევოლუციურ ძალას არ წარმოადგენდა, XX საუკუნის დამდეგს, როგორც ვიცით, ასეთ პასიურ როლს ადარ ასრულებს. ჩვენ ვიცით, რომ 1905 წლის შემდეგ რევოლუციები მოხდა თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში, რომ ინდოეთში განვითარდა რევოლუციური მოძრაობა. იმპერიალისტურმა ომმაც შეუწყო ხელი რევოლუციური მოძრაობის ზრდას, იმიტომ რომ საჭირო გახდა კოლონიურ ხალხთა მთელი პოლკების ჩაბმა ევროპის იმპერიალისტების ბრძოლაში. იმპერიალისტურმა ომმა გამოაღვიძა აღმოსავლეთიც, საერთაშორისო პოლიტიკაში ჩაითრია მისი ხალხები. ინგლისი და საფრანგეთი აიარაღებდნენ კოლონიურ ხალხებს და ეხმარებოდნენ მათ გაცნობოდნენ სამხედრო ტექნიკას და გაუმჯობესებულ მანქანებს. ამ მეცნიერებას ისინი გამოიყენებენ ბატონ იმპერიალისტების წინააღმდეგ. აღმოსავლეთის გამოღვიძების პერიოდს თანამედროვე რევოლუციაში მოსდევს პერიოდი აღმოსავლეთის ყველა ხალხის მონაწილეობისა მთელი მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში, რათა არ გახდნენ მხოლოდ გამდიდრების ობიექტი. აღმოსავლეთის

ხალხები იღვიძებენ იმისათვის, რათა პრაქტიკულად იმოქმედონ, რათა ყოველი ხალხი წყვეტდეს მთელი კაცობრიობის ბედის საკითხს.

აი რატომ ვფიქრობ მე, რომ მსოფლიო რევოლუციის განვითარების ისტორიაში, რევოლუციისა, რომელიც, დასაწყისის მიხედვით თუ განვსჯით, მრავალ წელს გაგრძელდება და ბევრ შრომას მოითხოვს, — რევოლუციურ ბრძოლაში, რევოლუციურ მოძრაობაში თქვენ მოგვლით დიდი როლის შესრულება, მოგვლით ამ ბრძოლაში შეერთება ჩვენს ბრძოლასთან საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. საერთაშორისო რევოლუციაში მონაწილეობა თქვენ დაგაყენებთ რთული და ძნელი ამოცანის წინაშე, რომლის გადაწყვეტა საფუძველი გახდება საერთო წარმატებისა, იმიტომ რომ მოსახლეობის უმრავლესობა აქ პირველად ებმება დამოუკიდებელ მოძრაობაში და აქტიური ფაქტორი გახდება საერთაშორისო იმპერიალიზმის დამხობისათვის ბრძოლაში.

აღმოსავლეთის ხალხთა უმრავლესობა უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე ევროპის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა — რუსეთი, მაგრამ ჩვენ შევძელით რუსი გლეხებისა და მუშების შეერთება ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში, და ჩვენი ბრძოლა იმიტომ ჩატარდა ასე იოლად, რომ კაპიტალისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ შეერთდნენ გლეხები და მუშები. აქ აღმოსავლეთის ხალხებთან კავშირი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ აღმოსავლეთის ხალხთა უმრავლესობა მშრომელი მასების ტიპური წარმომადგენელია, — ისინი არიან არა მუშები, რომლებსაც გახვლილი აქვთ კაპიტალისტური ფაბრიკებისა და ქარხნების სკოლა, არამედ გლეხთა მშრომელი, ექსპლოატირებული მასების ტიპური წარმომადგენლები, რომლებიც იტანჯებიან შუასაუკუნეობრივი ჩაგვრით. რუსეთის რევოლუციამ ცხადყო, თუ როგორ მოხდა, რომ პროლეტარები, რომელთაც დაამარცხეს კაპიტალიზმი, შეუერთდნენ რა მრავალმილიონიან დაქსაქსულ მშრომელ გლეხთა მასებს, ძლევამოსილად აჯანყდნენ შუასაუკუნეობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ. ახლა ჩვენმა საბჭოთა რესპუბლიკამ თავის გარშემო უნდა დარაზმოს აღმოსავლეთის ყველა გამოღვიძებული ხალხი, რათა მათთან ერთად

აწარმოოს ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

აქ თქვენს წინაშე დგას ამოცანა, რომელიც წინათ არ იდგა მთელი მსოფლიოს კომუნისტების წინაშე: ზოგად-კომუნისტურ თეორიასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით თქვენ, იმ თავისებურ პირობებთან შეფარდებით, რომლებიც არ არსებობს ევროპის ქვეყნებში, უნდა შესძლოთ ამ თეორიისა და პრაქტიკის გამოყენება ისეთ პირობებში, როცა მთავარ მასას გლეხობა წარმოადგენს, როცა საჭიროა არა კაპიტალის წინააღმდეგ, არამედ შუასაუკუნეობრიობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანის გადაჭრა. ეს ძნელი და თავისებური ამოცანაა, მაგრამ ის განსაკუთრებით მაღლიანია, იმიტომ რომ ბრძოლაში ებმება ის მასა, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიუღია მონაწილეობა ბრძოლაში, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლეთში კომუნისტური უჯრედების მოწყობის მეოხებით თქვენ შესაძლებლობა გექლევათ უმჭიდროესი კავშირი იქონიოთ III ინტერნაციონალთან. თქვენ უნდა გამოძებნოთ აღმოსავლეთის ხშირად შუასაუკუნეობრივ პირობებში მცხოვრებ მშრომელ და ექსპლოატირებულ მასებთან მთელი მსოფლიოს მოწინავე პროლეტარების ამ კავშირის თავისებური ფორმები. პატარა მასშტაბით ჩვენს ქვეყანაში უკვე განვახორციელეთ ის, რასაც თქვენ დიდი მასშტაბით დიდ ქვეყნებში განახორციელებთ. იმედი მაქვს, ამ მეორე ამოცანასაც წარმატებით შეასრულებთ. აღმოსავლეთის კომუნისტური ორგანიზაციების მეოხებით, რომელთა წარმომადგენლებიც თქვენ ხართ, თქვენ კავშირი გაქვთ მოწინავე რევოლუციურ პროლეტარიატთან. თქვენ წინაშე დგას ამოცანა, რომ შემდეგშიც იზრუნოთ იმაზე, რომ ყოველი ქვეყნის შიგნით წარმოებდეს კომუნისტური პროპაგანდა ხალხისათვის გასაგებ ენაზე.

თავისთავად ცხადია, რომ საბოლოო გამარჯვებას მიიღწევს მხოლოდ მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატი, და ჩვენ, რუსები, ვიწყებთ იმ საქმეს, რომელსაც განამტკიცებს ინგლისის, საფრანგეთის, ან გერმანიის პროლეტარიატი; მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ვერ გაიმარჯვებენ ყველა დაჩაგრულ კოლონიურ ხალხთა, და პირველ რიგში აღმოსავლეთის ხალხთა მშრომელი მასების დაუხმარებლად. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ მარტო ავანგარდს არ შეუძლია კომუნიზმზე

გადასვლა განახორციელოს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოვალვიდით რევოლუციური აქტივობა მშრომელი მასების თვითმოქმედებისა და ორგანიზაციისადმი, მიუხედავად იმისა, თუ რა დონეზე დგანან ისინი. ყოველი ხალხის ენაზე გადავთარგმნოთ ის ქვეშაობი კომუნისტური მოძღვრება, რომელიც განკუთვნილია უფრო მოწინავე ქვეყნების კომუნისტებისათვის, განვახორციელოთ ის პრაქტიკული ამოცანები, რომელთა დაუყოვნებლივ განხორციელება საჭიროა, და შევეუბრთოდეთ საერთო ბრძოლაში სხვა ქვეყნების პროლეტარებს.

აი ის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტას თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთ კომუნისტურ წიგნში, მაგრამ რომელთა გადაწყვეტას თქვენ იპოვით იმ საერთო ბრძოლაში, რომელიც რუსეთმა დაიწყო. თქვენ მოგიხდებათ ამ ამოცანის დაყენება და მისი საკუთარი გამოცდილებით გადაჭრა. ამაში თქვენ დაგეხმარებათ, ერთი მხრივ, სხვა ქვეყნების მშრომელთა ავანგარდთან მჭიდრო კავშირი, ხოლო მეორე მხრივ — აღმოსავლეთის იმ ხალხებისადმი მიდგომის უნარი, რომელთაც თქვენ აქ წარმოადგენთ. თქვენ მოგიხდებათ დაყრდნობა იმ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმზე, რომელიც იღვიძებს ამ ხალხებში, და არ შეიძლება არ იღვიძებდეს, და რომელსაც ისტორიული გამართლება აქვს. ამასთანავე თქვენ გზა უნდა გაიკაფოთ ყოველი ქვეყნის მშრომელი და ექსპლოატირებული მასებისაკენ და მათთვის გასაგებ ენაზე უთხრათ, რომ განთავისუფლების ერთადერთი იმედია საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვება, და რომ საერთაშორისო პროლეტარიატი ერთადერთი მოკავშირეა აღმოსავლეთის ასეულ მილიონობით მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხებისა.

აი უჩვეულო გაქანების ამოცანა, რომელიც თქვენ წინაშე დგას და რომელიც, რევოლუციის ეპოქისა და რევოლუციური მოძრაობის ზრდის მეოხებით — ამაში ექვის შეტანა შეუძლებელია — აღმოსავლეთის კომუნისტური ორგანიზაციების საერთო ძალ-ღონით წარმატებით გადაწყდება და მიყვანილი იქნება საერთაშორისო იმპერიალიზმზე სრულ გამარჯვებამდე.

დაბეჭდილია 1919 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 30, გვ. 175—180.

«წერილი უკრაინის მუშებსა და გლეხებს დენიკინზე გამარჯვების ბაშო»

(ნაწყვეტი)

...ერთ-ერთი ასეთი განსაკუთრებული ამოცანა ამჟამად უდიდეს ყურადღებას იპყრობს. ეს არის ნაციონალური საკითხი ანუ საკითხი იმის შესახებ, იყოს თუ არა უკრაინა ცალკე და დამოუკიდებელი უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, დაკავშირებული (ფედერაციულად) რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასთან, თუ შეუერთდეს უკრაინა რუსეთს ერთ მთლიან საბჭოთა რესპუბლიკად. ყველა ბოლშევიკი, ყველა შეგნებული მუშა და გლეხი ყურადღებით უნდა ჩაუფიქრდეს ამ საკითხს.

უკრაინის დამოუკიდებლობა აღიარებულია რსფს რესპუბლიკის, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სრ. რუს. ცაკ-ის (სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის) მიერაც და რუსეთის ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის მიერაც. ამიტომ თავისთავად ცხადია და სავსებით საყოველთაოდ ცნობილია, რომ მხოლოდ თვითონ უკრაინის მუშებსა და გლეხებს თავიანთ სრულიად უკრაინის საბჭოების ყრილობაზე შეუძლიათ გადაწყვიტონ და კიდევაც გადაწყვიტენ საკითხს იმის შესახებ — შეუერთონ თუ არა უკრაინა რუსეთს, დატოვონ თუ არა უკრაინა თვითმყოფ და დამოუკიდებელ რესპუბლიკად და, უკანასკნელ შემთხვევაში, სახელდობრ როგორი ფედერაციული კავშირი დაამყარონ ამ რესპუბლიკასა და რუსეთს შორის.

როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი მშრომელთა ინტერესების თვალსაზრისით? კაპიტალის უღლისაგან შრომის სრული განთავისუფლებისათვის მათი ბრძოლის წარმატების თვალსაზრისით?

ჯერ ერთი, შრომის ინტერესები მოითხოვს სრულ ნდობას, უმჭიდროეს კავშირს სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ერის მშრომელთა შორის. მემამულეებისა და კაპიტალისტების, ბურჟუაზიის მომხრეები ცდილობენ დაქსაქსონ მუშები,

გააძლიერონ ეროვნული შუღლი და მტრობა, რათა დააუძლურონ მუშები, რათა განამტკიცონ კაპიტალის ბატონობა.

კაპიტალი საერთაშორისო ძალაა. მის დასამარცხებლად საჭიროა მუშათა საერთაშორისო კავშირი, მათი საერთაშორისო ძმობა.

ჩვენ ეროვნული მტრობის, ეროვნული შუღლის, ეროვნული განცალკევებულობის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ საერთაშორისო სოლიდარობის მომხრენი, ინტერნაციონალისტები ვართ. ჩვენ მივისწრაფვით მსოფლიოს ყველა ერის მუშებისა და გლეხების მჭიდრო გაერთიანებისა და სრული შეერთებისაკენ ერთიან მსოფლიო საბჭოს რესპუბლიკად.

მეორე, მშრომელებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ კაპიტალიზმმა დაყო ერები მჩაგვრელ, დიდმპყრობელურ (იმპერიალისტურ), სრულუფლებიან, პრივილეგიურ ერთა მცირე რაოდენობად და დაჩაგრულ, დამოკიდებულ და ნახევრადამოკიდებულ, არათანასწორუფლებიან ერთა უდიდეს უმრავლესობად. 1914—1918 წლების უაღრესად დანაშაულებრივმა და ურეაქციულესმა ომმა კიდევ უფრო გააძლიერა ეს დაყოფა, გაამწვავა გაბოროტება და სიძულვილი ამ ნიადაგზე. საუკუნეობით დაგროვდა არასრულუფლებიანი და დამოკიდებული ერების აღშფოთება და უნდობლობა დიდმპყრობელური და მჩაგვრელი ერების მიმართ, — ისეთი ერებისა, როგორიცაა უკრაინელი ერი, ისეთი ერებისადმი, როგორიცაა ველიკორუსი ერი.

ჩვენ გვსურს ერების ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი კავშირი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობითს თანხმობაზე. ასეთი კავშირის ერთბაშად განხორციელება შეუძლებელია; ასეთ კავშირამდე უნდა მიგვიყვანოს მუშაობამ უდიდესი მოთმინებითა და სიფრთხილით, რომ საქმე არ გავაფუჭოთ, უნდობლობა არ გამოვიწვიოთ, რომ აღმოვფხვრათ უნდობლობა, დატოვებული მემამულეებისა და კაპიტალისტების, კერძო საკუთრებისა და მისი გაყოფის და გადაყოფის გამო გამოწვეული საუკუნეობრივი ჩაგვრით.

ამიტომ, ურყევად ვისწრაფვით რა ერების ერთიანობისაკენ, უღმობლად ვდევნით რა ყველაფერს, რაც მათ თიშავს, ჩვენ მეტად ფრთხილნი, მომთმენნი, დამთმობნი უნდა ვიყოთ ნაციონალური უნდობლობის ნაშთების მიმართ. ხოლო დაუთმობელნი, შეურიგებელნი უნდა ვიყოთ ყოველივე იმისადმი, რაც ეხება შრომის ძირითად ინტერესებს კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ხოლო ის საკითხი, თუ როგორ განვსაზღვროთ სახელმწიფო საზღვრები ამჟამად, დროებით — რადგან ჩვენ მივისწრაფვით სახელმწიფო საზღვრების სრული მოსპობისაკენ — ეს საკითხი არ არის ძირითადი, მნიშვნელოვანი, იგი მეორეხარისხოვანია. ეს საკითხი შეიძლება გადავდოთ და უნდა გადავდოთ, რადგან გლეხების ფართო მასებისა და წვრილი მეპატრონეების ნაციონალური უნდობლობა ხშირად უაღრესად მტკიცეა, და აჩქარებით შეიძლება ის კიდევ უფრო გავაძლიეროთ, ე. ი. ვავნოთ სრული და საბოლოო ერთიანობის საქმეს.

რუსეთის მუშურ-გლეხური რევოლუციის, 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბრის რევოლუციის გამოცდილებამ, საერთაშორისო და რუსეთის კაპიტალისტების შემოსევის წინააღმდეგ მისი ორი წლის ძლევამოსილი ბრძოლის გამოცდილებამ ცხადზე უცხადესად დაგვანახვა, რომ კაპიტალისტებმა შეძლეს დროებით გამოეყენებინათ პოლონელი, ლატვიელი, ესტლანდიელი და ფინელი გლეხებისა და წვრილი მეპატრონეების ნაციონალური უნდობლობა ველიკოროსებისადმი, შეძლეს დროებით შუღლი ჩამოეგდოთ ჩვენსა და მათ შორის ამ უნდობლობის ნიადაგზე. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეს უნდობლობა ისპობა და ქრება მხოლოდ ძალიან ნელა და, რაც უფრო მეტ სიფრთხილესა და მოთმინებას იჩენენ ველიკოროსები, რომლებიც დიდხანს მჩაგვრელ ერს წარმოადგენდნენ, მით უფრო ნამდვილად ქრება ეს უნდობლობა. სახელდობრ პოლონეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტლანდიის, ფინეთის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ცნობით ჩვენ ნელა, მაგრამ ურყევად ვიმსახურებთ მეზობელ პატარა სახელმწიფოთა ყველაზე ჩამორჩენილი, კაპიტალისტების მიერ ყველაზე უფრო მოტყუებული და დაბეჩავებული მშრომელი მასების ნდობას. სწორედ ასეთი გზით ყველაზე უტყუარად ვგლეჯთ მათ «მათი» ნაციონალური კაპიტალისტების გავლენისაგან, ყველა-

ზე უტყუარად მიგვყავს ისინი სრული ნდობისაკენ, მომავალი ერთიანი საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკისაკენ.

ვიდრე უკრაინა მთლად არ განთავისუფლებულა დენიკინისაგან, მის მთავრობას, საბჭოების სრულიად უკრაინის ყრილობამდე, წარმოდგენს სრულიად უკრაინის რევოლუციური კომიტეტი, სრულიად უკრაინის რევკომი. ამ რევკომში უკრაინელ კომუნისტ-ბოლშევიკებთან ერთად მუშაობენ, როგორც მთავრობის წევრები, უკრაინელი კომუნისტი-ბოროტბისტები³⁷. ბოროტბისტები ბოლშევიკებისაგან სხვათა შორის იმით განსხვავდებიან, რომ იცავენ უკრაინის უექველ დამოუკიდებლობას. ბოლშევიკები ამას არ ქმნიან განხეთქილების და გათიშვის საგნად, ამასი არ ხედავენ არავითარ დაბრკოლებას შეთანხმებული პროლეტარული მუშაობისათვის. ოღონდ ერთიანობა იყოს ბრძოლაში კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, თორემ ნაციონალური საზღვრების, სახელმწიფოთა შორის ფედერაციული თუ სხვა კავშირის საკითხის გამო კომუნისტები არ უნდა გაითიშონ. ბოლშევიკებს შორის არიან უკრაინის სრული დამოუკიდებლობის მომხრეები, არიან ცოტად თუ ბევრად მჭიდრო ფედერაციული კავშირის მომხრეები, არიან რუსეთთან უკრაინის სრული შეერთების მომხრეები.

ამ საკითხების გამო გათიშვა შეუწყნარებელია. ამ საკითხებს გადაწყვეტს საბჭოების სრულიად უკრაინის ყრილობა.

თუ ველიკორუსი კომუნისტი დაჟინებით იცავს უკრაინის შეერთებას რუსეთთან, უკრაინელები ადვილად მიიტანენ მასზე ეჭვს, რომ ის ასეთ პოლიტიკას იცავს არა კაპიტალთან ბრძოლაში პროლეტარების ერთიანობის მოსაზრებით, არამედ ძველი ველიკორუსული ნაციონალიზმის, იმპერიალიზმის ცრურწმენის გამო. ასეთი უნდობლობა ბუნებრივია, რამდენადმე აუცილებელი და კანონიერია, რადგან ველიკოროსები საუკუნეობით იმსჯელებოდნენ, მემამულეებისა და კაპიტალისტების მხრივ ჩაგვრის გამო, ველიკორუსული შოვინიზმის სამარცხვინო და საძაგელი ცრურწმენით.

თუ უკრაინელი კომუნისტი დაჟინებით მოითხოვს უკრაინის უექველ სახელმწიფო დამოუკიდებლობას, შეიძლება ეჭვი მიიტანონ მასზე, რომ ის ასეთ პოლიტიკას იცავს არა უკრაინელი მუშებისა და გლეხების ღრობითი ინტერესების თვალ-

საზრისით მათ ბრძოლაში კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, არამედ წვრილბურჟუაზიული, წვრილმეპატრონული ნაციონალური ცრურწმენის გამო. ვინაიდან გამოცდილებას ათასჯერ დაუნახებია ჩვენთვის, თუ სხვადასხვა ქვეყნის წვრილბურჟუაზიული «სოციალისტები» — ყველა ეს პოლონელი, ლატვიელი, ლიტველი ვითომდა სოციალისტები, ქართველი მენშევიკები, ესერები და სხვები — როგორ ინიღბებოდნენ პროლეტარიატის მომხრეებად ერთადერთი მიზნით — მოტყუებით გაეპარებინათ «თავიანთ» ნაციონალურ ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის პოლიტიკა რევოლუციური მუშების წინააღმდეგ. ეს ჩვენ დავინახეთ კერენშჩინის მაგალითით რუსეთში 1917 წლის თებერვალ-ოქტომბერში, ეს ჩვენ დავინახეთ და ამას ვხედავთ ყველა და ყოველგვარ ქვეყანაში.

ამრიგად, ველიკორუს და უკრაინელ კომუნისტებს შორის ურთიერთისადმი უნდობლობა ძალიან იოლად ჩნდება. როგორ ვებრძოლოთ ამ უნდობლობას? როგორ დავძლიოთ იგი და მოვიპოვოთ ურთიერთის ნდობა?

ამის საუკეთესო საშუალებაა — ერთად მუშაობა პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად ყველა ქვეყნის მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ბრძოლაში მათი ცდის წინააღმდეგ — აღადგინონ თავიანთი სრული ბატონობა. ასეთი შეერთებული ბრძოლა ნათლად დაგვანახებს პრაქტიკულად, რომ როგორც უნდა გადაწყდეს სახელმწიფო დამოუკიდებლობისა თუ სახელმწიფო საზღვრების საკითხი, ველიკორუს და უკრაინელ მუშებს აუცილებლად ესაჭიროებათ მჭიდრო სამხედრო და სამეურნეო კავშირი, თორემ «ანტანტის», «შეთანხმების», ესე იგი უმდიდრესი კაპიტალისტური ქვეყნების — ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იაპონიის, იტალიის კავშირის კაპიტალისტები სათითაოდ გავსრესენ და დაგვახრჩობენ. ჩვენი ბრძოლის მაგალითმა კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ, რომელთაც ფულსა და იარაღს აწვდიდნენ ეს კაპიტალისტები, ნათლად დაგვანახვა ეს საშიშროება.

ვინც არღვევს ველიკორუსი და უკრაინელი მუშებისა და გლეხების ერთიანობასა და უმჭიდროეს კავშირს, ის ეხმარება კოლჩაკებს, დენიკინებს, ყველა ქვეყნის კაპიტალისტ-მტაცებლებს.

ამიტომ ჩვენ, ველიკორუსი კომუნისტები, უდიდესი სიმ-
კაცრით უნდა ვღვენიდეთ ჩვენს წრეში ველიკორუსული ნა-
ციონალიზმის ოდნავ გამოვლინებას, რადგან ასეთ გამოვლი-
ნებას, როგორც საერთოდ კომუნიზმისადმი ღალატს, უდიდესი
მავნებლობა მოაქვს, გვთიშავს რა უკრაინელი ამხანაგებისა-
გან და ამით ხელს უწყობს დენიკინსა და დენიკინშჩინას.

ამიტომ ჩვენ, ველიკორუსი კომუნისტები, დამთმობნი უნდა
ვიყოთ უკრაინელ კომუნისტ-ბოლშევიკებთან და ბოროტბის-
ტებთან უთანხმოებისას, თუ ეს უთანხმოება ეხება უკრაი-
ნის სახელმწიფო დამოუკიდებლობას, რუსეთთან მისი კავშირის
ფორმებს, საერთოდ ნაციონალურ საკითხს. ჩვენ ყველანი,
ველიკორუსი, უკრაინელი და ყოველი სხვა ერის კომუნისტე-
ბი დაუთმობელნი და შეუტრიგებელნი უნდა ვიყოთ პროლე-
ტარული ბრძოლის მთავარ, ძირითად, ყველა ერისათვის ერ-
თნაირ საკითხებში, პროლეტარული დიქტატურის, ბურჟუა-
ზიასთან შემთანხმებლობის შეუწყნარებლობის, იმ ძალების
დაქსაქსვის შეუწყნარებლობის საკითხებში, რომლებიც დენი-
კინისაგან გვიცავენ.

დავამარცხოთ დენიკინი, გავანადგუროთ იგი, შეუძლებე-
ლი გავხადოთ მსგავსი შემოსევის განმეორება — ასეთია ძი-
რითადი ინტერესი როგორც ველიკორუსი, ისე უკრაინელი
მუშებისა და გლეხებისა. ეს ბრძოლა ხანგრძლივი და ძნელია,
რადგან მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები ეხმარებიან დენი-
კინს და დაეხმარებიან სხვადასხვა ჯურის დენიკინებს.

ამ ხანგრძლივ და ძნელ ბრძოლაში ჩვენ, ველიკორუსი და
უკრაინელი მუშები, უმჭიდროეს კავშირში უნდა ვიმყო-
ფებოდეთ, ვინაიდან ცალ-ცალკე ჩვენ, უთუოდ, ვერაფერს
გავხდებით. როგორიც უნდა იყოს უკრაინისა და რუსეთის
საზღვრები, როგორიც უნდა იყოს მათი სახელმწიფოებრივი
ურთიერთდამოკიდებულების ფორმები, ამას არა აქვს დიდი
მნიშვნელობა, აქ შეიძლება და უნდა წავიდეთ დათმობაზე, აქ
შეიძლება ვცადოთ ერთიც, მეორეც და მესამეც, — ამით მუ-
შებისა და გლეხების საქმე, კაპიტალიზმზე გამარჯვების საქმე
არ დაილუპება.

მაგრამ აი თუ ჩვენ ვერ შევინარჩუნეთ უმჭიდროესი კავ-
შირი ურთიერთ შორის, კავშირი დენიკინის წინააღმდეგ, კავ-
შირი ჩვენი ქვეყნებისა და ყველა ქვეყნის კაპიტალისტებისა

და კულაკების წინააღმდეგ, მაშინ შრომის საქმე უთუოდ დაი-
ლუპება დიდი ხნით იმ მხრივ, რომ მაშინ კაპიტალისტები
შეძლებენ გასრისონ და დაახრჩონ საბჭოთა უკრაინაც
და საბჭოთა რუსეთიც.

ყველა ქვეყნის ბურჟუაზიაც და ყოველგვარი წვრილბურ-
ჟუაზიული პარტიებიც, «შემთანხმებლური» პარტიები, რომ-
ლებსაც დასაშვებად მიაჩნიათ ბურჟუაზიასთან კავშირი მუ-
შების წინააღმდეგ, ყველაზე მეტად ცდილობდნენ გაეთიშათ
სხვადასხვა ეროვნების მუშები, გაეღვივებინათ უნდობლობა,
დაერღვიათ მუშების მჭიდრო საერთაშორისო კავშირი და
საერთაშორისო ძმობა. როდესაც ბურჟუაზია ამას შეძლებს,
მუშების საქმე წაგებულა. მაშ დაე რუსეთისა და უკრაინის
კომუნისტებმა მოთმინებითი, მედგარი, შეუპოვარი, გაერთიან-
ებული მუშაობით დაძლიონ ყოველგვარი ბურჟუაზიის ნა-
ციონალისტური ზრახვები, ყოველგვარი ნაციონალისტური
ცრურწმენა და მთელი მსოფლიოს მშრომელებს დაანახვონ
სხვადასხვა ერის მუშებისა და გლეხების მართლაც მჭიდრო
კავშირის მაგალითი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მემამუ-
ლეებისა და კაპიტალისტების მხრივ ჩაგვრის მოსპობისათვის,
მსოფლიო ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისათვის ბრძო-
ლაში.

28. XII. 1919.

ნ. ლენინი

დაბეჭდილია 1920 წ.

ვ. ი. ლენინი; შსზ.,
ტ. 30, გვ. 346—353.

**თურქესტანში რკპ (ბ) ამოცანების შესახებ ცკ-ის
გადაწყვეტილების პროექტზე გაკეთებული
შენიშვნები³⁸**

(ნაწყვეტი)

1. რკპ ცკ-ს თურქესტანში რკპ-ის ძირითად ამოცანად მიაჩნია იმ ურთიერთობის ლიკვიდაცია, რომელიც რუმუნთის თვითმპყრობელობის ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგად დამყარდა მოსულ ევროპელ მოსახლეებსა და მკვიდრ ხალხებს შორის. ამ 2¹/₂ წლის მანძილზე, რაც აქ საბჭოთა ხელისუფლება კოლონიზატორული ფსიქოლოგიით გაქდენილი რუსი მუშების უაღრესად თხელ ფენას ჰქონდა ხელთ. ეს ურთიერთობა არათუ არ გამოკეთებულა, პირიქით, უფრო მეტადაც გამწვავდა თავისებური «კომუნისტური» მოქმედების წყალობით, რომელიც დამონებულ მკვიდრ მოსახლეობას ძველი მეფის ხელისუფლების აგენტების მოქმედების განგრძობად მიაჩნია და არსებითად მართლაც ასეა.

კი მაგრამ, ახალ მოსახლეებს, კულა-კებს?

ძარცვა-გლეჯა?

2. აღნიშნული ურთიერთობის ლიკვიდაციის მიზნით საჭიროა სასწრაფოდ განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი: ა) ჩამოერთვათ ყირგიზული რაიონების ჩამოსახლებულთ საგადასახლებო სამმართველოს მიერ დაპროექტებული ან ჩამოსახლებულთა მიერ ყირგიზებისათვის თვითნებურად ჩამორთმეული მიწები და დატოვებულ იქნას ჩამოსახლებულთათვის ნაკვეთები შრომითი ნადელის ოდენობით.

ჩამორთმეული მიწებით შეიქმნას ფონდი ყირგიზთა საზოგადოებების, არტელებისა და ცალკეული პირებისათვის მიწის ნაკვეთების მისაჩენად და ამ მიწებზე ყირგიზებისა და 1916 წლის დარბევის შემდეგ ლტოლვილი დუნგანების დასახლებლად.

კი მაგრამ, მათი მიწის გათანაბრება?

ბ) გასახლებულ იქნენ თურქესტანიდან რუსეთის საკონცენტრაციო ბანაკებში პოლიციის, ეანდარმერიის, საიდუმლო პოლიციის ყველა ყოფილი წარმომადგენელი, აგრეთვე ის მეფის მოხელენი, რომელთა თურქესტანში გამოყენებაც პოლიტიკურად მიუღებელია, სპეკულანტები, რუსეთის დიდ საწარმოთა ყოფილი მმართველები, პარტიას, საბჭოთა ორგანოებს, წითელ არმიას მიტმასნილი ყველა პირი და ა. შ.

კი მაგრამ, კულაკები 10-დან 17

გ) პარტიული ძალების გადანაწილების წესით გაიზავნოს ცკ-ის განკარგულებაში კოლონიზატორობითა და ველიკორუსული ნაციონალიზმით მოწამლული ყველა თურქესტანელი კომუნისტი და იმაგდროულად გახორციელდეს ცენტრში რამდენიმე ასეული კომუნისტის მობილიზაცია თურქესტანში სამუშაოდ.

დ) წინადადება მიეცეს გზათა სახკომს გადაიყვანონ და გამოცვალონ შუა აზიის რკინიგზაზე, ტანშენტის სახელოსნოებისა და ტანშენტის რკინიგზის რამდენიმე ასეული მუშა.

ე) ეს დადგენილება განხორციელდეს განუხრელი სიმტკიცით, ამასთან დათრგუნოს მისი განმახორციელებელი ორგანოებისადმი ყოველგვარი წინააღმდეგობა, და ფართოდ იქნეს გამოყენებული გასახლების სისტემა იმ პირობაში, რომლებიც რაიმე მხრივ აბრკოლებენ ამ დადგენილების პრაქტიკულ განხორციელებას.

დაწერილია 1920 წ.

Полн. собр. соч.,
т. 41, стр. 433—434.

პროექტი რკვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კოლიტბიუროს დადგენილებისა რკვ (ბ) ამოცანების შესახებ თურქმენსტანში

თეზისებიც და პროექტიც საერთოდ და ძირითადად დავამტკიცოთ და თეზისებიც და პროექტიც გავასწოროთ იმ სულისკვეთებით, რომ

(1) რუსთა და ჩამოსულთა მიწათმფლობელობა გავუთანბროთ ადგილობრივთ;

(2) დავამარცხოთ, გავასახლოთ და დავიმორჩილოთ რუსი კულაკები უალრესად ენერგიულად;

(3) თურქმენსტანის კომისიას არ მივცეთ უფლება შეცვალოს დეკრეტები ისე, თუ არ შეეკითხა თურქმენსტანის ცაკსა და თურქმენსტანის სახკომსაბჭოს და ცენტრს;

(4) სისტემატურად მოვიფიქროთ, მოვამზადოთ, განვახორციელოთ ხელისუფლების გადაცემა — თანდათანობით, მაგრამ განუხრელად — ადგილობრივი მშრომელთა საბჭოებისთვის, საიმედო კომუნისტთა კონტროლით;

(5) რესპუბლიკის 3 ნაწილად გაყოფას წინასწარ ნუ გადაწყვეტთ;

(6) საერთო ამოცანად დავისახოთ ფეოდალიზმის დამხობა და არა კომუნისმი.

დაწერილია 1920 წ.

ვ. ი. ლენინი, თბ.,
ტ. 42, გვ. 202—203.

პირველადი მონასხი თეზისების ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე

(ნაწევები)

1. ბურჟუაზიულ დემოკრატიას, თვით მისი ბუნებით, ახასიათებს საერთოდ თანასწორობის, მათ შორის აგრეთვე ნაციონალური თანასწორობის საკითხის აბსტრაქტულად ან ფორმალურად დაყენება. საერთოდ ადამიანის პიროვნების თანასწორობის სახით ბურჟუაზიული დემოკრატია აცხადებს მესაკუთრისა და პროლეტარის, ექსპლოატატორისა და ექსპლოატირებულის ფორმალურ ან იურიდიულ თანასწორობას, რითაც უდიდეს შეცდომაში შეყავს ჩაგრული კლასები. თანასწორობის იდეას, რომელიც თვითონ სასაქონლო წარმოების ურთიერთობათა ანარქელია, ბურჟუაზია აქცევს კლასების მოსპობის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად, ადამიანების პიროვნებათა თითქმის აბსოლუტური თანასწორობის მომიზეზებით. თანასწორობის მოთხოვნის ნამდვილი აზრი კლასების მოსპობის მოთხოვნას შეიცავს მხოლოდ.

2. ბურჟუაზიული დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის და მისი სიცრუისა და თვალთმაქცობის გამოაშკარავების თავისი ძირითადი ამოცანის შესაბამისად, კომუნისტური პარტია, როგორც ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისათვის პროლეტარიატის ბრძოლის შეგნებული გამომხატველი, ნაციონალურ საკითხშიც ქვაკუთხედად უნდა აყენებდეს არა აბსტრაქტულ და ფორმალურ პრინციპებს, არამედ, ჯერ ერთი, ისტორიულ-კონკრეტული და უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური ვითარების ზუსტად გათვალისწინებას; მეორე, ჩაგრულ კლასთა, მშრომელთა, ექსპლოატირებულთა ინტერესების ნათლად გამოყოფას საერთოდ სახალხო ინტერესების ზოგადი ცნებიდან, რომელიც ნიშნავს გაბატონებული კლასის ინტერესებს; მესამე, ჩაგრული, დამოკიდებული, არათანასწორუფლებიანი ერების ასეთსავე ნათლად გამოყოფას მჩაგვრელ, ექსპლოატატორ, სრულუფლებიან ერთაგან, — წინააღმდეგ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სიცრუისა, რომელიც ჩქმალავს ფინანსური კაპიტალისა და იმპერიალიზმის ეპოქის დამახასიათებელ მოვლენას — დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის კო-

ლონიურსა და ფინანსურ დამონებას უმდიდრესი მოწინავე. კაპიტალისტური ქვეყნების სრულიად უმნიშვნელო უმცირესობის მიერ.

3. 1914—1918 წლების იმპერიალისტურმა ომმა განსაკუთრებული სიცხადით გამოააშკარავა ყველა ერისა და მთელი მსოფლიოს ჩაგრული კლასების წინაშე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფრაზების სიყალბე; მან საქმით ცხადყო, რომ ყბადღებული „დასავლეთის დემოკრატიათა“ ვერსალის ხელშეკრულება კიდევ უფრო მხეცური და საზიზღარი ძალმომრეობაა სუსტი ერების მიმართ, ვიდრე გერმანელ იუნკერთა და კაიზერის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. ერთა ლიგა და ანტანტის მთელი ომის შემდგომი პოლიტიკა კიდევ უფრო ნათლად და მკვეთრად ააშკარავებს ამ სიმართლეს, აძლიერებს ყველგან როგორც მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის, ისე კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მთელი მშრომელი მასების რევოლუციურ ბრძოლას, აჩქარებს მემჩანურ-ნაციონალური ილუზიების კრახს, — თითქოს შესაძლებელი იყოს ერთა მშვიდობიანი თანაცხოვრება და თანასწორობა კაპიტალიზმის დროს.

4. ზემოაღნიშნული ძირითადი დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ კომინტერნის მთელ პოლიტიკას ნაციონალურ და კოლონიურ საკითხში საფუძვლად უნდა დაედოს ყველა ერისა და ქვეყნის პროლეტართა და მშრომელი მასების დაახლოება ერთობლივი რევოლუციური ბრძოლისათვის მემამულეებისა და ბურჟუაზიის დასამხობად. ვინაიდან მხოლოდ ასეთი დაახლოება უზრუნველყოფს კაპიტალიზმზე გამარჯვებას, ურომლისოდაც შეუძლებელია ნაციონალური ჩაგვრისა და უთანასწორობის მოსპობა.

5. მსოფლიო პოლიტიკურმა ვითარებამ ახლა დღის წესრიგში დააყენა პროლეტარიატის დიქტატურა, და მსოფლიო პოლიტიკის მთელი მოვლენები აუცილებლად თავს იყრის ერთი ცენტრალური პუნქტის გარშემო, სახელდობრ: ეს არის მსოფლიო ბურჟუაზიის ბრძოლა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ; რომელიც გარდაუვალად აერთიანებს თავის გარშემო, ერთი მხრივ, ყველა ქვეყნის მოწინავე მუშების საბჭოთა მოძრაობებს, ხოლო, მეორე მხრივ, იმ კოლონიებისა და ჩაგრულ ხალხთა ყველა ნაციონალურ-განმათავი-

სუფლებელ მოძრაობას, რომლებიც მწარე გამოცდილებით რწმუნდებიან, რომ მათი ხსნა მხოლოდ მსოფლიო იმპერიალიზმზე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაშია.

6. მაშასადამე, ამჟამად არ შეიძლება დავეკმაყოფილდეთ სხვადასხვა ერის მშრომელთა დაახლოების ცარიელი აღიარებით ან გამოცხადებით, არამედ აუცილებელია ვაწარმოოთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც განახორციელებს იმას, რომ ყველა ნაციონალურ და კოლონიურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მჭიდროდ დააკავშირებს საბჭოთა რუსეთთან, აუცილებელია განვსაზღვროთ ამ კავშირის ფორმები კომუნისტური მოძრაობის განვითარების საფეხურის შესაბამისად თითოეული ქვეყნის პროლეტარიატში, ან მუშათა და გლეხთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების საფეხურის მიხედვით ჩამორჩენილ ქვეყნებში ან ჩამორჩენილ ერებს შორის.

7. ფედერაცია წარმოადგენს გარდამავალ ფორმას სხვადასხვა ერის მშრომელთა სრული ერთიანობისაკენ. ფედერაციამ უკვე პრაქტიკულად ცხადყო თავისი მიზანშეწონილობა როგორც რსფს რესპუბლიკის დამოკიდებულებაში სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისადმი (უნგრეთის, ფინეთის, ლატვიისა — წარსულში, აზერბაიჯანის, უკრაინისა — ამჟამად), ისე რსფს რესპუბლიკის შიგნით იმ ეროვნებებთან დამოკიდებულებაში, რომელთაც წინათ არ ჰქონიათ არც სახელმწიფოებრივი არსებობა, არც ავტონომია (მაგალითად, ბაშკირეთისა და თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკები რსფსრ-ში, რომლებიც შეიქმნა 1919 და 1920 წლებში).

8. ამ მხრივ კომინტერნის ამოცანაა ამ ახალი, საბჭოთა წყობილებისა და საბჭოთა მოძრაობის ბაზაზე წარმოშობილი ფედერაციების როგორც შემდგომი განვითარება, ისე მათი შესწავლა და შემოწმება გამოცდილებით. ფედერაციას რომ სრული ერთიანობისაკენ გარდამავალ ფორმად ვაღიარებთ, აუცილებლად უნდა ვისწრაფოდეთ უფრო და უფრო მჭიდრო ფედერაციული კავშირისაკენ და მხედველობაში გვქონდეს, ჯერ ერთი, ის, რომ შეუძლებელია შევინარჩუნოთ არსებობა საბჭოთა რესპუბლიკებისა, რომელნიც გარშემორტყმული არიან სამხედრო მხრივ შეუდარებლად უფრო მძლავრი მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური სახელმწიფოებით, თუ უმჭიდ-

როესი კავშირი არ იქნა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის; მეორე ის, რომ აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო ეკონომიკური კავშირი, ურომლისოდაც განუხორციელებელია იმპერიალიზმის მიერ დანგრეულ საწარმოო ძალთა აღდგენა და მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა; მესამე, ტენდენცია ერთიანი, ყველა ერის პროლეტარიატის მიერ საერთო გეგმით მოწესრიგებული, მსოფლიო მეურნეობის როგორც მთელის შექმნისაკენ, ტენდენცია, რომელიც სავსებით აშკარად გამოიქვლია უკვე კაპიტალიზმის დროს, აუცილებლად განვითარდება შემდგომ და სავსებით დასრულებულ სახეს მიიღებს სოციალიზმის დროს.

9. შინასახელმწიფოებრივი ურთიერთობის დარგში კომინტერნის ნაციონალური პოლიტიკა არ შეიძლება განისაზღვროს ერთა თანასწორუფლებიანობის იმ ცარიელი, ფორმალური, წმინდა დეკლარაციული და პრაქტიკულად არაფრის დამავალდებულებელი აღიარებით, რომლითაც კმაყოფილდებიან ბურჟუაზიული დემოკრატები — სულ ერთია, აშკარად აღიარებენ ისინი თავს ასეთებად თუ ეფარებიან სოციალისტების სახელწოდებას, როგორც ამას II ინტერნაციონალის სოციალისტები სჩადიან.

არა მარტო კომუნისტური პარტიების მთელ პროპაგანდასა და აგიტაციაში — პარლამენტის ტრიბუნადაც და მის გარეთაც — განუხრელად უნდა გამოვსაშკაროთ ერთა თანასწორუფლებიანობისა და ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების გარანტიების მუდმივი დარღვევები კაპიტალისტურ სახელმწიფოში, წინააღმდეგ მათი „დემოკრატიული“ კონსტიტუციებისა, არამედ ამასთანავე აუცილებლივ საჭიროა, ჭერ ერთი, ვაწარმოთ მუდმივი ახსნა-განმარტება, რომ ერთა თანასწორობის ნამდვილად უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ საბჭოთა წყობილებას, რომელიც ჭერ პროლეტარებს, შემდეგ კი მშრომელთა მთელ მასას გააერთიანებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში; მეორე, აუცილებლად საჭიროა ყველა კომუნისტურმა პარტიამ პირდაპირი დახმარება აღმოუჩინოს რევოლუციურ მოძრაობებს დამოკიდებულ ან არათანასწორუფლებიან ერებში (მაგალითად, ირლანდიაში, ამერიკის ზანგებში და სხვა) და კოლონიებში.

თუ ეს უკანასკნელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პირობა არ იქნა, ისე დამოკიდებული ერებისა და კოლონიების

ჩაგერის წინააღმდეგ ბრძოლა, აგრეთვე მათი სახელმწიფო-ებრივი გამოყოფის უფლების აღიარება ყალბ აბრად რჩება, როგორც ამას ვხედავთ II ინტერნაციონალის პარტიებში.

10. სიტყვით ინტერნაციონალიზმის აღიარება, ხოლო საქ-მით მთელ პროპაგანდასა, აგიტაციასა და პრაქტიკულ მუშაობაში მისი შეცვლა მეშჩანური ნაციონალიზმითა და პაციფიზმით — სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა არა მარტო II ინტერნაციონალის პარტიებში, არამედ იმათ შორისაც, ვინც ამ ინტერნაციონალიდან გამოვიდა, ხშირად იმ პარტიებს შორისაც კი, რომელნიც ახლა თავის თავს კომუნისტურს უწოდებენ. ამ ბოროტებასთან, ყველაზე უფრო ფესვგადგმულ წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალურ ცრურწმენებთან, ბრძოლა მით უფრო წინა რიგში დგება, რაც უფრო საჭირობოროტო ხდება ამოცანა პროლეტარიატის დიქტატურის გადაქცევისა ნაციონალურიდან (ე. ი. ისეთიდან, რომელიც ერთ ქვეყანაში არსებობს და არ შეუძლია განსაზღვროს მსოფლიო პოლიტიკა) ინტერნაციონალურ დიქტატურად (ე. ი. სულ ცოტა, რამდენიმე მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატის დიქტატურად, რომელსაც უნარი ექნება გადაიწყვიტოს გავლენა მოახდინოს მთელ მსოფლიო პოლიტიკაზე). წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმი ინტერნაციონალიზმად აცხადებს ერთა თანასწორუფლებიანობის აღიარებას და ამით კმაყოფილდება, ის (რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთი აღიარების წმინდა სიტყვიერი ხასიათის შესახებ) ხელუხლებლად ინარჩუნებს ნაციონალურ ეგოიზმს, მაშინ როდესაც პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მოითხოვს, ჯერ ერთი, ერთი ქვეყნის პროლეტარული ბრძოლის ინტერესების დამორჩილებას ამ ბრძოლის ინტერესებისადმი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მეორე, ის მოითხოვს, რომ იმ ერს, რომელიც ბურჟუაზიაზე გამარჯვებას ახორციელებს, უნარი შესწევდეს და მზად იყოს უდიდესი ნაციონალური მსხვერპლი გაიღოს საერთაშორისო კაპიტალის დასამხობად.

ამრიგად, უკვე სავსებით კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ მუშათა პარტიები, რომლებიც პროლეტარიატის ნამდვილ ავანგარდს წარმოადგენენ, ინტერნაციონალიზმის ცნებისა და პოლიტიკის ოპორტუნისტულ და მეშჩანურ-პაციფისტურ დამახინჯებებთან ბრძოლა პირველ და უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს.

11. უფრო ჩამორჩენილ სახელმწიფოთა და ერთა მიმართ, სადაც ფეოდალური ან პატრიარქალური და პატრიარქალურ-გლეხური ურთიერთობა ჭარბობს, განსაკუთრებით მხედველობაში უნდა გვექონდეს შემდეგი:

პირველი, ყველა კომუნისტური პარტია აუცილებლად უნდა ეხმარებოდეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ განმათავისუფლებელ მოძრაობას ამ ქვეყნებში; უადრესად აქტიური დახმარების გაწევის მოვალეობა პირველ რიგში ეკისრებათ იმ ქვეყნების მუშებს, რომლისგანაც დამოკიდებულია ჩამორჩენილი ერი კოლონიურად თუ ფინანსურად;

მეორე, აუცილებელია ბრძოლა სამღველოებასთან და სხვა რეაქციულ და შუასაუკუნურ ელემენტებთან, რომელთაც გავლენა აქვთ ჩამორჩენილ ქვეყნებში;

მესამე, აუცილებელია ბრძოლა პანისლამიზმთან და მსგავს მიმდინარეობებთან, რომელნიც ცდილობენ ევროპისა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული განმათავისუფლებელი მოძრაობა შეაერთონ ხანების, მემამულეების, მოკლებისა და სხვ. პოზიციის განმტკიცებასთან*;

მეოთხე, აუცილებელია მხარი დავუჭიროთ ჩამორჩენილი ქვეყნების სპეციალურად გლეხურ მოძრაობას მემამულეების წინააღმდეგ, მსხვილი მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, ფეოდალიზმის ყოველგვარი გამოხატულების ან ნაშთის წინააღმდეგ, და ვეცადოთ გლეხთა მოძრაობას მივცეთ რაც შეიძლება მეტი რევოლუციური ხასიათი, განვახორციელოთ დასავლეთ ევროპის კომუნისტური პროლეტარიატის რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი გლეხთა რევოლუციურ მოძრაობასთან აღმოსავლეთში, კოლონიებსა და ჩამორჩენილ ქვეყნებში საერთოდ; განსაკუთრებით აუცილებელია მთელი ძალისხმევის წარმართვა იქითკენ, რომ საბჭოთა წყობილების ძირითადი საწყისები გამოყენებულ იქნას ისეთი ქვეყნების მიმართ, სადაც გაბატონებულია წინააკაპიტალისტური ურთიერთობა, «მშრომელთა საბჭოების» შექმნის გზით და სხვ.;

მეხუთე, აუცილებელია გადაჭრით ბრძოლა ჩამორჩენილ ქვეყნებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ განმათავისუფლებ-

* კორექტურულ ანაბეჭდში მეორე და მესამე მუხლთან ვ. ი. ლენინმა ფიგურული ფრჩხილი დასვა და წააწერა «მეორე და მესამე გაერთიანდეს» რ. ე. დ.

ბელ მიმდინარეობათა კომუნიზმის ფერით შეღებვის წინააღმდეგ; კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მხარი უნდა დაუჭიროს კოლონიებისა და ჩამორჩენილი ქვეყნების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ნაციონალურ მოძრაობებს მხოლოდ იმ პირობით, რომ მომავალი პროლეტარული, არა მარტო სახელწოდებით კომუნისტური, პარტიების ელემენტები ყველა ჩამორჩენილ ქვეყანაში დაირაზმებიან და აღიზრდებიან თავიანთი განსაკუთრებული ამოცანების შეგნებით, მათი ერების შიგნით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობებთან ბრძოლის ამოცანების შეგნებით; კომუნისტური ინტერნაციონალი დროებით უნდა უკავშირდებოდეს ხოლმე კოლონიებისა და ჩამორჩენილი ქვეყნების ბურჟუაზიულ დემოკრატიას, მაგრამ არ უნდა გაითქვიფოს მასში და აუცილებლად უნდა იცავდეს პროლეტარული მოძრაობის დამოუკიდებლობას მისი თუნდაც უაღრესად ჩანასახი ფორმით;

მეექვსე, აუცილებელია ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით კი ჩამორჩენილი ქვეყნების, უაღრესად ფართო მშრომელი მასების წინაშე მუდმივად ვაწარმოებდეთ ახსნა-განმარტებას და ვააშკარავებდეთ იმ მოტყუებას, რასაც სისტემატურად მიმართავენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომელნიც, ვითომდა პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის სახით, ნამდვილად ქმნიან მათგან ეკონომიკურად, ფინანსურად, სამხედრო მხრივ სავსებით დამოკიდებულ სახელმწიფოებს; თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში დამოკიდებული და სუსტი ერების ხსნა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გარეშე შეუძლებელია.

12. იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ კოლონიური და სუსტი ხალხების საუკუნეობრივმა ჩაგვრამ დაჩაგრული ქვეყნების მშრომელ მასებში დატოვა არა მარტო გაბოროტება, არამედ უნდობლობაც საერთოდ მჩაგვრელი ერებისადმი, მათ შორის ამ ერების პროლეტარიატისადმიც. ამ პროლეტარიატის ოფიციალურ ბელადთა უმრავლესობას საზიზღარ დალატს სოციალიზმის მიმართ 1914—1918 წლებში, როდესაც «სამშობლოს დაცვის» ნიღბით სოციალ-შოვინისტურად იცავდნენ «თავისი» ბურჟუაზიის «უფლებას» კოლონიების დასაჩაგრავად და ფინანსურად დამოკიდებული ქვეყნების გასაძარცვავად, არ შეეძლო არ გაეძლიერებინა ეს სავსებით კანონიერი

უნდობლობა. მეორე მხრივ, რაც უფრო ჩამორჩენილია ქვეყანა, მით უფრო ძლიერია იქ წვრილი სამიწათმოქმედო წარმოება, პატრიარქალობა და კუთხური ჩამორჩენილობა, რაც აუცილებლად იწვევს ყველაზე ღრმა წვრილბურჟუაზიული ცრურწმენების, სახელდობრ, ნაციონალური ეგოიზმის, ნაციონალური შეზღუდულობის ცრურწმენების განსაკუთრებულ ძალასა და სიმყარეს. რადგან ეს ცრურწმენები შეიძლება გაქრეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოწინავე ქვეყნებში მოისპობა იმპერიალიზმი და კაპიტალიზმი და რადიკალურად შეიცვლება ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიკური ცხოვრების მთელი საფუძველი, ამიტომ ამ ცრურწმენათა კვდომა არ შეიძლება ძალიან ნელი არ იქნეს. აქედან გამომდინარეობს ყველა ქვეყნის შეგნებული კომუნისტური პროლეტარიატის მოვალეობა— განსაკუთრებით ფრთხილად და განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრას ნაციონალური გრძნობების ნაშთებს ყველაზე უფრო დიდი ხნის ჩაგრულ ქვეყნებსა და ხალხებში,— აქედანვე გამომდინარეობს განსაზღვრულ დათმობათა აუცილებლობა იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება ჩქარა აღმოიფხვრას აღნიშნული უნდობლობა და აღნიშნული ცრურწმენები. თუ არ იქნა მთელი მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ერის პროლეტარიატის, შემდეგ კი აგრეთვე მთელი მშრომელი მასების ნებაყოფლობითი მისწრაფება კავშირისა და ერთიანობისაკენ, ისე კაპიტალიზმზე გამარჯვების საქმე არ შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს.

დაწერილია 1920 წ.

ვ. ი. ლენინი, თხზ.,
ტ. 31, გვ. 164—172.

**პროექტი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის
პოლიტბიუროს დადგენილებისა რკპ (ბ) ამოცანების
შესახებ აღმოსავლეთის ხალხებით დასახლებულ
ადგილებში³⁹**

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა მოხსენებები და ინფორმაციები, წაკითხული 1920 წლის 13 ოქტომბერს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს თათბირზე აღმოსავლეთის ხალხთა ბაქოს ყრილობის⁴⁰ 27 დელეგატთან და დაადგინა:

1. გავაძლიეროთ ეროვნებათა სახალხო კომისარიატთან არსებული ეროვნებათა საბჭოს მუშაობა და დავნიშნოთ მოხსენება ამ მუშაობის შესახებ სახკომსაბჭოს უახლოეს სხდომაზე.

2. დავნიშნოთ იმ ბოროტმოქმედებათა და ძალადობათა უმკაცრესი გამოძიება, რაც ადგილობრივმა რუსმა მოსახლეობამ ჩაიდინა აღმოსავლეთის ეროვნებათა მიმართ (მეტადრე ყალმუხების, ბურიატ-მონგოლების და სხვ. მიმართ) და დამნაშავენი დავსაჯოთ.

3. უმაღლესი საბჭოთა ხელისუფლების სახელით გამოვცეთ მანიფესტი, რომელიც დაადასტურებდა რსფსრ ეროვნული პოლიტიკის საფუძვლებს და დააწესებდა უფრო ქმედით კონტროლს მის მთლიანად განხორციელებაზე.

4. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ აღმოსავლეთის იმ ეროვნებებისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ ავტონომიური დაწესებულებანი, პირველ რიგში ყალმუხებისა და ბურიატ-მონგოლებისათვის, განვახორციელოთ ავტონომია კონკრეტული პირობების შესაფერისი ფორმით და დავავალოთ ეს ეროვნებათა სახალხო კომისარიატს.

5. აგრარული საკითხის გამო საჭიროდ მიგვაჩნია ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებს დავუბრუნოთ ველიკოროსების მიერ წართმეული მიწები კაზაკი მოსახლეობის კულაკური ნაწილის ხარჯზე და დავავალოთ სახკომსაბჭოს დაუყოვნებლივ მოამზადოს სათანადო დადგენილებანი.

6. შევიმუშაოთ ინსტრუქცია ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების ყველა იმ რწმუნებულისათვის, რომლებსაც მოსკოვიდან ვგზავნით აღმოსავლეთის ხალხებით დასახლებულ ოლქებში. ამ ინსტრუქციაში სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ რწმუნებულთა იმ მოვალეობის განმარტებაზე, რომ უნდა იმოქმედონ მხოლოდ ადგილობრივ ორგანოთა მეშვეობით, რომლებიც შედგებიან ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობის წარმომადგენლებისაგან, და თავიანთ მთავარ ამოცანად მიიჩნიონ ბრძოლა ადგილობრივი მოსახლეობის ბურჟუაზიული და ცრუკომუნისტური ჯგუფების წინააღმდეგ ნამდვილად კომუნისტური ჯგუფებისა და ელემენტების მხარდაჭერასთან ერთად.

**წერილი «აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის,
დაღესტნის, მთიულთა რესპუბლიკის ამხანაგ
კომუნისტებს»**

(ნაწყვეტი)

მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს.

მაგრამ რაც უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს კავკასიის ეროვნებათა მუშებსა და გლეხებს შორის ეროვნულ მშვიდობიანობას, კიდევ უფრო შეუდარებლად მნიშვნელოვანია შევიინარჩუნოთ და განვაფართოოთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სოციალიზმზე გარდამავალი საფეხური. ძნელი, მაგრამ საესებით შესასრულებელი ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას არსად არა ჰქონია პოლიტიკური და სამხედრო დახმარება. პირიქით, იგი მთელი წლობით იბრძოდა ანტანტის სამხედრო თავდასხმებისა და ბლოკადის წინააღმდეგ.

კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს პოლიტიკური და ცოტაოდენი სამხედრო დახმარება ჰქონდათ რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან. ეს ძირეული განსხვავებაა.

მეორე: ახლა აღარ უნდა გეშინოდეთ იმისა, რომ ანტანტა თავს დაგესხმით და სამხედრო დახმარებას გაუწევს ქართველ, აზერბაიჯანელ, სომეხ, დაღესტნელ და მთიულ თეთრგვარდიელებს, ანტანტამ «ხელები მოიწვა» რუსეთზე, და ეს აიძულებს მას ერთხანს, ალბათ, უფრო ფრთხილი იყოს.

მესამე: კავკასიის რესპუბლიკები კიდევ უფრო გლახური ქვეყნებია, ვიდრე რუსეთი.

მეოთხე: ეკონომიკურად რუსეთი მოწყვეტილი იყო და მნიშვნელოვნად ახლაც მოწყვეტილი რჩება მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისაგან; კავკასიას შეუძლია უფრო სწრაფად და უფრო ადვილად მოაგვაროს «ერთადცხოვრება» და საქონელგაცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან.

ეს არაა ყველა განსხვავება. მაგრამ აღნიშნული განსხვავებანიც საკმარისია იმის გასაგებად, რომ აუცილებელია სხვაგვარი ტაქტიკა.

მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლახობის მიმართ. ეკონომიკური მხრივ ყოველნაირად, გაძლიერებით, სწრაფად გამოვიყენოთ კაპიტალისტური დასავლეთი კონცესიებისა და საქონელცვლის პოლიტიკაში. ნაეთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი, — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არასრული სია. არის სრული შესაძლებლობა, რომ ფართოდ გაიშალოს კონცესიების პოლიტიკა და საქონელცვლა საზღვარგარეთთან.

ეს უნდა გაკეთდეს ფართოდ, მტკიცედ, მოხერხებულად, წინდახედულად, ამასთან ეს ყოველნაირად უნდა გამოიყენონ მუშათა და გლახთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მეურნეობის მშენებლობაში ინტელიგენციის ჩასაბმელად. მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა და ამისთვის გამოიყენეთ საქონელცვლა იტალიასთან, ამერიკასთან და სხვა ქვეყნებთან. მორწყვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ავამაღლოთ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა რადაც უნდა დაჯდეს.

უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე — აი რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან განსხვავებით. აი რა უნდა შეიგნოთ და რის განხორციელება უნდა შეძლოთ ჩვენი ტაქტიკისაგან განსხვავებით.

დაწერილია 1921 წ.

ვ. ი. ლენინი. თხზ.,
ტ. 42, გვ. 397—380.

**«ბარათი ლ. ზ. კამენევს დიდმეპრობელურ
შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ»**

ამხ. კამენევ! ველიკორუსულ შოვინიზმს ვუცხადებ სამკვდ-
რო-სასიცოცხლო ბრძოლას. როგორც კი განთავისუფლდები
ამ წყეული კბილისაგან, ყველა სალი კბილით დავგლეჯ მას.

საჭიროა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ დაჟინებით მოვითხოვოთ,
რომ კავშირის ცაკ-ში რიგრიგობით თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ო ბ -
დ ნ ე ნ

რუსი

უკრაინელი

ქართველი და სხვ.

ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი.

დაწერილია 1922 წ.

В. И. Ленин. Полн. собр.
соч., т. 45, стр. 214.

**ეროვნებათა საკითხისათვის ანუ «ავტონომიზაციის»
შესახებ⁴¹**

მე, მგონი, ძალიან დამნაშავე ვარ რუსეთის მუშების წინა-
შე იმისათვის, რომ საკმაოდ ენერგიულად და საკმაოდ მკვეთ-
რად არ ჩავერიე ყბადაღებულ საკითხში ავტონომიზაციის შე-
სახებ, რომელსაც ოფიციალურად, მგონი, საბჭოთა სოციალის-
ტური რესპუბლიკების კავშირის საკითხი ეწოდება.

ზაფხულში, როდესაც ეს საკითხი წამოიჭრა, მე ავად ვიყავი,
ხოლო შემდეგ, შემოდგომაზე, მეტისმეტი იმედები დავამყარე
ჩემს გამოჯანსაღებაზე და იმაზე, რომ ოქტომბრისა და დეკემბ-
რის პლენუმები მომცემდნენ შესაძლებლობას ჩავრეულიყავ
ამ საკითხში. ამავე დროს კი მე ვერ დავესწარი ვერც ოქტომბ-
რის პლენუმს (ამ საკითხის გამო), ვერც დეკემბრისას და ამ-
რიგად საკითხი თითქმის სავსებით უყურადღებოდ დამრჩა.

მე მხოლოდ ის მოვასწარი, რომ ვესაუბრე ამხ. ძერჟინსკის,
რომელიც კავკასიიდან ჩამოვიდა და მიამბო, თუ როგორ დგას
ეს საკითხი საქართველოში. მე მოვასწარი აგრეთვე გამოვლა-

პარაკებოდი ამხ. ზინოვიევს და გამომეთქვა მისთვის ჩემი შიში ამ საკითხის გამო. იმაში, რაც მაცნობა ამხ. ძერჟინსკიმ, რომელიც სათავეში ედგა ცენტრალური კომიტეტის მიერ ქართული ინციდენტის „გამოსაკვლევად“ გაგზავნილ კომისიას, მე მხოლოდ ძალიან დიდი საშიშროება დავინახე. თუ საქმე იქამდე მივიდა, რომ ორჯონიკიძემ შეტობა და ფიზიკურ ძალადობას მიმართა, რაც ამხ. ძერჟინსკიმ მაცნობა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა ჭაობში ჩავცვივდით ჩვენ. ეტყობა «ავტონომიზაციის» მთელი ეს წამოწყება სრულიად არასწორი და უდროო იყო.

ამბობენ, აპარატის ერთიანობა იყო საჭიროო. საიდან გამომდინარეობდა ეს აზრი? სწორედ რუსეთის იმ აპარატიდან ხომ არა, რომელიც, როგორც მე უკვე ჩემი დღიურის ერთ-ერთ წინანდელ ნომერში აღვნიშნე, ჩვენ მიერ ცარიზმისაგანაა გადმოღებული და რომელსაც მხოლოდ ოდნავ აქვს წაცხებული საბჭოთა მირონი...

უეჭველია, უნდა დაგვეცადა ამ ღონისძიების გატარების მხრივ მანამდე, ვიდრე ჩვენ შევეძლებდით იმის თქმას, რომ ვენდობით ჩვენს აპარატს, როგორც ჩვენსას. ახლა კი ჩვენ სინდისქვეშ პირუკუ უნდა ვთქვათ: რომ ჩვენად მიგვაჩნია აპარატი, რომელიც სინამდვილეში ჯერ კიდევ სავსებით უცხოა ჩვენთვის და წარმოადგენს ბურჟუაზიულ და მეფისეულ ნაყარ-ნუყარს, რომლის დაძლევა ხუთი წლის განმავლობაში, როცა სხვა ქვეყნების დახმარება არ გვქონია და სჭარბობდა საომარი «საქმიანობა» და ბრძოლა შიმშილთან, სრულიად შეუძლებელი იყო.

ასეთ პირობებში ძალიან ბუნებრივია, რომ «კავშირიდან გასვლის თავისუფლება», რითაც ჩვენ თავს ვიმართლებთ, ფარატიანა ქალაღდი აღმოჩნდება, რომელიც ვერ შეძლებს დაიცვას რუსეთის უცხოტომელები იმ ჭეშმარიტად რუსი კაცის, ველიკოროსი შოვინისტის, არსებითად, ნაძირალისა და მოძალადის თავდასხმისაგან, როგორიც არის ტიპური რუსი ბიუროკრატი. უეჭველია, რომ საბჭოთა და გასაბჭოებული მუშების სრულიად უმნიშვნელო პროცენტი ჩაიძირება შოვინისტური ველიკორუსული ვიგინდარების ამ ზღვაში, როგორც ბუზი რძეში.

ამ ღონისძიების დასაცავად ამბობენ, გამოვყავით სახალხო

კომისარიატები, რომლებიც უშუალოდ ეროვნულ ფსიქოლოგიას, ეროვნულ განათლებას შეეხებიანო. მაგრამ აქ საკითხი ისმება, შეიძლება თუ არა გამოვყოთ ეს სახალხო კომისარიატები მთლიანად, და მეორე საკითხი, მივიღეთ თუ არა ჩვენ საკმაო მზრუნველობითი ზომები, რათა ნამდვილად დავიცვათ უცხოტომელები ჭეშმარიტად რუსი დერჟიმორდისაგან? ვფიქრობ, რომ ჩვენ ეს ზომები არ მიგვიღია, თუმცა კი შეგვეძლო და უნდა მიგველო.

ვფიქრობ, რომ აქ საბედისწერო როლი შეასრულებს სტალინის აჩქარებულობამ და ადმინისტრატორულმა გატაცებამ, აგრეთვე მისმა გაბოროტებამ ყბადაღებული «სოციალ-ნაციონალიზმის» წინააღმდეგ. საერთოდ გაბოროტება ჩვეულებრივ მეტად ცუდ როლს ასრულებს პოლიტიკაში.

ვშიშობ აგრეთვე, რომ ამხ. ძერჟინსკიმაც, რომელიც კავკასიაში იყო ამ «სოციალ-ნაციონალების» «დანაშაულობათა» საქმის გამოსაკვლევად, აქ გამოამჟღავნა მხოლოდ თავისი ჭეშმარიტად რუსული განწყობილება (ცნობილია, რომ გარუსებული უცხოტომელები ყოველთვის გადაამლაშებენ ხოლმე ჭეშმარიტად რუსული განწყობილების მხრივ) და რომ მთელი მისი კომისიის მიუდგომლობას საკმაოდ ახასიათებს ორჯონიკიძის მიერ «სილის გარტყმა». ვფიქრობ, რომ არავითარი პროვოკაციით, არავითარი შეურაცხყოფითაც კი არ შეიძლება გამართლდეს ეს რუსული სილის გარტყმა და რომ ამხ. ძერჟინსკის გამოუსწორებელი ბრალი მიუძღვის იმაში, რომ იგი ამ სილის გარტყმას ზერელედ მოეპყრო.

ორჯონიკიძე ხელისუფლება იყო კავკასიის ყველა დანარჩენი მოქალაქის მიმართ. ორჯონიკიძეს არ ჰქონდა იმ გაგულისების უფლება, რომელზეც ის და ძერჟინსკი მიგვიითიებდნენ. ორჯონიკიძე, პირიქით, ვალდებული იყო მოქცეულიყო ისე თავდაჭერილად, როგორც არც ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე ვალდებული არ არის მოიქცეს, მით უფრო «პოლიტიკურ» დანაშაულში ბრალდებული. ხოლო ნამდვილი რომ ითქვას, სოციალ-ნაციონალები — ეს იყვნენ მოქალაქენი, რომლებსაც ბრალი ედებოდათ პოლიტიკურ დანაშაულში და ამ ბრალდების მთელ ვითარებას მხოლოდ ასე შეეძლო მისი კვალიფიცირება.

აქ უკვე დგება დიდმნიშვნელოვანი პრინციპული საკითხი: როგორ უნდა გვესმოდეს ინტერნაციონალიზმი?*

ლ ე ნ ი ი

22 წ. 30. XII.

ჩაწერილია მ. ვ.-ს მიერ

ჩანაწერების გაგრძელება

1922 წლის 31 დეკემბერი.

ეროვნებათა საკითხისათვის ანუ «ავტონომიზაციის» შესახებ

(გაგრძელება)

მე უკვე ვწერდი ჩემს ნაწარმოებებში ეროვნულ საკითხზე, რომ არაფრად არ ვარგა საერთოდ ნაციონალიზმის საკითხის აბსტრაქტული დაყენება. აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ მჩაგვრელი ერის ნაციონალიზმი და ჩაგრული ერის ნაციონალიზმი, დიდი ერის ნაციონალიზმი და პატარა ერის ნაციონალიზმი.

მეორეგვარი ნაციონალიზმის მიმართ თითქმის ყოველთვის ისტორიულ პრაქტიკაში ჩვენ, დიდი ერის ნაციონალები, დამნაშავენი აღმოვჩნდებით ხოლმე უამრავ ძალადობაში, და უფრო მეტიც — ჩვენდა შეუძმჩნევლად ჩავდივართ უამრავ ძალადობასა და შეურაცხყოფას, — საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ ჩემი მოგონებანი ვოლგიდან იმაზე, თუ ჩვენში როგორ აბუჩად იგდებენ უცხოტომელებს, თუ როგორ უწოდებენ პოლონელს უსათუოდ „პოლიაჩიშკას“, თუ როგორ ამასხარაგებენ თათარს უსათუოდ „კნიაზის“ შერქმევით, უკრაინელს — როგორც „ხოხოლს“, ქართველსა და დანარჩენ კავკასიელ უცხოტომელებს — როგორც „კაპკაზსკი ჩელოვეკს“.

ამიტომ ინტერნაციონალიზმი მჩაგვრელი ანუ ეგრეთწოდებული «დიდი» ერისა (თუნდაც დიდისა მხოლოდ თავისი ძალადობით, დიდისა მხოლოდ ისე, როგორც დიდია დერჟიმორდა) უნდა მდგომარეობდეს არა მარტო ერების ფორმალური თა-

* მერე სტენოგრაფიულ ჩანაწერში წაშლილია შემდეგი ტექსტი: «ვეფირობ, რომ ჩვენი ამხანაგები საკმაოდ ვერ გაერკვნენ ამ დიდმნიშვნელოვან პრინციპულ საკითხში». რ ე ლ.

ნასწორობის დაცვაში, არამედ ისეთ უთანასწორობაშიც, რომელიც მჩაგვრელი ერის, დიდი ერის მხრივ აანაზღაურებდა იმ უთანასწორობას, რაც ცხოვრებაში ფაქტიურად იქმნება. ვისაც ეს ვერ გაუგია, იმას ვერ გაუგია ნამდვილად პროლეტარული დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი, ის, არსებითად, დარჩენილა წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისზე და ამიტომაც არ შეიძლება ყოველ წუთს არ ეშვებოდეს ბურჟუაზიული თვალსაზრისისაკენ.

რა არის პროლეტარიატისათვის დიდმნიშვნელოვანი? პროლეტარიატისათვის არა მარტო დიდმნიშვნელოვანია, არამედ არსებითად აუცილებელიცაა უზრუნველყოფილ იქნას იგი მაქსიმუმში ნდობით უცხოტომელთა მხრივ პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლაში. რა არის ამისათვის საჭირო? ამისათვის არა მარტო ფორმალური თანასწორობაა საჭირო. ამისათვის საჭიროა ასე თუ ისე აანაზღაუროს უცხოტომელისადმი შენი მოპყრობით ან შენი დათმობებით ის უნდობლობა, ის ეჭვიანობა, ის წყენა, რაც ისტორიულ წარსულში მიუყენებია მისთვის «დიდმპყრობელი» ერის მთავრობას.

ვფიქრობ, რომ ბოლშევიკებისათვის, კომუნისტებისათვის საჭირო აღარ არის ამის შემდგომი და დაწვრილებითი განმარტება. და ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, ქართველი ერის მიმართ, ჩვენ გვაქვს იმის ტიპური მაგალითი, სადაც საქმისადმი ჭეშმარიტად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უაღრეს სიფრთხილეს, თავაზიანობასა და დამთმობლობას. ის ქართველი, რომელიც უგულვებელყოფს საქმის ამ მხარეს, ათვალწუნებით წამოისვრის ბრალდებას «სოციალ-ნაციონალიზმში» (მაშინ როდესაც ის თვითონ არის ნამდვილი და ჭეშმარიტი არა მარტო «სოციალ-ნაციონალი», არამედ უხეში ველიკორუსი დერჟიმორდაც), ეს ქართველი, არსებითად, არღვევს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის ინტერესებს, რადგან არაფერი ისე არ აფერხებს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის განვითარებას და განმტკიცებას, როგორც ეროვნული უსამართლობა, და არაფერს ისე მწვავედ არ განიცდიან «შეურაცხყოფილი» ნაციონალები, როგორც თანასწორობის გრძნობას და ამ თანასწორობის დარღვევას, თუნდაც დაუდევრობით, თუნდაც ხუმრობის სახით, ამ თანასწორობის დარღვევას მათი ამხანაგი

პროლეტარების მიერ. აი, რატომ არის, რომ ამ შემთხვევაში სჯობია ეროვნულ უმცირესობათა დმი დამთმობლობისა და ლმობიერების მხრივ გადავამლაშოთ, ვიდრე დავაკლოთ მარილი. აი რატომ არის, რომ ამ შემთხვევაში პროლეტარული სოლიდარობის და, მაშასადამე, პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ძირითადი ინტერესი მოითხოვს, რათა ჩვენ არასოდეს არ მოვეპყრათ ფორმალურად ეროვნულ საკითხს, არამედ ყოველთვის გავითვალისწინოთ სავალდებულო განსხვავება ჩაგრული (ანუ პატარა) ერის და მჩაგვრელი (ანუ დიდი) ერის პროლეტარის მიმართ.

ლ ე ნ ი ნ ი

ჩაწერილია მ. ვ.-ს მიერ..
22 წ. 31. XII.

ჩანაწერების გაგრძელება
1922 წლის 31 დეკემბერი.

რა პრაქტიკული ღონისძიებანი უნდა ვიხმაროთ შექმნილი მდგომარეობის დროს?

ჯერ ერთი, უნდა დავტოვოთ და განვამტკიცოთ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი; ამ ღონისძიების შესახებ ეჭვი არ შეიძლება იყოს. ჩვენ იგი გვესაჭიროება, როგორც ესაჭიროება მსოფლიო კომუნისტურ პროლეტარიატს მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად და მისი ინტრიგებისაგან თავის დასაცავად.

მეორეც, საჭიროა დავტოვოთ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დიპლომატიური აპარატის მხრივ. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს აპარატი განსაკუთრებულია ჩვენი სახელმწიფო აპარატის შემადგენლობაში. მასში ჩვენ არ ვუშვებდით არც ერთს რამდენადმე მაინც გავლენიან კაცს ძველი მეფისეული აპარატიდან. მასში მთელი რამდენადმე მაინც ავტორიტეტული აპარატი კომუნისტებისაგან შეიქმნა. ამიტომ ამ აპარატმა უკვე მოიპოვა (ეს შეიძლება თამამად ითქვას) სახელწოდება შემოწმებული კომუნისტური აპარატისა, რომელიც გაცილებით, შეუდარებლად უფრო მეტადაა გაწმენდილი ძველი მეფისეული, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული

აპარატისაგან, ვიდრე ის აპარატი, რომლითაც ჩვენ იძულებულ ვართ ვიჯახიროთ დანარჩენ სახალხო კომისარიატებში.

მე სამეც, საჭიროა სამაგალითოდ დაისაჯოს ამხ. ორჯონიკიძე (ამას მით უფრო გულისტკივილით ვამბობ, რომ პირადად ვეკუთვნი მისი მეგობრების რიცხვს და ვმუშაობდი მასთან ერთად საზღვარგარეთ ემიგრაციაში), აგრეთვე დამატებით ან ხელახლა გამოკვლეულ იქნას ძერჟინსკის კომისიის მთელი მასალა იმისათვის, რომ გამოსწორდეს ის დიდძალი უმართებულობა და მიკერძოებული განსჯა, რაც იქ უეჭველად მოიპოვება. პოლიტიკური პასუხისმგებლობა მთელი ამ ჭეშმარიტად ველიკორუსულ-ნაციონალისტური კამპანიისათვის უნდა დაეკისროთ, რა თქმა უნდა, სტალინსა და ძერჟინსკის.

მე ოთხეც, უნდა შემოვიღოთ უმკაცრესი წესები ეროვნული ენის ხმარების შესახებ ჩვენს კავშირში შემავალ სხვა ეროვნებიან რესპუბლიკებში და განსაკუთრებით გულმოდგინედ შევამოწმოთ ეს წესები. ეჭვი არ არის, რომ სარკინიგზო სამსახურის ერთიანობის საბაზით, ფისკალური ერთიანობის საბაზით და სხვ. ჩვენში, ახლანდელი ჩვენი აპარატის არსებობისას, ჭეშმარიტად რუსული თვისების უამრავი ბოროტმოქმედება იპოვის გზას. ამ ბოროტმოქმედებებთან საბრძოლველად აუცილებელია განსაკუთრებული საზრიანობა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმათ განსაკუთრებულ გულწრფელობაზე, ვინც ასეთ ბრძოლას დაიწყებს. აქ საჭირო გახდება დეტალური კოდექსი, რომელიც მხოლოდ მოცემულ რესპუბლიკაში მცხოვრებ ნაციონალებს შეუძლიათ რამდენადმე მაინც წარმატებით შეადგინონ. ამასთან წინასწარ არასგზით არ უნდა ვთქვათ უარი იმაზე, რომ მთელი ამ მუშაობის შედეგად საბჭოების შემდგომ ყრილობაზე უკან დავბრუნდეთ, ე. ი. დავტოვოთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მხოლოდ სამხედრო და დიპლომატიური მხრივ, ყველა სხვა მხრივ კი აღვადგინოთ ცალკეული სახალხო კომისარიატების სრული დამოუკიდებლობა.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სახალხო კომისარიატების დაქუცმაცება და მათი მუშაობის შეუთანხმებლობა მოსკოვისა და სხვა ცენტრების მიმართ შეიძლება საკმაოდ იქნას პარალიზებული პარტიული ავტორიტეტით, თუ მას რამდენადმე მაინც საკმაო წინდახედულებითა და მიუდგომლობით

გამოვიყენებთ: ზიანი, რაც შეიძლება ჩვენი სახელმწიფოსათვის წარმოიშვას ეროვნული აპარატების რუსულ აპარატთან გაერთიანების უქონლობის გამო, განუზომლად უფრო ნაკლებია, უსასრულოდ უფრო ნაკლებია, ვიდრე ის ზიანი, რაც წარმოდგება არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი ინტერნაციონალისათვისაც, აზიის ასეული მილიონობით ხალხებისათვისაც, რომელსაც უწერია გამოვიდეს ისტორიის ავანსცენაზე უახლოეს მომავალში, ჩვენს კვალდაკვალ. შეუწყნარებელი ოპორტუნიზმი იქნებოდა, ჩვენ რომ აღმოსავლეთის ამ გამოსვლის წინ და მისი გამოღვიძების დასაწყისში შეგვეყრყია ჩვენი ავტორიტეტი მასში თუნდაც სულ მცირე უხეშობით და უსამართლობით ჩვენი საკუთარი უცხოტომელების მიმართ. ერთი საქმეა აუცილებლობა, დავირაზმით დასავლეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც კაპიტალისტურ სამყაროს იცავენ. აქ შეუძლებელია ეჭვი იყოს, და ჩემთვის ზედმეტია, იმაზე ლაპარაკი რომ უთუოდ ვიწონებ ამ ღონისძიებებს. სხვა საქმეა, როცა თვითონ ჩვენ აღმოვჩნდებით ხოლმე, თუნდაც წვრილმანებში, იმპერიალისტურ ურთიერთობაში ჩაგრულ ხალხთა მიმართ და ამით სავსებით ძირს ვუთხრით იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთელ ჩვენს პრინციპულ გულწრფელობას, ამ ბრძოლის მთელ ჩვენ პრინციპულ დაცვას. ხვალინდელი დღე კი მსოფლიო ისტორიაში სწორედ ისეთი დღე იქნება, როდესაც საბოლოოდ გაიღვიძებენ გამოფხიზლებული, იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ხალხები და როდესაც დაიწყება გადამწყვეტი, ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა მათი განთავისუფლებისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

ჩაწერილია მ. ვ.-ს მიერ.
22 წ. 31. XII.

ვ. ი. ლენინი. თხზ.,
ტ. 36, გვ.688—696.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია
ნაციონალიზმის წინააღმდეგ,
კრულეგარული ინფერნაციონალიზმის
პრინციპების მიხედვით
ყველა ეროვნების მშრომელთა
ღარაუგმვისათვის ბრძოლაში

კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოების მასალები

რსდმპ II ყრილობის რეზოლუციებიდან

1908 წლის 17 (30) ივლისი — 10 (23) აგვისტო

ბუნდის აღვილის შესახებ პარტიაში

იღებს რა მხედველობაში:

ა) რომ ებრაელი პროლეტარიატის უმჭიდროესი გაერთიანება იმ რასების პროლეტარიატთან, რომელთა შორისაც ის ცხოვრობს, უსათუოდ აუცილებელია პოლიტიკური და ეკონომიკური განთავისუფლებისათვის მისი ბრძოლის სასარგებლოდ;

ბ) რომ მხოლოდ ასეთი უმჭიდროესი ერთიანობა უზრუნველყოფს სოციალ-დემოკრატიისათვის წარმატებას ყოველგვარ შოვინიზმთან და ანტისემიტიზმთან ბრძოლაში;

გ) რომ ასეთი ერთიანობა ოდნავაც არ გამორიცხავს ებრაელ მუშათა მოძრაობის დამოუკიდებლობას ყოველივე იმაში, რაც შეეხება ებრაელ მოსახლეობაში აგიტაციის კერძო ამოცანებს, რომელთაც იწვევენ ენის თავისებურებანი და ყოფაცხოვრების პირობები, —

რსდმპ პარტიის II ყრილობა გამოთქვამს თავის ღრმა რწმენას, რომ ებრაელ და რუს პროლეტარიატს შორის ორგანიზაციული ურთიერთობის ფედერაციის საწყისებზე გარდაქმნა არსებითი დაბრკოლება იქნებოდა სხვადასხვა რასის შეგნებულ პროლეტართა უფრო სრული ორგანიზაციული დაახლოებისათვის და აუცილებლად უდიდეს ზიანს მიაყენებდა რუსეთის საერთოდ მთელი და კერძოდ ებრაელი პროლეტარიატის ინტერესებს, და ამიტომ, გადაჭრით უარყოფს რა, როგორც პრინციპულად უდავოდ შეუწყნარებელს, ფედერაციული ურთიერთობის ყოველგვარ შესაძლებლობას რსდმპ პარტიასა და ბუნდს, როგორც მის შემადგენელ ნაწილს შორის, ყრილობა აწესებს, რომ ბუნდს ერთიან რსდმპ პარტიაში

უჭირავს მდგომარეობა ავტონომიური შემადგენელი ნაწილისა, რომლის ავტონომიის ფარგლები უნდა განისაზღვროს საერთო-პარტიული წესდების შემუშავების დროს. აღნიშნულის გამო ყრილობა, თვლის რა ბუნდის დელეგატების მიერ წამოყენებულ «წესდებას», როგორც საერთო-პარტიული წესდების ნაწილის პროექტს, მის განხილვას აკუთვნებს დღის წესრიგის მე-ნ პარაგრაფს და გადადის მორიგ საქმეებზე.

ანტიგრაული ღარგების შესახებ

იმის გამო, რომ ესოდენ სავალალოდ ცნობილი კიშინოვის დარბევის მსგავსი მოძრაობანი, მათ საზიზღარ მხეცობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, პოლიციის ხელში წარმოადგენენ საშუალებას, რომლის მეოხებითაც იგი ცდილობს შეაფერხოს პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების ზრდა, —

ყრილობა ურჩევს ამხანაგებს, რომ გამოიყენონ მათგან დამოკიდებული ყველა საშუალება ასეთ მოძრაობათა წინააღმდეგ საბრძოლველად და პროლეტარიატისათვის ანტიესემიტური და ყოველგვარი სხვა ნაციონალურ-შოვინისტური წამქეზებლობის რეაქციული და კლასობრივი სარჩულის განსამართებლად.

პარტიიდან გუნდის გასვლის შესახებ

იღებს რა მხედველობაში: ა) რომ რსდმ პარტიის II ყრილობამ მიზნად დაისახა ერთ შემჭიდროებულ პარტიად გააერთიანოს რუსეთში მოქმედი ყველა სოციალ-დემოკრატი; ბ) რომ, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ამოცანა იყო უმჭიდროესი კავშირის დამყარება «ებრაელ მუშათა საყოველთაო კავშირსა» და ჩვენი პარტიის დანარჩენ ნაწილებს შორის; გ) რომ, მიუხედავად ბუნდის მიერ საერთო-პარტიული პროგრამის აღიარებისა, ასეთი გაერთიანება არ შეიძლებოდა მომხდარიყო პარტიაში ბუნდის ადგილის საკითხზე პრინციპული უთანხმოების გამო, და შეგნებული აქვს რა ის უდიდესი ზიანი გაერთიანების დაწყებული საქმისათვის, რასაც გარდუვალად მოიტანს პარტიიდან ბუნდის გასვლა, — რსდმ პარტიის II ყრილობა ამის გამო გამოხატავს თავის უღრმეს მწუხარებას და იმავე

დროს გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მოძრაობის შემდგომ ზრდასთან ერთად ეს უთანხმოებანი გაქრება და მოხდება მუშათა კლასის განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებისათვის აუცილებელი სრული შეერთება ყველა ეროვნების პროლეტარიატისა ერთ რსდმ პარტიად.

სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწილი I. მეშვიდე გამოცემა, თბ., 1954, გვ. 53—54, 60, 67—68.

რსდმ პარტიის III ყრილობის რეზოლუცია

1905 წლის 12—27 აპრილი (25 აპრილი — 10 მაისი)

ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და დამოკიდებულების შესახებ

იღებს რა მხედველობაში:

1) რომ პროლეტარიატის ეკონომიკური და პოლიტიკური ბრძოლის ინტერესები მოითხოვს რუსეთის ყველა ეროვნების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანებას;

2) რომ თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ დაწყებული აშკარა რევოლუციური ბრძოლა და შეიარაღებული აჯანყების სიახლოვე ასეთ გაერთიანებას განსაკუთრებით აუცილებელს ხდის, —

III ყრილობა, ადასტურებს რა II ყრილობის დამოკიდებულებას ფედერალიზმის საკითხისადმი, ავალებს როგორც ცენტრალურ კომიტეტს, ისე ადგილობრივ კომიტეტებს, ყოველი ღონე იხმარონ ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებისათვის იმ მიზნით, რომ მოხდეს ადგილობრივი მუშაობის შეთანწყობა და ამრიგად მომზადდეს შესაძლებლობა ყველა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანებისა ერთ რსდმ პარტიად.

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 98.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენციის რეზოლუცია

1905 წლის 7—9 (20—22) სექტემბერი

კავკასიის ამხანაგის გამო

ერთი ეროვნების მეორე ეროვნებაზე წასისიანების პოლიტიკა უკანასკნელ წლებში მთავრობის ხელში პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობასთან ბრძოლას უმთავრესი იარაღი გახდა და ამ ცოტა ხნის წინათ კავკასიაში მომხდარ ამბებში მან თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია, რაც სომეხ-თათართა სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტით გამოიხატა, გამოხატავს რა თავის აღშფოთებას თვითმპყრობელობის ბარბაროსული მოქმედების გამო, კონფერენცია რწმენას გამოთქვამს, რომ მხოლოდ ყველა ეროვნების პროლეტართა სოლიდარულ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიის ერთიანი დროშით შეუძლია სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს ცარიზმის ნაციონალურ პოლიტიკას; კონფერენცია გამოთქვამს თავის ღრმა თანაგრძნობას ბაქოელი და თათარი ამხანაგებისა და კავკასიის მთელი პროლეტარიატისადმი და დარწმუნებულია, რომ ისინი, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, მომავალშიაც განაგრძობენ რევოლუციურ ბრძოლას მთელი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად და მასთან ერთად მიიყვანენ ამ ბრძოლას ცარიზმზე საბოლოო გამარჯვებამდე...

რ ს დ მ პ ა რ ტ ი ის ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 115.

რსდმ პარტიის მესამე (ლონდონის) ყრილობის რეზოლუციიდან

1907 წლის 30 აპრილი — 19 მაისი (18 მაისი — 1 ივნისი)

არაპროლეტარული პარტიებისადმი დამოკიდებულების უსახეობ

...რეაქციული და შავრაზმული პარტიები (რუსი ხალხის კავშირი, მონარქისტები, გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო და სხვ.) სულ უფრო და უფრო გადაჭრით და გარკვევით გა-

მოდიან, როგორც მებატონე-მემამულეთა კლასობრივი ორგანიზაცია, რომ ისინი ეროვნული დევნისა და დარბევების მოწყობით ლამობენ ჩაახრჩონ რევოლუცია ურთიერთშორის ომის სიხლში; სოციალ-დემოკრატია უნდა მიუთითოს ამ პარტიების უმჭიდროეს კავშირზე ცარიზმთან და განმარტოს შეურეგებელი ბრძოლის აუცილებლობა ბატონყმური ბარბაროსობის ყველა სოციალური და პოლიტიკური ნაშთის სრული მოსპობისათვის...

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 202.

რსდმ პარტიის მეხუთე კონფერენციის (საერთო-რუსეთის 1908 წ.) რეზოლუციიდან

1908 წლის 21—27 დეკემბერი (1909 წლის 8—9 იანვარი)

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის უხახავა

...დ) დაწყებულ იქნას ენერგიული აგიტაცია მთავრობის და მისი მომხრე პარტიების კონტრრევოლუციური საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ, აგრეთვე იმ იმპერიალისტურ და ნაციონალისტურ მისწრაფებათა წინააღმდეგ, რომლებსაც ითვისებენ კადეტები და ოქტიაბრისტების ნაწილი;

ე) ფრაქცია სათათბიროს ტრიბუნიდან უნდა ააშკარავებდეს და კიცხავდეს მთავრობისა და სათათბიროს უმრავლესობის პოლიტიკას ნაციონალურ საკითხში, მუდმივ უნდა აქცევდეს ყურადღებას ნაციონალურ საკითხებს სახელმწიფოს შიგნით და ენერგიულად უჭერდეს მხარს პარტიული პროგრამის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს დაჩაგრულ ხალხთა უფლებების დასაცავად...

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 247.

რსდმ პარტიის სრულიად-რუსეთის მემკვიდრე (პრალის) კონფერენციის რეზოლუციებიდან

1912 წლის 5—17 (18—30 იანვარი)

საერთო-პარტიულ კონფერენციაზე ნაციონალური ცენტრების
დელეგატთა დაუსწრებლობის შესახებ

კონფერენცია უაღრესად მნიშვნელოვან საქმედ აღიარებს რუსეთის ყველა ეროვნების სოციალ-დემოკრატი მუშების ერთიანობის განმტკიცებას, ყოვლად აუცილებლად თვლის ადგილებზე «ნაციონალებთან» ერთიანობის დამყარებას და საერთო-რუსეთის ცენტრთან ნაციონალური ორგანიზაციების კავშირის განმტკიცებას; ამასთანავე კონფერენცია იძულებულია განაცხადოს შემდეგი:

1) გამოცდილებამ საბოლოოდ დაამტკიცა პარტიაში საქმეთა ისეთი ვითარების შეუწყნარებლობა, როცა რუსეთის ორგანიზაციათაგან სრულიად განცალკევებით მომუშავე «ნაციონალები» უცუდესი ტიპის ფედერაციას ახორციელებდნენ და— ხშირად თავიანთი სურვილის დამოუკიდებლად — რუსეთის უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციებს ისეთ მდგომარეობაში აყენებდნენ, რომ იმ ნაციონალური ცენტრების გარეშე, რომლებიც პრაქტიკულად რუსეთის მუშაობაში აბსოლუტურად არ მონაწილეობდნენ, რსდმ პარტიას არ შეეძლო განეხორციელებინა უაღრესად აუცილებელი და დიდმნიშვნელოვანი პარტიული წამოწყებანი.

2) ერთ-ერთი ნაციონალური ცენტრი (ბუნდისა) უკანასკნელი წლის განმავლობაში აშკარად ეხმარებოდა ლიკვიდატორებს და ცდილობდა გათიშვა მოეხდინა რსდმ პარტიაში, ხოლო სხვები (ლატვიისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ცენტრები) გადამწყვეტ მომენტში ჩამოშორდნენ ბრძოლას პარტიის დამანგრეველების — ლიკვიდატორების წინააღმდეგ.

3) ნაციონალური ორგანიზაციების პარტიული ელემენტები და უწინარეს ყოვლისა ყველა მუშა-პარტიელი, რამდენადაც მათ ყურამდე აღწევს რუსეთის ორგანიზაციათა ცხოვრების ამბები, გადაჭრით უჭერენ მხარს რუსეთის არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ერთიან-

ნობას, რუსეთის ორგანიზაციულ კომისიას და ლიკვიდატორების წინააღმდეგ ბრძოლას.

4) სამივე ნაციონალური ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტები სამჯერ იყვნენ მოწვეულნი პარტიულ კონფერენციაზე (საზღვარგარეთის ორგანიზაციული კომისიის, რუსეთის ორგანიზაციული კომისიისა და კონფერენციის დელეგატების მიერ) და მათ უზრუნველყოფილი აქვთ სრული შესაძლებლობა გამოგზავნონ თავიანთი დელეგატები.

ყოველივე ამის გამო და რადგან შეუძლებლად მიაჩნია გადადოს რსდმ პარტიის მუშაობა იმ მიზეზით, რომ ნაციონალურ ცენტრებს არ სურთ გამოგზავნონ თავიანთი დელეგატები საერთო-პარტიულ კონფერენციაზე,—

კონფერენცია მთელ პასუხისმგებლობას «ნაციონალთა» გამოუცხადებლობისათვის აკისრებს მათს ცენტრებს და ავალებს რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს განუწყვეტლივ ეცადოს ერთიანობა და ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს რსდმ პარტიაში შეძვეალ ნაციონალურ ორგანიზაციებთან.

კონფერენცია გამოთქვამს რწმენას, რომ, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, რუსეთის ყველა ეროვნების სოციალ-დემოკრატი მუშები ერთსულოვნად და ხელიხელჩაკიდებულნი იბრძობებენ პროლეტარული საქმისათვის და მუშათა კლასის ყველა მტრის წინააღმდეგ.

თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ

...ბ) რადგან ცარიზმი უძლური რჩება თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მსოფლიო კონკურენციის ნიადაგზე და რადგან მას უფრო და უფრო უკან სწევენ ევროპაში, იგი, დაკავშირებული შავრახმულ თავადაზნაურობასა და გაძლიერების პროცესში მყოფ სამრეწველო ბურჟუაზიასთან, ამჟამად ცდილობს დაიკმაყოფილოს თავისი მტაცებლური ინტერესები უხეში «ნაციონალისტური» პოლიტიკით, რომელიც მიმართულია განაპირა მხარეების წინააღმდეგ, ყველა ჩაგრული ეროვნების წინააღმდეგ, კერძოდ უფრო კულტურული ოლქების წინააღმდეგ (ფინეთი, პოლონეთი, ჩრდილო-დასავლეთი მხარე), და კოლონიურ დაპყრობათა გზით, რაც მიმართულია

თავისუფლებისათვის რევოლუციურად მებრძოლი აზიის ხალხების წინააღმდეგ (სპარსეთი, ჩინეთი).

სპარსეთზე რუსეთის მთავრობის თავდასხმის შესახებ

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია პროტესტს აცხადებს მეფის იმ ბრძოლს ყაჩაღური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც განუზრახავს ჩაახშოს სპარსელი ხალხის თავისუფლება და რომელიც ამისათვის არ ერიდება უაღრესად ბარბაროული და საზიზღარი აქტების ჩადენას.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობის კავშირი ინგლისის მთავრობასთან, რომელსაც ყოველნაირად უკეთებენ რეკლამას და მხარს უჭერენ რუსი ლიბერალები, მიმართულია უწინარეს ყოვლისა აზიის დემოკრატიის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ და რომ ამ კავშირით ინგლისის ლიბერალური მთავრობა ცარიზმის სისხლისმღვრელი მხეცობის თანამონაწილე ხდება.

კონფერენცია თავის სრულ თანაგრძობას უცხადებს სპარსელი ხალხის ბრძოლას და, კერძოდ, ბრძოლას სპარსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისას, რომელმაც ამდენი მსხვერპლი გაიღო მეფის მოძალადეებთან ბრძოლაში...

ფინეთის მიმართ ცარიზმის პოლიტიკის შესახებ

ჩსდმ პარტიის კონფერენცია, პირველად შეკრებილი რუსეთის ცარიზმისა და კონტრრევოლუციის სათათბიროს მიერ იმ კანონების გატარების შემდეგ, რომლებიც სპობენ ფინელი ხალხის უფლებებს და თავისუფლებას, თავის სრულ სოლიდარობას უცხადებს მოძმე ფინეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ხაზგასმით აღნიშნავს ფინეთისა და რუსეთის მუშების ამოცანათა ერთიანობას ხალხის უფლებათა შემლახველი რუსეთის კონტრრევოლუციური მთავრობისა და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მხოლოდ რუსეთისა და ფინეთის მუშების შეერთებული ძალ-ღონით შეიძლება ცარიზმის დამხობა და რუსეთისა და ფინეთის ხალხთა თავისუფლების მოპოვება.

«საკვ რევოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 337—340,
358—359.

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ პარტიულ მუშაკებთან ერთად ჩატარებული კრავივის თათბირის რეზოლუციებიდან

1913 წლის 26 დეკემბერი — 1918 წლის 1 იანვარი (1913 წლის 8—14
იანვარი)

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ

4. თათბირს არ შეუძლია არ მიიჩნიოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მხრივ პარტიული მოვალეობის პირდაპირ დარღვევად რეზოლუცია იაგელოს შესახებ. ეს რეზოლუცია მხარს უჭერს გამთიშველ ნაბიჯს ბუნდისას, რომელიც შეუთანხმდა არასოციალ-დემოკრატიულ პარტიას (პოლონელი სოციალისტების პარტიას) პოლონელი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ და რომელსაც არასოციალ-დემოკრატი იაგელო გაპყავს ყველა სოციალ-დემოკრატი ამრჩევის წინააღმდეგ; ეს უკანასკნელი კი შეადგენდნენ უმრავლესობას მუშა-ამრჩევთა კოლეგიაში. ფრაქციამ ამრიგად გააღრმავა გათიშვა მუშებს შორის პოლონეთში და გააძნელა ერთიანობის საქმე მთელ პარტიაში.

5. ამხ. ჩხენკელის მიერ ფრაქციის სახელით კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის დაცვა იმ საბაბით, რომ «შეიქმნას აუცილებელი დაწესებულებანი თვითეული ეროვნების თავისუფალი განვითარებისათვის», პარტიული პროგრამის პირდაპირ დარღვევას წარმოადგენს. არსებითად, სრულიად ასეთივე ფორმულირება უარყოფილ იქნა პარტიის II ყრილობის სპეციალური კენჭისყრით, — ყრილობისა, რომელმაც დაამტკიცა პარტიის პროგრამა. ნაციონალისტური განწყობილებებისადმი დათმობა, თუნდაც ასეთი შენიღბული ფორმით, დაუშვებელია პროლეტარული პარტიისათვის...

«ნაციონალური» სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესახებ

...ბუნდის მიერ არასოციალ-დემოკრატი იაგელოს⁴² კანდიდატურისათვის მხარდაჭერამ პოლონელი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ და ლიკვიდატორების, ბუნდისა და ლატვიელი სოციალ-დემოკრატების აგვისტოს (1912 წ.) კონფერენ-

ციის მიერ პარტიული პროგრამის დარღვევამ ნაციონალიზმის სასარგებლოდ განსაკუთრებული სიცხადით გამოააშკარავეს სრული გაკოტრება ფედერალისტური საწყისებისა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მშენებლობაში და «ნაციონალური» სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების განცალკევებულობის დიდი მავნებლობა პროლეტარული საქმისათვის.

2. ამიტომ თათბირი დაყინებით მოუწოდებს რუსეთის ყველა ეროვნების მუშებს უაღრესად გადაჭრით გაუწიონ წინააღმდეგობა რეაქციის მებრძოლ ნაციონალიზმს, ებრძოლონ ნაციონალისტური სულისკვეთების ყველა და ყოველგვარ გამოვლენას მშრომელ მასებში და უმჭიდროესად შეაკავშირონ და შეაერთონ სოციალ-დემოკრატი მუშები ადგილებზე რსდმ პარტიის ერთიან ორგანიზაციებად, რომლებიც ეწევიან მუშაობას ადგილობრივი პროლეტარიატის თითოეულ ენაზე და ნამდვილად ახორციელებენ ერთიანობას ქვემოდან, როგორც ეს დიდი ხანია წარმოებს კავკასიაში...

6. თათბირი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ დაწყებული რევოლუციური აღმავლობა, მასობრივი ეკონომიკური და პოლიტიკური გაფიცვები, ქუჩის დემონსტრაციები და მასების აშკარა რევოლუციური ბრძოლის სხვა სახეები ხელს შეუწყობენ სოციალ-დემოკრატი მუშების სრულ შეკავშირებას და შეერთებას ადგილებზე ეროვნებათა სრულიად განურჩევლად და ამით გააძლიერებენ იერიშს რუსეთის ყველა ხალხის მჩაგვრელი ცარიზმის წინააღმდეგ და რუსეთის ყველა ერის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც ერთიანდება.

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 370—371,
375—377.

რსდმ პარტიის ცკ-ის კორონიფოს თათბირი, ჩატარებული პარტიულ მუშაკებთან ერთად

1918 წლის 23 სექტემბერი — 1 ოქტომბერი (6—14 ოქტომბერი)

ცნობიდან თათბირის შესახებ

....დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარტიის რეზოლუციას ნაციონალურ საკითხზე. ნაციონალიზმის თარეში შეეხოს სოციალ-დემოკრატიულ რიგებსაც და სოციალ-დემოკრატიასთან ახლო

მდგომთა რიგებსაც. ლიკვიდატორებმა და სათათბიროს 7 დე-
პუტატმა სცადეს რსდმ პარტიის პროგრამის «განმარტება»
ბუნდის ნაციონალისტურ ცრურწმენათა სულისკვეთებით.
თათბირმა გადაჭრით უკუაგდო ეს ცდები. მან პარტიის პროგ-
რამაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა სოციალ-დემოკრატიის
უარყოფითი შეხედულება «კულტურულ-ნაციონალურ ავტო-
ნომიაზე» და მთელ რიგ დებულებებში დასახა სოციალ-დემოკ-
რატიის დადებითი პროგრამა ნაციონალურ საკითხში. ნაციო-
ნალური პროგრამის საკითხი თათბირმა დააყენა მომავალი
პარტიული ყრილობის დღის წესრიგში.

ლეგალურ საზოგადოებებში მუშაობისა და სათათბიროს
ხაზით მუშაობის შესახებ მიღებულ რეზოლუციებში შეჯამე-
ბულია პარტიის მოღვაწეობა მნიშვნელოვან ასპარეზებზე და
მოცემულია პრაქტიკული და პრინციპული მითითებანი შემდ-
გომი მუშაობისათვის...

ნაციონალური საკითხის შესახებ

შავრაზმული ნაციონალიზმის თავაშეებულობა, ნაციონა-
ლისტური ტენდენციების ზრდა ლიბერალურ ბურჟუაზიაში,
ნაციონალისტური ტენდენციების გაძლიერება ჩაგრულ ეროვ-
ნებათა ზედაფენებში — ნაციონალურ საკითხს ამჟამად თვალ-
საჩინო ადგილზე აყენებენ.

სოციალ-დემოკრატიის შიგნით არსებული საქმის ვითარება
(კავკასიელი სოციალ-დემოკრატების, ბუნდისა და ლიკვიდა-
ტორების ცდები პარტიის პროგრამის გაუქმებისა და სხვ.)
პარტიას აიძულებს კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს
ამ საკითხს.

ეყრდნობა რა რსდმ პარტიის პროგრამას, თათბირი — ნა-
ციონალურ საკითხში სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის
სწორად მოწყობისათვის — აყენებს შემდეგ დებულებებს:

1. რამდენადაც შესაძლებელია ნაციონალური მშვიდობა
ექსპლოატაციაზე, მოგებასა და კინკლაობაზე დამყარებულ
კაპიტალისტურ საზოგადოებაში, იმდენად ეს მისალწევია
მხოლოდ სახელმწიფოს თანამიმდევრული, ბოლომდე დემოკ-
რატიული, რესპუბლიკური წყობილების პირობებში, რაც
უზრუნველყოფდა ყველა ერისა და ენის სრულ თანასწორ-
უფლებიანობას, სავალდებულო სახელმწიფო ენის არარსე-

ბობას, ისე რომ მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნებოდა სკოლებით, სადაც სწავლება მოეწყობოდა ყველა ადგილობრივ ენაზე, ხოლო კონსტიტუციაში შეტანილი იქნებოდა ძირითადი კანონი, რომელიც გააუქმებდა ერთ-ერთი ერის ყოველგვარ პრივილეგიებს და ეროვნული უმცირესობის უფლებათა ყოველგვარ დარღვევას. ამასთან განსაკუთრებით აუცილებელია ფართო საოლქო ავტონომია და სავსებით დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობა, ისე რომ თვითმმართველი და ავტონომიური ოლქების საზღვრები დადგინდეს სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა და სხვათა გათვალისწინებით თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

2. სასკოლო საქმის დაყოფა ეროვნებათა მიხედვით ერთი სახელმწიფოს ფარგლებში უსათუოდ საზიანოა საერთოდ დემოკრატიისა და განსაკუთრებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით. სწორედ ასეთ დაყოფას წარმოადგენს რუსეთში ებრაელობის ყველა ბურჟუაზიული პარტიისა და სხვადასხვა ერის მეშჩანური, ოპორტუნისტული ელემენტების მიერ მიღებული გეგმა ეგრეთწოდებული «კულტურულ-ნაციონალური» ავტონომიისა ან ისეთ «დაწესებულებათა შექმნისა, რომელნიც უზრუნველყოფენ ნაციონალური განვითარების თავისუფლებას».

3. მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს მოცემული სახელმწიფოს ყველა ეროვნების მუშათა შეერთებას ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებად — პოლიტიკურ, პროფესიულ, კოოპერაციულ-საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაციებად. სხვადასხვა ეროვნების მუშათა მხოლოდ ასეთი შეერთება ერთიან ორგანიზაციებად პროლეტარიატს შესაძლებლობას აძლევს ძლევამოსილი ბრძოლა აწარმოოს საერთაშორისო კაპიტალისა და რეაქციის წინააღმდეგ, აგრეთვე ყველა ეროვნების მემამულეების, ხუცებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების ქადაგებისა და მისწრაფებათა წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ ანტიპროლეტარულ მისწრაფებებს ჩვეულებრივ ატარებენ «ნაციონალური კულტურის» დროშით. მსოფლიო მუშათა მოძრაობა ქმნის და დღითი დღე სულ უფრო ავითარებს პროლეტარიატის ინტერნაციონალურ (საერთაშორისო) კულტურას.

4. რაც შეეხება მეფის მონარქიის მიერ ჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ე. ი. გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებას, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ აუცილებლად უნდა დაიცვას ეს უფლება. ამას მოითხოვს როგორც საერთოდ საერთაშორისო დემოკრატიის ძირითადი პრინციპები, ისე განსაკუთრებით რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობის გაუგონარი ნაციონალური ჩაგვრა მეფის მონარქიის მიერ, რომელიც წარმოადგენს ყველაზე რეაქციულ და ბარბაროსულ სახელმწიფო წყობილებას ევროპისა და აზიის მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით. ამას მოითხოვს, შემდეგ, თავისუფლების საქმე თვით ველიკორუსი მოსახლეობისა, რომელსაც უნარი არ შესწევს შექმნას დემოკრატიული სახელმწიფო, თუ აღმოფხვრილი არ იქნება შავრაზმული ველიკორუსული ნაციონალიზმი, რომელსაც ამაგრებს ნაციონალურ მოძრაობათა სისხლში ჩახშობის ტრადიცია და რომელსაც სისტემატურად ასაზრდოებს არა მარტო მეფის მონარქია და ყველა რეაქციული პარტია, არამედ მონარქიის მონურად შემყურე ველიკორუსული ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, განსაკუთრებით კონტრევოლუციის ეპოქაში.

5. შეუწყნარებელია ერთმანეთში ავურიოთ ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხი (ე. ი. გამოყოფის საკითხის გადაწყვეტის სრულიად თავისუფალი და დემოკრატიული წესის უზრუნველყოფა სახელმწიფოს კონსტიტუციით) და ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი. ეს უკანასკნელი საკითხი სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თითოეულ ცალკე შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებისა და სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით.

ამასთან სოციალ-დემოკრატიას მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ ჩაგრულ ერთა მემამულეები, ხუცები და ბურჟუაზია ხშირად ნაციონალისტური ლოზუნგებით ფარავენ მუშებს დაყოფისა და მათი გაბრიყვების მისწრაფებებს, მათ ზურგს უკან სდებენ გარიგებებს გაბატონებული ერის მემამულეებთან და ბურჟუაზიასთან ყველა ერის მშრომელი მასების საზიანოდ...

«სკვპ რეზოლუციებში...», ნაწილი 1, გვ. 383—384, 396—398.

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი იგპარიალისტური ომის შესახებ

1914 წლის ნოემბერი

ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია

...მეომარი ქვეყნების ორივე ჯგუფი ოდნავადაც არ ჩამოუვარდება ერთმანეთს ძარცვა-გლეჯაში, მხეცობაში, ომის უსაზღვრო სისასტიკეში, მაგრამ რათა გააბრიყვონ პროლეტარიატი და ჩამოაშორონ მისი ყურადღება ერთადერთ ნამდვილად განმათავისუფლებელ ომს, სახელდობრ — სამოქალაქო ომს როგორც «თავისი» ქვეყნის, ისე «სხვისი» ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ამ მაღალი მიზნისათვის თვითეული ქვეყნის ბურჟუაზია ყალბი ფრაზებით პატრიოტიზმის შესახებ ცდილობს განადიდოს «თავისი» ნაციონალური ომის მნიშვნელობა და ირწმუნება, რომ იგი ისწრაფვის დაამარცხოს მოწინააღმდეგე არა გაძარცვისა და მიწების დაპყრობისათვის, არამედ იმისათვის, რომ «გაათავისუფლოს» ყველა სხვა ხალხი, გარდა თავისი საკუთარი ხალხისა.

მაგრამ რაც უფრო გულმოდგინედ ცდილობენ ყველა ქვეყნის მთავრობები და ბურჟუაზია გათიშონ მუშები და ისინი ერთმანეთს მიუსიონ, რაც უფრო სასტიკად იყენებენ ამ მაღალი მიზნისათვის სამხედრო წესებისა და სამხედრო ცენზურის სისტემას (რომელიც ახლაც კი, ომის დროს, გაცილებით უფრო დევნის «შინაურ» მტერს, ვიდრე გარეშე მტერს,) — მით უფრო დიდია ახლა შეგნებული პროლეტარიატის მოვალეობა — დაიცვას თავისი კლასობრივი დარაზმულობა, თავისი ინტერნაციონალიზმი, თავისი სოციალისტური რწმენა ყველა ქვეყნის «პატრიოტული» ბურჟუაზიული ხროვის შოვინიზმის თარეშის წინააღმდეგ. შეგნებული მუშების მხრივ ამ ამოცანაზე უარისთქმა იქნებოდა ხელისაღება მთელ თავის განმათავისუფლებელ და დემოკრატიულ მისწრაფებებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ სოციალისტურ მისწრაფებებზე.

უღრმესი გულსტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ უმთავრესი ევროპული ქვეყნების სოციალისტურმა პარტიებმა ეს თავისი ამოცანა არ შეასრულეს, ხოლო ამ პარტიების — განსაკუთრებით გერმანიის პარტიის — ბელადთა მოქმედება სო-

ციალიზმის საქმის პირდაპირ ლალატს უდრის. უდიდესი მსოფ-
ლიო-ისტორიული მნიშვნელობის მომენტში ახლანდელი, მეო-
რე (1889—1914) სოციალისტური ინტერნაციონალის ბელად-
თა უმრავლესობა ცდილობს სოციალიზმი შეცვალოს
ნაციონალიზმით. მათი მოქმედების წყალობით, ამ ქვეყნების
მუშათა პარტიებმა თავი კი არ დაუპირისპირეს მთავრობათა
დანაშაულებრივ მოქმედებას, არამედ მოუწოდეს მუშათა კლასს
დადგეს იმავე პოზიციაზე რა პოზიციაზეც დგანან იმპერია-
ლისტური მთავრობანი. ინტერნაციონალის ბელადებმა სოცია-
ლიზმის მიმართ ლალატი ჩაიდინეს სამხედრო კრედიტებისათვის
ხმის მიცემით, «თავიანთი» ქვეყნების ბურჟუაზიის შოვინისტუ-
რი («პატრიოტული») ლოზუნგების განმეორებით, ომის გამართ-
ლებითა და დაცვით, მეომარი ქვეყნების ბურჟუაზიულ სამი-
ნისტროებში შესვლით და ა. შ. და სხვ... თანამედროვე ევრო-
პის ფრიად გავლენიანი სოციალისტური ბელადები და ფრიად
გავლენიანი სოციალისტური პრესის ორგანოები დგანან სრუ-
ლიადაც არა სოციალისტურ თვალსაზრისზე, არამედ შოვი-
ნისტურ-ბურჟუაზიულ და ლიბერალურ თვალსაზრისზე. პა-
სუხფიმგებლობა სოციალიზმის ამ შერცხვენისათვის ეკისრებათ
უწინარეს ყოვლისა გერმანელ სოციალ-დემოკრატებს, რომლე-
ბიც II ინტერნაციონალის ყველაზე ძლიერსა და გავლენიან
პარტიას წარმოადგენდნენ. მაგრამ არ შეიძლება გამართლებულ
იქნან ფრანგი სოციალისტებიც, რომლებიც მინისტრთა პოს-
ტებს იღებენ სწორედ იმ ბურჟუაზიის მთავრობაში, რომე-
ლიც ლალატობდა თავის სამშობლოს და უერთდებოდა. ბის-
მარკს კომუნის დასათრგუნავად.

გერმანელი და ავსტრიელი სოციალ-დემოკრატები ცდი-
ლობენ თავიანთი მხარდაჭერა ომისათვის იმით გამართლონ,
რომ ისინი ამით თითქოს იბრძვიან რუსეთის ცარიზმის წი-
ნალმდევ. ჩვენ, რუსი სოციალ-დემოკრატები, ვაცხადებთ,
რომ ასეთი გამართლება უბრალო სოფიზმად მიგვაჩნია. რე-
ვოლუციურმა მოძრაობამ ცარიზმის წინააღმდეგ ჩვენს ქვე-
ყანაში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე კვლავ ფართო ხა-
სიათი მიიღო. ამ მოძრაობის სათავეში მუდამ მიდიოდა რუსე-
თის მუშათა კლასი. უკანასკნელი წლების პოლიტიკური
გაფიცვები, რომლებშიც მილიონები მონაწილეობდნენ, მიმ-
დინარეობდა ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული რეს-

პუბლიკის მოთხოვნის ღიშნებით. სწორედ ომის წინახანებში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ პუანკარეს, როდესაც ის ეწვია ნიკოლოზ II-ეს, თვითონ შეეძლო დაენახა პეტერბურგის ქუჩებში რუსი მუშების ხელით აღმართული ბარიკადები. არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა რუსეთის პროლეტარიატი, რათა გაეთავისუფლებინა მთელი კაცობრიობა მეფის სამარცხვინო მონარქიისაგან. მაგრამ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ თუ რაიმეს შეუძლია გადასდოს გარკვეულ პირობებში ცარიზმის დაღუპვა, თუ რაიმეს შეუძლია დაეხმაროს ცარიზმს მთელი რუსეთის დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს არის სწორედ ახლანდელი ომი, რომელიც ცარიზმის რეაქციულ მიზნებს ახმარს ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის ბურჟუაზიის ფულის ქისას. და თუ რაიმეს შეუძლია გააძნელოს რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, ეს არის სწორედ გერმანიისა და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ბელადთა მოქმედება, რომელსაც ჩვენ მუდმივ მაგალითად გვისახავს რუსეთის შოვინისტური პრესა.

კიდევაც რომ დავუშვათ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ძალთა ნაკლებობა ისე დიდი იყო, რომ ამას შეეძლო აეძულებინა იგი ხელი აეღო ყოველგვარ რევოლუციურ მოქმედებაზე, — ამ შემთხვევაშიც არ შეიძლებოდა შოვინისტურ ბანაკთან შეერთება, არ შეიძლებოდა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელთა გამო იტალიელი სოციალისტები სამართლიანად აცხადებდნენ, გერმანელი სოციალ-დემოკრატების ბელადები ბლალავენ პროლეტარული ინტერნაციონალის დროშასო.

ჩვენმა პარტიამ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ, უკვე გაიღო და კიდევ გაიღებს დიდ მსხვერპლს ომთან დაკავშირებით. მთელი ჩვენი ლეგალური მუშური პრესა მოსპობილია. კავშირების უმეტესობა დახურულია, ბევრი ჩვენი ამხანაგი დაპატიმრებული და გადასახლებულია. მაგრამ ჩვენმა წარმომადგენლობამ პარლამენტში — რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა ფრაქციამ სახელმწიფო სათათბიროში — თავის უთუო სოციალისტურ მოვალეობად მიიჩნია ხმა არ მიეცა სამხედრო კრედიტებისათვის და სათათბიროს სხდომათა დარბაზიც კი დაეტოვებინა, რათა კიდევ უფრო ენერგიულად გამოეხატა თავისი პროტესტი, მოვალეობად

მიიჩნია დაეგმო ევროპის მთავრობათა პოლიტიკა, როგორც იმპერიალისტური პოლიტიკა. და, მიუხედავად გაათქეცებულ დევნისა მეფის მთავრობის მხრივ, რუსეთის სოციალ-დემოკრატი მუშები უკვე სცემენ პირველ არალეგალურ მოწოდებებს ომის წინააღმდეგ და ასრულებენ თავიანთ მოვალეობას დემოკრატიისა და ინტერნაციონალის წინაშე.

თუ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები გერმანელი სოციალ-დემოკრატების უმცირესობისა და ნეიტრალური ქვეყნების საუკეთესო სოციალ-დემოკრატების სახით მწვავე სირცხვილის გრძნობას განიცდიან II ინტერნაციონალის ამ კრახის გამო; თუ სოციალისტების ხმები სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობის შოვინიზმის წინააღმდეგ ინგლისშიც და საფრანგეთშიც გაისმის; თუ ოპორტუნისტები, მაგალითად, გერმანული «სოციალისტური ყოველთვიურის» («Sozialistische Monatshefte») სახით, რომლებიც დიდი ხანია დგანან ნაციონალურ-ლიბერალურ პოზიციაზე, სავსებით კანონიერად ზეიმობენ თავიანთ გამარჯვებას ევროპის სოციალიზმზე, — პროლეტარიატს უცუდეს სამსახურს უწევენ ოპორტუნისტსა და რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას შორის მერყევი ის ადამიანები (მსგავსად «ცენტრისა» გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში), რომლებიც ცდილობენ მიჩქმალონ ან დიპლომატიური ფრაზებით დაფარონ II ინტერნაციონალის კრახი.

პირიქით, აშკარად უნდა ვაღიაროთ ეს კრახი და გავიგოთ მისი მიზეზები, რათა შესაძლებელი იყოს ყველა ქვეყნის მუშათა ახალი, უფრო მტკიცე სოციალისტური დარაზმულობის შექმნა.

ოპორტუნისტებმა ჩაშალეს შესრულება შტუტგარტის, კოპენჰაგენის და ბაზელის კონგრესების გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ავალდებულებენ ყველა ქვეყნის სოციალისტებს იბრძოლონ შოვინიზმის წინააღმდეგ ყველა და ყოველგვარ პირობებში, ავალდებულებენ სოციალისტებს ბურჟუაზიისა და მთავრობების მიერ დაწყებულ ყოველ ომს უპასუხონ სამოქალაქო ომისა და სოციალური რევოლუციის გაძლიერებული ქადაგებით. II ინტერნაციონალის კრახი არის კრახი ოპორტუნისტებისა, რომელიც იზრდებოდა განვლილი (ეგრეთწოდებულ «მშვიდობიანი») ისტორიული ეპოქის თავისებურებათა

ნიადაგზე და რომელმაც უკანასკნელ წლებში ფაქტიური ბატონობა მოიპოვა ინტერნაციონალში. ოპორტუნისტები დიდი ხანია ამზადებდნენ ამ კრახს იმით, რომ: უარყოფდნენ სოციალისტურ რევოლუციას და ცვლიდნენ მას ბურჟუაზიული რეფორმიზმით; — უარყოფდნენ კლასობრივ ბრძოლას და მის აუცილებლად გადაქცევას გარკვეულ მომენტებში სამოქალაქო ომად, და ქადაგებდნენ კლასების თანამშრომლობას; — ქადაგებდნენ ბურჟუაზიულ შოვინიზმს პატრიოტიზმისა და სამშობლოს დაცვის სახელწოდებით და უგულვებელყოფდნენ ან უარყოფდნენ სოციალიზმის ძირითად ჭეშმარიტებას, რომელიც გადმოცემულია ჯერ კიდევ კომუნისტურ მანიფესტში, რომ მუშებს სამშობლო არა აქვთ; — სჯერდებოდნენ მილიტარიზმთან ბრძოლაში სენტემენტალურ-მეშჩანურ თვალსაზრისს ნაცვლად იმის აღიარებისა, რომ აუცილებელია ყველა ქვეყნის პროლეტარების რევოლუციური ომი ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ; — ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული ლეგალობის აუცილებელი გამოყენების საჭიროებას აქცევდნენ ამ ლეგალობის ფეტიშად და ივიწყებდნენ, რომ სავალდებულოა ორგანიზაციისა და აგიტაციის არალეგალური ფორმები კრიზისების ეპოქებში. ოპორტუნიზმის ბუნებრივმა «დამატებამ», — ასევე ბურჟუაზიულმა მიმდინარეობამ და პროლეტარული, ე. ი. მარქსისტული თვალსაზრისისადმი მტრულმა, — ანარქო-სინდიკალისტურმა მიმდინარეობამ თავი ისახელა შოვინიზმის ლოზუნგების არანაკლებ სამარცხვინოდ თვითკმაყოფილი განმეორებით თანამედროვე კრიზისის დროს.

ამჟამად ისე არ შეიძლება სოციალიზმის ამოცანების შესრულება, არ შეიძლება მუშების ნამდვილი ინტერნაციონალური დარაზმვის განხორციელება. თუ გადაჭრით არ იქნა კავშირი გაწყვეტილი ოპორტუნიზმთან და თუ არ განვუმარტეთ მასებს ოპორტუნიზმის ფიასკოს გარდევალობა.

ყოველი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიის ამოცანა უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა ბრძოლა თავისი ქვეყნის შოვინიზმთან. რუსეთში ამ შოვინიზმმა მთლიანად მოიცივა ბურჟუაზიული ლიბერალიზმი («კადეტები») და ნაწილობრივ ნაროდნიკები თვით სოციალისტ-რევოლუციონერებამდე და «მემარჯვენე» სოციალ-დემოკრატებამდე (განსაკუთრებით აუცილებელია

დაგმობილ იქნას შოვინისტური გამოსვლები, მაგალითად, ე. სმირნოვის, პ. მასლოვისა და გ. პლენანოვისა, რასაც ჩაებლაუჭა და ფართოდ იყენებს ბურჟუაზიულ-«პატრიოტული» პრესა).

ახლანდელი მდგომარეობის დროს არ შეიძლება განისაზღვროს საერთაშორისო პროლეტარიატის თვალსაზრისით, თუ მეომარი ერების ორი ჯგუფიდან რომელი ჯგუფის დამარცხება იქნებოდა ყველაზე ნაკლები ბოროტება სოციალიზმისათვის. მაგრამ ჩვენთვის, რუსი სოციალ-დემოკრატებისათვის, არ შეიძლება საეჭვო იყოს, რომ რუსეთის მუშათა კლასისა და ყველა ხალხის მშრომელი მასების თვალსაზრისით ყველაზე ნაკლები ბოროტება იქნებოდა დამარცხება მეფის მონარქიისა, ყველაზე რეაქციული და ბარბაროსული მთავრობისა, რომელიც ჩაგრავს ევროპისა და აზიის ერების ყველაზე მეტ რაოდენობას და მოსახლეობის ყველაზე მეტ მასას.

ევროპის სოციალ-დემოკრატების უახლესი პოლიტიკური ლოზუნგი უნდა იყოს ევროპის რესპუბლიკური შეერთებული შტატების შექმნა, ამასთან, ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, რომელიც მზად არის ყველაფერს «შეგვებრდეს», ოღონდ კი ჩაითრიოს პროლეტარიატი შოვინიზმის საერთო ნიაღვარში, სოციალ-დემოკრატები განმარტავენ ამ ლოზუნგის მთელ სიყალბესა და უაზრობას, თუ რევოლუციური გზით არ იქნა დამხობილი გერმანიის, ავსტრიისა და რუსეთის მონარქიები*.

* «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შენიშვნა: «ევროპის შეერთებული შტატების მოთხოვნა, როგორც ის წამოაყენა ცენტრალური კომიტეტის მანიფესტმა — რომელმაც მას თან დაურთო მოწოდება რუსეთის, ავსტრიის, გერმანიის მონარქიების დამხობისაკენ — განსხვავდება ამ ლოზუნგის პაციფისტური განმარტებისაგან კატეკისა და სხვათა მიერ. ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» 44-ე ნომერში მოთავსებულია სარედაქციო წერილი, რომელშიც დასაბუთებულია ევროპის შეერთებული შტატების» ლოზუნგის ეკონომიკური უსწორობა. ეს — ან კაპიტალიზმის დროს განუხორციელებელი მოთხოვნაა, რომელიც გულისხმობს მსოფლიო მეურნეობის გეგმაზომიერების შემოღებას ცალკეულ ქვეყნებს შორის კოლონიების, ვაჭარების სფეროებისა და სხვ. განაწილების პირობებში. ანდა ეს არის რეაქციული ლოზუნგი, რომელიც ნიშნავს ევროპის დიდი სახელმწიფოების დროებით კავშირს კოლონიების უფრო წარმატებით ჩაგვრისა და უფრო სწრაფად განვითარებადი იაპონიისა და ამერიკის გაძარცვისათვის».

(ეს შენიშვნა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციამ გაუქვთა მანი-

რუსეთში სოციალ-დემოკრატების ამოცანები ამ ქვეყნის ყველაზე მეტად ჩამორჩენილობის გამო, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია თავისი ბურჟუაზიული რევოლუცია, წინანდებურად უნდა იყოს თანმიმდევრული დემოკრატიული გარდაქმნის სამი ძირითადი პირობა: დემოკრატიული რესპუბლიკა (ყველა ერის სრული თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პირობებში), მემამულეთა მიწების კონფისკაცია და 8-საათიანი სამუშაო დღე. მაგრამ ყველა მოწინავე ქვეყანაში ომი დღის წესრიგში აყენებს სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგს, რომელიც მით უფრო აუცილებელი ხდება, რაც უფრო მეტად აწვება ომის სიმძიმე პროლეტარიატს, რაც უფრო აქტიური უნდა გახდეს მისი როლი ევროპის აღდგენისას, მსხვილი კაპიტალიზმის გიგანტურ ტექნიკურ წარმატებათა ვითარებაში თანამედროვე «პატრიოტული» ბარბაროსობის საშინელებათა შემდეგ. ბურჟუაზიის მიერ ომის დროის კანონების გამოყენება პროლეტარიატის სრული ჩაჩუმებისათვის ამ უკანასკნელის წინაშე უთუო ამოცანად აყენებს აგიტაციისა და ორგანიზაციის არალეგალური ფორმების შექმნას. დაე ოპორტუნისტები «მოუფრთხილდნენ» ლეგალურ ორგანიზაციებს თავიანთი რწმენისადმი ლალატის ფასად, — რევოლუციური სოციალ-დემოკრატები გამოიყენებენ მუშათა კლასის ორგანიზაციულ ჩვევებს და კავშირს, რათა შექმნან კრიზისის ეპოქის შესაფერისი არალეგალური ფორმები სოციალიზმისათვის ბრძოლისა და მუშების შეკავშირებისა არა თავისი ქვეყნის შოვინისტურ ბურჟუაზიასთან, არამედ, ყველა ქვეყნის მუშებთან. პროლეტარული ინტერნაციონალი არ დაღუპულა და არც დაიღუპება. მუშათა მასები ყოველგვარი დაბრკოლების მიუხედავად შექმნიან ახალ ინტერნაციონალს. ოპორტუნისტების ახლანდელი ზეიმი ხანმოკლეა. რაც უფრო მეტი იქნება ომის მსხვერპლი, მით უფრო ცხადი გახდება მუშათა მასებისათვის ოპორტუნისტების ლალატი მუშათა საქმისადმი და იმის აუცილებლობა, რომ მიმართონ

ფესტის ტექსტს, რომელიც გამოქვეყნდა დამატებებში ვ. ი. ლენინის ბროშურისადმი «სოციალიზმი და ომი», 1915, უენევა. «სოციალ-დემოკრატის» სარედაქციო წერილი 44-ე ნომერში — ეს არის ვ. ი. ლენინის სტატია «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ». რ ე დ.)

იარალი თვითეული ქვეყნის მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

თანამედროვე იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა არის ერთადერთი სწორი პროლეტარული ლოზუნგი, რაც გვიჩვენა კომუნის გამოცდილებამ, დასახულია ბაზელის (1912 წ.) რეზოლუციით და გამომდინარეობს დიდად განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის იმპერიალისტური ომის ყველა პირობიდან. რაც უნდა დიდად გვეჩვენებოდეს ასეთი გადაქცევის სიძნელენი ამა თუ იმ წუთს, სოციალისტები არასოდეს არ იტყვიან უარს სისტემატურ, შეუპოვარ, განუხრელ მოსამზადებელ მუშაობაზე ამ მიმართულებით, რაკი ომი ფაქტი გახდა.

მხოლოდ ამ გზით შეძლებს პროლეტარიატი თავი დააღწიოს შოვინისტური ბურჟუაზიისაგან დამოკიდებულებას და, ამა თუ იმ ფორმით, მეტად თუ ნაკლებად ჩქარა, გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები ხალხთა ნამდვილი თავისუფლების გზაზე და სოციალიზმის გზაზე.

ვაუმარჯოს მუშათა საერთაშორისო ძმობას ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის შოვინიზმისა და პატრიოტიზმის წინააღმდეგ!

ვაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალს, ოპორტუნიზმისაგან განთავისუფლებულს!

რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 403—409.

რსდმ პარტიის საზღვარგარეთული საქციების კონფერენციის რეზოლუციებიდან

1915 წლის 14—19 თებერვალი (27 თებერვალი — 4 მარტი)

«სამშობლოს დაცვის» ლოზუნგის შესახებ

თანამედროვე ომის ნამდვილი დედაარსია ბრძოლა ინგლისისა, საფრანგეთისა და გერმანიას შორის კოლონიების გაყოფისა და მეტოქე ქვეყნების გააძარცვისათვის და რუსეთის ცარიზმისა და მმართველი კლასების მისწრაფება — ხელში ჩაიგდონ სპარსეთი, მონღოლეთი, აზიური თურქეთი, კონსტან-

ტინეპოლი, გალიცია და ა. შ. ნაციონალურ ელემენტს ავსტრია-სერბიის ომში სავსებით დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს და არ ცვლის ომის საერთო იმპერიალისტურ ხასიათს.

უკანასკნელი ათეული წლების მთელი ეკონომიკური და დიპლომატიური ისტორია გვიჩვენებს, რომ მეომარი ერების ორივე ჯგუფი სისტემატურად ამზადებდა სწორედ ამგვარ ომს. იმ საკითხს, თუ რომელმა ჯგუფმა მოახდინა პირველი სამხედრო დარტყმა ან პირველმა გამოაცხადა ომი, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სოციალისტების ტაქტიკის განსაზღვრისათვის. ფრაზები სამშობლოს დაცვაზე, მტრის შემოსევისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე, თავდაცვითს ომზე და მისთანებზე ორივე მხრიდან სულ ერთიანად ხალხის მოტყუებას წარმოადგენს.

ნამდვილ ნაციონალურ ომებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ განსაკუთრებით 1789—1871 წლების ეპოქაში, საფუძვლად ედო მასობრივი ეროვნული მოძრაობის, აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ეროვნული ჩაგვრის დამხობისა და ეროვნულ საფუძველზე სახელმწიფოთა შექმნის, როგორც კაპიტალისტური განვითარების წინამძღვრის, ხანგრძლივი პროცესი.

ამ ეპოქის მიერ შექმნილმა ნაციონალურმა იდეოლოგიამ ღრმა კვალი დატოვა წვრილი ბურჟუაზიის მასაში და პროლეტარიატის ერთ ნაწილში. ამით სარგებლობენ ახლა, სრულიად სხვა, იმპერიალისტურ ეპოქაში, ბურჟუაზიის სოფისტები და სოციალიზმის მოღალატენი, რომელნიც მათ კუდში მიჩანჩალებენ, რათა გათიშონ მუშები და ჩამოაშორონ ისინი მათს კლასობრივ ამოცანებს და ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლას.

III ინტერნაციონალი

ომით შექმნილმა კრიზისმა გამოააშკარავა ოპორტუნიზმის ნამდვილი დედაარსი და გვიჩვენა, რომ იგი პროლეტარიატის წინააღმდეგ ბურჟუაზიის პირდაპირი დამქაშის როლს ასრულებს. ეგრეთწოდებული სოციალ-დემოკრატიული «ცენტრი», კაუტცკის მეთაურობით, სინამდვილეში სავსებით გადაეშვა ოპორტუნიზმში, რასაც განსაკუთრებით მავნე თვალთმაქცური

ფრანგებით და იმპერიალიზმთან შესაგუებლად შერყენილი მარქსიზმით ფარავს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, მაგალითად, გერმანიაში მხოლოდ პარტიის ზედაფენების უმრავლესობის ნების გადაჭრით დარღვევამ გახადა შესაძლებელი სოციალისტური თვალსაზრისის დასაცავად გამოსვლა. მვენე ილუზია იქნებოდა იმის იმედი, თითქოს ნამდვილად სოციალისტური ინტერნაციონალის აღდგენა შეიძლებოდეს ისე, თუ ორგანიზაციულად სავსებით არ გაემიჯნე ოპორტუნისტებს.

რსდმ პარტია მხარს უნდა უჭერდეს პროლეტარიატის ყოველგვარ ინტერნაციონალურ და რევოლუციურ-მასობრივ გამოსვლებს და ცდილობდეს ინტერნაციონალის ყველა ანტი-შოვინისტური ელემენტის დაახლოებას.

დაზოკიდებულია სხვა პარტიებთან და ჯგუფებთან

ომმა, რომელმაც გამოიწვია შოვინიზმის გაღვივება, გამოაშკარავა, რომ შოვინიზმს ემორჩილება დემოკრატიული (ნაროდნიკული) ინტელიგენციაც და სოციალისტ-რევოლუციონერებაც. პარტია, «მისლში» წარმოდგენილი მათი ოპოზიციური მიმდინარეობის სრულ მერყეობასთან ერთად, — ლევიდატორების ძირითადი ბირთვიც («ნაშა ზარია»), რომელსაც მხარი დაუჭირა პლენანოვმა. ფაქტიურად შოვინიზმის მხარეზე დგანან ორგანიზაციული კომიტეტიც, დაწყებული ლარინისა და მარტოვის მიერ მისი შენიღბული მხარდაჭერით და გათავებული აქსელროდის მიერ პატრიოტიზმის იდეების პრინციპული დაცვით, — და ბუნდიც, რომელშიც სჭარბობს გერმანოფილური შოვინიზმი. ბრიუსელის ბლოკი (1914 წ. 3 ივლისი) სავსებით დაიშალა. ის ელემენტები კი, რომლებიც დაჯგუფებული არიან «ნაშე სლოვოს» ირგვლივ, მერყეობენ ინტერნაციონალიზმისადმი პლატონურ თანაგრძნობასა და რაღაც უნდა დაჯდეს «ნაშა ზარიასთან» და ორგანიზაციულ კომიტეტთან ერთიანობის მისწრაფებას შორის. ასევე მერყეობს ჩხეიძის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომელმაც, ერთი მხრივ, გარიცხა პლენანოველი, ე. ი. შოვინისტი, მანკოვი, და რომელსაც, მეორე მხრივ, სურს რაღაც უნდა დაჯდეს მიჩქმალოს პლენანოვის, «ნაშა ზარიას», აქსელროდის, ბუნდისა და სხვათა შოვინიზმი.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამოცანაა შემდგომ განამტკიცოს პროლეტარული ერთიანობა, რომელიც ყველაზე მეტად შექმნა «პრავედამ» 1912—1914 წლებში, აღადგინოს მუშათა კლასის პარტიული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები სოციალ-შოვინისტებისაგან ორგანიზაციულად გადაჭრით გამიჯვნის ბაზაზე. დროებითი შეთანხმებანი დასაშვებია მხოლოდ იმ სოციალ-დემოკრატებთან, რომელნიც ემხრობიან ორგანიზაციულ კომიტეტთან, «ნაშა ზარიასთან» და ბუნდთან ორგანიზაციულად გადაჭრით გათიშვას.

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 411—412,
414—415, 416.

პარტიულ მუშაკთა სრულიად რუსეთის თათბირის რეზოლუციიდან

1917 წლის 27 მარტი—2 აპრილი (9—15 აპრილი)

ომისა და ზავის შესახებ

4) სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც პროლეტარიატის ხელმძღვანელია ზავისათვის წარმოებულ ბრძოლაში, დაულალავად უნდა განმარტავდეს ახლანდელი იმპერიალისტური ომის ნამდვილ აზრსა და განუხრელად ებრძოდეს როგორც იმ იმპერიალისტურ გარემოს, რომელსაც გულმოდგინედ ნერგავს და აღვივებს ლიბერალური ბურჟუაზია, ისე ნაციონალისტურ ნაკადს რევოლუციაში, რომელიც წარმოდგენილია ამ რევოლუციას მიმხრობილი წვრილბურჟუაზიული ჯგუფებით. ამ ბრძოლაში ყოველგვარი მერყეობა, და მით უმეტეს ამ ნაციონალისტური ნაკადისადმი დამორჩილება, იქნებოდა საერთაშორისო პროლეტარიატის ამოცანების ღალატი და ამით როგორც რუსეთის პროლეტარიატის, ისე მთელი მშრომელი მოსახლეობის ღალატი.

«КПСС в резолюциях...»,
т. 1, стр. 431.

რსდგპ (ბ) სრულიად რუსეთის მუშაკთა (აპრილის) კონფერენციის რეზოლუცია

1917 წლის 24—29 აპრილი (7—12 მაისი)

ნაციონალური საკითხის შესახებ

ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკას, როგორც თვითმპყრობელობისა და მონარქიის მემკვიდრეობას, მხარს უჭერენ მემამულეები, კაპიტალისტები და წერილი ბურჟუაზია მათი კლასობრივი პრივილეგიების დაცვისა და სხვადასხვა ეროვნების მუშათა გათიშვისათვის, თანამედროვე იმპერიალიზმი აძლიერებს სუსტ ხალხთა დამორჩილების მისწრაფებებს და წარმოადგენს ნაციონალური ჩაგვრის გამწვავების ახალ ფაქტორს.

რამდენადაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში შესაძლებელია ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა, ეს შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს თანამიმდევრულ-დემოკრატიული რესპუბლიკური წყობილების და მართვა-გამგეობის პირობებში, რაც უზრუნველყოფს ყველა ერისა და ენის სრულ თანასწორ-უფლებიანობას.

აღიარებულ უნდა იქნას თავისუფალი გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ყველა ერისათვის. ასეთი უფლების უარყოფა და იმ ზომების მიუღებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მის პრაქტიკულ განხორციელებას, უდრის დაპყრობათა ანუ ანექსიების პოლიტიკის მხარდაჭერას. მხოლოდ აღიარება პროლეტარიატის მიერ ერთა გამოყოფის უფლებისა უზრუნველყოფს სხვადასხვა ერის მუშათა სრულ სოლიდარობას და ხელს უწყობს ერთა ნამდვილ დემოკრატიულ დაახლოებას.

ამჟამად ფინეთსა და რუსეთის დროებით მთავრობას შორის წარმოშობილი კონფლიქტი განსაკუთრებით თვალნათლივ ცხადყოფს, რომ თავისუფალი გამოყოფის უფლების უარყოფა იწვევს ცარიზმის პოლიტიკის პირდაპირ განგრძობას.

შეუწყნარებელია ერთმანეთში ავურიოთ ერთა თავისუფალი გამოყოფის უფლების საკითხი და ამა თუ იმ მომენტში ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი. ეს

უკანასკნელი საკითხი პროლეტარიატის პარტიამ ყოველ ცალკე შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს მთელი საზოგადოებრივი განვითარების და სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით.

პარტია მოითხოვს ფართო საოლქო ავტონომიას, ზევიდან მეთვალყურეობის გაუქმებას, სავალდებულო სახელმწიფოების გაუქმებას და თვითმმართველი და ავტონომიური ოლქების საზღვრების გარკვევას თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების, მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობისა და სხვათა მხედველობაში მიღებით.

პროლეტარიატის პარტია გადაჭრით უარყოფს ეგრეთწოდებულ «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას», ე. ი. სახელმწიფოს გამგებლობიდან სასკოლო საქმის და სხვათა ამოღებას და მის გადაცემას თავისებური ნაციონალური სეიმების ხელში. ერთ ადგილას მცხოვრებ და თვით ერთ და იმავე საწარმოებში მომუშავე მუშებს კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ხელოვნურად მიჯნავს იმის მიხედვით, თუ რომელ «ნაციონალურ კულტურას» მიეკუთვნებიან ისინი, ე. ი. აძლიერებს მუშების კავშირს ცალკეულ ერთა ბურჟუაზიულ კულტურასთან, მაშინ როდესაც სოციალ-დემოკრატიის ამოცანას შეადგენს მსოფლიო პროლეტარიატის ინტერნაციონალური კულტურის გაძლიერება.

პარტია მოითხოვს კონსტიტუციაში შეტანილ იქნას ძირითადი კანონი, რომელიც ძალადაკარგულად გამოაცხადებს ერთ-ერთი ერის ყოველგვარ პრივილეგიებს, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ყოველგვარ დარღვევას.

მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს რუსეთის ყველა ეროვნების მუშათა გაერთიანებას პოლიტიკურ, პროფესიულ, კოოპერაციულ-საგანმანათლებლო და სხვა ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებში. სხვადასხვა ეროვნების მუშათა მხოლოდ ასეთი გაერთიანება ერთიან ორგანიზაციებში საშუალებას აძლევს პროლეტარიატს აწარმოოს ძლევამოსილი ბრძოლა საერთაშორისო კაპიტალისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

«ს.კ.პ. რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 437—438.

**რსდმპ (ზ) ფრონტისა და ზურგის სამხედრო
ორგანიზაციების სრულიად-რუსეთის
კონფერენციის რეზოლუცია**

1917 წლის 16—23 ივნისი (29 ივნისი—8 ივლისი)

ნაციონალური საკითხის შესახებ

რევილუციის მსვლელობაში დაწყებული რუსეთის ხალხთა (როგორც, მაგალითად, ფინელების, უკრაინელებისა და სხვ.) ნაციონალური მოძრაობა, უმთავრესად, შედეგია დროებითი მთავრობის არადემოკრატიული პოლიტიკისა, რაც გამოიხატა მთელი რიგი «ბრძანებებითა» და «აკრძალვებით» და, ბოლოს, ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის დამფუძნებელ კრებამდე გადადებით.

დროებითი მთავრობა, რომელიც აღიარებს, ერთი მხრივ, ერთა თვითგამორკვევის უფლებას (პოლონელების მიმართ), ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უშლის უკრაინელებს ამ უფლების განხორციელებაში, თავის თავს ეწინააღმდეგება და ამით თავის იმპერიალისტურ ზრახვებს ამყლავნებს.

რსდმპ პარტიის საფრონტო და ზურგის სამხედრო ორგანიზაციების კონფერენცია ადასტურებს, რომ ახლა, როცა კონტრრევილუცია თავის ძალებს რაზმავს და ხალხებს ერთიმეორეს უსისიანებს, აქვთებს რა მთავრობას რეპრესიებისათვის, მაგალითად, უკრაინის წინააღმდეგ, — დროებითი მთავრობის ამგვარი პოლიტიკა რუსეთის ხალხთა მიმართ განსაკუთრებით საზიანოა და მხოლოდ რევილუციის მტრებისათვის არის სასარგებლო.

კონფერენცია აცხადებს, რომ რუსეთის ხალხებს თვითგამორკვევისა და თავიანთი ბედის დამოუკიდებლად გადაწყვეტის სრული უფლება აქვთ თვით გამოყოფამდეც კი, რომ, კერძოდ, უკრაინას სრული უფლება აქვს განხორციელოს თავისი ავტონომია ისე, რომ არ დაელოდოს დამფუძნებელ კრებას...

კონფერენცია მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ერთა თვითგამორკვევის უფლების გადაჭრით და უყოყმანოდ აღიარებას, აღიარებას საქმით და არა მარტო სიტყვით შეეძლო განემტკიცებინა ძმური ნდობა რუსეთის ხალხთა შორის,

და ამით გაეკაფა გზა ერთ სახელმწიფოებრივ მთელად მათი ნამდვილი გაერთიანებისაკენ. ნებაყოფლობითი და არა ძალდატანებითი გაერთიანებისაკენ.

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 458—459.

რკპ (ბ) VIII ურილოგაზე მიღებული რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) პროგრამიდან

1919 წლის 18—28 მარტი

ნაციონალურ ურთიერთობათა დარგში

9. ნაციონალურ საკითხში რუსეთის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს შემდეგი დებულებებით:

1) მთავარ მნიშვნელობას პარტია აძლევს მემამულეებისა და ბურჟუაზიის დასამხობად ერთობლივი რევოლუციური ბრძოლისათვის სხვადასხვა ეროვნების პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების დაახლოების პოლიტიკას.

2) იმ მიზნით, რომ აღმოფხვრილ იქნას ჩაგრული ქვეყნების მშრომელთა მასების უნდობლობა იმ სახელმწიფოთა პროლეტარიატისადმი, რომლებიც ამ ქვეყნებს ჩაგრავენ, აუცილებელია მოისპოს ყოველი ნაციონალური ჯგუფის ყველა და ყოველგვარი პრივილეგია, დამყარდეს ეროვნებათა სრული თანასწორუფლებიანობა, აღიარებულ იქნას კოლონიებისა და არათანასწორუფლებიანი ერების სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლება.

3) ამავე მიზნით პარტია აყენებს, როგორც ერთ-ერთ გარდამავალ ფორმას სრული ერთიანობის გზაზე, საბჭოთა ტიპის მიხედვით მოწყობილი სახელმწიფოების ფედერაციულ გაერთიანებას.

4) იმ საკითხში, თუ ვინ არის ერის ნების გამომხატველი გამოყოფის საქმეში, რუსეთის კომუნისტური პარტია დგას ისტორიულ-კლასობრივ თვალსაზრისზე, ანგარიშს უწევს რა იმას, თუ თავისი ისტორიული განვითარების რომელ საფეხურზე დგას ესა თუ ის ერი: შუასაუკუნეობრიობიდან ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ, თუ ბურჟუაზიული დემოკრატიიდან

საბჭოთა ანუ პროლეტარული დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე და ა. შ.

ყოველ შემთხვევაში, იმ ერების პროლეტარიატის მხრივ, რომლებიც მჩაგვრელი ერები იყვნენ, საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე და განსაკუთრებული ყურადღება ჩაგრული ან არასრულფლებიანი ერების მშრომელი მასების ნაციონალურ გრძნობათა ნაშთებისადმი. მხოლოდ ასეთი პოლიტიკით შეიძლება შეიქმნას პირობები საერთაშორისო პროლეტარიატის სხვადასხვაგვაროვანი ნაციონალური ელემენტების ნამდვილად მტკიცე, ნებაყოფლობითი ერთიანობისათვის, როგორც ეს გვიჩვენა საბჭოთა რუსეთის გარშემო მთელი რიგი ნაციონალური საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების გამოცდილებამ.

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 530—531.

რკპ (ბ) სრულიად რუსეთის მერვე კონფერენციის რეზოლუციიდან

1919 წლის 2—4 დეკემბერი

**უკრაინაში საბოლოო ხელისუფლების შენახვა
(რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
რეზოლუცია, დადასტურებული კონფერენციის მიერ)**

4. რადგან უკრაინულ კულტურას (ენას, სკოლას და სხვ.) საუკუნეების განმავლობაში ახშობდნენ რუსეთის ცარიზმი და ექსპლოატატორული კლასები, რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ავალებს პარტიის ყველა წევრს ყოველნაირად შეუწყონ ხელი უკრაინული ენისა და კულტურის თავისუფალი განვითარების ყოველგვარი დაბრკოლების აღმოფხვრას. რამდენადაც მრავალსაუკუნოვანი ჩაგვრის ნიადაგზე უკრაინის მასების ჩამორჩენილ ნაწილში არსებობს ნაციონალისტური ტენდენციები, რუსეთის კომუნისტური პარტიის წევრები ვალდებული არიან უდიდესი მოთმინებითა და სიფრთხილით მოეპყრან მათ, დაუპირისპირონ ამ ტენდენციებს ამხანაგური ახსნა-განმარტება, რომ უკრაინისა და რუსეთის მშრომელი მასების ინტერესები ერთი და იგივეა. რუსეთის

კომუნისტური პარტიის წევრებმა უკრაინის ტერიტორიაზე საქმით უნდა განახორციელონ მშრომელი მასების უფლება — ისწავლონ და ყველა საბჭოთა დაწესებულებაში ილაპარაკონ დედაენაზე, ყოველნაირი წინააღმდეგობა გაუწიონ ცდებს — ხელოვნური საშუალებებით დააყენონ უკრაინული ენა უკანა რიგში, და, პირიქით, ეცადონ გადააქციონ უკრაინული ენა მშრომელი მასების კომუნისტური განათლების იარაღად. დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ზომები, რათა ყველა საბჭოთა დაწესებულებაში საკმაო რაოდენობით იყვნენ უკრაინული ენის მკოდნე მოსამსახურეები და რომ შემდგომში ყველა მოსამსახურეს შეეძლოს ახსნა-განმარტების მიცემა უკრაინულ ენაზე.

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 586.

სიონისტური პარტიის მაქინაციების შესახებ

(ებრაულ საქმეთა კომისარიატის 1919 წლის 20 დეკემბრის
განცხადებითან)

ებრაულ ეროვნულ საქმეთა კომისარიატი* და ებრაული კომუნისტური სექციების ცენტრალური ბიურო** ყველა ქვეყნის მუშათა მასების და მთელი მსოფლიოს ხალხების წინაშე პროტესტს აცხადებენ სიონისტური პარტიის მაქინაციებისა და ანტანტასთან მისი ლაცივის წინააღმდეგ.

...ეროვნული ჩაგვრის პირობებში წარმოშობილი სიონიზმის იდეა, რომელმაც პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნის უტოპია წამოაყენა, ებრაული ბურჟუაზიის ხელში იმის საშუალებად იქცა, რომ ებრაელი მუშათა მასების რევოლუციური მოძრაობა ყველა ქვეყანაში ჩამოეშორებინა კაპიტალიზმის ბატონობის და, უპირველეს ყოვლისა, თვით ებ-

* ეროვნულ საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული ებრაულ ეროვნულ საქმეთა დროებითი კომისარიატი შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 21 იანვრის დეკრეტით.

** რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი იყო თერთმეტი ეროვნული ბიურო, მათ შორის ავტაციისა და პროპაგანდის ებრაული სექციების ცენტრალური ბიუროც.

რეული ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისაგან. რუსეთის ლაჩარი ებრაული ბურჟუაზია, რომელსაც ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უნარი არ შესწევდა, სიონიზმის რეაქციულ უტოპიებს იმ მიზნით ასაზრდოებდა, რომ შეენარჩუნებინა ღარიბი ებრაელობის ფართო მასებზე ბატონობა და ცდილობდა სიონისტთა ლოზუნგებით, ბრძოლის უუნარობის იმ უბადრუკი ლოზუნგებით, რომლებიც ჩაგრული ებრაელი ხალხისათვის ახალ თავშესაფარს ეძიებდნენ, შეესუსტებინა ებრაელ მუშათა მასებია ნება და ბრძოლისადმი მისწრაფება. მაგრამ ებრაელმა მუშათა კლასმა და ებრაელი ხალხის მშრომელმა მასებმა თავისი ბედი მჭიდროდ დაუკავშირეს მუშების, გლეხების და მშრომელების ბედს, რომლებიც მთელ მსოფლიოში კაპიტალის ბატონობისა და მისი მესვეურების — თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის — წინააღმდეგ იბრძოდნენ. ოცი წელი ებრძოდნენ ისინი ცარიზმის მხრივ ჩაგვრას რუსეთში. ამავე დროს უარყოფდნენ და ებრძოდნენ სიონიზმის რეაქციულ უტოპიებს და პოლიტიკას და ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ, რომელმაც იხსნა რუსეთის მუშათა და გლეხთა მასები ყოველგვარი მოქალაქეობრივი და ეროვნული ჩაგვრისაგან, გაათავისუფლა ებრაელი ხალხიც ისევე, როგორც რუსეთში მოსახლე ყველა ეროვნება.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს, როდესაც ყველა მეზობელი მტაცებლური სახელმწიფო ცდილობდა ყოველნაირად გაებრუებინა თავისი ხალხი «მცირე ეროვნებათა» განთავისუფლების «თავისუფლებისმოყვარული» პრინციპების ქადაგებით, ინგლისელმა იმპერიალისტებმა ლაციცი დაუწყეს სიონისტებს, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ამ გზით ებრაელი ხალხის, უმთავრესად მთელი მსოფლიოს ებრაული ბურჟუაზიის სიმპათიას დაიმსახურებდნენ და თავისი მიზნების განსახორციელებლად მცირე აზიასა და ეგვიპტეში საკუთარი საოკუპაციო ჯარებისათვის გამოიყენებდნენ ებრაელთა ლეგიონებს. ამ მიზნით ისინი შეჰპირდნენ სიონისტებს, ებრაელ ხალხს პალესტინაზე ზოგიერთ ავტონომიურ უფლებას მივანიჭებთო. ინგლისი დროებით სარგებლობს ებრაული ბურჟუაზიის სამსახურით — იღებს მისგან დიდძალ ებრაელთა ლეგიონებს, რომლებიც ახლა მას სჭირდება თურქთა და არაბთა მოძრაობის ჩასახშობად და მორალურ გამართლებად,

თითქოსდა ყველაფერი ებრაელი ხალხის საკეთილდღეოდ კეთდება. რასაკვირველია, დაპირებებს არ შეასრულებს. იგი მალე ებრაელებს ბედის ანაბარად მიატოვებს პალესტინაში... ამავე დროს სიონისტები ცდილობენ განდევნონ არაბები პალესტინიდან და ემზადებიან პალესტინაში გასაბატონებლად.

რუსეთის ებრაელი მშრომელი მასების სახელით მხურვალე პროტესტს ვაცხადებთ სიონისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ებრაელი ხალხის ბედი დაუკავშირონ ანტანტის იმპერიალიზმის ბედს. რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ებრაელ მშრომელ მასებს აქვთ თავიანთი სოციალისტური სამშობლო, რომელსაც ფრონტზე რუსეთის მუშებსა და გლეხებთან ერთად ანტანტის იმპერიალიზმისა და ყველა მისი აგენტებისაგან იცავენ. ებრაული საკითხი საბჭოთა რუსეთში აღარ არსებობს. ებრაელ მუშებს და მშრომელთა მასებს ყველა მოქალაქეობრივი და ეროვნული უფლება აქვთ. ებრაული კულტურის განვითარებას არავითარი დაბრკოლება არ ელოდება. არც ერთი სხვა ქვეყანა ჩვენ არ გვჭირდება. არავითარ ეროვნულ უფლებებს პალესტინაზე არ ვაცხადებთ. ჩვენ მთლიანად ვცნობთ ამ უფლებებს არაბი და ბედუინი მშრომელი მასების მხარეზე. ებრაელ მშრომელ მასებს პალესტინაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში უფლება უნდა ჰქონდეთ და ექნებათ კიდევ მხოლოდ თვით მშრომელების ბატონობის დროს.

ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ანტანტის მიერ იმპერიალისტური მიზნებით ებრაული ლეგიონების გამოყენების წინააღმდეგ. როდესაც ამ ლეგიონებს ეგვიპტესა და მცირე აზიაში აგზავნის აჯანყებების ჩასახშობად, ანტანტა ამავე დროს დახმარებას უწევს ყველა კონტრრევოლუციურ არმიას, რომელიც საბჭოთა რუსეთს ებრძვის და მსოფლიოში გაუგონარ ებრაელთა სისხლიან დარბევებს აწყობს.

ებრაელ ხალხს არ სჯერა სიონისტებისა, რომლებიც ყველგან მხარს უჭერენ ანტანტას და მხარში უდგანან ებრაელთა დამრბევებს. ჩვენ ყველა ქვეყნის ებრაელ მშრომელ მასებს მოვუწოდებთ ჩადგნენ ახალი სოციალისტური წყობილებისათვის მებრძოლთა რიგებში. მხოლოდ კომუნიზმის განხორ-

ციელებით გადაიჭრება და სამუდამოდ მოისპობა «ებრაული»
საკითხი მთელ მსოფლიოში.

ებრაულ ეროვნულ საქმეთა კომისარიატი
რუსეთის კომუნისტური პარტიის ებრაული
კომუნისტური სექციების ცენტრალური ბიურო

«Политика Советской власти по национальным
делам за три года». Госиздат, 1920, стр. 33—34.

რკპ (ბ) ცკ-ის წერილიდან ყველა პარტიული კომიტეტის და კოლიტგანყოფილებებისადმი აღმოსავლეთის ხალხთა შორის მუშაობის შესახებ

1920 წლის 21 თებერვალი

ამა თუ იმ მუსლიმანური სახელმწიფოს ხელში, რომელიც
სამხედრო ძლიერების გარკვეულ დონეს აღწევდა, მისი დამპყ-
რობლური მიზნების მიღწევის გაადვილების საშუალება პე-
რიოდულად მუსლიმანთა რელიგიური ფანატიზმი იყო. იმას,
რასაც რუსეთის ცარიზმი პანსლავიანური იდეის დახმარებით
ჩადიოდა, არაბები და შემდგომ, ნაწილობრივ ახლაც, თურქი
და ავღანელი ნაციონალისტები ე. წ. პანისლამიზმის დახმა-
რებით სჩადიოდნენ და სჩადიან. მასების რელიგიური რწმენი-
სადმი სიფრთხილით მოპყრობასთან ერთად საჭიროა მივუ-
თითოთ იმ ექსპლოატაციასზე, რომელსაც გაბატონებული მუს-
ლიმანური კლასები რელიგიის შემწეობით ახორციელებდნენ.
მეორე მომენტი, რომელსაც მუსლიმან ხალხთა ცხოვრებაში
დიდი ადგილი აქვს დათმობილი განსაკუთრებით საბჭოთა
ხელისუფლების არსებობის წლებში, — ეროვნული მოძრაო-
ბაა. მასში საჭიროა აღინიშნოს ორი მხარე: ერთის მხრივ, ყო-
ველი ცალკეული ეთნიკური მუსლიმანური ჯგუფების (ბაშ-
კირების, ყირგიზების, კალმუხების და სხვ.) მისწრაფება აამალ-
ლონ თავიანთი ეროვნული კულტურა, შექმნან საკუთარი ლი-
ტერატურა, საკუთარი სკოლები; მეორე მხრივ, ამავე ჯგუ-
ფების ნაციონალისტების განზრახვა გამოიყენონ მასების ბუ-
ნებრივი მისწრაფება ეროვნული კულტურისადმი აღნიშნულ
პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს თათართა ნაციონალისტური წრეების

განზრახვა გააძლიერონ უწინ არსებული ჰეგემონია თათრებისა, რომლებიც პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად უფრო მაღალ დონეზე არიან, ვიდრე სხვა მუსლიმანური ტომები, თათრული ბურჟუაზიის ხელისუფლების განმტკიცებისადმი მათი მისწრაფება. საბჭოთა ხელისუფლება არ ანსხვავებდა და არ ანსხვავებს მუსლიმან ხალხებს. იგი ყველა ხალხის სრული თანასწორუფლებიანობიდან გამოდის, უზრუნველყოფს მათ თვითგამორკვევის უფლებას და ცდილობს ყოველგვარი — როგორც ეკონომიკური, ისე ეროვნული ჩაგვრის მოსპობას. კომუნისტები თანაგრძნობით უნდა ეკიდებოდნენ მუსლიმანური მასების მისწრაფებას საბჭოთა წყობილების ფარგლებში ეროვნულ თვითგამორკვევისადმი.

ცალკეულ საბჭოთა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად მუსლიმანთა ტომების გამოყოფა ასევე არავითარ წინააღმდეგობას არ ხდება, რასაც ამტკიცებს თურქესტანის, ბაშკირეთის და სხვა რესპუბლიკების არსებობა. თქმა არ უნდა, რომ იმ მომენტში, რომელსაც ახლა მთელი რუსეთის მუშები და გლეხები გამოუკლებლივ განიცდიან, ჩადგან მათ ხელისუფლებას ემუქრება როგორც დასავლეთის იმპერიალიზმის, ისევე მუსლიმანური ნაციონალისტური ბურჟუაზიისა და მუსლიმანი მოღვაწის მისწრაფება ძალაუფლების ხელში ჩაგდებასადმი მუსლიმანური მშრომელი მასების ხსნა საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო კავშირშია. ცალკეული მუსლიმანური საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთის ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასთან მჭიდრო სამხედრო და ეკონომიკური გაერთიანების გარეშე ვერ იარსებებენ. საჭიროა მივუთითოთ უკრაინის მაგალითზე, რომელმაც თავისი სამხედრო კომისარიატი, თავისი რკინიგზა, ფოსტა, ტელეგრაფი, სახალხო მეურნეობის საბჭო და სხვ. რუსეთთან გააერთიანა, ხოლო განათლების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და მიწათმოქმედების კომისარიატები საკუთრივ შეინარჩუნა.

ამ გაერთიანების აუცილებლობა და აქედან გამომდინარე ფედერაციული კავშირი კიდევ იმითაა ნაკარნახევი, რომ არსებულ მუსლიმანურ რესპუბლიკებში (ბაშკირეთის და თათრეთის და სხვ.) აქა-იქ დასახლებულია ასი ათასობით რუსი გლეხი და მუშა და მათი რუსეთისაგან სრული გამოყოფა ამ რესპუბლიკებში მხოლოდ შინაგან ეროვნულ ბრძოლას გა-

მოიწვევს. რაც შეეხება მუსლიმანურ რესპუბლიკებში პარტიულ მუშაობას, მას სამხარეო, საოლქო კომიტეტების უფლებებით არსებული პარტიული ორგანიზაციები აწარმოებენ, თან ამ ორგანიზაციებში მუსლიმანთა და რუსთა შორის არავითარი სხვაობა არ არსებობს. ეროვნულ უმცირესობათა შორის აგიტაციისა და პროპაგანდისათვის ორგანიზაციებში იქმნება ეროვნული სექციები. თუ თავისი უმრავლესობით აღნიშნული რესპუბლიკის კომუნისტური პარტია რუსულია, იმ შემთხვევაში ბაშკირებისათვის, თათრებისათვის და სხვ. იქმნება შესაბამისი სექცია, თუ, პირიქით, ორგანიზაცია მუსლიმანურია, მაშინ რუსთა შორის მუშაობისათვის იქმნება შესაფერისი სექცია. პარტიული მუშაობა, რომელიც თანაგრძობითაა გამსჭვალული ეროვნული კულტურების განვითარებისა და თვითგამორკვევის პრინციპისადმი, გამოკვეთილ ინტერნაციონალურ ხასიათს უნდა ატარებდეს და მხარს უნდა უჭერდეს მუსლიმან მშრომელთა მჭიდრო კავშირს საბჭოთა რუსეთთან არა როგორც დიდ სახელმწიფოსთან, რომელმაც ძალით მოაქცია თავის ხელში ეს მასები, არამედ როგორც მათ ერთადერთ ხანგრძლივ დასაყრდენთან მათი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

«КПСС в резолюциях...»,
ტ. 2, გვ. 147—148.

რკპ (ბ) X ყრილობის რეზოლუციიდან

1921 წლის 8—16 მარტი

პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში

1. თუ კერძო საკუთრება და კაპიტალი აუცილებლად აცალკევებენ ადამიანებს, აღვივებენ ნაციონალურ შუღლს და აღიერებენ ნაციონალურ ჩაგვრას, კოლექტიური საკუთრება და შრომა ასევე აუცილებლად აახლოვებენ ადამიანებს, ძირს უთხრიან ნაციონალურ შუღლს და სპობენ ნაციონალურ ჩაგვრას. კაპიტალიზმის არსებობა ნაციონალური ჩაგვრის გარეშე ისევე წარმოუდგენელია, როგორც წარმოუდგენელია

სოციალიზმის არსებობა ჩაგრული ერების განთავისუფლების გარეშე, ნაციონალური თავისუფლების გარეშე. შოვინიზმი და ნაციონალური ბრძოლა აუცილებელია, გარდაუვალია, ვიდრე გლახობა (და საზოგადოდ პირველ რიგში მპყრობელ ერთა წვრილი ბურჟუაზია), რომელიც აღსავსეა ნაციონალისტური ცრურწმენებით, მიჰყვება ბურჟუაზიას, და, პირიქით, ნაციონალური მშვიდობიანობა და ნაციონალური თავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს, თუ გლახობა მიჰყვება პროლეტარიატს, ე. ი. თუ უზრუნველყოფილია პროლეტარიატის დიქტატურა. ამიტომ საბჭოების გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება ნაციონალური ჩაგვრის მოსპობის, ნაციონალური თანასწორობის დამყარებისა და ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფის ძირითადი პირობაა.

2. საბჭოთა რევოლუციის გამოცდილება სავსებით ადასტურებს ამ დებულებას. საბჭოთა წყობილების დამყარებამ რუსეთში და ერების სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლების აღიარებამ შეცვალეს ურთიერთობა რუსეთის ეროვნებათა შორის, ძირი გამოუთხარეს ძველ ნაციონალურ მტრობას, ნიადაგი გამოაცალეს ნაციონალურ ჩაგვრას და მოუპოვეს რუს მუშებს მათ სხვატომელ თანამომემთა ნდობა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც და აზიაშიც, მიიყვანეს ეს ნდობა ენთუზიაზმამდე, საერთო საქმისათვის მზადყოფნამდე. საბჭოთა რესპუბლიკების შექმნამ აზერბაიჯანსა და სომხეთში იგივე შედეგები მოგვცა, — მან მოსპო ნაციონალური შეტაკებანი და გადაწყვიტა «საუკუნეობრივი» მტრობა თურქ და სომეხ, სომეხ და აზერბაიჯანელ მშრომელ მასებს შორის. იგივე უნდა ითქვას უნგრეთში, ბავარიასა და ლათვიაში საბჭოების დროებითი გამარჯვების გამო. მეორე მხრივ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ რუსი მუშები ვერ გაიმარჯვებდნენ კოლჩაკსა და დენიკინზე, ხოლო აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები ვერ შეიძლებდნენ ფეხზე დადგომას შინ ნაციონალური მტრობისა და ნაციონალური ჩაგვრის ლიკვიდაციის გარეშე, მათდამი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეროვნებათა მშრომელი მასების ნდობისა და ენთუზიაზმის გარეშე. საბჭოთა რესპუბლიკების განმტკიცება და ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა იმპერიალისტური მონობი-

საგან მშრომელთა განთავისუფლების ერთი და იმავე პროცესის ორი მხარეა...

რსფს რესპუბლიკა და მასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები დაახლოებით 140-მილიონიან მოსახლეობას შეადგენენ. მათგან არაველიკოროსი დაახლოებით 65 მილიონია (უკრაინელები, ბელორუსები, ყირგიზები, უზბეკები, თურქმენები, ტაჯიკები, აზერბაიჯანელები, ვოლგის მხარის თათრები, ყირიმის თათრები, ბუხარელები, ხიველები, ბაშკირები, სომხები, ჩაჩნები, ყაზახელები, ოსები, ჩერქეზები, ინგუშები, ყარაჩაელები, ბალყარელები,* ყალმუხები, კარელები, ავარელები, დარგოელები, ყაზიყუმუხები, ქიურელები, ყუმისები,** მარელები, ჩუვაშები, ვოტიაკები, ვოლგის მხარის გერმანელები, ბურიატები, იაკუტები და სხვ.). ცარიზმის პოლიტიკა, მემამულეებისა და ბურჟუაზიის პოლიტიკა ამ ხალხების მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ ჩაეხშოთ მათში ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის ჩანასახი, დაესახიჩრებინათ მათი კულტურა, შეევიწროებინათ მათი ენა, უმეცრებაში ჰყოლოდათ ისინი და, ბოლოს, შეძლებისდაგვარად მოეხდინათ მათი რუსიფიკაცია. ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო ამ ხალხთა განუვითარებლობა და პოლიტიკური ჩამორჩენილობა...

5. კომუნისტური ორგანიზაციების განვითარება განაპირა მხარეებში მიმდინარეობს რამდენადმე თავისებურ პირობებში, რომლებიც აფერხებენ პარტიის ნორმალურ ზრდას ამ რაიონებში. ერთი მხრივ, განაპირა მხარეებში მომუშავე ველიკორუსი კომუნისტები, რომლებიც გაზრდილი არიან «მპყრობელი» ერის არსებობის პირობებში და რომელთაც ნაციონალური ჩაგვრა არ განუცდიათ, ხშირად ამცირებენ ნაციონალურ თავისებურებათა მნიშვნელობას პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში, ან სრულიად არ უწყევენ მათ ანგარიშს, არ ითვალისწინებენ თავის მუშაობაში ამა თუ იმ ეროვნების კლასობრივი წყობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ისტორიული წარსულის თავისებურებებს და, ამრიგად, აუბრალოებენ და

* უკანასკნელი შვიდი ეროვნება ერთიანდება ჭგუფში — «მთიელები» (დ ე დ ნ ის შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

** უკანასკნელი ხუთი ეროვნება ერთიანდება ჭგუფში — «დაღისტნელები» (დ ე დ ნ ის შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

ამახინჯებენ პარტიის პოლიტიკას ნაციონალურ საკითხში. ეს გარემოება ბაღებს გადახრას კომუნიზმიდან დიდმპყრობელურობის, კოლონიზატორობის, ველიკორუსული შოვინიზმის მიმართულებით. მეორე მხრივ, ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობიდან გამოსული კომუნისტები, რომელთაც ნაციონალური ჩაგვრის მძიმე პერიოდი განუცდიათ და ამ უკანასკნელის აჩრდილისაგან ჯერ კიდევ სავსებით ვერ განთავისუფლებულან, ხშირად აწვიადებენ ნაციონალურ თავისებურებათა მნიშვნელობას პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში, ჩრდილში ტოვებენ მშრომელთა კლასობრივ ინტერესებს, ან ამა თუ იმ ერის მშრომელთა ინტერესებს პირდაპირ ურევენ ამავე ერის «საერთო-ნაციონალურ» ინტერესებში, რადგან არ იციან პირველთა გამოყოფა უკანასკნელთაგან და მათ საფუძველზე პარტიული მუშაობის აგება. ეს გარემოება, თავის მხრივ, იწვევს კომუნიზმიდან გადახრას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნაციონალიზმისაკენ, რომელიც ზოგჯერ პანისლამიზმის, პანთურქიზმის⁴³ (აღმოსავლეთში) ფორმას იღებს.

კომუნისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებიდან ორივე ეს მავნე გადახრა ძალას პოულობს პირველ ხანებში განაპირა მხარეების კომუნისტური ორგანიზაციების გარდაუვალ დანაგვიანებაში. ერთი მხრივ, პარტიას ეტმასნებიან კულაქურ-კოლონიზატორული ელემენტები, მეორე მხრივ, პარტიაში მიძვრებიან ადგილობრივი ექსპლოატატორული ჯგუფების წარმომადგენლები.

ყრილობა გადაჭრით გმობს ორივე ამ გადახრას, როგორც კომუნიზმის საქმისათვის მავნესა და საშიშს, და საჭიროდ ცნობს აღნიშნოს, რომ განსაკუთრებით საშიში და განსაკუთრებით მავნეა პირველი გადახრა, გადახრა დიდმპყრობელურობისა და კოლონიზატორობისაკენ. ყრილობა მოაგონებს ყველას, რომ პარტიულ რიგებში კოლონიზატორული და ნაციონალისტური გადმონაშთების გადაულახავად შეუძლებელია განაპირა მხარეებში შეიქმნას მტკიცე და მასებთან დაკავშირებული ნამდვილი კომუნისტური ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ რიგებში დარაზმავდნენ ადგილობრივი და რუსი მოსახლეობის პროლეტარულ ელემენტებს ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ამიტომ ყრილობა ცნობს, რომ ნაციონალისტურ და, უპირველეს ყოვლისა, კოლონიზატორულ მერყეობათა ლიკ-

ვიდაცია კომუნისტურ წარმოდგენს პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას განაპირა მხარეებში.

ყრილობა მოუწოდებს გადამწყვეტი ბრძოლისაკენ ყოველგვარ ცრუკომუნისტურ ელემენტებთან, რომლებიც პროლეტარიატის პარტიას ეტმასნებიან, და აფრთხილებს პარტიას მეშჩანურ-ნაციონალისტური და კულაკური ელემენტების ხარჯზე «გათართობისაგან». ამასთან ერთად ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუცილებელია აღმოსავლეთის განაპირა მხარეებში საბჭოთა სამუშაოზე გონივრულად და ორგანიზებულად გამოვიყენოთ წინათ ჩაგრულ ხალხთა ნაციონალური ინტელიგენციის ყველა პატიოსანი ელემენტი, რომლებმაც დაამტკიცეს თავისი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 715—716,
718—719, 723—724.

რკპ (ბ) XII ყრილობის რეზოლუციებიდან

1928 წლის 17—25 აპრილი

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გაშო

გლებობასთან ფრიად აუცილებელ კავშირთან გადანასკვულია ნაციონალურ საკითხში სწორი პოლიტიკის ამოცანა. პარტიისათვის უდიდესი საფრთხე იქნებოდა არასაკმაო ყურადღებით მოპყრობოდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ, წინათ ჩაგრულ მრავალ ეროვნებათა მშრომელი მასების ინტერესებს. პარტია ვალდებულია გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს უწინარეს ყოვლისა ველიკორუსული შოვინიზმის ნაშთებთან. მხოლოდ ველიკორუსულ შოვინიზმთან გადამწყვეტი ბრძოლით შეიძლება უზრუნველვყოთ ამ კავშირის სიმტკიცე და უზრუნველვყოთ პარტიის გავლენა სხვა ქვეყნების მშრომელ მასებში...

ნაციონალური საკითხის შესახებ

...მაგრამ ნაციონალური საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის გასაღების პოვნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის სავესებით და საბოლოოდ გადაწყვეტას, ამ გადაწყვეტის ამოწურვას მისი

კონკრეტულ-პრაქტიკული განხორციელების მხრივ. იმისათვის, რომ ოქტომბრის რევოლუციის მიერ წამოყენებული ნაციონალური პროგრამა სწორად განვახორციელოთ, აუცილებელია კიდევ იმ დაბრკოლებათა გადალახვა, რომლებიც ჩვენ მემკვიდრეობად გადმოგვცა ნაციონალური ჩაგვრის განვლილმა პერიოდმა და რომლებიც არ შეიძლება გადალახულ იქნას მოკლე ხანში ერთი დაკვრით.

ეს მემკვიდრეობა მდგომარეობს, ჯერ ერთი, დიდმპყრობელური შოვინიზმის გადმონაშთებში, რომელიც ველიკორუსების ყოფილი პრივილეგიური მდგომარეობის ანარეკლს წარმოადგენს. ეს გადმონაშთები ჯერ კიდევ ცოცხლობენ ჩვენი ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა მუშაკების თავში, ისინი ბუდობენ ჩვენს ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებებში, ისინი მაშველ ძალას იღებენ «ახალ» სემნოვეხოვურ ველიკორუსულ-შოვინისტურ შეხედულებათა სახით, რომლებიც სულ უფრო და უფრო ძლიერდებიან ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. პრაქტიკულად ეს გადმონაშთები გამოიხატებიან რუსი საბჭოთა მოხელეების ამპარტავნულ-ათვალწუნებითს და უსულგულო-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებაში ნაციონალური რესპუბლიკების საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი. მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო შეიძლება გახდეს ნამდვილად მტკიცე, ხალხთა თანამშრომლობა კი მასში — ნამდვილად ძმური მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გადმონაშთები გადაჭრით და საბოლოოდ აღმოიფხვრება ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებების პრაქტიკაში. მდგომარეობა მთელრიგ ნაციონალურ რესპუბლიკებში (უკრაინა, ბელორუსია, აზერბაიჯანი, თურქესტანი) რთულდება იმით, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი მუშათა კლასისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს, ველიკორუსს ეროვნებას ეკუთვნის. ამ რაიონებში კავშირი ქალაქსა და სოფელს, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის უძლიერეს წინააღმდეგობას ხვდება ველიკორუსული შოვინიზმის გადმონაშთების სახით როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ორგანოებში. ამ პირობებში რუსული კულტურის უპირატესობებზე ლაპარაკი და იმ დებულების წამოყენება, რომ გარდაუვალია უფრო მაღალი რუსული კულტურის გამარჯვება უფრო ჩა-

მორჩენილი ხალხების (უკრაინულ, აზერბაიჯანულ, უზბეკურ, ყირგიზულ და სხვ.) კულტურებზე, სხვა არაფერს წარმოადგენს, თუ არა ველიკოროსული ეროვნების ბატონობის განმტკიცების ცდას. ამიტომ გადამწყვეტი ბრძოლა ველიკოროსული შოვინიზმის გადმონაშთებთან ჩვენი პარტიის პირველი მორიგი ამოცანაა.

მეორეც, ეს მემკვიდრეობა მდგომარეობს რესპუბლიკების კავშირის ეროვნებათა ფაქტიურ, ე. ი. სამეურნეო და კულტურულ, უთანასწორობაში. ოქტომბრის რევოლუციით მოპოვებული უფლებრივი ნაციონალური თანასწორობა ხალხთა დიად მონაპოვარს წარმოადგენს, მაგრამ იგი თავისთავად ვერ წყვეტს მთელ ნაციონალურ საკითხს. მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ხალხებს, რომლებსაც კაპიტალიზმი არ გაუვლიათ ან თითქმის არ გაუვლიათ, რომლებსაც თავიანთი პროლეტარიატი არა ჰყავთ ან თითქმის არა ჰყავთ და რომელნიც ამის გამო სამეურნეო და კულტურული მხრივ ჩამორჩნენ, — არ ძალუძთ მთლიანად გამოიყენონ ის უფლებანი და შესაძლებლობანი, რასაც მათ ანიჭებს ნაციონალური თანასწორუფლებიანობა, არ ძალუძთ ავიდნენ განვითარების უმაღლეს საფეხურზე და, ამრიგად, დაეწიონ წინწასულ ეროვნებებს, თუ მათ გარედან ნამდვილი და ხანგრძლივი დახმარება არ მიიღეს. ამ ფაქტიური უთანასწორობის მიზეზები ჩაქსოვილია არა მარტო იმ ხალხთა ისტორიაში, არამედ ცარიზმისა და რუსი ბურჟუაზიის პოლიტიკაშიც, რომელნიც ისწრაფოდნენ გადაეჭკიათ განაპირა მხარეები მხოლოდ და მხოლოდ სანედლეულო რაიონებად, რომელთა ექსპლოატაციას მრეწველობის მხრივ განვითარებული ცენტრალური რაიონები გასწევდნენ. ამ უთანასწორობის გადალახვა მოკლე ხანში, ამ მემკვიდრეობის მოსპობა ერთ-ორ წელიწადში შეუძლებელია. უკვე ჩვენი პარტიის X ყრილობამ აღნიშნა, რომ «ფაქტიური ნაციონალური უთანასწორობის მოსპობა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოითხოვს მედგარ და დაყინებით ბრძოლას ნაციონალური ჩაგვრისა და კოლონიური მონობის ყველა გადმონაშთის წინააღმდეგ». მაგრამ იგი აუცილებლად უნდა გადავლახოთ. და მისი გადალახვა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომ რუსი პროლეტარიატი ნამდვილად და ხანგრძლივად დაეხმაროს კავშირის ჩამორჩენილ ხალხებს მათი სამეურნეო და კულტურული წარ-

მატების საქმეში. ეს დახმარება უწინარეს ყოვლისა უნდა გამოიხატოს იმით, რომ მივიღოთ მთელი რიგი პრაქტიკული ზომები წინათ ჩაგრულ ეროვნებათა რესპუბლიკებში სამრეწველო კერების შესაქმნელად და იქ მაქსიმალურად მოვიზიდოთ ადგილობრივი მოსახლეობა. დასასრულ, ეს დახმარება, X ყრილობის რეზოლუციის თანახმად, უნდა მიმდინარეობდეს იმ ბრძოლის პარალელურად, რომელსაც მშრომელი მასები ეწევიან თავიანთი სოციალური პოზიციების განსამტკიცებლად ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით გაძლიერებული ადგილობრივი და მოსული ექსპლოატატორული ზედაფენების წინააღმდეგ. რამდენადაც ეს რესპუბლიკები უპირატესად სასოფლო-სამეურნეო რაიონებს წარმოადგენენ, შინაგანი სოციალური ღონისძიებანი უნდა წარიმართოს უწინარეს ყოვლისა იმ გზით, რომ მშრომელ მასებს მიეცეს მიწა თავისუფალი სახელმწიფო ფონდის ხარჯზე. უამისოდ საფუძველი არა გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ხალხთა სწორი და მტკიცე თანამშრომლობა მოწესრიგდება ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს ფარგლებში. ამიტომ ბრძოლა ეროვნებათა ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციისათვის, ბრძოლა ჩამორჩენილ ხალხთა კულტურული და სამეურნეო დონის ამაღლებისათვის ჩვენი პარტიის მეორე მორიგი ამოცანაა.

ბოლოს, ეს მემკვიდრეობა მდგომარეობს ნაციონალიზმის გადმონაშთებში მთელ რიგ ხალხთა შორის, რომელთაც განიცადეს ნაციონალური ჩაგვრის მძიმე მონობა და რომელნიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან ძველ ნაციონალურ შეურაცხყოფათა გრძნობისაგან. ამ გადმონაშაების პრაქტიკულ გამოხატულებას წარმოადგენს წინათ ჩაგრულ ხალხთა ერთგვარი ნაციონალური განკერძოება და რუსებისაგან მომდინარე ღონისძიებებისადმი სრული ნდობის უქონლობა. მაგრამ ზოგიერთ რესპუბლიკაში, რომელთაც შემადგენლობაში რამდენიმე ეროვნება ჰყავთ, ეს თავდაცვითი ნაციონალიზმი ხშირად იქცევა შეტევით ნაციონალიზმად, უფრო ძლიერი ეროვნების წმინდა წყლის შოვინიზმად, რომელიც მიმართულია ამ რესპუბლიკების სუსტ ეროვნებათა წინააღმდეგ. ქართული შოვინიზმი (საქართველოში), მიმართული სომხების, ოსების, აჭარლებისა და აფხაზების წინააღმდეგ; აზერბაიჯან-

ნული შოვინიზმი (აზერბაიჯანში), მიმართული სომხების წინააღმდეგ; უზბეკური შოვინიზმი (ბუხარასა და ხორეზმში), მიმართული თურქმენების და ყირგიზების წინააღმდეგ; სომხური შოვინიზმი და სხვ. — ყველა ამ სახის შოვინიზმი, რასაც ამასთანავე ხელს უწყობენ ახალი ეკონომიკური პოლიტიკისა და კონკურენციის პირობები, წარმოადგენს უდიდეს ბოროტებას, რომელიც ზოგიერთ ნაციონალურ რესპუბლიკას ჩხუბისა და კინკლაობის ასპარეზად გადაქცევას უქადის. რაღა თქმა უნდა, ყველა ეს მოვლენა აფერხებს ერთიან სახელმწიფო კავშირად ხალხთა ფაქტიური გაერთიანების საქმეს. რამდენადაც ნაციონალიზმის გადმონაშთები წარმოადგენენ ველიკოროსული შოვინიზმის წინააღმდეგ თავდაცვის თავისებურ ფორმას, გადამწყვეტი ბრძოლა ველიკოროსულ შოვინიზმთან არის ყველაზე უტყუარი საშუალება ნაციონალისტური გადმონაშთების დასაძლევად. ხოლო რამდენადაც ეს გადმონაშთები იქცევა ადგილობრივ შოვინიზმად, რომელიც მიმართულია ცალკეულ რესპუბლიკებში სუსტი ნაციონალური ჯგუფების წინააღმდეგ, პირდაპირი ბრძოლა მათთან პარტიის წევრების მოვალეობას შეადგენს. ამიტომ ბრძოლა ნაციონალისტურ გადმონაშთებთან და, უწინარეს ყოვლისა, ამ გადმონაშთების შოვინისტურ ფორმებთან ჩვენი პარტიის მესამე მორიგი ამოცანაა.

8. ძველის მემკვიდრეობის ერთ-ერთ მკაფიო გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ცენტრში და ადგილებზე მომუშავე საბჭოთა მოხელეების თვალსაჩინო ნაწილი რესპუბლიკების კავშირს უყურებს არა როგორც თანასწორუფლებიან სახელმწიფოებრივ ერთეულთა კავშირს, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ნაციონალური რესპუბლიკების თავისუფალი განვითარება, არამედ როგორც ნაბიჯს ამ რესპუბლიკების ლიკვიდაციისაკენ, როგორც ეგრეთწოდებული «ერთიანი-განუყოფელის» შექმნის დასაწყისს.

ძველის მემკვიდრეობის ასეთივე შედეგად უნდა ჩაითვალოს რუსეთის სფს რესპუბლიკის ზოგიერთი უწყების მისწრაფება — დაიმორჩილონ ავტონომიური რესპუბლიკების დამოუკიდებელი კომისარიატები და გზა გაიკვლიონ ამ უკანასკნელთა ლიკვიდაციისაკენ.

ყრილობა გმობს ასეთ გაგებას, როგორც ანტიპროლეტა-

რულსა და რეაქციულს, აცხადებს ნაციონალური რესპუბლიკების არსებობისა და შემდგომი განვითარების აბსოლუტურ აუცილებლობას და მოუწოდებს პარტიის წევრებს ფხიზლად ადევნონ თვალყური იმას, რომ რესპუბლიკების გაერთიანება და კომისარიატების შეერთება შოვინისტურად განწყობილმა საბჭოთა მოხელეებმა არ გამოიყენონ საფარველად თავიანთი ცდებისა — უგულბებლყოფნა ნაციონალური რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურული საჭიროებანი. კომისარიატების შეერთება საბჭოთა აპარატის გამოცდაა: ამ ცდამ პრაქტიკაში დიდმპყრობელური მიმართულება რომ მიიღოს, პარტია იძულებული გახდებოდა ეხმარა ასეთი დამახინჯების წინააღმდეგ ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებანი, დაესვა ზოგიერთი კომისარიატის შერწყმის გადასინჯვის საკითხიც კი, ვიდრე საბჭოთა აპარატი სათანადოდ არ იქნებოდა ხელახლა აღზრდილი ისეთი სულისკვეთებით, რომ იგი ნამდვილად პროლეტარული და ნამდვილად ძმური ყურადღებით ეკიდებოდეს მცირე და ჩამორჩენილ ეროვნებათა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს...

1. ჩვენი პარტიის ორგანიზაციების განვითარება ნაციონალური რესპუბლიკების უმრავლესობაში მიმდინარეობს ისეთ პირობებში, რომლებიც სავსებით როდი უწყობენ ხელს მათს ზრდასა და განმტკიცებას. ამ რესპუბლიკების ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ ნაციონალური პროლეტარიატის მცირერიცხოვნობამ, ადგილობრივ ადამიანთაგან გამოსული ძველი პარტიული მუშაკების კადრების ნაკლებობამ და არარსებობამაც კი, სერიოზული მარქსისტული ლიტერატურის უქონლობამ დედაენაზე, პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტემ, ბოლოს, რადიკალურ-ნაციონალისტური ტრადიციების გადმონაშთების არსებობამ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გაქარწყლებულა, — ყოველივე ამან წარმოშვა ადგილობრივ კომუნისტთა შორის განსაზღვრული გადახრა ნაციონალურ თავისებურებათა გაზვიადებით შეფასებისაკენ, პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების სათანადოდ შეუფასებლობისაკენ, გადახრა ნაციონალიზმისაკენ. ეს მოვლენა განსაკუთრებით საშიში ხდება იმ რესპუბლიკებში, სადაც რამდენიმე ეროვნებაა, სადაც იგი ხშირად იღებს შოვინისტურ ხასიათს უფრო ძლიერი ეროვნების კომუნისტთა გადახრის ფორმას, რომელიც თავისი მახვილით მიმართულია სუსტ ეროვნებათა კომუნისტების წი-

ნააღმდეგ (საქართველო, აზერბაიჯანი, ბუხარა, ხორეზმი), ნაციონალიზმისაკენ გადახრა მავნებელია იმ მხრივ, რომ იგი, აფერხებს რა ნაციონალური ბურჟუაზიის იდეური გავლენისაგან ნაციონალური პროლეტარიატის განთავისუფლების პროცესს, აძნელებს სხვადასხვა ეროვნების პროლეტარების ერთიან ინტერნაციონალისტურ ორგანიზაციად დარაზმვის საქმეს.

2. მეორე მხრივ, ძველი, წარმოშობით რუსი პარტიული მუშაკების მრავალრიცხოვან კადრების არსებობამ როგორც პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებში, ისე ნაციონალური რესპუბლიკების კომპარტიების ორგანიზაციებში, კადრებისა, რომლებიც არ იცნობენ ამ რესპუბლიკების მშრომელი მასების ზნე-ჩვეულებებსა და ენას და ამიტომ ყოველთვის გულისხმიერნი როდი არიან მათი მოთხოვნილებებისადმი, — წარმოშვა ჩვენს პარტიაში გადახრა ნაციონალურ თავისებურებათა და ნაციონალური ენის სათანადოდ შეუფასებლობისაკენ პარტიულ მუშაობაში, ქედმაღლურ-ათვალწუნებითი დამოკიდებულება ამ თავისებურებათადმი, გადახრა ველიკოროსული შოვინიზმისაკენ. ეს გადახრა მავნებელია არა მარტო იმიტომ, რომ იგი, აფერხებს რა ადგილობრივ ადამიანთაგან კომუნისტური კადრების შექმნის საქმეს, რომელთაც ნაციონალური ენა იციან, ქმნის ნაციონალური რესპუბლიკების პროლეტარული მასებისაგან პარტიის მოწყვეტის საფრთხეს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომაც, რომ იგი კვებავს და ზრდის ზემოთ დახასიათებულ გადახრას ნაციონალიზმისაკენ და აძნელებს მასთან ბრძოლას.

3. გმობს რა ორივე ამ გადახრას, როგორც კომუნიზმის საქმისათვის მავნესა და საშიშს, და მიაქცევს რა პარტიის წევრების ყურადღებას იმას, რომ ველიკოროსული შოვინიზმისაკენ გადახრა განსაკუთრებით მავნე და განსაკუთრებით საშიშია, ყრილობა მოუწოდებს პარტიას რაც შეიძლება მალე აღმოფხვრას ძველის ეს გადმონაშთები ჩვენს პარტიულ მშენებლობაში.

პრაქტიკულ ღონისძიებათა სახით ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს განახორციელოს:

ა) უმაღლესი ტიპის მარქსისტული წრეების შექმნა ნაციონალური რესპუბლიკების ადგილობრივი პარტიული მუშაკებისაგან;

ბ) პრინციპული მარქსისტული ლიტერატურის განვითარება დედაენაზე;

გ) აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის და მისი ადგილობრივი განყოფილებების გაძლიერება;

დ) ნაციონალური კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან ადგილობრივი მუშაკებისაგან ინსტრუქტორთა ჯგუფების შექმნა;

ე) მასობრივი პარტიული ლიტერატურის განვითარება დედაენაზე;

ვ) პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება რესპუბლიკებში;

ზ) ახალგაზრდობაში მუშაობის გაძლიერება რესპუბლიკებში.

4. იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს პასუხისმგებელი მუშაკების მოღვაწეობას ავტონომიურ და დამოუკიდებელ რესპუბლიკებში და საერთოდ განაპირა მხარეებში (ამა თუ იმ რესპუბლიკის მშრომელთა კავშირის განხორციელება მთელი დანარჩენი კავშირის მშრომელებთან), ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს იზრუნოს ამ მუშაკთა განსაკუთრებით გულმოდგინედ შერჩევისათვის, რათა მათი შემადგენლობა სავსებით უზრუნველყოფდეს ნაციონალურ საკითხზე პარტიის გადაწყვეტილებათა ნამდვილად გატარებას ცხოვრებაში.

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 882, 918—922,
924—925.

რკპ (პ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან ჩატარებული მეოთხე თათბირის რეზოლუციებიდან

1928 წლის 9—12 ივნისი

სულთან გალიევის საჩემო

6. თათბირი ანგარიშს აძლევს თავის თავს იმაში, რომ გადახრა ნაციონალიზმისაკენ რესპუბლიკებისა და ოლქების ადგილობრივ მუშაკთა ნაწილში წარმოადგენს რეაქციას ველი-

კოროსული შოვინიზმის წინააღმდეგ, რამაც თავისი გამოხატულება პოვა ადგილებზე მომუშავე რუსი ამხანაგების მთელ რიგ შეცდომებში და რომელთან ბრძოლაც შეადგენს პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მორიგ ამოცანას, და რომ ნაციონალიზმისაკენ ამ გადახრის მახინჯ გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს, ყოველ შემთხვევაში მის დასაწყის სტადიაში, სულთან გალიევის⁴⁴ საქმიანობა. მაგრამ ამავე დროს თათბირს არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ სულთან გალიევის ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა მუშაობის წინააღმდეგ შეიძლებოდა გამაფრთხილებელი ზომების მიღება ანდა, ყოველ შემთხვევაში, თავის დროზე მისი უვნებელყოფა პარტიული წესით, — თვით ადგილობრივ მუშაკებს რომ ეწარმოებინათ სისტემატური და გადამწყვეტი ბრძოლა ნაციონალიზმისაკენ გადახრის წინააღმდეგ აღმოსავლეთ რესპუბლიკებში, განსაკუთრებით კი თათრეთსა და ბაშკირეთში, სადაც სულთან-გალიევიშინამ ერთგვარი გავრცელება პოვა.

7. ამიტომ თათბირს მიაჩნია, რომ ჩვენი პარტიის მორიგ ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე ნამდვილი ინტერნაციონალისტური კომუნისტური კადრების გამოზრდა ადგილობრივი ადამიანებიდან რესპუბლიკებსა და ოლქებში, განსაკუთრებით კი პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ელემენტებიდან, რომლებიც საკმაოდ მოქნილნი იქნებოდნენ იმისათვის, რომ ჩაებათ საბჭოთა მუშაობაში ადგილობრივი ინტელიგენციის ყველა რამდენადმე ლოიალური ელემენტი, და რომლებიც საკმაოდ ურყევენი იქნებოდნენ იმისათვის, რომ გაეძლოთ მენშევიკურ-ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ აზრთა ქროლვისათვის და გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინათ როგორც ნაციონალიზმისაკენ გადახრის წინააღმდეგ, ასევე იმისათვის, რომ მოესპოთ ნაციონალური უთანასწორობის გადმონაშთები, რომლებიც აძლიერებენ ამ გადახრას.

8. კომუნისტურმა ორგანიზაციებმა რესპუბლიკებსა და ოლქებში უმკაცრესად უნდა ადევნონ თვალი იმას, რომ სასტიკად დაიცვან პარტიის არა მარტო ორგანიზაციული, არამედ იდეური საზღვრებიც. თუ პარტიულმა ორგანიზაციამ ანგარიში უნდა გაუწიოს არა მარტო ნაციონალურ, არამედ ნაციონალისტურ განწყობილებებსაც კი, რამდენადაც ისინი ეუფლებიან ხალხის ფართო წრეებს, მეორე მხრივ, მან არ უნ-

და დაუშვას, რომ მისი რომელიმე ნაწილი გაითქვიფოს ამ განწყობილებებში. ნაციონალური პოლიტიკის ამა თუ იმ ცვლილებისთვის ბრძოლა კომუნისტს სხვაგვარად არ შეუძლია, თუ არა პარტიული ორგანიზაციის საშუალებით და მკაცრი პარტიული გზით.

პარტიის XII ყრილობის მიერ ნაციონალურ საკითხზე მიღებული რეზოლუციის განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი

განაპირა მხარეებში მყოფ კომუნისტს უნდა ახსოვდეს: მე კომუნისტი ვარ, ამიტომ მოცემულ გარემოსთან შეფარდებით უნდა ვიმოქმედო და დათმობებზე წავიდე იმ ადგილობრივი ნაციონალური ელემენტების მიმართ, რომელთაც სურთ და შეუძლიათ ლოიალურად იმუშაონ საბჭოთა სისტემის ჩარჩოებში. ეს კი არ გამოორიცხავს, არამედ გულისხმობს სისტემატურ იდეურ ბრძოლას მარქსიზმის პრინციპებისა და ნამდვილი ინტერნაციონალიზმისათვის ნაციონალიზმისაკენ გადახრის წინააღმდეგ. მხოლოდ ამნაირად შეგვეძლება წარმატებით დავძლიოთ ადგილობრივი ნაციონალიზმი და საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოვიყვანოთ ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ფენები.

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 1, გვ. 984—987.

რკპ (ზ) მეთერთმეტე კონფერენციის რეზოლუციიდან

1925 წლის 27—29 აპრილი

თენისები კომინტერნისა და რკპ (ზ) ამოცანების შესახებ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ კლენუშთან დაპაპუშირებით, მიღებული რკპ (ზ) XIV კონფერენციის მიერ

...საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ახლანდელ პერიოდში ჩვენს პარტიას შეიძლება ემუქრებოდეს ორი საფრთხე: 1) გადახრა პასიურობისაკენ, რაც გამომდინარეობს აქა-იქ დასახული კაპიტალიზმის სტაბილიზაციისა და საერთაშორისო რევოლუციის შენელებული ტემპის მეტისმეტად ფართო გაგებიდან, საკმაო იმპულ-

სის უქონლობა სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად ენერგიული და სისტემატური მუშაობისადმი, მიუხედავად საერთაშორისო რევოლუციის შენელებული ტემპისა, და 2) გადახრა ნაციონალური შეზღუდულობისაკენ, საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციონერთა მოვალეობის დავიწყება, შეუგნებელი უგულებელყოფა სსრ კავშირის ბედის უმჭიდროესი დამოკიდებულებისა საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციისაგან, რომელიც თუმცა ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება; იმის გაუგებლობა, რომ არა მარტო საერთაშორისო მოძრაობა საჭიროებს მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს არსებობას, განმტკიცებას და მისი სიმძლავრის გადიდებას, არამედ სსრ კავშირის პროლეტარიატის დიქტატურაც საჭიროებს საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებას.

რუსეთის კომუნისტური პარტია ორივე ამ საფრთხეს უნდა ხედავდეს და ორივე შესაძლო გადახრას გადამწყვეტი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს.

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 2, გვ. 223.

ყირგიზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ სპ. კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

1928 წლის 7 მაისი

...ეროვნებათა (მათ შორის რუსთა და ყირგიზეთა) ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა ზომების მიღება, რათა ყირგიზეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულების ჩამოყალიბებით, ეროვნული უმცირესობა (ყერძოდ რუსები) უფრო მეტად ჩაებას საბჭოთა მშენებლობის საქმეში...

იმ მიზნით, რომ გაჯანსაღდეს, ორგანიზაციულად განმტკიცდეს ყირგიზეთის რესპუბლიკის პარტორგანიზაცია, აგრეთვე გაძლიერდეს მისი აქტივობა გავლენის მოპოვებისა და ღარიბ და საშუალო გლეხობის ფართო მასებისადმი ნამდვილი

ხელმძღვანელობისათვის ბრძოლაში, აუცილებლად უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. გაჩაღდეს აქტიური ბრძოლა ეგრეთწოდებულ გვაროვნულ დაჯგუფებებსა და გვაროვნულ ბრძოლებში კომუნისტთა პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობის წინააღმდეგ.

2. მოეწყოს კამპანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის იმ საყოფაცხოვრებო გადმონაშთთა განსაკუთრებული მავნეობის განსამარტავად, რასაც ბაები და მანაპები ღარიბი მოსახლეობის ექსპლოატაციისა და დაკაბალებისათვის იყენებენ.

Справочник партийного работника.
Вып. VI, часть 2, Госиздат, 1928, стр. 249.

საკ. კვ (ბ) მეთხუთმეტე პრილოვის რეზოლუციიდან

1927 წლის 2—19 დეკემბერი

ენებრალური კომიტეტის ანგარიშის გამო

მიუხედავად სოციალისტური სამეურნეო ბირთვის წამყვანი და სულ უფრო მზარდი როლისა, სსრ კავშირის ეკონომიკის მწარმოებლური ძალების აღმავლობას გარდაუვალად თან სდევს კლასობრივ წინააღმდეგობათა ნაწილობრივი ზრდა. ქალაქისა და სოფლის კერძოკაპიტალისტური ფენები, რომელთაც კავშირი აქვთ გაბმული საბჭოთა და სამეურნეო აპარატის ზოგიერთ ბიუროკრატიულ ელემენტთან, ისწრაფვიან გააძლიერონ თავიანთი წინააღმდეგობა მუშათა კლასის შეტევისადმი, ცდილობენ მოახდინონ პროლეტარული დიქტატურისათვის მტრული გავლენა მოსამსახურეებისა და ინტელიგენციის გარკვეულ ფენებზე, შინამრეწველთა და ხელოსანთა, გლეხთა და მუშათა ჩამორჩენილ ფენებზე. ეს გავლენა აშკარავდება აგრეთვე კულტურულ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროში (სმენოვეხელობის ქადაგება, კულაკური «გლეხთა კავშირის» ლოზუნგი, შოვინიზმი, ანტისემიტიზმი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ «თავისუფლებათა» ქადაგება და მასთან დაკავშირებული ორი პარტიის წვრილბურჟუაზიული ოპოზიციური ლოზუნგი და სხვ.). კაპიტალისტური ელემენტების ამ მტრულ გავლენას და მზარდ აქტივობას მუშათა კლასმა საკ.

კბ (ბ) მეთაურობით დაუპირისპირა პროლეტარული დიქტატურის რეჟიმის განმტკიცება, პროლეტარული მასების აქტივობის, თვითმოქმედებისა და კულტურულობის კიდევ უფრო მეტი აღმავლობა (საბჭოების გამოცოცხლება, პროფკავშირული დემოკრატიისა და კოოპერაციული საზოგადოებრიობის გაფართოება, სოფელზე პროლეტარიატის იდეური ზეგავლენის გაძლიერება, კულტურულ-აღმზრდელიობითი მუშაობა მასებში და სხვ.), აგრეთვე პროლეტარიატის იდეური გავლენის გაძლიერება საბჭოთა ინტელიგენციის ფართო ფენებზე. აღნიშნავს რა ბრძოლის ამ ფრონტზე მთელ რიგ უეჭველ წარმატებებს, ყრილობას საჭიროდ მიიჩნია მომავალშიც პროლეტარული მასების ყოველმხრივი მობილიზაცია და ბრძოლის განსაკუთრებული გაძლიერება იდეოლოგიურ და კულტურულ ფრონტზე...

XV ყრილობა აღნიშნავს, რომ, მიუხედავად პარტიის XIII ყრილობის გაფრთხილებისა, რომელმაც აღნიშნა ტროცკის ჯგუფის «წვრილბურჟუაზიული გადახრა», და მიუხედავად XV საკავშირო პარტკონფერენციის გაფრთხილებისა ტროცკის ხელმძღვანელობით გაერთიანებული ოპოზიციის «სოციალ-დემოკრატიული გადახრის» შესახებ, ოპოზიცია, რომელმაც თავისი ცალკე პარტია შექმნა, თვიდან თვემდე განაგრძობდა თავისი რევიზიონისტული შეცდომების გაღრმავებას, ბრძოლას საკ. კბ (ბ) და ლენინის მოძღვრების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა გადაჰქონდა საკ. კბ (ბ) ფარგლებს გარეთ და მიმართავდა ჩვენს ქვეყნის არაპროლეტარულ ელემენტებს პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ. საერთაშორისო კომუნიზმის რენეგატებთან (მასლოვ-სუვარინი და მათი კომპანია) აშკარა ბლოკში მყოფი ოპოზიციის იდეოლოგია ამჟამად ჩამოყალიბდა და გაფორმდა, როგორც მ ე ნ შ ე ვ ი ზ მ ი თავისებური ტროცკისტული ფორმულირებით. საბჭოთა სახელმწიფო საწარმოების სოციალისტური ხასიათის უარყოფამ, ჩვენს ქვეყანაში ძღვეამოსილი სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობის უარყოფამ, მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების კავშირის პოლიტიკის უარყოფამ, ბოლშევიზმის ორგანიზაციული პრინციპების უარყოფამ (საკ. კბ (ბ) და კომინტერნის გათიშვის პოლიტიკა) ტროცკისტულ-მენშევიკური იმპოზიციის ლოგიკურად მიიყვანა იქამდე, რომ ცილს ხწა-

მებს სსრ კავშირს, როგორც გადაგვარებულ თერმიდორულ სახელმწიფოს, უარყოფს პროლეტარულ დიქტატურას სსრ კავშირში და აწარმოებს კონტრარევოლუციურ ბრძოლას ამ დიქტატურის წინააღმდეგ.

ყოველივე ამის შედეგად ოპოზიციამ იდეური კავშირი გაწყვიტა ლენინიზმთან, გადაგვარდა მენშევიკურ ჯგუფად, დადგა კაპიტულაციის გზას საერთაშორისო და შინაური ბურჟუაზიის ძალების წინაშე და ობიექტურად გადაიქცა მესამე ძალის იარაღად პროლეტარული დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ გაუწიეს ოპოზიციას გამანადგურებელი წინააღმდეგობა როგორც პარტიის წევრთა მთელმა მასამ, ისე მთელმა მუშათა კლასმა.

ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ყველა გადაწყვეტილებას, მიმართულს ტროცკისტების დეზორგანიზაციის წინააღმდეგ, XV ყრილობა თვლის აბსოლუტურად სწორად, მინიმალურად-აუცილებლად და ავალებს ცენტრალურ კომიტეტს რადაც უნდა დაჯდეს მომავალშიც უზრუნველყოს პარტიის ლენინური ერთიანობა.

იღებს რა მხედველობაში, რომ უთანხმოება პარტიასა და ოპოზიციას შორის ტაქტიკური ხასიათის უთანხმოებიდან გადაიზარდა პროგრამულ უთანხმოებად, რომ ტროცკისტული ოპოზიცია ობიექტურად ანტისაბჭოთა ბრძოლის ფაქტორად იქცა, XV ყრილობა ტროცკისტული ოპოზიციისადმი მიკუთვნებას და მის შეხედულებათა პროპაგანდას ბოლშევიკური პარტიის რიგებში ყოფნასთან შეუთავსებლად აცხადებს.

საქ. კპ (ბ) სახელით, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის სახელით XV ყრილობა გამოთქვამს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების მტკიცე პროლეტარულ რწმენას, მიუხედავად ყველა სიძნელისა. პროლეტარიატის დიქტატურის ათი წლის არსებობის მსოფლიო-ისტორიული გამოცდილება ბრწყინვალედ ადასტურებს იმ ლენინური გზის სისწორეს, რომელსაც ადგას საქ. კპ (ბ) ყრილობა. წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს მტკიცედ გასწიოს წინ ამ გზით, ჩვენი ქვეყნის სულ უფრო მეტი მშრომელი მასები დარაზმოს სოციალისტური მშენებლობის დროშის ქვეშ, განამტკიცოს სოლიდარობის ძმური კავშირი ყველა ქვეყნის პროლეტარიატ-

თან, წლითიწლობით გადააქციოს სსრ კავშირი მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის სულ უფრო მძლავრ ფორპოსტად.

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 2, გვ. 566—567,
568—569.

ყაზახეთის პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ სპ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

1928 წლის 8 მაისი

...უკანასკნელი 2—3 წლის მანძილზე ეროვნული პოლიტიკის სწორად გატარების შედეგად, რაც მოსახლეობის უღარიბეს და მშრომელ ფენებს შორის წარმოებულ მასობრივ მუშაობას ეყრდნობოდა, ყაზახეთის პარტიულ ორგანიზაციას აქვს მთელი რიგი წარმატებები. გაუმჯობესდა ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობა, ყაზახთა წრიდან თუმცა ძალზე ნელა, მაგრამ მაინც იზრდებიან მარქსისტული კადრები, საგრძნობლად შემცირდა დაჯგუფებათა ბრძოლა ორგანიზაციის ყაზახურ ნაწილში, შემცირდა აგრეთვე ეროვნებათა შორის უთანხმოებანი თვით პარტიულ ორგანიზაციაში.

განვიღო პერიოდში ყაზახეთის ორგანიზაციისა და სამხარეო კომიტეტის მუშაობაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, რომელთაგანაც უმთავრესია:

1. შეცდომები მიწათმოწყობის საკითხის გადაჭრაში (V კონფერენციის გადაწყვეტილება მიწათმოწყობის რიგისობაზე), დაუშვებელი ზოზინი და საჭირო ზომების დროულად მიუღებლობა ცენტრალური კომიტეტისა და რსფსრ მთავრობის იმ მითითების შესასრულებლად, რომ გადაჭრილიყო მიწის საკითხი და ამ საკითხთან დაკავშირებული ეროვნებათაშორის არსებული უთანხმოებანი...

ყაზახეთის პარტიულმა ორგანიზაციამ თავისი შემდგომი მუშაობის ყურადღების ცენტრში უნდა დააყენოს შემდეგი:

...2. ორგანიზაციის ყაზახურ ნაწილში დაჯგუფებათა ბრძოლის აღმოფხვრა, პირველ რიგში ყაზახთაგან ახალი ინტერნა-

ციონალისტური პარტიული აქტივის დაწინაურებითა და მარქსისტული აღზრდის გზით.

3. მიწათმოწყობასა და უმთაერესად ამ ნიადაგზე წარმოშობილი ეროვნებათაშორისო უთანხმოების თაობაზე ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის 19 იანვრის მითითებათა სწორად და მტკიცედ გატარება.

4. მიმდინარე წელს ყაზახეთის მთლიანი დარაიონების გატარება (რაიონებისა და ოკრუგების გამოყოფა). ამასთან ერთად უნდა მოხდეს საბჭოთა აპარატში მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა ჩაბმა, ეროვნულ უმცირესობათა (რუსების, ტარაგინელების და სხვ.) რაიონების გამოყოფა და მუშათა და გლეხთა აპარატის ყველა რგოლში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ლარიბთა და მოჯამაგირეთა დაწინაურება როგორც ყაზახებიდან, ისე სხვა ეროვნებებიდანაც.

«Известия Центрального Комитета
Всесоюзной Коммунистической партии (б)»
№ 16—17 (237—238), 25 мая 1928 г., стр. 11.

აზიატციის, პროკაპანდისა და კულტურული მხედველობის საკითხებზე საკავშირო მამულის მასალებიდან

1928 წლის მაისი—ივნისი

1. აზიატციის, პროკაპანდისა და კულტურული მხედველობის კირითადი ანოცანები

... ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ - კ უ ლ ტ უ რ უ ლ მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა -
ში, სსრკ ხალხთა ნაციონალური კულტურის საერთო აღმავ-
ლობასა და პროლეტარული პოზიციების განმტკიცებასთან ერ-
თად, რამდენადმე თავს იჩენს დიდმპყრობელური შოვინიზმის
ტენდენციისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის ზრდა. არის
ცდები ნაციონალური კულტურის განვითარების ბურჟუა-
ზიულ-დემოკრატიული გზით წარმართვისა (ორიენტაცია
«კულტურულ» დასავლეთზე, ნაციონალური კულტურის გან-
ვითარებაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის უარყოფ-
ვა, ნაციონალურ «სიძველეთა» იდეალიზაცია და ა. შ.).

...პროლეტარიატის შემდგომი აქტიური შეტევის აუცილებ-
ლობა იდეოლოგიის, კულტურისა და ყოფაცხოვრების სფერო-

ში, განსაკუთრებით კლასობრივი მტრის მხრივ კონტრშეტევის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით, კულტურულ ფრონტზე კომუნისტების მუშაობაში მკაფიო კლასობრივი მიმართულებას მოითხოვს.

«Справочник партийного работника»,
вып. VII, ч. I, Госиздат, 1930, стр. 412.

ყირიმის პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ სპ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

1928 წლის 8 აგვისტო

ყირიმში საბჭოთა ორგანოების მუშაობის შესახებ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ გამოვლინდა მთელი რიგი ...სერიოზული ნაკლოვანებები, რაც მასებთან საბჭოთა ორგანოების სუსტი კავშირის, მუშათა კლასისათვის უცხო ელემენტებით მათი მეტისმეტად დანაგვიანებისა და მთელ რიგ შემთხვევებში საბჭოთა ორგანოებზე კულაკებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ჯგუფების გავლენის შედეგია. მიწათმოწყობის გატარებისას და საკრედიტო პოლიტიკაში არც თუ იშვიათად ილაზებოდა ღარიბთა და მცირე შეძლების მქონე გლეხთა ინტერესები: ზოგიერთ შემთხვევაში ეროვნული პოლიტიკის გატარებისას (ებრაული კოლონიების ორგანიზაციისას, გერმანულ რაიონებში საგადასახადო პოლიტიკის გატარებისას) ამრუდებდნენ პარტიულ ხაზს. საბჭოების ხელახალი არჩევნების ჩატარებისას მრუდდებოდა კლასობრივი ხაზი და სხვ.

ამასთან ერთად ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ ყირიმის საბჭოთა ორგანოების მუშაობაში არსებული დამახინჯებანი პარტიული ხელმძღვანელობის მთელ რიგ უდიდეს ნაკლოვანებებთან არის დაკავშირებული, რაც უმთავრესად ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული ღირეჟტივების გაუტარებლობის შედეგია:

...ხელმძღვანელ ორგანოებში არ წყდებოდა იმ ჯგუფების ბრძოლა, რომელთა ზოგიერთმა ელემენტმა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან კავშირიც კი დაამყარა...

ყირიმში პარტორგანიზაციისა და საბჭოთა აპარატის მდგო-

მარეობის გაჯანსაღების მიზნით ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ მიიჩნევს... გადამწყვეტი ბრძოლა გააჩალოს ორგანიზაციაში არსებულ ჯგუფობრიობასთან, დაძლიოს მისი ნაშთები პრაქტიკულ მუშაობაში მასების ფართო მონაწილეობისა და ორგანიზაციაში დაწყებული თვითკრიტიკის მეთოდების გაშლის საფუძველზე მთელი ორგანიზაციის ნამდვილი შეკავშირებით.

«Справочник партийного работника»,
вып. VII, часть I, стр. 331.

იაკუბის პარტორგანიზაციაში უაქმნილი მდგომარეობის შესახებ სპ. კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

1928 წლის 9 აგვისტო

საოლქო კომიტეტმა დაუშვა მთელი რიგი სერიოზული შეცდომებისა, როდესაც ახორციელებდა პარტიის პოლიტიკას საბჭოთა მშენებლობაში ეროვნული ინტელიგენციის ჩასაბმელად, რადგანაც მხარს უჭერდა იაკუბის ინტელიგენციის ნაციონალისტურად განწყობილი ზედა ფენის ნაწილს, სისტემატურად აწინაურებდა მას ხელმძღვანელ სამუშაოზე და ამასთანავე არ იჩინდა მის მიმართ სათანადო კრიტიკულ დამოკიდებულებას, ამით კი პარტიის გავლენის ხარჯზე მის პოლიტიკურ როლს აძლიერებდა.

ამ შეუსაბამობამ განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი საოლქო კომიტეტის მიერ ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკულად გატარებისას უკანასკნელ პერიოდში, როდესაც მშრომელთა აქტივობის ზრდის საფუძველზე გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ საბჭოთა მშენებლობაში ფართოდ მიგვეზიდა მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო ფენების საუკეთესო ნაწილის ახალი კადრები. ამან პარტორგანიზაციები და საბჭოთა ორგანოები ულუსის მშრომელ მასებთან კავშირის შესუსტებამდე მიიყვანა.

საოლქო კომიტეტის ამ ხაზის საფუძველზე მოხდა უცხო ელემენტებით საბჭოთა აპარატის დიდი დანაგვიანება და მასზე ნაციონალისტური ინტელიგენციის გავლენის ზრდა, რამაც

საოლქო კომიტეტი საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში, განსაკუთრებით ვაჭრობისა და კრედიტის საკითხებში კლასობრივი ხაზის დამახინჯებამდე მიიყვანა...

ცენტრალური კომიტეტი შემდგომ ავალებს იაკუტის საოლქო კომიტეტს... გაშალოს მუშაობა მუშათა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა ფენებიდან პარტიული კადრების მოსამზადებლად. იაკუტურ ენაზე გამოიცეს პროგრამა, წესდება და უმნიშვნელოვანესი პარტიული ლიტერატურა.

«Справочник партийного работника»,
вып. VII, ч. I, стр. 350.

საქართველოს კომპარტიის მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ სპ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

1928 წლის 8 სექტემბერი

რადგან საქართველოში მრავლად მოიპოვებიან წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის კადრები, რომელთა ცალკეული ჯგუფები ჯერ კიდევ ნაციონალისტურად არიან განწყობილნი, საჭიროა მებრძოლი შოვინიზმისა და ამ ელემენტების ყოველგვარი ელფერის მენშევიზმის იდეოლოგიასთან შეუსუსტებელი ბრძოლის წარმოებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბჭოებისადმი თანაგრძნობით განწყობილი ინტელიგენციის (განსაკუთრებით ქვედა ფენის ინტელიგენციის) ფართო მასების ჩაბმას აქტიურ სოციალისტურ მშენებლობაში და მუშურ-გლეხური ინტელიგენციის ახალი კადრების აღზრდას.

გაზ. «კომუნისტი»,
1928 წლის 12 სექტემბერი.

**საპ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
ცენტრალური საკონტროლო კომისიის
გაერთიანებული პლენუმის რეზოლუციიდან**

1929 წლის 16—28 აპრილი

შინაპარტიულ საქმეებზე

4. მემარჯვენე გადახრას ფესვები აქვს გადგმული წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიაში, რომელიც გარემოიცავს მუშათა კლასს. პარტიის შიგნით მემარჯვენე გადახრის ბაზას წარმოადგენენ პარტიის არაპროლეტარული სექტორის ელემენტები, რომლებიც ყველაზე მეტად მერყევენი არიან, წვრილბურჟუაზიული გავლენისა და გადაგვარების საფრთხეს განიცდიან, და მუშების ის ფენები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გაუვლიათ ხანგრძლივი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა და რომლებიც დაკავშირებული არიან სოფელთან და ქალაქის წვრილ ბურჟუაზიასთან. ბუხარინის ჯგუფის 9 თებერვლის პლატფორმა და ის შეხედულებანი, რომლებსაც იცავდნენ ამ ჯგუფის წევრები ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე, წარმოადგენენ აპელაციას ამ მერყევი ელემენტებისადმი და ობიექტურად ხელს უწყობენ მემარჯვენე გადახრის ჩამოყალიბებას პარტიაში.

რამდენადაც პარტიამ მიაღწია გადამწყვეტ წარმატებას ტროცკიზმის მხილების მხრივ როგორც თავის რიგებში, ისე მუშათა კლასის ფართო მასებში, შინაპარტიული პოლიტიკის მთავარი ამოცანა ახლანდელ პირობებში უნდა იყოს მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლური დამოკიდებულების სრული დაძლევა. ეს ამოცანა უნდა გადაწყდეს როგორც მემარჯვენე გადახრის ანტილენინური თეორიისა და პოლიტიკის სისტემატური მხილების ხაზით, ისე პარტიული, პროფკავშირული, საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში მემარჯვენე გადახრის გამოვლენათა წინააღმდეგ უღმობელი ბრძოლის ხაზით. ლენინური პარტიის რიგებში, რომლის ძირითადი კადრები გამოწრთობილი არიან მრავალი წლის ბრძოლით ოპორტუნისმის წინააღმდეგ, აშკარად ოპორტუნისტული მემარჯვენე გადახრა არ შეიძლება შეხვდეს რამდენადმე

მინც ფართო აშკარა მხარდაჭერას. მით უფრო საშიშია მემარჯვენე გადახრის ფარული ფორმა, რომლითაც ოპორტუნისტული ელემენტები, პარტიის გადაწყვეტილებებთან ოფიციალური თანხმობის საფარქვეშ, ნამდვილად ამახინჯებენ მის კლასობრივ ხაზს. ამიტომ მემარჯვენე გადახრის მხილება პრაქტიკულ მუშაობაში უნდა წარმოადგენდეს პარტიაში ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს.

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 2, გვ. 717—718.

უზბეკეთის პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ საპ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

1929 წლის 25 მაისი

...ქალაქისა და სოფლის ფეოდალურ და კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური ელემენტების შეტევა იწვევს ვაჭრების, ბაების, სასულიერო პირთა გააფთრებულ წინააღმდეგობას, რომელთაც ნაციონალისტური ინტელიგენცია ეხმარება. პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზია ცდილობს ნაციონალ-შოვინიზმი გააღვივოს. აღნიშნავს რა მნიშვნელოვან მიღწევებს მტრულ ნაციონალისტურ იდეოლოგიასთან ბრძოლაში, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს უზბეკეთის ცენტრალურ კომიტეტს, იდეოლოგიურ ფრონტზე, კერძოდ, სკოლებში, ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შეუსუსტებლად დასახოს მთელი რიგი ღონისძიებები და შექმნას იმის პირობები, რომ ნამდვილად საბჭოთა ინტელიგენცია უფრო ენერგიულად ჩააბას მუშაობასა და უზბეკეთის სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობაში.

ამავე დროს განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა ველიკორუსული შოვინიზმის წინააღმდეგ. რომელიც შენარჩუნებულია და ვითარდება არა მარტო ქალაქის მოსახლეობის წვრილბურჟუაზიულ და ჩინოვნიკურ ფენებში, არამედ მუშათა ცალკეულ ფენებშიც. ძლიერდება ნაციონალ-შოვინიზმი, რომელიც გავლენას ახდენს უზბეკე-

თის ორგანიზაციის პარტიის წევრთა ცალკეულ ჯგუფებზეც; რის გამოც ადგილი აქვს, ერთი მხრივ, ველიკორუსული შოვინიზმისა და, მეორე მხრივ, ველიკოუზბეკური შოვინიზმის ელემენტების გამოვლინებას, განსაკუთრებით ტაჯიკების, მკვიდრი ებრაელებისა და სხვათა მიმართ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს უზბეკეთის ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს ყველა საჭირო ზომა, როგორც ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში, ისე საორგანიზაციო-პოლიტიკური მუშაობის დარგში ეროვნულ უმცირესობათა მიმართ უთანასწორობის ელემენტთა აღმოსაფხვრელად.

«Справочник партийного работника»,
вып. VII, ч. II, Госиздат, 1930, стр. 158—159.

**ბელორუსიის ცენტრალური საკონტროლო კომისიისა
და მუშურ-გლეხური ინსპექციის მუშაობის შესახებ
საკ. კპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის
პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მუშურ-გლეხური
ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის
დადგენილებადაც**

1929 წლის 19 ივლისი

ბელორუსიის მრავალეროვნული შემადგენლობისა და პარტიის ეროვნული პოლიტიკის დამახინჯების მთელი რიგი ფაქტების პირობებში ბელორუსიის ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ჭეროვანი ყურადღება არ დაუთმო ეროვნულ საკითხს (ზედიზედ 2 წლის მანძილზე ცენტრალური საკონტროლო კომისიის სამუშაო გეგმაში შეტანილი იყო ეროვნული პოლიტიკის განხორციელების საკითხი, რომელიც არ შესრულებულა).

წინადადება მიეცეს ბელორუსიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიას 1929/30 წლის სამუშაოთა გეგმაში შეიტანოს ეროვნული პოლიტიკის დარგში პარტიის დირექტივების შესრულების შემოწმება და გააძლიეროს ბრძოლა შოვინიზმისა და ანტისემიტიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ.

«Справочник партийного работника»,
вып. VII, ч. II, стр. 359.

სპ. კვ (ბ) XVI სრილობის რეზოლუციიდან

1980 წლის 20 ივნისი — 18 ივლისი

სპ. კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გაშრო

ყრილობა აღნიშნავს, რომ, ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, პარტიის რიგებში გააქტიურდა ნაციონალური გადახრები დიდმპყრობელური და ადგილობრივი შოვინიზმისაკენ.

მთავარ საფრთხეს ახლანდელ ეტაპზე წარმოადგენს დიდმპყრობელური გადახრა, რომელიც ცდილობს მოახდინოს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძვლების რევიზია და ინტერნაციონალიზმის დროშით ფარავს წინათ გაბატონებულ ველიკორუსი ერის მომაკვდავი კლასების მისწრაფებას — დაიბრუნონ დაკარგული პრივილეგიები.

ამასთან ერთად აქტიურდება გადახრა ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ, რომელიც ასუსტებს სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობას და ხელს უწყობს ინტერვენციას.

პარტიამ უნდა გააძლიეროს ბრძოლა ორივე გადახრასთან ნაციონალურ საკითხში და მათთან შემარიგებლობასთან, ამავე დროს გააძლიეროს ყურადღება ლენინური ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკული გატარებისადმი, ნაციონალური უთანასწორობის ელემენტების აღმოფხვრისადმი და საბჭოთა კავშირის ხალხების ნაციონალურ კულტურათა ფართო განვითარებისადმი.

«სკკპ რეზოლუციებში...»,
ნაწ. 3, გვ. 26.

თათრეთის პარტიულ ორგანიზაციაში მასობრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სპ. კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

1944 წლის 9 აგვისტო

...წინადადება მიეცეს სპ. კვ (ბ) თათრეთის საოლქო კომიტეტს ორგანიზაცია გაუკეთოს თათრეთის ისტორიის მეც-

ნიერულ დამუშავებას, გამოასწოროს ცალკეული ისტორიკოსებისა და ლიტერატორების მიერ დაშვებული სერიოზული ნაციონალისტური ხასიათის ნაკლოვანებები და შეცდომები თათრეთის ისტორიის გაშუქების საქმეში (ოქროს ურდოს შელამაზება, იდეგეის შესახებ ხანურ-ფეოდალური ეპოსის პოპულარიზაცია). განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უცხოელ დამპყრობთა, ცარიზმისა და მემამულურ-კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ რუსთა, თათართა და სსრ კავშირის სხვა ხალხების ერთობლივი ბრძოლის ისტორიის გაშუქებას, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში თათრეთის სოციალისტური გარდაქმნების ისტორიას და თათარი ხალხის გამოჩენილ მოღვაწეთა, მეცნიერთა, რევოლუციონერთა და მისი შვილების — სამამულო ომის გმირთა პოპულარიზაციას.

«КПСС в резолюциях...»,
т. 6, стр. 119.

**უკრაინის სსრ დასავლეთი ოლქების მოსახლეობას
შორის კოლმეტიკურ მუშაობაში არსებული
ნაკლოვანებების შესახებ სპ. კპ (პ) ცენტრალური
კომიტეტის დადგენილებიდან**

1944 წლის 27 სექტემბერი

უკრაინის დასავლეთი ოლქების პარტიული ორგანიზაციების სერიოზული დაუდევრობაა მათი არასაკმარისი მუშაობა იმისათვის, რომ ამხილონ ფაშისტური იდეოლოგია და ხალხის საწინააღმდეგო მოქმედება გერმანელ დამპყრობთა აგენტებისა — უკრაინელ-გერმანელი ნაციონალისტებისა, რომლებიც ამ ბოლო დროს აქტივობას იჩენენ, მნიშვნელოვანი რაოდენობით ავრცელებენ ანტისაბჭოთა გაზეთებს, ბროშურებსა და ფურცლებს, მოსახლეობაში პროვოკაციულ ხმებს ყრიან. ბევრ სოფელში არ ტარდება მოხსენებები და საუბრები ნაციონალისტების ანტიხალხური ფაშისტური საქმიანობის შესახებ, მთელ რიგ რაიონებში უკანასკნელ დროს შესუსტდა მუშაობა იმისათვის, რომ მოსახლეობას განუმარტონ უკრაინის მთავრობის მიმართვა «უნრა»-სა და «უპა»-ს⁴⁵ მონაწილეებისადმი. ცუდად არის ორგანიზებული კომუნისტების, კომკავში-

რელების, ინტელიგენციისა და აგიტატორების ინსტრუქტირება უკრაინელ-გერმანელ ნაციონალისტთა წინააღმდეგ იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის საკითხებზე. პარტიული და საბჭოთა მუშაკების ნაწილს შეექმნა მცდარი შეხედულება, თითქოს უკრაინელ-გერმანელ ნაციონალისტთა ანტისაბჭოთა ძირვამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ სამხედრო და ადმინისტრაციული ორგანოების საქმეა. საოლქო კომიტეტები და რაიკომები თავიანთ მუშაობაში არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ უკრაინის დასავლეთ ოლქების პირობებში, სადაც მოსახლეობა და ინტელიგენცია ათეული წლების მანძილზე ბურჟუაზიული იდეოლოგიის სულისკვეთებით იზრდებოდა და რომლებმაც მხოლოდ წელიწად-ნახევარი იცხოვრეს საბჭოთა ხელისუფლების დროს, განსაკუთრებით დაუშვებელია ნაციონალიზმის წინააღმდეგ იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის შეუფასებლობა.

უკრაინის დასავლეთი ოლქების უკრაინის კპ (ბ) საოლქო კომიტეტები, საქალაქო კომიტეტები და რაიკომები ინტელიგენციასთან არაღამაკმაყოფილებლად ეწევიან პოლიტიკურ მუშაობას. ცუდად არის ორგანიზებული მუშაობა იმ ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანულ, ავსტრიულ-უნგრულ, პოლონურ და რუმინულ სკოლებში ბურჟუაზიული იდეოლოგიის სულისკვეთებით იზრდებოდა. ორგანიზებული არ არის საბჭოთა კავშირში სოციალისტური კულტურის მიღწევების შესწავლა ინტელიგენციის მიერ და იმის ახსნა-განმარტება, თუ რა როლს ასრულებს საბჭოთა სახელმწიფოში ინტელიგენცია. ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი საკმარისად არ არის ჩამოშლილი მოსახლეობას შორის პოლიტიკურ მუშაობაში, ფაშისტური ნაციონალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში. უკრაინის დასავლეთი ოლქების პარტიულ ორგანიზაციებს მხედველობიდან გამოჩათ, რომ თუ ინტელიგენცია არ აღეზარდეთ საბჭოთა სულისკვეთებით, აქტიური მონაწილეობა არ მივაღებინეთ მას სახელმწიფო და კულტურულ მშენებლობაში, ისე შეუძლებელია წარმატებით გადაიჭრას ის ამოცანები, რომლებიც უკრაინის სსრ დასავლეთი ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშეა დასახული...

...დაევალოს უკრაინის სსრ დასავლეთი ოლქების პარტიულ ორგანიზაციებს გააძლიერონ პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლა უკრაინელ-გერმანელ ნაციონალისტთა წინააღმდეგ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა ამხილონ უკრაინელ-გერმანელი ნაციონალისტების როგორც უკრაინელი ხალხის უბოროტესი მტრების, როგორც ჰიტლერელი იმპერიალისტების ავი ძალების, იდეოლოგია და საქმიანობა და დაუმტკიცონ მოსახლეობას, რომ უკრაინელი ხალხის სწორედ ეს მტრები ფუშავენ უკრაინის დასავლეთ ოლქებში მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების აღდგენას.

პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან, რომ პრესაში და მთელ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში ფართოდ გამოიყენონ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მათი ლაქების — უკრაინელ-გერმანელი ნაციონალისტების ბოროტმოქმედების ფაქტები, განუმარტონ მოსახლეობას, რომ მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ხალხთა მეგობრობაზეა დამყარებული, უზრუნველყოფს უკრაინის დასავლეთი ოლქების მშრომელებისათვის ჭეშმარიტ თავისუფლებას, მატერიალურ კეთილდღეობასა და სწრაფ კულტურულ აღმავლობას...

5. წინადადება მიეცეთ უკრაინის კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, უკრაინის კპ (ბ) უკრაინის დასავლეთი ოლქების საოლქო კომიტეტებს, ქალაქკომებსა და რაიკომებს მიიღონ ზომები ახალგაზრდობაში პოლიტიკური მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის, კომკავშირში აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად, ახალი კომკავშირული ორგანიზაციების შესაქმნელად. ამაღლონ კომკავშირული ორგანიზაციების აქტიურობა და ახალგაზრდობის ფართო მასებზე მათი იდეურ-პოლიტიკური გავლენა. უკრაინის დასავლეთი ოლქების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან, რომ ახალგაზრდობა აქტიურად ჩააბან უკრაინელ-გერმანელი ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, მეურნეობის აღდგენის სამუშაოებში, სკოლების, საბავშვო სახლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების აღდგენისა და მათი მუშაობის მოწესრიგების საქმეში.

«КПСС в резолюциях...»,
т. 6, стр. 125—126, 127—128.

**ბაშკირეთის კარტიულ ორგანიზაციაში სააგიტაციო-
პროკაგანდისტული მუშაობის მდგომარეობისა და
ბაშკირეთის ღონისძიებათა შესახებ სპ. კპ (ბ)
ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან**

1946 წლის 27 იანვარი

ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში მომუშავე ცალკეულმა ისტორიკოსებმა და ლიტერატორებმა ბაშკირი ხალხის ისტორიული წარსულის გაშუქებისას სერიოზული იდეოლოგიური შეცდომები დაუშვეს. დასაბეჭდად მომზადებულ «ბაშკირეთის ისტორიის ნარკვევებში», ლიტერატურულ ნაწარმოებებში — «იდეკაი და მურადიმი», «ეპოსი გოლიათებზე» არ არის გატარებული ზღვარი ბაშკირი ხალხის ნამდვილად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და მეზობელ ხალხებზე ბაშკირი ფეოდალების ყაჩაღურ თავდასხმებს შორის, არასაკმარისად არის ნაჩვენები თათარ და ბაშკირ ფეოდალთა მიერ მშრომელი ბაშკირების ჩაგვრა, იდეალიზებულია ბაშკირთა პატრიარქალურ-ფეოდალური წარსული. პიესაში «კახიმ-ტურია» დამახინჯებულია 1812 წლის სამამულო ომში ბაშკირთა მონაწილეობის ისტორია, ერთმანეთს უპირისპირდებიან პიესაში რუსი და ბაშკირი მეომრები.

3) ინტელიგენციას შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ძირფესვიანი გაუმჯობესებისა და ცალკეული ისტორიკოსებისა და მწერლების მიერ დაშვებული იდეოლოგიური შეცდომების აღმოსაფხვრელად წინადადება მიეცეს სპ. კპ (ბ) ბაშკირეთის საოლქო კომიტეტს:

ა) სისტემატური მუშაობა გაშალოს ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის. ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ინტელიგენციისათვის მოაწყოს ლექციები მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის, სსრ კავშირის სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციისათვის ქალაქებში — უფაში, სტერლიტამაკში, იზიმბაიში, ჩერნიკოვსკში, ბელორეცკში მოაწყოს სემინარები პოლიტიკური ეკონომიისა და მრეწველობის ეკონომიკის საკითხებზე. უფის მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში

დაარსდეს განყოფილება მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთათვის, უნივერსიტეტის პროგრამას დაემატოს სსრ კავშირის ისტორიისა და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის ისტორიის, რუსი და ბაშკირი ხალხების კულტურის საკითხების შესწავლა;

ბ) ბაშკირეთის მეცნიერი მუშაკებისა და მწერლების მნიშვნელოვან ამოცანად ჩაითვალოს ისეთი ნაწარმოებების შექმნა, რომლებშიც სწორად აისახება ბაშკირი ხალხის ისტორია, მისი საუკეთესო ეროვნული ტრადიციები, ცარიზმისა და უცხოელ დამპყნებელთა წინააღმდეგ რუს ხალხთან ერთობლივი ბრძოლა; ბაშკირი ხალხის მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ბაშკირი ხალხის ბრძოლა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ.

მწერალთა, ისტორიკოსთა, ხელოვნების მუშაკთა კრებებზე გააკრიტიკონ იდეოლოგიური შეცდომები, რომლებიც დაშვებულია ბაშკირული ისტორიის შესახებ;

გ) საბჭოთა მწერლების კავშირში და თეატრალურ კოლექტივებში მოეწყოს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების აქტუალური საკითხების შემოქმედებითი განხილვა, ბაშკირეთის ინტელიგენციის მიერ რუსული კულტურის კლასიკური მემკვიდრეობის, საუკეთესო საბჭოთა მწერლებისა და ხელოვნების ოსტატების შემოქმედების შესწავლა. უზრუნველყოფილ იქნას ბაშკირულ ენაზე რუსი მწერლების კლასიკური ნაწარმოებების თარგმნა.

«КПСС в резолюциях...»,
т. 6, стр. 131—133.

საპ. კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩეველისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით

1946 წლის 2 თებერვალი

საბჭოთა იარაღის გამარჯვებამ, აგრეთვე ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკამ, რომელსაც მტკიცედ და განუხრელად ახორციელებს საბჭოთა სახელმწიფო, აამაღლეს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი, დიდად გაზარდეს სსრ კავშირის როლი ყველა საერთაშორისო საქმის

გადაწყვეტაში. საბჭოთა სახელმწიფომ მოიგო ომი, შეძლო დაეცვა სსრ კავშირის ხალხთა სახელმწიფოებრივი ინტერესები. მაგრამ ომის მოგება კიდევ არ ნიშნავს მტკიცე მშვიდობისა და საიმედო უშიშროების უზრუნველყოფას მომავალში. იმისათვის, რომ საბჭოთა ხალხს და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს შეეძლოს ისარგებლოს მშვიდობისა და უშიშროების სიკეთით, საჭიროა განვამტკიცოთ ჩვენს მიერ მოპოვებული გამარჯვება. უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოში კიდევ მოიპოვებიან რეაქციული ძალები, რომლებიც ცდილობენ უთანხმოება და მტრობა ჩამოაგდონ ხალხთა შორის.

ამოცანა მდგომარეობს სსრ კავშირის ხალხთა უშიშროების შემდგომ განმტკიცებაში. საჭიროა ფხიზლად დავიცვათ საბჭოთა ხალხის მონაპოვარი დიდ სამამულო ომში, მტკიცედ დავიცვათ საბჭოთა კავშირის ინტერესები. საჭიროა სხვა ქვეყნების დემოკრატიულ ძალებთან ერთად ვიბრძოლოთ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, ფაშიზმის ფესვების სავსებით აღმოფხვრისათვის, მომავალში ყოველგვარი აგრესიის თავიდან აცილებისათვის.

გაზ. «კომუნისტი»,
1946 წლის 2 თებერვალი.

გალორუსიის კპ (ბ) ცკ-ის მუშაობის შესახებ სპკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

1947 წლის 26 იანვარი

...დასავლეთის ოლქებში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში მთავარი ყურადღება დაეთმოს იმას, რომ მოსახლეობას განემარტოს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლები, საზოგადოებრივი, კოლექტიური მეურნეობის უპირატესობები ერთპიროვნულ მეურნეობასთან შედარებით. პარტორგანიზაციებმა გაბედულად უნდა გამოააშქარაონ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა, კათოლიკური სამღვდლოებისა და მათი დამქაშების მტრული მოქმედება და დარაზმონ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია საბჭოთა წყობილების განმტკიცებისათვის საბრძოლველად. გააუმჯობესონ ინტელიგენციის მარქსის-

ტულ-ლენინური აღზრდა, ჩააბან იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად.

«КПСС в резолюциях...»,
т. 6, стр. 207.

თანამედროვე პირობებში პარტიული პროკაპანდის ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

1980 წლის 9 იანვარი

იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში სუსტად და ზოგჯერ უუნაროდ განმარტავენ სოციალიზმის უპირატესობებს, საკმაოდ არ იყენებენ ჩვენი სამშობლოს შესანიშნავ მიღწევებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში იმ მიზნით, რომ საბჭოთა ადამიანებს ჩაუნერგონ საბჭოთა პატრიოტიზმისა და ეროვნული სიამაყის სულისკვეთება. ეს სერიოზული ნაკლია მუშაობაში, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალიზმის მოწინააღმდეგენი აძლიერებენ ცხოვრების კაპიტალისტური წესის, კოსმოპოლიტიზმის რეაქციული იდეოლოგიის პროპაგანდას. ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ჯეროვან მნიშვნელობას არ ანიჭებენ მშრომელთა აღზრდას სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ურდვევი, განუწყვეტლივ მზარდი მეგობრობის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გადმონაშთებისადმი შეურიგებლობის, იმისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, რომ «ეროვნული ტრადიციების» მარკით აღადგენდნენ და ხელოვნურად ნერგავდნენ ჩამორჩენილ, რეაქციულ ზნე-ჩვეულებებს, იმის ოდნავი ცდისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, რომ ყალბად გაგებული ადგილობრივი «ინტერესები» დაუპირისპირონ კომუნიზმისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის საერთო ინტერესებს... მთელ რიგ შემთხვევებში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები, იმოწმებენ რა ოლქის, რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობის ეკონომიკური საქმიანობის საერთო დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მშრომელთა აღზრდას კომუნისტური სულისკვე-

თებით, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები არ ეწევიან გულმოდგინე ბრძოლას უცხო იდეოლოგიის წინააღმდეგ, არ უწევენ ჯეროვან წინააღმდეგობას ნაციონალიზმის, კოსმოპოლიტიზმისა და აპოლიტიკურობის გამოვლინებებს, ზოგჯერ პასიური, მოგერიებითი პოზიცია უკავიათ მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მტრული იდეალისტური, რელიგიური იდეოლოგიის მიმართ, მწვავედ და დროზე არ ეხმაურებიან შრომის დისციპლინისა და კომუნისტური მორალის პრინციპების უხეშად დარღვევის შემთხვევებს, შემარიგებლურად ეკიდებიან წარსულის გადმონაშთებს საბჭოთა ადამიანის შეგნებაში...

...საჭიროა მშრომელები აღვზარდოთ პარტიისა და ხალხის საქმის ურყევი რწმენის, კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის, ახალი საზოგადოების მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით; შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოოთ აპოლიტიკურობის, ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ცალკეულ გამოვლინებათა წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში, წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ...

პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტიულმა კომიტეტებმა ზუსტად უნდა გაითვალისწინონ პროპაგანდისტულ მუშაობაში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ე რ ო ვ ნ უ ლ ი თ ა ე ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი, მთავარი ყურადღება მიაქციონ მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას, ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, სოციალისტური ერების განუხრელ დაახლოებასა და ყოველმხრივ ურთიერთგამდიდრებას. საჭიროა ვაწარმოოთ შეურიგებელი ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინების, წარსულის სოციალურ წინააღმდეგობათა იდეალიზაციისა და მიჩქმალვის, ამა თუ იმ ერის ნამდვილი ისტორიის და სსრ კავშირის სხვა ხალხებთან მისი ურთიერთობის დამახინჯების ტენდენციების წინააღმდეგ, ეროვნული კარჩაკეტილობისა და განსაკუთრებულობის ცალკეულ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

გაზ. «კომუნისტი»,
1960 წლის 12 იანვარი.

საკვ XXII ურილოგაზე მიღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან

1961 წლის 31 ოქტომბერი

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

გამოდვიძებული ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა ბევრ ქვეყანაში ნაციონალიზმის აღმით მიმდინარეობს. მარქსისტ-ლენინელები განასხვავებენ ჩაგრული ერების ნაციონალიზმსა და მჩაგვრელი ერების ნაციონალიზმს. ჩაგრული ერის ნაციონალიზმში არის საერთო-დემოკრატიული შინაარსი, რომელიც მიმართულია ჩაგვრის წინააღმდეგ, და კომუნისტები მხარს უჭერენ მას, მიაჩნიათ ისტორიულად გამართლებულად გარკვეულ ეტაპზე. იგი გამოიხატება ჩაგრული ხალხების მისწრაფებით განთავისუფლდნენ იმპერიალისტური ჩაგვრისაგან, მოიპოვონ ეროვნული დამოუკიდებლობა და შიალწიონ ეროვნულ აღორძინებას. ამავე დროს ჩაგრული ერის ნაციონალიზმი შეიცავს მეორე მხარესაც, რომელიც გამოხატავს რეაქციული ექსპლოატატორული ზედაფენის იდეოლოგიასა და ინტერესებს.

ბრძოლა ბურჟუაზიული და კაპიტალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ

იმპერიალისტური რეაქცია ფართოდ იყენებს შოვინიზმს და რასიზმს ნაციონალისტური და რასობრივი კონფლიქტების გაღვივებისათვის, მთელი ეროვნებებისა და რასების დევნისათვის (ანტისემიტიზმი, ზანგების, სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხების რასობრივი დისკრიმინაცია), მშრომელთა კლასობრივი შეგნების დაბნელებისათვის, იმისთვის, რომ პროლეტარიატი და მისი მოკავშირეები ჩამოაცილოს კლასობრივ ბრძოლას.

პარტიის ამოცანები ეროვნული ურთიერთობის დარგში

...ე) კვლავაც თანამიმდევრულად განახორციელოს ინტერნაციონალიზმის პრინციპები ეროვნული ურთიერთობის დარგში; განამტკიცოს ხალხთა მეგობრობა, როგორც სოციალიზმის

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი; შეურიგებლად იბრძოლოს ყოველგვარი ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლინებებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ, ეროვნული 'შეზღუდულობისა და განსაკუთრებულობის, წარსულის იდეალიზაციისა და ხალხთა ისტორიაში სოციალურ წინააღმდეგობათა მიჩქმალვის ტენდენციების წინააღმდეგ, იმ ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან კომუნისტურ მშენებლობას. კომუნისტური მშენებლობის მზარდი მასშტაბები მოითხოვს კადრების განუწყვეტელ გაცვლას ერებს შორის. შეუწყნარებელია ეროვნული განკერძოებულობის რაიმე გამოვლინება საბჭოთა რესპუბლიკებში სხვადასხვა ეროვნების მუშაკთა აღზრდასა და გამოყენებაში. ნაციონალიზმის გამოვლინებათა ლიკვიდაცია შეესაბამება სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ინტერესებს. თითოეულ საბჭოთა რესპუბლიკას შეუძლია შემდგომ აყვავდეს და განმტკიცდეს მხოლოდ სსრ კავშირის მოძმე სოციალისტური ერების დიად ოჯახში.

პარტიის ამოცანები იდეოლოგიის, აღზრდის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში

...დ) პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური პატრიოტიზმის განვითარება. პარტია დაუცხრომლად აღზრდის საბჭოთა ადამიანებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებას. ავითარებს რა საბჭოთა ხალხის სიყვარულს თავისი სამშობლოსადმი, პარტია ემყარება იმას, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნის შემდეგ სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეთა პატრიოტიზმი გამოიხატება თავისი სამშობლოსადმი, სოციალისტური ქვეყნების მთელი თანამეგობრობისადმი ერთგულებითა და თავდადებით. სოციალისტური პატრიოტიზმი და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი ორგანულად შეიცავენ პროლეტარულ სოლიდარობას ყველა ქვეყნის მუშათა კლასთან, მშრომელებთან. პარტია კვლავაც მტკიცედ იბრძოლებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, რასიზმისა და კოსმოპოლიტიზმის რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

«სკკ XXII ყრილობის მასალები»,
თბ., 1962, გვ. 438, 444, 504—505, 509.

საკვ XXII ყრილობაზე დამტკიცებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინდებიდან

1961 წლის 21 ოქტომბერი

პარტიის წევრი მოვალეა:

... აქტიურად ავრცელებდეს სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის იდეებს მშრომელთა მასებში, იბრძოდეს ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, სიტყვითა და საქმით უწყობდეს ხელს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხებთან, ყველა ქვეყნის პროლეტარებთან და მშრომელებთან საბჭოთა ხალხის ძმური კავშირის განმტკიცებას...

«საკვ XXII ყრილობის მასალები»,
გვ. 534—535.

იდეოლოგიური მუშაობისადმი ბელორუსიის კომუნისტური პარტიის მინსკის საოლქო კომიტატის ხელმძღვანელოვის შესახებ საკვ ცენტრალური კომიტატის დადგენილებიდან

1962 წლის 8 ივნისი

პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიექცეს საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის აუცილებლობას. დღე-ნიადაგ იბრძოლონ კუთხურობის, მოძველებული რეაქციული წეს-ჩვეულებებისადმი ქედის მოხრის, ნაციონალისტური გადმონაშთების უმცირესი გამოვლინებების წინააღმდეგ. სხვადასხვა საშუალებით პროპაგანდა გაუწიონ საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების მიღწევებს კომუნიზმის მშენებლობაში, სოციალისტური ერების მეგობრობის განმტკიცებასა და განუხრეღ დაახლოებას, მათი კულტურების ურთიერთგამდიდრებას, სსრ კავშირის ხალხთა ახალი, თავისი არსით ინტერნაციონალური ტრადიციების განვითარებას. აღზარდონ საბჭოთა ადა-

მიანები მთელი სოციალისტური ბანაკის, მთელი მსოფლიოს მშრომელების მეგობრობის იდეებზე.

«КПСС в резолюциях...»,
т. 8, стр. 366—367.

**ტაშკენტის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში
ხელმძღვანელ კადრებთან იდეურ-აღმზრდელობითი
მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებიდან**

1968 წლის 8 აპრილი

დაევალოს ქალაქკომს, პარტიის რაიკომებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს განაგრძონ აქტიური მუშაობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, გააძლიერონ სსრკავშირის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის იდეების პროპაგანდა. უფრო მკაფიოდ და მრავალმხრივად განმარტონ სოციალისტური ერების ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მნიშვნელობა კომუნისმის აშენებისათვის ბრძოლაში, ნათელყონ მათი შემდგომი დაახლოება და ურთიერთგამდიდრება. ხელმძღვანელ მუშაკებში აღზარდონ ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის გრძნობა.

«КПСС в резолюциях...»,
т. 8, стр. 413.

**პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი
ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის
კლენუშის დადგენილებიდან**

1968 წლის 18—21 ივნისი

საბჭოთა პატრიოტიზმი თავისი არსით ინტერნაციონალურია და შეუთავსებელია ეროვნული შეზღუდულობის ტენდენციებთან რა ფორმითაც უნდა გამოვლინდეს ისინი. სსრკავშირის ყველა ხალხის სიყვარული მრავალეროვანი

სამშობლოსადმი ორგანულად შეხამებულია სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებისადმი, მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი პატივისცემისა და ძმური მეგობრობის გრძობასთან.

საბჭოთა პატრიოტიზმის, მთელი სოციალისტური სამშობლოსადმი, დიადი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი სიყვარულის ჩანერგვა იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი, უპირველესი ამოცანაა. საბჭოთა ადამიანები განიცდიან პატრიოტულ სიამაყეს თავიანთი მშვენიერი სამშობლოსათვის, თავიანთი დიადი ლენინური პარტიისადმი. მათ ღრმად აქვთ შეგნებული, რომ ყოველივე, რაც შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში, — შექმნილია მათი ხელით, ხალხის თავდადებული შრომით, დიდი მეცადინეობისა და ენერჯიის დაძაბვის შედეგად...

პლენუმი პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს გააძლიერონ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის მუშაობა, განამტკიცონ საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარი, აქტიურად შეუწყონ ხელი სსრ კავშირის ხალხთა კულტურების ურთიერთგამდიდრებას, შეურიგებლად ებრძოლონ ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, კუთხურობას, ეროვნული განსაკუთრებულობისა და განკერძოებულობის ქადაგებას, წარსულის იდეალიზაციას, რეაქციული ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების ქება-დიდებას. ნაციონალიზმი თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება სოციალიზმს, მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, ხალხთა მეგობრობას, ვერ ეგუება სოციალისტური ერების განვითარებისა და დაახლოების ობიექტურ პროცესს.

გაზ. «კომუნისტი»,
1963 წლის 22 ივნისი.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა
საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის
შეკავშირებისათვის**

1964 წლის 16 თებერვალი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ანხ. მ. ა. სუსლოვის ინფორმაცია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის“, გამოთქვამს სერიოზულ შეშფოთებას ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის გამთიშველი მოქმედების გამო, რომელიც უდიდეს ზიანს აყენებს სოციალისტურ თანამეგობრობას, მთელ საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც შეგნებული აქვს კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების ისტორიული მნიშვნელობა, ამ ბოლო ხანს გადადგა ახალი ნაბიჯები, რათა აღმოფხვრას ან თუნდაც პირველ ხანებში შეამციროს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის უთანხმოება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სხვა მოძმე პარტიებთან; განამტკიცოს ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. უთანხმოების გამწვავების პროცესის შეჩერება სცადეს აგრეთვე სხვა მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს სამწუხაროდ მიაჩნია, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა არ გამოეხმაურა ამ ინიციატივას, პასუხი არ გასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს და არ შეწყვიტა აშკარა პოლემიკა, პირიქით, გააძლიერა კამპანია კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, რომელიც განსაზღვრეს 1957 და 1960 წლების თათბირებმა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულების შესახებ სიტყვიერი განცხადებების ნიღბით, მარქსისტულ-ლენინური პარტიების მოჩ-

ვენებითი რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აღმით ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა იერიში მიიტანეს ძირითად თეორიულ და პოლიტიკურ დებულებებზე, რომლებითაც ხელმძღვანელობს ახლანდელ ეტაპზე კომუნისტური მოძრაობა.

ჩინეთის ხელმძღვანელები ამახინჯებენ ახალ შეფასებებსა და დასკვნებს, რომლებიც მოძმე პარტიებმა კოლექტიური მეცადინეობის შედეგად გამოიტანეს ჩვენი ეპოქის პირობებთან მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების შემოქმედებითი შეფარდების საფუძველზე და რომლებიც ეხება მსოფლიო სოციალისტური სისტემის როლს, სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებლობის გზებს, მსოფლიო ომის თავიდან აცილების შესაძლებლობას, სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობას, იმას, რომ საჭიროა ბრძოლა პიროვნების კულტის იდეოლოგიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში სოციალიზმზე გადასვლის ფორმებს.

დაშორდნენ რა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ლენინურ ზაზს სტრატეგიისა და ტაქტიკის ყველა ძირითად საკითხში, ჩინეთის ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს თავიანთი კურსი, რომელშიც შეერთებულია წვრილბურჟუაზიული ავანტიურიზმი და დიდმპყრობელური შოვინიზმი. მთელ რიგ საკითხებში ისინი არსებითად ადგებიან ტროცკისტულ პოზიციებს, იყენებენ მარქსისტულ-ლენინური პარტიების წინააღმდეგ ბრძოლის ტროცკისტულ მეთოდებს, სხვადასხვა ქვეყანაში აკოწიწებენ თავიანთ მომხრეთა უბადრუკ ფრაქციულ ჯგუფებს. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ცდილობს თავისი განსაკუთრებული იდეური პლატფორმა თავს მოახვიოს მთელ სოციალისტურ ბანაკსა და მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას, საერთაშორისო დემოკრატიულ ორგანიზაციას.

ჩინეთის ხელმძღვანელებმა აიღეს ის კურსი, რომ გააუარესონ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, ძირი გამოუთხარონ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის ხალხთა მეგობრობას. მათ უარყვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყველა წინადადება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ და გააძლიერეს

ანტისაბჭოთა პროპაგანდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, უხეშად ერევიან საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, კომუნისტური მოძრაობის, მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდის დაცვის ძირეული ინტერესები მოითხოვს იმას, რომ იდეურად ვამხილოთ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ანტილენინური პოზიცია, მტკიცედ წინააღმდეგეთ მათ გამთიშველ მოქმედებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სავსებით და ერთსულოვნად იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის პოლიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობას, რომლის მიზანია კომუნისტური საზოგადოების აშენება სსრ კავშირში, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვების უზრუნველყოფა, მარქსისტულ-ლენინური პარტიების შეკავშირების განმტკიცება, და ავალებს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს კვლავაც მტკიცედ დაიცვას მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზი, იბრძოდოს თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების ერთიანობის განმტკიცებისათვის.

ჩვენი პარტია მიდის და კვლავაც ივლის შემოწმებული ლენინური გზით და ვერავინ და ვერასოდეს ვერ ააცდენს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ამ კურსს — XX და XXII ყრილობების კურსს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ხელმძღვანელებმა შორს შეტოპეს თავიანთი გამთიშველი მოქმედებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, ყველაზე მაღლა აყენებს რა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის ინტერესებს, აცხადებს, რომ მზად არის კვლავაც განახორციელოს ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. თუ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს საბოლოოდ არ დაუკარგავთ თავიანთი ინტერნაციონალური პასუხისმგებლობის შეგნება, მათ, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიგნონ, რომ თავიანთი მოქმედებით კომუნისტური დამუშათა პარტიების ძალებსა და ყურადღებას აშორებენ სოციალისტური მშენებლობის საარსებო ამოცანების გადაჭრას,

ამნელებენ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ზიანს აყენებენ მთელ ანტიიმპერიალისტურ ფრონტს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმში მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა დაძლევეს არსებულ სიძნელებებს, კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირებს თავის რიგებს მარქს-ენგელს-ლენინის დროშის ქვეშ, ახალ წარმატებებს მოიპოვებს მუშათა კლასის დიადი საქმისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის, კომუნისმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

გაზ. «კომუნისტი»,
1964 წლის 4 აპრილი.

სკკპ XXIII ყრილობის რეზოლუციიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების ბაზო

1966 წლის 8 აპრილი

საბჭოთა კავშირის ხალხთა შეკავშირება ერთიან ძმურ ოჯახში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დიადი მონაპოვარია. ყრილობა ყველა პარტიულ კომიტეტს ავალებს კვლავაც განუხრელად განახორციელონ ლენინური ეროვნული პოლიტიკა, აღზარდონ ყველა საბჭოთა ადამიანი საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა საუკეთესო, პროგრესული ეროვნული ტრადიციებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, ყველა მოძმე სოციალისტური ქვეყნის ხალხებთან, მთელი მსოფლიოს მშრომელებთან მეგობრობის სულისკვეთებით, შეუპოვარი ბრძოლა აწარმოონ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

«სკკპ XXIII ყრილობის მასალები»,
თბ., 1966, გვ. 241.

**სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკისა და
კომუნისტური მოძრაობის შეაკავშირებისათვის
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ბრძოლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის
პლენუმის დადგენილებიდან**

1966 წლის 13 დეკემბერი

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადასტურებს, რომ ურყევია ჩინეთის კომპარტიასთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მეგობრობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის კურსი, რომელსაც ჩვენი პარტია ადგას. ამასთანავე, პლენუმს საჭიროდ მიაჩნია გადაჭრით ამხილოს ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელების ანტილენინური შეხედულებანი და დიდმპყრობელური, ნაციონალისტური კურსი, გააძლიეროს ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის დასაცავად, მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების მიერ შემუშავებული გენერალური ხაზის დასაცავად.

შექმნილ პირობებში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლას ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის შეკავშირებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპულ საფუძველზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტი ეთანხმება მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების აზრს, რომ ამჟამად ხელსაყრელი პირობები იქმნება კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ახალი საერთაშორისო თათბირისათვის, რომელიც კარგად უნდა მომზადდეს პარტიებს შორის ურთიერთ კონსულტაციების მსვლელობაში.

გაზ. «კომუნისტი»,
1966 წლის 14 დეკემბერი.

ხალხმკანელ კადრებთან ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაოების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

1967 წლის 30 იანვარი

წინადადება მიეცეს ესტონეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს დღენიდან და უნარიანად აწარმოოს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის იდეების, სოციალისტური წყობილების უპირატესობის, საბჭოთა ხალხის დიადი სოციალისტური მონაპოვრების პროპაგანდა, ამხილოს ცხოვრების ბურჟუაზიული წესი. უფრო აქტიურად მოიზიდოს მეცნიერული კადრები ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის კონკრეტული პრობლემების დასამუშავებლად. გადაჭრით ებრძოლოს მშრომელთა შეგნებაში ნაციონალისტურ ცრურწმენათა გადმონაშთების გამოცოცხლების ყოველგვარ ცდებს.

«КПСС в резолюциях...»,
т. 9, стр. 221.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი

1967 წლის ივნისი

ეკონომიკური და სოციალური ერთობის საფუძველზე სოციალისტურ ერებში აქტიურად ვითარდება ინტერნაციონალური თვისებანი, მკვიდრდება კომუნიზმის მშენებელთა საერთო-საბჭოური ტრადიციები. მიზნებისა და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ერთიანობა, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება, ღრმა ინტერნაციონალიზმი და საბჭოთა პატრიოტიზმი, ეროვნული ღირსების პატივისცემა, მეგობრობა და ძმობა — ასეთია ერთიანი და ამასთან მრავალეროვანი სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა დამახასიათებელი ნიშნები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად იბრძვის ეროვნული შეზღუდულობის ნაშთების, კუთხურობის, ნაციონალიზმის, შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ...

სსრ კავშირის გამოცდილებით მთელი მსოფლიო რწმუნდება ლენინური ეროვნული პოლიტიკის სასიცოცხლო ძალაში. ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის გადაჭრამ უცილობლად ცხადყო, რომ აქტიური დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედება არ არის მხოლოდ «რჩეული ერების» კუთვნილება, არამედ მისაწვდომია ყველა ხალხისათვის. საბჭოთა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო პრაქტიკით ცხადყოფს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების გამარჯვებას...

მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის წარმატებით განვითარების, საერთაშორისო მოვლენების მსვლელობაზე მისი გავლენის ზრდის გარანტიაა. ამავე დროს მარქსიზმ-ლენინიზმისაგან, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისაგან გადახვევები იწვევს მძიმე შედეგებს სოციალიზმის საქმისათვის, ხალხთა ნამდვილი ეროვნული ინტერესებისათვის. სწორედ ამას მოწმობს ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა...

50-იანი წლების დამლევს ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობამ წარმოაყენა საგარეო და საშინაო პოლიტიკის განსაკუთრებული კურსი, რაც ნიშნავს მარქსიზმ-ლენინიზმისაგან განდგომას და ღრმად ეწინააღმდეგება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ძირითად კანონზომიერებებს. მათ ძე-დუნის ჯგუფმა დაიწყო იმ ხაზის განხორციელება, რომელშიც შეკრთებულია «მემარცხენე» ფრაზით შენიღბული წვრილბურჟუაზიული ავანტიურიზმი და დიდმპყრობელური შოვინიზმი. ეს ჯგუფი აშკარად დაადგა იმ გზას, რომ ძირი გამოუთხაროს სოციალისტურ თანამეგობრობას, გათიშოს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა.

მათ ძე-დუნის ჯგუფის ავანტიურისტულმა კურსმა გამოიწვია ჩინეთის კომუნისტური პარტიის, მუშათა კლასის პოზიციების მკვეთრი შესუსტება, წვრილბურჟუაზიული, ანარქისტული სტიქიის თარეში. სერიოზული საფრთხე შეექმნა ჩინეთის სოციალისტურ მონაპოვრებს...

კომუნისტების ინტერნაციონალური ერთობა იწრთობოდა და მტკიცდებოდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ყოველგვარი ოპორტუნიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული

ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველთვის იბრძოდა და იბრძოლებს ძემარჯვენე და «მემარცხენე» გადახრების წინააღმდეგ, რადგან კომუნისტური მოძრაობის მთელი ისტორია მოწმობს, თუ რა საშიშია ეს გადახრები რევოლუციის საქმისათვის. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მარქსისტულ-ლენინური ხაზისაგან გადახრა განსაკუთრებით საშიში ხდება, როცა შეხამებულია ნაციონალიზმის, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და პეგემონიზმის გამოვლინებებთან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის
50 წელი, თბილისი, 1967, გვ. 49, 68—69, 76.

**საზოგადოებრივ მეცნიერებათა შიმდეზომი
განვიტარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი
როლის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ სკკპ
ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან
1967 წლის 14 აგვისტო**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკებმა უნდა გამოიჩინონ პრინციპულობა და სიმტკიცე იმპერიალისტური იდეოლოგიის, მარქსიზმ-ლენინიზმის ბურჟუაზიულ და რეფორმისტულ ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა მეცნიერების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ამხილონ პროფესიონალი ანტისაბჭოთა ელემენტები და ანტიკომუნისტები, რომლებიც სსრ კავშირისა და სკკპ ისტორიის, მსოფლიო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემათა «შესწავლის» დარგში «იღვწიან». საბჭოთა მეცნიერებს ეკუთვნით პასუხსაგები როლი რევიზიონიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ, მარქსიზმის დიდ მპყრობელური ანტისაბჭოთა იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში...

საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სისტემატურად აწარმოოს შეტევითი ბრძოლა ანტიკომუნისმის წინააღმდეგ, საფუძვლიანად გააკრიტიკოს თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია, სოციოლოგია, ისტორიოგრა-

ფია, სამართალი და კაპიტალიზმის აბოლოგეტა ეკონომიკური თეორიები; ამხილოს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, საზოგადოების განვითარების, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიის ფალსიფიკატორები; საკადრისი პასუხი გასცეს მემარჯვენე და «მემარცხენე» რევოიონიზმის, ეროვნული შეზღუდულობის გამოვლინებებს როგორც თეორიაში, ისე პოლიტიკაში.

«სკკპ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები»,
გვ. 544—545, 550—551.

**სკკპ X XIII სრილობის გადაწყვეტილებათა
შესასრულებლად ტაჯიკეთის კომპარტიის
ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ
ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან**

1968 წლის 17 დეკემბერი

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იმყოფებოდეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეების პროპაგანდა, ტაჯიკეთის მშრომელთა ძმური კავშირურთიერთობის გაძლიერება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან. თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას კვლავაც ხელს უნდა უწყობდეს, როგორც ეს სკკპ პროგრამაშია მითითებული, მშობლიურ ენასთან ერთად ნებაყოფლობითი შესწავლა რუსული ენისა, რომელიც ფაქტიურად სსრ კავშირის ყველა ხალხისათვის ერებს შორის ურთიერთობის საერთო ენად იქცა. საუკეთესო ეროვნული ტრადიციების განვითარებასთან ერთად, უფრო აქტიურად უნდა შევუწყოთ ხელი კომუნისმის მშენებელთა ინტერნაციონალური, საერთო-საბჭოური ტრადიციების დამკვიდრებას.

«КПСС в резолюциях...»,
т. 9, стр. 520.

**კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის
საერთაშორისო თათბირზე სკკპ ცენტრალური
კომიტეტის ბენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის
გამოსვლიდან**

1969 წლის 7 ივნისი

დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიგვაჩნია ჩვენი მრავალ-
ეროვანი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების კავშირის შემ-
დგომი განმტკიცება. თქვენ ყველამ იცით, ამხანაგებო, რომ
სოციალისტურ გარდაქმნათა ამ დარგში ჩვენ დიდ შედეგებს
მივაღწიეთ, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა
რევოლუციური მოძრაობისათვის, ჩაგრული ერების გამოღვი-
ძებისათვის. კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე სა-
ჭიროა არა მარტო განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი,
არამედ კიდევაც განვაფართოოთ. საქმე ეხება ყველა ერისა და
ეროვნების კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოებას, მუშაობის
შემდგომ გაუმჯობესებას იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანები
აღვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური
ინტერსაციონალიზმის სულისკვეთებით, ნაციონალიზმისა და
რასიზმის იდეოლოგიისადმი შეუთრეგებლობის სულისკვეთებით.

ლ. ი. ბრეჟნევი. ლენინური კურსით,
ტ. 2, თბ., 1971, გვ. 441.

**კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო
თათბირის შედეგების შესახებ სკკპ ცენტრალური
კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან**

1969 წლის 26 ივნისი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დიდ მნიშვნელო-
ვას ანიჭებს თათბირის იმ დასკვნას, რომ მარქსიზმ-ლენინიზ-
მის სიწმინდისათვის, რევოლუციონიზმის, დოგმატიზმის, ნაციონა-
ლიზმის წინააღმდეგ თანამიმდევრული ბრძოლა კომპარტიათა
რიგების განმტკიცების, კომუნისტთა ინტერნაციონალური

შეკავშირების, მთელ რევოლუციურ მოძრაობაში მათი ავან-გარდული როლის ამაღლების აუცილებელი პირობაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს: თათბირზე აზრ-თა ურთიერთგაზიარებამ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ჩინე-თის კომპარტიის ახლანდელი ხელმძღვანელობის საგარეო-პოლიტიკური კურსი, მისი გამთიშველური პოლიტიკა მოძმე პარტიათა უდიდესი უმრავლესობის გადამწყვეტ წინააღმდე-გობას აწყდება.

პლენუმი ერთსულოვნად ადასტურებს პოზიციას, რომე-ლიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ ჩამოაყალიბა თავის გამოსვლაში თათბირზე. საბჭოთა კავში-რის კომუნისტური პარტია შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს ჩინეთის ახლანდელ ხელმძღვანელთა ანტილენინური იდეური დებულებების წინააღმდეგ, მათი გამთიშველური პოლიტიკისა და დიდმპყრობელური საგარეო-პოლიტიკური კურსის წინააღმ-დეგ. იგი ყოველ ღონეს იხმარს, რომ ყოველგვარი ხელყოფი-საგან დაიცვას კომუნისზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის ისტერესები. ამასთანავე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ითვალისწინებს, რომ ერთმანეთს ემთხვევა საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ძირეული ინტერესები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც ეცდება შეუნარჩუ-ნოს და განუმტკიცოს საბჭოთა ხალხს მეგობრული გრძნობები ჩინელი ხალხისადმი, გრძნობები, რომლებითაც, უეჭველია, გამსჭვალულია ჩინელი ხალხიც საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ.

პლენუმი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტები და მშრომელები ინტერნაციონალურ სოლიდარობას უცხადე-ბენ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას და სავსებით უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის პოლიტიკას...

თათბირის შედეგებზე დაყრდნობით განგრძობილ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამიმდევრული ზაზი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცები-სათვის მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნა-ციონალიზმის პრინციპულ საფუძველზე. ყველა ღონისძიებით განჯითარებულ იქნას კავშირურთიერთობა კომუნისტურ პარ-ტიებთან ყველა მიმართულებით, წარმოებულ იქნას ბრძოლა ბუჩუყაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მარქსისტულ-ლე-

ნინურო მოძღვრების სიწმინდისათვის, მემარჯვენე და «მემარ-
ცხენე» რევოზიონიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

გაზ. «კომუნისტი»,
1969 წლის 27 ივნისი.

ვლადიმერ ილიას ქე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებთან

1969 წლის 23 დეკემბერი

ინტერნაციონალისტური პოლიტიკის ცენტრალურ საკი-
თხად ლენინს მიაჩნდა ნაციონალურისა და ინტერნაციონალუ-
რის სწორად შეხამება პროლეტარული პარტიების, რევოლუ-
ციური მოძრაობის ყველა რაზმის საქმიანობაში. გადაჭრით
ილაშქრებდა რა ყოველგვარი ეროვნული ნიჰილიზმის წინა-
აღმდეგ, ლენინი ასწავლიდა რევოლუციონერებს თანამიმდევ-
რულად გაეთვალისწინებინათ ეროვნული ინტერესები, დაეც-
ვათ ყველა ერის თანასწორუფლებიანობის პრინციპები, მათი
დამოუკიდებლობის, თავისთავადი განვითარების უფლება.
იგი განმარტავდა, რომ სოციალიზმისათვის, მისი აშენებისათ-
ვის, მისი დაცვისათვის ბრძოლა — სწორედ ეს არის ხალხის
ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის საუკეთესო საშუა-
ლება. რევოლუციონერთა თითოეული რაზმის მიერ თავისი
ქვეყნის ეროვნული და სოციალური განთავისუფლების ამო-
ცანის ეფექტიანი შესრულება მსოფლიო სოციალისტური რე-
ვოლუციის საერთო ინტერესებისათვის ბრძოლის აუცილებე-
ლი წინამძღვარია.

ამასთანავე, ლენინი ხაზს უსვამდა, რომ ინტერნაციონა-
ლისტური პოლიტიკა არ სჯერდება ეროვნულ წვლილს მსოფ-
ლიო პროლეტარიატის საერთო საქმეში. პროლეტარული ინ-
ტერნაციონალიზმის ერთგულება გულისხმობს რევოლუციურ
მებრძოლთა ყველა ეროვნული რაზმის გაერთიანებას ერთიან
კავშირად საერთაშორისო იმპერიალიზმზე გამარჯვებისათვის.

არა მარტო დიდი სახელმწიფოების პროლეტარიატმა, არა-
მედ ჰატარა ქვეყნების მუშათა კლასმაც, რომელიც თავისი
ეროვნული უფლებებისა და ინტერესებისათვის იბრძვის, ამ-

ბობდა ლენინი, არ უნდა დაივიწყოს თავისი მოვალეობა «იბრძოდეს ვიწრო — ეროვნული შეზღუდულობის, კარჩაკეტილობის, განკერძოების წინააღმდეგ, იბრძოდეს იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს მთელი და საერთო, რომ კერძოს ინტერესები დაუმორჩილდეს ზოგადის ინტერესებს»*, ყოველგვარი სხვაგვარი მიდგომა საბოლოო ანგარიშით ნიშნავს დაქანებას ნაციონალიზმისაკენ, რომელიც რევოლუციური საქმის საშინელი მტერია. ნაციონალიზმი «თავისი განცალკევებისა და დაქუცმაცების ტაქტიკით... არაა რად აქცევს ყველა ერის, ყველა რასის, ყველა ენის პროლეტარტა დაახლოებისა და ერთიანობის დიად ცნებას»**...

როგორც ლენინი განჰკვრეტდა, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს სოციალისტური ერების შემდგომი აყვავება და დაახლოება, მათი ურთიერთობის გაფართოება. რაც უფრო მჭიდროა ეს ურთიერთობა, რაც უფრო ღრმად გვესმის საერთოსახალხო ამოცანები, მით უფრო წარმატებით ვძლევთ კუთხურობისა და ეროვნული ეგოიზმის გამოვლინებებს. თანამიმდევრულად ახორციელებს რა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, პარტია შეურიგებლად ეკიდება ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, ეროვნული განსაკუთრებულობისა და განკერძოებულობის ყოველ გამოვლინებას. იგი მშრომელებს ზრდის სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავისუფალ ხალხთა ძმობის სულისკვეთებით. სოციალიზმმა წარმოშვა ახალი ტიპის პატრიოტიზმი, რომელიც ორგანულად შერწყმულია ინტერნაციონალიზმთან.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, თბ., 1970, გვ. 46—47, 57.

* ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 22, გვ. 442.

** ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 6, გვ. 646.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან
დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ყველა
მოქალაქისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან**

1970 წლის 14 მაისი

სოციალისტური წყობილების თვალსაჩინო ისტორიული მიღწევაა ეროვნული საკითხის გადაჭრა, ეროვნული ჩაგვრისა და უთანასწორობის ლიკვიდაცია, ხალხთა ლენინური მეგობრობის გამარჯვება.

ჩვენს ქვეყანაში არ არიან პრივილეგირებული და არასრულუფლებიანი ხალხები, არ არის და არც შეიძლება იყოს ადაპიანების დაპირისპირება ეროვნული ნიშნის მიხედვით. ყველა ერი და ეროვნება— დიდი და პატარა, ნებაყოფლობით ურღვევ კავშირად გაერთიანებული, სარგებლობს თანასწორი უფლებით, იზიარებს საერთო პასუხისმგებლობას სოციალისტური სამშობლოს ბედისათვის.

გაზ. «კომუნისტი»,
1970 წლის 16 მაისი.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV
ყრილობის რეზოლუციიდან სკკპ ცენტრალური
კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გავრ**

1971 წლის 9 აპრილი

ყრილობას მიაჩნია, რომ ბრძოლა ანტიკომუნიზმის და ანტისოვეტიზმის წინააღმდეგ, აგრეთვე მემარჯვენე და «მემარცხენე» რევიზიონიზმის, ნაციონალიზმის წინააღმდეგ უწინდებურად დიდმნიშვნელოვანი აქტუალური ამოცანაა...

ყრილობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა მშრომელის აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური სამშობლოსათვის, საბჭოთა ხალხის დიადი საქმეებისათვის სიაშაყის, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ნაციონალიზმის, შო-

ვინიზმისა და ეროვნული შეზღუდულობის გამოვლინებისადმი 'შეურიგებლობის სულისკვეთებით, ყველა ერისა და ეროვნების პატივისცემის სულისკვეთებით.

«სკკ XXIV ყრილობის მასალები»,
თბ., 1971, გვ. 243, 254.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების უნახავ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

1972 წლის 21 თებერვალი

...უნდა დაგვეძლია ეკონომიკურ და კულტურულ ჩამორჩენასთან დაკავშირებული ბევრი სიძნელე, გვებრძოლა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა წინანდელი ეროვნული 'შუღლის' ძემკვიდრეობა, ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და დიდმპყრობელური შოვინიზმი, ნაციონალ-უკლონისტთა წინააღმდეგობა პარტიის შიგნით. გაერთიანებისადმი ტენდენციის მთავარი გამომხატველი, ამ პროცესის, ისევე როგორც სოციალისტური რევოლუციის, წამყვანი ძალა იყო მუშათა კლასი. პროლეტარები ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მშრომელთა მასებში ნერგავდნენ კლასობრივი, ინტერნაციონალური სოლიდარობის სულისკვეთებას, რაზმავდნენ მათ საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საერთო პოლიტიკურ პლატფორმაზე...

ს ს რ კ ა ვ შ ი რ შ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ა და კ ო მ უ ნ ი ზ მ ა ს მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ი ს წ ლ ე ბ შ ი შ ე ი ქ მ ნ ა ა დ ა მ ი ა ხ ე ბ ი ს ა ხ ა ლ ი ის ტ ო რ ი უ ლ ი ე რ თ ო ბ ა — ს ა ბ ჭ ო თ ა ხ ა ლ ხ ი. იგი შეიქმნა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების, ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, მუშათა კლასის ინტერესებისა და კომუნისტური იდეალების ერთიანობის ბაზაზე. შეიქმნა საბჭოთა ადამიანის შესანიშნავი თვისებები: ერთგულება კომუნისმის საქმი-

სადმი, სოციალისტური პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, მაღალი შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, შეურიგებლობა ექსპლოატაციისა და ჩაგვრისადმი, ეროვნული და რასობრივი ცრუშეხედულებებისადმი, კლასობრივი სოლიდარობა ყველა ქვეყნის მშრომელებთან. აღიზარდნენ ნამდვილ ინტერნაციონალისტთა — კომუნიზმისათვის თავდადებულ მებრძოლთა თაობები...

თითოეული კომუნისტის მოვალეობაა ყველა ღონისძიებით განამტკიცებდეს მასებში იმის შეგნებას, რომ ეკუთვნიან ერთიან სოციალისტურ სამშობლოს, ახალი საზოგადოების მშენებელთა დიად ინტერნაციონალურ არმიას. საჭიროა კვლავაც გავწიოთ გულმოდგინე მუშაობა მშრომელთა აღზრდისათვის ყველა ერისა და ეროვნებისადმი ღრმა პატივისცემის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გადმონაშთებისადმი, კუთხურობის გამოვლინებისადმი შეუწყნარებლობის სულისკვეთებით, უზრუნველყვით თანამიმდევრული კლასობრივი, ზუსტი მეცნიერული მიდგომა ხალხთა ისტორიის შეფასებაში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იხელმძღვანელონ იმით, რომ ეროვნული საკითხი სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ბრძოლის, ბურჟუაზიული და რევინიონისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ მარქსიზმ-ლენინიზმის ბრძოლის ერთ-ერთი მწვავე უბანია. იმპერიალისტები ცდილობენ შეასუსტონ სოციალიზმის პოზიციები, გათიშონ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის რიგები, ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ფართოდ მიმართავენ რასიზმის გავრცელებას, ცდილობენ ეროვნულ ნიადაგზე დაქსაქსონ მშრომელთა სხვადასხვა რაზმები. ბურჟუაზიული პროპაგანდა ესწრაფვის დანერგოს ნაციონალისტური შეხედულებანი სოციალისტური ქვეყნების ხალხთა შეგნებაში, გამოიყენოს ნაციონალიზმი იმისათვის, რომ ძირი გამოუთხაროს სოციალისტურ წყობილებას. ამოცანა ის არის, რომ დღენიადაგ ვუწევდეთ პროპაგანდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეებს, დროულ პოლიტიკურ შეფასებას ვაძლევდეთ მტრულ ცდებს — ააღორძინონ ნაციონალისტური განწყობილებანი და შეხედულებანი. საჭიროა გადაჭრით ვამხილებდეთ ანტიკომუნიზმის, მემარჯვე-

ნე და «მემარცხენე» რევოლუციონიზმის, ნაციონალიზმისა და
შოვინიზმის იდეოლოგიებს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ. სკკპ
ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 21 თებერვლის
დადგენილება. თბ., საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.
1972, გვ. 8—9, 14, 20—21.

**სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა
შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის
თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული
და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ
ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან**

1972 წლის 22 თებერვალს

...მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში სათანადო მნი-
შვნელობა არ ენიჭება მშრომელთა, განსაკუთრებით ინტელი-
გენციისა და ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას...

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის თბილისის სა-
ქალაქო კომიტეტს დაავალა... გადაჭრით იბრძოლონ უწყებ-
რივი შეზღუდულობისა და კუთხურობის გამოვლინებათა წი-
ნააღმდეგ...

...გააძლიერონ მუშაობა მშრომელთა აღზრდისათვის სსრ
კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზ-
მისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვე-
თებით. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების
მსვლელობაში ყოველნაირად გააშუქონ ლენინური ეროვნუ-
ლი პოლიტიკის გამარჯვება, საბჭოთა რესპუბლიკების ერთ
პრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოდ გაერთიანების
ისტორიული მნიშვნელობა, სოციალისტურ ერთა განვითარე-
ბისა და დაახლოების კანონზომიერებანი, საბჭოთა ხალხის
მიღწევები კომუნისტურ მშენებლობაში.

«სკკპ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები»,
გვ. 447—450.

**ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების უმაღლესი
სრულყოფის ღონისძიებათა უმსახეზ სკკპ
ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან**

1972 წლის 18 ივლისი

დადგენილება ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომ-
პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო,
საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს უმაღლეს სას-
წავლებელთა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და
კოლექტივების საქმიანობა წარმართონ მომავალ სპეციალისტ-
თა მომზადებისა და კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაუმ-
ჯობესებისათვის, განამტკიცონ პარტიული გავლენა უმაღლეს
სასწავლებელთა ყველა რგოლში, მეტი ყურადღებით მოე-
ციდონ უმაღლეს სასწავლებლებში პარტიის რიგების შევსებას
პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და სტუდენ-
ტობის საუკეთესო წარმომადგენლებით, გაზარდონ უმაღლეს
სასწავლებელთა პარტიული ორგანიზაციების როლი სტუ-
დენტთა მეცნიერული, კომუნისტური მსოფლმხედველობის
ჩამოყალიბებაში, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარუ-
ლი ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულების, ბურჟუაზიული
იდეოლოგიის გამოვლინებებისადმი შეურიგებლობის სულის-
კვეთებით მათს აღზრდაში.

«სკკპ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები»,
გვ. 693.

**საბჭოთა კინემატოგრაფიის უმაღლესი განვითარების
ღონისძიებათა უმსახეზ სკკპ ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებიდან**

1972 წლის 2 აგვისტო

კინოს საშუალებებით საჭიროა გამოვაჩინოთ ლენინური
ეროვნული პოლიტიკის არსი და აზრი, ვუჩვენოთ საბჭოთა
ერებისა და ეროვნებების აყვავება და დაახლოება, მათი წარ-
მატებანი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვი-

თარებაში. ღირსეული ადგილი უნდა დაიკავონ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის თემებმა, აგრეთვე ეროვნული შეზღუდულობისა და ცრურწმენების გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის თემებმა.

«სკკპ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები»,
გვ. 698.

ტაშკენტის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური სწავლებისა და ეკონომიკური განათლების შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

1972 წლის 8 აგვისტო

სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ყოველ კოლექტივში როდია შექმნილი სათანადო პარტიულობისა და პრინციპულობის, ეროვნული შეზღუდულობის, უცხო ზნე-ჩვეულებების გამოვლინებებისადმი შეუთრებლობის ატმოსფერო. მეცნიერებისა და კულტურის ცალკეული მუშაკები ეწევიან წარსულის იდეალიზაციას, ზოგიერთი ისტორიული მოვლენისა და პიროვნების შეფასებაში შორდებიან კლასობრივ პოზიციებს, ყოფა-ცხოვრებაში წარსულის გადმონაშთების, რელიგიური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლა არ ატარებს შემტევ ხასიათს...

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის საქალაქო კომიტეტს გააუმჯობესოს კადრების ინტერნაციონალური აღზრდა, პოლიტიკური სწავლების ყველა ფორმაში მეტი ყურადღება დაუთმოს ეროვნულ საკითხებს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით აამაღლოს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე და ეფექტიანობა, ფართოდ ჩააბას პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაკები, წამყვანი მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები ინტერნაციონალური აღზრდისა და ლენინური ეროვნული პოლიტიკის პროპაგანდის საკითხებზე მშრომელთა წინაშე გამოსვლებში. ღრმად გააშუქოს სსრ კავშირის ხალხების ერთობლივი მეცადინეობა თითოეული რესპუბლიკის

ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. აღზარდოს ხელმძღვანელი კადრები ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ეროვნული შეზღუდულობის გამოვლინების ყოველგვარი ფორმის, წარსულის გადმონაშთების, ძველი რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და ადათების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით. უკეთ იზრუნოს მუშათა კლასისა და ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციის ეროვნული კადრების ზრდისათვის.

«სკკ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები»,
გვ. 465—469.

**«საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
ორმოცდაათი წლისთავის შესახებ» სკკ ცენტრალური
კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ
ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან**

1972 წლის 21 დეკემბერი

პარტიამ მიაღწია იმას, რომ ინტერნაციონალიზმი მცირერიცხოვან კომუნისტთა იდეალიდან იქცა ყველა ერისა და ეროვნების მილიონობით საბჭოთა ადამიანის ღრმა რწმენისა და ქცევის ნორმად. (ტ ა შ ი). ეს საზოგადოებრივ შეგნებაში ნამდვილი რევოლუციური გადატრიალებაა, რომლის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ. და თუ პარტიამ შეძლო ამის გაკეთება, ეს, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია იმასთან, რომ იგი არ ურიგდება საკუთარ რიგებში ლენინური ეროვნული პოლიტიკისაგან რაიმე გადახვევას, დაკავშირებულია იმასთან, რომ პარტია გადაჭრით ებრძოდა ყველა და ყოველგვარ გადახრას, მტკიცედ იცავდა და შემოქმედებითად ავითარებდა მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას.

როგორც ცნობილია, ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს ეროვნული პრობლემებისადმი მიდგომის სირთულე, ამბობდა, რომ საჭიროა ვიჩინდეთ შემწყნარებლობასა და დელიკატობას ეროვნული გრძნობების, განსაკუთრებით პატარა ერების ეროვნული გრძნობების მიმართ, თანდათან ვზრდიდეთ მათ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. მაგრამ ყოველი ეროვნების კომუნისტებისაგან ლენინი მუდამ მოითხოვდა

ნათელ და პრინციპულ პოზიციას ეროვნულ საკითხში, არ ურიგდებოდა არავითარ შეღავათსა და შემწყნარებლობას ამ საკითხში. ლენინი მუდამ უღმობლად ებრძოდა კომუნისტთა რიგებში ნაციონალიზმისა და დიდმპყრობელური შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

შეიძლება გვკითხონ, მართლზომიერია თუ არა საერთოდ ვილაპარაკოთ ასეთი პრობლემების შესახებ ახლა, როცა უკვე 50 წელია არსებობს და წარმატებით ვითარდება ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, როცა საბჭოთა ხალხი შეუდგა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას. დიახ, ამხანაგებო, მართლზომიერია.

...ჩვენ მთლიანად გადავწყვიტეთ ეროვნული საკითხი მის იმ ასპექტებში, როგორც რევოლუციამდელი წარსულისაგან მივიღეთ. მაგრამ ეროვნული ურთიერთობა მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოებაშიც რეალობაა, რომელიც მუდამ ვითარდება, ახალ პრობლემებსა და ამოცანებს აყენებს. პარტია მუდამ ყურადღებას უთმობს ამ საკითხებს, დროულად წყვეტს მათ მთელი ქვეყნისა და თითოეული რესპუბლიკის ინტერესების, კომუნისტური მშენებლობის ინტერესების შესაბამისად.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეროვნული ცრურწმენები, ეროვნული გრძობების გადამეტებული თუ დამახინჯებული გამოვლინება მეტად სიცოცხლისუნარიანი მოვლენაა, რომელიც გამჭდარია პოლიტიკური თვალსაზრისით არასაკმაოდ მომწიფებულ ადამიანთა ფსიქოლოგიაში. ეს ცრურწმენანი ცოცხლობენ ისეთ პირობებშიც, როცა ერთა შორის ურთიერთობაში რაიმე ანტაგონიზმებისათვის ობიექტური წანამძღვრები დიდი ხანია აღარ არსებობს. მხედველობაში უნდა გვქონდეს ის ვითარებაც, რომ ნაციონალისტური ტენდენციების გამოვლინება ხშირად ერწყმის კუთხურობას, რომელიც ნაციონალიზმს ენათესავება.

უფლება არა გვაქვს აგრეთვე დავივიწყოთ, რომ ნაციონალისტურ გადმონაშთებს ყოველნაირად აქეზებენ გარედან ბურჟუაზიული სამყაროს პოლიტიკოსები და პროპაგანდისტები. ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენი უდიდესი ხალხით ებლაუჭებიან ყოველგვარ ასეთ გამოვლინებას, აღვივებენ

და აქეზებენ მას იმ იმედით, რომ თუნდაც რამდენადმე შეასუსტონ ჩვენი ქვეყნის ხალხების ერთიანობა.

ბოლოს, ამხანაგებო, ჩვენს საკავშირო სახელმწიფოში არსებობს აგრეთვე ისეთი ობიექტური პრობლემები, როგორიც არის, მაგალითად, ცალკეული ერებისა და ეროვნებების განვითარების ყველაზე სწორი გზების პოვნა და თითოეული მათგანის ინტერესების ყველაზე სწორი შეხამება მთლიანად საბჭოთა ხალხის საერთო ინტერესებთან. როცა ამ ამოცანებს წყვეტს, ჩვენი პარტია მთლიანად ხელმძღვანელობს ლენინის ანდერძით იმის შესახებ, რომ მაქსიმალური ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ თითოეული ერის განვითარებას, მის ინტერესებს.

ჩვენი ქვეყნის ერებისა და ეროვნებების შემდგომი დაახლოება ობიექტური პროცესია. პარტია წინააღმდეგია იმისა, რომ იგი ხელოვნურად დავაჩქაროთ — ამის არავითარი საჭიროება არ არის, ამ პროცესს გვიკარნახებს ჩვენი საბჭოთა ცხოვრების მთელი მსვლელობა. ამასთანავე პარტიას შეუწყნარებლად მიაჩნია ყოველგვარი ცდა შეფერხდეს ერთა დაახლოების პროცესი, ამა თუ იმ საბაბით დაბრკოლება შეექმნას მას, ხელოვნურად განმტკიცდეს ეროვნული განკერძოებულობა, რადგან ეს ეწინააღმდეგება ჩვენი საზოგადოების განვითარების გენერალურ მიმართულებას, კომუნისტა ინტერნაციონალისტურ იდეალებსა და იდეოლოგიას, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

ამის შესახებ ლენინი სავსებით მკაფიოდ ამბობდა: «ნაციონალიზმის ვერავითარ გამაგრებას პროლეტარიატი მხარს ვერ დაუჭერს, — პირიქით, იგი მხარს უჭერს ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას, ეროვნული ზღუდეების დანგრევას, ყველაფერს, რაც უფრო და უფრო მჭიდროს ხდის კავშირს ეროვნებათა შორის...»*.

როცა პარტია ლენინის მიერ დასახული გზით ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების საკითხებს წყვეტს, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქის მუდმივი, სისტემატური და ღრმა აღზრდის საქმეს.

* ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 25.

ეს ორი ცნება ჩვენთვის განუყოფელი მთლიანობაა. რასაკვირ-
ველია, მათ თვით საბჭოთა ცხოვრება, მთელი ჩვენი სინამდ-
ვილე უნერგავს მშრომელებს. მაგრამ აქ საჭიროა პარტიის,
პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკის შეგ-
ნებული მოღვაწეობაც. ჩვენი მუშაობა ამ მიმართულებით კო-
მუნიზმის მშენებლობის საერთო საქმის ფრიად მნიშვნელო-
ვანი ნაწილია.

ლ. ი. ბ რ ე ქ ნ ე ვ ი. ლენინური კურსით,
ტ. 4, გვ. 67—69. თბ., საქ.
კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1974.

რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

1973 წლის 4 აპრილი

რსდმპ მეორე ყრილობამ მიიღო პარტიის მარქსისტულ-
ლენინური პროგრამა—თვითმპყრობელობის, მემამულეთა და
კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობისა და პროლეტარიატის
დიქტატურის, როგორც საზოგადოების სოციალისტური გარ-
დაქმნის იარაღის, დამყარებისათვის ბრძოლის პროგრამა. მან
განამტკიცა ბოლშევიზმის გამარჯვება «ეკონომისტების»
ოპორტუნისტულზე, უძლიერესი ლახვარი ჩასცა მათს თანამოაზ-
რეებს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში.

რსდმპ II ყრილობა შემობრუნების პუნქტი გახდა მსოფ-
ლიო მუშათა მოძრაობაშიც. «ბოლშევიკური პარტიის შექმ-
ნით, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში
«ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისა-
თვის», — დაიწყო რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძ-
რაობის ახალი ეტაპი. პროლეტარიატმა პირველად მიიღო
ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლო ახალ ისტორიულ პირობებ-
ში მისი სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის წარ-
მატებით ხელმძღვანელობა».

ლენინის მოძღვრება პარტიის შესახებ უდიდესი წვლილია
რევოლუციური მარქსიზმის საგანძურში. მარქსიზმ-ლენინიზმ-
ში მეცნიერული გამოხატულება პოვეს ყველა ქვეყნის პროლე-

ტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველაზე საარსებო მოთხოვნილებებმა.

ვ. ი. ლენინი ქმნიდა, განამტკიცებდა და აწრთობდა პარტიას ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, რევინიონიზმთან, ტროცკიზმთან, მემარჯვენე და «მემარცხენე» ოპორტუნიზმთან, სოციალ-შოვინისტებთან და ნაციონალ-უკლონისტებთან, მარქსიზმის რევოლუციური პრინციპების ყველა მოწინააღმდეგესთან შეუთრგებელ ბრძოლაში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე გადასვლის ერა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა სიღრმით, გაქანებითა და ტემპებით უმაგალითო სოციალისტური გარდაქმნები. ჩვენმა სამშობლომ დაძლია საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა და გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ გააერთიანა ყველა ეროვნების მშრომელები მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საფუძველზე, აღზარდა ადამიანთა — კომუნიზმის თავდადებულ მშენებელთა, ნამდვილ ინტერნაციონალისტთა თაობები.

საბჭოთა ხალხის მონოლითური შეკავშირება ლენინური პარტიის გარშემო, მისი უსაზღვრო ერთგულება ოქტომბრის საქმისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი მკაფიოდ გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში. საბჭოთა ადამიანებმა გამოიჩინეს არნახული ვაჟკაცობა, მასობრივი გმირობა ფრონტზე და ზურგში. თავისი ინტერნაციონალური შოვალეობის ერთგული საბჭოთა კავშირი დაეხმარა დამონებულ ხალხებს ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებაში. პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სწორმა ლენინურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო სახალხო-დემოკრატიული, სოციალისტური რევოლუციების წარმატებას ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის მსხვერველს.

მთავარი შედეგი იმ უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისა, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოახდინა სკკპ

ხელმძღვანელობით, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებაა. საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ ცხოვრებაში ძირეულ ცვლილებათა საფუძველზე შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, საერთო ინტერესებითა და მიზნებით, ერთიანი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით შეკავშირებული ასზე მეტი ერისა და ეროვნების მშრომელთა ურღვევი ძმობა. ხალხთა ინტერნაციონალიზმისა და მეგობრობის მკაფიო დემონსტრაცია იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაული...

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წარმოადგენს თანამიმდევრული პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პარტიას. მან მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს ინტერნაციონალიზმის დროშით დააძლევინა ყველა განსაცდელი და მოაპოვებინა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები და მიღწევები. ინტერნაციონალიზმი, ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობა ჩვენი ცხოვრების კანონი, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

XXIV ყრილობაზე შემუშავებული მშვიდობის პროგრამის განხორციელების სკკპ საგარეო პოლიტიკური კურსი უზრუნველყოფს ხელშემწყობ საგარეო პირობებს, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობისათვის, მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებას, ხელს უწყობს მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. იგი მიმართულია იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, საწინააღმდეგო სოციალური სისტემის სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპების დამკვიდრებისაკენ, საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისაკენ, მთელ მსოფლიოში სოციალური პროგრესის უზრუნველყოფისაკენ. ეს კურსი ყველა ხალხის ინტერესებს შეესაბამება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ნაცადი მებრძოლი რაზმია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიულ საქმიანობას,

მის პრინციპულ ლენინურ პოლიტიკას, თანამიმდევრულ ბრძოლას მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებისათვის, მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის, რეფორმიზმის, მემარჯვენე და «მემარცხენე» ოპორტუნიზმის წინააღმდეგ იწონებენ და მხარს უჭერენ მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ ლენინიზმის პრინციპების განხორციელების, რევოლუციური ბრძოლის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ხელმძღვანელობის საქმეში შეძენილი უდიდესი გამოცდილება, ყოველი ახალი ისტორიული ეტაპის მოთხოვნების შესაბამისად თვით პარტიის განვითარების დიდი გამოცდილება მთელი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის კუთვნილება გახდა.

«სკკპ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები»,
გვ. 486—491.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დოკუმენტები

რკპ (ბ) ბაზაირეთის პირველი კონფერენციის რეზოლუციიდან

1919 წლის 8—11 ნოემბერი

თათრეთ-ბაზაირეთის საკითხი

1. თათრეთ-ბაზაირეთის საკითხის საფუძველია ვოლგა-ურალის ავტონომიური შტატის შექმნის ლოზუნგი, რომელიც კერენშჩინის პერიოდში წამოაყენეს საერთოდ ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა ელემენტებმა, კერძოდ კი მუსლიმანთა ეროვნულმა კრებამ.

2. ამჟამად ამ საკითხს კვლავ აყენებენ და აღვივებენ ესე-რები და ხელისუფლების ხელში ჩაგდების მსურველი, პარტიაში მოხვედრილი, კარიერისტები, რომლებიც სარგებლობენ მუსლიმანური პარტიული ორგანიზაციების გახრწნით. ისინი ავანტიურაში ითრევენ ნაკლებშეგნებულ ახალგაზრდა კომუნისტებს, რის შედეგადაც ყველგან, და განსაკუთრებით ბაზაირეთში, ადგილი აქვს გაუგებრობასა და კონფლიქტებს. კომუნისტური პარტიისათვის ამ უცხო ელემენტების ინტრიგებმა ის გამოიწვია, რომ ბაზაირეები, რომლებმაც მთელი რიგი ისტორიულ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ-ეკონომიკური პირობების გამო ავტონომია მიიღეს, ეჭვის თვალით უყურებენ არაბაზაირი ეროვნების კომუნისტებს, რადგან მათში ხედავენ ბაზაირეთის ავტონომიის მოწინააღმდეგეებს, რაც ძლიერ მოქმედებს მცირე ბაზაირეთის პარტიის მუშაობაზე.

3. თათრეთ-ბაზაირეთის რესპუბლიკა, რომელიც იმის შედეგად გამოცხადდა, რომ ეროვნებათა სახალხო კომისარიატს ცალმხრივი ინფორმაცია მიაწოდა ცენტრალურმა მუსლიმანურმა კომისარიატმა, რომელიც, განსაკუთრებით, მაშინ პანისლამისტებისა და ესერების გავლენას განიცდიდა, დარჩა

ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა, რადგანაც ამ რესპუბლიკის იძულებით შექმნა ეწინააღმდეგებოდა ბაშკირეთის ლარიბი მოსახლეობის სურვილებს და არ შეესაბამებოდა თათარი პროლეტარიატისა და გლეხობის ნებასურვილს და ინტერესებს. რუსეთის კომუნისტური პარტიის სრულიად ბაშკირეთის კონფერენციამ გაითვალისწინა ყოველივე ეს და დაადგინა:

1. ადასტურებს რა მუსლიმანური პარტიული ორგანიზაციების დანაგვიანებასა და გახრწნას, დაჟინებით მოითხოვს პარტიის მკაცრ წმენდას ისეთი ელემენტებისაგან, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ კომუნისტურ პარტიასთან, რომლებიც ქმნიან სხვადასხვაგვარ ჯგუფებს, და მხოლოდ ხრწნიან პარტიას ყველაზე გადამწყვეტ და საპასუხისმგებლო მომენტში, და მოითხოვს თათარ-ბაშკირისტების მთავარ დამნაშავეთა პარტიიდან გარიცხვასა და პასუხისგებაში მიცემას.

2. მტკიცედ უარყოფს თათრეთ-ბაშკირეთის რესპუბლიკის შექმნის აზრს და მოითხოვს ამ რესპუბლიკის შექმნის შესახებ მუშათა და გლეხთა მთავრობის დებულების გაუქმებას.

მაგრამ ითვალისწინებს რა პოლიტიკურ და კულტურულ საჭიროებებს საბჭოთა რუსეთში მოსახლე და თათრულ ენაზე მოლაპარაკე ეროვნებებისა, რომელთაც საშუალება არა აქვთ ტერიტორიული ეროვნული ავტონომია განახორციელონ, კონფერენცია მხარს უჭერს ამ ეროვნებათა მისწრაფებას, რომ შექმნან ისეთი დაწესებულებები, რომლებიც ასეთ საჭიროებათა დაკმაყოფილებას უზრუნველყოფენ.

«Резолюции областных конференций
Башкирской партийной организации
и пленумов обкома КПСС».
Уфа, 1959, стр. 110—111.

უკრაინის კპ (ბ) მეოთხე კონფერენციის რეზოლუციიდან

1920 წლის 17—23 მარტი

საბჭოთა უკრაინისა და საბჭოთა რუსეთის
სახელმწიფო ურთიერთობა

5. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ სახელმწიფოს, თავისი ნაციონალისტური ფირნიშის მიუხედავად, არა მარტო ეკონომიკურად და პოლიტიკურად ჰყავს დამონებული საკუთარი მუშები და გლეხები, არამედ ხელოვნურად აფერხებს ფართო მასების ეროვნულ-კულტურულ განვითარებას. ვითომცდა საერთო-ეროვნული ინტერესებისათვის წარმოებული ნაციონალისტური აგიტაცია კი მხოლოდ იმის საშუალებაა, რომ თვით მუშებისა და გლეხების დახმარებით, ეგრეთწოდებული ეროვნული სოლიდარობისათვის, გააძლიერონ მათ მიმართ ეროვნული ბურჟუაზიისა და მემამულეების ძალაუფლება.

6. უკრაინის მაგალითმა ნათლად გვიჩვენა ის კონტრრევოლუციური როლი, რომელიც იქ ნაციონალისტურმა აგიტაციამ შეასრულა, და რომელიც როგორც უკრაინის შემთანხმებლური პარტიების, ისე საერთაშორისო იმპერიალიზმის მტაცებელთა ხელში სოციალისტური საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისა და წასისიანების საშუალებად იქცა...

შენიშვნა: «უკრაინის დამოუკიდებელი სახალხო რესპუბლიკის» ლოზუნგის გარშემო გაერთიანდნენ ბრესტ-ლიტოვსკში უკრაინელი სოციალ-დემოკრატები (პოლოზი — ლევიცი) * და გერმანელი და ავსტრიელი იმპერიალისტები, რათა ჩაეშალათ რუსეთისა და უკრაინის მშრომელი მასების რევოლუციური ფრონტი. ამ ლოზუნგისათვის იმპერიალისტებმა უკრაინის ოკუპაცია მოახდინეს და საბჭოთა რუსეთს შეუტყეს უკრაინის იმავე შემთანხმებლური პარტიების მხარდაჭერით. ამ ლოზუნგისათვის დირექტორია და ფრანგი იმპერიალისტები შარშან ივლისში** ხელს აწერდნენ შეთანხმებას, რომ დაემხოთ უკრაინის მეორე საბჭოთა სოციალის-

* პოლოზი და ლევიცი უკრაინელ ესერთა ლიდერებს შორის იმყოფებოდნენ.

** ამ შეთანხმებას ხელი მოაწერეს 1919 წლის თებერვალში.

ტური რესპუბლიკა. ამავე ლოზუნგისათვის უკრაინელი შემთანხმებლები უკრაინის ქალაქების პროლეტარიატისა და სოფლის ღარიბების წინააღმდეგ აწყობდნენ კულაკთა გამოსვლებს, რამაც მეტად სავალალო როლი შეასრულა დენიკინის შემოტევის დროს. «უკრაინის დამოუკიდებელი სახალხო რესპუბლიკის» ამავე ლოზუნგის გარშემო ამჟამად უკრაინის მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქმნება პეტლიურა-პოლონეთ-რუმინეთის ახალი კოალიცია.

7. «უკრაინის დამოუკიდებელი სახალხო რესპუბლიკა» უკრაინაში საერთაშორისო იმპერიალიზმის ხელისუფლების მხოლოდ ფსევდონიმი იყო. უკრაინელ სოციალ-შემთანხმებელთა — ნაციონალისტთა ხელისუფლების დროს უკრაინა ფაქტიურად უცხოეთის კოლონია ხდებოდა, ხოლო უკრაინის მუშები და გლეხები — საერთაშორისო იმპერიალიზმის მონებად იქცეოდნენ.

«Коммунистическая партия Украины
в резолюциях и решениях съездов
и конференций». Киев, 1958, стр. 46—48.

რკპ (ბ) ბაშკირეთის მუშაკთა კონფერენციის თეზისებიდან

1920 წლის 16—20 სექტემბერი

ეროვნულ საკითხზე

17. ვითვალისწინებთ, რომ თათარ-ბაშკირთა შორის კომუნისტური ძალების, საერთოდ კი კვალიფიციური მუშაკების უდიდესი უკმარობაა, ამიტომ პრაქტიკულ საბჭოთა მუშაობაში უნდა ჩავაბათ მშრომელი საბჭოთა თათარ-ბაშკირი ინტელიგენცია; ამასთან ყველაფერი უნდა ვიღონოთ მისი იმ ბუნებრივი ცდების წინააღმდეგ, რომ ხშირად სუსტ და მის დამყობ კომუნისტურ ელემენტებს კულისებიდან უხელმძღვანელოს მოვინისტურ-ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, ერთი ერის მეორეზე წასისიანებისა და გაუნათლებელ მკვიდრ მოსახლეობაში ეროვნულ-ბურჟუაზიული, ხშირ შემთხვევაში კი რელიგიური კულტურის დანერგვის სულსკვეთებით.

18. წარსულში ჩაგრულ ეროვნებათა კომუნისტებს შორის უნდა გაჩაღდეს ყველაზე ინტენსიური ფართო პარტიული მუშაობა, რათა აღვზარდოთ ისინი პარტიულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის სულისკვეთებით, ჩამოვაყალიბოთ მარქსისტულად მომზადებულ პარტიის წევრებად განაპირა მხარეებში და ჩავუნერგოთ მათ პარტიული დისციპლინა.

19. განაპირა მხარეებში, კერძოდ, ბაშკირეთში, პარტიის ყველა ეს ამოცანა წარმატებით განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად აღმოიფხვრება მკვიდრი და რუსი კომუნისტების ურთიერთუნდობლობა. საუკუნეების მანძილზე სულში გამჭდარმა მეფის პოლიტიკამ ბევრ კომუნისტს დაუტოვა მემკვიდრეობა, როგორც ჩვეულება, გაბატონებული და ქვეშევრდომი ეროვნების გრძნობა, რაც განაპირა მხარის ცხოვრების პირობებში ხელს უშლიდა და ახლაც ხელს უშლის ველიკოროსებისა და მკვიდრი ეროვნებების წრიდან გამოსულ კომუნისტთა სულიერ დაახლოებას.

«Резолюция областных конференций
Башкирской партийной организации
и пленумов обкома КПСС».
стр. 163.

უკრაინის კპ (ბ) სრულიად უკრაინის თათბირის რეზოლუციიდან

1921 წლის 2—4 მაისი

ეროვნული საკითხი

2. ...ცარიზმისაგან ჩაგრული ერებისა და ეროვნებების ეროვნული პრეტენზიების მთელი შეზღუდულობისა და წვრილბურჟუაზიული ბუნების მიუხედავად, რუსეთის ბოლშევიკურ პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნდა პირველ რიგში მშრომელთა ფართო მასების წინაშე ემხილებინა რუსეთის დიდმპყრობელური ნაციონალიზმის, «მჩაგვრელი» ნაციონალიზმის მთელი ოდიოზური ხასიათი, ხოლო «ჩაგრული» ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მიენდო ცარიზმის მიერ დამონებული ერებისა და ეროვნებების სათანადო მოძმე

პარტიებისათვის. ამიტომ იგი ამხელდა რუსეთის მენშევიკებსა და ესერებს, რომლებიც თავიანთი კრიტიკის მთელ ძალას მიმართავდნენ უკრაინელთა, პოლონელთა, ფინელთა, ბელორუსთა და სხვ. ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რითაც მორალურად მხარს უჭერდნენ რუსეთის მემამულეთა და კაპიტალისტთა ყველაზე საზიზღარ, ყველაზე შავრაზმულ მხაგვრელ ნაციონალიზმს. პროგრამის მე-9 პარაგრაფის საფუძველზე რუსეთის ბოლშევიკური პარტია ცნობდა ჩაგრული ერების თვითგამორკვევის უფლებას ს რ უ ლ გ ა მ ო ყ ო ფ ა მ დ ე ც კ ი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ უკრაინელ კომუნისტებს რუსი მუშებისა და გლეხებისაგან გამოყოფის მისწრაფება ჰქონოდათ და საკუთარ ქვეყანაში ფარხმალი დაეყარათ მეშჩანური ნაციონალიზმის წინაშე. პირიქით, უკრაინელ კომუნისტთა მოვალეობა უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნის მიზნით დაუნდობლად ებრძოლათ წვრილბურჟუაზიული უკრაინული პარტიების, მათი მეშჩანური ნაციონალიზმის წინააღმდეგ...

3. ...რუსეთის ბოლშევიკური პარტია რუსეთისაგან ფინეთის გამოყოფისა და «თვითნებური» უკრაინის ავტონომიის ცნობის საკითხზე ენერგიულად ებრძვის ველიკორუსულ წვრილბურჟუაზიას, რომელსაც კერენსკი მეთაურობს, იგი დაუნდობლად ამხელს მტაცებლურ მადას «ახალგაზრდა დემოკრატიისა», რომელიც ცდილობს ფინელები და უკრაინელები ძალით დააკავოს ერთიანი რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში. ამავე პოზიციაზე რჩება იგი ოქტომბრის გადატრიალების შემდეგაც უკრაინაში ცენტრალურ რადის მთავრობის მიმართ, თუმცა ამ მთავრობის პირველივე ნაბიჯებმა საკმაოდ ნათლად ცხადყვეს, რომ ეროვნული ბრძოლის მოჩვენებითი საბაბით უკრაინის წვრილი ბურჟუაზია პროლეტარიატის წინააღმდეგ სამოქალაქო ომს აწარმოებს, მაგრამ სწორედ ცენტრალური რადის ისტორია ყველაზე უკეთ გვიხატავს სოციალური რევოლუციის ეპოქაში ეროვნული მოძრაობის თვით ხასიათის დიალექტიკურ ცვლილებას. და თუ ცარიზმის დროს უკრაინის ეროვნული მოძრაობა დადებით როლს ასრულებდა იმით, რომ ცარიზმის დეზორგანიზაციას ახდენდა და ძალადობასა და ველიკორუსების მიერ მილიონობით სხვა ეროვნებათა დამონებაზე დამყარე-

ბულ მეფის იმპერიას საფუძველს ურყევდა, რუსეთის პროლეტარულ ცენტრებში მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ეს მოძრაობა კონტრრევოლუციურ ხასიათს იღებს და წვრილი ბურჟუაზიის ხელში რუსეთის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ უკრაინის მშრომელი მასების წასისიანების საშუალებას წარმოადგენს. რევოლუციის ამ ფაზაზე წვრილი ბურჟუაზია აყენებს დამოუკიდებლობის იდეას, ერთი მხრივ, როგორც უკრაინაში პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების საწინააღმდეგო ერთგვარ გარანტიას, მეორე მხრივ კი, ისეთი სახელმწიფო-ბუფერის შესაქმნელად, რომელიც გზას გადაუღობავს დასავლეთში კომუნიზმის იდეების შეღწევას. ამიტომ ყველა პატიოსანი უკრაინელი კომუნისტის მოვალეობა ამჟამად ის არის, რომ უკრაინის ფართო მშრომელი მასების წინაშე ამხილოს უკრაინის წვრილი ბურჟუაზიის სახელმწიფოებრივი მისწრაფებების კონტრრევოლუციური ბუნება და ყველა საშუალებით ეცადოს უკრაინელი მუშებისა და გლეხების უფრო მეტად შემჭიდროებას მათს რუს თანამოძმეებთან.

4. საბჭოთა ხელისუფლება ხელისუფლების ერთადერთი ფორმაა, რომელიც უარყოფს ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრას და საქმით ახორციელებს ეროვნული თანასწორობის საფუძვლებს. საბჭოთა ხელისუფლება პრინციპულად უარყოფს მოცემულ ტერიტორიაზე მოცემული ერის განსაკუთრებული საკუთრების უფლებას, რაც კაპიტალისტური ურთიერთობის ეპოქამ ჩამოაყალიბა, საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში ცნობს მხოლოდ ეთნოგრაფიული საზღვრების არსებობას, მთელ მშრომელებს მათი ეროვნების მიუხედავად ანიჭებს ერთნაირ პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს და მათი ეროვნული კულტურის განვითარების უფლებებს, ამით საბჭოთა ხელისუფლება საფუძველს აცლის მშრომელთა შორის ნაციონალიზმის განვითარებას და ამ თვალსაზრისით იგი ანაციონალური ხელისუფლებაა, რომელიც დაინტერესებული არ არის, რომ ერთ ეროვნებას სხვა ეროვნებებზე მეტად დაუჭიროს მხარი. და რადგანაც რუსი-ფიკატორულ პოლიტიკას უკრაინაში თავისი გამტარებლები ჰყავდა მსხვილ სათავადაზნაურო მიწათმფლობელობასა და ქალაქების ბურჟუაზიაში, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ

ამ ორი კლასის ეკონომიკური საფუძვლების შერყევით სასიკვდილო ლახვარი ჩასცა რუსიფიკატორულ პოლიტიკას. ამიტომ პეტლუროვშიჩინის საპირისპიროდ, რომელიც მხოლოდ გარეგნული ანტიმოსკოვური დემაგოგიით რევოლუციის მიერ აღგვილი რუსიფიკატორული კლასების რესტავრაციას ნიღბავს, საბჭოთა ხელისუფლება და ჩვენი პარტია უკრაინაში ისეთი მეთოდების ნამდვილი მოწინააღმდეგენი არიან, რომ უკრაინის მასებს ძალით თავს მოახვიონ რუსეთის კულტურა.

5. როგორც რუსეთში, ისე უკრაინაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ვითარებაში რსფსრ-სა და უკრაინის სსრ-ს შორის სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ფორმების საკითხმა დაკარგა ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ადრინდელი სიმწვავე... თუმცა ყოველივე ამ გარეგნული ცვლილებების დროს მხოლოდ ფორმა იცვლებოდა, მაგრამ არ შეცვლილა მშრომელთა ძმური ერთიანობისა და სოლიდარობის საწყისებზე აგებული რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ბუნება, რაც დღესაც გაუგებარი რჩება უკრაინელი შოვინისტებისათვის, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ ურთიერთობას ბურჟუაზიული კონსტიტუციებისა და ბურჟუაზიული სახელმწიფომცოდნეობის შაბლონებით აფასებენ. უკრაინის კომუნისტური პარტიისათვის უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ურთიერთობის საკითხი არასოდეს ყოფილა პრინციპის საკითხი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური მიზანშეწონილობის საკითხი იყო, და ის, ვინც ჩვენი პარტიის შიგნით შეეცდებოდა სახელმწიფოებრივი ურთიერთობის საკითხი (დამოუკიდებლობა თუ ერთიანი განუყოფელობა) პრინციპული უთანხმოებების ყალიბში ჩამოასხას, ფაქტიურად პარტიაში მოგვევლინებოდა ან დიდმპყრობელური, ან უკრაინული შოვინიზმის იდეების გამტარებლად. მაგრამ, რადგანაც ორი მოძმე რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ურთიერთობა მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება და ჯერჯერობით გარკვეული მყარი ფორმები არ შეუქმნია, ჩვენმა პარტიამ უნდა გადადგას ნაბიჯი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ურთი-

ერთობის მარეგულირებელი კონსტიტუციური საფუძვლების უსწრაფესად გამომუშავებისათვის.

6. ეროვნული უკრაინული კულტურისა და ენისადმი დამოკიდებულობის საკითხში ჩვენმა პარტიამ 1919 წლის დეკემბრის კონფერენციაზე* დასახა ნათელი, განსაზღვრული ხაზი, რომელიც უკრაინაში მომუშავე ყველა ამხანაგმა უნდა გაატაროს...

7. პარტიის გარეშე მყოფი ჩამორჩენილი უკრაინელი მასების ეროვნული გრძნობის ავადმყოფურ გამოვლინებებს მთელი სიფრთხილითა და მოთმინებით რომ ეკიდება, უკრაინის კვ ცენტრალური კომიტეტი ვალდებულია უაღრესად შეურიგებლად ებრძოდეს პარტიის შიგნით არსებულ ნაციონალისტურ გადახრებს. ჩვენს პარტიას შეუძლია დაუთმოს წვრილბურჟუაზიულ გლეხურ სტიქიას პარტიის გარეთ, მაგრამ იგი არ წავა დათმობაზე პარტიის შიგნით მყოფ წვრილბურჟუაზიულ ოპორტუნისტულ ელემენტებთან. იგი ვერ დაუშვებს, რომ პარტიული ორგანიზაციები გახდნენ ასპარეზი ეროვნული კონფლიქტებისა, რომლებიც ჩაღდება მის ფარგლებს გარეთ როგორც ველიკორუსულ, ისე უკრაინელ წვრილბურჟუაზიას შორის. მხოლოდ ველიკორუსული დიდმპყრობელობისა და უკრაინული შოვინიზმის გამოვლინებების წინააღმდეგ ერთდროული ბრძოლით შეძლებს ჩვენი პარტია, რომ უფრო მჭიდროდ დაარაზმოს საკუთარი რიგები საერთაშორისო კომუნისმისა და მშრომელთა ძმური სოლიდარობის იდეების გარშემო.

**«Коммунистическая партия Украины
в резолюциях и решениях съездов
и конференций», стр. 131—135.**

* ლაპარაკია რკპ(ბ) სრულიად რუსეთის VIII კონფერენციაზე, რომელზეც დაამტკიცეს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია «უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ» (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი 1, თბ., 1954, გვ. 585). რ ე დ.

რკპ (ზ) ბაზუკირეთის მუხუთე კონფერენციის მიმართვილან

1922 წლის 10—21 იანვარი

ბაზუკირეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
რკპ(ზ) ეპელა წევრს

... შინაპარტიული ბრძოლის პროცესში ბაზუკირელ მუშაკთა ნაწილი «უციღურესობაში» ვარღებოდა, ნაციონალისტური გადახრა იმარჯვებდა, ერისა და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ინტერესები ზეკლასობრივი პოლიტიკა ხღებოდა, ამას ძალაუღლებისაკენ სწრაფვის პირადი ეღემენტი ემატებოდა.

მეორე მხრივ, ორგანიზაციის ერთი ნაწილი განიცდიდა გავლენას რუსიფიკატორული ეღემენტებისა ან იმ ამხანაგებისა, რომლებიც ვერ აფასებდნენ ეროვნული და ეკონომიკური თავისებურებებისადმი ჩვენი ტაქტიკის გამოყენებისა და მუშაობის უადრესად ღიდ მნიშვნეღობას ცარიზმის მძიმე მემკვიღრეობის ლიკვიდაციისათვის.

1920 წელს პირველი რეკვომი ვალიღოვის მეთაურობით სამარცხვინოდ გაიქცა საბჭოთა რუსეთის ფარგლებიღან. ვალიღოვის სახელი საბჭოთა ხელისუღლების წინააღმდეგ მიმართულ ნაციონალურ ბრძოლას უკავშირღება. ბოლო ღროს «ვალიღოვშიჩინა» მეტსახელი გახდა როგორც პარტიის შიგნით არსებული ნაციონალური დაჯგუფებისა, რომელიც თავის ღროზე არ ჩამოშორდა ვალიღოვს, ისე ნაციონალისტური წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციისა, რომელმაც მასთან არ გაწყვიტა იღეოლოგიური და ფაქტიური კავშირთიერთობა.

ამჟამად ვალიღოვის საქმიანობა სავსებით გარკვეულია... საბჭოთა რუსეთიღან გაქცევის შემდეგ ვალიღოვი მუსლიმანურ ბურჟუაზიულ აღმოსავლეთს დაუკავშირღა. ვალიღოვმა იმით დაიწყო, რომ არ დაეთანხმა ეროვნულ პოლიტიკას და იმპერიალისტური ბურჟუაზიის ბანაკში ჩაეღლო, მისი მსახური გახდა, მშრომეღებისა და საბჭოთა ხელისუღლების მტრად იქცა. უეჭველად ასე დაემართება ყველას, ვინც რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოღშევიკების), საბჭოთა ხელისუღლების წინააღმდეგ გაიღაშქრებს. დაღგენიღია, რომ ვა-

ლიდოვმა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით ბუხარასა და თურქესტანში ბასმაჩების ბანდები შექმნა. ვალიდოვი კონტრრევოლუციონერია, რომელსაც ისევე უნდა მიეზღოს, როგორც მახნოს, საეინკოვს, პეტლურასა და მსოფლიო ბურჟუაზიის სხვა აგენტებს გავუსწორდით...

ამავე დროს კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაუშვებელია ხელალებით დავადანაშაულოთ ვალიდოვის დროს მომუშავე ყველა ამხანაგი, რომლებთანაც ბაშკირეთში მუშაობის პრაქტიკულ საკითხებსა და ტაქტიკურ ხერხებზე უთანხმოება გვაქვს ხოლმე, და შეურაცხყოთ ისინი «ვალიდოველების» სახელწოდებით, რითაც ამხანაგებს კონტრრევოლუციონერთა კატეგორიის მივაკუთვნებთ და მათ პარტიის გარეშე და კანონგარეშე ვაცხადებთ. ორგანიზაცია მტკიცედ უნდა ებრძოდეს ამ ნიადაგზე აღმოცენებულ დემაგოგიას, ხშირად პირადი და ჯგუფური მიზნით გამოყენებულ დევნას.

ბაშკირეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ეროვნული საბჭოთა პოლიტიკის პრაქტიკულ საკითხებზე წამოჭრილი ყველა უთანხმოება სწორად გადაიჭრება პარტიის შიგნით.

კონფერენცია ბაშკირეთის ინტელიგენციის ყურადღებას მიაპყრობს ყოველივე ამას და, კერძოდ, აღნიშნავს, რომ ვალიდოვის ისეთი საბჭოთა გზას აცდენილი თანამონაწილეებიც კი, როგორც იუმაგულოვია, ამაყად მტკიცედ ემიჯნებიან მას, როგორც კონტრრევოლუციონერს, და რადგანაც შეიგნეს, თუ სად მიიყვანა ისინი ვალიდოვის ავანტიურამ, ახლა მიხვდნენ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებასა და რუსეთის კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) შესწევთ უნარი საქმით განახორციელონ ეროვნული განთავისუფლება და მკვიდრ მოსახლეობას შეუპოვარი შრომით მოუშუშონ ის ჭრილობები, რომლებიც მათ მიაყენა ბურჟუაზიისა და მემამულეთა საუკუნეობრივმა ჩაგვრამ, რომ მხოლოდ ყველა ერისა და ქვეყნის მუშათა და გლეხთა ძმურ ერთიანობას შეუძლია იმპერიალისტური კაპიტალის მონობას გამოსტაცოს აღმოსავლეთის ხალხები...

«Резолюции областных конференций
Башкирской партийной организации
и пленумов обкома КПСС», стр. 150—151.

ბელორუსიის კპ (ბ) VII სრილობის რეზოლუციიდან (ბელორუსიის კპ (ბ) XII კონფერენცია)

1928 წლის მარტი

ეროვნულ საკითხზე

...მრავალსაუკუნოვანმა ეროვნულმა ჩაგვრამ და მეფის მთავრობის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ბელორუსულ კულტურას ნორმალური განვითარების საშუალება არ მისცა. კომუნისტურმა პარტიამ ეროვნული საკითხის დარგში თავისი პროგრამის სრული შესაბამისობით ყველაფერი უნდა ილონოს ბელორუსულ ენაზე მუშაობის მოსაგვარებლად და შექმნას ნორმალური პირობები ბელორუსული კულტურის განვითარებისათვის.

ეროვნულ პოლიტიკაში არსებულ მანევ გადახრებს უნდა ვებრძოლოთ.

მაგრამ აღნიშნული მუშაობის განვითარება თავის გზაზე სიძნელეებს აწყდება იმ ვითარების გამო, რომელშიც აღნიშნული მუშაობა მიმდინარეობს. ერთი მხრივ, ჩვენს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეინიშნება ისეთი არაკომუნისტური, წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური ელემენტების მოძალემა, რომლებიც ეროვნული კულტურის თავისუფალი განვითარების უფლებას იმ მიზნით იყენებენ, რომ ეს მუშაობა შეგნებულად გადახარონ ვიწრო ნაციონალიზმის განვითარებისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ნაციონალისტური იდეალების განხორციელებისაკენ. მეორე მხრივ, იგრძნობა, რომ ამ მუშაობის მნიშვნელობა სათანადოდ არ ესმით ცალკეულ პარტიულ მუშაკებს, რომლებიც ეყრდნობიან ეროვნული კულტურისადმი სუბიექტური დამოკიდებულების არასწორად გაგებას, ამცირებენ ბელორუსიის მოსახლეობის ეროვნულ თავისებურებათა მნიშვნელობას, არ სურთ მას ანგარიში გაუწიონ და ეროვნულ ენებზე ყოველგვარი მუშაობის შეწყვეტას მოითხოვენ...

«Коммунистическая партия Белоруссии в резолюциях и решениях съездов и пленумов ЦК», т. 1, Минск, 1973, стр. 95—96.

უპრაინის კპ (ბ) მუშვიდე კონფერენციის რეზოლუციიდან

1928 წლის 4—10 აპრილი

სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა

...წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია განსაკუთრებით ხელსაყრელ ნიადაგს პოულობს ეროვნულ უმცირესობაში და კლერიკალურ და ნაციონალისტურ ფორმას იძენს. წვრილბურჟუაზიულ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით ებრაელებთან და გერმანელებთან, «ნეპის» დროს მუშაობის ახალი საშუალება და შეძლების წყაროები გაუჩნდათ როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთაც.

პარტია ენერგიულად უნდა ებრძოდეს ამ წვრილბურჟუაზიულ და კლერიკალურ-ნაციონალისტურ განწყობილებებს, ამასთან განსაკუთრებით გაითვალისწინოს უკრაინის მოსახლეობის შერეული ეროვნული შემადგენლობა და ამ საკითხით დაინტერესოს ფართო პარტიული საზოგადოებრიობა.

ეროვნულ უმცირესობებთან პარტიული მუშაობის საკითხებით, როგორც ზოგადპარტიული საკითხებით, ეროვნულ უმცირესობათა კომუნისტების მხოლოდ ვიწრო წრე როდი უნდა დაინტერესდეს, არამედ ეს საკითხები უნდა გააშუქონ უჯრედებში, საერთო კრებებზე და სხვ...

ეროვნული მომენტები საბოლოო და პარტიულ მუშაობაში

...წარმატებათა... დადასტურებამ ყალბ დასკვნამდე არ უნდა მიგვიყვანოს, თითქოს ეროვნული საკითხი მთლიანად გადაჭრილიაო. პარტიამ, ჯერ ერთი, გარკვევით უნდა იცოდეს, რომ მისი გადაჭრა საერთოდ ხანგრძლივი პროცესია და მოითხოვს მუდმივ და მოუდუნებელ ყურადღებას, და მეორეც, «ნეპის» ნიადაგზე კაპიტალიზმის ნაწილობრივი აღდგენა უფრო მეტად ართულებს პრობლემას, რადგანაც იგი სოციალურ ბაზას ამზადებს ჩამორჩენილ გლეხურ და მეშჩანურ-ბურჟუაზიულ მასებში ნაციონალისტური განწყობილებების გასაძლიერებლად. კერძოდ, ეროვნული მომენტი მთელი სისრულე

ლით უნდა გავითვალისწინოთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბოლოო სახელმწიფოებრივი სამართლებრივი ფორმების დაწესების საკითხში...

1. პარტიული ცხოვრების დარგში ეროვნული მომენტის გავლენა იმით იგრძნობა, რომ უმეტეს ეროვნულ რესპუბლიკებში ჩვენი პარტიის ორგანიზაციების განვითარების არანორმალური პირობებია შექმნილი. ამ რესპუბლიკების ეკონომიკური ჩამორჩენილობა, ეროვნული პროლეტარიატის მცირე რაოდენობა, ადგილობრივი ადამიანებისაგან შემდგარ ძველ პარტიულ მუშაკთა კადრების უკმარობა ან უქონლობაც კი, დედაენაზე სერიოზული მარქსისტული ლიტერატურის უქონლობა, პარტიულ-აღმზრდელითი მუშაობის სისუსტე და, ბოლოს, რადიკალურ-ნაციონალისტური ტრადიციების გადმონაშთები, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამქრალან, არაიშვიათად წარმოშობენ გარკვეულ გადახრას ეროვნულ თავისებურებათა ზედმეტად შეფასებისა და პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების შეუფასებლობისაკენ, გადახრას ნაციონალიზმისაკენ. ეს გადახრა მავნეა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ამუხრუჭებს ეროვნული ბურჟუაზიის იდეური გავლენისაგან პროლეტარიატის განთავისუფლების პროცესს და ამით აძნელებს ერთიან ინტერნაციონალისტურ ორგანიზაციად ეროვნულ რესპუბლიკათა პროლეტარების შემჭიდროების საქმეს.

2. მეორე მხრივ, ეროვნულ რესპუბლიკათა კომუნისტური ორგანიზაციების ცხოვრებაში შეინიშნება სხვა, უფრო მავნე გადახრა რუსული შოვინიზმისაკენ. ამ ორგანიზაციების რუსულ ნაწილში იგი თავს იჩენს ხოლმე იმის გამო, რომ სათანადოდ ვერ აფასებენ ეროვნულ მომენტებსა და თავისებურებებს (ენა, ეროვნული კულტურა, ყოფა-ცხოვრება და სხვ.) კლასობრივი ბრძოლის განვითარებისათვის, და იმიტომ, რომ ამ ამხანაგთა მნიშვნელოვან ნაწილში შეუფხვებლად არსებობს ძველი დიდმპყრობელური ტრადიციების ნაშთები. მუშაკთა ძველი პარტიული კადრის არსებობის დროს ეროვნული ორგანიზაციების თითქმის მარტოოდენ რუსულ ნაწილში ეროვნულ მომენტთა როლის ეს შეუფასებლობა განსაკუთრებით საშიშია პარტიისათვის, რადგანაც აფერხებს კომუნისტური კადრების ჩამოყალიბებას ეროვნული ენის მცოდნე ადგილობრივი ადამიანებისაგან და ამით ქმნის იმის საშიშ-

როებას, რომ პარტია ეროვნული რესპუბლიკების მშრომელ მასებს მოწყდეს.

3. გმობს რა ორივე ამ გადახრას როგორც კომუნიზმის საქმისათვის მავნესა და საშიშს, პარტიის XII ყრილობა ადასტურებს ეროვნულ საკითხზე პარტიის X ყრილობის დადგენილების სისწორეს და პარტიას მოუწოდებს რაც შეიძლება მალე აღმოფხვრას ორივე გადახრა. პრაქტიკულ ღონისძიებათა სახით ყრილობა ცენტრალურ კომიტეტს ავალებს განახორციელოს:

ა) უმაღლესი ტიპის მარქსისტული წრეების შექმნა ეროვნული რესპუბლიკების ადგილობრივი მუშაკებისაგან, განსაკუთრებით მუშებისაგან;

ბ) პრინციპული მარქსისტული ლიტერატურის განვითარება დედაენაზე;

გ) ეროვნული კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან ადგილობრივი მუშაკებისაგან ინსტრუქტორთა ჯგუფების შექმნა;

დ) დედაენაზე მასობრივი პარტიული ლიტერატურის განვითარება;

ე) რესპუბლიკებში პარტიულ-აღმზრდელი მუშაობის გაძლიერება.

«Коммунистическая партия Украины
в резолюциях и решениях съездов
и конференций», стр. 213, 237, 238—239.

ბელორუსიის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციიდან

1925 წლის იანვარი

**ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
მორიგი ამოცანები ეროვნული ავღიზიების დარგში**

...განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნაციონალისტურ და რელიგიურ ცრურწმენებთან ბრძოლის დარგში მთელი მუშაობა და ღონისძიებანი პარტიის სახელით განახორციელონ მოცემული ეროვნების წარმომადგენლებმა

ან, უკიდურეს შემთხვევაში, იმათ, რომლებიც ამ ეროვნების
ენაზე ლაპარაკობენ...

ეროვნული პოლიტიკის თვალსაზრისით შინაპარტიული
ხაზის განსაზღვრის დროს ბელორუსიის კომუნისტურმა პარ-
ტიამ (ბოლშევიკებისამ) თავიდან უნდა აიცილოს 2 საშიშ-
როება: პირველი და ძირითადია იმ კომუნისტთა შეცდომა,
რომლებიც «ამცირებენ ეროვნულ თავისებურებათა მნიშვნე-
ლობას პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში, ან სრულიად არ
უწევენ მათ ანგარიშს, არ ითვალისწინებენ თავის მუშაობაში
ამა თუ იმ ეროვნების კლასობრივი წყობის, კულტურის, ყო-
ფა-ცხოვრებისა და ისტორიული წარსულის თავისებურებებს».

მეორე საშიშროება იმ ამხანაგთა შეცდომაა, რომლებიც
«ახვიალებენ ნაციონალურ თავისებურებათა მნიშვნელობას
პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში, ჩრდილში ტოვებენ მშრო-
მელთა კლასობრივ ინტერესებს, ან ამა თუ იმ ერის მშრომელ-
თა ინტერესებს პირდაპირ ურევენ ამავე ერის საერთო-ნაციო-
ნალურ ინტერესებში, რადგან არ შესწევთ უნარი გამოჰყონ
პირველნი უკანასკნელთაგან და მათ საფუძველზე ააგონ პარ-
ტიული მუშაობა».

პირველი საშიშროება უმთავრესად იმით გამოიხატება,
რომ პარტიის ცალკეული წევრები სიტყვით კი აღიარებენ
ეროვნულ პოლიტიკას, მაგრამ მისდამი პასიური წინააღმდე-
გობის გაწევით ხელს უშლიან ეროვნული პოლიტიკის გან-
ხორციელებას.

მეორე საშიშროება ის არის, რომ ბელორუსულმა, ებრა-
ულმა მზარდმა ნაციონალიზმმა, პოლონელთა განკერძოებუ-
ლობის განწყობილებამ პარტიის გარეშე მყოფი ნაციონალის-
ტური ინტელიგენციის რიგებიდან შეიძლება სხვადასხვა ეროვ-
ნების ინტერესთა დაპირისპირების ფორმით შეაღწიოს პარ-
ტიაში.

ეს საშიშროებანი მით უფრო აღმოიფხვრება, რაც უფრო
მეტად მტკიცე-ბოლშევიკური იქნება ბელორუსიის კომუნის-
ტური პარტიის (ბოლშევიკების) და მისი ცალკეული ორგანი-
ზაციების ხაზი.

«Решения и резолюции ВКП(б) и
КП(б)Б по национальному вопросу»,
Минск, 1926, стр. 52, 53.

გელორსიის კაკ (გ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციიდან

1925 წლის ოქტომბერი

ეროვნული პოლიტიკის შესახებ

...მძიმე გასაჭირი, რომელსაც დაბის მოსახლეობა განიცდის, ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის სიონიზმის განვითარებას, რომლის გავლენაც ებრაულ წვრილბურჟუაზიულ ფენებსა და დაბის ახალგაზრდობაზე ამჟამად ძალზე მნიშვნელოვანია.

ითვალისწინებს რა სიონიზმის კონტრრევოლუციურ როლს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით, პლენუმი ზემოაღნიშნულ ეკონომიკურ ღონისძიებებთან ერთად წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციას გააძლიეროს ბრძოლა მის წინააღმდეგ. აუცილებელია ყველა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციას გავაცნოთ სიონისტური ჭგუფების ხასიათი და საქმიანობა და მოვამზადოთ შესაბამისი ლიტერატურა. განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს კომკავშირის სააგიტაციო-საგანმანათლებლო მუშაობა ქალაქისა და დაბის ებრაული ახალგაზრდობის მასებში...

1. ნების შემდგომი განვითარება და მასთან დაკავშირებული კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდა იწვევს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეოლოგიის განმტკიცებას და პარტიასა და საბჭოთა აპარატზე მისი შეტევის გაძლიერებას. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეოლოგიის გავლენა ბელორუსიის პირობებში გამოიხატება, განსაკუთრებით ნაციონალ-დემოკრატიულ განწყობილებათა ფორმით, რომელიც მომდინარეობს წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციისა და გლეხობის შეძლებულ ზედაფენათა წრეებიდან და ითრევს ცალკეულ, ძერყევ კომუნისტებს; ამიტომ პარტიის წინაშე დგება გადახრების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, ეროვნული საკითხის გადაჭრაში ბოლშევიკური ხაზის უზრუნველყოფის ამოცანა.

2. ყველაზე საშიშ გადახრას წარმოადგენს ეროვნული პოლიტიკის საკითხისადმი არასაკმარისი ყურადღების გამოჩენა და ეროვნული ფსიქოლოგიის გაუთვალისწინებლობა (პასიურობა პარტიის პოლიტიკის განხორციელების დროს,

ქედმაღლური დამოკიდებულება «სუსტი კულტურებისადმი», არასაკმარისი ყურადღების გამოჩენა წარსულში დაჩაგრულ ერთა წრეებიდან მუშაკთა დაწინაურებისა და აღზრდის მიმართ, უყურადღებობა ამ ერების კულტურული მშენებლობისადმი (საერთოდ). ამ სახის განწყობილებანი, არსებითად, შენიღბული და ამის გამო ყველაზე საშიში ფორმაა დიდძალბრძოლური შოვინიზმისა, რომელიც მთელი პარტიისაგან ძალზე მტკიცე ბრძოლას და დაძლევის მოითხოვს.

3. ამას გარდა წინათ დაჩაგრულ ეროვნებათა წრიდან გამოსულ კომუნისტებში მოსალოდნელია (და ნაწილობრივ ამჟამადაც თავს იჩენს) გატაცება «ნაციონალური კულტურით საერთოდ», საკითხის კლასობრივი დასმის საზიანოდ. პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეროვნული კულტურული მშენებლობის საქმეში პარტიის ამოცანას წარმოადგენს ეროვნულ კულტურების კომუნისტურ-პროლეტარული შინაარსის უზრუნველყოფა.

4. ძირითად ბელორუს ეროვნებასა და ეროვნულ უმცირესობათა ურთიერთობის სფეროში საშიშროებას წარმოადგენს: ერთი მხრივ — ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ მიმართული შემაჯავებელი ბელორუსული ნაციონალიზმი, მეორე მხრივ — ეროვნულ უმცირესობათა წრიდან გამოსულ მუშაკთა სწრაფვა ჩაიკეტნენ თავიანთი ეროვნული კულტურის ჩარჩოებში... პარტიამ უნდა იბრძოდეს ორივე საშიშროების წინააღმდეგ.

5. წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაციონალისტური გავლენის წინააღმდეგ რომ ვიბრძვი, ამავე დროს მასთან უნდა დავამყაროთ საქმიანი თანამშრომლობის ურთიერთობა. პლენუმი აღნიშნავს, რომ მიმდინარეობს პარტიასთან ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ფენების დაახლოების პროცესი და უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია მათ წრეში კომუნისტური იდეოლოგიის გავლენის გაძლიერება და პარტიასთან ინტელიგენციის საუკეთესო ელემენტთა შემდგომი დაახლოება.

6. პლენუმი აღნიშნავს, რომ პარტიული ორგანიზაციების ნაწილს, მათ შორის პარტაქტივის ნაწილს საკმაოდ ნათლად არ ესმის პარტიის ხაზი ეროვნულ საკითხში, და საჭიროდ მიიჩნია, რომ გაძლიერდეს პარტიის ეროვნული პოლიტიკის

როგორც თეორიულ საფუძველთა, ისე მიმდინარე პრაქტიკის განმარტება და დამკვიდრდეს ამგვარი საკითხების უფრო ხშირი და ფართო განხილვა პარტიულ კრებებზე და პრესაში.

7. ეროვნულ საკითხში პარტიის ხაზის გამრუდების საშიშროებას ისიც აძლიერებს, რომ ბელორუსიის კომპარტიის (ბოლშევიკების) აქტივის შემადგენლობაში არის დიდი რაოდენობა ამხანაგებისა, რომლებიც ბელორუსიაში არსებული ხაციონალისტური პარტიებიდან გამოვიდნენ და რომ ამ ამხანაგთა მთელი სუბიექტური გულწრფელობის მიუხედავად, ყველა მათგანმა ბოლომდე როდი დაძლია ძველი ტრადიციები. ამიტომ პლენუმი ავალებს ოქტომბრის რევოლუციის ისტორიისა და კომუნისტური პარტიის ისტორიის მასალების შემკრებ და შემსწავლელ კომისიას შეუდგეს ამ პარტიათა კრიტიკული ისტორიის მომზადებას და ბელორუსიაში მომხდარი რევოლუციური ბრძოლების გაშუქებას ბოლშევიკური თვალსაზრისით.

«Решения и резолюции ВКП(б) и КП(б)Б по национальному вопросу»,
стр. 62, 65—66.

უზბეკეთის კპ (ბ) მეორე პრილოგის რეკონსტრუქცია

1925 წლის 22—30 ნოემბერი

უზბეკეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენების ბაზო

9. ეროვნული გამიჯვნის შედეგად და ქვეყნის სამეურნეო ზრდის საფუძველზე უეჭველად შეინიშნება უზბეკეთის საერთო პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც იმით გამოიხატება, რომ, ერთი მხრივ, განვითარდა ყიშლალის ფენებად დაშლა, გაიზარდა მშრომელთა ფართო მასების აქტივობა, მოსახლეობის მასები ბასმაჩობას განუდგნენ და მათ გადმონაშთებს აქტიურად დაუწყეს ბრძოლა, მეორე მხრივ კი, ყიშლალის ღარიბებისა და საშუალო დეხკანთა ფართო მასები აქტიურად მონაწილეობენ საბჭოების გაჯანსაღებისათვის ბრძოლა-

ში, მიწის რეფორმის განხორციელებაში, მშრომელი მასები პარტიაში შესვლას ესწრაფვიან.

მაგრამ პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა, თუ უზბეკეთის პოლიტიკურ ცხოვრების ამ დადებით მომენტებთან ერთად პარტია არ აღნიშნავდა ან სათანადოდ არ შეაფასებდა უარყოფით მომენტებსაც. ბუნებრივია, რომ ეკონომიკაში ორი ტენდენციის — სოციალისტური და კაპიტალისტური ტენდენციების ბრძოლა აისახება პოლიტიკურ ცხოვრებაშიც... უკანასკნელ ცდას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლების წინააღმდეგ — დეხკანებისა და მუშათა კლასის კავშირის ჩაფუშვის აკენ მიმართული ნაციონალურ-შოვინისტური აგიტაციის გაძლიერება.

ამ კონტრრევოლუციურ ცდებს უნდა დაუპირისპირდეს ლენინის ანდერძისა და ოქტომბრის მონაპოვართა საფუძვლების სულისკვეთებით გამსჭვალული რევოლუციური აგიტაცია...

10. ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად განსაკუთრებული როლი აუცილებლად უნდა შეასრულოს მშრომელმა ინტელიგენციამ. პარტიის ამოცანაა — დააჩქაროს საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე ინტელიგენციის (განსაკუთრებით მკვიდრი მოსახლეობიდან გამოსული ინტელიგენციის) გადასვლის მიმდინარე პროცესი და დარაზმოს ისინი პარტიის გარშემო.

პარტიამ უნდა გამოავლინოს ყურადღებისა და მოწადინების მაქსიმუმი თავის გარშემო ინტელიგენციის დასარაზმავად, მის მოსაზიდად ქვეყნის მშენებლობაში უფრო აქტიური მონაწილეობისათვის და მისი (ქვეყნის) კულტურულობის ასამაღლებლად.

უზბეკეთის კომუნისტური პარტიის II ყურულთაი ავალებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს ინტელიგენციასთან მუშაობის საკითხს, დაადგინოს მასთან მუშაობის განსაკუთრებული ფორმები და მეთოდები, ავრეთვე იზრუნოს მუშათა და დეხკანთა ფენები-

დან გამოსული ახალი ინტელიგენციის რევოლუციურად აღზრდისათვის.

11. ეკონომიკური ზრდის პირობებში, ნების დროს, ორი დაპირისპირებული ტენდენციის ბრძოლის ვითარებაში, გარდაუვალია ქალაქისა და ყიშლალის ცალკეული სოციალური ფენების: მუშების, მოჯამაგირეების, ყიშლალის ლარიბთა და საშუალო გლეხობის აქტივობის შემდგომი ზრდა ბაებისა და ვაჭრების წინააღმდეგ.

კლასობრივ ფენებად დაყოფა უფრო და უფრო ღრმავდება და ისეთ ოლქებსაც შეეხო, როგორც ზერავშანსკის ოლქი და სხვა ჩამორჩენილი რაიონებია. პარტიამ ეს აქტივობა და კლასობრივ ფენებად დაყოფა უნდა გამოიყენოს თავისი პოლიტიკური ძლიერების განსამტკიცებლად.

«Резолюции и решения съездов
Коммунистической партии Узбекистана»,
Ташкент, 1957, стр. 58—60

საპ. კპ (ბ) ყირგიზეთის მეთხე საოლქო კონფერენციის რეზოლუციიდან

1937 წლის 18—21 ნოემბერი

საოლქო საკონტროლო კომისიისა და მუშურ-გლეხური ინსპექციის საანგარიშო მოხსენავის გამო

საკონტროლო კომისიის წინაშე ახალ პერიოდში უნდა დაისახოს ორი პრობლემის ზედმიწევნით შესწავლის ამოცანა:

ა) რა და რა ძირითადი პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ღონისძიებები განახორციელეს პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ყირგიზეთში ეროვნული პოლიტიკის დარგში პარტიის XII ყრილობისა და ეროვნული თათბირის დირექტივათა შესასრულებლად და ბ) ძირითადი იდეოლოგიური გადახრები ყირგიზეთის პარტორგანიზაციაში.

იდეოლოგიური გადახრების სოციალური არსის საკითხთა შესწავლისას მუშაობა ისე უნდა ავავოთ, რომ პასუხი გავცეთ ოროის მოცემული პერიოდის ძირითად პრინციპულ საკითხს,

თუ რამდენად მტკიცედ არის აღმოფხვრილი ყირგიზეთის პარტორგანიზაციის რიგებში, ერთი მხრივ, კოლონიზატორული და, მეორე მხრივ, ნაციონალისტური გადახრა.

«Коммунистическая партия Киргизии в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов обкома и ЦК». Фрунзе, 1958, ч. I, стр. 155, 156—157.

უზგაკეთის კვ (ბ) მესამე ყრილობის რეზოლუციიდან

1927 წლის 16—24 ნოემბერი

უზგაკეთის კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენავის გამო

...ყურულთაი აღნიშნავს მუშაობის საანგარიშო პერიოდში ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შემდეგ უმთავრეს მიღწევებს:

...პარტიის, მისი მუშათა ბირთვის, ინტერნაციონალურად განწყობილი ბოლშევიკური კადრების მნიშვნელოვან ზრდას, პარტიის ბოლშევიზაციის გზაზე მოპოვებულ მნიშვნელოვან წარმატებებს და პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური ურყევობის გაძლიერებას. განხორციელდა გადამწყვეტი ბრძოლა სწორი პარტიული ხაზიდან ყოველგვარი შესაძლო გადახრის წინააღმდეგ (ბრძოლა ინოგამოვშინის წინააღმდეგ, ბრძოლა «18-თა ჯგუფთან»⁴⁶ ველიკორუსულ შოვინიზმთან). მოეწყო ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია საქ. კვ (ბ)-ში არსებული ოპოზიციის საკითხებზე და მტკიცე პასუხი გაცა ტროცკისტული ოპოზიციის ყველა გამოხდომას...

აღნიშნავს რა, ერთი მხრივ, დიდმპყრობელური შოვინიზმის ნარჩენების არსებობას (წარმოებაში კვლავ ჩაბმული რუსი მუშების ჩამორჩენილ ნაწილში და, ნაწილობრივ, პარტიის წევრთა ევროპულ ნაწილში) და მეორე მხრივ, ადგილობრივი ნაციონალიზმის არსებობას (ინოგამოვშინა, «18-თა ჯგუფი» და სხვ), მესამე ყურულთაი ავალებს ცენტრალურ კომიტეტს გადამწყვეტი და მტკიცე ბრძოლა აწარმოოს ყოველგვარი ნაციონალისტური გადახრების წინააღმდეგ როგორც მუშათა შორის, ისე პარტიის რიგებში...

**უზგავეთის კა (ბ) ცენტრალური საკონტროლო
კომისიის ანგარიშის გამო**

...გ) გაგრძელდეს ბრძოლა ეროვნულ საკითხში პარტიის ხაზის ცალკეული დიდმპყრობელურ-შოვინისტური გამრუდებების წინააღმდეგ (იმის ურწმუნობა, რომ ძირითადი ეროვნებების წარმომადგენელთაგან შეიძლება შეიქმნას პარტიის ლენინური კადრები)...

**სახელმწიფო აპარატის ნაციონალიზაციისა და
წარმოებაში ადგილობრივი ეროვნების მუშათა ჩაბმის უზრუნველყოფის**

...აღმავლობა, რამაც ცხადყო ოპოზიციის მტკიცებათა მთელი უაზრობა, გამოიწვია არა მარტო ყიშლალის ექსპლოატატორული ელემენტების წინააღმდეგ პარტიის მართებულმა ბრძოლამ, რომელიც მიზნად ისახავდა ბაების გავლენისაგან ყიშლალის ღარიბთა განთავისუფლებას და ბაიურ-მეევანშური კაპიტალის ექსპლოატატორული შესაძლებლობების შეზღუდვას, არამედ დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ რუსეთის პროლეტარიატის მხარდაჭერით წარმოებულმა ბრძოლამაც.

...ამ აღმავლობის შემდგომი ზრდა... და ჩვენი საზოგადოებრიობის გასაბჭოების კალაპოტით მისი წარმართვა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ჩვენ რამდენად შევძლებთ განვახორციელოთ ეს ლენინური პოლიტიკა და განუზრელად განვაგრძოთ ჩვენი კავშირის პროლეტარიატთან უზბეკეთის დეხკანთა მასებისა და მისი მოწინავე ავანგარდის — პროლეტარიატის ძმური კავშირის იდეის დანერგვის ხაზი, მიუხედავად ოპოზიციის «რჩევისა», რომ შეგწყვიტოთ ბრძოლა ნაციონალურ-შოვინისტურ ბურჟუაზიულ გადახრებთან...

...ბ) განვაგრძოთ წარმოების მუშებისა და ადგილობრივი ეროვნების მოწინავე დეხკანთა წრიდან ინტერნაციონალური კომუნისტური კადრების შერჩევა, დაწინაურება და აღზრდა, სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ მათი ბოლშევიკური აღზრდა, კერძოდ, იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიონ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

უზბეკეთის, ამ უპირატესად დეხკანური ქვეყნის პირობებში, საერთო კულტურული ჩამორჩენილობისა და გაუნათლებლობის ვითარებაში, წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია ძალზე ხშირად იჩენს თავს ქვეყანაში, ნაწილობრივ კი პარტიის შიგნითაც. პარტიაში წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის («18-თა ჯგუფი», ინოგამოვშჩინა, ოპოზიციური ბლოკი) შემოღწევის ცდებისა და ჩვენს ქვეყანაში მტრული ელემენტების (სასულიერო წოდება, ნაციონალისტური ინტელიგენცია და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლაში პარტია იდეოლოგიურად გაიზარდა, მან გააფართოვა და გამოაწრთო თავისი ლენინური კადრები.

აუცილებელია შემდგომში უფრო მეტი ყურადღება დავუთმოთ პარტიის ყველა წევრის იდეოლოგიურ აღზრდას. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ როგორც დიდძალპრობელური შოვინიზმის ნაშთებთან, ისე ადგილობრივ ნაციონალიზმთან ბრძოლას. ამავე დროს უნდა გვაჩსოვდეს, ევროპელ მუშებს შორის კომუნისტური ორგანიზაციების იდეოლოგიური განმტკიცების ძირითადი ამოცანა ის არის, რომ კომუნისტებმა ნამდვილად უნდა აღმოფხვრან ყოველგვარი ნაშთი დიდძალპრობელური შოვინიზმისა, რომელიც ზოგჯერ სავსებით შენიღბული ფორმით გვევლინება. თუკი დაცინვა, ქედმაღლობა, ურთიერთდამოკიდებულებაში საკუთარი უპირატესობის ხაზგასმა აშკარად უკვე აღარ შეიმჩნევა, სამაგიეროდ საკმაოდ გავრცელებულია უნდობლობა ძირითადი ეროვნებების მუშათა ძალების მიმართ. მათ ისეთ მუშებად მიიჩნევენ, რომლებიც თითქოს ჯერ კიდევ ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ნაციონალიზმის ტყვეობაში იმყოფებიან, დარწმუნებული არ არიან ძირითადი ეროვნების მუშათა ძალებში, მათ ორგანიზაციულ უნარში.

თავის მხრივ, დიდძალპრობელური შოვინიზმის ყველა ეს გადმონაშთი პროლეტარიატის ეროვნული ნაწილის მიმართ ძირითადი ეროვნების მუშათა უნდობლობას იწვევს და ხელს უშლის მუშათა რიგებში ინტერნაციონალური ერთიანობის განმტკიცებას.

უდავოა, რომ შუა აზიის რესპუბლიკებში მცხოვრები ევ-

როპელი მუშებისათვის, რომელთაც ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, უფრო ადვილია აღიქვან, შეითვისონ და განახორციელონ მუშათა კლასის ბრძოლის იდეები და ლოზუნგები. უდავოა, რომ მთელი რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მრავალწლიანი გამოცდილება უფრო ღრმა კვალს დასტოვებდა შუა აზიის რესპუბლიკებში მცხოვრებ ევროპელ მუშათა შეგნებასა და გამოცდილებაში.

მაგრამ ეს გარემოება ევროპელ მუშებს მხოლოდ და მხოლოდ საგანგებო ამოცანას აკისრებს — კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივი სოლიდარობის ეს რევოლუციური გამოცდილება გადასცენ ძირითადი ეროვნებების მუშებს.

შუა აზიის პირობებში ეს მუშაობა უნდა წარმოადგენდეს «პირველ და ძირითად სამუშაოს კლასობრივი თვითშეგნების განვითარებასა და პროლეტარიატის ინტერნაციონალური კადრების შემჭიდროების საქმეში» (პარტიული მშენებლობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის შუა აზიის ბიუროს თეზისებიდან)...

VII. ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობა. ყრილობა აღნიშნავს საწარმოებსა და ყიშლალში ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის წარსულის უაღრესად დაბალ დონეს. ეროვნული უმცირესობიდან პარტიაში მიზიდულ მუშათა რაოდენობა ევროპელ მუშებსა და ადგილობრივი ეროვნებების მუშებზე უფრო ნაკლებია.

ეროვნულ უმცირესობათა რიგებიდან გამოსულ მუშებს, მოჯამაგირეებსა და დეხკანებს შორის, განსაკუთრებით ქალთა ნაწილში, მეტად გამძლე აღმოჩნდა რელიგიური ცრურწმენები და განსაკუთრებით დიდია საერთოდ იდეოლოგიური ჩამორჩენა.

ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ეროვნულ უმცირესობათა შორის პარტიული მუშაობის წარმართვას იმ მიზნით, რომ პარტიაში დიდი რაოდენობით მიიზიდონ ეროვნულ უმცირესობათა მუშები და მოჯამაგირეები, რომ მათგან გამოიწრთოს აქტივი და აძალდდეს მათი იდეოლოგიური დონე. აუცილებელია, რომ მათთან მთელი პარტიული და პროფესიული მუშაობა მათსავე დედაენაზე წარიმართოს. დიდი ყურადღებით უნდა მოვეცი-

დოთ მათს პოლიტიკურ აღზრდას პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიისაგან მათი განთავისუფლების მიზნით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მკვიდრი ეროვნული უმცირესობიდან გამოსული მუშების საბჭოთა აპარატში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში დაწინაურების გაძლიერებას.

«Резолюции и решения съездов
Коммунистической партии Узбекистана», стр. 152, 153, 158,
164, 203, 206, 215—216, 219—220.

უკრაინის კპ (ბ) მეათე ყრილობის რეზოლუციიდან

1927 წლის 20—29 ნოემბერი

უკრაინის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ანგარიშის გამო

ყრილობა აღნიშნავს პარტიის უდიდეს წარმატებას, რომელსაც მან ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით საანგარიშო პერიოდში მიაღწია უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების, უკრაინის საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საქმეში. ეს განმტკიცება ყოველგვარ ნიადაგს უსპობს კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტურ მოძრაობას, მიმართულს უკრაინაში ბურჟუაზიისა და კულაკობის ხელისუფლების აღდგენისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ზურგს უმაგრებს საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელიც ომს ამზადებს საბჭოთა კავშირისა და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა უკრაინის წინააღმდეგ...

ყრილობა პარტიულ ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს ჩამორჩენილ მასებში ანტისემიტური განწყობილებების გაძლიერებაზე, რასაც ქმნიან და იყენებენ ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ელემენტები. ყრილობა ყველა პარტიულ ორგანიზაციას წინადადებას აძლევს გააძლიეროს ანტისემიტისმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ეროვნული პოლიტიკის განხორციელების დარგში პარტიის

მიერ მოპოვებული წარმატებები მნიშვნელოვანწილად პარტიის შიგნით არსებული შოვინიზმისა და ისეთი ნაციონალისტური გადახრების წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლის შედეგია, რომლებშიც თავს იჩენდა ხოლმე პარტიის სხვადასხვა ელემენტზე უცხო, წვრილბურჟუაზიული წრეების გავლენა...

ჩვენი ახლანდელი მიღწევები, ისევე როგორც შემდგომი წინსვლა ეროვნული პოლიტიკის სფეროში, ძლიერ დამოკიდებულია ეროვნულ პოლიტიკაში ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ შემდგომ წარმატებულ იდეურ ბრძოლაზე. მხოლოდ ამ ბრძოლაში შეგვიძლია გავატაროთ ეროვნული პოლიტიკის სწორი ხაზი. ყრილობას მიაჩნია, რომ როგორც რუსული, ისე უკრაინული შოვინიზმისაკენ გადახრებთან შემდგომ ბრძოლაში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა გამოიყენოს როგორც აღმზრდელობითი, ისე ორგანიზაციული ხასიათის სხვადასხვა ღონისძიება.

უკრაინაში კულტურული მშენებლობის ამოცანების შესახებ

ამტკიცებს რა უკრაინის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დადგენილებებს ეროვნულ საკითხზე და უკრაინული კულტურის მშენებლობის შესახებ, ყრილობა სახავს ამოცანას, რომ ამ საკითხზე წარმოაჩინოს და გაავრცელოს სწორი პარტიული შეხედულებები და მთელი შეუპოვრობით დაძლიოს კულტურათა ბრძოლის თეორიის მომხრეთა როგორც დიდმპყრობე-ლურ რუსული, ისე შოვინისტურ უკრაინული მცდარი, არასწორი, ანტილენინური შეხედულებები.

**«Коммунистическая партия Украины
в резолюциях и решениях съездов
и конференций», стр. 381, 382,
383, 435.**

საპ. კვ (ბ) პირგზიჰეთის მხსუთე სოლქო კონფერენციის რეზოლუციიდან

1929 წლის 15—25 იანვარი

საპ. კვ (ბ) პირგზიჰეთის სოლქო კონფერენციის სანაზაროო მოხსენების გავო

რესპუბლიკის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ჩამორჩენილობა, განვითარებული მრეწველობის უქონლობა და სამრეწველო პროლეტარიატის კადრთა უმნიშვნელო რაოდენობა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ხასიათი მიწათმოქმედების და მესაქონლეობის უაღრესად ჩამორჩენილი ფორმებითურთ, ყიმლალისა და აილის სუსტი კლასობრივი დანაწილება ჯერ კიდევ ძლიერი საგვარეულო და ფეოდალური ურთიერთობის პირობებში და ბაიური და მანაპური ელემენტების ძლიერი გავლენისას, სახელმწიფო აპარატის დანაგვიანება სოციალურად უცხო ელემენტებით, ძირითადი ეროვნების ინტერესებისადმი აშკარად დიდმპყრობელურ-შოვინისტური დამოკიდებულების ცალკეულ გამოვლენათა არსებობა და ადგილობრივი ხაციონალიზმის ტენდენციები — ყოველივე ეს მთელ რიგ წინააღმდეგობებს ქმნის ეკონომიკის შემდგომი სწრაფი განვითარებისა და ყირგზეთის მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გზაზე.

ეს საერთო ობიექტური სიძნელეები, რომელთა მიზეზია ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული და ის, რომ ჯერ კიდევ აღმოუფხვრელია მეფის წყობილების კოლონიური პოლიტიკის მემკვიდრეობა, რთულდება იმით, რომ კაპიტალისტური და სოციალურად მტრული ელემენტები (ბაი, მანაპი, კულაკი, ინტელიგენციის რეაქციული ნაწილი, სასულიერო წოდება და სხვ.) მზარდ წინააღმდეგობას უწევენ წარმატებით სოციალისტურ შეტევას. ამ წინააღმდეგობის ასახვას წარმოადგენს პარტიული ორგანიზაციის ცალკეულ რგოლში აშკარად მზარდი სიძნელეებისა და ბურჟუაზიული რესტავრაციისაკენ მიმართული კაპიტალისტური ცდების გამოცოცხლებისადმი სოციალისტური პოზიციების დათმობის ფაქტები. თავი იჩინა მემარჯვენე, აშკარად ოპორტუნისტულმა გადახრამ, რომელიც

ყირგიზეთის პარტიული ორგანიზაციების სისუსტისა და მათში უმნიშვნელო პროლეტარული ფენის არსებობის პირობებში ორგანიზაციისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს.

ეს მემარჯვენული მერყეობა ყირგიზეთის პირობებში უმთავრესად გამოიხატება ყირგიზეთის აილსა და ყიშლალში კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვით, გვაროვნული და ფეოდალური ურთიერთობისადმი დათმობით ჩვენი ქვეყნის კარჩაკეტილი სამეურნეო განვითარებისაკენ სწრაფვით, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა განვითარების აუცილებლობის უარყოფით, საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ამოცანათა სათანადოდ შეუფასებლობითა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ტენდენციებით. ამიტომ პარტიულ ორგანიზაციათა უმთავრესი ამოცანაა მეტად მტკიცედ ებრძოლონ მემარჯვენე გადახრასა და მასთან შემრიგებლური დამოკიდებულების ყოველგვარ გამოვლინებას, შემდგომ განაგრძონ ბრძოლა ტროცკიზმთან და მოახდინონ პარტორგანიზაციის რიგების ბოლშევიზაცია პარტიული მასის იდეური დონის ამაღლების გზით, პარტიაში მიიზიდონ მუშები, მოჯამაგირეები და ლარბები და გაწმინდონ პარტორგანიზაციები სოციალურად უცხო და გახრწნილი ელემენტებისაგან.

«Коммунистическая партия Киргизии
в резолюциях и решениях съездов,
конференций и пленумов обкома
и ЦК», ч. I, стр. 202—203.

უზბეკეთის კპ (ბ) მეოთხე ყრილობის რეზოლუციიდან

1929 წლის 17 თებერვალი — 2 მარტი

საპ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საპ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შუა აზრის ბიუროს მუშაობის შესახებ

...პარტიის მეოთხე ყურულთაი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანათა გადაჭრას...

გადამწყვეტი ბრძოლა პარტიის ბოლშევიზაციისათვის ისეთ საფუძველზე, რომ გაუმჯობესდეს მისი სოციალური შემადგენლობა, შეუძრიგებლად ვიბრძოლოთ მემარჯვენე გადახრის, მისდამი შემრიგებლური დამოკიდებულების, ტროცკიზმის ნაშთებისა და მისდამი შემრიგებლური დამოკიდებულებ-

ბის, ნაციონალიზმისა და ველიკორუსული შოვინიზმის წინააღმდეგ, იმის საფუძველზე, რომ ლენინურად გვესმოდეს პარტიულობა ჯგუფობრიობის წინააღმდეგ, რომ გზა გადაკუკვეთთ გახრწნილ, იდეოლოგიური თვალსაზრისით მერყეველემენტებს, მტკიცედ განვავითაროთ თვითკრიტიკა, ავამაღლოთ ფართო პარტიული მასების აქტივობა და თვითშემოქმედება.

**საპ. კპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და
შუა აზიაში ცენტრალური საკონტროლი კომისიის
რეზოლუციასა და გადაწყვეტილებას**

...ყურულთაი ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშურ-გლეხური ინსპექციის რწმუნებულებს შემდგომი მუშაობის ასეთ ამოცანებს უსახავს ცენტრალური საკონტროლო კომისიის ხაზით:

...მტკიცედ იბრძოლონ დიდმპყრობელური შოვინიზმის, ადგილობრივი ნაციონალიზმის, ანტისემიტიზმისა და ეროვნულ უმცირესობათა საჭიროებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების წინააღმდეგ.

«Резолюции и решения съездов
Коммунистической партии Узбекистана», стр. 236, 237,
238, 239.

უკრაინის კპ (ბ) მეორე კონფერენციის რეზოლუციადან

1929 წლის 9—14 აპრილი

საპ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციის ბაზო

უკრაინის კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისა) საპ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწია უკრაინული საბჭოთა კულტურის მშენებლობისა და განვითარებისათვის, უკრაინაში ნაციონალური საკითხის სწორი გადაწყვეტისათვის.

კულაკობის გავლენის ქვეშ მყოფი პარტიის წევრთა ჯგუფის ნაციონალისტური გადახრის იდეური და ორგანიზაციული

განადგურებით, რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმის გამოვლინებებთან დაუნდობელი ბრძოლით, გააქტიურებული ბურჟუაზიული ინტელიგენციის მტრული გამოსვლების მხილებითა და მის წინააღმდეგ ბრძოლით, სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე ახალი პროლეტარული კადრების დაწინაურებით, უკრაინის კპ (ბ) უზრუნველყო უკრაინის სსრ-ის აღმავლობა, მისი კულტურული და ეკონომიკური კონსოლიდაცია სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირში.

«Коммунистическая партия Украины
в резолюциях и решениях съездов
и конференций», стр. 450.

საპ. კპ (ბ) უიროგიუთის შიეჟსე სოლჟო კონფერენციის რეზოლუციებიდან

1980 წლის 8—10 ივნისი

საპ. კპ (ბ) სოლჟო კონფერენციის სანდაროშო შონსენიის ვაშო

1. მტკიცედ ვიბრძოლოთ იმ მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ მიმართული პარტიის გენერალური ხაზისათვის, რომელიც სოციალისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე მთავარი საფრთხეა, დამლუპველი კაპიტულანტური ტენდენციების გამავრცელებელია და, ძირითადად, კულაკურ იდეოლოგიას ასახავს.

ასევე განვაგრძოთ მტკიცე ბრძოლა ტროცკიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, იმ «მემარცხენე» გადახრების წინააღმდეგ, რომლებიც მემარჯვენე გადახრას აძლიერებენ, და ოპორტუნისტული დამახინჯებების მიმართ შემრიგებლობის წინააღმდეგ.

2. მემარჯვენე გადახრის გამოვლინების კონკრეტულ ფორმას ჩვენს პირობებში წარმოადგენს აილებსა და ყიშლალეში გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლის შეუფასებლობა და აქედან გამომდინარე ღარიბებთან მუშაობის შესახებ პარტიის დირექტივების არსებითად შეუფასებლობა, დიდმპყრობელურ შოვინიზმთან და ადგილობრივ ნაციონალიზმთან, საქმოსნობასთან ბრძოლის ამოცანების არასწორად გაგება და შეუფასებლობა, აილისა და ყიშლალის სოციალისტური გარდაქმნის

სიძნელეთა გაუთვალისწინებლობა, პროლეტარული და ნა-
ხევრადპროლეტარული ეროვნული კადრების გაბედულად და-
წინაუბრებისათვის ხელის შეშლა და მასზე უარის თქმა, ჯგუ-
ფობრიობასთან ბრძოლის შეუფასებლობა.

პარტიული ორგანიზაციის ბოლშევიზაცია შეუძლებელია
მიმდინარეობდეს მემარჯვენე გადახრასთან ულმობელი ბრძო-
ლის გაუმართავად. კონფერენცია განსაკუთრებით ხაზგასმით
აღნიშნავს „შემრიგებლური დამოკიდებულების და მემარჯვენე
და „მემარცხენე“ გადახრების კონკრეტული გამოვლინების წი-
ნააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის აუცილებლობას...

**სა. კვ (გ) საოლქო საკონტროლო კომისიისა და
მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის
აუზარზის შესახებ**

1. კონფერენცია ითვალისწინებს, რომ ყირგიზეთის პი-
რობებში, როდესაც პარტორგანიზაციებში სამრეწველო პრო-
ლეტარიატის უმნიშვნელოვანესი ფენაა, მასში მცირერიცხო-
ვანია მოჯამაგირეთა ბირთვი, აილსა და ყიშლალში არ აღ-
მოფხვრილა გვაროვნული და ჯგუფობრივი ურთიერთობა,
დაბალია პარტიის წევრთა და კანდიდატთა კულტურის
დონე — ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, სოციალისტურ
შუენებლობას ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ ქალაქისა და
სოფლის კაპიტალისტური ელემენტები, კონფერენციას ძირი-
თადად და განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია
საოლქო საკონტროლო კომისიის წინაშე დასახული ამოცანა,
რომ მტკიცედ ებრძოლოს მემარჯვენე გადახრის გამოვლინე-
ბებს, «მემარცხენე» გადახვევებსა და მათ მიმართ შემრიგებ-
ლურ დამოკიდებულებას, აგრეთვე მტკიცედ ებრძოლოს
ტროცკიზმის ნაშთებს.

2. აღნიშნავს რა, რომ პარტორგანიზაციაში საცხებით საკ-
მარისად არ არის გაჩაღებული კრიტიკა და თვითკრიტიკა, იგი
სუსტად არის გაშლილი პროფკავშირებსა და დეხკანთა მა-
სებში, ადგილი აქვს კრიტიკის მიჩქმალვისა და ჩახშობის
ცალკეულ შემთხვევებს, პარტკონფერენცია საოლქო საკონტ-
როლო კომისიას, საოკრუგო საკონტროლო კომისიას, საკონტ-
როლო კომისიის რწმუნებულებს ავალებს სისტემატურად

შეამოწმონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის თაობაზე პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულება, კრიტიკის ჩახშობის ცდისათვის მკაცრი პარტიული პასუხისმგებლობა დააკისრონ ყველას, ვინც უნდა იყოს ის. ამავე დროს კონფერენცია პარტიკომიტეტებსა და პარტუჭრედებს ავალებს მიაღწიონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვის საფუძველზე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აილ-ყიშლალის უჭრედებს.

3. ყირგიზეთის პარტორგანიზაციის წმენდის შედეგების თაობაზე საკ. კპ (ბ) საოლქო კომიტეტის აღმასრულებელი ბიუროსა და საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დასკვნები და წინადადებები დამტკიცდეს. საოლქო საკონტროლო კომისიის, საოკრუგო საკონტროლო კომისიის, საკონტროლო კომისიის რწმუნებულებისა და მთელი პარტორგანიზაციის წინაშე დაისახოს ამოცანა, რომ იბრძოლონ პარტორგანიზაციის რიგების ერთიანობისა და ბოლშევიზაციისათვის, მტკიცედ ებრძოლონ არაჯანსაღ მოვლენებს: ჭგუფურ და გვაროვნულ ბრძოლას, ლოთობას, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას, საყოფაცხოვრებო დანაშაულს, პარტიული დისციპლინის დარღვევასა და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დიდმპყრობელური შოვინიზმის, ადგილობრივი ნაციონალიზმისა და ანტისემიტისმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლას.

ამასთან ერთად გაძლიერდეს აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელი ზომები.

«Коммунистическая партия Киргизии
в резолюциях и решениях съездов,
конференций и пленумов обкома
и ЦК», ч. I, стр. 325—326,
341—342.

1980 წლის 4—18 ივნისი

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შუა აზრის ბიუროს
მუშაობის შესახებ

4. სოციალიზმისათვის პარტიისა და მუშათა კლასის ბრძოლის ახლანდელი პერიოდის მთავარი საშიშროების — მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრის, მემარჯვენე გადახრის პოზიციების განმატკიცებელ „მემარცხენე“ გადახრის, პარტიის გენერალური ხაზიდან ამ გადახვევისადმი შემრიგებლური დამოკიდებულების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის მხილებით, მიტმასნილი, გახრწნილი და უცხო ელემენტებისაგან საკუთარი რიგების წმენდით შუა აზრის პარტიულმა ორგანიზაციებმა საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი შუა აზრის ბიუროს ხელმძღვანელობით უდავო წარმატებები მოიპოვეს თავიანთი რიგების ბოლშევიზაციის საქმეში, პარტიის გენერალური ხაზის განსახორციელებლად მასების ორგანიზაციის საქმეში.

5. ყურულთაი ადასტურებს, რომ საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობის, საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შუა აზრის ბიუროს ნათელი, ლენინური პოზიციის შედეგად შუა აზრის პარტიულმა ორგანიზაციებმა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და მრეწველობის დარგში მოიპოვეს ისეთი წარმატებები, რომლებმაც ცოცხალი მაგალითით დაადასტურეს პარტიის პოლიტიკის სისწორე ეროვნულ საკითხში, პოლიტიკისა, რომელიც იქით იყო მიმართული, რომ ჩამორჩენილი განაპირა რაიონები საბჭოთა კავშირის მოწინავე რაიონების დონემდე აეყვანათ. სოფლის მეურნეობის განუხრელად მზარდი საქონლიანობა, რაც განუხრელად დაკავშირებულია მაღალტექნიკური კულტურის ხვედრითი წონის ამაღლებასთან, ახალ ტექნიკურ ბაზაზე ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის განუწყვეტელი გადაყვანის პროცესთან, ღებჯანთა ძირითადი მასების მატერიალური და

კულტურული დონის ამაღლებასთან, საუკეთესო პასუხია ნაციონალისტური ელემენტების იმ ცდებისა, რომ სახელი გაუტეხონ პარტიის პოლიტიკას ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში.

პარტიის გენერალური ხაზის გატარების საფუძველზე შუა აზიის პარტიული ორგანიზაციები ცდილობენ იმპერიალიზმის ყოფილი კოლონიები მთელი მშრომელი აღმოსავლეთისათვის ნამდვილ მარევილუციურებელ ნიმუშად გადააქციონ.

ყურულთაი აღნიშნავს, რომ პარტიული ორგანიზაციების შემდგომი იდეურ-პოლიტიკური განმტკიცებისა და დარაზმვის, ადგილობრივი ეროვნების წარმომადგენელთაგან ახალი ბოლშევიკური კადრების დაწინაურების, სწავლებისა და აღზრდის საფუძველზე, მემარჯვენე გადახრის, როგორც ყველაზე საშიში გადახრის «მემარცხენე» გადახვევის, მათდამი შემრიგებლური დამოკიდებულების წინააღმდეგ პარტიის გენერალური ხაზის გატარებისათვის შეურიგებელი ბრძოლის საფუძველზე, დიდმპყრობელურ შოვინიზმთან, ადგილობრივ ნაციონალიზმთან და ორგანიზაციის ცალკეულ რგოლებში ჯერ კიდევ არსებულ ჯგუფობრიობასთან შემდგომი ბრძოლის გაშლის საფუძველზე შუა აზიის პარტიულმა ორგანიზაციებმა კვლავაც უნდა გაშალონ თავიანთი მუშაობამუშათა კლასისა და დეხკანობის კავშირის განსამტკიცებლად, მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის უსწრაფესად რეკონსტრუქციისათვის, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად, ეროვნულ საკითხში პარტიის პოლიტიკის მტკიცედ უზრუნველსაყოფად, შუა აზიაში პარტიული ორგანიზაციების რიგების შემდგომი ბოლშევიზაციისათვის.

«Резолюции и решения съездов Коммунистической партии Узбекистана», стр. 254, 256—257.

უკრაინის კპ (ბ) მეთერთმეტე ყრილობის რეზოლუციიდან

1980 წლის 5—15 ივნისი

უკრაინის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის განცხადება

...ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში უკრაინის კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) წარმატებები მოიპოვა იმის გამო, რომ მტკიცედ და თანამიმდევრულად იბრძოდა ორ ფრონტზე — დიდმპყრობელური და უკრაინული შოვინიზმის წინააღმდეგ, პარტიის შიგნით მათი ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

...პარტია დაუნდობელ წინააღმდეგობას უწევდა იმის მცირე ცდასაც კი, რომ ამა თუ იმ საბაბით ეროვნულ საკითხში და განსაკუთრებით დიდმპყრობელური შოვინიზმის საკითხში მოეხდინათ პარტიის ხაზის რევიზია. ...შემდგომ ყოველი ღონისძიებით უნდა გავაძლიეროთ დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ უკრაინული შოვინიზმის აქტივობის ზრდა და გავაძლიეროთ პარტიის ბრძოლა ამ მიმართულებით.

უკრაინის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) მტკიცედ იცავს ლენინურ ბოზიციებს და მან საკადრისი პასუხი უნდა გასცეს ეროვნულ საკითხში პარტიის პოლიტიკის რევიზიის ახალ ცდებს, ყველა იმათ, ვინც აყენებს «თეორიებს», რომ საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წარმატების გამო ფორმით ეროვნულმა კულტურამ დრო მოჰამაო. ყველა ეს «თეორია» სხვა არაფერია, თუ არა დიდმპყრობელური გადახრის ახალი ცდა, რომ მოახდინოს საკუთარი თავის ლეგალიზაცია ლენინურ პარტიაში. ეროვნულ საკითხში შეუფასებლობასა და ნიჰილიზმს ისეთივე საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ, როგორც ნაციონალისტური გადახრებისადმი შემრიგებლობას.

«Коммунистическая партия Украины
в резолюциях и решениях съездов
и конференций», стр. 533—534.

საპ. კპ (ზ) ყირგიზეთის საოლქო კომიტეტის მიხედვით კლენუშის რეზოლუციიდან

1982 წლის 20—28 ივლისი

პარტიული მუშაობის მდგომარეობა და ყირგიზეთის პარტორგანიზაციის მორიგი ამოცანები

უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში ყირგიზეთის პარტორგანიზაცია შემდგომ გადამწყვეტ წარმატებებს მოიპოვებს, თუ ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისა და ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის გენერალური ხაზის გარშემო მასების დარაზმვის საფუძველზე გააუმჯობესებს შინაპარტიული მუშაობის ხარისხს, თუ მტკიცედ შეებრძოლება მემარჯვენე გადახრის, როგორც ახლანდელ ეტაპზე მთავარი საშიშროების გამოვლინებებს, «მემარცხენე» უკიდურესობებსა და მათდამი შემრიგებლურ დამოკიდებულებას, დიდმპყრობელური შოვინიზმის გამოვლინებას, როგორც ეროვნულ საკითხში მთავარ საშიშროებას, ადგილობრივი ნაციონალიზმის გამოვლინებას და ლენინური, ეროვნული პოლიტიკიდან გადახრისადმი შემრიგებლურ დამოკიდებულებას.

«Коммунистическая партия Киргизии в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов обкома и ЦК», ч. I, стр. 441.

საპ. კპ (ზ) ყირგიზეთის საოლქო კომიტეტის მიხედვით კლენუშის რეზოლუციიდან

1983 წლის 15—20 ივნისი

ყირგიზეთის კულტურული მუშაობის შედეგები

ჩვენი კლასობრივი მტრების მოქმედებას ხელს უწყობს ზოგიერთი კომუნისტის კლასობრივი სიფხიზლის მოღუწება. უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლდა როგორც დიდმპყრობელი შოვინისტების, ისე ადგილობრივი ნაციონალისტების საქმიანობა.

დიდმპყრობელი შოვინისტები ფარხმალს ყრიან ეროვნული კულტურული მშენებლობის სიძნელეთა წინაშე, ჯეროვნად ვერ აფასებენ ეროვნული კადრების გამოწრთობის აუცილებლობას. უარყოფენ რა ფორმით ეროვნული და შინაარსით პროლეტარული კულტურის ყოველი ღონისძიებით განვითარების აუცილებლობას, ისინი ამით საფუძველს ურყევენ პარტიის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას და ძირს უთხრიან საბჭოთა ხელისუფლებას...

პლენუმი გმობს ყირგიზეთის ცალკეული რაიონების ხელოვნური უკრაინიზაციის ცდებს, რაც ხელს აძლევს კულაკებსა და პეტლიურულ ელემენტებს.

მთელ რიგ სახელმძღვანელოებში დაშვებული იყო დამახინჯებანი, რომლებიც აშკარად ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათისა არიან. უმაღლეს სასწავლებელთა დანაგვიანება უცხო ელემენტებით, სკოლებში შოვინიზმის, ადგილობრივი ნაციონალიზმისა და ანტისემიტიზმის გამოვლინება — ყოველივე ეს იდეოლოგიურ ფრონტზე კლასობრივი სიფხიზლის მოღუწებას ადასტურებს.

საოლქო კომიტეტის პლენუმი მთელ პარტიულ ორგანიზაციას მოუწოდებს კულტურული მშენებლობის ფრონტზე კლასობრივი სიფხიზლისაკენ, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზუსტად გატარებისაკენ, დიდმპყრობელურ შოვინიზმთან და ადგილობრივ კონტრევოლუციურ ნაციონალიზმთან ბრძოლისაკენ.

პარტიის გენერალური ხაზის ზუსტად გატარება უზრუნველყოფს შემდგომ მიღწევებს კულტურული მშენებლობის ფრონტზე, და ამით უახლოეს დროში ლიკვიდირებული იქნება ყირგიზეთის კულტურული ჩამორჩენილობა — მეფეთა და კოლონიზატორთა, ბაებისა და მანაპების ბატონობის მემკვიდრეობა.

«Коммунистическая партия Киргизии
в резолюциях и решениях съездов,
конференций и пленумов обкома
и ЦК», ч. I, стр. 488—489.

საპ. კპ (ბ) პირბიჯეთის მეზვიდე საოლქო კონფერენციის რეზოლუციიდან

1934 წლის 10—15 იანვარი

საპ. კპ (ბ) საოლქო კომიტეტის მუშაოგის შესახებ

საოლქო კომიტეტისა და მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის კლასობრივი სიფხიზლის შესუსტებამ ხელი შეუწყო დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის აქტივიზაციას. სახეზეა საბჭოთა აპარატში მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა ჩაბმის, ეროვნული კადრების აღზრდის საქმის შეუფასებლობა, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის მხრივ ეროვნული კადრებისადმი ქედმაღლური დამოკიდებულება, პრაქტიკულ მუშაობაში მათი იგნორირება. სახეზეა ადგილობრივი კონტრარევოლუციური ნაციონალიზმის გამოცოცხლება...

...კონფერენცია აღნიშნავს, რომ მრეწველობაში სამუშაოდ ყირგიზების მიზიდვა, ერთგვარი წარმატების მიუხედავად, აშკარად არაღამაკმაყოფილებელია; ამასთან დაკავშირებით დაველოს საწარმოებისა და მშენებლობის სამეურნეო, პარტიულ და პროფკავშირულ ხელმძღვანელობას და სათანადო რაიკომებს, რომ ამ სამუშაოს უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციოს, უწინარეს ყოვლისა უზრუნველყოს მკვიდრ მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობების გაუმჯობესება, უღმობლად ებრძოლოს ამ საკითხისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ და დიდმპყრობელურ დამოკიდებულებას...

... VII საოლქო პარტიული კონფერენცია ადგენს:

გაძლიერდეს ბრძოლა ბაიურ-მანაპურ ნაციონალიზმთან... და დიდმპყრობელურ შოვინიზმთან, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე გაიშალოს მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა. უზრუნველყოფილ იქნას ლიტერატურული გვერდების რეგულარული გამოშვება გაზეთებში «ყიზილ ყირგიზისტანსა» და «სოვეტსკაია კირგიზიაში», სადაც საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებთან (ნათარგმნ და ორიგინალურ ნაწარმოებებთან) ერთად დაიბეჭდოს კრიტიკული სტატიები და ლიტერატურული წრეების მუშაობის მიმოხილვა.

იმის გამო, რომ დღემდე არც ერთი ყირგიზული რევოლუციური სიმღერა ჩაწერილი არ არის ფირფიტაზე, პარტიული კონფერენცია ავალებს პარტიის საოლქო კომიტეტს უზრუნველყოს 1934 წელს ყირგიზული რევოლუციური სიმღერების გრამაფონული ჩაწერა კლუბებისა და ჩაინანების მომსახურებისათვის, აგრეთვე გამოსცეს ისინი ცალკეულ ბროშურებად, ფურცლებად და გაზეთების «ყიზილ ყირგიზისტან»-ისა და «ლენინჩილ ჯაშ»-ის დამატებად.

«Коммунистическая партия Киргизии в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов обкома и ЦК», ч. I, стр. 492, 511.

უზგაკეთის კვ (ბ) მემკვსე ყრილობის რეკოლუციიდან

1984 წლის 10—17 იანვარი

უზგაკეთის კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ

...აღნიშნულ წლებში ადრე უწიგნურ უზბეკეთში მოპოვებულია უდიდესი წარმატებები კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის გზაზე. სასკოლო ასაკის ბავშვების 90% ჩამბულია საყოველთაო-სავალდებულო სწავლებაში, სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში 15-ჯერ გაიზარდა, საგრძნობლად ამაღლდა მოსახლეობის წიგნიერება, შექმნილია ლათინიზებული ანბანი, ეროვნული თეატრები, იზრდება ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. ყველა ეს წარმატება მოპოვებულია საკავშირო პროლეტარიატის დახმარებით, პარტიის გენერალური ხაზისათვის წარმოებულ უღმობელ ბრძოლაში ორ ფრონტზე — მემარჯვენე ოპორტუნისტთა და «მომემარცხენეო» გადამხრელთა, ორპირთა, შემარიგებელთა წინააღმდეგ, ეროვნულ საკითხში ლენინური ხაზიდან გადახვევის წინააღმდეგ, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და უკანასკნელ ხანებში გააქტიურებული ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ლენინური ეროვნული პოლიტიკისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

უზბეკეთში სოციალისტური მშენებლობის ეს წარმატებები და მათ საფუძველზე მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასების კეთილდღეობის გაუმჯობესება ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება და ადრე დაჩაგრულ ეროვნებათა კულტურულ და ეკონომიკური უთანასწორობის ლიკვიდაციის შესახებ რკპ (ბ) მეათე და მეთორმეტე ყრილობების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებაა.

«Резолюции и решения съездов
Коммунистической партии Узбе-
кистана», стр. 277—278.

უკრაინის კპ (ბ) მცთამებე ყრილობის რეზოლუციიდან

1987 წლის 27 მაისი — 8 ივნისი

უკრაინის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო

...ახლანდელ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მუშებსა და კოლმეურნეებში, მშრომელთა ყველა ფენაში, კერძოდ ეროვნულ უმცირესობათა მშრომელებში (გერმანელ, პოლონელ) მასობრივ-პოლიტიკური აგიტაციის სათანადო დონეზე წარმართვა. ინტერნაციონალური აღზრდა მთელი პოლიტიკური, მასობრივი მუშაობის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. პარტიული ორგანიზაციები ულმობლად უნდა ებრძოდნენ ნაციონალიზმის (უკრაინული, რუსული და სხვ.) გამოვლინებებს.

ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ანტი-რელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციას, რაც ამჟამად ჩვენი მუშაობის ყველაზე დავიწყებულ უბანს წარმოადგენს. ყრილობა უკრაინის კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ავალებს, რომ მიიღოს ზომები რადიოსა და კინოს, როგორც აგიტაციის მძლავრ საშუალებათა, სათანადოდ გამოყენებისათვის. ამისათვის საჭიროა გაუმჯობესდეს რადიოსა და კინოს საქმისადმი ხელმძღვანელობა როგორც ცენტრში, ისე ოლქებში. გაძლიერდეს ყურადღება სოფლის ინტელიგენციასთან, მასწავლებლებთან, აგრონომებთან და სხვ. მუშაობისადმი. ყრილობა განსახ-

კომს, პროფკავშირებსა და კომკავშირს ავალებს, რომ მიიღონ ზომები წერა-კითხვის უცოდინარობის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად.

«Коммунистическая партия Украины в резолюциях и решениях съездов и конференций», стр. 633.

უზბეკეთის კპ (ბ) მეცხრე ყრილობის რეზოლუციიდან

1940 წლის 12—16 მარტი

უზბეკეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების ბაშო

ყრილობა აღნიშნავს, რომ პროპაგანდის დარგში პარტორგანიზაციების მუშაობის ცენტრშია ბოლშევიზმის დაუფლების, მარქსისტულ-ლენინური თეორიით პარტიის წევრთა, პირველ რიგში ხელმძღვანელი კადრების შეიარაღების შესახებ პარტიის დირექტივების პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლის ამოცანები, პარტიული და არაპარტიული ინტელიგენციის კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით, მასების კომუნისტური აღზრდა...

...ყრილობა ყველა პარტიულ ორგანიზაციას ავალებს უფრო ფართოდ გაშალონ მუშაობა მშრომელი მასების კომუნისტური აღზრდისათვის და ამ საქმეს დაუქვემდებარონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მთელი სისტემა — პრესა, მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნების ყველა სახეობა, — განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომისადმი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი ნამდვილად კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვას, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის გადმონაშთებთან ბრძოლას, რელიგიური ცრურწმენების, ქალისადმი ფეოდალურ-ბატონყმური დამოკიდებულების გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლას.

«Резолюции и решения съездов Коммунистической партии Узбекистана», стр. 354—355.

საპ. კპ (ბ) ბაზუკირეთის ოცლამეერთე საოლქო კონფერენციის რეზოლუციიდან

1948 წლის 20—22 მარტი

საპ. კპ (ბ) საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების ბაზო

საპ. კპ (ბ) საოლქო კომიტეტი უკანასკნელ დროს მეტ ყურადღებას აქცევს საბჭოთა მწერლების კავშირის, თეატრების, გაზეთების, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობას და ინტელიგენციის მეცადინეობას წარმართავს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ნაციონალიზმის, აპოლიტიკურობის, უპარტიობის, სხვა იდეოლოგიური დამახინჯებების წინააღმდეგ საბრძოლველად...

პარტიის საოლქო კომიტეტმა ვერ უზრუნველყო მეცნიერებისა და კულტურის მუშათა შორის შემოქმედებითი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა, ბაშკირეთის ცალკეულ ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა შორის მთლიანად ვერ აღმოფხვრა ეროვნული შეზღუდულობისა და აპოლიტიკურობის გამოვლინებანი...

...დაევალოს პარტიის საოლქო კომიტეტს, ქალაქომსა და რაიკომებს ძირეულად გააუმჯობესონ ინტელიგენციასთან მუშაობა, აღზარდონ იგი საბჭოთა პარტიოტიზმის სულისკვეთებით, შეურიგებლად ებრძოლონ ეროვნული შეზღუდულობისა და კარჩაკეტილობის, აპოლიტიკურობის, დამპალი ბურჟუაზიული კულტურის თაყვანისცემისა და მის წინაშე მონური ქედმოხრის ყოველგვარ გამოვლინებას.

«Резолюции областных конференций
Башкирской партийной организации
и пленумов обкома КПСС». Уфа,
1962, стр. 307, 314.

უზბეკეთის კპ (ბ) მეთე ყრილოვის რეზოლუციიდან

1949 წლის 1—4 მარტი

უზბეკეთის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის ბაზო

ყრილობა წინადადებას აძლევს უზბეკეთის კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს უახლოეს დროში განამტკიცოს უზბეკეთის
22. ვ. ი. ლენინი

სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, უზბეკეთის საბჭოთა მწერლების კავშირის, კომპოზიტორთა კავშირისა და არქიტექტორთა კავშირის ხელმძღვანელობა და ამ ორგანიზაციებს უსახავს ამოცანას — "მემდგომ გააუმჯობესონ თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობა, გააძლიერონ ბრძოლა ფორმალიზმის, უიდეობის, კოსმოპოლიტიზმის, ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ, ისეთი მაღალიდებული და მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილი ნაწარმოებების შესაქმნელად, რომლებშიც ასახული იქნება საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური სახე და ჩვენი საბჭოთა სინამდვილის სიდიადე.

ყრილობა უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, უზბეკეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე კომუნისტებისაგან მოითხოვს, რომ მთელი სამეცნიერო მუშაობა აამაღლონ პარტიის მოთხოვნათა და რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანების დონემდე, განუხრელად დაიცვან მეცნიერებაში პარტიულობის ბოლშევიკური პრინციპები, შეურიგებლად ებრძოლონ რეაქციულ თეორიებსა და შეხედულებებს.

აღიარებს რა, რომ ისტორიული მეცნიერების მდგომარეობა უზბეკეთში ჯერაც სავსებით ვერ უპასუხებს უზბეკ ხალხის ისტორიული განვითარების ძირითადი პრობლემების სწორად, მარქსისტულ-ლენინურად გაშუქების მოთხოვნებს, ყრილობა უზბეკეთის კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ავალდებს — "შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და უზბეკეთის კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უზბეკეთის კომპარტიის ისტორიის ინსტიტუტის მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას, და უაღრესად მტკიცედ და თანამიმდევრულად ებრძოლოს ისტორიულ მეცნიერებაში ნაციონალიზმის შეტანის ცდებს.

უზგაკეთის კპ (ბ) მეთერთმეტე პრილოზის რეზოლუციიდან

1952 წლის 20—28 სექტემბერი

უზგაკეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიზის გამო

...მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. ბევრი მწერალი თავის ნაწარმოებებში სქემატურად და უფერულად ასახავს საბჭოთა სინამდვილის გმირთა სახეებს და ჩვენი საზოგადოების ახალ კომუნისტურ ნიშნებს. საკმარისად არ არის ნაჩვენები უზბეკეთის მხვენელ-მთესველთა ცხოვრება, მრეწველობის ზრდა, მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ამაღლება. სუსტად ვითარდება საბავშვო ლიტერატურა, დაბალ დონეზეა ლიტერატურული კრიტიკა. ზოგიერთ ნაწარმოებში დაშვებული იყო პოლიტიკური და ნაციონალისტური შეცდომები, უიდეობა და აპოლიტიკურობა...

სერიოზული ნაკლოვანებებია დაშვებული ხელოვნების ოსტატთა მომზადებაში, განსაკუთრებით ადგილობრივი ეროვნების წარმომადგენელთაგან.

«Резолюции и решения съездов
Коммунистической партии Узбекистана», стр. 408—409.

უკრაინის კპ მეთვრამეტე პრილოზის რეზოლუციიდან

1954 წლის 28—29 მარტი

უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიზო მოხსენების გამო

...იდეოლოგიური მუშაობა ისე უნდა წარმართოს, რომ მშრომელები ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით აღვზარდოთ, მუშეები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია დავრავლოთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დარგში ახალი წარმატებების მო-

პოვეებისათვის, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული უკრაინის სოციალისტური კულტურის შემდგომი აყვავების საქმეს. ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესოთ სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობა, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა მეცადინეობა წარმართოთ მაღალიდღური და მაღალმხატვრული, ჩვენი ხალხის შესაფერისი ნაწარმოებების შესაქმნელად...

«Коммунистическая партия Украины
в резолюциях и решениях съездов
и конференций», стр. 732—733.

სკკპ გაუპირეთის საოლქო კომიტეტის პლენუმის რეზოლუციიდან

1980 წლის 22—23 მარტი

„თანამედროვე პირობაში პარტიული პროპაგანდის ამოცანების
თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების
შესრულების ღონისძიებათა შესახებ

...7. დაევალოს სკკპსაოლქო კომიტეტის ბიუროს, ქალაქკომებს, რაიკომებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს პროპაგანდისტული მუშაობის წარმართვის დროს მკაცრად გაითვალისწინონ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული თავისებურებანი, მთავარი ყურადღება მიაქციონ მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას. ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, ეროვნული კარჩაკეტილობისა და განსაკუთრებულობის ცალკეულ გამოვლინებებთან შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობას.

8. დაევალოს საოლქო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკ საოლქო კომიტეტს, თავიანთ საქმიანობაში მთავარი ყურადღება დაუთმონ მშრომელთა და ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური და კულტურული

დონის გაფართოებას, მათში საბჭოთა პატრიოტიზმის, შრომისადაც პატივისცემის, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულებისა და იმის აღზრდას, რომ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში დიდი ისტორიული შინაარსი დაინახონ, მთავარი ყურადღება მიაქციონ მათში კომუნისტების საბოლოო გამარჯვების ურყევი რწმენის აღზრდას.

«Резолюции областных конференций
Башкирской партийной организации
и пленумов обкома КПСС», стр. 878.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კლენუშის დადგენილებიდან

1978 წლის 28 თებერვალი

პარტიული ხელმძღვანელობა თანამედროვე ამოცანათა დონეზე

...დაშვებული შეცდომების შედეგად იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას მნიშვნელოვანი ზიანი მოსდიოდა. რესპუბლიკაში აქა-იქ იჩინა თავი პრიმიტიულმა ნაციონალიზმმა, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სცადეს ჩვენდამი მტრული ემიგრანტი მწერლების რეაბილიტაცია. იმ წლებში ეკონომიკაზე მეტად ევნო საზოგადოებრივ ფსიქიკას, ადამიანის შინაგან სამყაროს, მის რწმენას ნათელი იდეალებისადმი.

... ყოველ ერს ახლა ჰყავს დიდად კულტურული მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, რაც ჩვენი კადრების სრულფასოვანი რეზერვის სისტემატური შევსების მტკიცე ბაზას ქმნის. ჩვენი საზოგადოების ინტერნაციონალიზმი განსაკუთრებით რელიეფურად ვლინდება კადრების პოლიტიკაში, ერთა შორის კადრების გაცვლაში. ეს პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის შემდგომი განვითარების პირობებში.

ეროვნულ ინტერესებს, ისევე როგორც ინტერნაციონალურს, შეესაბამებინ უწინარეს ყოვლისა მაღალიდღიური, მაღალკვალიფიციური კადრები — ეს არის პრობლემის გადაჭრის გასაღები.

ლენინური ეროვნული პოლიტიკა და კადრების დარგის ლენინური პოლიტიკა სწორედ იმიტომ არის მეცნიერული, რომ გამორიცხავენ კარიერიზმის, ნაციონალიზმის, შოვინიზმის გამოვლინებებს.

...პარტია მოითხოვს, რომ საბჭოთა შემოქმედებითს ინტელიგენციას, მის ყველა ეროვნულ რაზმს მუდამ ახსოვდეს ის უცილობელი ჭეშმარიტება, რომ ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა გამომდინარეობს თვით სოციალისტური რეალიზმის ბუნებიდან. ყოველდღიურად უნდა ვიმუშაოთ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, გადაჭრით ვებრძოლოთ ნაციონალისტური ყაიდის ცალკეულ გამოვლინებებს. ამ ამოცანის დიდ მნიშვნელობას განაპირობებს თვით ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ბუნება, რომელმაც დაამკვიდრა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა. მაგრამ ყველა მეცნიერს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეს როდი აქვს ნათლად წარმოდგენილი, თუ რაოდენ მავნეა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპისაგან თუნდაც უმნიშვნელო გადახვევა. ინტერნაციონალისტი უნდა იყო ყოველთვის, დიდსა და პატარა საქმეში, უნდა გახსოვდეს, რომ უმცირესმა შეცდომამ ამ დარგში შეიძლება ჩრდილი მიაყენოს მთელ იდეოლოგიურ მუშაობას რესპუბლიკაში.

გაზ. «კომუნისტი»,
1973 წლის 28 თებერვალი.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კლენუმის დადგენილებიდან

1974 წლის 17 მაისი

**საკვ XIX შრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ
იდეოლოგიური მუშაობის უმადგომი გაუმჯობესებისათვის
რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ**

პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად პლენუმი მიიჩნევს მშრომელთა თანამიმდევრულ აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციო-

ნალიზმის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით, უფრო აქტიურად განვმარტოთ სოციალისტური წყობილების ძირითადი უპირატესობანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სასიცოცხლო ძალა. ამ მუშაობაში უნდა ვიხელმძღვანელოთ «საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავის შესახებ» ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების თეორიული დებულებებითა და პოლიტიკური დასკვნებით, ყოველმხრივ განვავითაროთ საბჭოთა კავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს მომზადებისა და ზეიმის დროს შექმნილი გამოცდილება. მშრომელებს განვუმტკიცოთ საბჭოთა ადამიანის საერთო ეროვნული სიამაყის დიადი გრძნობა. გავაძლიეროთ უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და სიონიზმის, ეროვნული შეზღუდულობისა და კუთხურობის ყოველგვარი გამოვლინებების მიმართ შეუურიგებლობა.

პოლიტიკურ მუშაობაში უნდა გავითვალისწინოთ თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე ბრძოლის გამწვავება და თავისებურებანი, მტკიცედ ვამხილოთ ბურჟუაზიული იდეოლოგია, ანტიკომუნიზმი და ანტისოვეტიზმი, მაოიზმი, მემარჯვენე და «მემარცხენე» რევიზიონიზმი. ვამხილოთ იმპერიალიზმის შეურიგებელი წინააღმდეგობანი, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური უმყარობა. საკადრისი პასუხი გავცეთ უცხოეთის ნაციონალისტური და სიონისტური ორგანიზაციების ხრიკებს, ვამხილოთ მათი ლაქიობა იმპერიალიზმის წინაშე. ავამაღლოთ საბჭოთა ხალხის რევოლუციური სიფხიზლე.

უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კლენუმის დადგენილებიდან

1974 წლის 11 ივნისი

სსკპ XXIV პრილოვის გადაწყვეტილებათა შესაბამისად
რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური
მუშაოების მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების
ლონიშიებათა შესახებ

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ყველა იდეოლოგიური დაწესებულებისა და უწყების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა შემდგომ გაძლიერდეს ყველა მშრომელის აღზრდა სოციალისტური სამშობლოსათვის, მისი დიდი საქმეებისათვის საერთო-საბჭოური სიამაყის სულისკვეთებით, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქმე ხალხისა და უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხისადმი განუსაზღვრელი სიყვარულის, ღრმა პატივისცემისა და გულთადი მადლობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ნაციონალიზმის, შოვინიზმის, ეროვნული შეზღუდულობის თუნდაც მცირე გამოვლინებისადმი შეუპოვებლობის სულისკვეთებით.

«Коммунист Узбекистана»,
№ 7, 1974, стр. 51.

ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კლენუმის დადგენილებიდან

1974 წ.

იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის
რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაოების შესახებ

რესპუბლიკის იდეოლოგიური კადრები აქტიურად მონაწილეობენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის არსის ახსნა-განმარტებაში, მათ მოსახლეობის ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს. გააქტიურდა მუშაობა მშრომელთა მეცნიერულ-მატერიალის-

ტური მსოფლმხედველობის ჩამოსაყალიბებლად, ცხოვრებაში კომუნისტური მორალის დასანერგავად. ამ მიზნით უფრო ფართოდ იყენებენ საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს. რესპუბლიკაში ფართოდ იშლება მოძრაობა მაღალი კულტურისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის. გაძლიერდა ბრძოლა უცხოეთიდან ბურჟუაზიული და რევიზიონისტული იდეოლოგიის შემოღწევის წინააღმდეგ, ადამიანთა შეგნებაში წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიისა და ინდივიდუალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ...

საჭიროა მარქსისტულ-ლენინური განათლების, ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის სისტემის სრულყოფა, საბჭოთა ადამიანებში ჩამოვყალიბოთ მაღალი იდეურ-ზნეობრივი თვისებები, კლასობრივი თვითშეგნება, ბურჟუაზიული და რევიზიონისტული იდეოლოგიისადმი — კომუნისტური მორალისა და ანტიპოდებისადმი შეურიგებლობა...

ლიტვის კომპარტიის ქალაქკომებმა და რაიკომებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ შრომითი კოლექტივები მაღალი კომუნისტური შეგნების, შრომის სოციალისტური დისციპლინისა და ორგანიზებულობის მატარებელნი გახდნენ, შეურიგებლად ებრძოლონ შრომისადმი და სოციალისტური საკუთრებისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების, ამორალური საქციელის, მეშხანური განწყობილების, მომხვეჭელობის ყოველგვარ გამოვლინებას, ნაციონალიზმის, შოვინიზმის, რელიგიური ცრურწმენების გამოვლინებებს.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ზ ი

1 პპს — პოლონეთის სოციალისტური პარტია (Polska Partia Socjalistyczna) — რეფორმისტული ნაციონალისტური პარტია, დაარსდა 1892 წელს. პოლონეთის სოციალისტური პარტია, რომელსაც პილსუდსკი და მისი მომხრენი მეთაურობდნენ, დამოუკიდებელი პოლონეთისათვის ბრძოლის ლოზუნგით გამოდიოდა და პოლონელ მუშათა შორის სეპარატისტულ, ნაციონალისტურ პროპაგანდას ეწეოდა, ცდილობდა ისინი ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რუს მუშებთან ერთობლივი ბრძოლებისაგან ჩამოეშორებინა. პპს-ის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე რიგითი მუშების გავლენით პარტიაში იქმნებოდა მემარცხენე ჯგუფები. ზოგი მათგანი შემდეგ პოლონელ მუშათა მოძრაობის რევოლუციურ ფრთას ემხრობოდა.

პოლონეთის სოციალისტური პარტია 1906 წელს პპს-„ლევიცად“ და მემარჯვენე, შოვინისტურ, ეგრეთ წოდებულ პპს-„პრავეცად“ („რევოლუციური ფრაქცია“) გაითიშა. პპს-„ლევიცა“ ბოლშევიკების პარტიის გავლენით, აგრეთვე პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ზემოქმედებით თანდათან გადადიოდა თანამიმდევრულ რევოლუციურ პოზიციებზე.

პირველი მსოფლიო ომის წლებში პპს-„ლევიცას“ დიდმა ნაწილმა ინტერნაციონალისტური პოზიცია დაიკავა; 1918 წლის დეკემბერში იგი პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიასთან გაერთიანდა. გაერთიანებულმა პარტიებმა შექმნეს პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტია (1925 წლამდე ასე ეწოდებოდა პოლონეთის კომუნისტურ პარტიას).

მემარჯვენე პპს პირველი მსოფლიო ომის დროს ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკას განაგრძობდა; გალიციის ტერიტორიაზე მან შექმნა პოლონური ლეგიონები, რომლებიც ავსტრია-გერმანიის იმპერიალიზმის მხარეზე იბრძოდნენ. პოლონეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მემარჯვენე პპს 1919 წელს გაერთიანდა გერმანიისა და ავსტრიის მიერ ადრე მიტაცებული პოლონეთის ტერიტორიაზე მყოფ პპს-ის ნაწილებთან და კვლავ პპს-ის სახელწოდება მიიღო. მთავრობის სათავეში რომ მოექცა, მან ხელი შეუწყო პოლონეთის ბურჟუაზიის ხელში ძალაუფლების გადასვლას, სისტემატურად ეწეოდა ანტიკომუნისტურ პროპაგანდას და მხარს უჭერდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიის პოლიტიკას, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მიტაცებისა და ჩაგვრის პოლიტიკას. პპს-ის ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ამ პოლიტიკას არ ეთანხმებოდნენ, პოლონეთის კომუნისტურ პარტიას უერთდებოდნენ.

პილსუდსკის ფაშისტური გადატრიალების შემდეგ (1926 წლის მაისი) პპს ფორმალურად პარლამენტურ ოპოზიციაში იყო, მაგრამ ფაქტიურად ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას არ ეწეოდა, ანტიკომუნისტურ და ანტისაბჭოთა პროპაგანდას განაგრძობდა. პპს-ის მემარცხენე ელემენტები ამ წლებში პოლონელ კომუნისტებთან თანამშრომლობდნენ და მთელ რიგ კამპანიებში მხარს უჭერდნენ ერთიანი ფრონტის ტაქტიკას.

მეორე მსოფლიო ომის დროს პპს კვლავ გაითიშა. მისი რეაქციული, შოვინისტური ნაწილი, რომელმაც მიიღო სახელწოდება „Wolnst, Rowno-se, Niepodlegosc“ („თავისუფლება, თანასწორობა, დამოუკიდებლობა“), მონაწილეობას იღებდა ლონდონის რეაქციულ პოლონურ ემიგრანტულ „მთავრობაში“. პპს-ის მეორე მემარცხენე ნაწილი, რომელმაც საკუთარ თავს „პოლონელი სოციალისტების მუშათა პარტია“ (პსმპ) უწოდა, 1942 წელს დაარსებული პოლონეთის მუშათა პარტიის (პმპ) ზეგავლენით პიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის სახალხო ფრონტს შეუერთდა, იბრძოდა ფაშისტური მონობისაგან პოლონეთის განთავისუფლებისათვის და სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების პოზიციებზე დადგა.

1944 წელს გერმანიის ოკუპაციისაგან პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილის განთავისუფლებისა და პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნის შემდეგ, პსმ პარტიამ კვლავ პპს-ის სახელწოდება მიიღო. პსმ-სთან ერთად იგი სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის მშენებლობაში მონაწილეობდა. 1948 წლის დეკემბერში პსმ და პპს გაერთიანდნენ და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია (პბმპ) შექმნეს.—16.

2 ბუნდი („ებრაელ მუშათა საყოველთაო კავშირი ლიტვაში, პოლონეთსა და რუსეთში“) დაარსდა 1897 წელს ებრაელთა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების დამფუძნებელ ყრილობაზე ვილნოში; უმთავრესად აერთიანებდა რუსეთის დასავლეთი ოლქების ებრაელი ზელოსნების ნახევრად პროლეტარულ ელემენტებს. რსდმპ I ყრილობაზე (1898) ბუნდი შევიდა რსდმპ შემადგენლობაში როგორც „ავტონომიური ორგანიზაცია, დამოუკიდებელი მხოლოდ იმ საკითხებში, რომლებიც სპეციალურად ებრაელ პროლეტარიატს ეხება“ („სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, მე-7 გამოც. ნაწ. I, 1954, გვ. 14).

ბუნდი იყო ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის მატარებელი რუსეთის მუშათა მოძრაობაში. 1901 წლის აპრილში ბუნდის IV ყრილობამ დაადგინა შეეცვალა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან ორგანიზაციული ურთიერთობა, რაც I ყრილობის მიერ იყო დაწესებული. თავის რეზოლუციაში ბუნდის ყრილობამ განაცხადა, რომ რსდმპ-ს იგი ეროვნულ ორგანიზაციათა ფედერაციულ გაერთიანებად მიიჩნევს და რომ ბუნდი უნდა შედიოდეს მასში როგორც ფედერაციული ნაწილი.

რსდმპ II ყრილობაზე, მას შემდეგ, რაც უარყოფილ იქნა ბუნდის მოთხოვნა, რომ იგი ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად ეცნოთ, ბუნდი პარტიიდან გავიდა. 1906 წელს პარტიის IV („გამაერ-

თიანებელი“) ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე ბუნდი კვლავ შევიდა რსდმპ პარტიის შემადგენლობაში.

რსდმპ პარტიის შიგნით ბუნდელები ყოველთვის მხარს უჭერდნენ პარტიის ოპორტუნისტულ ფრთას („ეკონომისტებს“, მენშევიკებს, ლიკვიდატორებს), იბრძოდნენ ბოლშევიკებისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ ბოლშევიკების საპროგრამო მოთხოვნებს ბუნდი კულტურულ-ეროვნული ავტონომიის მოთხოვნას უპირისპირებდა. სტოლინის რეაქციისა და ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში ბუნდს ეკავა ლიკვიდატორული პოზიცია, აქტიურად მონაწილეობდა აგვისტოს ანტიპარტიული ბლოკის შექმნაში. პირველი მსოფლიო ომის დროს (1914—1918) ბუნდელები სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგნენ. 1917 წელს ბუნდი მხარს უჭერდა ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას. იბრძოდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მტრების მხარეზე. უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში ბუნდის ხელმძღვანელობა შეუკავშირდა კონტრრევოლუციის ძალებს. ამავე დროს ბუნდის რიგით წევრებს შორის დაისახა გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სასარგებლოდ. 1921 წლის მარტში ბუნდმა თვითლიკვიდაცია მოახდინა, მისი წევრების ნაწილი საერთო საფუძველზე რკპ (ბ)-ში მიიღეს. — 19.

³ ლაპარაკია ყრილობის 1903 წლის 5 (18) აგვისტოს გადაწყვეტილებაზე, რომელმაც უარყო ბუნდის წესდების § 2, რომელიც ბუნდმა ყრილობის განსახილველად შეიტანა. ამ პარაგრაფში ნათქვამი იყო: „ბუნდი არის ებრაელი პროლეტარიატის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც თავის საქმიანობაში არ იზღუდება რაიმე რაიონული ჩარჩოებით და შედის პარტიაში ებრაელთა ერთადერთ წარმომადგენლად“ (Второй съезд РСДРП, 1959, გვ. 51). ამ პარაგრაფის პრინციპული მნიშვნელობის გამო ყრილობამ იგი დღის წესრიგის პირველ საკითხად დააყენა. ბუნდის დელეგატებმა ყრილობის გადაწყვეტილებისადმი პროტესტის ნიშნად განაცხადეს, ბუნდი რსდმპ პარტიიდან გადისო და დატოვეს ყრილობა. — 23.

⁴ იხ. რეზოლუცია „თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ“, რომელიც მიიღო რსდმპ (საერთო რუსეთის 1908 წ.) მეხუთე კონფერენციამ („სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწ. I, თბ., 1954, გვ. 241—244). — 31.

⁵ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება „რუსეთის ყველა მოქალაქეს“, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა 1912 წლის ოქტომბრის დამდეგს, რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა ცალკე ფურცლად გამოსცა. 10 (23) ოქტომბერს ვ. ი. ლენინმა მოწოდება საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანს კ. ჰიუსმანსს გაუგზავნა და სთხოვა გაეცნო ამ დოკუმენტის ტექსტი სოციალ-დემოკრატიული პარტიების მდივნებისა და პრესისათვის. მალე მოწოდება „რუსეთის ყველა მოქალაქეს“ გერმანულ ენაზე დაიბეჭდა გაზეთებში „Leipziger Volkszeitung“-სა და „Vorwärts“-

ში, ფრანგულ ენაზე — ბელგიის გაზეთ „Le Peuple“-ში და ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე — საერთაშორისო სოციალისტური ბუროს პერიოდულ ბიულეტენში. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება აგრეთვე გამოსცა რსდმპ საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტმა და № 28—29 სპეციალური დამატების სახით გამოაქვეყნა გაზეთმა „სოციალ-დემოკრატიამ“ 1912 წლის 5 (18) ნოემბერს. — 84.

6 კ ა დ ე ტ ე ბ ი — კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის, რუსეთის ლიბერალურ-მონარქიული ბურჟუაზიის წამყვანი პარტიის წევრები. კადეტების პარტია 1905 წლის ოქტომბერში შეიქმნა; მის შემადგენლობაში შედიოდნენ ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ერობის მოღვაწე მემამულეები და ბურჟუაზიული ინტელიგენტები. კადეტთა თვალსაჩინო მოღვაწენი იყვნენ პ. ნ. მილიუკოვი, ს. ა. მურომცევი, ვ. ა. მაკლაკოვი, ა. ი. შინგარევი, პ. ბ. სტრუვე, თ. ი. როდინევი და სხვ. მშრომელი მასების მოსატყუებლად კადეტებმა დაირქვეს ყალბი სახელი „სახალხო თავისუფლების პარტია“, სინამდვილეში კი კონსტიტუციური მონარქიის მოთხოვნებს არ გაცდილებიან. თავიანთ მთავარ მიზნად კადეტებს რევოლუციურ მოძრაობასთან ბრძოლა მიაჩნდათ და მეფესთან და მემამულე-მებატონეებთან ხელისუფლების გაყოფისაკენ მიისწრაფოდნენ. პირველი მსოფლიო ომის წლებში კადეტები აქტიურად უჭერდნენ მხარს მეფის მთავრობის მტაცებლურ საგარეო პოლიტიკას. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში ისინი მონარქიის გადაჩენას ცდილობდნენ. ბურჟუაზიულ დროებით მთავრობაში ხელმძღვანელი მდგომარეობა რომ დაიკავეს, კადეტები ატარებდნენ ანტიხალხურ, კონტრრევოლუციურ პოლიტიკას, რომელიც ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტებისათვის იყო ხელსაყრელი. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კადეტები საბჭოთა ხელისუფლების შეუპოვებელი მტრები იყვნენ, მონაწილეობდნენ ინტერვენტთა ყველა შეიარაღებულ კონტრრევოლუციურ გამოსვლასა და ლაშქრობაში. ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა განადგურების შემდეგ ემიგრაციაში რომ იმყოფებოდნენ, კადეტები არ წყვეტდნენ თავიანთ ანტისაბჭოურ კონტრრევოლუციურ საქმიანობას. — 85.

7 „ვეხისი“ — კადეტების გამოჩენილი პუბლიცისტების, კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლები ნ. ა. ბერდიაევის, ს. ნ. ბულგაკოვის, მ. ო. ჰერშენზონის, ა. ს. იზგოევის, ბ. ა. კისტიაკოვსკის, პ. ბ. სტრუვეს და ს. ლ. ფრანკის სტატიების კრებული; გამოვიდა მოსკოვში 1909 წლის გაზაფხულზე. კადეტ შავრაზმელთა კრებულის კრიტიკული ანალიზი და პოლიტიკური შეფასება ვ. ი. ლენინმა მოგვცა სტატიაში „ვეხისი“ შესახებ“ (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 145—156). — 88.

8 პროექტი პლატფორმისა „ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობისათვის“. ვ. ი. ლენინმა დაწერა ლატვიელი ბოლშევიკებისათვის 1913 წლის მაისში ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის მოწვევის სამზადისთან დაკავშირებით.

რეაქციის პერიოდში, როდესაც პარტიის ძირითადი აქტიური წევრები — ბოლშევიკები 1905—1907 წლების რევოლუციის შემდეგ მეფის მთავრობამ თითქმის მთლიანად ციხეებსა და გადასახლებაში მიმოფანტა, ან იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყვნენ, ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ყველა ცენტრალური დაწესებულება (ცკ, ცო, საზღვარგარეთული კომიტეტი) ხელში ჩაიგდეს მენშევიკმა ლიკვიდატორებმა და შემარიგებლებმა. რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის წლებში ლატვიელი ბოლშევიკები მთელ რიგ ადგილობრივ ორგანიზაციებში განმტკიცდნენ, სათავეში ჩაუდგნენ ლატვიელი მუშების რევოლუციურ მოძრაობას და აქტიურად იბრძვიან პარტიის მენშევიკური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ლატვიელმა ბოლშევიკებმა ბოლშევიკურად განწყობილ მუშებზე დაყრდნობით ლმსდ-ში შექმნეს თავიანთი ორგანიზაციულად გაფორმებული ფრაქცია. ლატვიელმა ბოლშევიკმა ემიგრანტებმა საზღვარგარეთ შექმნეს ცენტრი — საზღვარგარეთის ჭგუფების ბიურო, რომელიც 1912 წლის შემოდგომიდან უშეგბდა თავის ორგანოს „ბიულეტენი, საზღვარგარეთის ჭგუფების ბიუროს გამოცემა“.

გ. ი. ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს შინაპარტიული ბრძოლის განვითარებას ლმსდ-ში, ლატვიელ ბოლშევიკებს ეხმარებოდა ლიკვიდატორული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მათ მიერ წარმოებულ ბრძოლაში. ლმსდ IV ყრილობისათვის ლენინის მიერ დაწერილი პლატფორმის პროექტი 1913 წლის აგვისტოში გაზეთ „Cinas Biedrs“-ის მე-4 ნომერში გამოქვეყნდა, ხოლო 1913 წლის ნოემბერში სათაურით „ჩვენი პლატფორმა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობისათვის“ №8 „ბიულეტენიდან“ („Biletens“) ცალკე ამონაბეჭდის სახით გამოიცა. შემდეგ პლატფორმის პროექტი „ბიულეტენის“ 1913 წლის 20 ნომბრის მეცხრე-მეათე ნომრის მოწინავე სტატიად დაიბეჭდა. „ბიულეტენის“ რედაქციამ მასში შემავალი შემარიგებელი ელემენტების გავლენით ლენინის ტექსტის გამოქვეყნების დროს გამოტოვა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ეროვნულ საკითხს ეხებოდა, შეკვეცა, ცვლილებები შეიტანა სხვა ნაწილებშიც.

ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატია შეიქმნა 1904 წლის ივნისში პარტიის I ყრილობაზე და მას ეწოდებოდა ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ლსდმ II ყრილობაზე 1905 წლის ივნისში მიღებულ იქნა პარტიის პროგრამა. I და II ყრილობებმა გამოიტანეს გადაწყვეტილება რსდმ პარტიასთან გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. რსდმ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე (1906) ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია შევიდა რსდმ პარტიის შემადგენლობაში როგორც ტერიტორიული ორგანიზაცია. ყრილობის შემდეგ ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიად იწოდებოდა. — 41.

9 „თეზისები ნაციონალურ საკითხზე“ ლენინმა დაწერა იმ რეფერატებთან დაკავშირებით, რომლებიც მან ეროვნულ საკითხზე წააკითხა 1913 წლის 9, 10, 11 და 13 ივლისს (ახ. სტ.) შვეიცარიის ქალაქებში: ციურიხში, ენევაში, ლოზანასა და ბერნში. ამ რეფერატებს არა მარტო ბოლშევიკები, არამედ სხვა სოციალისტური პარტიების ემიგრანტული ჭგუფების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. თხზულებათა სრულ-

ლი კრებულის 23-ე ტომის მოსამზადებელ მასალებში იბეჭდება რეფერატების გეგმები (იხ. გვ. 444—448). ლენინის XVII კრებულში დაიბეჭდა ამ რეფერატების გარშემო გამართული კამათის დაწვრილებითი ჩანაწერი.—44.

¹⁰ „უცუდესი ტიპის ფედერაცია“ — ასეა დახასიათებული პრალის 1912 წლის კონფერენციის გადაწყვეტილებებში ეროვნულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, როგორც რსდმპ პარტიაში არსებობდა IV (გამაერთიანებელი) ყრილობიდან, როდესაც „ნაციონალები“ „რუსეთის ორგანიზაციებისაგან სრულიად განცალკევებულად“ მუშაობდნენ, ეს კი უპირატესად უარყოფითად მოქმედებდა რსდმპ პარტიის მთელ მუშაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთისა და ლიტვის, ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და ბუნდი რსდმპ შედიოდნენ, მათ ფაქტურად განკერძოებულად ეჭირათ თავი. მათი წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ საერთო-რუსეთის პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობაში; ისინი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს უწყობდნენ ლიკვიდატორების ანტიპარტიულ საქმიანობას (იხ. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 554—555 და ტ. 18, გვ. 497—498).—52.

¹¹ ნ ა რ ო დ ვ ე ც ე ბ ი ს პ ა რ ტ ი ა (ნაროდოვა დემოკრატია, ნაციონალ-დემოკრატია, ენდეკები) — პოლონეთის მემამულეებისა და ბურჟუაზიის მთავარი რეაქციული, ნაციონალისტური პარტია, რომელიც მკიდროდ იყო დაკავშირებული კათოლიკურ ეკლესიასთან; შეიქმნა 1897 წელს, მისი ლიდერები იყვნენ რ. დმოვსკი, ზ. ბალიცკი, ვ. გრაბსკი და სხვ. ენდეკები, რომლებიც „კლასობრივი პარმონის“ და „ეროვნული ინტერესების“ ლოზუნგებს აყენებდნენ, ცდილობდნენ თავიანთი გავლენისათვის დაემორჩილებინათ ხალხის მასები და ისინი თავიანთი რეაქციული პოლიტიკის კალაპოტში მოექციათ. თავგამოდებული მებრძოლი ნაციონალიზმისა და შოვინიზმის როგორც პოლონელი ხალხის სოციალისტური და საერთო-დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალების ქადაგებით ენდეკები ცდილობდნენ პოლონელი ხალხი რუსეთის რევოლუციური მოძრაობისთვის ჩამოეშორებინათ. 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, როდესაც ენდეკები ცარიზმთან გარიგების მიღწევას ცდილობდნენ პოლონეთის სამეფოს ავტონომიის საკითხში, ისინი აშკარად დაადგნენ ცარიზმის მხარდაჭერისა და რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, რისთვისაც იყენებდნენ „ყველა საშუალებას, დასმენის, ლოკაუტებისა და მკვლევლობების ჩათვლით“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 12, გვ. 223—226). რსდმპ მეხუთე (ლონდონის) ყრილობა „ნაციონალური დემოკრატიის შესახებ“ სპეციალურ რეზოლუციაში აუცილებლად მიიჩნევს ნაციონალ-დემოკრატების, როგორც რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში ცარიზმის მოკავშირეების კონტრრევოლუციური შავრზმული ფიზიონომიისა და საქმიანობის დაუღალავ და დაუნდობელ მხილებას“ (სკკპ... რეზოლუციებში, ტ. I, გვ. 208). პირველი მსოფლიო ომის დროს (1914—1918) ენდეკები უყოყმანოდ უჭერდნენ მხარს ანტანტას, იმედი ჰქონდათ, რომ მეფის რუსეთი გაიმარჯვებდა, გაერთიანდებოდა პოლონეთის ის მიწები, რომლებიც ავსტრიისა და გერმანიის უღელქვეშ იმყოფებოდნენ, და რუსეთის იმპერიის ფარგლებში პოლონეთს ავტონომიას მიანიჭებდნენ. ცარიზმის რე-

ემის დამხობამ ენდეკები პროფრანგული ორიენტაციის გზამდე მიიყვანა. მიუხედავად ამისა, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა სახელმწიფოს პირწავარდნილი მტრები, ენდეკები თავიანთი ტრადიციული ანტიგერმანული პოზიციის თანახმად, ყოველთვის სავსებით არ უჭერდნენ მხარს ავანტიურისტულ ანტისაბჭოთა საგარეო პოლიტიკას, რომელსაც 1926 წლიდან პოლონეთში პილსუდსკელების მმართველი ხროვა ახორციელებდა. ახლა ენდეკთა ცალკეული ჯგუფების წარმომადგენლები პოლონელი ემიგრაციის რეაქციულ ელემენტთა შორის მოქმედებენ. — 58.

12 ლაპარაკია სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფაზე, რაც „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ ბურჟუაზიულ ნაციონალისტური პროგრამის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა. — 53.

13 სტატია „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“ ლენინმა 1913 წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაწერა. დაიბეჭდა იმავე წელს ბოლშევიკურ ლეგალურ ჟურნალ „პროსვეშჩენის“ მე-10, მე-11 და მე-12 ნომრებში.

სტატიის დაწერას წინ უსწრებდა ლენინის რეფერატები ნაციონალურ საკითხზე, რომლებიც მან 1913 წლის ზაფხულში წაიკითხა შვეიცარიის მთელ რიგ ქალაქებში — ციურხში, ჟენევაში, ლოზანასა და ბერნში.

1913 წლის შემოდგომაზე ლენინი ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ნაციონალურ საკითხზე პარტიული მუშაკების წინაშე რსდმპ ცკ-ის პორტინოს თათბირზე. ლენინის მოხსენების გამო მიღებულ იქნა მის მიერ დაწერილი რეზოლუცია. თათბირის დამთავრების შემდეგ ლენინი შეუდგა მუშაობას სტატიაზე „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“. — 57.

14 იგულისხმება ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა ქ. ბრიუნში (ავსტრია) 1899 წლის 24—29 სექტემბერს (ახ. სტ.). ყრილობის დღის წესრიგის ცენტრალური საკითხი ეროვნული საკითხი იყო. ყრილობაზე საპირისპირო თვალსაზრისების გამომხატველი ორი რეზოლუცია წამოაყენეს: 1) პარტიის ცკ-ის რეზოლუცია ზოგადად იცავდა ერების ტერიტორიულ ავტონომიას და 2) სამხრეთ-სლავების ს.-დ. პარტიის კომიტეტის რეზოლუცია, რომელიც ექსტერიტორიულ კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას იცავდა.

ყრილობამ ერთხმად უარყო კულტურულ-ეროვნული ავტონომიის პროგრამა და მიიღო კომპრომისული რეზოლუცია, რომელიც ცნობდა ეროვნულ ავტონომიას ავსტრიის სახელმწიფოს ფარგლებში (იხ. ვ. ი. ლენინის სტატია „ავსტრიასა და რუსეთში ეროვნული პროგრამის საკითხისათვის“, ტ. 20, გვ. 106—109).

ლენინი აღნიშნავს, რომ ყრილობაზე კულტურულ-ეროვნული ავტონომიის პროგრამის წინააღმდეგ ორი მოსაზრება იყო მოყვანილი: პირველი — რომ იგი გააძლიერებდა კლერიკალიზმს და მეორე — რომ „მისი შედეგი იქნებოდა შოვინიზმის გამარადისება, მისი შეტანა ყოველ პატარა თემში, ყოველ პატარა ჯგუფში“ — ციტირებულია ბრიუნის ყრილობის ოფიციალური ოქმებიდან, გვ. 92. — 71.

15 ე ს მ პ — ებრაელთა სოციალისტური მუშათა პარტია — წვრილბურ-

ეუზიუელი ნაციონალისტური ორგანიზაცია, შეიქმნა 1906 წელს. ებრაელთა სოციალისტური მუშათა პარტიის პროგრამის საფუძველს შეადგენდა ებრაელთა ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა — ებრაელთა ექსტერიტორიული პარლამენტების (სეიმების) შექმნა, რომლებიც უფლებამოსილნი უნდა ყოფილიყვნენ გადაეწყვიტათ რუსეთში ებრაელთა პოლიტიკური მოწყობის საკითხები. ებრაელთა სოციალისტური მუშათა პარტია ახლოს იდგა ესერებთან და მათთან ერთად იბრძოდა რსდმ პარტიის წინააღმდეგ. — 72.

16 „Przegląd Socjaldemokratyczny“ („სოციალ-დემოკრატიული მიმოხილვა“) — ჟურნალი, სცემდნენ პოლონელი სოციალ-დემოკრატები რ. ლუქსემბურგის უახლოესი მონაწილეობით კრაკოვში 1902-დან 1904 წლამდე და 1908-დან 1910 წლამდე. — 79.

17 იგულისხმება სხვადასხვა ერის წვრილბურჟუაზიული მემარცხენე-ნაროდნიკული პარტიები, ან რუსეთის ნაციონალურ-სოციალისტური პარტიების კონფერენცია, რომელიც 1907 წლის 16—20 აპრილს შედგა ფინეთში. კონფერენციას ესწრებოდნენ ესერების, პოლონეთის სოციალისტური პარტიის, პოლონეთის სოციალისტური პარტიის რევოლუციური ფრაქციის (ფრაკები), ებრაელთა სოციალისტური მუშათა პარტიის (ესმპ), კართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის, ბელორუსიის გრომადისა და სომხური პარტიის დაშნაკუტუნის წარმომადგენლები. კონფერენციის დასასრულს ჩამოვიდა ლატვიის სოციალ-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელი, რომელიც შეუერთდა კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი — ეროვნული სოციალისტური პარტიების ყრილობის ყოველწლიური მოწვევის შესახებ, თათბირის გადაწყვეტილების შესასრულებლად სპეციალური სამდივნოს ორგანიზაციის შესახებ, ეროვნულ სოციალისტურ პარტიებს შორის ურთიერთობისა და სამდივნოს პერიოდული ორგანოს შექმნის შესახებ. „1907 წლის 16—20 აპრილის რუსეთის ნაციონალ-სოციალისტური პარტიების კონფერენციის ოქმები“ გამოვიდა 1908 წელს (სპბ., წიგნების გამომცემლობა „სეიმი“). — 86.

18 „შლიახი“ („გზები“) — უკრაინელ სტუდენტთა კავშირის ორგანო, ნაციონალისტური მიმართულებისა; გამოდიოდა ლვოვში 1913 წლის აპრილიდან 1914 წლის მარტამდე. — 90.

19 იგულისხმება პარტიის II ყრილობაზე მიღებული რსდმპ პროგრამის მე-8 პარაგრაფი, რომელშიც აღიარებული იყო მოსახლეობის უფლება მიეღოთ განათლება მშობლიურ ენაზე; ყოველი მოქალაქის უფლება კრებებზე აზრი გამოეთქვა მშობლიურ ენაზე, მშობლიური ენა სახელმწიფო ენასთან თანაბარი უფლებით გამოეყენებინათ ყველა ადგილობრივ და სახელმწიფო დაწესებულებაში (იხ. „სკკპ... რეზოლუციებში, ნაწ. I, თბ., 1951, გვ. 44). — 98.

20 ხელნაწერი „ნაციონალური პოლიტიკის საკითხისათვის“ წარმოადგინა 23. ვ. ი. ლენინი

გენს იმ სიტყვის პროექტს, რომელიც IV სახელმწიფო სათათბიროში ბოლ-
შევიკ-დებუტატ გ. ი. პეტროვსკის უნდა წარმოეთქვა. 1914 წლის 22 აპ-
რილს (5 მაისს) სათათბიროდან 15 სხდომაზე მემარცხენე დებუტატების
გაძევების გამო (უფრო ვრცლად ამის შესახებ იხილე თხზ., ტ. 20,
გვ. 328—330) ამ სიტყვის წარმოთქმა არ მოხერხდა. პროექტის ხელნაწე-
რი მთლიანად არ შენახულა; ის ადგილები, რომლებიც ტექსტს აკლია, აღ-
ნიშნულია სქოლიოებში. — 102.

21 პოლონეთის კოლო — სახელმწიფო სათათბიროთა პოლო-
ნელი დებუტატების გაერთიანება. I და II სათათბიროებში ამ გაერთიანე-
ბის ხელმძღვანელი ბირთვი ეკუთვნოდათ ნაციონალ-დემოკრატებს — პო-
ლონელ მემამულეთა და ბურჟუაზიის რეაქციული, ნაციონალისტური პარ-
ტიის წევრებს. სათათბიროს ტაქტიკის ყველა ძირითად საკითხში პოლო-
ნეთის კოლო მხარს უჭერდა ოქტიაბრისტებს. — 102.

22 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის თათ-
ბირი პარტიულ მუშაებთან (კონსპირაციული მოსაზრებებით ამ თათბირს
„ზაფხულის თათბირი“ უწოდეს). თათბირი მიმდინარეობდა 1913 წლის 23
სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე (6-დან 14 ოქტომბრამდე) სოფელ პორონი-
ნოში (კრაკოვის მახლობლად), სადაც იმ დროს ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა.

თათბირის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1) მოხსენებები ადგილებიდან, მოხსენება პოლონეთისა და ლიტვის
სოციალ-დემოკრატიის მუშაობის შესახებ, პრადის კონფერენციაზე არჩე-
ული ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; 2) თანამედროვე მომენტში აგი-
ტაციის ამოცანების შესახებ; 3) საორგანიზაციო საკითხი და პარტიული
ყრილობის შესახებ; 4) საგაფიცვო მოძრაობის შესახებ; 5) პარტიული
ბეჭდვითი სიტყვის შესახებ; 6) სათათბიროში ს.-დ. მუშაობის შესახებ;
7) სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის შესახებ; 8) ლეგალურ საზოგადოებებში
მუშაობის შესახებ; 9) ეროვნული საკითხი; 10) ნაროდნიკების შესახებ;
11) მომავალი (ვენის) საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესა-
ხებ. თათბირს ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა. მან გახსნა იგი შესავალი
სიტყვით, გამოვიდა საანგარიშო მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის
მუშაობის შესახებ, მოხსენებით ეროვნულ საკითხზე, ვენის მომავალი
საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის მოწვევის შესახებ.

თათბირზე ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ეროვნული საკითხი, რო-
მელსაც იმ დროს რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვა საკითხებს
შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავა.

ეროვნულ საკითხზე გაკეთებულ მოხსენებაში ლენინმა ხაზგასმით აღ-
ნიშნა, რომ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა განუყოფელია ცა-
რიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაგან, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის
ბრძოლისაგან. ამ ბრძოლას წარმატება მოჰყვება იმ შემთხვევაში, თუ რუ-
სეთის ყველა ეროვნების მუშები ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებში
დაირაზმებიან. თათბირი დაეყრდნო პარტიის პროგრამას, გადაჭრით უარ-
ყო მენშევიკებისა და ბუნდელეების ოპორტუნისტული მოთხოვნა „კულ-
ტურულ-ნაციონალური ავტონომიისა“ და ეროვნულ საკითხში მიიღო ლე-

ნინის მიერ შემუშავებული საპროგრამო დებულებები. თათბირმა დაადასტურა, რომ ეროვნულ საკითხში პარტიის ძირითად ლოზუნგად რჩება ერთა თვითგამორკვევის, ე. ი. გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების ლოზუნგი (ლოზუნგის მეორე ნაწილი პარტიულ დოკუმენტში პირველად იყო ჩამოყალიბებული), ამავე დროს ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამოუკიდებლად, მთელი საზოგადოებრივი განვითარებისა და სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესთა შიხედით უნდა წყდებოდეს. ეროვნულ საკითხზე თათბირის მიერ მიღებულ რეზოლუციას ლენინი განიხილავდა როგორც პარტიის საპროგრამო დეკლარაციას. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომავალი ყრილობის დღის წესრიგში ეროვნული პროგრამის საკითხი შეიტანოს. — 104.

23 K. Маркс и Ф. Энгельс, Соч. 2, изд., т. 31, стр. 256.—100.

24 ლენინი იმოწმებს გ. ვ. პლენანოვის სტატიას „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი“, რომელიც 1902 წლის „ზარისა“ მეოთხე ნომერში იყო გამოქვეყნებული. — 118.

25 ეს დოკუმენტი, რომელიც ისტორიაში შევიდა სახელწოდებით „თეზისები ომის შესახებ“, იყო პირველი დოკუმენტი, რომელმაც მსოფლიო იმპერიალისტური ომის მიმართ ბოლშევიკური პარტიისა და საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პოზიცია განსაზღვრა. თეზისები ვ. ი. ლენინმა ომის პირველ დღეებშივე მოიფიქრა და 1914 წლის სექტემბრის დამდევს დაწერა.

1914 წლის 6 სექტემბერს (ახ. სტ.) პორონინიდან (ავსტრო-უნგრეთი) ბერნში (შვეიცარია) ჩამოსვლის მეორე დღესვე ვ. ი. ლენინი ბოლშევიკ-ემიგრანტთა ბერნის ჯგუფის კრებაზე გამოვიდა მოხსენებით ომისადმი დამოკიდებულების შესახებ, რომელშიც გადმოსცა და განმარტა ის დებულებები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო „თეზისებში ომის შესახებ“. ამ კრებაში მონაწილეობდნენ ი. ფ. არმანდი, ნ. კ. კრუპსკაია, IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ფ. ნ. სამოილოვი, ვ. მ. კასპაროვი, გ. ლ. შკლოვსკი და სხვ. ლენინის თეზისები ზედმიწევნით განიხილეს და თათბირის რეზოლუციად მიიღეს. თეზისები, რომელსაც ხელს აწერდა „რსდმპ წევრ სოციალ-დემოკრატთა ჯგუფი“, დაეგზავნა ბოლშევიკების სხვა საზღვარგარეთულ სექციებს. კონსპირაციის მიზნით ასლში, რომელიც ნ. კ. კრუპსკაიამ გადაწერა, ვ. ი. ლენინმა დაწერა: „დანიაში გამოშვებული მოწოდების ასლი“. მეორე ეგზემპლარზე აღნიშნულია: „რუსეთში გამოშვებული მოწოდების ასლი“. თეზისები ფ. ნ. სამოილოვის ხელით რუსეთში გაიგზავნა ცენტრალური კომიტეტის რუსული ნაწილის, IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციისა და პარტიული ორგანიზაციების განსახილველად. რუსეთში თეზისები ფართოდ გავრცელდა. მათ განიხილავდნენ პეტროგრადში, მოსკოვში, ივანოვო-ვოზნესენსკში, ნიჟნი ნოვგოროდში, ვოლოგდაში, კრასნოიარსკში, კიევში, ეკატერინოსლავში, ხარკოვში, ბაქოში, თბილისსა და სხვა ქალაქებში.

შვეიცარიელ სოციალ-დემოკრატთა მეშვეობით თეზისები გადაეცა,

აგრეთვე იტალიელი და შვეიცარიელი სოციალისტების ერთობლივ კონფერენციას, რომელიც 1914 წლის 27 სექტემბერს ლუგანოში (შვეიცარია) გაიმართა. ამ თეზისების ზოგიერთი დებულება კონფერენციის რეზოლუციასში შეიტანეს.

უფრო ფართოდ გავრცელების მიზნით ფიქრობდნენ თეზისები ცალკე ფურცლად გამოეცათ როგორც ბოლშევიკების ბერნის თათბირის რეზოლუცია. ამიტომ ვ. ი. ლენინმა თეზისების შესავალი დაწერა. მაგრამ სულ მალე გადაწყდა, რომ ასევე რსდმპ წევრთა ჯგუფის სახელით თეზისების ნაცვლად გამოეცათ მანიფესტი სათაურით „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“.

1914 წლის ოქტომბერში, როდესაც მანიფესტი უკვე ცალკე ფურცლად იყო აწყობილი, ვ. ი. ლენინმა რუსეთიდან მიიღო ცნობა, რომ ომის შესახებ თეზისები მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის რუსულმა ნაწილმა, ბოლშევიკების რსდმ ფრაქციამ და პარტიულმა ორგანიზაციებმა. გადაწყდა, რომ მანიფესტი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოეცათ. რადგანაც იმავე დროისათვის გაირკვა, რომ შესაძლებელი იყო განეახლებინათ რსდმ პარტიის ცენტრალურ ორგანოს—გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ გამოცემა, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება ცალკე ფურცლად არ გამოეცათ მანიფესტი, არამედ გამოქვეყნებინათ „სოციალ-დემოკრატის“ პირველსავე ნომერში. მანიფესტი სათაურით „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“, რომელსაც ხელს აწერდა „რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი“, მოწინავე სტატიად დაიბეჭდა რსდმ პარტიის ცენტრალურ ორგანოს გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ 33-ე ნომერში 1914 წლის 1 ნოემბერს (იხ. თხზ., ტ. 21, გვ. 15—24). — 128.

²⁶ „ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგის შესახებ იხილე ვ. ი. ლენინის სტატიები „რსდმპ საზღვარგარეთული სექციების კონფერენცია“, „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“ და „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციის შენიშვნა ომის შესახებ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტისათვის“ (იხ. თხზ., ტ. 21, გვ. 180—187, 413—418 და 419). — 124.

²⁷ სტატია „სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები“ დაიბეჭდა გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ 33-ე ნომერში 1914 წლის 1 ნოემბერს.

„სოციალ-დემოკრატია“ — არალეგალური გაზეთი, რსდმპ ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე. რუსეთში პირველი ნომრის გამოშვების უშედეგო ცდის შემდეგ, მისი გამოცემა საზღვარგარეთ გადაიტანეს; №№ 2—32 (1909 წლის თებერვალი — 1913 წლის დეკემბერი) გამოვიდა პარიზში; №№ 33—58 (1914 წლის ნოემბერი — 1917 წლის იანვარი) — ჟენევაში. სულ გამოვიდა 58 ნომერი, აქედან ხუთს ჰქონდა დამატება. 1911 წლის დეკემბრიდან „სოციალ-დემოკრატის“ ლენინი რედაქტორობდა. გაზეთში ლენინის ოთხ-მოცუბე მემტი სტატია და შენიშვნა იყო გამოქვეყნებული.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში „სოციალ-დემოკრატმა“ უაღრესად დიდი როლი შეასრულა საერთაშორისო ოპორტუნიზმის, ნაციო-

ნაღიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბოლშევიკური ლოზუნ-გების პროპაგანდაში, იმპერიალისტური ომისა და მისი სულისჩამდგმელე-ბის, თვითშეყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასისა და მშრომელი მასების ბრძოლის სურვილის გაღვივებაში. „სოციალ-დემოკრატში“ შექმდებოდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ყველა უმნი-შვნელოვანესი საკითხი, იგი ააშკარავებდა ომის იმპერიალისტურ მიზნებს, ამხელდა სოციალ-შოვინისტებისა და ცენტრისტების თვალთმაქცურ ფრა-ზებსა და ოპორტუნისტულ მოქმედებას, სახავედა იმპერიალისტური ომის პირობებში პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ერთადერთ სწორ გზებს. — 125.

²⁸ ვ. ი. ლენინს მოჰყავს ციტატა ნ. გ. ჩერნიშევსკის რომანიდან „პრო-ლოგი“ (იხ. Н. Г. Чернышевский, Полн. собр. сочинений, том XIII, 1949, стр. 197). — 128.

²⁹ Ф. Энгельс. «Эмигрантская литература» (См. К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, 2 изд., т. 18, стр. 509). — 129.

³⁰ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, თბ., 1949, გვ. 173—174. — 129.

³¹ „უკრაინის განთავისუფლების კავშირი“ („Спілка визволення України“) — ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზა-ცია, რომელიც უკრაინელ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ჯგუფმა შექმნა 1914 წელს, მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისში. „სპილკას“ იმე-დი ჰქონდა, რომ რუსეთი დამარცხდებოდა ომში. იგი ამოცანად ისახავდა გამოეყო უკრაინა რუსეთისაგან და შეექმნა ბურჟუაზიულ-მემამულური უკ-რაინის მონარქია გერმანიის პროტექტორატით. — 31.

³² ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონ-ფერენცია გაიმართა ბერნში 1915 წლის 26—28 მარტს. იგი მოიწ-ვიეს ჟურნალ „რაბოტნიცას“ საზღვარგარეთული ორგანიზაციის ინიცია-ტივით და კლარა ცეტკინის — იმ დროს სოციალისტ ქალთა საერთაშორისო ბიუროს თავმჯდომარის აქტიური მონაწილეობით. კონფერენციის მოწვევი-სათვის მთელ მოსამზადებელ მუშაობას ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ეწეოდნენ ი. ფ. არმანდი, ნ. კ. კრუპსკაია და სხვ.

დელეგატების უმრავლესობა ცენტრისტთა გავლენას განიცდიდა და ამიტომ ომთან დაკავშირებული საერთო სოციალისტური ამოცანების გან-ხილვის ნაცვლად კონფერენციის მუშაობა იმით შემოიფარგლა, რომ განი-ხილა კ. ცეტკინის მოხსენება „მშვიდობის სასარგებლოდ სოციალისტ ქალ-თა ინტერნაციონალური გამოსვლების შესახებ“. რეზოლუცია ამ საკითხზე შეიმუშავა კ. ცეტკინმა ინგლისისა და პოლანდიის დელეგატთა მონაწი-ლეობით და მას ცენტრისტული ხასიათი ჰქონდა. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა კონფერენციაზე შეიტანეს ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუციის პროექტი, რომელიც სოციალისტებს უჩვენებდა ომისა და საერთაშორისო ოპორტუნისმის წინააღმდეგ ბრძოლის რევოლუ-

ციურ გზას. ამ პროექტს კონფერენციაზე იცავდა ი. ფ. არმანდი. კონფერენციაში კ. ცეტინის მიერ შედგენილი რეზოლუცია მიიღო.

ვ. ი. ლენინი კონფერენციას აფასებდა როგორც ინტერნაციონალური ურთიერთობის აღდგენის ცდას და სურდა გამოეყენებინა იგი რევოლუციურ პოზიციებზე ინტერნაციონალური ელემენტების შესაკავშირებლად. მაგრამ, როგორც იგი მოგვიანებით აღნიშნავდა, ამ კონფერენციას და იმ პერიოდში მიმდინარე ინტერნაციონალისტთა სხვა საერთაშორისო კონფერენციებს, თუმცა უკეთილშობილესი მიზნებით იყვნენ გამსჭვალული, „არ დაუსახავს ინტერნაციონალისტთა საბრძოლო ხაზი“, „დასჯერდნენ ძველი რეზოლუციების განმეორებას“ და „უკეთეს შემთხვევაში ერთ ადგილს ტკეპნიდნენ...“ (ვ. ი. ლენინის თხზ., ტ. 41, გვ. 670—671). — 32.

33 ბროშურის „სოციალიზმი და ომი (რსდმპ პარტიის დამოკიდებულება ომისადმი)“ დაწერა ვ. ი. ლენინს პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მომზადებასთან დაკავშირებით ჰქონდა მოფიქრებული. ბროშურაზე მუშაობაში მონაწილეობა მიიღო გ. ე. ზინოვიევიმ, მაგრამ ბროშურა ძირითადად ლენინმა დაწერა. მთელი ბროშურის საერთო რედაქციაც მასვე ეკუთვნოდა.

ნაშრომს „სოციალიზმსა და ომს“ ლენინი, „ჩვენი პარტიის რეზოლუციების კომენტარებს, ვ. ი. მათს პოპულარულ განმარტებას“ უწოდებდა. ლენინი უმნიშვნელოვანეს ამოცანად იმას მიიჩნევდა, რომ ციმერვალდში მოწვეული პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია გამოეყენებინა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ელემენტების რევოლუციურ პოზიციებზე შესაკავშირებლად და ამიტომ ყველა ღონეს ხმარობდა, რათა კონფერენციის მოწვევისათვის ბროშურა დაბეჭდილი ყოფილიყო.

ნაშრომი „სოციალიზმი და ომი“ ციმერვალდის კონფერენციის დაწყების წინ რუსულ და გერმანულ ენებზე მცირე ბროშურის სახით გამოიცა და კონფერენციის მონაწილეებს დაურიგდა. ბროშურის ბოლოს დანართის სახით დაბეჭდილი იყო: რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“, ვ. ი. ლენინის სტატია „რსდმპ პარტიის საზღვარგარეთული სექციების კონფერენცია“, რასაც თან ერთვის კონფერენციის რეზოლუციები, რომლებიც „სოციალ-დემოკრატში“ გამოქვეყნდა, და 1913 წლის ოქტომბერში პარტიულ მუშაკებთან გამართულ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პორონინოს თათბირის მიერ ერთგულ საკითხზე მიღებული რეზოლუცია. ციმერვალდის კონფერენციის შემდეგ ბროშურა საფრანგეთში ფრანგულ ენაზე გამოიცა. იგი ნორვეგიულ ენაზე ნორვეგიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა ორგანოში მთლიანად დაბეჭდა. მაშინ ლენინმა არაერთგზის სცადა, რომ ეს ბროშურა ინგლისურ ენაზე ამერიკაში გამოეცათ, მაგრამ ასეთი გამოცემა იმ ხანად ვერ განხორციელდა.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ ნაშრომი „სოციალიზმი და ომი“ რაც შეიძლება მეტად გავრცელებულიყო. რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იგი დაბეჭდილებით მოითხოვდა, რომ პეტერბურგში თუნდაც სათაურით „ცარიზმის უკანასკნელი წლე-

ბის ისტორიიდან“ ხელახლა გამოეცათ გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“, ბროშურა „სოციალიზმი და ომი“, ჟურნალი „კომუნისტი“ და „სოციალ-დემოკრატი“ კრებული“.

ნაშრომი „სოციალიზმი და ომი (რსდმ პარტიის დამოკიდებულება ომი-სადმი)“ ბროშურის სახით 1918 წელს პეტროგრადში პეტროგრადის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს გამოცემით გამოვიდა. მან ფართო გავრცელება პოვა. ცალკე გამოცემად ბროშურა მრავალ ენაზე დაიბეჭდა. — 142.

34 სტატია „ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი“ 1915 წლის დამლევს რუსულ ენაზე დაიწერა, როგორც ჩანს, რამდენადმე უფრო ადრე ამავე სახელწოდების სტატიაზე, რომელიც გერმანულ ენაზე დაიწერა და 1916 წლის იანვარში გამოქვეყნდა ციმერვალდელ მემარცხენეთა თეორიული ორგანოს „Vorbote“-ს („წინამორბედი“) პირველ ნომერში (იხ. თხზ., ტ. 21, გვ. 537—556). მისი ტექსტი ცოტათი განსხვავდება „Vorbote“-ში გამოქვეყნებული სტატიის ტექსტისაგან. რუსულ ენაზე დაწერილი სტატიის ხელნაწერი სრული სახით არ შენახულა; იგი შედგება გარკვეული, მწყობრი ხელით ნაწერი და დანომრილი რვეულის ფორმატის ათი გვერდისა და დაუნომრავი ნახევარი ფურცლისაგან. სტატია პირველად გამოქვეყნდა 1924 წელს ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუცია“-ს № 5-ში. — 147.

35 ეგრეთ წოდებულ „კულტურულ-ეროვნულ ავტონომიის“ საკითხზე კ. რენერისა და თ. ბაუერის რეაქციული იდეების კრიტიკა იხ. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“ და „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის შესახებ“ (თხზ., ტ. 20, გვ. 1—46, ტ. 19, გვ. 601—606). — 149.

36 „ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის ბიულეტენი“, რომელიც „ბუნდის საზღვარგარეთული ორგანიზაციის საინფორმაციო ფურცლის“ გაგრძელებას წარმოადგენდა, გამოდიოდა ქენევაში. გამოვიდა სულ ორი ნომერი: № 1 — 1916 წლის სექტემბერში და № 2 — 1916 წლის დეკემბერში. „ბიულეტენი“ სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგა. ლენინის მიერ აქ ციტირებული „წერილი რუსეთიდან“ ხელმოუწერად იყო მოთავსებული „ბიულეტენის“ პირველ ნომერში. ამ წერილს ლენინი დაწვრილებით განიხილავს სტატიაში „ჩხეიძის ფრაქცია და მისი როლი“. — 151.

37 ბოროტბისტები — წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიის წევრები. ეს პარტია წარმოიშვა 1918 წლის მაისში უკრაინის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში მომხდარი განხეთქილების შემდეგ. ასე იწოდებოდნენ პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ „ბოროტბას“ მიხედვით. 1919 წლის მარტში დაირქვეს უკრაინის სოციალისტ-რევოლუციონერ კომუნისტ ბოროტბისტების პარტია, ხოლო აგვისტოში — უკრაინის ბოროტბისტთა კომუნისტური პარტია. ბოროტბისტთა პარტიას მეთაურობდნენ ვ. ბლაკიტნი, გ. გრინკო, ა. შუმსკი და სხვები. ბოროტბისტთა

პარტიის რიგებში ცოტა როდი იყო კონტრარევოლუციური ელემენტი — პეტლიურელი, რომლებიც რევოლუციური ფრაზით, კომუნისტური პლატფორმის აღიარების განცხადებებით ინიღბებოდნენ, ნამდვილად კი პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, უკრაინისა და რუსეთის ერთიანი რევოლუციური ფრონტის გათიშვის ხაზს ახორციელებდნენ. ბოროტბისტთა პარტიის ლენინური შეფასება იხ. ПОЛН. СОНР. СОН., Т. 40, СТР. 122—159.

ბოროტბისტებმა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომს ორჯერ მიმართეს თხოვნით, კომინტერნში მიგვიღეთ და უკრაინის ძირითად კომუნისტურ პარტიად გვცანითო. 1920 წლის 26 თებერვალს კომინტერნმა ამ საკითხზე მიიღო საგანგებო დადგენილება, რომლითაც ბოროტბისტებს წინადადებას აძლევდა გაეუქმებინათ თავიანთი პარტია და შერწყმოდნენ უკრაინის კპ (ბ)-ს. უკრაინაში მეორე პარალელური პარტიის შექმნის სურვილი, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს მიაჩნია მხოლოდ და მხოლოდ იმის ცდად, რომ გათიშონ მშრომელთა რიგები.

უკრაინის გლეხთა მასებში ბოლშევიკების გავლენის ზრდასთან და სიბჭოთა ხელისუფლების წარმატებებთან დაკავშირებით ბოროტბისტები იძულებული იყვნენ მიეღოთ თვითდაშლის გადაწყვეტილება.

უკრაინის კპ (ბ) IV კონფერენციამ, რომელიც 1920 წლის 17—23 მარტს მიმდინარეობდა, მხარი დაუჭირა უკრაინის კომუნისტური პარტიის რიგებში ბოროტბისტთა მიღებას, ამასთან ყველა ახალმიღებულმა გაიარა ხელახალი რეგისტრაცია. მაგრამ შემდგომ ბევრი ბოროტბისტი განაგრძობდა ანტისაბჭოთა საქმიანობას, სათავეში ედგა უკრაინაში კონტრარევოლუციური, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების ბრძოლას. — 167.

³⁸ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების პროექტი თურქესტანში რკპ (ბ) ამოცანების შესახებ მოამზადა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს მიერ გამოყოფილმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გ. ვ. ჩიჩერინი, ნ. ნ. კრესტინსკი და თურქკომისიის თავმჯდომარე შ. ზ. ელიავა. მაგრამ კომისიის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილების პროექტს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნდა. მაგალითად, პროექტში არაფერი იყო ნათქვამი ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან ბრძოლის შესახებ, არ იყო განსაზღვრული თურქესტანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და თურქესტანის სასკომსაბჭოს ამოცანები და კომპეტენციები. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა პროექტის გამო 1920 წლის 13 ივნისს მთელი რიგი შენიშვნა გააკეთა. 1920 წლის 22 ივნისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ განიხილა კომისიის პროექტი და დაავალა ნ. ნ. კრესტინსკის და შ. ზ. ელიავას გადაეშუშებინათ ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინის შენიშვნებისა და იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რომლებიც პოლიტიბიუროს სხდომაზე გამოითქვა. ამ საკითხზე პოლიტიბიურომ მიიღო დადგენილება, რომლის პროექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა (იხ. ეს კრებული გვ. 172).

1920 წლის 29 ივნისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ, რომელიც ვ. ი. ლენინის მითითებებით ხელმძღვანელობდა, მიიღო

დადგენილებები: „თურქესტანში ჩვენი ამოცანების შესახებ“, „თურქესტანში ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ“, „თურქესტანში პარტიული მშენებლობის შესახებ“ და დაამტკიცა „თურქკომისიის ინსტრუქცია“. — 171.

39 ვ. ი. ლენინის პროექტი დამატებითურთ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ 1920 წლის 14 ოქტომბერს მიიღო.—180.

40 აღმოსავლეთის ხალხთა ბაქოს ყრილობა (აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობა) გაიმართა 1920 წლის 1—7 სექტემბერს. ყრილობაზე ბაქოში ჩამოვიდა 1891 დელეგატი — 37 ეროვნების (კავკასიის, შუა აზიის, ავღანეთის, ეგვიპტის, ინდოეთის, ირანის, ჩინეთის, კორეის, სირიის, თურქეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების) წარმომადგენლები. ყრილობის დელეგატთა ორი მესამედი (1273 დელეგატი) კომუნისტი იყო. ყრილობის გახსნის წინ, 1920 წლის 31 აგვისტოს, შედგა ბაქოს მუშათა, წითელარმიელთა და მეზღვაურ დეპუტატთა საბჭოს და აზერბაიჯანის პროფკავშირთა ყრილობის საზეიმო კრება, რომელიც ყრილობაზე ჩამოსულ დელეგატებს მიესალმა. კრებაზე აღმოსავლეთის ხალხებს მიესალმნენ აგრეთვე ევროპისა და ამერიკის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები — ბელა კუნი (უნგრეთი), თომას კველჩი (ინგლისი), ჯონ რიდი (აშშ) და სხვ.

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) საერთაშორისო მდგომარეობა და აღმოსავლეთის მშრომელი ხალხების ამოცანები; 2) ეროვნულ-კოლონიური საკითხი; 3) აგრარული საკითხი; 4) საბჭოები აღმოსავლეთში; 5) ორგანიზაციული საკითხი და სხვ. მასალების მოსამზადებლად ყრილობაზე შეიქმნა ოთხი სექცია: აგრარული საკითხის, ეროვნულ-კოლონიური საკითხის, საბჭოთა მშენებლობის საკითხისა და ორგანიზაციული საკითხის სექციები.

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის გადაწყვეტილებებს მიემხრო და მათ საფუძველზე შეიმუშავა რამდენიმე რეზოლუცია. დამტკიცებული იქნა „თეზისები აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ“. თეზისებში ლაპარაკი იყო აღმოსავლეთის ხალხის მიერ რუსეთში საბჭოთა მშენებლობის გამოცდილების გამოყენების აუცილებლობაზე, ლაპარაკი იყო იმპერიალისტური ექსპლოატაციის მოსპობისათვის, მშრომელი ხალხების ხელში მიწების გადაცემისა და სხვადასხვა ხალხის ძმური თანამშრომლობისათვის საბჭოების მნიშვნელობაზე. ყრილობამ მიიღო აგრეთვე „თეზისები აგრარულ საკითხზე“, რომლებშიაც ჩამოთვლილი იყო აღმოსავლეთში გლეხთა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მიზეზები და დასახულ იქნა აგრარული გარდაქმნების რევოლუციური ღონისძიებები (მიწის ნაციონალიზაცია და მისი უსასყიდლოდ გადაცემა გლეხებისათვის, ყოველგვარი გადასახადებისა და ვალების გაუქმება, სარწყავი სისტემის მოწესრიგება, მომთაბარე ხალხებისათვის დახმარება და სხვ.). ყრილობამ გადაწყვიტა ეროვნულ და კოლონიურ საკითხებზე არ მიეღო სპეციალური რეზოლუცია, და ამ საკითხში კომინტერნის II კონგრესის თეზისებისადმი სოლიდარობა გამოეთქვა. ყრილობამ გადაწყვი-

ტა გამოექვეყნებინა შემდეგი ორი მიმართვა: მიმართვა აღმოსავლეთის ხალხებისადმი კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებით და მიმართვა ევროპის, ამერიკის და იაპონიის მშრომელებისადმი მოწოდებით, რომ მხარი დაეჭირათ აღმოსავლეთის ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. მიღებულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ყრილობამ კომიტეტრნის აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნა მუდმივი ორგანო — პროპაგანდისა და აღმოსავლეთის ხალხების მოქმედების საბჭო.—180.

41 ვ. ი. ლენინის წერილი „ე რო ვ ნ ე ბ ა თ ა ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ე ი ს ა ნ უ „ა ვ ტ ო რ ი მ ი ზ ა ც ი ი ს“ შე ს ა ხ ე ბ“ დაწერილია სსრ კავშირის შექმნასთან დაკავშირებით და საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ურთიერთობის პრობლემას ეძღვნება.

ლენინის მიერ ამ წერილის დაწერის უშუალო მიზეზი იყო საქართველოს კომპარტიის მომხდარი კონფლიქტი რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა, რომელსაც სათავეში ედგა გ. კ. ორჯონიკიძე და პ. გ. მდივნის ჯგუფს შორის.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, ისევე როგორც ადრე რკპ (ბ) ცკ-ის კავბიურო პრინციპულად სწორ ხაზს ატარებდა, ცდილობდა მიეღწია ამიერკავკასიის რესპუბლიკების შეკავშირებისათვის და ილაშქრებდა მდივანის ჯგუფის პრინციპულად არასწორი პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტიურად ამუხრუჭებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო და პოლიტიკურ გაერთიანებას და არსებითად ცდილობდა საქართველოს განკერძოებულობის შენარჩუნებას, რითაც ხელს უწყობდა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ქართველ მენშევიკებს. საქართველოს კომუნისტებმა თავიანთ ყრილობებზე, კონფერენციებსა და პარტიული აქტივის კრებებზე მდივანისა და მისი მომხრეების პოზიცია სამართლიანად მიიჩნიეს ნაციონალიზმისაკენ გადახრად. ლენინი აკრიტიკებდა მდივანისა და მისი მომხრეების პრინციპულად მცდარ შეხედულებებს. სწორედ მდივანის ჯგუფის საწინააღმდეგოდ ლენინი 1921 წლის ნოემბერში ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის თაობაზე დაწერილ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნავდა: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებულ იქნეს პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც უეჭველად უნდა განხორციელდეს“ (თხზ., ტ. 33, გვ. 134). როდესაც მდივანის მომხრეები რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის ოქტომბრის პლენუმის შემდეგაც დაჟინებით მოითხოვდნენ, საქართველო სსრ კავშირში უშუალოდ, და არა ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით, უნდა შევიდესო, ლენინმა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კპ ცკ-ის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში უკმაყოფილება გამოთქვა მდივანის მომხრეთა მოქმედებებით და გადაჭრილად გამო მათი „ბრძოლა ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ი ს წ ი ნ ა აღ მ დ ე გ“. „დარწმუნებული ვიყავი, — წერდა ლენინი, — რომ ყველა უთანხმოება ამოწურული იყო ცეკას პლენუმის იმ რეზოლუციებით, რომელშიც არაპირდაპირ ვმონაწილეობდი მე და პირდაპირ მონაწილეობდა მ დ ი ვ ა ნ ი“ (თხზ., ტ. 45, გვ. 722).

ამავე დროს ორჯონიკიძემაც სერიოზული შეცდომები დაუშვა. მან საქართველოში ეროვნული პოლიტიკის გატარებისას ვერ გამოიჩინა ჯერო-

ვანი მოქნილობა და სიფრთხილე, ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების დროს მიმართავდა ადმინისტრირებას და აჩქარებას იჩენდა, ყოველთვის როდი უწყევდა ანგარიშს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აზრსა და უფლებებს. ორჯონიკიძემ მდივანის ჯგუფთან ურთიერთობაში სათანადო თავდაპირველობა ვერ გამოიჩინა. საქმე იქამდე მივიდა, რომ, როდესაც ამ ჯგუფის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ორჯონიკიძეს შეურაცხყოფა მიაყენა, ორჯონიკიძემ გაართქა მას.

მდივანის მომხრეები, რომლებიც საქართველოს კპ ცკ-ს უმრავლესობას შეადგენდნენ, არ დაეთანხმნენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოზიციას, ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოვიდნენ და საჩივრით მიმართეს რკპ (ბ) ცკ-ს. 1922 წლის 25 ნოემბერს პოლიტიბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს კპ ცკ-ის წევრების განცხადების სასწრაფოდ გარჩევისათვის საქართველოში გაეგზავნა კომისია ფ. ე. ძერჟინსკის მეთაურობით.

ლენინს ძალიან აწუხებდა „საქართველოს საკითხი“ და იგი, როგორც ეს მორიგე მდივნების დღიურიდან ჩანს, მოუთმენლად ელოდა ძერჟინსკის დაბრუნებას. 12 დეკემბერს ძერჟინსკი მოსკოვს ჩავიდა და იმავე დღეს ვლადიმერ ილიას ძეს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. მოგვიანებით, 1923 წლის იანვარში, ლენინმა ლ. ა. ფოტიევას უთხრა: „ჩემი ავადმყოფობის წინ ძერჟინსკიმ მითხრა კომისიის მუშაობისა და „ინციდენტის“ შესახებ და ამან ჩემზე ძალიან მძიმე გავლენა მოახდინა“ (თხზ., ტ. 42, გვ. 555). „საქართველოს საკითხს“ ლენინი სსრ კავშირის შექმნის საერთო საკითხს უკავშირებდა და გამოთქვამდა შიშს იმის გამო, თუ რამდენად თანამიმდევრულად იქნებოდა დაცული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები რესპუბლიკების გაერთიანების დროს. 14 დეკემბერს ვლადიმერ ილიას ძე ვარაუდობდა ეკარნახა წერილი ეროვნულ საკითხზე — სსრ კავშირის შექმნის თაობაზე, მაგრამ მაშინ ამ განზრახვის შესრულება ვერ შეძლო. 27 და 28 დეკემბერს ლენინის მიერ ნაკარნახევ სიაში, რომელშიც ჩამოთვლილია მომდევნო წერილებისა და სტატიების თემები, აღნიშნულია თემა: „ნაციონალურ საკითხისა და ინტერნაციონალიზმის შესახებ (საქართველოს პარტიაში უკანასკნელ კონფლიქტთან დაკავშირებით)“.

წერილში „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“ ლენინმა დაგმო ორჯონიკიძის საქციელი. მას მიაჩნდა, რომ ძერჟინსკის კომისიამ „საქართველოს კონფლიქტის“ განხილვისას სათანადო ობიექტურობა ვერ გამოიჩინა. მთელი ამ საქმის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ლენინი უპირველეს ყოვლისა აკისრებდა სტალინს როგორც ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, რადგან მხედველობაში ჰქონდა მის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომები რესპუბლიკების გაერთიანების დროს. ლენინი მხარს არ უჭერდა მდივანის პრინციპულად მცდარ პოზიციას ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შექმნის საკითხში. მაგრამ რადგან იგი მაშინ მთავარ საფრთხეს დიდმპყრობელურ შოვინიზმში ხედავდა და მასთან ბრძოლას უწინარეს ყოვლისა წინათ გაბატონებული ერის კომუნისტების ამოცანად მიიჩნევდა, ამიტომ ლენინმა ყურადღება გაამახვილა სწორედ სტალინის, ძერჟინსკისა და ორჯონიკიძის მიერ „საქართველოს საკითხში“ დაშვებულ შეცდომებზე.

წერილში „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“ ლენინმა ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემები გააშუქა. ლენინი მას სახელმძღვანელო წერილად მიიჩნევდა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მოგვიანებით მის სტატიად გამოქვეყნებას აპირებდა. მაგრამ 1923 წლის 6 მარტის შემდეგ მოულოდნელად ავადმყოფობის მკვეთრად გაუარესების გამო ვლადიმერ ილიას ძემ ვერ მოასწრო „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“ წერილის თაობაზე საბოლოო განკარგულების გაცემა. 1923 წლის 16 აპრილს ლ. ა. ფოტიევამ ვ. ი. ლენინის წერილი პოლიტბიუროს გადაუგზავნა. რკპ (ბ) XII ყრილობაზე ეს წერილი გააცნეს დელეგაციებს. ვ. ი. ლენინის მითითებების შესაბამისად ეროვნულ საკითხზე ყრილობის გადაწყვეტილების პროექტში მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი. — 184.

42 ე. ი. ი ა გ ე ლ — პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პპს) წევრი; არჩეული იყო IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ვარშავიდან. ბოლშევიკები კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ, რომ იაგელო ს.-დ. ფრაქციაში მიეღოთ, რადგან იაგელო სათათბიროში ბურჟუაზიის, აგრეთვე პპს-ისა და ბუნდის ბლოკის ხელშეწყობით მოხვდა. პირველი კენჭისყრის დროს ს.-დ. ფრაქცია გაითიშა: 6 დეპუტატმა (მენშევიკმა) ხმა მისცა იაგელოს მიღებას, 6 დეპუტატი (ბოლშევიკი) წინააღმდეგი იყო. ირკუტსკიდან დეპუტატ — მემარჯვენე მენშევიკ ი. ნ. მანკოვის ჩამოსვლის შემდეგ მენშევიკებმა უპირატესობა მოიპოვეს და იაგელო მიღებულ იქნა ს.-დ. ფრაქციაში. მაგრამ ბოლშევიკ-დეპუტატთა გავლენით მისი უფლებები ფრაქციაში შეზღუდული იყო: ყველა შინაპარტიული საკითხის გადაჭრის დროს იაგელოს მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდა. — 203.

43 პ ა ნ ი ს ლ ა მ ი ზ მ ი — რეაქციული რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა თურქეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო შემდგომ სხვა მუსლიმანური ქვეყნების შეძლებულ კლასებს შორის გავრცელდა. იგი იმას ქადაგებს, რომ ერთ სახელმწიფოში გავრთიანდეს ყველა ხალხი, ვისაც ისლამი, მუსლიმანური რელიგია სწამს.

ოქტომბრის რევოლუციამდე პანისლამიზმი შუა აზიის, ვოლგისპირეთისა და ყირიმის მუსლიმანურ ბურჟუაზიასა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში იყო გავრცელებული. სამოქალაქო ომისა და სსრ კავშირში უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის წლებში მას ფართოდ იყენებდნენ ანტი-საბჭოთა მიზნებით.

პ ა ნ თ უ რ ქ ი ზ მ ი — თურქ რეაქციულ ბურჟუაზიულ-მემამულურ წრეების შოვინისტური დოქტრინა, რომელიც მიზნად ისახავს თურქეთის ხელისუფლებას დაუმორჩილოს თურქულ ენაზე მოლაპარაკე ყველა ხალხს. პანთურქიზმი წარმოიშვა თურქეთში XX საუკუნის დამდეგს. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პანთურქული ელემენტები რუსეთში, რომლებიც დაკავშირებულები იყვნენ თურქეთის მმართველ წრეებთან, თურქულენოვანი ხალხების ეროვნული ინტერესების „დაცვის“ ნიღბით პანთურქიზმის იდეებს ქადაგებდნენ, რათა რუსეთისათვის მისი ეროვნული განაპირა რაი-

ონები ჩამოეცილებინათ და ისინი თურქეთისათვის დაექვემდებარებინათ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ბურჟუაზიული ნაციონალისტები და კონტრრევოლუციური ელემენტები პანთურქიზმს საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად იყენებდნენ. — 232.

44 1921 წლის დამდეგს თათარ კომუნისტთა შორის მოქმედებდა ნაციონალისტ მ. სულთან-გალიევის ჯგუფი. ეს ჯგუფი იყენებდა რესპუბლიკის ეკონომიკურ სიძნელებებს, აგრეთვე ცალკეულ ხელმძღვანელთა შეცდომებს და ცდილობდა გამოეწვია თათარ მშრომელთა უკმაყოფილება თათრეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახკომსაბჭოს პოლიტიკით, რომელსაც მაშინ ს. საიდ-გალიევი ხელმძღვანელობდა. გაეროვნების საბაბით ნაციონალისტები რევოლუციის საქმის ერთგულ კადრებს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტებით ცვლიდნენ. რკპ (ბ) ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ პირებთან გამართულმა ცენტრალური კომიტეტის **მუხთხე თათბირმა ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოხსენების გამო** მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ამხილა თათარ ნაციონალისტთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში სულთან-გალიევი ედგა. — 241.

45 უკრაინელმა ნაციონალისტებმა უკრაინის ტერიტორიაზე ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ფაშისტთა დასტურით შექმნეს შეიარაღებული ბანდები ე. წ. უკრაინის სახალხო-რევოლუციური არმია (უნრა) და უკრაინის მეამბოხეთა არმია (უბა).

ამხილა რა პიტლერელ დამპყრობთა აგენტების — უკრაინელ-გერმანელი ნაციონალისტების ფაშისტური იდეოლოგია და ხალხისადმი მტრული საქმიანობა, უკრაინის სსრ მთავრობამ და უკრაინის კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ხალხს მათ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდეს. — 256.

46 „ი ნ ო გ ა მ ო ვ ე ლ ე ბ ი“ (ხელმძღვანელი ინოგამოვი) — ჩვენი ქვეყნის ცენტრიდან გამოგზავნილ კადრებთან ერთობლივი მუშაობისა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შუა აზიის ბიუროს ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ.

„18-თა ჯ გ უ ფ ი“ — ანტიპარტიული ჯგუფი. 1925 წლის ნოემბერში უზბეკეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სახელზე შევიდა განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა რესპუბლიკის თვრამეტი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი. საკ. კპ (ბ) ცკ-ის შუა აზიის ბიუროს კომისიამ, რომელიც განცხადების განსახილველად შეიქმნა, გამოარკვია, რომ განცხადების შეტანამდე შემდგარა ჯგუფის წევრთა თათბირი. „18-თა განცხადების“ ჭეშმარიტი მოტივი პარტიის ხაზთან შეუთანხმებლობა, განსაკუთრებით იმ დროისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხზე — სამიწაწელო რეფორმის განხორციელების საკითხზე შეუთანხმებლობაც იყო. ანტიპარტიული ჯგუფი ესწრაფოდა არსებითად შეენარჩუნებინა ბაიურ-კულაკური მიწათმოქმედება. — 315.

საბნობრივი საძიებელი

- ავტონომია — 5, 21, 47, 49, 51, 52, 69, 77—83, 86, 87, 88, 92, 100, 104, 139, 196, 206, 220, 221, 294, 299, 347, 352, 353
- ავტონომია კულტურულ-ეროვნული — 5, 6, 41—43, 48—53, 65, 69—71, 83—86, 92, 93, 97, 104, 105, 107, 131, 149, 203, 220, 348, 351, 352, 355, 358
- ავტონომია ექსტერიტორიული — 73, 83, 353
- ავტონომისტ - ფედერალისტები — 122
- ავტონომიზაცია — 9, 184, 185, 187, 362, 363
- ანტისემპიტოზმი — 21, 195, 244, 264, 319, 323, 326, 331
- ასიმილაცია — 65—68, 71
- დემოკრატია, დემოკრატიული ცენტრალიზმი — 79, 80, 87, 89, 94, 108, 111, 114, 115, 134, 270
- ენა (თანასწორუფლებიანობა) — 18, 21, 74, 190, 354
- ენა „სახელმწიფოებრივი“ — 18, 21, 59, 61, 86, 87, 97, 106, 206
- ერი, ერთა დაახლოება, კავშირი — 3, 6, 10, 11, 12, 15—19, 25, 39—48, 43—54, 55, 59—77, 79, 83—86, 90, 91, 94—98, 101, 102—110, 113—118, 120—124, 126—130, 140—146, 149—157, 160, 164—166, 170, 171, 174—180, 188, 204, 205—207, 211—212, 214, 216, 219, 220, 222, 223, 230—233, 255, 265, 278, 280—284, 286, 288, 290, 297—300, 303, 305, 309, 310, 342, 353, 363
- ერთა თვითგამორკვევის უფლება — 6, 15, 17, 21, 42, 45, 46, 79, 81, 92, 93, 96, 101, 107, 108, 109, 110, 111, 113, 114, 117, 118, 121, 122, 146, 149, 207, 219, 220, 221, 280, 281, 348, 353
- ერი სოციალისტური — 263, 265, 266—268, 275, 285
- ერი მჩაგვრელი — 18, 95, 110, 111, 119, 149—151, 165, 174, 187, 189, 233
- ერი ჩაგრული — 18, 39, 95, 101, 109, 110, 117, 119—122, 141, 143, 149—151, 157, 165, 173, 187, 189, 208, 223, 264, 278, 298
- ეროვნება — 10, 11, 19, 36, 174, 179—181, 200, 225, 265, 278, 283, 284, 286, 288, 289, 292, 296, 298, 308
- ეროვნული (ნაციონალური) ბრძოლა — 32, 230
- ეროვნული (ნაციონალური) გამონათები, ციურწმენები — 9, 11, 72, 95, 118, 168, 170, 174, 180, 285, 287
- ეროვნული გამოყოფა, განცალკევებულობა — 9, 40, 122, 165, 290
- ეროვნული გრძნობა — 9, 180, 223, 302
- ეროვნული დამოუკიდებლობა — 5, 16, 131, 264, 270
- ეროვნული თანასწორობა — 101, 234
- ეროვნული (ნაციონალური) მოძრაობა — 21, 24, 25, 70, 71, 95,

107, 118, 174, 175, 221, 228,
259, 264, 276, 285, 294, 299
ეროვნული მშვიდობა — 48, 114,
182, 183, 230
ეროვნული ნიჰილიზმი — 8, 281
ეროვნული ორგანიზაციები — 15,
21, 197, 200, 201, 203, 307, 347
ეროვნული პრივილეგიები, თავი-
სებურებები — 63, 65, 239, 303,
305—308, 339
ეროვნული პროგრამა მარქსისტე-
ბისა — 6, 8, 12, 33, 44, 66, 78,
92, 103, 123, 234, 355
ეროვნული რესპუბლიკა — 234,
239, 241
ეროვნული (ნაციონალური) საკი-
თხი — 6, 7, 15, 17, 18, 35, 40,
42, 43, 57, 92—94, 107, 108, 109,
110, 111, 112, 117, 127, 153,
156, 164, 174, 184, 185, 186,
200, 204, 205, 219, 221, 222,
229, 231, 232, 234, 235, 240,
242, 243, 275, 282, 287, 288,
296, 298, 305, 306, 309, 310,
313, 320, 323, 327—330, 334,
350, 351, 354, 355, 358, 359,
362, 363—365
ეროვნული (ნაციონალური) სა-
ხელმწიფო — 80, 112, 113, 116,
117, 119, 140
ეროვნული სკოლები — 6, 53,
73—77, 85, 97
ეროვნული ტრადიციები — 261,
262, 272, 277
ეროვნული უთანასწორობა — 234,
241, 282
ეროვნული უმცირესობანი — 41,
42, 47, 48, 60, 75—78, 177, 206,
220, 230, 254, 306, 317, 318,
323, 324
ეროვნული ურთიერთობა — 4, 40,
110, 153, 222, 264, 289
ეროვნული შეზღუდულობა — 9,
12, 244, 265, 267, 274, 277,
283, 287, 288, 342, 343

ეროვნული შემადგენლობა მოსახ-
ლეობისა — 47, 79, 80—82, 85,
220
ეროვნული შუღლი — 10, 21, 26,
37, 55, 102, 123, 165, 230, 283
ეროვნული ჩაგვრა — 9, 17, 41,
46, 56, 57, 66, 67, 69, 70, 71,
82, 96, 101, 124, 174, 216, 219,
224, 227—232, 233, 234, 299,
305
ეროვნული ცხოვრება — 62, 65
ინტერნაციონალიზმი პროლეტა-
რული, სოციალისტური — 6, 7,
8, 11, 12, 60—64, 94, 105, 178,
193, 241, 264—265, 274—283,
284—294, 339, 341—343, 363
ინტერნაციონალისტები — 137,
138, 146, 147, 158, 165, 284,
340, 357, 358—359
ინტერნაციონალისტური პოლიტი-
კა — 280, 281
ინტერნაციონალური აღზრდა —
10, 11, 150, 263, 266, 285, 339,
340
ინტერნაციონალური ერთიანობა—
3, 12, 102, 103
კოლონია, კოლონიალიზმი — 100,
140, 141, 142, 159, 160, 162,
174, 292
კოსმოპოლიტიზმი — 263, 265, 337
კუთხურობა — 266, 268, 274, 283,
290
კულტურა (ნაციონალური) ეროვ-
ნული—5, 20, 40, 41, 43, 48, 53,
56, 60—65, 68, 71, 72, 93, 94, 96,
97, 104, 105, 106, 205, 206,
220, 228, 248, 249, 255, 296,
300, 305, 306, 311, 312, 329,
330, 334, 339
კულტურა ველიკორუსული — 64
კულტურა ინტერნაციონალური —
43, 48, 53, 62, 63, 64, 69,
97, 266
კულტურა სოციალისტური — 258
მუსულმანური მოძრაობა — 122

- ნაციონალ-დემოკრატები—91, 120, 227
- ნაციონალ-ლიბერალები — 35, 91, 95, 120, 142, 209
- ნაციონალ-რეაქციონერები — 90, 95, 120
- ნაციონალ-უკლონიზმი — 9, 10, 283
- ნაციონალიზმი — 3, 12, 21—26, 28, 29, 36—38, 39, 42, 43, 44, 48, 54—57, 60—65, 66—68, 86, 92—101, 104—106, 108, 111, 112, 117, 119—121, 125, 131, 140, 145—146, 152, 176, 177, 187, 203, 204, 207, 209, 221, 236, 237—242, 248, 253, 255, 257, 259—268, 272, 275, 280—283, 284, 288—290, 293, 299, 301, 307, 309, 310, 315—318, 321—323, 324—328, 330—338, 339—344, 347, 352, 356, 362
- ნაციონალიზმი ბურჟუაზიული — 3, 5—8, 9, 11, 37, 40, 53, 71, 75, 94—97, 109, 110, 125, 163, 177, 232, 263, 265, 275, 276, 285, 360, 361, 362
- ნაციონალიზმი ველიკორუსული — 53, 56, 60, 61, 89, 94—96, 108, 118, 120, 121, 167, 168, 169, 170, 171
- ნაციონალიზმი მჩაგვრელი ერისა— 93, 264
- ნაციონალიზმი შავრამული — 40, 89, 94, 95, 105, 119, 206
- ნაციონალიზმი ჩაგრული ერისა — 109, 264, 299
- ნაციონალისტები — 6, 9, 25, 28, 33—37, 64, 74, 75, 83, 100, 101, 115, 135, 138, 153, 227, 228, 256—259, 262, 297, 330, 357, 364, 365
- ნაციონალისტური აგიტაცია — 31, 296
- ნაციონალისტური გადახრები — 9, 303, 314, 315, 319, 324, 329
- ნაციონალისტური ცრურწმენები— 3, 9, 91, 95, 118, 120, 204, 275, 289, 308
- პანთურქიზმი — 296, 364
- პანისლამიზმი — 178, 227, 232, 295, 364
- რასიზმი — 7, 264, 265, 278, 284
- რასობრივი განკერძოება — 22
- სეპარატიზმი, სეპარატისტები — 89
- სექტანტობა — 275
- სიონიზმი, სიონისტები — 7, 9, 224, 225, 310, 342
- სოციალ-ნაციონალიზმი — 7, 132, 133
- სოციალ-შოვინიზმი, სოციალ-შოვინისტები — 135, 137, 138, 146—148, 153, 178, 348, 349, 357, 360
- ფედერაცია, ფედერალიზმი — 21, 87, 353
- შავრამელები — 28, 33, 37, 38, 44, 56
- შოვინიზმი — 6, 11, 16, 17, 29, 33—38, 70, 91, 95, 104, 118, 123—126, 129, 130, 135, 139, 140—146, 149, 195, 211—213, 218, 230, 234, 235, 236, 244, 252—254, 264, 265, 272, 274, 275, 282, 283, 284, 299, 301, 302, 309, 313, 317, 318, 320, 329, 330, 341, 343, 344, 346, 352, 353, 356
- შოვინიზმი - გერმანოფილური — 151, 217
- შოვინიზმი დიდმპყრობელური — 7—11, 231, 289, 317, 322—335, 363
- შოვინიზმი ველიკორუსული — 37, 124, 157, 167, 184, 186, 231, 233, 234, 237, 240, 241, 247, 254, 255, 270, 276, 283, 301, 311, 312—314, 321, 323

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
ვ. ი. ლენინი ნაციონალიზმთან ბრძოლის შესახებ	13
ნაშრომი „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ მომბენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ? (პასუხი „რუს-კოე ბოგატსტვოს“ სტატიებზე მარქსისტების წინააღმდეგ) (ნაწყვეტი)	15
ნაშრომი „ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში“ (ნაწყვეტი)	15
სტატია „ბუნდის განცხადების გამო“ (ნაწყვეტი)	20
პროექტი რეზოლუციისა ბუნდის ადგილის შესახებ პარტიაში	21
სიტყვა რსდმპ-ში ბუნდის ადგილის საკითხზე 1903 წლის 20 ივლისი (2 აგვისტო) (ნაწყვეტი)	22
პროექტი რეზოლუციისა რსდმ პარტიიდან ბუნდის გასვლის შესახებ. ბუნდის გასვლა	23
სტატია „ბუნდის ნაციონალიზმის უკანასკნელი სიტყვა“ (ნაწყვეტი)	23
წინასიტყვაობა ბროშურისა „პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ლოპუხინის მოხსენებითი ბარათი“ (ნაწყვეტი)	26
გალაშქრება ფინეთის წინააღმდეგ	27
სტატია „ზარტული თამაში“ (ნაწყვეტი)	32
მოწოდება „რუსეთის ყველა მოქალაქეს“ (ნაწყვეტი)	34
კადეტები და ნაციონალისტები	35
სტატია „სათათბიროში მუშა დემუტატებისა და მათი დეკლარაციის საკითხისათვის“ (ნაწყვეტი)	36
სტატია „ბალკანეთის ომი და ბურჟუაზიული შოვინიზმი“ (ნაწყვეტი)	37
ვეხელები და ნაციონალიზმი (ბიბლიოგრაფიული შენიშვნა)	38
მუშათა კლასი და ნაციონალური საკითხი	39
პლატფორმის პროექტი ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატის IV ყრილობისათვის (ნაწყვეტი)	41
თეზისები ნაციონალურ საკითხზე	44
სტატია „ებრაული სკოლის ნაციონალიზაცია“ (ნაწყვეტი)	54
სტატია „როგორ იცავს უკრაინელებს ეპისკოპოსი ნიკონი?“ (ნაწყვეტი)	55
სტატია „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“ (ნაწყვეტი)	57
სტატია „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის შესახებ“ (ნაწყვეტი)	83
წერილი ს. გ. შაუმიანს (ნაწყვეტი)	86
კადეტები და „ხალხთა თვითგამორკვევის უფლება“	89
სტატია „რსდმ პარტიის ნაციონალური პროგრამის შესახებ“ (ნაწყვეტი)	92
24. ვ. ი. ლენინი	369

კიდევ სასკოლო საქმის დაყოფის შესახებ ეროვნებათა მიხედვით	96
კიდევ „ნაციონალიზმის“ შესახებ	99
სტატია „ავვისტოს ფიქციის გამომჟღავნება“ (ნაწყვეტი)	101
ხელნაწერი „ნაციონალური პოლიტიკის საკითხისათვის“ (ნაწყვეტი)	102
მუშების გარყვნა დახვეწილი ნაციონალიზმით	104
სტატია „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“ (ნაწყვეტი)	107
თეზისები „რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ამოცანები ევროპის ომში“ (ნაწყვეტი)	123
სტატია „ევროპის ომი და საერთაშორისო სოციალიზმი“ (ნაწყვეტი)	124
სტატია „სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები“ (ნაწყვეტი)	125
ველიკოროსების ეროვნული სიამაყის შესახებ	126
შენიშვნა „რედაქციისაგან“ სტატიის გამო „უკრაინა და ომი“	131
სტატია „სხვისი დროში“ (ნაწყვეტი)	132
სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ (ნაწყვეტი)	135
ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის რეზოლუციის პროექტი (ნაწყვეტი)	139
ციმერვალდის შემარცხნე ფრთის რეზოლუციის პროექტი (ნაწყვეტი)	140
ნაშრომი „სოციალიზმი და ომი (რსდმპ-ს დამოკიდებულება ომისადმი)“ (ნაწყვეტი)	142
მასალები რეფერატისათვის „იმპერიალიზმი და ერთა თვითგამორკვევის უფლება“ (ნაწყვეტი)	146
სტატია „ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი“ (ნაწყვეტი)	147
თეზისები „სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება“ (ნაწყვეტი)	149
სტატია „შედევები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ“ (ნაწყვეტი)	149
სტატია „მარქსიზმის კარიკატურისა და იმპერიალისტურ ეკონომიზმის“ შესახებ (ნაწყვეტი)	150
სამ ფიქვს შუა გზა აებნათ	151
სიტყვა ნაციონალური საკითხის შესახებ რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე აპრილის კონფერენციაზე (ნაწყვეტი)	153
სტატია „ფინეთი და რუსეთი“ (ნაწყვეტი)	153
სტატია „უკრაინა“ (ნაწყვეტი)	154
პროგრამის მუხლი ნაციონალური ურთიერთობის დარგში რკპ (ბ) პროგრამის პროექტი (ნაწყვეტი)	155
საბოლოო სიტყვა პარტიული პროგრამის შესახებ რკპ (ბ) VIII ყრილობაზე გაკეთებული მოხსენების გამო 1919 წლის 19 მარტს (ნაწყვეტი)	157

ამხანაგ თურქესტანელ კომუნისტებს	158
მოსხენება აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1919 წლის 22 ნოემბერს (ნ ა წ ყ ვ ე ტ ი)	159
„წერილი უკრაინის მუშებსა და გლეხებს დენიკინზე გამარჯვების გამო“ (ნ ა წ ყ ვ ე ტ ი)	164
თურქესტანში რკპ (ბ) ამოცანების შესახებ ცკ-ის გადაწყვეტილების პროექტზე გაკეთებული შენიშვნები (ნ ა წ ყ ვ ე ტ ი)	171
პროექტი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დადგე- ნილებისა რკპ (ბ) ამოცანების შესახებ თურქესტანში	172
პირვანდელი მონასაზი თეზისებისა ნაციონალურ და კოლონიურ სა- კითხზე (ნ ა წ ყ ვ ე ტ ი)	172
პროექტი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დადგენი- ლებისა რკპ (ბ) ამოცანების შესახებ აღმოსავლეთის ხალხე- ბით დასახლებულ ადგილებში	180
წერილი „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთი- ელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“ (ნ ა წ ყ ვ ე ტ ი)	182
„ბარათი ლ. ბ. კამენევს დიდმპყრობელურ შოეინიზმთან ბრძო- ლის შესახებ“.	184
ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ	184
ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ (გ ა გ- რ ძ ე ლ ე ბ ა)	187

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ნაციონალიზმის
წინააღმდეგ, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების
მიხედვით ყველა ეროვნების გუროგელთა დარაზმვისათვის
ბრძოლაში

კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოების მასალები

რსდმპ II ყრილობის რეზოლუციებიდან, 1903 წლის 17 (30) ივლისი — 10 (23) აგვისტო	195
ბუნდის ადგილის შესახებ პარტიაში	195
ანტიებრაული დარბევების შესახებ	196
პარტიიდან ბუნდის გასვლის შესახებ	196
რსდმ პარტიის III ყრილობის რეზოლუცია. 1905 წლის 12 — 27 აპრილი (25 აპრილი — 10 მაისი)	197
ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულების შესახებ	197
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენციის რეზოლუცია. 1905 წლის 7—9 (20—22) სექტემბერი	198
რსდმ პარტიის მეხუთე (ლონდონის) ყრილობის რეზოლუციიდან 1907 წლის 30 აპრილი — 19 მაისი (13 მაისი — ივნისი)	198
არაპროლეტარული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ	198

რსდმ	პარტიის მეხუთე კონფერენციის (საერთო-რუსეთის 1908 წ.) რეზოლუციიდან. 1908 წლის 21—27 დეკემბერი (1909 წლის 3—9 იანვარი)	199
რსდმ	პარტიის სრულიად-რუსეთის მეექვსე (პრალის) კონფერენციის რეზოლუციებიდან. 1912 წლის 5—7 (18—30) იანვარი	200
	საერთო-პარტიულ კონფერენციაზე ნაციონალური ცენტრების დელეგატთა დაუსწრებლობის შესახებ	200
	თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ	201
	სპარსეთზე რუსეთის მთავრობის თავდასხმის შესახებ	202
	ფინეთის მიმართ ცარიზმის პოლიტიკის შესახებ	202
რსდმ	პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ პარტიულ მუშაკებთან ერთად ჩატარებული კრაკოვის თათბირის რეზოლუციიდან. 1912 წლის 26 დეკემბერი — 1913 წლის 1 იანვარი (1913 წლის 8—14 იანვარი)	203
	სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ	203
	„ნაციონალური“ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესახებ	203
რსდმ	პარტიის ცკ-ის პორონინოს თათბირი, ჩატარებული პარტიულ მუშაკებთან ერთად. 1913 წლის 23 სექტემბერი — 1 ოქტომბერი (6—14 ოქტომბერი)	204
	ცნობიდან თათბირის შესახებ	204
	ნაციონალური საკითხის შესახებ	205
რსდმ	პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი იმპერიალისტური ომის შესახებ. 1914 წლის ნოემბერი	208
	ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია	208
რსდმ	პარტიის საზღვარგარეთული სექციების კონფერენციის რეზოლუციებიდან. 1915 წლის 14—19 თებერვალი (27 თებერვალი — 4 მარტი)	215
	„სამშობლოს დაცვის“ ლოზუნგის შესახებ	215
	III ინტერნაციონალი	216
	დამოკიდებულება სხვა პარტიებთან და ჯგუფებთან	217
პარტიულ	მუშაკთა სრულიად რუსეთის თათბირის რეზოლუციიდან. 1917 წლის 27 მარტი — 2 აპრილი (9—15 აპრილი)	218
	ომისა და ზავის შესახებ	218
რსდმ	პარტიის (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციიდან. 1917 წლის 24—29 აპრილი (7—12 მაისი)	219
	ნაციონალური საკითხის შესახებ	219
რსდმ	(ბ) ფრონტისა და ზურგის სამხედრო ორგანიზაციების სრულიად-რუსეთის კონფერენციის რეზოლუცია. 1917 წლის 16—23 ივნისი (29 ივნისი — 6 ივლისი)	221
	ნაციონალური საკითხის შესახებ	221

რკპ ბ) VIII ყრილობაზე მიღებული რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) პროგრამიდან. 1919 წლის 18—23 მარტი	222
ნაციონალურ ურთიერთობათა დარგში	222
რკპ (ბ) სრულიად რუსეთის მერვე კონფერენციის რეზოლუციიდან. 1919 წლის 2—4 დეკემბერი	223
უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ (რუსეთის კომუნ- ისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციიდან, დადასტურებული კონფე- რენციის მიერ)	223
სოციალ-დემოკრატიული პარტიის მაქინაციების შესახებ (ებრაულ საქმე- თა კომისარიატის 1919 წლის 20 დეკემბ- რის განცხადებიდან)	224
რკპ (ბ) ცკ-ის წერილიდან ყველა პარტიული კომიტეტის და პოლიტ- განყოფილებისადმი აღმოსავლეთის ხალხთა შორის მუშაობის შესახებ. 1920 წლის 21 თებერვალი	227
რკპ (ბ) X ყრილობის რეზოლუციიდან. 1921 წლის 8—16 მარტი პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში	229
რკპ (ბ) XII ყრილობის რეზოლუციიდან. 1923 წლის 17—25 აპრილი	233
რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო	233
ნაციონალური საკითხის შესახებ	233
რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ნაციონალური რესპუბლიკე- ბისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან ჩატარებული მეთოთხე თათბირის რეზოლუციებიდან. 1923 წლის 9—12 ივნისი	240
სულთან-გალიევის საქმე	240
პარტიის XII ყრილობის მიერ ნაციონალურ საკითხზე მიღებული რეზოლუციის განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი	242
რკპ (ბ) მეთოთხმეტე კონფერენციის რეზოლუციიდან, 1925 წლის 27—29 აპრილი	242
თეზისები კომინტერნისა და რკპ (ბ) ამოცანების შესახებ კომინ- ტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმთან დაკავშირებით, მიღებული რკპ (ბ) XIV კონფერენციის მიერ	242
ყირგიზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ. საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დად- გენილებიდან. 1926 წლის 7 მაისი	243
საქ. კპ (ბ) მეთხუთმეტე ყრილობის რეზოლუციიდან. 1927 წლის 2—19 დეკემბერი	244
ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო	244
ყ. აახეთის პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ. საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1928 წლის 3 მაისი	247
აგიჯაიციის, პროპაჯანდისა და კულტურული მშენებლობის საკითხებზე	

საკავშირო თათბირის მასალებიდან. 1928 წლის მაისი-ივნისი	248
აგიტაციის, პროპაგანდისა და კულტურული მშენებლობის ძირითადი ამოცანები	248
ყირიმის პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1928 წლის 8 აგვისტო	249
იაკუტიის პარტორგანიზაციაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1928 წლის 9 აგვისტო.	250
საქართველოს კომპარტიის მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციიდან. 1928 წლის 3 სექტემბერი	251
საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის რეზოლუციიდან. 1929 წლის 16—23 აპრილი	252
შინაპარტიულ საქმეებზე	252
უზბეკეთის პარტორგანიზაციაში მუშაობის შესახებ საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1929 წლის 25 მაისი	253
ბელორუსიის ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშურ-გლეხური ინსპექციის მუშაობის შესახებ საქ. კ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდენტისა და სსრ კავშირის მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებიდან. 1929 წლის 19 ივლისი	254
საქ. კ (ბ) XVI ყრილობის რეზოლუციიდან. 1930 წლის 26 ივნისი — 13 ივლისი	255
საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო.	255
თათრეთის პარტიულ ორგანიზაციაში მასობრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1944 წლის 9 აგვისტო	255
უკრაინის სსრ დასავლეთ ოლქების მოსახლეობას შორის პოლიტიკურ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1944 წლის 27 სექტემბერი	256
ბაშკირეთის პარტიულ ორგანიზაციაში სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1945 წლის 27 იანვარი	259
საქ. კ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩეველისადმი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩევნებთან დაკავშირებით. 1946 წლის 2 თებერვალი	260
ბელორუსიის კ (ბ) ც-ის მუშაობის შესახებ საქ. კ (ბ) ცენტრალური	

რი კომიტეტის დადგენილებიდან. 1947 წლის 25 იანვარი	261
თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1960 წლის 9 იანვარი	262
სკკპ XXII ყრილობაზე მიღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან. 1961 წლის 31 ოქტომბერი	264
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა	264
ბრძოლა ბურჟუაზიული და რეფორმისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ	264
პარტიის ამოცანები ეროვნული ურთიერთობის დარგში	264
პარტიის ამოცანები იდეოლოგიის, აღზრდის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში	265
სკკპ XXII ყრილობაზე დამტკიცებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებიდან. 1961 წლის 31 ოქტომბერი	266
იდეოლოგიური მუშაობისადმი ბელორუსიის კომუნისტური პარტიის მინსკის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1962 წლის 6 ივნისი	266
ტაშკენტის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში ხელმძღვანელ კადრებთან იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1963 წლის 9 აპრილი	267
პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან. 1963 წლის 18—21 ივნისი	267
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის. 1964 წლის 15 თებერვალი	269
სკკპ XXIII ყრილობის რეზოლუციიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო. 1966 წლის 8 აპრილი	272
სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკისა და კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან. 1966 წლის 13 დეკემბერი	273
ხელმძღვანელ კადრებთან ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1967 წლის 30 იანვარი	274
სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი. 1967 წლის ივნისი	274
საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნის-	

- ტურ მშენებლობაში მათი როლის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1967 წლის 14 აგვისტო 276
- სკკ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ტაჭკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1968 წლის 17 დეკემბერი 277
- კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან. 1969 წლის 7 ივნისი 278
- კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგების შესახებ სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან. 1969 წლის 26 ივლისი 278
- ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის სკკ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან. 1969 წლის 23 დეკემბერი 280
- სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან. 1970 წლის 14 მაისი 282
- საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის რეზოლუციიდან სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო. 1971 წლის 9 აპრილი 282
- საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1972 წლის 21 თებერვალი 283
- სკკ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1972 წლის 22 თებერვალი 285
- ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან. 1972 წლის 18 ივლისი 286
- საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1972 წლის 2 აგვისტო 286
- ტაშკენტის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური სწავლებისა და ეკონომიკური განათლების შესახებ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1972 წლის 8 აგვისტო 287
- „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდათი წლისთავის შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალუ-

ჩი მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრევენეის მოხსენებიდან. 1972 წლის 21 დეკემბერი	288
რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. 1973 წლის 4 აპრილი	291
ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დოკუმენტები	294
რკპ (ბ) ბაშკირეთის პირველი კონფერენციის რეზოლუციიდან. 1919 წლის 8—11 ნოემბერი	294
თათრეთ-ბაშკირეთის საკითხი	294
უკრაინის კპ (ბ) მეოთხე კონფერენციის რეზოლუციიდან. 1920 წლის 17—23 მარტი	296
საბჭოთა უკრაინისა და საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო ურთიერთობა	296
რკპ (ბ) ბაშკირეთის მეექვსე კონფერენციის თეზისებიდან. 1920 წლის 16—20 სექტემბერი	297
ეროვნულ საკითხზე	297
უკრაინის კპ (ბ) სრულიად უკრაინის თათბირის რეზოლუციიდან. 1921 წლის 2—4 მაისი	298
ეროვნული საკითხი	298
რკპ (ბ) ბაშკირეთის მეხუთე კონფერენციის მიმართვიდან. 1922 წლის 16—21 იანვარი	303
ბაშკირეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რკპ (ბ) ყველა წევრს	303
ბელორუსიის კპ (ბ) VII ყრილობის რეზოლუციიდან (ბელორუსიის კპ (ბ) XII კონფერენცია). 1923 წლის მარტი	305
ეროვნულ საკითხზე	305
უკრაინის კპ (ბ) მეშვიდე კონფერენციის რეზოლუციიდან. 1923 წლის 4—10 აპრილი	306
სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა	306
ეროვნული მომენტები საბჭოთა და პარტიულ მშენებლობაში	306
ბელორუსიის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციიდან. 1925 წლის იანვარი	308
ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მორიგი ამოცანები ეროვნული პოლიტიკის დარგში	308
ბელორუსიის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციიდან. 1925 წლის ოქტომბერი	310
ეროვნული პოლიტიკის შესახებ	310
უზბეკეთის კპ (ბ) მეორე ყრილობის რეზოლუციიდან. 1925 წლის 22—30 ნოემბერი	312
უზბეკეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო საკ. კპ (ბ) ყირგიზეთის მეოთხე საოლქო კონფერენციის რეზოლუციიდან. 1927 წლის 18—21 ნოემბერი	314
საოლქო საკონტროლო კომისიისა და მუშურ-გლეხური ინსპექციის საანგარიშო მოხსენების გამო	314

უზბეკეთის კ (ბ) მესამე ყრილობის რეზოლუციიდან. 1927 წლის 16-24 ნოემბერი	315
უზბეკეთის კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო.	315
უზბეკეთის კ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიშის გამო	316
სახელმწიფო აპარატის ნაციონალიზაციისა და წარმოებაში ადგილობრივი ეროვნების მუშათა ჩაბმის შესახებ	316
პარტიული მშენებლობის დარგში	317
უკრაინის კ (ბ) მეათე ყრილობის რეზოლუციიდან. 1927 წლის 20—29 ნოემბერი	319
უკრაინის კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ანგარიშის გამო	319
უკრაინაში კულტურული მშენებლობის ამოცანების შესახებ	320
საქ. კ (ბ) ყირგიზეთის მეხუთე საოლქო კონფერენციის რეზოლუ- ციიდან. 1929 წლის 15—25 იანვარი	321
საქ. კ (ბ) ყირგიზეთის საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო	321
უზბეკეთის კ (ბ) მეოთხე ყრილობის რეზოლუციიდან. 1929 წლის 17 თებერვალ—2 მარტი	322
საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შუა აზიის ბიუროს მუშაობის შესახებ	322
საქ. კ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და შუა აზიაში ცენტრალური საკონტროლო კომისიის რწმუნებულის მუშაობის შესახებ	323
უკრაინის კ (ბ) მეორე კონფერენციის რეზოლუციიდან. 1929 წლის 9—14 აპრილი	323
საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო	323
საქ. კ (ბ) ყირგიზეთის მეექვსე საოლქო კონფერენციის რეზოლუ- ციებიდან. 1930 წლის 8—10 ივნისი	324
საქ. კ (ბ) საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო	324
საქ. კ (ბ) საოლქო საკონტროლო კომისიისა და მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ	325
უზბეკეთის კ (ბ) მეხუთე ყრილობის რეზოლუციიდან. 1930 წლის 4—13 ივნისი	327
საქ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შუა აზიის ბიუროს მუშაობის შესახებ	327
უკრაინის კ (ბ) მეთერთმეტე ყრილობის რეზოლუციიდან. 1930 წლის 5—15 ივნისი	329
უკრაინის კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო	329
საქ. კ (ბ) ყირგიზეთის საოლქო კომიტეტის მეხუთე პლენუმის რეზო- ლუციიდან. 1932 წლის 20—23 ივლისი	330
პარტიული მუშაობის მდგომარეობა და ყირგიზეთის პარტორგანიზაციის მორიგი ამოცანები	330

საქ. კ (ბ) ყირგიზეთის საოლქო კომიტეტის მეშვიდე პლენუმის რეზოლუციიდან. 1933 წლის 15—20 ივნისი	330
ყირგიზეთის კულტურული მშენებლობის შესახებ	330
საქ. კ (ბ) ყირგიზეთის მეშვიდე საოლქო კონფერენციის რეზოლუციიდან. 1934 წლის 10—15 იანვარი	332
საქ. კ (ბ) საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ	332
უზბეკეთის კ (ბ) მეექვსე ყრილობის რეზოლუციიდან. 1934 წლის 10—17 იანვარი	333
უზბეკეთის კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ	333
უკრაინის კ (ბ) მეცამეტე ყრილობის რეზოლუციიდან. 1937 წლის 27 მაისი—3 ივნისი	334
უკრაინის კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო	334
უზბეკეთის კ (ბ) მეცხრე ყრილობის რეზოლუციიდან. 1940 წლის 12—16 მარტი	335
უზბეკეთის კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო	335
საქ. კ (ბ) ბაშკირეთის ოცდამეერთე საოლქო კონფერენციის რეზოლუციიდან. 1948 წლის 20—22 მარტი	336
საქ. კ (ბ) საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო	336
უზბეკეთის კ (ბ) მეთექვსმეტე ყრილობის რეზოლუციიდან. 1949 წლის 1—4 მარტი	336
უზბეკეთის კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო	336
უზბეკეთის კ (ბ) მეთერთმეტე ყრილობის რეზოლუციიდან. 1952 წლის 20—23 სექტემბერი	338
უზბეკეთის კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო	338
უკრაინის კ შეთვრამეტე ყრილობის რეზოლუციიდან. 1954 წლის 23—26 მარტი	338
უკრაინის კ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო	338
სკკ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პლენუმის რეზოლუციიდან. 1960 წლის 22—23 მარტი	339
თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების თაობაზე“ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესარულების ღონისძიებათა შესახებ	339
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან. 1973 წლის 23 თებერვალი	340
პარტიული ხელმძღვანელობა თანამედროვე ამოცანათა დონეზე	340
უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან. 1974 წლის 17 მაისი	341
სკკ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ	341
უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან. 1974 წლის 11 ივნისი	343

სკკ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ	343
ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან. 1974 წ.	343
იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ	343
შენიშვნები	346
საგნობრივი სამიებელი	366

რედაქტორი ლ. თოიძე

გამომცემლობის რედაქტორი ვ. ქრისტესიაშვილი
 მხატვარი ვ. გაბელია
 მხატვრული რედაქტორი რ. მაჭარაშვილი
 ტექნიკური რედაქტორი ე. ციხელაშვილი
 კორექტორები: ნ. თავაძე, ე. უვანია
 გამომშვები ა. სააკაძე

გადაეცა წარმოებას 15/X-80. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/II-81. საბეჭდი ქაღალდი № 1 84×1081/32. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 19,95. პ. სალ. გატ. 39,9. საალრ.-საგამომც. თაბახი 17,81. ტირაჟი 2000 შეკვ. № 3126.

ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
 თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы 7.